

საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი
ეკლესიის თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია

რატი სტურუა

წმინდა მარკოზ მონაზონის სწავლებათა ძველი
ქართული თარგმანი (ფილოლოგიურ-თეოლოგიური
ანალიზი)

დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
თეოლოგიის დოქტორი, პროფესორი ედიშერ ჭელიძე

თბილისი

2024

ს ა რ ჩ ე ვ ი

<i>ანოტაცია</i> -----	3
<i>Annotation</i> -----	6
<i>შესავალი</i> -----	8
 <i>თავი I</i>	
<i>მარკოზ მონაზონის ნაშრომები და ბიოგრაფიული ცნობები</i> -----	31
 <i>თავი II</i>	
<i>წმინდა მარკოზ მონაზონი ძველ-ქართულ საეკლესიო მწერლობაში</i> -----	34
<i>2.1. წინათონური თარგმანები</i> -----	36
<i>2.2. ექვთიმე ათონელისეული თარგმანი</i> -----	51
<i>2.3. ევრემ მცირესეული თარგმანები</i> -----	52
 <i>თავი III</i>	
<i>მელქისედეკიანელთა ერესის შესახებ</i> -----	59
 <i>თავი IV</i>	
<i>ძვ.ქართ. ტერმინ „აწინკიანის“ გენეზისის საკითხისათვის</i> -----	80
 <i>თავი V</i>	
<i>ბერძნული და ქართული ტექსტების ფილოლოგიური და საღვთისმეტყველო ანალიზი („სიტყუაჲ მელქისედეკისთჳს“)</i> -----	95

თავი VI

ბერძნული და ქართული ტექსტების ფილოლოგიური და საღვთისმეტყველო
ანალიზი („წინაგანწყობა სქოლასტიკოსისა“)-----150

დასკვნა-----198

გამოყენებული ლიტერატურა-----207

დანართი 1

ტექსტისთვის-----220

„წინაგანწყობა სხოლასტიკოსისა“ (Αντιβολή πρός τινα σχολαστικόν), „პასუხი ვინმე
სქოლასტიკოსის წინააღმდეგ“-----223

ლექსიკონი-----267

„სიტყუა მელქისედეკისთვის“ (Εἰς τὸν Μελχισεδέκ), „მელქისედეკის შესახებ“-----278

ლექსიკონი-----304

დანართი 2

წმ. ფოტი პატრიარქის მე-200 კოდექსი „ბიბლიოთეკიდან“-----315

წმ. ფოტი პატრიარქის 201-ე კოდექსი „ბიბლიოთეკიდან“-----319

ანოტაცია

ჩვენი სადისერტაციო ნაშრომი მიზნად ისახავს ფილოლოგიურ-თეოლოგიური კუთხით შევისწავლოთ წმ. მარკოზ მონაზონის ავტორობით ცნობილი შრომების ძველი ქართული (ეფრემ მცირისეული) თარგმანი.

ნაშრომის შესავალ ნაწილში წარმოდგენილია — საკვლევი თემატიკის აქტუალურობა, კვლევის მიზნები და ამოცანები, ჰიპოთეზა და საკვლევი შეკითხვები. განსაზღვრულია – კვლევის მეთოდები და მეთოდოლოგია, ნაშრომის მეცნიერული სიახლე და პრაქტიკული მნიშვნელობა.

სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობისას გამოვიყენეთ თეოლოგიური კვლევის ძირითადი მეთოდოლოგია, ანუ ე. წ. საღვთისმეტყველო „გენერალური მეთოდი“.

ხსენებულ მეთოდოლოგიასთან ერთად, ნაშრომში გამოყენებულია თვისებრივი და ტექნიკრი კვლევის მეთოდები. ასევე კვლევის ისეთი მეთოდები, როგორებიცაა: სისტემურ-სტრუქტურული, ისტორიულ-შედარებითი, ლოგიკური და შინაარსობრივი ანალიზის მეთოდები.

სადისერტაციო ნაშრომი მოიცავს 219 გვერდს (დანართების გარეშე) და შედგება შესავლის, ექვსი ძირითადი თავისა და დასკვნითი ნაწილისგან, სადაც შეჯამებულია და არგუმენტირებულად დასაბუთებულია კვლევის შედეგები. წარმოდგენილია რეზიუმე, თითოეული თავისა და ქვეთავის მოკლე ანალიზი, ქართულ და ინგლისურ ენებზე. ნაშრომის ბოლოს – გამოყენებული ლიტერატურის სია და დანართი I, სადაც მოცემულია ეფრემ მცირის მიერ შესრულებული თარგმანის კრიტიკულად დადგენილი ტექსტი, ძველი ბერძნული ტექსტი, ჩვენ მიერ შესრულებული ახალი ქართული თარგმანი და ტერმინოლოგიური ლექსიკონი, ხოლო II დანართში წარმოდგენილია წმ. ფოტი პატრიარქის მე-200 და 201-ე კოდექსების ძველი ბერძნული ტექსტი „ბიბლიოთეკიდან“, ჩვენ მიერ შესრულებულ ახალ ქართულ თარგმანთან ერთად.

დისერტაციის პირველ თავში წარმოვაჩინეთ მარკოზ მონაზონის ნაშრომებისა და ბიოგრაფიული ცნობების შესახებ აქამდე უცნობი ფაქტები და საკითხები.

მეორე თავში შემოკრებილი და იდენტიფიცირებულია მარკოზ მონაზონის ყველა უცნობი ძველი ქართული თარგმანი, რომლებიც გაბნეული იყო წინათონურ ხელნაწერებში.

დისერტაციის მომდევნო თავის სათაურია – „მელქისედეკიანელთა ერესის შესახებ“. ჩვენ თანმიმდევრობით წარმოვაჩინთ ისტორიულ წყაროებს მელქისედეკიანელთა შესახებ. განვიხილავთ აღნიშნული ერესის განვითარების ეტაპებსა და იმ ერეტიკულ განშტოებებს, რომლებსაც მელქისედეკიანელთა მწვალებლობა მოიცავდა.

მეოთხე თავში დასაბუთებულია, რომ გიორგი მცირის ნაშრომში – „ცხოვრება და მოქალაქობა ჯმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გიორგი მთაწმიდელისა“ ნახსენები ტერმინი – „აწინკიანი“ ტრანსლიტერაციაა ტერმინისა – Ἀθίγγανοι, ხოლო ახალ ქართულად ითარგმნება, როგორც „ათინგანები“. „ათინგანები“ VI საუკუნიდან ეწოდა მელქისედეკიანელთა მწვალებლობას.

დისერტაციის მეხუთე თავი მოიცავს მარკოზ მონაზონის ნაშრომის ბერძნული ტექსტის ეფრემისეული თარგმანის – „სიტყუა მელქისედეკისთჳს“ ფილოლოგიურ და საღვთისმეტყველო ანალიზს.

მექვესე თავში კი მოცემულია მარკოზ მონაზონის მეორე ნაშრომის ბერძნული ტექსტის ეფრემისეული თარგმანის – „წინაგანწყობა სქოლასტიკოსისა“ ფილოლოგიური და საღვთისმეტყველო ანალიზი.

V და VI თავში ქართული ტექსტების თავისებურებანი წარმოჩენილი გვაქვს ბერძნულ ორიგინალთან მიმართებით, ტიპოლოგიური დაჯგუფებებით: კლება, მატება, განსხვავებული თარგმანი, რასაც თან ვურთავთ საღვთისმეტყველო ანალიზს.

მარკოზ მონაზონის აღნიშნულ ნაშრომთა თარგმანები, როგორც უკვე აღვნიშნეთ, შესრულებულია ეფრემ მცირის მიერ და წარმოდგენილია XIII საუკუნით დათარიღებულ A-60 ხელნაწერში (A-60, 44-57).

ძველი ქართული თარგმანის ბერძნულთან შედარებისას გამოვიყენეთ მარკოზ მონაზონის ტრაქტატების ორი ტომი, რომლებიც ფრანგი მკვლევრის, ჟორჟ-მეტიუ დე დიურანის ავტორობით გამოიცა, შესულია «Sources chretiennes»-ში („ქრისტიანულ წყაროებში“) (Durand 2000: 182-222)¹. აქვე დავსძენთ, რომ ჩვენს კვლევაში ბერძნულ ტექსტს ამავე გამოცემიდან ვიმოწმებთ (Sources chretiennes) (SC.). ტექსტში არსებული

¹ აღნიშნული გამოცემა გახლავთ მარკოზ მონაზონის შრომების ფუნდამენტური, სამეცნიერო გამოკვლევა, სადაც ნაშრომების კრიტიკულად დადგენილი ტექსტებია განთავსებული.

თავებიც აღნიშნული გამოცემის მიხედვით არის დანომრილი, რომლებიც ჟ. მინის პუბლიკაციას (Patrologia Graeca-ს) შეესაბამება (Migne 1864(a): 1072-1102; 1117-1140)².

I დანართში, როგორც აღვნიშნეთ, მოცემულია მარკოზ მონაზონის ნაშრომების ეფრემ მცირის მიერ შესრულებული ძველი ქართული თარგმანის – „წინაგანწყობაჲ სქოლასტიკოსისაჲ“ და „სიტყუაჲ მელქისედეკისთჳს“ კრიტიკულად დადგენილი ტექსტი. ნაშრომები სამ სვეტად არის წარმოდგენილი: პირველ სვეტში მოცემულია ეფრემ მცირის მიერ შესრულებული თარგმანი. მეორე სვეტში წარმოვადგენთ ძველ ბერძნულ ტექსტს, მესამე სვეტში კი განთავსებულია ჩვენ მიერ შესრულებული ახალი ქართული თარგმანი. ჩვენეულ თარგმანში, ოვალურ ფრჩხილებში მოცემულია სიტყვის შინაარსის დაზუსტება, განმარტება, ხოლო კვადრატულ ფრჩხილებში მოცემულია ბერძნული ტექსტის შინაარსის მიხედვით აღდგენილი სიტყვა.

² ბერძნული ტექსტის შედარებისას, გარკვეულ შემთხვევებში, გამოვიყენეთ ჟ. მინის პუბლიკაცია (Patrologia Graeca) (Migne 1864(a): 1072-1102; 1117-1140).

Annotation

Our dissertation thesis aims to study the Old Georgian translation (done by St. Ephrem Mtsire) of the famous works written by St. Mark the Monk from a philological and theological angle.

In the introductory part of the thesis, we present topicality of the research subject, our research aims and tasks, hypothesis and research questions. Besides, here we define research methods and methodology, scientific novelty and practical importance of the thesis.

We used the main research methodology for our study, which is known as a theological “general method”. Together with the above-mentioned methodology, some qualitative research methods are applied within the thesis. Moreover, different methods are used such as systemic-structural, historical-comparative, logical and content analysis ones.

The dissertation thesis covers 218 pages (without appendix) and consists of introduction, six main chapters and conclusion. The latter summarizes and supports the research outcomes with proper arguments. There is an annotation, a short analysis of each chapter and subchapter, both in Georgian and English. At the end of the thesis there is a list of references and appendix I with a critically defined text of the translation carried out by Ephrem Mtsire, the Old Greek text, a new Georgian translation done by us and a terminology dictionary. And appendix II presents The work of St. Foti Patriarch (Ancient Greek text of Codexes 200 and 201 from the "Library), along with a new Georgian translation made by us.

In the first chapter of the thesis, we reveal some unknown facts and issues related to Mark the Monk's works and biography.

Chapter 2 collects and identifies all the unknown Old Georgian translations of Mark the Monk's works, which were actually diffused in pre-Athonic manuscripts.

The title of the next chapter of the thesis is „About the Melchizedekian's Heresy”. We present historical sources about Melchizedekians in sequence. We analyze development stages of the heresy and those heretic branches which this heresy involved.

Chapter 4 deals with the term “Atsinkians” mentioned in George the Mtsire's work “Life of Saint Giorgi Mtatsmindeli”. It is a transliteration of a Greek term Ἀθίγγανοι, which is translated as “Atingans” into New Georgian. Melchizedekian heresy was referred to as “Atingans” from VI century.

Chapter 5 analyzes Georgian and Greek texts of Mark the Monk work “About Melchizedek” translated by St. Ephrem.

Chapter 6 provides a philological and theological analysis of Greek and Georgian texts of Mark the Monk another work translated again by St. Ephraim. In Chapters 5 and 6, characteristics of Georgian texts are classified typologically: decrease, increase, different translation with a

philological and theological analysis. The above-mentioned translations belong to St. Ephrem and are included in A-60 manuscript dating back to XIII century (A-60, 44-57). While comparing the Old Georgian translation with Greek, we used two volumes of Mark the Monk discourse, which was published under the authorship of French researcher Durand, included in “Sources chretiennes” (Durand 2000:182-222)³. The chapters in the text are numbered according to this edition, which corresponds with Migne’s publication (Patrologia Graeca) (Migne 1864(a): 1072-1102; 1117-1140)⁴.

Appendix provides a critically determined text of Mark the Monk two major works translated by St. Ephrem. The text of the works is presented in three columns: Column 1 presents Ephraim’s translation. Column 2 shows an Old Greek text; Column 3 contains our new Georgian translation.

³ this edition is a fundamental scientific study of Mark the Nun’s works with critically determined texts.

⁴ While comparing a Greek text, we occasionally used Migne’s publication (Patrologia Graeca) (Migne 1864(a): 1117-1140)

შესავალი

საკითხის წინაპირობა და თემის აქტუალურობა. წმინდა მარკოზ მონაზონი საკმაოდ ცნობილი პიროვნებაა ქრისტიანულ სამყაროში⁵, მისი ნაშრომები კი აღქმულია, როგორც ასკეტური სწავლების ერთ-ერთი საფუძველი. ასევე დადასტურებულია, რომ წმ. მარკოზის მიერ გამოთქმულ და ჩამოყალიბებულ მოძღვრებას, რომელიც მოიცავს სხვადასხვა სულიერ და ზნეობრივ საკითხს, შეგონებასა თუ დარიგებას, რამდენიმე დიდი წმინდა მამა იყენებს საკუთარ შემოქმედებაში.

მარკოზ მონაზონის ცხოვრების შესახებ მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდის ფრანგი მკვლევარი ჟორჟ-მეტუ დე დიურანი, რომელიც, ამ შემთხვევაში, თვით მარკოზის ნაშრომებს ეყრდნობა. მარკოზ მონაზონის ტრაქტატების ორი ტომი, რომლებიც სწორედ დიურანის ავტორობით გამოიცა, როგორც აღვნიშნეთ, შესულია «Sources chretiennes»-ში („ქრისტიანულ წყაროებში“) (Durand 2000: 26-92;182-222). უნდა ითქვას, რომ მარკოზ მონაზონის მხოლოდ 10 ნაშრომია შემონახული, სადაც მათ ავტორად ის არის დასახელებული. ამათგან ცხრას ახსენებს პატრიარქი ფოტი (820-893 წწ.) თავის ნაშრომში – „ბიბლიოთეკა“. ცნობილია წმ. მარკოზის პაექრობა სხვადასხვა ტიპის ერესის მიმდევრებთან, მაგალითად, ე. წ. მელქისედეკიანელებთან. ასევე ცნობილია მისი ანტინესტორიანული ნაშრომიც. დიურანი აღნიშნავს მის დაპირისპირებას ევტიქიანელებთან, ანუ მესალიანელებთან. მარკოზ მონაზონის ბრძოლა ერეტიკოსების წინააღმდეგ შედარებულია კაბადოკიელი მამების მოღვაწეობასთან (Durand 1999: 13-32). ეს კი გულისხმობს მწვალებლების მიმართ იმგვარ დამოკიდებულებას, როდესაც წმინდანი, პირველ რიგში, ერეტიკოსთა განსწავლას ცდილობს და, ამ გზით, სურს ჭეშმარიტ სწავლებაზე მათი შემობრუნება.

ასე რომ, ჩვენთვის მნიშვნელოვანია, მარკოზ მონაზონის ნაშრომების წარმოჩენა არა მხოლოდ ასკეტური თვალსაზრისით (რაც თავისთავადაც ნათელი და ცნობილია), არამედ ასევე დოგმატური და ეგზეგეტიკური მიმართულებითაც. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და აღსანიშნავია ის ფაქტი, თუ რაოდენ ზუსტად და სიღრმისეულად,

⁵ წმ. მარკოზ მონაზონის ხსენების დღეა 5 მარტი.

სულიერ სწავლებებთან შეზავებულად გადმოსცემს მარკოზ მონაზონი სხვადასხვა დოგმატურ სწავლებას. ბერძნული ტერმინები, რომლებსაც ავტორი იყენებს, თავის მხრივ, საკმაოდ რთულად გასააზრებელია, როგორც ფილოლოგიური, ისე საღვთისმეტყველო კუთხით, მაგრამ მარკოზ მონაზონის ნაშრომებში იმგვარად არის გამოყენებული ეს ტერმინები, რომ ნაშრომს სრულიად გასაგებსა და შესატყვისად გასააზრებელს ხდის, როგორც სულიერი, ისე დოგმატური სწავლების თვალსაზრისით. ეს, რა თქმა უნდა, ავტორის უდიდეს განსწავლულობაზე მიუთითებს. განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს წმ. მარკოზის ნაშრომთა ქართულად მთარგმნელის – წმ. ეფრემ მცირის ღვაწლი. ეფრემი ზედმიწევნით ადეკვატური ქართული ტერმინოლოგიით თარგმნის აღნიშნულ ბერძნულ ტერმინებს. რომ არა მისი უბადლო ნიჭი მთარგმნელობისა, ქართველი მკითხველი ესოდენი სიზუსტით ვერასდროს ეზიარებოდა მარკოზ მონაზონის მიერ გადმოცემული ღვთისმეტყველების სიღრმესა და სიბრძნეს. ჩვენთვის ეს ასპექტიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რაზეც ასევე გავამახვილეთ ყურადღება ჩვენს კვლევაში.

მოკლედ წარმოვადგენთ თითოეულ საანალიზო საკითხს, რომლებიც ჩვენს სადისერტაციო ნაშრომში თანმიმდევრობით აისახება – საკვლევ ნაშრომებსა და უცნობ ძველ ქართულ თარგმანებში აღბეჭდილ საანალიზო საკითხთა მიხედვით.

I. წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომის საკვლევ ტექსთაგან პირველი – „სიტყუაჲ მელქისედეკისთჳს“ – დოგმატურ-პოლემიკური ხასიათისაა და მიმართულია მელქისედეკიანელთა ერესის წინააღმდეგ. ეს იყო გნოსტიკურ-ერეტიკული სექტა. მათი წარმომადგენლები მელქისედეკის პიროვნებას ძე ღმერთის პიროვნებასთან აიგივებდნენ და ამით იესო ქრისტეს განგებულებას, ანუ განკაცებას უარყოფდნენ.

განსაკუთრებით საგულისხმოა, რომ წმინდა მარკოზის ეს ნაშრომი, მისი სხვა ნაშრომებისგან განსხვავებით, გამოირჩევა ეგზეგეტიკური და დოგმატური ღვთისმეტყველებით, კერძოდ:

1) ნაშრომის დასაწყისში მარკოზ მონაზონი განმარტავს, რომ უფლის მიერ გადმოცემული ჭეშმარიტი სწავლება მოციქულებმა სულიწმინდის მაძლით აღწერეს, ხოლო ეშმაკი ცდილობს ჭეშმარიტების შერყვნასა და სიცრუის გავრცელებას. მარკოზი პურის თავთავს ადარებს ჭეშმარიტებას, ხოლო სარეველას – სიცრუეს. წმინდა მამის

განმარტებით, როგორც პურის თავთავის მახლობლად სარეველა აღმოცენდება, ასევე, ჭემმარიტების საფარქვეშ სატანა ფსევდოჭემმარიტებას ქადაგებს (თ. 1).

2) ნაშრომის ძირითადი ნაწილი ეთმობა მსჯელობას „მელქისედეკის წესის“ შესახებ. როცა ერეტიკოსები ეკითხებიან წმინდა მარკოზს, „თუ რას ნიშნავს «წესის შესაბამისად»? მარკოზი უპასუხებს: „ეს ნიშნავს „მსგავსების შესაბამისად“ და არა „რჯულის შესაბამისად“. რადგან „რჯულის შესაბამისად“ ლევის ტომი განწესდა მღვდლობისთვის. მელქისედეკი არა რჯულის, არამედ წინასწარმეტყველების წესის შესაბამისად [განწესდა მღვდლობისთვის], რომელიც ამით ქრისტეს შესახებ მოასწავებს“ (თ. 2).

3) ავტორი მომდევნო თავებში განაგრძობს მსჯელობას „მელქისედეკის წესის“ შესახებ. აღნიშნულ საკითხს წმინდა მარკოზი განიხილავს საღვთისმეტყველო ტერმინების: „ხატისა“ და „არქეტიპის“, „სახისა“ და „ჭემმარიტების“ ურთიერთმიმართებით, და აზუსტებს: „ჭემმარიტება“, ანუ „არქეტიპი“ არის განკაცებული ძე ღმერთი, ხოლო მისი „სახე“, „ხატი“, ანუ ძე ღმერთთან მიმსგავსებული არის მელქისედეკი (თ. 3, 8, 9).

4) შემდეგი სწავლება კვლავ უკავშირდება მელქისედეკის მსგავსებას ძე ღმერთთან, იესო ქრისტესთან.

თავდაპირველად წმ. მარკოზი მოგვითხრობს წმინდა წერილში აღბეჭდილ უწყებას მამამთავარი აბრაამისა და მისი 318 მეომრის შესახებ (დაბ. 14, 14). მარკოზი მონაზონი წმინდა წერილის ამ მონაკვეთს ნიკეაში გამართული პირველი მსოფლიო საეკლესიო კრების წინასახედ წარმოგვიდგენს. ისევე, როგორც აბრაამმა, მელქისედეკის დროს, თავის 318 მეომართან ერთად, უცხოტომელები განდევნა, ასევე, ქრისტეს, მოციქულებრივად შეიარაღებულმა, 318-მა მამამთავარმა, – ჭემმარიტად სულიერმა მეომარმა, ქალაქ ნიკეაში ერეტიკული სწავლებანი განაგდო (თ. 8).

მარკოზი მონაზონი განმარტავს, რომ, როგორც მელქისედეკმა პური და ღვინით ანუგემა ომიდან დაბრუნებულები, ქრისტეც, დიდი მღვდელმთავარი, განწმენდილ პურსა და ღვინოს უბოძებს, ერეტიკულ სწავლებათა უკუგდების შემდეგ, გონითი ომიდან უკანდაბრუნებულებს და ამბობს: „მიიღეთ და ჭამეთ ამისგან ყოველთა“ (მთ. 26. 26) (თ. 8).

5) მარკოზ მონაზონი განაგრძობს წმინდა წერილის იმ ადგილების განმარტებას, რომლებიც მელქისედეკს უკავშირდება და გადმოგვცემს მეტად მნიშვნელოვან სულიერ სწავლებას: „და კუალადცა, რომელ-იგი მისცა აბრაჰამმან ათეული ნატყუნავთაგან მღდელსა ღმრთისასა, ხოლო მობაძავნი მისისა სარწმუნოებისანი შესწირვენ ღმრთისა ნატყუნავსა, რამეთუ ხუთნი საცნობელნი მრჩობლ ქმნილ ზედა დართვითა მათითა, საცნაურად ვიტყვ და განთვსებულად, ათეულ რამე არიან ნაწილებთა ჩუენისა ბუნებისათა ოდესმე წარტყუნულისა საცნაურთაგან უცხოთესლთა, პირველ თქუმულისაებრ მოთხრობისა“.

ამ შემთხვევაში, მარკოზ მონაზონის რწმუნებით, აბრაამი განასახიერებს დაცემულ კაცობრიობას, რომელსაც ქრისტეს მეშვეობითა და რწმენით უკვე ძალუმს სათნოებათა მოხვეჭა, ძე ღმერთთან მიმსგავსება და მიახლება. ხოლო „ღვთის მღვდელი“, ანუ მელქისედეკი, ქრისტეს წინასახეა (თ. 8).

6) მნიშვნელოვანია და გასათვალისწინებელიც მარკოზ მონაზონის საგულისხმო ეტიმოლოგიური და საღვთისმეტყველო განმარტებანი ქანაანური და ძველი ბერძნული საკუთარი სახელებისა, როგორებიცაა: მელქისედეკი, ამბროსიოსი, ევგენი, პოლიხრონოსი, ათანასე და დემოკრიტე. სახელთა სიღრმისეული განმარტებანი მარკოზ მონაზონის დიდ განსწავლულებაზე მეტყველებს (თ. 7).

7) აქვე მოკლედ შევეხებით იმ ძირითად დოგმატურ საკითხს, რომელსაც შემდგომ ვრცლად განვიხილავთ. მელქისედეკიანელთა ერესის მიმდევარნი, რომელთაც მარკოზი უპირისპირდება, მელქისედეკს აიგივებდნენ ყოვლადწმინდა სამების მეორე ჰიპოსტასთან, ძე ღმერთთან, ვიდრე იგი ადამიანურ ბუნებას შეიმოსავდა, ანუ განკაცდებოდა. შესაბამისად, ერეტიკოსები სამების მეორე ჰიპოსტასს, ძე ღმერთს ყოფდნენ ორ პიროვნებად და, აქედან გამომდინარე, მელქისედეკს ძე ღმერთად, ხოლო ქრისტეს ლიტონ ადამიანად მიიჩნევენ (თ. 5).

II. ჩვენი სადისერტაციო ნაშრომის მეორე საკვლევი ტექსტი – „წინაგანწყობაჲ სქოლასტიკოსისაჲ“ – დიალოგური ხასიათისაა და ორი ნაწილისგან შედგება. პირველ ნაწილში წმინდა მარკოზი უპასუხებს საერო პირის, კანონმდებლის (δικαιός), სქოლასტიკოსის შეკითხვებს, მეორე ნაწილში კი იგი ესაუბრება მონასტერში მყოფ მძემს, რომლებსაც საღვთისმეტყველო საკითხებს განუმარტავს. მსჯელობა, ძირითადად, ე. წ. „თეოდოციის“ საკითხს უკავშირდება, კერძოდ:

1) ნაშრომის დასაწყისში სქოლასტიკოსი საყვედურობს მარკოზსა და, ზოგადად, მონაზვნებს, რომ ისინი უგულბებელყოფენ საერო სასამართლოს, და მათ უმოქმედობაში ადანაშაულებს (თ. 1).

წმ. მარკოზი მას წმინდა წერილის მიხედვით განუმარტავს: „როგორც ადამიანის დანიშნულებასა და მიზანს შეადგენს ღვთის მცნებების აღსრულება და სასუფევლისკენ სწრაფვა, ასევე ამქვეყნიური საერო სამართალიც ღვთის მცნებებზე დაფუძნებული (თ. 1).

2) ამის შემდეგ, სქოლასტიკოსი ნიშნისგებით და იქედნურად ეკითხება მარკოზს: „როგორ ხდება, რომ მონაზვნები, რომლებიც საღვთო მცნებებს იცავენ, მაინც ვარდებიან ცოდვაში, ხოლო საერო ფილოსოფოსები მიწიერი სიბრძნის მეშვეობით ცოდვით დაცემისგან იცავენ თავს (თ. 7).

წმ. მარკოზი უპასუხებს: „ეცემიან ის მონაზვნები, რომლებიც ლოცვასა და თავმდაბლობას უგულბებელყოფენ, ხოლო ამქვეყნიური სიბრძნის მოყვარეები უკვე დაცემულნი არიან განდიდებისა და უზრუნველობის ცოდვით, და ის, ვინც ჯერ არც კი წამომდგარა, ვერც დაეცემა“ (თ. 7).

3) მარკოზ მონაზონის მიერ წარმოდგენილ სწავლებებში, ძირითადად, უპირატესობს კაცთმოთნეობის ვნების მხილება და მასთან ბრძოლის მეთოდები. მარკოზის განმარტებით, კაცთმოთნეობა ყველაზე ფარული და ვერაგი ცოდვაა. სულიერი ღვაწლის არმქონე და გამოუცდელი ადამიანი ვერც კი აცნობიერებს, რომ ამ ცოდვით არის შეპყრობილი (თ. 8).

4) მარკოზ მონაზონის სწავლების მიხედვით, ადამიანთა ზრახვების გულისხმისყოფა არ ხელეწიფებათ დემონებს. ეს არის საეკლესიო სწავლება, რომელსაც ასევე ეფუძნება წმინდა იოანე სინელის სწავლებაც (თ. 18).

5) ნაშრომის ბოლო თავებში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მარკოზის მიერ სრულყოფილად არის გადმოცემული სწავლება უფლის განგებულებისა და მისი ყოვლადსამართლიანობის შესახებ (თ. 14,16,17,18,19,20,21).

კვლევა აქტუალურია იმ მხრივ, რომ კვლევის საგანია წმ. მარკოზ მონაზონის ნაშრომთა (ოთხი ნაშრომის) აქამდე უცნობი ძველი ქართული თარგმანი:

1) „წინაგანწყობაჲ სქოლასტიკოსისაჲ“ 2) „სამოთხისათჳს და შჯულისა სულიერისა“ 3) „სიტყუაჲ მელქისედეკისთჳს“ და 4) „კითხვაჲ მისივე ნეტარისა მამისა

მარკოზის მიმართ წმიდისა ნათლისღებისთვის“, რომლებიც იდენტიფიცირებულია ედიშერ ჭელიძის მიერ. მის მიერვეა გამოკვლეული და დასაბუთებული, რომ ამ ნაშრომთა მთარგმნელი არის ეფრემ მცირე (ჭელიძე 2013ა.: 645; ჭელიძე 2013 გ.: 74). ოთხივე ნაშრომი აისახება XIII საუკუნის A-60 ხელნაწერში. გამოცემულია ნაწილი თარგმნილი ნაშრომისა „კითხვაჲ მისივე ნეტარისა მამისა მარკოზის მიმართ წმიდისა ნათლისღებისთვის“ (ასკურავა 2014: 224). დანარჩენი თარგმანები კი საჭიროებს დამატებით საღვთისმეტყველო კვლევასა და შესწავლას. აგრეთვე, ჩვენი კვლევის საგანია A-60 ნუსხის პირველი ნაწილი, სადაც განთავსებულია ორი უცნობი ტექსტი. ამ ტექსტების წარმომავლობა ამ დრომდე არ იყო გარკვეული.

ასკეტური ხასიათის ნაშრომების თარგმანების ნაწილი მიეკუთვნება წინაათონურ პერიოდს. აღნიშნული თარგმანები გაბნეულია სხვადასხვა ხელნაწერში და მათი უმეტესება ამ დრომდე ასევე არ იყო იდენტიფიცირებული.

კვლევის მიზნები და ამოცანები

ჩვენი სადისერტაციო ნაშრომის მიზანია, ფილოლოგიურ-თეოლოგიური თვალსაზრისით შევისწავლოთ წმ. მარკოზ მონაზონის ავტორობით ცნობილი შრომების ძველი ქართული (ეფრემ მცირისეული) თარგმანი. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეს სწავლებები აქამდე საგანგებო კვლევის საგანი არ გამხდარა. შესაბამისად, უპირველეს ყოვლისა, გვქონდა ვალდებულება იმისა, რომ ტექსტობრივად დაგვემუშავებინა და გამოსაცემად მოგვემზადებინა ხსენებულ სწავლებათა ძველი ქართული თარგმანი. ასევე, ჩვენი მიზანი იყო აღნიშნული თარგმანის შედარება ბერძნულ ორიგინალთან, მთარგმნელის ტერმინოლოგიურ-სტილური თავისებურებათა გამოვლენა, ტერმინოლოგიური ლექსიკონის შედგენა, და ორიგინალი (ბერძნული) ტექსტების ახალ ქართულად თარგმნა. შემდგომ ამისა კი, მარკოზ მონაზონის სწავლებათა შინაარსობრივი განხილვა და მათი ამომწურავი თეოლოგიური ანალიზი. ასევე, ჩვენთვის მნიშვნელოვანი იყო მარკოზ მონაზონის ნაშრომთა ყველა, აქამდე უცნობი, ძველი ქართული თარგმანის შემოკრება და იდენტიფიცირება, რომელთა ნაწილი, როგორც აღვნიშნეთ, მოცემულია წინაათონურ ხელნაწერებში.

საღვთისმეტყველო-ფილოლოგიური თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია შემდეგი ამოცანები და საკითხები, რომელთა გადაჭრასაც მიზნად ისახავს წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომი:

ა) ბერძნული და ქართული ტექსტების ფილოლოგიური-საღვთისმეტყველო ანალიზის შედეგად მიღებული ძირითადი განსხვავებები.

ბ) ეფრემ მცირის მთარგმნელობითი მეთოდი, მისი ტერმინოლოგია და თარგმანის მიმართება ძველ ბერძნულ ორიგინალთან.

გ) მარკოზ მონაზონის თეოლოგიური ტერმინოლოგიის ასპექტები.

დ) მარკოზ მონაზონის სწავლებათა და დოგმატურ ფორმულირებათა მსგავსება და ურთიერთკავშირი ეკლესიის მამათა ასკეტურ და საღვთისმეტყველო სწავლებებთან.

ე) მარკოზ მონაზონის ნაშრომებში გამოყენებული თანხვედნილი ტერმინოლოგია და, აქედან გამომდინარე, აღნიშნულ ნაშრომთა ურთიერთკავშირი.

ვ) ნაშრომის – „სამოთხისა და სულიერი რჯულის შესახებ“ ავტორის ვინაობასთან დაკავშირებული ასპექტები (საკითხები).

ზ) მელქისედეკიანელთა ერესის ისტორია და მასში შემავალი ეთნიკური ჯგუფების წარმომავლობა.

სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი საკვლევე კითხვებია:

1) სად მოღვაწეობდა მარკოზ მონაზონი?

2) რამდენად თანხვედრაშია ეფრემისეული თარგმანი ბერძნულ ორიგინალთან – ტერმინოლოგიური და შინაარსობრივი თვალსაზრისით?

3) რა შეხედულებები არსებობს მარკოზ მონაზონის პიროვნებასთან, ღვთისმეტყველებასა და მის ნაშრომებთან მიმართებით?

4) ვინ არის ავტორი ნაშრომისა - „სამოთხისა და სულიერი რჯულის შესახებ“?

5) რას წარმოადგენდა მელქისედეკიანელთა ერესი და მისი გამოვლინების სახეები?

საკვლევე თემის სპეციფიკიდან გამომდინარე, **ნაშრომის ჰიპოთეზა შემდეგნაირად ჩამოვყალიბეთ:**

მარკოზ მონაზონის შესახებ ისტორიულ-ბიოგრაფიული ცნობები საკმაოდ ბუნდოვანია და თანამედროვე ეპოქაშიც კვლევის საგნად რჩება. მარკოზ მონაზონი მოღვაწეობდა V ს-ის შუა პერიოდში, მისი სამოღვაწეო არეალი მოიცავდა მცირე აზიას, კერძოდ, ანკვირიას.

ეფრემ მცირისეული თარგმანი, დედანთან მიმართებით, ზედმიწევნითი სიზუსტითაა შესრულებული. უმეტესად, ბერძნული ზმნის ყველა მიმდებარე ფორმა ქართულად მიმდებარეობს თარგმნილი, ხოლო ზმნის პირიანი ფორმა, შესაბამისად, ზმნის პირიანი ფორმით არის გადმოცემული. თვით ზმნის გვარის კატეგორიაც აბსოლუტურად ზუსტად არის თარგმნილი.

მიგვაჩნია, რომ მკვლევართა სუბიექტურმა მოსაზრებებმა განაპირობა ის გაურკვევლობა, რომელიც მარკოზ მონაზონს და მის ნაშრომებს უკავშირდება.

მარკოზის ნაშრომის „მელქისედეკის შესახებ“ V თავის დეტალური ანალიზის შედეგად წარმოჩნდა, რომ ნაშრომში წარმოდგენილია ფუნდამენტური მართლმადიდებლური სწავლებები, რომლებიც მაცხოვრის განკაცების დოგმატის ძირითად საფუძვლებს შეადგენს. შესაბამისად, მარკოზის ნაშრომში გარკვეული მონოფიზიტური სწავლების არსებობის დაშვება, სრულიად არამართებულია.

უძველესი ხელნაწერების გამოკვლევის შედეგად დასტურდება და უპირატესად მიიჩნევა ის მოსაზრება, რომ ნაშრომის – „სამოთხისა და სულიერი რჯულის შესახებ“ ავტორი არის წმინდა მარკოზ მონაზონი.

მელქისედეკიანელთა ერესს, ვიდრე VI საუკუნემდე, ეწოდებოდა მელქისედეკიანელები, რომელთა უმეტესობას შეადგენდნენ სამარტელები. მოძღვრების თვალსაზრისით, მათი სწავლება ეფუძნებოდა გნოსტიკურ მწვალებლობას, შემდეგ კი მან სხვადასხვა გაუკუღმართების სახე მიიღო. VI საუკუნის შემდეგ მელქისედეკიანელები სამარტილეთა ტრადიციების გამო იწოდებიან „ათინგანებად“.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე

მეცნიერულად შესწავლილ იქნა სახელგანთქმული ასკეტი მოღვაწის, მარკოზ მონაზონის ორი ნაშრომის ძველი ქართული (ეფრემ მცირისეული) თარგმანი, რომელიც აქამდე სამეცნიერო კვლევის საგანი არ გამხდარა.

პირველ ეტაპზე დადგინდა კრიტიკული ტექსტი ძველი ქართული თარგმანის „წინაგანწყობაჲ სქოლასტიკოსისაჲ“ და „სიტყუაჲ მელქისედეკისთჳს“, ანუ – შესაბამის გამოკვლევასთან ერთად, გამოსაცემად მომზადდა ორივე ნაშრომის კრიტიკულად დადგენილი ტექსტი. აღნიშნული თარგმანი შეუდარდა ბერძნულ ორიგინალს, გამოვლინდა მთარგმნელის ტერმინოლოგიურ-სტილისტური თავისებურებანი და შედგენილ იქნა ტერმინოლოგიური ლექსიკონი. ორიგინალი ბერძნული ტექსტები ითარგმნა ახალ ქართულად.

კვლევის მომდევნო საფეხურზე დაზუსტდა ისტორიული მონაცემები, როგორც ნაშრომთა ავტორის, წმინდა მარკოზ მონაზონის შესახებ, ისე თავად ნაშრომთა თაობაზე.

ასევე მნიშვნელოვანი იყო შემოკრება და იდენტიფიცირება მარკოზ მონაზონის ყველა უცნობი ძველი ქართული თარგმანისა, რომელთა ნაწილიც, როგორც აღინიშნა, გაბნეული იყო წინაათონურ ხელნაწერებში.

შემდგომ განხორციელდა ყველაზე მნიშვნელოვანი ეტაპი – ძეგლების სრულყოფილი შესწავლა როგორც ფილოლოგიური, ისე თეოლოგიური ასპექტით.

აქვე აღვნიშნავთ, რომ სადისერტაციო ნაშრომში განხორციელებული კვლევა, გარდა ტექსტოლოგიური და თეოლოგიური მნიშვნელობისა, განსაკუთრებულად საგულისხმო იქნება ისტორიული კუთხითაც. აღნიშნული საკითხი ძალზე მნიშვნელოვანია, რადგან მკვლევართა ისტორიული მონაცემები მარკოზ მონაზონის შესახებ საკმაოდ ორაზროვანი და, გარკვეულწილად, ბუნდოვანიცაა.

ვფიქრობთ, რომ განხორციელებული კვლევა მომავალში კიდევ მრავალ სიახლეს წარმოაჩენს და მნიშვნელოვანი შედეგების მქონე იქნება, რადგან, როგორც აღინიშნა, მიუხედავად იმისა, რომ მარკოზ მონაზონი საკმაოდ ცნობილი მოღვაწეა, მისი შრომები ნაკლებადაა მეცნიერულად შესწავლილი არა მარტო ქართველი, არამედ უცხოელი მკვლევრების მიერაც.

გამოყენებული ლიტერატურის მიმოხილვა და ნაშრომის თეორიული ჩარჩო

წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომი ემყარება სხვადასხვა ისტორიულ წყაროსა და სამეცნიერო გამოკვლევას, რამაც უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა საკვლევო თემატიკის საფუძვლიან შესწავლასა და ანალიზში. ნაშრომში

წარმოდგენილია ქართულენოვანი, ძველბერძნულენოვანი, ლათინურენოვანი, ინგლისურენოვანი, რუსულენოვანი, გერმანულენოვანი და ფრანგულენოვანი წყაროები, ასევე, სამეცნიერო ნაშრომები (წიგნები, მონოგრაფიები, სტატიები და ა.შ.), სადაც გამოვლენილი და გაშლილია საკვლევ თემატიკასთან დაკავშირებული ძირითადი პრობლემები და არგუმენტები. კვლევის სპეციფიკიდან გამომდინარე, ნაშრომში წარმოდგენილი მრავალრიცხოვანი ისტორიული თუ საღვთისმეტყველო საკითხი და ცნობა რამდენიმე ჯგუფად დავყავით.

მარკოზ მონაზონი ბიზანტიურ სამყაროში ფრიად პოპულარულ ავტორად და დიდ მოღვაწედ მიიჩნეოდა. მას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ბიზანტიის სულიერი განვითარების ისტორიაში. მისი შრომები სრულად არის თარგმნილი სხვადასხვა ენაზე. შრომების ნაწილი შესულია მინის პატროლოგიაში.

მარკოზ მონაზონის ნაშრომების მკვლევართაგან გამორჩეული ფრანგი მეცნიერის, ჟორჟ-მეტუ დე დიურანის გარდა, რომლის ნაშრომიც, როგორც აღვნიშნეთ, შესულია «Sources chretiennes»-ში (Durand G.-M. A Nicolas: Analyse // Marc le Moine. Traités I, II. 1999, 2000), აქვე უნდა აღინიშნოს მიტროპოლიტი კალისტ უერი (Ware K. T., The Sacrament of Baptism and the ascetic life in the teaching of Mark the Monk // Studia Patristica. 1970) და თანამედროვე რუსი მკვლევარი ანდრეი აშმარინი (Богословие преп. Марка Подвижника. Ашмарин Андрей Александрович, 2013).

1) სადისერტაციო ნაშრომში გამოყენებული ლიტერატურისა და საანალიზო საკითხების პირველ ჯგუფს შეადგენს სწორედ ამ მეცნიერთა და მკვლევართა ნაშრომები, რომლებმაც უაღრესად დიდი დახმარება გაგვიწია სადისერტაციო თემის კონცეპტუალური ჩარჩოს ჩამოყალიბებაში.

ფრანგი მეცნიერი დიურანი თავის გამოკვლევაში, მარკოზ მონაზონის ნაშრომებზე დაყრდნობით, გვაწვდის მნიშვნელოვან ცნობებს როგორც თავად მარკოზის მოღვაწეობის, ისე მისი ნაშრომების შესახებ.

ამ ეტაპზე, აქვე გამოვყოფთ საკითხს, რომელიც უკავშირდება წმ. ფოტი პატრიარქის ნაშრომს – „ბიბლიოთეკა“ (Migne 1860(b): 669-672), სადაც გადმოცემულია ცნობები წმ. მარკოზ მონაზონის შრომების შესახებ, კერძოდ, განხილულია ჩვენი ორივე საკვლევი ნაშრომის – „სიტყუად მელქისედეკისთვის“ და „წინაგანწყობა

სქოლასტიკოსისა“ დაწერის მიზეზები და შედეგები. ამ წყაროში არსებული მონაცემები უცნობია ფართო საზოგადოებისთვის.

დიურანი თავის ერთ-ერთ მსჯელობაში განიხილავს მარკოზ მონაზონისეულ ტერმინოლოგიას. იგი აღნიშნავს, რომ წმინდა ფოტი პატრიარქი მარკოზ მონაზონს აკრიტიკებდა ძველი ბერძნული ენის არასათანადო ცოდნის გამო.

მკვლევარი ასევე მიუთითებს, რომ ფოტი პატრიარქი აკნინებს მარკოზ მონაზონის სწავლებათა გადმოცემის მეთოდს, წმ. დიადოქოს ფოტიკელთან შედარებით (Durand 1999: 21).

ჩვენ ვეთანხმებით ფრანგ მეცნიერს, დიურანს იმაში, რომ ფოტი პატრიარქი მართლაც ადარებს ერთმანეთს მარკოზის ბერძნულად მეტყველების სტილსა და ძველბერძნულ ატიკურ დიალექტს. მაგრამ მიგვაჩნია, რომ ფოტი პატრიარქი კი არ აკრიტიკებს მარკოზს, არამედ სხვა რამ აქვს მხედველობაში, კერძოდ: როცა ფოტი მარკოზის მეტყველებასა და ატიკურ დიალექტს უპირისპირებს ერთმანეთს, ვარაუდობს, რომ ამ საკითხის განხილვისას შესაძლოა თავი იჩინოს ბუნდოვანებამ (გაურკვევლობამ). „ბუნდოვანებაში“ იგულისხმება, ერთი მხრივ, ის, რომ მატერიალური, ანუ ზუსტი სიტყვიერი ფორმით ძნელად გადმოსაცემია სულიერ სწავლებათა ჭეშმარიტი არსი, ანუ ეს სწავლებანი დაფარულია გარეშე თვალთაგან. მეორე მხრივ კი, განუსწავლელი და მოუმზადებელი მკითხველისთვის, მეცნიერულადაც და სულიერადაც, უფრო მისაღები ფორმაა – მარტივი და სახეობრივი მაგალითების მეშვეობით განსწავლა, ანუ, გარკვეულწილად, სწავლებათა იგავური ფორმით გადმოცემა. ეს არის ასკეტურ სწავლებათა გადმოცემის ერთ-ერთი ფორმა, რომელიც გარკვეული იდუმალებისა და ჭეშმარიტების გადაცემის პრაქტიკულ მეთოდს გულისხმობს. ამ მეთოდს, მარკოზ მონაზონის გარდა, ასევე იყენებდა თითქმის ყველა წმინდა მამა.

მეცნიერთა წრეში, ფოტი პატრიარქთან დაკავშირებით, არსებობს მეორე მოსაზრებაც, რომელიც, არსობრივად, იმას გულისხმობს, რომ ფოტი პატრიარქი თავისი ნაშრომის – „ბიბლიოთეკის“ მე-200 კოდექსის ბოლო ნაწილში, სადაც განხილულია მარკოზის ნაშრომი, გარკვეულწილად, საყვედურობს მარკოზს, რომ მისი მსჯელობა ნაშრომში „მელქისედეკის შესახებ“ ბუნდოვანია, და ამან ხელი შეუწყო რაღაც ახალი ერესის აღმოცენებას (Durand 1999: 21; ასევე იხ. Ашмарин 2013:

35). თანამედროვე მკვლევარი ა. აშმარინი განმარტავს, რომ ამ ერესში იგულისხმება მონოფიზიტობა. მისი მოსაზრებით, მონოფიზიტებმა მარკოზის ნაშრომი თავიანთ სასარგებლოდ გამოიყენეს, ხოლო მარკოზის ღვთისმეტყველებას არანაირი კავშირი არ ჰქონდა მონოფიზიტობასთან (Ашмарин 2013: 65).

ჩვენ, რა თქმა უნდა, ვიზიარებთ ა. აშმარინის შეხედულების იმ ასპექტს, რომ ერეტიკოსებს შეეძლოთ მარკოზის ნაშრომი თავიანთ სასარგებლოდ გამოეყენებინათ. ამგვარი შემთხვევა ხშირად იყო ეკლესიის ისტორიაში. მაგრამ ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელი და გამოსაკვლევეია რამდენიმე სხვა საკითხიც.

თანამედროვე მეცნიერთა აზრი, გარკვეულწილად, ეფუძნება ჩვენთვის უკვე კარგად ნაცნობი ფრანგი მკვლევრის, დიურანის გამოკვლევას. რა თქმა უნდა, ჩვენი მიზანი არ არის დასახელებული მეცნიერის კრიტიკა, რადგან მისი შრომები მაღალ შეფასებას იმსახურებს და ჩვენც, როგორც სხვა მკვლევრები, სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით, მივმართავთ მის გამოკვლევებს. თუმცა ამჯერად მიგვაჩნია, რომ ჩვენი მოსაზრების წარმოჩენით შესაძლოა სხვა კუთხით წარმოგვიდგეს ფოტი პატრიარქის დამოკიდებულება მარკოზ მონაზონის ნაშრომისადმი. ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ ჩვენს თვალსაზრისს წარმოვადგენთ, როგორც მხოლოდ ვარაუდს და არა – როგორც მტკიცებულებას.

დიურანის მოსაზრებით, ფოტი პატრიარქი „ბიბლიოთეკის“ მე-200 კოდექსის ბოლოს აღწერილი ცხრა ნაშრომიდან ცალკე გამოყოფს დოგმატურ ნაშრომს – „მელქისედეკის შესახებ“, და მისი დახასიათების დროს მიუთითებს, რომ ფოტი კონსტანტინეპოლელის მიერ მარკოზის დასახელებული ნაშრომის ბუნდოვანმა შეფასებამ გაურკვეველობა გამოიწვია მთარგმნელთა შორის. ზოგიერთმა მიიჩნია, რომ მარკოზი ერესში საკუთარ მამას ამხელდა. მაგრამ, დიურანის რწმუნებით, ტექსტის ამგვარი გააზრება არ არის მართებული. იგი განმარტავს, რომ წინადადების – „τὸν γενησόμενον ἀπὸν... ἔνοχον“ [მას, ვინც წარმოშვა (შექმნა) ... დამნაშავე] სიტყვით – „დამნაშავე“ (ἔνοχον), ანუ ის, რაც „იშვა“, იგულისხმება მარკოზის ნაშრომი „მელქისედეკის შესახებ“, ხოლო სიტყვებით – «τὸν γενησόμενον ἀπὸν» – იგულისხმება ავტორი, ანუ მშობელი და ავტორი ამ ნაშრომისა, ესე იგი, თავად მარკოზ მონაზონი (შდრ. Durand 1999: 21).

ჩვენ ვეთანხმებით დიურანს, რომ ფოტი პატრიარქი ნამდვილად ცალკე გამოყოფს დოგმატურ ნაშრომს – „მელქისედეკის შესახებ“, რადგან ეს ნაშრომი განსხვავდება თავისი შინაარსით დანარჩენი რვა ნაშრომისგან. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ფოტი ამ შრომას მოიხსენიებს არა როგორც „მელქისედეკის შესახებ“ – „Εἰς τὸν Μελχισεδέκ“, არამედ „მელქისედეკიანელთა წინააღმდეგ“ – «Κατὰ Μελχισεδεκίανων», რითაც აშკარად ერეტიკულ მიმდინარეობაზე მიანიშნებს. თუმცა მიგვაჩნია, რომ ზემოთ მოხმობილი წინადადება – «τὸν γεννησάμενον αὐτὸν» შეიძლება სხვაგვარადაც ითარგმნოს, რასაც წინამდებარე სადოქტორო ნაშრომში ვრცლად განვიხილავთ.

მიუხედავად იმისა, რომ ფოტი პატრიარქის განმარტება, ერთი შეხედვით, ორაზროვნად წარმოჩნდება, არსობრივად, არანაირი გაურკვეველობა არ არსებობს, გაურკვეველობა კი წარმოშვა მკვლევართა და მთარგმნელთა სუბიექტურმა (კერძო) შეხედულებებმა. საბოლოო ჯამში, შეიძლება ითქვას, რომ ფოტი პატრიარქის ნაშრომის მიხედვით, მარკოზ მონაზონი საკუთარ მშობელ მამას ნამდვილად არ ადანაშაულებს ერესში. ფოტი კონსტანტინეპოლელი გარკვევით და არაორაზროვნად მიგვითითებს, რომ ერეტიკოსებმა მარკოზის ნაშრომი თავიანთ სასარგებლოდ ბოროტად გამოიყენეს და აღმოაცენეს რაღაც მასშტაბური მწვალებლობა, ის ერესი, რომელიც იმაზე მეტად გავრცელდა ბიზანტიის ტერიტორიაზე, ვიდრე მელქისედეკიანელთა გაუკუღმართება.

დიურანი ასევე მიიჩნევს, რომ მარკოზ მონაზონი, ფოტი პატრიარქის აზრით, საკუთარმა განმარტებებმა დააბნია და ამ მიზეზით ვერ აიცვია კრიტიკა (შდრ. Durand 1999: 21). გარკვეული თვალსაზრისით, ამ მოსაზრებას იზიარებს რუსი მკვლევარიც, ა. აშმარინი (Ашмарин 2013: 35). მისი განმარტებით, ფოტი პატრიარქი მიუთითებს, რომ მარკოზი არათანმიმდევრულია მელქისედეკიანელებთან პაექრობის დროს. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ფრანგმა მკვლევარმა ფოტი პატრიარქის სიტყვები არამართებულად გაიაზრა. სინამდვილეში კი, ფოტი მსჯელობს არა იმაზე, რომ მარკოზმა თავისი პოლემიკური სიტყვა არათანმიმდევრულად დაუპირისპირა ერეტიკოსებს, არამედ იმის თაობაზე, რომ გადაწერილ ხელნაწერთა ასლებში ნაშრომები, ანუ „სიტყვები“, ყოველთვის ერთი და იმავე თანმიმდევრობით არ არის განთავსებული.

ასე რომ, ჩვენი აზრით, მკვლევართა სუბიექტურმა მოსაზრებებმა და ფოტი პატრიარქის სიტყვების არამართებულად გააზრებამ განაპირობა ფოტი პატრიარქის

შეხედულებასთან დაკავშირებული გარკვეული გაუგებრობა, რომელიც მარკოზ მონაზონსა და მის ნაშრომებს უკავშირდება.

2) მეორე ჯგუფს წარმოადგენს იმ მოღვაწეთა და მეცნიერთა ნაშრომები და პირველადი წყაროები, რომელთა საკვლევია სფერო უშუალოდ უკავშირდება ჩვენი სადისერტაციო ნაშრომის თემატიკას. ვგულისხმობთ იმ ავტორებს, რომლებმაც მარკოზ მონაზონის შესახებ პირველადი ცნობები მოგვაწოდეს და კვლევები განახორციელეს.

როგორც უკვე ითქვა, ამ მხრივ, ქრონოლოგიურად უწინარესია წმ. ფოტი პატრიარქი (820-893 წ.), სადაც იგი თავის ცნობილ ნაშრომში – „ბიბლიოთეკა“ (Migne 1860(b): 669-672) მარკოზის 9 ნაშრომს თანამიმდევრობით წარმოაჩენს.

ამავე ეპოქას განეკუთვნება გიორგი ამარტოლი (IX ს.). იგი თავის ნაშრომში – „ხრონოგრაფი“, რომელიც ქართულად თარგმნილია წმ. არსენ იყალთოელის (XI-XII სს.) მიერ, წმ. მარკოზ მონაზონს წმ. იოანე ოქროპირის (347- 407 წ.) მოწაფედ ასახელებს (ყაუხჩიშვილი 1920: 44).

მეცნიერთა ერთი ნაწილი აღნიშნულ ცნობას საეჭვოდ მიიჩნევს (Ware 1970: XVII; ასევე იხ. Ашмарин 2013: 27). მეორე მხრივ, მარკოზ მონაზონის ნაშრომებისა და მისი ბიოგრაფიის გამორჩეული მკვლევარი ი. კუნცე სავსებით დასაშვებად მიიჩნევდა იმ აზრს, რომ წმ. იოანე ოქროპირი იყო წმ. მარკოზ მონაზონის მასწავლებელი და მისი უფროსი თანამოღვაწე (Kunze 1895: 192).

მეცნიერი ი. კუნცე თავის ნაშრომში «Marcus Eremita, ein neuer Zeuge für das altkirchliche Taufbekenntnis» ამტკიცებს, რომ მარკოზ მონაზონი მოღვაწეობდა V ს-ის შუა წლებში. სამოღვაწეო ადგილად დასახელებულია მცირე აზია, კერძოდ, ანკვირია, სადაც მარკოზი ერთ-ერთი მონასტრის წინამძღოლი იყო. კუნცეს ცნობით, წმინდა მარკოზმა გარკვეული დროის შემდეგ პალესტინის უდაბნოში განაგრძო ასკეტური მოღვაწეობა (იქვე: 193). ანალოგიურ ცნობებს გვაწვდის წმ. გიორგი მთაწმინდელი, მის მიერ თარგმნილ „დიდ სჯნაქსარში“ (დოლაქიძე... 2018: 179). მოცემული ცნობების უტყუარობას ასევე ადასტურებს ჩვენ მიერ წარმოდგენილი გამოკვლევა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით⁶.

⁶იხ. თავი: ძვ. ქართ. ტერმინ *აწინკიანის* გენეზისის საკითხისათვის.

აქვე გამოვარჩევთ რამდენიმე მეცნიერსა და მათს ნაშრომებს. დღესდღეობით, ნაშრომის – „სამოთხისა და სულიერი რჯულის შესახებ“ ავტორთან დაკავშირებით, მეცნიერთა აზრი ორად იყოფა. ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ ნაშრომის ავტორია წმ. მარკოზ მონაზონი, მეორე ნაწილი კი ნაშრომის ავტორად წმ. მაკარი დიდს ასახელებს.

უნდა აღინიშნოს, რომ 1624 წელს პარიზში გამოიცა ორტომეული, ბერძნულ და ლათინურ ენებზე, სახელწოდებით: «Bibliotheca veterum Patrum». სადაც ბიზანტიელ ავტორთა ნაშრომებია შემოკრებილი. ამ გამოცემის ავტორია ფ. დიუკი. მან ამ კრებულში შეიტანა წმ. მარკოზ მონაზონის ყველა ნაშრომი, რომლებიც იმ დროისთვის იყო ცნობილი. ამ გამოცემაში შევიდა ზემოხსენებული ნაშრომი – „სამოთხისა და სულიერი რჯულის შესახებ“.

1858 წელს ოპტინის უდაბნოს მონასტერში პირველად ითარგმნა წმ. მარკოზ მონაზონის ნაშრომები რუსულ ენაზე. ეს არის ერთ-ერთი ავტორიტეტული გამოცემა (Марк Подвижник, преподобный. Аскетические творения), სადაც ნაშრომი „სამოთხისა და სულიერი რჯულის შესახებ“ რიგით მეექვსე ადგილზეა განთავსებული.

პატროლოგმა ა. გალანდიმ 1772 წელს გამოსცა მარკოზის ნაშრომები: «Bibliotheca veterum patrum antiquotumque scriptorium ecclesiasticorum Graecorum», სადაც აღნიშნული ნაშრომის ავტორად წმ. მაკარი დიდი დაასახელა (Durand 1999: 37; ასევე იხ. Ашмарин 2013: 40-41).

ა. გალანდის ამ მონაცემებზე დაყრდნობით, 1864 წელს გამოცემულ ფ. მინის პუბლიკაციაში (Patrologia Graeca) (PG.) ჩვენ მიერ განსახილველი ნაშრომი მაკარი დიდის შრომებში შევიდა, როგორც „37-ე ჰომილია“ (PG. 34, col. 750-757).

XIII საუკუნით დათარიღებულ A-60 ხელნაწერში არსებული ტექსტი, სათაურით – „სამოთხისათვის და შჯულისა სულიერისა“ არის თარგმანი მარკოზ მონაზონის ნაშრომისა – Περὶ τῶν παρὰδείσων, καὶ νόμων πνευματικῶν – „სამოთხისა და სულიერი რჯულის შესახებ“. ე. ჭელიძის მიერ გამოკვლეული და დასაბუთებული, რომ ამ ნაშრომის მთარგმნელი არის XI საუკუნეში მოღვაწე წმ. ეფრემ მცირე (ჭელიძე 2013ა: 665; ჭელიძე 2013ბ: 74). ამ დრომდე მიიჩნეოდა, რომ ეფრემ მცირე იყო ის უადრესი მოღვაწე, რომელიც მარკოზ მონაზონს აღნიშნული ნაშრომის ავტორად ასახელებდა.

ჩვენმა გამოკვლევამ ცხადყო, რომ უადრესი წყარო, სადაც მარკოზ მონაზონი დასახელებულია ავტორად ნაშრომისა – „სამოთხისა და სულიერი რჯულის შესახებ“, არის X საუკუნის H-622 ხელნაწერი. შესაბამისად, ძალზე მნიშვნელოვანია იმ ორი უძველესი წყაროს გათვალისწინება, სადაც მარკოზ მონაზონი მიიჩნევა განხილული ნაშრომის ავტორად. ამავე ცნობას ადასტურებს ძველი ფრანგული გამოცემა – «Bibliotheca veterum Patrum» და ძველი რუსული თარგმანი – (Марк Подвижник, преподобный. Аскетические творения).

მოცემულ საკითხს ვრცლად ჩვენს გამოკვლევაში განვიხილავთ, არსებული ფაქტებიდან გამომდინარე კი, ჩვენ უპირატესობას ვანიჭებთ იმ მოსაზრებას, რომ ავტორი ნაშრომისა „სამოთხისა და სულიერი რჯულის შესახებ“ – არის წმ. მარკოზ მონაზონი.

ახლა, ორიოდე სიტყვით, წარმოვაჩინოთ იმ პირველწყაროებს, სადაც საკუთრივ მელქისედეკიანელთა ერესსა და მათს წარმომავლობაზეა საუბარი.

წმინდა ეპიფანე კვიპრელი (315-403 წწ.) თავის ცნობილ ნაშრომში „პანარიონი“ მოგვითხრობს მწვალებლობის შესახებ, რომელსაც მელქისედეკიანელთა ერესს უწოდებს (Migne 1863(a): 972). მეტად საგულისხმო გახლავთ ერთ-ერთი უდიდესი ანტიერეტიკოსი მოძღვრის, ეპიფანე კვიპრელის შეხედულება აღნიშნულ ერესთან დაკავშირებით.

„პანარიონის“ ქვეთავის სათაური – Κατὰ Μελησιθεδικιανῶν განსხვავდება მარკოზ მონაზონის ნაშრომის სათაურისგან – Εἰς τὸν Μελησιθεδέκ. როგორც აღვნიშნეთ, რომ წმინდა ფოტი პატრიარქიც, თავის სახელგნთქმულ ნაშრომში „ბიბლიოთეკა,“ მარკოზ მონაზონის ნაშრომს ასევე მოიხსენიებს – Κατὰ Μελησιθεδικιανῶν (Migne 1860(b): 669). ეპიფანე კვიპრელი და ფოტი პატრიარქი ჩამოყალიბებულ, ერეტიკულ მიმდინარეობაზე მიუთითებენ.

ეპიფანე კვიპრელი წარმოაჩენს მელქისედეკიანელთა ერესის ერთ-ერთ გამოვლინებას, რომელიც თავდაპირველად დაკავშირებული იყო ე. წ. თეოდოტიანელთა მწვალებლობასთან, ხოლო შემდგომ ცალკე მიმდინარეობად ჩამოყალიბდა. ერეტიკოსები მელქისედეკს ზებუნებრივ არსებად მიიჩნევდნენ, რომელიც თავად ძე ღმერთზე აღმატებულად წარმოედგინათ. მელქისედეკიანელთა ერესის სხვადასხვაგვარი გამოვლინებიდან ეს იყო უპირველესი სახე, რომელმაც

საფუძველი ჩაუყარა მელქისედეკიანელთა ერესის დანარჩენ გაუკუღმართებებს. წმ. ეპიფანეს მონათხრობი, ამ შემთხვევაში, ეფუძნება წმინდა იპოლიტე რომაელის (170–235 წწ.) ცნობას, ნაშრომიდან – „ფილოსოფუმენა, ანუ ყველა ერესის მხილება“. თეოდეტანელთა ერესის ფუძემდებელი იყო თეოდოტე მეპრატაკე, ხოლო მისმა მოსწავლემ, თეოდოტე მენალამ (მცირემ), მას შემდეგ, რაც უფროსი თეოდოტე გარდაიცვალა, სათავე დაუდო მელქისედეკიანელთა ერესს (შდრ. Migne 1863(a): 613).

წყაროთმცოდნეობის თვალსაზრისით, აუცილებლად უნდა აღინიშნოს წმ. იოანე ოქროპირისა (349-407 წწ.) და წმ. კირილე ალექსანდრიელის (375-444 წწ.) შრომები „მელქისედეკის შესახებ“, სადაც ასევე საუბარია მელქისედეკიანელთა ერესზე (Migne 1862(a): 260; Migne 1864(d): 84).

ქრონოლოგიურად, შემდეგი დამოწმება მელქისედეკიანელთა ერესის შესახებ წარმოდგენილია ტიმოთე კონსტანტინეპოლელის (VI ს.) ნაშრომში – „ეკლესიაში მომსვლელთა შესახებ“. ეს წყარო მეტად მნიშვნელოვან ცნობას გვაწვდის. ნაშრომის იმ მონაკვეთში, სადაც მელქისედეკიანელთა ერესია განხილული, ტიმოთე კონსტანტინეპოლელი მელქისედეკიანელებს „ათინგანებს“ უწოდებს (Migne 1865 a: 33).

ზოგადად, „ათინგანების“ შესახებ რამდენიმე ბერძნული და ერთი ქართული წყაროც არსებობს. ცალკე გამოვეყოფთ უმნიშვნელოვანეს ძველ ქართულ წყაროს. გიორგი მცირე, რომელიც გახლავთ ავტორი ნაშრომისა – „ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გიორგი მთაწმიდელისაჲ“, „ათინგანების“ ერესზე მოგვითხრობს. ამ წყაროს მიხედვითაც, „ათინგანების“ წარმომავლობა უკავშირდება სამარიტელებს. ჩვენი გამოკვლევის შედეგად, დასტურდება, რომ მელქისედეკიანელების, შემდგომში „ათინგანების“, უმეტეს ნაწილს წარმოადგენდნენ სწორედ სამარიტელები. გიორგი მცირე „ათინგანებს“ „აწინკიანებს“ უწოდებს, ანუ ტრანსლიტერაციით გადმოაქვს ძველი ბერძნული ტერმინი (აბულაძე, და სხვ. 1967: 136-137).

ქრონოლოგიურად მომდევნო ბერძნულ წყაროს, სადაც საუბარია „ათინგანებზე“, წარმოადგენს ღირსი თეოფანე სილრიანელის (დაახლ. 760—818 წწ.) ნაშრომი – „ხრონოგრაფი“. ამ ნაშრომში აღწერილია ქრისტიანული ეკლესიის ისტორია 285 წლიდან 813 წლამდე (Boor 1883: 488).

„ათინგანების“ შესახებ მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის მომდევნო ისტორიული წყარო, ე. წ. „თეოფანეს გამგრძელებლის ქრონიკა“, რომელიც მოიცავს ბიზანტიის ისტორიას 813 წლიდან 961 წლამდე. იმ ნაწილში, სადაც აღბეჭდილია ბიოგრაფიული ცნობები ბიზანტიის იმპერატორ მიქაელ II-ის თაობაზე, ასევე მოცემულია ცნობები „ათინგანების“ შესახებ (Bekker 1838: 42).

ზემოთ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, უკანასკნელი ბერძნული წყაროა ეგნატე დიაკონის (დაახლ. 785 – 847 წწ.) მიერ დაწერილი „წმინდა ნიკიფორე კონსტანტინეპოლელის ცხოვრება“ (Boor 1880:158- 159).

„ათინგანებისა“ და ციგნების, იგივე ბოშების, კავშირის შესახებ თეორია საფუძვლიანად გამოიკვლია ცნობილმა ავსტრიელმა ენათმეცნიერმა და მკვლევარმა ფრანც მიკლოშევიჩმა (1813-1891 წწ.), თავის ნაშრომში – «Über den Ursprung des Wortes „Zigeuner“». მიკლოშევიჩის განმარტებით, გერმანული სიტყვა – Zigeuner მომდინარეობს ბულგარული სიტყვებისგან – aciganъ, aciganinъ, ciganъ, ხოლო ბულგარული ტერმინი, თავის მხრივ, მომდინარეობს ბერძნული სიტყვიდან – ἄθιγγανοί (შდრ. Miklosich 1877: 55). მისივე განმარტების თანახმად, ტერმინი Zigeuner, მნიშვნელობით – „ციგანი, ბოშა“, მომდინარეობს ერეტიკული სექტის სახელწოდებიდან – ἄθιγγανοί, რომელიც XI საუკუნეში გავრცელებული იყო მცირე აზიაში

მიკლოშევიჩის აზრით, არსებობს სამი მიზეზი იმისა, თუ როგორ შეიძლება უკავშირდებოდეს სიტყვა - Zigeuner (ციგანი, ბოშა) სიტყვას - ἄθιγγανοί. პირველი მიზეზი უკავშირდება ციგანთა ერთ-ერთი ეთნიკური წარმომავლობის მქონე ჯგუფს, რომელიც მცირე აზიის აღმოსავლეთ ნაწილში არსებობდა, და იმის გამო ეწოდა „ათინგანები“, რომ ციგანთა საკუთრივ ეს ეთნიკური ჯგუფი სწორედ იმ ადგილიდან მომდინარეობდა გეოგრაფიულად, სადაც გავრცელებული იყო „ათინგანების“ ერესი. მეორე მიზეზი ის არის, რომ ციგანთა აღნიშნულმა ეთნიკურმა ჯგუფმა მართლაც მიიღო „ათინგანების“ ერეტიკული სწავლება და იგი ამის გამო გაიგივდა ერეტიკოს ათინგანებთან. მესამე მიზეზის მიხედვით, „ათინგანები“ ციგანთა ამავე ეთნიკურ ჯგუფს უარყოფით და დამამცირებელ კონტექსტში ეწოდა (იქვე: 60), იმის გამო, რომ ეს ხალხი მაგიურ რიტუალებსა და ჯადოქრობას აღასრულებდა, მათთან მიკარება და ურთიერთობა ავისმომასწავებლად მიიჩნეოდა. როგორც ჩანს, მესამე მოსაზრების

საფუძვლად მიკლოშევიჩი ბერძნული ზმნის $\mu\upsilon\gamma\acute{\alpha}\nu\alpha$ („ვეხები“, „ვეკარები“) ეტიმოლოგიას მიიჩნევს. სავარაუდოა, რომ მკვლევარი, ეფუძნება ტიმოთე კონსტანტინეპოლელის განმარტებას, კერძოდ, აღნიშნულ ზმნაზე $\mu\upsilon\gamma\acute{\alpha}\nu\alpha$ უარყოფითი პრეფიქსი α -ის დართვით მიღებულ ზედსართავ სახელს $\acute{\alpha}\mu\upsilon\gamma\alpha\nu\omicron\varsigma$, მნიშვნელობით – „შეუხებელი“, „მიუკარებელი“. აღნიშნული ეპითეტი, როგორც კონსტანტინეპოლელი მღვდელი განმარტავს, ერეტიკოსებს მათი განსაკუთრებული და ადამიანებისგან განცალკევებული ცხოვრების წესისა და გამოდინარე ეწოდათ. აღნიშნული განმარტებისა და შესაბამისი თეორიის უტყუარობა ჩვენმა გამოკვლევამაც ნათლად დაადასტურა.

3) მესამე ჯგუფია ე. წ. ინტერნეტრესურსი, რისი მეშვეობით ხელმისაწვდომი გახდა არაერთი ქართველი თუ უცხოელი ეკლესიის მამისა თუ მეცნიერის განმარტება, მოსაზრება და ნაშრომი – საკვლევ თემასთან დაკავშირებით. რამდენადაც ინტერნეტრესურსების მნიშვნელობა თანამედროვე სამყაროში საკმაოდ მზარდია ფუნდამენტურ სამეცნიერო კვლევათა განხორციელების თვალსაზრისით, ამ გზით მოპოვებული ინფორმაცია გვებმარება თემის უკეთ გააზრებაში. ამ მხრივ, განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ისეთ ელექტრონულ სამეცნიერო ბაზებზე მოპოვებული მასალები, როგორცაა: Scopus, EBSCO, CROSREFF, GOOGLE SCHOLAR, SSOAR, და სხვ.

კვლევის მეთოდოლოგია

თეოლოგიური კვლევის ძირითადი მეთოდოლოგია, რომელიც ჩვენს კვლევაში გამოვიყენეთ, ორ ასპექტს მოიცავს: ერთი მხრივ, ზოგადად დამკვიდრებულ მეთოდოლოგიურ პრინციპს, ე. წ. „გენერალურ მეთოდს“, მეორე მხრივ კი, საგანგებო მეთოდებსა და განსაკუთრებულ მარეგულირებელ პრინციპებს, რომლებიც, თავის მხრივ, საღვთისმეტყველო ტრადიციებსა და მოთხოვნებს შეესაბამება.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საგანგებო მეთოდები განსხვავდება იმ ტექნიკური მეთოდებისგან, რომლებიც თეოლოგიურ კვლევებში გამოიყენება. მაგალითად: ტექნიკური მეთოდები გულისხმობს – კრიტიკული ტექსტის დადგენასა და სამეცნიერო აპარატის შექმნას.

მთავარი საღვთისმეტყველო მეთოდოლოგიის, ე. წ. „გენერალური მეთოდის“ თეორიის ძირითადი თვისებაა ინტეგრალურობა, ანუ განუყოფლობა, ერთიანობა.

თეოლოგი ა. შემანი, აღნიშნული თეორიის კატეგორიებიდან გამოყოფდა „მიმართებითობის“ პრინციპს, რაც გულისხმობს იმას, რომ ყოველი მსჯელობა მართლმადიდებლური ჭრილით უნდა განიხილებოდეს, საღვთო გამოცხადების შესაბამისად. სწორედ ეს პრინციპი აერთიანებს ცალკეულ თეოლოგიურ მსჯელობას და მათ ერთიან ჭეშმარიტ სახეს ანიჭებს.

წარმოდგენილი მეთოდოლოგიის პრინციპებს სრულად იზიარებს მრავალი მეცნიერი და თეოლოგი: მღვდელი კონსანტინე პოლსკოვი, პაულ ტელიხომი, ბერნად ლონერგანი და სხვანი. ამგვარი მეთოდოლოგიის გამოყენება აუცილებელია დოგმატური საკითხების მართებულად ფორმულირებისთვის. ამ მიდგომით შესაძლებელი ხდება ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული და აზრობრივად დაცილებული მტკიცებულებებისა და კონცეფციების გაერთიანება და მათი ერთობლივად წარმოჩენა.

სადისერტაციო ნაშრომში მოცემული მეთოდოლოგიის სრულყოფილად განხორციელებისთვის შემდეგი საბაზისო კვლევის პრინციპები გამოვიყენეთ:

1) პირველია ე. წ. „კონფესიონალიზმის“ წარმოჩენა, რომელიც გულისხმობს მკვლევრის მიერ საკუთარი რელიგიური მრწამსის ნათლად წარმოჩენას. ეს ასპექტი განაპირობებს თეოლოგიური კვლევის მიმართულებასა და შედეგს.

2) ისტორიული მხარე ძირითადი ფაქტორია თეოლოგიურ კვლევაში. ისტორიული კვლევის პრინციპი თეოლოგიურ მსჯელობებში არ გულისხმობს მხოლოდ წარსულსა და დასრულებულ ფაქტს, არამედ მოიცავს აწმყოსა და მომავალსაც.

3) „ორმაგი კონტექსტუალობა“ – ხაზს უსვამს არა მარტო საკვლევ საგანთან დაკავშირებულ ისტორიულ მოვლენებს, არამედ საკვლევ საგნის აქტუალობას. ანუ ითვალისწინებს მოცემული ეპოქისადმი დამახასიათებელ თეოლოგიურ პრობლემებსა და დისკუსიურ (საკამათო) საკითხებს.

4) „ვერიფიკაცია“ – ანუ ყველა საღვთისმეტყველო მსჯელობა წმინდა წერილზეა დაფუძნებული და თანხვედნილია წმინდა მამათა ეგზეგეტიკასთან.

5) სისტემურობა – ანუ საშუალება, რომელიც გულისხმობს წარმოჩენილი მეთოდოლოგიური პრინციპებისა და თეოლოგიური დისციპლინების სტრუქტურაში განხორციელებას (შდრ. (Михайлов: 2014: 74-85).

ამგვარად, ჩვენს ნაშრომში თეოლოგიური კვლევები განხორციელებულია ზემოთ აღნიშნული ხუთი თეორიული პრინციპის მიხედვით, სადაც გათვალისწინებულია საერთო თეოლოგიური მეთოდოლოგიის მოთხოვნები.

კვლევის მეთოდები

წინამდებარე ნაშრომი ემყარება ისტორიულ წყაროებს, სამეცნიერო ლიტერატურასა და გამოკვლევებს, რომლებიც უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს თემატიკის საფუძვლიან კვლევაში.

1) დისერტაციაში გამოყენებულია პირველადი, მეორეული და მესამეხარისხოვანი წყაროები.

პირველადი წყაროები მოიცავს – სხვადასხვა ენაზე არსებულ უძველეს ხელნაწერებსა და ისტორიულ დოკუმენტებს. კერძოდ, ნაშრომი ეფუძნება ძველ ბერძნულ, ძველ ქართულ და ძველ სლავურ ხელნაწერებს.

2) მეორეული წყაროების ფარგლებში შესწავლილი და განხილულია, ქართულენოვანი, რუსულენოვანი, ინგლისურენოვანი ფრანგულენოვანი, გერმანულენოვანი სახელმძღვანელოები, მონოგრაფიები, სამეცნიერო-კვლევითი შრომები, კრიტიკული სამეცნიერო ტექსტები, სტატიები, სამეცნიერო ჟურნალ-გაზეთები და ა.შ.

3) ასევე გამოვიყენეთ მესამეხარისხოვანი წყაროები – ლექსიკონების, ზოგადი ენციკლოპედიებისა და ჟურნალების სახით.

4) უპირველეს ყოვლისა, ტექნიკური მეთოდების გამოყენებით, პირველადი წყაროების – უძველესი ხელნაწერების შესწავლის შემდეგ ტექსტოლოგიური კვლევა განვახორციელეთ. შედეგად მივიღეთ მეცნიერულად დადგენილი კრიტიკული ტექსტები. ამავე წყაროებზე დაყრდნობით მოვიპოვეთ და დავაზუსტეთ წმ. მარკოზ მონაზონის ისტორიულ-ბიოგრაფიული ცნობები. ფაქტობრივი მასალის შესწავლა დაგვებმარა ნაშრომის უკეთ გააზრებასა და საკვლევ კითხვებზე პასუხების ფორმულირებაში.

5) სადისერტაციო ნაშრომში გამოყენებული პირველადი და მეორეული წყაროების საშუალებით, განვიხილეთ არსებულ სწავლებათა შინაარსობრივი მასალა და წარმოვადგინეთ მათი ამომწურავი ფილოლოგიურ-თეოლოგიური ანალიზი.

6) ზოგადმეცნიერულ მეთოდებთან ერთად, ნაშრომში გამოყენებულია თვისებრივი კვლევის მეთოდები, კერძოდ: შვეისწავლეთ წმ. მარკოზ მონაზონის შესახებ არსებული აკადემიური ლიტერატურა და წარმოვადგინეთ მისი ფუნდამენტური ანალიზი.

7) ნაშრომში გამოყენებულია კვლევის ისეთი მეთოდები, როგორებიცაა: სისტემურ-სტრუქტურული, ისტორიულ-შედარებითი, ლოგიკური და შინაარსობრივი ანალიზის მეთოდები.

8) საკვლევი თემატიკის უკეთ გააზრების მიზნით, ასევე გამოვიყენეთ შედარებითი ანალიზის მეთოდი, რომელიც იმ მხრივაც განსაკუთრებულია, რომ იგი გარკვეული ფაქტებისა და მოვლენების შედარების საფუძველზე მოპოვებული ინფორმაციის სპეციფიკურ ანალიზს გულისხმობს.

კვლევის ამგვარი მეთოდი (რომელიც ძირითადად გულისხმობს საკვლევი თემის სრულყოფილ შესწავლას როგორც ფილოლოგიური, ისე თეოლოგიური ასპექტით), უკვე დამკვიდრებული ტრადიციას თბილისის სასულიერო აკადემიის პატრისტიკისა და დოგმატიკის კათედრაზე, და სწორედ ამ მეთოდის საშუალებით განხორციელდა წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომში აღბეჭდილი მასალის ანალიზი.

თემის თეორიულ-პრაქტიკული მნიშვნელობა

ჩვენ მიერ განხორციელებულ კვლევას ღირებული თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. მიღებული კვლევის შედეგები და რეკომენდაციები დაეხმარება როგორც ამ საკითხით დაინტერესებულ მეცნიერებსა და მკვლევრებს, ისე მომავალ მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს.

აღნიშნული კვლევა უთუოდ მიიპყრობს საეკლესიო მოძღვრებითა და ძველი ქართული სასულიერო მწერლობით დაინტერესებულ პირთა ყურადღებას. განსაკუთრებულად ფასეულია ჩვენ მიერ კრიტიკულად დადგენილი ტექსტები და

ძველი ბერძნულიდან ახალ ქართულად შესრულებული თარგმანები, რომლებიც სრულიად აკმაყოფილებს ყველა ტექსტოლოგიურ მოთხოვნას.

თავი I

მარკოზ მონაზონის ნაშრომები და ბიოგრაფიული ცნობები

მარკოზ მონაზონის შესახებ ისტორიულ-ბიოგრაფიული ცნობები საკმაოდ ბუნდოვანია და თანამედროვე ეპოქაშიც კვლევის საგნად რჩება.

გარკვეული დროის მანძილზე ითვლებოდა, რომ მარკოზ მონაზონი იყო ის მოღვაწე, რომელიც მოხსენიებულია წმინდა პალადი ჰელენოპოლელის „ლავსაიკონსა“ (364 – 431 წ.) (Migne 1860(a): 1065) და ისტორიკოს სოდომენეს (400-450 წ.) (Migne 1864(b):1375) ისტორიულ წყაროებში. მაგრამ თანამედროვე კვლევები ადასტურებს, რომ ეს ვარაუდი არამართებულია, რადგან ქრონოლოგიურად არ შეესაბამება სინამდვილეს (Ware 1970: XVII; ასევე იხ. Ашмарин 2013: 24-25).

როგორც შესავალში აღვნიშნეთ, გიორგი ამარტოლი (IX ს.) თავის ნაშრომში – „ხრონოგრაფი“, რომელიც ქართულად თარგმნილია წმ. არსენ იყალთოელის (XI-XII სს.) მიერ, წმ. მარკოზ მონაზონს წმ. იოანე ოქროპირის (347- 407 წ.) მოწაფედ ასახელებს: „და კულად საღმრთოდ მარკოზ მოწაფე ოქროპირისაჲ იტყვს, ვითარმედ:“ (ყაუხჩიშვილი 1920: 44) – Περὶ τοῦ μέντοι καὶ Μάρκου ὁ θεῖος ὑστερον, ὁ καὶ τοῦ Χριστοῦ φιλότης, ἔφη. (Migne 1863: 148).

ერთი მხრივ, მეცნიერთა გარკვეული ნაწილი აღნიშნულ ცნობას საეჭვოდ მიიჩნევს (Ware 1970: XVII; ასევე იხ. Ашмарин 2013: 27), მეორე მხრივ, მარკოზ მონაზონის ნაშრომებისა და მისი ბიოგრაფიის გამორჩეული მკვლევარი ი. კუნცე სავსებით დასაშვებად მიიჩნევს იმას, რომ წმინდა იოანე ოქროპირი იყო მარკოზ მონაზონის მასწავლებელი და მისი უფროსი თანამოღვაწე (Kunze 1895: 192).

ი. კუნცე, გამოკვლევის შედეგად, ნაშრომში: «Marcus Eremita, ein neuer Zeuge für das altkirchliche Taufbekenntnis» ამტკიცებს, რომ მარკოზ მონაზონი მოღვაწეობდა V ს-ის შუა პერიოდში. სამოღვაწეო ადგილად დასახელებულია მცირე აზია⁷, კერძოდ, ანკვირია, სადაც მარკოზი ერთ-ერთი მონასტრის წინამძღოლი იყო. კუნცეს ცნობით, მარკოზმა გარკვეული დროის შემდეგ განაგრძო ასკეტური მოღვაწეობა პალესტინის უდაბნოში (იქვე: 193).

⁷ ფრანგი მკვლევარი ჟორჟ-მეტეი დე დიურანი, კუნცეს კვლევაზე დაყრდნობით, იმავე მოსაზრებას გამოთქვამს (იხ. Durand 1999: 36).

იმავე ცნობებს გვაწვდის წმ. გიორგი მთაწმინდელი თავის მიერ თარგმნილ „დიდ სვინაქსარში“: „ხოლო იყო ნათესავით ანკვრიელი და ორმეოცისა წლისამან იჯმნა სოფლისაგან და წარვიდა სკიტეს და დაყო მოლუაწეობასა შინა სამეოცი წელი და ასისა წლისად აღესრულა“ (დოლაქიძე... 2018: 179)⁸. ამ ფაქტებს ადასტურებს ჩვენ მიერ წარმოდგენილი გამოკვლევა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით⁹.

ამჯერად, რაც შეეხება მარკოზის ნაშრომებს.

ფრანგი მეცნიერის, დიურანის გამოკვლევებიდან ჩანს, რომ შემონახულია წმინდა მარკოზ მონაზონის შრომების ორმოცამდე უძველესი ხელნაწერი, რომლებიც IX-XVI საუკუნეებით თარიღდება. ხელნაწერები განსხვავდება ერთმანეთისგან როგორც ნაშრომების შემადგენლობით, ისე თანმიმდევრობით. მრავალი უძველესი ნუსხა კი დაკარგულია (Durand 1999: 37). უძველესი თარგმანები შესრულებულია სირიულ, ქართულ და არაბულ ენებზე¹⁰.

წმ. ფოტი პატრიარქი (820-893 წ.) თავის ცნობილ ნაშრომში „ბიბლიოთეკა“ (Migne 1860(b): 669-672) მარკოზის 9 ნაშრომს ამგვარი თანმიმდევრობით ასახელებს:

- 1) „სულიერი რჯულის შესახებ“
- 2) „ისინი, ვინც ფიქრობენ, რომ საქმეებით გამართლდებიან“
- 3) „სინანულის შესახებ“
- 4) „წმინდა ნათლისღების შესახებ“
- 5) „გონების დარიგება (რჩევა) საკუთარი სულისადმი“
- 6) „პასუხი სქოლასტიკოსის წინააღმდეგ“
- 7) „მარხვის შესახებ“
- 8) „მარკოზ მონაზონის ეპისტოლე ნიკოლას მონაზონის მიმართ“
- 9) „მელქისედეკის შესახებ“

ჟ. პიკომ 1563 წელს გამოაქვეყნა მარკოზ მონაზონის ნაშრომების პირველი ბეჭდური გამოცემა ბერძნულ ენაზე. ჟ. პიკომ ფოტი პატრიარქის მიერ ჩამოთვლილ მარკოზის ნაშრომებთან ერთად გამოსცა ნაშრომი: „თავები მღვიძარების შესახებ“,

⁸ წმ. მარკოზ მონაზონის ხსენების დღედ „დიდ სვინაქსარში“ მითითებულია 5 მარტი.

⁹ იხ. თავი: ძვ. ქართ. ტერმინ *აწინკიანის* გენეზისის საკითხისათვის.

¹⁰ სირიული თარგმანები თარიღდება VI საუკუნით (Durand 1999: 37), ხოლო ქართული და არაბული თარგმანები X საუკუნით არის დათარიღებული (ქართული თარგმანების შესახებ ვრცლად იხ. თავი: „მარკოზ მონაზონის ნაშრომთა ძველი ქართული თარგმანები“, ასევე იხ. Ашмарин 2013: 38); ქართული თარგმანების წარმომავლობის შესახებ იხ. - ჩაჩიბაია 2007: 10-11).

რადგან ეს ნაშრომი მას მარკოზისეულად მიაჩნდა. მაგრამ ამ გამოცემაში არ შედიოდა ნაშრომი „მელქისედეკის შესახებ“, რომელიც XVIII ს-ში გამოქვეყნდა ეპისკოპოს ბალტაზარ რემონიდის მიერ.

აღნიშნეთ, რომ 1624 წელს პარიზში გამოიცა ორტომეული, ბერძნულ და ლათინურ ენებზე, სახელწოდებით: «Bibliotheca veterum Patrum». სადაც მამათა ნაშრომები იყო შემოკრებილი. ამ გამოცემის ავტორია ფ. დიუკი. მან წმ. მარკოზ მონაზონის ყველა ნაშრომი შეიტანა ამ კრებულში, რომელიც იმ დროისთვის იყო ცნობილი. ამავე გამოცემაში შევიდა ნაშრომი: „სამოთხისა და სულიერი რჯულის შესახებ“ (Durand 1999: 37; ასევე იხ. Ашмарин 2013: 40-41).

ა. გალანდიმ 1772 წელს აღნიშნული ნაშრომის ავტორად წმ. მაკარი დიდი დაასახელა. ა. გალანდის ამ მონაცემებზე დაყრდნობით, 1860 წელს გამოცემულ ჟ. მინის პუბლიკაციაში (Patrologia Graeca) (PG.) აღნიშნული ნაშრომი მაკარი დიდის შრომებში შევიდა, როგორც „37-ე ჰომილია“ (Migne 1860:750-757).

ჩვენს სადოქტორო ნაშრომში წარმოდგენილი გამოკვლევის შესაბამისად, უპირატესობას ვანიჭებთ იმ მოსაზრებას, რომ ავტორი ნაშრომისა „სამოთხისა და სულიერი რჯულის შესახებ“ არის – წმინდა მარკოზ მონაზონი¹¹.

¹¹ვრცლად იხ.: თავი II, „წმინდა მარკოზ მონაზონი ძველ-ქართულ საეკლესიო მწერლობაში“; თავი VI, „ბერძნული და ქართული ტექსტების ფილოლოგიური და საღვთისმეტყველო ანალიზი („წინაგანწყობაჲ სქოლასტიკოსისაჲ“)“.

თავი II

წმინდა მარკოზ მონაზონი ძველ-ქართულ საეკლესიო მწერლობაში

მარკოზ მონაზონის ნაშრომთა თარგმანების შესახებ პირველ ცნობებს გვაწვდის კორნელი კეკელიძე. იგი ასახელებს მარკოზ მონაზონის ორ ნაშრომს:

1) „თქუმული: მდურვად და ყუედრებად ურთიერთას თავისა თვისისა სულისა და გონებისა მხილება“ და 2) „ეზისტოლე წმიდისა მამისა ჩუენისა მარკოზისი თვისისა მოწაფისა ნიკოლადს მიმართ, ფრიად სასურველისა შვილისა ნიკოლადს მიმართ მარკოზის მიერ მონაზონისა“ (კეკელიძე 1957: 96).

ასკეტური ხასიათის ნაშრომების თარგმანების ნაწილი მიეკუთვნება წინაათონურ პერიოდს და მათი უმეტესობა თავმოყრილია ხელნაწერში Sin.35 (907 წ.). აღნიშნული თარგმანები წარმოდგენილია, როგორც ექვსი „სიტყუა“ (Sin. 35, 907 წ. 73va-88ra). (G. garite 1956: 108 -110).

მარკოზ მონაზონის აქამდე უცნობი ოთხი ნაშრომია:

- 1) „წინაგანწყობა სქოლასტიკოსისა“
- 2) „სამოთხისათვის და შჯულისა სულიერისა“
- 3) „სიტყუა მელქისედეკისთვის“
- 4) „კითხვად მისივე ნეტარისა მამისა მარკოზის მიმართ წმიდისა ნათლისღებისთვის“, რომლებიც ე. ჭელიძის მიერ არის იდენტიფიცირებული.

ასევე მის მიერ (ე. ჭელიძის) გამოკვლეული და დასაბუთებულია, რომ ამ ნაშრომების მთარგმნელი გახლავთ ეგრემ მცირე (ჭელიძე 2013ა: 645; ჭელიძე 2013ბ: 74). ეს ნაშრომები შესულია XIII საუკუნის A-60 ხელნაწერში.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, მარკოზ მონაზონის ნაშრომთა ძველი ქართული თარგმანების კლასიფიკაცია ძველ ქართულ ხელნაწერებში (პატროლოგიაში) შემდეგი სახით არის წარმოდგენილი:

1) წინაათონური თარგმანები, რომლებიც ძირითადად შესულია ხელნაწერში Sin.35. ამ ნაშრომითა მთარგმნელი უცნობია;

2) წმინდა ექვთიმე ათონელის მიერ შესრულებული თარგმანი მარკოზის ნაშრომისა: „ეზისტოლე წმიდისა მამისა ჩუენისა მარკოზისი თვისისა მოწაფისა ნიკოლადს მიმართ, ფრიად სასურველისა შვილისა ნიკოლადს მიმართ მარკოზის მიერ

მონაზონისა“. ამ თარგმანის ორი ხელნაწერი მოგვეპოვება: ა) A 1101, რომელიც თარიღდება 1047 წლით და ბ) H 2853, რომელიც XVIII საუკუნეშია გადაწერილი.

3) ხოლო წმინდა ეფრემ მცირის თარგმანს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, წარმოადგენს უახლეს პერიოდში აღმოჩენილი და იდენტიფიცირებული ოთხი ნაშრომი, ეს ნაშრომები შესულია მხოლოდ ერთ – A-60 ხელნაწერში.

1. წინათონური თარგმანები

ჩვენს განხილვას დავიწყებთ სინას(Sin) მთის უძველესი ხელნაწერებით, სადაც მარკოზის ნაშრომების ყველაზე ადრეული თარგმანებია მოცემული. მათ ინდექსს *Clavis Patrum Graecorum*-ის მიხედვით დავიმოწმებთ¹². სინას მთის ხელნაწერთა აღწერილობას წარმოვადგენთ გ. გარიტის გამოცემის მიხედვით (G. Garitte 1956: 108-110; 129), იმ განსხვავებით, რომ გ. გარიტის გამოცემაში არ არის ძველი ქართული თარგმანის შესაბამისი ორიგინალი ბერძნული ტექსტი. ჩვენს გამოკვლევაში თარგმანის ხელნაწერები თავიდან შევუდარეთ ორიგინალს, ჩავასწორეთ გარიტის გამოცემაში არსებული გარკვეული საყურადღებო ხარვეზები, დავურთეთ ძველი ბერძნული ტექსტი და მისი ახალი ქართული თარგმანი.

Sin. 35 (X ს.) (73va – 88va)

(I) 73va: „თქუმული¹³ წმიდისა მარკოზ მონაზონისაჲ *სინანულისათჳს*, თავი ა“; [მარკოზ მონაზონის სიტყვა სინანულის შესახებ, თავი I]; (*De paenitentia: CPG 6092; PG. 65, col. 965-984*).

Inc.73vb: „ნუუკუე¹⁴ იტყოდი და სთქუა¹⁵, ვითარმედ არა მაქუს საფასეჲ, ვითარ შევიწყალო გლახაკი?“ – ’Αλλ’ ἐρείς· Οὐκ ἔχω χρίματα, πῶς οἰκτείρησα τὸν πένητα; (*PG. 65, col. 969*) – [არამედ ამბობ: არ გამაჩნია ქონება, და როგორ დავეხმარო გლახაკს?].

Des. 75vb: „რამეთუ¹⁶ ვერ შემძლებელ არიან იგინი სრულ¹⁷-ყოფად თჳნიერ¹⁸ ჭემმარიტისა სიყუარულისა, ხოლო უფალსა¹⁹ ჩუენსა დიდებაჲ და ძლიერებაჲ აწ და უკუნითი უკუნისამდე, ამენ“ – ἀργεῖν ὀφείλει ποτέ. Οἱ ἄγιοι καὶ πᾶρ τῶν πλησίον αὐτῆν

¹² მოცემულ ქვეთავში ცნობილ კატალოგს – *Clavis Patrum Graecorum*, ვიმოწმებთ სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებული ფორმით CPG, ხოლო ბიბლიოგრაფიაში ვუთითებთ სადისერტაციო ნაშრომში გამოყენებული წყაროების დამოწმების წესის მიხედვით: Geerard 1979: Geerard M., *Clavis Patrum Graecorum III, CVRA ET STVDIO*, Maurice Geerard, Brepols-Ternhout, 1979. ასევე, ჟ. მინის პუბლიკაციას (*Patrologia Graeca*-ს) ვიმოწმებთ შემოკლებით – PG. ბიბლიოგრაფიაში კი მოცემულია სრული სახით: Migne 1864(a): Migne J.-P., *PATROLOGIAE CURSUS COMPLETUS*, Accurante J.-P. MIGNE, Bibliothecae Cleri universae, Tomus LXV, 1864.

¹³ G. Garitte-ის გამოცემაში ყველგან დაქარაგმებული „თქლი“ გახსნილია, როგორც – „თქომლი“.

¹⁴ G. Garitte-ის გამოცემაში: „ნოკოკუე“.

¹⁵ G. Garitte-ის გამოცემაში ყველგან დაქარაგმებული „სთქა“ გახსნილია, როგორც „სთქოა“

¹⁶ G. Garitte-ის გამოცემაში: „რამეთო“

¹⁷ G. Garitte – „სროკლ“.

¹⁸ G. Garitte – „თოჳნიერ“.

¹⁹ G. Garitte-ის გამოცემაში: „ოფალსა“.

προσφέρειν ἀναγκάζονται, ἐκτὸς ἐνεργοῦνς ἀγάπης τελειωθῆναι μὴ δυνάμενοι. Μάθε πῶς ἡ
φύσις διδάσκει ἡμᾶς; (PG. 65, col. 981). [ცოცხალი სიყვარულის გარეშე შეუძლებელია
სრულ-ყოფა]. (ქართულ ხელნაწერში ბერძნული ორიგინალიდან მხოლოდ
აღნიშნული მონაკვეთია წარმოდგენილი: Sin. 35; 73vb - 75vb = PG. 65, col. 969-981).

(II) 75vb: „თქუმული წმიდისა მარკოზ მონაზონისაჲ რჩულისათვის
სულიერისა, თავი ბ“; [მარკოზ მონაზონის სიტყვა სულიერი რჯულის შესახებ, თავი
II]; (*De lege spirituali: CPG 6090; PG. 65, col. 905-929*), (ასევე იხ. ჭელიძე 2013ა: 55).

Inc. 75vb: „რამეთუ კაცმან მდაბალმან, რომელსა ჰქონედ საქმენი სულიერნი“ - Ὁ
ταπεινόφρων καὶ ἔργον ἔχων πνευματικόν - [ვინც თავმდაბალია, და ვისაც გააჩნია
სულიერი საქმე].

Des. 78rb: „ხოლო სათნოებაჲ ღმრთისაჲ ესე არს, რადთა ბრძანებული იგი ჰქმნე,
ვითარ-იგი მას უყუარდეს, რამეთუ მისი არს სუფევად და ძლიერებაჲ, უკუნითი
უკუნისამდე ამენ“ – Πρᾶξις ἐντολῆς λέγεται ἐν τῷ πρᾶξαι τὸ προστεταγμένον· [მცნების
აღსრულებად ითქმის ის, რომ ნაბრძანები აღესრულება]. (ძველი ქართული თარგმანი,
ბერძნული ორიგინალისგან განსხვავებით, შემოკლებულად არის წარმოდგენილი).

(III) 78rb: „თქუმული წმიდისა მარკოზ მონაზონისაჲ მათთვის, რომელნი-იგი
ჰგონებენ, ვითარმედ საქმეთა მათთაგან განმართლდებიან და ჰგონებენ, ვითარმედ
საქმეჲ კეთილისაჲ უნებლიადთა ზედა-აც მათ, [თავი გ]“ [მარკოზ მონაზონის სიტყვა
მათთვის, რომლებსაც // რომელთაც ჰგონიათ, რომ საკუთარი საქმეებით
გამართლდებიან, და რომ კეთილი საქმეები უნებლიეთ მოიწვევს მათზე, თავი III]; (*De
his qui putant se ex operibus iustificari: CPG 6091; PG. 65, col. 929-965*).

Inc. 78rb: „რაჟამს-იგი უნდა უფალსა ჩუენებად, ვითარმედ ყოველივე მცნებაჲ...“
- Ὁ κύριος πᾶσαν ἐντολὴν ὀφειλομένην δεῖξει θέλων... [როდესაც უფალს სურს გვაჩვენოს,
რომ ყველა აუცილებელი მცნება...].

Des. 80ra: „მოივსენე შენ განსლვად სულისა შენისაჲ და სატანჯველი საუკუნოდ,
ხოლო უფალსა ჩუენსა იესუ ქრისტესა დიდებაჲ უკუნითი უკუნისამდე ამენ.
μνημόνευσον τῆς ἐξόδοῦ καὶ τῶν χαλεπῶν κοιλιάσεων [გახსოვდეს შენი გასვლა
[=გარდაცვალება] და მძიმე სასჯელი]. (Sin. 35, 78rb – 80ra = PG. 65, col. 929-936).

(IV) 80ra: „თქუმული წმიდისა მარკოზ მონაზონისაჲ, დ“ [მარკოზ მონაზონის IV სიტყვა]; (*De his qui putant se ex operibus iustificari: CPG 6090; PG. 65, col. 929-965*)²⁰.

Inc. 80ra: „უმჯობეს არს შენდა რადთა შეეყო ღმერთსა ლოცვასა შინა შენსა“ – Κρείσσον δὲ τὸ προσκολληῖσθαι τῷ Θεῷ διὰ προσευχῆς [[შენთვის] შენთვის უკეთესია, რომ ღმერთს ლოცვის მეშვეობით მიეახლო].

Des. 82ra: „კულად მოაქციოს პირველი იგი მწიკულევეანებაჲ, ხოლო ღმერთსა გალობაჲ და დიდებაჲ უკუნითი უკუნისამდე, ამენ“ – ἀλῆπως δὲ ἐξῆικονισθεῖσθαι τὸν παλαιὸν μολυσμὸν ἐναποτίθενται [ხოლო მწუხარების გარეშე წარმოსახულნი ძველ მწიკვლოვანებას განიკუთვნებენ].

(V) 82ra: „თქუმული წმიდისა მარკოზ მონაზონისაჲ, ე“ [მარკოზ მონაზონის V სიტყვა]; (*De his qui putant se ex operibus iustificari: CPG 6090; PG. 65, col. 929-965*)²¹.

Inc. 82ra: „უკუეთუ გნებავს, რადთამცა აღუარენ ღმერთსა²² ცოდვანი შენნი“ – Ἐὰν θέλῃς Θεῷ προσφέρειν ἀκατάκριτον ἐξιμολόγησιν [თუ გსურს, რომ ღმერთს განუსჯელად წარუდგინო აღსარება].

Des. 84vb: „არს შეურცხება საწუთროდსა და დაწყნარებაჲ გულისტყუათაჲ ღმერთისა ჩუენისა²³ არს“ – Πασῶν τῶν ἐντολῶν ἐστὶ περιεκτικατάτη ἢ εἰς Θεὸν καὶ εἰς τὸν πλησίον ἀγάπη, ἥτις ἐκ τῆς τῶν ὑλῶν ἀποχῆς καὶ τῆς τῶν λογισμῶν ἡσυχίας συνίσταται. [ყველა მცნების სრულად დამტევია სიყვარული ღმერთსა და მოყვასში, რომელიც წარმოიშვება ყოველივე მატერიალურისგან თავშეკავებისა და გონების მყუდროებისგან].

²⁰ ხელნაწერში – Sin. 35 არსებული მარკოზ მონაზონის ნაშრომის თარგმანის ტექსტი, რომელიც წარმოდგენილია, როგორც მარკოზის IV სიტყვა, არის გაგრძელება მარკოზის ნაშრომისა – „თქუმული წმიდისა მარკოზ მონაზონისაჲ მათთვის, რომელნი-იგი ჰგონებენ, ვითარმედ საქმეთა მათთაგან განმართლდებიან და ჰგონებენ, ვითარმედ საქმე კეთილისაჲ უნებლიადთა ზედააგ მათ“ (*De his qui putant se ex operibus iustificari*). ხელნაწერში მოცემული თარგმანი ამგვარად შეესაბამება ორიგინალს: Sin. 35, 80ra - 82ra = PG. 65, col. 936-952.

²¹ თარგმანის აღნიშნული მონაკვეთი, ისევე, როგორც წინა მონაკვეთი, ანუ მარკოზის IV სიტყვა, წარმოადგენს მარკოზ მონაზონის ნაშრომის – „თქუმული წმიდისა მარკოზ მონაზონისაჲ მათთვის, რომელნი-იგი ჰგონებენ, ვითარმედ საქმეთა მათთაგან განმართლდებიან და ჰგონებენ, ვითარმედ საქმე კეთილისაჲ უნებლიადთა ზედააგ მათ“ (*De his qui putant se ex operibus iustificari*) – გაგრძელებას, ანუ ხელნაწერში მოცემულია, როგორც მარკოზ მონაზონის V სიტყვა. თარგმანი ამგვარად შეესაბამება ორიგინალს: Sin. 35, 82ra – 84vb = PG. 65, col. 952-964.

²² G. Garitte-ის გამოცემაშია „ღმერთსაჲ“. „და“ ნაწილაკი ხელნაწერის მიხედვით ზედმეტია.

²³ ხელნაწერშია – «ღსა ჩნსა»

(VI) 85ra: „თქუმული წმიდისა მარკოზ მონაზონისაჲ, მდურვაჲ და ყუედრებაჲ ურთიერთაარს თავისა თვისსაჲ სულისა და გონებისაჲ²⁴ მიგებაჲ²⁵ სამართლად“ [მარკოზ მონაზონის სიტყვა, გონებისგან საკუთარი სულის სამართლიანი საყვედური, გაკიცხვა და დარიგება] (*Consultatio intellectus cum sua ipsius anima* CPG 6098; PG. 65, col. 1104-1109)²⁶.

Inc. 85ra: „ისმინე სულო ჩემო მეტყუელო“ – Ἄκουε ψυχῆ λογικῆ [ისმინე მოაზროვნე სულო].

Des. 88rb: „შემძლებელ ვართ შეყუარებად ღმრთისა ყოვლითა გულთა ჩუენითა და მოყუასთაცა ეგრევე და ამის მიერ სრულქმულთა შევსწიროთ მადლობაი და თაყვანისცემაჲ, რომლსა შუენის დიდება“ - Διὰ ταύτης γὰρ ἀγαπᾶν τὸν Θεὸν ἐξ ὧν καρδιαὶ καὶ τὸν πλησίον ὡς ἑαυτὸν δυνάμεθα [ამის მეშვეობით შეგვიძლია ღმერთი მთელი გულით შევიყვაროთ, ხოლო მოყვასი, როგორც საკუთარი თავი].

აღსანიშნავია, რომ მარკოზის აღნიშნული ნაშრომის თარგმანი: „თქუმული წმიდისა მარკოზ მონაზონისაჲ, მდურვაჲ და ყუედრებაჲ ურთიერთაარს თავისა თვისსაჲ სულისა და გონებისაჲ მიგებაჲ სამართლად“ მოცემულია კიდევ სამ ხელნაწერში²⁷: 1) Sin. 36 (X ს.), (85vb – 89va) 2) Ath. 9(69) (977 წ.), (130v-135v) 3) S 1139 (930-940 წ.), 189-199 (ათონის ფონდის აღწერილობა 1986: 38).

ათონის ფონდის კოლექცია: Ath. 12(51) (X-XI სს.)

ხელნაწერში Ath. 12, 137v-138r. მოცემულია მარკოზ მონაზონის სახელით დასათაურებული ნაშრომის ამონარიდი: „ნეტარისა მარკოს მონაზონისაჲ“ (ათონის ფონდის აღწერილობა 1986: 54). აღნიშნული ფრაგმენტი შესულია ნაშრომში, სახელწოდებით: „ანბანურ-ანონიმური პატერიკები“, რომელიც გამოცემულია მანანა დვალის მიერ (დვალი 1974: 152). მარკოზის ნაშრომის არსებული მონაკვეთი ბერძნულ ორიგინალში არ მოგვეპოვება (PG. 1864: 71-440, იხ. დვალი 1974: 332). მინის პატროლოგიის ბერძნულ ტექსტში მოცემულია თხრობა – „აბა სილუანის მოსწავლის,

²⁴G. Garitte-ისგამოცემაში: „გონებისაჲ“, „ა“ ხელნაწერში არ იკითხება.

²⁵კ. კეკელიძის ნაშრომის მიხედვით, მარკოზის შრომების ჩამონათვალში – „მიგებაჲ“-ს ნაცვლად არის „მხილებაჲ“ (იხ. კეკელიძე 1957: 96).

²⁶Sin. 35, 85ra – 88rb = PG. 65, col. 1104-1108.

²⁷გამოცემულია ილ. აბულაძის მიერ (იხ. აბულაძე 1955: 161-166).

აბა მარკოზის შესახებ“(PG. 1864: 293). აღნიშნული თხრობა ძველ ქართულ თარგმანში არ არის, შესაბამისად, მთარგმნელი განსხვავებულ ბერძნულ ნუსხას იყენებდა.

ამ დრომდე არ იყო ცნობილი მარკოზ მონაზონის რომელ ნაშრომს მიეკუთვნებოდა ხელნაწერში მოცემული თარგმანი. შედარების შედეგად დავადგინეთ, რომ ეს არის მარკოზის ცნობილი ნაშრომებიდან ამოკრეფილი სხვადასხვა ადგილი. პირველი ფრაგმენტი არის ნაშრომიდან: - Περὶ νόμου πνευματικῶν (*De lege spirituali: CPG 6090; PG. 65, col. 905-929*) – „სულიერი რჯულის შესახებ“, ხოლო მეორე ფრაგმენტი – ნაშრომიდან: - Περὶ τῶν οἰομένων ἐξ ἔργων δικαιοῦσθαι (*De his qui putant se ex operibus iustificari: CPG 6091; PG. 65, col. 929-965*) – „მათ შესახებ, რომლებიც ფიქრობენ, რომ საქმეებით გამართლდებიან“. აღნიშნული ნაშრომები ძველ ქართულად სრულად არ არის თარგმნილი²⁸. შესაბამისად, მარკოზის წარმოდგენილი ნაშრომის ძველი ქართული თარგმანის იდენტიფიცირება მნიშვნელოვან ფაქტად მიგვაჩნია.

აქვე დავიმოწმებთ ძველ ქართულ თარგმანს შესაბამის ბერძნულ ტექსტთან²⁹ ერთად. მეტი თვალსაჩინოებისთვის მარკოზის ნაშრომების ბერძნულ ორიგინალში – **Ὁ πνευματικὸς νόμος** და **Περὶ τῶν οἰομένων ἐξ ἔργων δικαιοῦσθαι** – არსებული თავების ნუმერაცია უცვლელად გადმოგვაქვს:

„ვითარცა-იგი წყალთა შინა ცეცხლსა დაყოვნებაჲ ვერ ძალუმს, ეგრეცა გულისსიტყუანი ბოროტნი გულსა ღმრთისმოყუარისასა, და ვითარცა არა არს ცხოვართა და მგელთა ერთად ყოფაჲ, შეუძლებელ არს წყალობასა მიმთხვევად, რომელი ზაკუვიდეს მოყუასსა თვსსა, რომელი ეძიებნ მოტევებასა ცოდვათასა, უყუარან სიმდაბლედ, ხოლო რომელი განიკითხავნ მოყუასსა თვსსა, დაჰბეჭდის თავისა თვსისა ბოროტთა.

განრღვეული იგი, რომელი ერდოთ შთაუტევეს, ცოდვილი, რომელი სარწმუნოებით ღმრთისა მიერ ემხილების და მათითა მით სარწმუნოებითა მიიღიან მიტევებაჲ. რომელსამე უნდეს საქმედ რაღასამე და ვერ შეუძლოს, იგი ვითარცა მოქმედი არს გულთმეცნიერისა მიერ ღმრთისა. და ესე კეთილსაცა ზედა და

²⁸ ახალი ქართული თარგმანი ნაშრომისა – Ὁ πνευματικὸς νόμος – „სულიერი რჯულის შესახებ“, გამოცემულია ედ. ჭელიძის მიერ (იხ.ჭელიძე 2013ა: 155).

²⁹ მარკოზ მონაზონის ნაშრომის ბერძნულ ტექსტს ვიმოწმებთ ჟორჟ-მეტიუ დე დიურანის კრიტიკული გამოცემიდან: Durand 1999: 74-128.

ბოროტსაცა ზედა საცნაურ არს, რამეთუ გონებამან თვნიერ ჯორცთა კეთილიცა და ბოროტიცა აღასრულა მრავალი. ხოლო ჯორცნი თვნიერ გონებისა არას შემძლებელ არიან აღსრულებად. ამისთვისცა შჩული იგი თავისუფლებისაჲ პირველ საქმეთა აღმოიკითხვების. რომელნიმე არა ჰყოფენ სარწმუნოებით, ხოლო განმართლებასა ჰგონებენ“ (დვალი 1974: 152).

Περὶ νόμου πνευματικοῦ : 126. Ὡσπερ ὕδατος καὶ πυρὸς ἐναντία ἢ σύνοδος, οὕτως ἐναντιοῦνται ἀλλήλοις δικαιολογία καὶ ταπείνωσις. 124. Ὡσπερ οὐκ ἔστιν ἐπὶ τὸ αὐτὸ καὶ πρόβατα βόσκειν καὶ λύκους, οὕτως οὐ δύνατον ἐλέους τυχεῖν τὸν δολοποιοῦντα τὸν πλησίον. 127. Ὁ ζητῶν ἄφεσιν ἁμαρτιῶν ἀγαπάτω ταπεινοφροσύνην· ὁ δὲ κατακρίνων τὸν ἕτερον σφραγίζει τὰ ἑαυτοῦ κακὰ (Durand 1999: 106) (PG. 65, col. 921).

132. Παραλυτικός ἐστι χαλασθεὶς διὰ τοῦ δώματος ἁμαρτωλὸς παρὰ πιστῶν κατὰ Θεὸν ἐλεγχόμενος καὶ διὰ τὴν ἐκείνων πίστιν λαμβάνων τὴν ἄφεσιν (Durand 1999: 108) (PG. 65, col. 950). *Περὶ τῶν οἰομένων ἐξ ἔργων δικαιοῦσθαι* : 15. Ὁ θέλων τι πράξει καὶ μὴ δυνάμενος ὡς ποιήσας ἐστὶ παρὰ τῷ καρδιογνώστῃ Θεῷ. 16. Ὁ νοῦς ἐκτὸς τοῦ σώματος ἀγαθὰ καὶ κακὰ ἐκτελεῖ πολλά· τὸ δὲ σῶμα ἐκτὸς τοῦ νοῦς οὐδὲν τούτων ἐπιτελέσαι δύναται. Διότι ὁ νόμος τῆς ἐλευθερίας πρὸ τῆς πράξεως ἀναγινώσκεται. (Durand 1999: 134) (PG. 65, col. 932). [„სულიერი რჯულის შესახებ“: 126. ისევე, როგორც წყლისა და ცეცხლის შეერთებაა შეუძლებელი, ასევე ეწინააღმდეგება ერთმანეთს თავისმართლება და თავმდაბლობა. 124. ისევე, როგორც შეუძლებელია ერთსა და იმავე ადგილას ცხვრებიც მოვდნენ და მგლებიც, ასევე შეუძლებელია შეწყალების ღირსი გახდეს მოყვასის მიმართ მზაკვრობის ჩამდენი. 127. ვინც ცოდვათა მიტევებას დაემებს, დაე უყვარდეს მდაბალცნობიერება; ხოლო სხვისი მგმობელი განამტკიცებს საკუთარ ბოროტებებს.

132. სახურავიდან ჩაშვებული დავრდომილი არის ცოდვილი, მორწმუნეთაგან ღმერთთან მხილებული, რომელმაც მათი რწმენის გამო მიიღო შეწყალება (შდრ. ლკ. 5.19). „მათ შესახებ, რომლებიც ფიქრობენ, რომ საქმეებით გამართლდებიან“: 15. ვისაც სურს რაიმეს გაკეთება და არ შეუძლია, გულისხმისმყოფელი ღმერთის წინაშე მან ეს საქმე (უკვე) აღასრულა. 16. გონება სხეულის გარეშეც მრავალ სიკეთესა და ბოროტებას აღასრულებს, ხოლო სხეულს გონების გარეშე არც ერთი არ შეუძლია, რომ იმოქმედოს. ამიტომ თავისუფლების რჯული საქმეებამდე შეიცნობა].

აქვე გვინდა აღვნიშნოთ კიდევ ორი წყარო, სადაც შემონახულია მარკოზ მონაზონის ნაშრომთა ის ფრაგმენტები, რომლებიც აქამდე ასევე არ იყო იდენტიფიცირებული.

პირველი წყარო კვლავ ათონის ფონდის კოლექციიდანაა, კერძოდ, ხელნაწერი: Ath. 17 (50) (261r-348v), სადაც განთავსებულია ასკეტური ხასიათის კრებული – „გამოკრებულნი სადათვე სიტყუანი წმიდათა მამათანი“ (ათონის ფონდის აღწერილობა 1986: 59)³⁰.

კრებულში წარმოდგენილია ფრაგმენტები მარკოზის ოთხი ნაშრომიდან:

1) პირველი ფრაგმენტი ნაშრომიდან *Περὶ νόμου πνευματικοῦ* (*De lege spirituali: CPG 6090; PG. 65, col. 905-929*) – „სულიერი რჯულის შესახებ“ მოიცავს ხუთ მუხლს: 10, 128, 124, 127, 126.

ა)

Inc. „თქუა მამამან მარკოზ: ნუ იქნები მოწაფე...“ (ჩიტუნაშვილი 2011: 265) – 10. Μη γίνου μαθητής... (PG. 65, col. 905) – [10. ნუ გახდები მოსწავლე...].

Inc. „ნუ ჰყოფ ცოდვასა განუკითხველ...“ (ჩიტუნაშვილი 2011: 265) – 128. Μη ἀφῆς ἀνεξάλειπτον ἀμαρτίαν... (PG. 65, col. 921) – [128. ცოდვას ნუ დატოვებ აღუხოცელს...].

ბ)

Inc. „მარკოზ მონაზონისაჲ: „ვითარცა არა არს ცხოვართა...“ (ჩიტუნაშვილი 2011: 302) – 124. Ὡσπερ οὐκ ἔστιν ἐπὶ τὸ αὐτὸ καὶ πρόβατα... (PG. 65, col. 921) – [124. ისევე, როგორც შეუძლებელია, რომ ერთსა და იმავე ადგილას ცხვრებიც...].

Inc. „რომელი ეძიებნ მოტევებასა ცოდვათასა...“ (ჩიტუნაშვილი 2011: 302) – 127. Ὁ ζῆτῶν ἄφεσιν ἀμαρτιῶν... (PG. 65, col. 921) – [127. ვინც ცოდვათა მიტევებას ეძებს...].

გ)

Inc. „თქუა მამამან მარკოზ: ვითარცა-იგი წყალსა შინა...“ (ჩიტუნაშვილი 2011: 302) – 126. Ὡσπερ ὑδατος καὶ πυρός... (PG. 65, col. 921) – [126. ისევე, როგორც წყლისა და ცეცხლის...]³¹.

დ)

³⁰აღნიშნული კრებული გამოცემულია დალი ჩიტუნაშვილის მიერ (იხ. ჩიტუნაშვილი 2011: 255).

³¹წარმოდგენილი მუხლები: 124, 127, 126 შესულია Ath. 12(51) (137v-138r) ხელნაწერში.

Inc. „უკუეთუმცა არა გულისთქუმაჲ წინა რბიოდა...“ (ჩიტუნაშვილი 2011: 310) – 120. Εἰ μὴ γὰρ ὁ νοῦς προέδραμεν (PG. 65, col. 920) [თუ გონება არ იქნებოდა წინმსწრები...].

2) მეორე ფრაგმენტი ნაშრომისა – Περὶ τῶν οἰομένων ἐξ ἔργων δικαιῶσθαι (*De his qui putant se ex operibus iustificari: CPG 6091; PG. 65, col. 929-965*) – „იმათ შესახებ, რომლებიც ფიქრობენ, რომ საქმეებით გამართლდებიან“ – მოიცავს შემდეგ მუხლებს: 15, 16, 155, 130, 132.

ა)

Inc. „და კუალად: ყოველსა რომელსა უნდეს საქმედ...“ (ჩიტუნაშვილი 2011: 302) 15. Ὁ θέλων τι πράξει... [ვისაც სურს რაიმეს გაკეთება...].

Inc. „რამეთუ გონებაჲ თჳნიერ ჳორცთასა...“ (ჩიტუნაშვილი 2011: 309) – 16. Ὁ νοῦς ἐκτὸς τοῦ σώματος... (PG. 65, col. 932) [გონება სხეულის გარეშე...]³².

ბ)

Inc. „თქუა მამამან მარკოზ: რომელმან შეურაცხ-ყოს მცნებაჲ ლოცვისაჲ...“ (ჩიტუნაშვილი 2011: 271) – 155. Τὸν παραλογιζόμενον τὴν περὶ προσευχῆς... (PG. 65, col. 954) – [155. ვინც ლოცვის მცნებას უგულებელყოფს...]

გ)

Inc. „თქუა მამამან მარკოზ: წყალობაჲ ღმრთისაჲ...“ (ჩიტუნაშვილი 2011: 315) – 130. Εἰς τὰς ἀκουσίους ὀδύνας... (PG. 65, col. 921) – [130. უნებლიე განსაცდელებში...].

Inc. „შიში ჳოჯოხეთისაჲ...“ (ჩიტუნაშვილი 2011: 315) 132. Γεέννης φόβος... (PG. 65, col. 921) – [132. ჳოჯოხეთის შიში...].

დ)

Inc. „თქუა მამამან მარკოზ: სიყუარული ღმრთისაჲ...“ (ჩიტუნაშვილი 2011: 321) – 211. Πασῶν τῶν ἐντολῶν... (PG. 65, col. 964) – [211. ყველა მცნებათაგან...].

3) მესამე ფრაგმენტი არის ნაშრომიდან: Συμβουλία νοῦς πρὸς τὴν ἑαυτοῦ ψυχὴν (*Consultatio intellectus cum sua ipsius anima CPG 6098; PG. 65, col. 1104-1109*) „გონების დარიგება (რჩევა) საკუთარი სულისადმი“:

ა)

³² აღნიშნული მუხლებიც – 15, 16 განთავსებულია – Ath. 12(51) (137v-138r) ხელნაწერში.

Inc. „თქუა მამამან მარკოზ: ოქროსა არა დავიუნჯებთ...“ (წიტუნაშვილი 2011: 278) - χρυσὸν οὐ θησαυρίζομεν... (PG. 65, col. 1105) [ოქროს არ ვიუნჯებთ ...].

4) შემდეგი ფრაგმენტი კი გახლავთ ნაშრომიდან – Περὶ μετανοία (*De paenitentia: CPG 6092; PG. 65, col. 965-984*) „სინანულის შესახებ“:

ა)

Inc. „თქუა მამამან მარკოზ: უკუეთუ სთქუა:...“³³ – ’Αλλ’ ἐρεῖς... (PG. 65, col. 969) [არამედ ამბობ:...].

ბ)

Inc. „თქუა მარკოზ მონაზონმან: საქმე სინანულისაჲ სამითა ამით მცნებათა...“ – Ἐπειδὴ οὖν ἐκτὸς τῶν προειρημένων τριῶν ἀρετῶν (PG. 65, col. 976) [მართლაც, განსაზღვრული სამი სათნოების გარეშე...].

მეორე წყაროა XI საუკუნის A 1105 (2r-163v) ხელნაწერი, სადაც მოცემულია ე. წ. სისტემატური კოლექციის პატერიკის თეოფილე ხუცესმონაზონისეული თარგმანი, სათაურით: „მამათა სწავლანი“³⁴ (A ფონდის აღწერილობა 1954: 86).

1) ამ წყაროშიც პირველი ფრაგმენტი არის მარკოზის ნაშრომიდან – Περὶ νόμου πνευματικοῦ – „სულიერი რჯულის შესახებ“, რომელიც შეესაბამება ნაშრომის 28-ე და 29-ე თავებს:

Inc. 27v: „თქუა მამამან მარკოზ: შჯული იგი თავისუფლებისაჲ...“ – Ὁ νόμος τῆς ἐλευθερίας (PG. 65, col. 909, A6-13) [თავისუფლების რჯული...].

2) ხოლო მეორე ფრაგმენტი არის მარკოზის ნაშრომიდან – Περὶ τῶν οἰομένων ἐξ ἔργων δικαιῶσθαι – „იმათ შესახებ, რომლებიც ფიქრობენ, რომ საქმეებით გამართლდებიან“ (*De his qui putant se ex operibus iustificari: CPG 6091; PG. 65, col. 929-965*), მოცემული ამონარიდი მოიცავს 27-ე, 28-ე და 29-ე თავებს.

Inc. 74r: „თქუა მამამან მარკოზ, რომელი წიაღჰვლიდეს ზღუასა ამას ხილულსა, უკმს ნავი. ხოლო რომელი წიაღჰვლიდეს საცნაურსა მას ზღუასა...“³⁵ – Ὁ διαπεράσαι θάλασσαν τὴν νοητὴν θάλασσαν (PG. 65, col. 936 A) [ვისაც სურს, რომ გონებისმიერი ზღვა გადალახოს...].

³³ მარკოზ მონაზონის ნაშრომის ამ მუხლს ასევე შეიცავს ხელნაწერი: Sin. 35 (X ს.) (73va) (იხ. ზემოთ).

³⁴ აღნიშნული ნაშრომი გამოცემულია (იხ. დვალი... 2014: 101, 158).

³⁵ მარკოზის ნაშრომის ბერძნულ დედანში არ არის წინადადება: „რომელი წიაღჰვლიდეს ზღუასა ამას ხილულსა“ (PG. 65, col. 936 A).

II კოლექცია: H-622 (X ს.)

ხელნაწერში – H-622 (99r -103r)³⁶ კითხვა-მიგების ფორმით წარმოდგენილია ნაშრომი, რომელსაც დასაწყისში აქვს წარწერა: „მარკოზისი“, ანუ იგულისხმება მარკოზ მონაზონი. ამ დრომდე არ იყო ცნობილი მარკოზის საკუთრივ რომელი ნაშრომი იყო განთავსებული აღნიშნულ ხელნაწერში. ჩვენ გამოკვლევის შედეგად დავადგინეთ, რომ ხელნაწერში მოცემულია მარკოზ მონაზონის ორი ნაშრომის თარგმანი. საკუთრივ, ტექსტის დასაწყისში განთავსებულია რამდენიმე ამოკრებილი ნაწილი ნაშრომიდან – Περὶ τοῦ ἀγίου βαπτίσματος [წმინდა ნათლისღების შესახებ] (*De baptism:CPG 6093; PG. 65, col. 985-1028*) (PG. 65, col. 1005 - 1017, B 6).³⁷

1) Inc. 99r: „რამეთუ, რომელმან-იგი გულისკმა-ყოს, ვითარმედ ქრისტე მის შორის დაფარულ არს ნათლისღებითგან“ – Ὁ γὰρ νοήσας ἀκριβῶς ὅτι τὸν Χριστὸν ἀπὸ τοῦ βαπτίσματος ἐν ἑαυτῷ κεκρυμμένον ἔχει (PG. 65, col. 1005) [ვინც ჭეშმარიტად გაიაზრებს ნათლისღებიდან საკუთარ თავში დაფარულ ქრისტეს].

Des. 99r: „ყოველთავე შეგვწყნარებებს ესე ნათლისღებითა, გარნა არა ღირს არიან თვნიერ მტკიცითა სარწმუნოებითა მისივე“ – Δεκτικοὶ οὖν τούτων ἀπὸ τοῦ βαπτίσματος πάντες γεγόναμεν, τυχεῖν δὲ αὐτῶν μόνοι καταξιῶνται οἱ βεβαίωπιστοι (PG. 65, col. 1009)³⁸ [ყველანი ამ ყოველივეს მიმღებელი გავხდით ნათლისღებით, მაგრამ მხოლოდ ისინი გახდებიან მისი ღირსნი, რომელნიც განმტკიცებულნი არიან რწმენით].

2) Inc. 99v: „ამისთვის ჩუენ ვიტყვთ, ვითარმედ ადამის ცოდვაა სხუაა არს და სხუაა არს ეშმაკისი“ – τούτου χάριον ἡμεῖς λέγομεν ὅτι ἄλλο τί ἐστὶν ἢ τοῦ Ἀδὰμ ἀμαρτία, καὶ ἄλλο ὁ Σατανᾶς (PG. 65, col. 1016 A 1) – [ამიტომ ჩვენ ვამბობთ, რომ სხვაა ადამის ცოდვა და სხვაა სატანის].

³⁶ ხელნაწერის H-622 აღწერილობაში თარგმანის გვერდები ამ ნუმერაციით არის მითითებული: 32r-42r. (იხ. II ფონდის არქერილობა 1951: 97). აღნიშნული ფაქტი განაპირობა იმ ვითარებამ, რომ ახალ Q ფონდში გვიან აღმოჩენილი ასკეტური კრებულის ფრაგმენტი შეუერთდა მის ძირითად ნაწილს, ხელნაწერ H-622-ს (Q ფონდის აღწერილობა 1957: 201).

³⁷ აღნიშნული ნაშრომის სრული თარგმანი შესრულებულია წმ. ეფრემ მცირის მიერ და შესულია XIII-ის A-60 ხელნაწერში: „კითხვაა მისივე ნეტარისა მამისა მარკოზის მიმართ წმიდისა ნათლისღებისთვის“.

³⁸ ხელნაწერის მოცემული მონაკვეთი შეესაბამება მინის პატროლოგიის აღნიშნულ გვერდებს: PG. 65, col. 1005 - 1017, B 6.

Des. 99v: „რომელი იპოვების მიახლებად გონებასა ჩუენსა მცირედმორწმუნეობითა“ – ἴπτις καὶ αὐτὸ τὸ προσεγγισαὶ τῷ νῶϊμῶν δι' ὀλιγοπιστίας εὐρισκεται (PG. 65, col. 1016 A 15) – [რომელიც, სწორედ მცირედმორწმუნეობის გამო მიეახლება ჩვენს გონებას].

3) Inc. 99v: „მისივე: ნუ შეჰკრებ ლაკუათა შინა უგოზელითა კირითა³⁹, და წახუალ გზასა ვრცელსა შინა შაჰრასა სიტყვთა და წესითა სიბრძნითა სოფლისადთა შექმნულთა“ – βιαίως ἂθισντες καὶ ψυχὴν καὶ σῶμα ἐπὶ τοὺς κρημνοὺς τῆς ἡδυσπαθείας καὶ εἰς φρέατα ἀσφάλτου καταβάλλοντες, οὔτε πλατεῖά τις καὶ εὐρύχωρος ὄδος, ῥήμασί τε καὶ σχήμασι κοσμικῆς σοφίας κατεστρωμένῃ (PG. 65, col. 1016 D 13) – [რომლებიც ძალით უბიძგებენ სულსა და სხეულს განცხრომისაკენ და კუპრის ორმოში აგდებენ (შდრ. დაბ. 14:10), არც რომელიმე გზაა ფართო და ვრცელი, მიწიერი სიბრძნის სიტყვებითა და სახეებით დაფარული].

Des. 99v: „და შემძლებელ არს კაცი, რომელი სიმართლის მოყუარე არს“ – Δύναται οὖν τις φιλαλήθης ὧν (PG. 65, col. 1016 A 4) – [მართლაც, ძლიერია კაცი, რომელსაც ჭეშმარიტება უყვარს].

4) Inc. 100r: „მისივე: ხოლო ზრახუად გულისსიტყუათა თანა, რომელი მოიწევს, უწყით, ვითარმედ ნებითა ჩუენითა არიან“ – τὴν δὲ τῶν ἐπιγινομένων λογισμῶν ὀμιλίαν προαιρετικὴν (PG. 65, col. 1017 B 1) – [მას შემდეგ, რაც გულისზრახვები წარმოიქმნებიან [მათთან] ურთიერთობა არჩევანისეულია].

Des. 100r: „ხოლო ზრახვად ვნებითა ყოვლითურთ განაშორნეს მათგან და შეურაცხყვეს“ – τὴν δὲ πρὸς αὐτὴν ὀμιλίαν καὶ προσπάθειαν καθόλου παραιτησάμενοι (PG. 65, col. 1017 B 6) – [ხოლო, თავად ურთიერთობა და ლტოლვა საერთოდ უარყვეს].

ხელნაწერში H-622, როგორც აღვნიშნეთ, ასევე მოცემულია მარკოზ მონაზონის მეორე ნაშრომის, კერძოდ: Περὶ τοῦ παραδείσου, καὶ νόμου πνευματικοῦ – „სამოთხისა და სულიერი რჯულის შესახებ“ (PG. 34, col. 750-757) – ნაწილის თარგმანიც.

³⁹ ხელნაწერში მოცემული მონაკვეთის თარგმანი შინაარსით განსხვავდება ბერძნული ორიგინალისგან: „ნუ შეჰკრებ ლაკუათა შინა უგოზელითა კირითა“ – βιαίως ἂθισντες καὶ ψυχὴν καὶ σῶμα ἐπὶ τοὺς κρημνοὺς τῆς ἡδυσπαθείας καὶ εἰς φρέατα ἀσφάλτου καταβάλλοντες. [რომლებიც ძალით უბიძგებენ სულსა და სხეულს განცხრომისაკენ და მას კუპრის ორმოში აგდებენ].

ჩვენს ამ გამოკვლევაში კიდევ ერთხელ გვინდა განვიხილოთ საკითხი ნაშრომის – „სამოთხისა და სულიერი რჯულის შესახებ“ – ავტორის ვინაობასთან დაკავშირებით.

1624 წელს პარიზში ბერძნულ და ლათინურ ენებზე გამოიცა ორტომეული, სახელწოდებით: «Bibliotheca veterum Patrum», სადაც ეკლესიის მამათა ნაშრომები იყო შემოკრებილი. ამ გამოცემის ავტორია ფ. დიუკი. მან წმ. მარკოზ მონაზონის ყველა ნაშრომი, რომლებიც იმ დროისათვის იყო ცნობილი, ამ კრებულში შეიტანა. ამ გამოცემაში შევიდა ნაშრომიც: „სამოთხისა და სულიერი რჯულის შესახებ“⁴⁰.

1858 წელს ოპტინის უდაბნოს მონასტერში პირველად ითარგმნა წმ. მარკოზ მონაზონის ნაშრომები რუსულ ენაზე. ეს არის ერთ-ერთი ავტორიტეტული გამოცემა, სადაც ნაშრომი „სამოთხისა და სულიერი რჯულის შესახებ“ რიგით მეექვსე ადგილზეა განთავსებული.

1772 წელს მეცნიერმა ა. გალანდიმ აღნიშნული ნაშრომის ავტორად წმ. მაკარი დიდი დაასახელა (PG. 65. Col. 895; Durand 1999: 37; ასევე იხ. Ашмарин 2013: 40-41).

ა. გალანდის ამ მონაცემებზე დაყრდნობით, 1864 წელს დაბეჭდილ ჟ. მინის პუბლიკაციაში (Patrologia Graeca) (PG.) ჩვენ მიერ განსახილველი ნაშრომი მაკარი დიდის შრომებში შესულია, როგორც „37-ე ჰომილია“ (PG. 34, col. 750-757).

XIII საუკუნით დათარიღებულ A-60 ხელნაწერში არსებული ტექსტი, სათაურით – „სამოთხისათვის და შჯულისა სულიერისა“, ე. ჭელიძის მიერ არის იდენტიფიცირებული. ეს არის თარგმანი მარკოზ მონაზონის ნაშრომისა – Περὶ τοῦ παρὰ δέισου, καὶ τῶν νόμων πνευματικῶν „სამოთხისა და სულიერი რჯულის შესახებ“. ე. ჭელიძის მიერვეა გამოკვლეული და დასაბუთებული, რომ ამ ნაშრომის მთარგმნელი არის XI საუკუნეში მოღვაწე წმ. ეფრემ მცირე (ჭელიძე 2013ა: 665; ჭელიძე 2013ბ: 74).

ამ დრომდე მიიჩნეოდა, რომ ეფრემ მცირე იყო ის უადრესი მოღვაწე, რომელიც მარკოზ მონაზონს აღნიშნული ნაშრომის ავტორად ასახელებდა.

ჩვენმა გამოკვლევამ ცხადყო, რომ უადრესი წყარო, სადაც მარკოზ მონაზონი დასახელებულია ავტორად ნაშრომისა – „სამოთხისა და სულიერი რჯულის შესახებ“, არის X საუკუნის ხელნაწერი – H-622. შესაბამისად, ძალზე მნიშვნელოვანია იმ ორი უძველესი წყაროს გათვალისწინება, სადაც მარკოზ მონაზონი განხილული ნაშრომის

⁴⁰Богословие преп. Марка Подвижника, Ашмарин Андрей Александрович.ст. 40, 2013.

ავტორად მიიჩნევა. ამავე ცნობას ადასტურებს ძველი ფრანგული გამოცემა: «Bibliotheca veterum Patrum» და ძველი რუსული თარგმანი: «Марк Подвижник, преподобный. Аскетические творения».

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, დამატებით მტკიცებულებად მიგვაჩნია ის, რომ შინარსობრივი და ენობრივი, ანუ ტერმინოლოგიური თვალსაზრისით, ნაშრომი – „სამოთხისა და სულიერი რჯულის შესახებ“ – ანალოგიურია მარკოზის სხვა, ზემოთ განხილული ნაშრომებისა.⁴¹ აქედან გამომდინარე, ყველა წყაროს გათვალისწინებით, ჩვენც უპირატესობას ვანიჭებთ იმ მოსაზრებას, რომ ავტორი ნაშრომისა – „სამოთხისა და სულიერი რჯულის შესახებ“ არის წმ. მარკოზ მონაზონი.

ნაწილი მარკოზ მონაზონის ნაშრომის – *Περὶ τοῦ παραδείσου, καὶ νόμου πνευματικοῦ* „სამოთხისა და სულიერი რჯულის შესახებ“ (PG. 34, col. 750-757) თარგმანისა – ხელნაწერში H-622 ამ სახით შეესაბამება ჟ. მინის პუბლიკაციას:

Inc. 100r: „**კითხვა:** სთქუ, ვითარმედ ყოველი დაფარულ არს სულსა შინა სულიერსა“ – **Ἐρώτησις:** εἶπερ, πάντα ἐν τῇ ψυχῇ πνευματικῶς ἀποκύπτεισθαι (PG. 34, col. 756 A8) – [**კითხვა:** თქვი, რომ ყოველივე სულიერად იმალება სულში].

Des. 101r: „ვითარცა წერილ არს, ვითარმედ: «იგი ჩუენ შორის არს და გვნდინ საქმისა ყოფად ნებისა მისისათჳს» - κατὰ τὸν λέγοντα ὅτι αὐτός ἐστιν «ὁ ἐνεργῶν ἐν ἡμῖν καὶ τὸ θέλειν καὶ τὸ ἐνεργεῖν ὑπὲρ τῆς εὐδοκίας (PG. 34, col. 756 C 1) – [ნათქვამის შესაბამისად, რომ „თავად (ღმერთი) არის ჩვენში მოქმედი კეთილმოსურნეობისკენ – სწრაფვაც (ნებელობაც) და მოქმედებაც“ (ფილიპ. 2,13)].

Inc. 101r: „**კითხვა:** მაშა რად არსა წერილისა უბრძანებს წიგნი კაცსა ყოფად?“ – **Ἐρώτησις:** Τί οὖν ἡ γράφη παραγγέλλει τῷ ἀνθρώπῳ ποιεῖν; (PG. 34, col. 756 D9) [**კითხვა:** მაშ რის გაკეთებას განუცხადებს (ავალებს) წმინდა წერილი ადამიანს?].

Des. 101v: „არამედ ჩუენგან ეძიებს ნებასა ოდენ, რად უკუე არს თარგმანება ნებისად, არამედ შრომა ნებისით?“ – Τίς δὲ ἰ φανέρωσις τοῦ θελήματος, εἰ μὴ πόσις ἐκόνσις (PG. 34, col. 757 B4) [ხოლო რა არის გამოჩინება ნებისა, თუ არა ნებაყოფლობითი, მოღვაწეობა?].

⁴¹ იხ.: თავი VI, „ბერძნული და ქართული ტექსტების ფილოლოგიური და საღვთისმეტყველო ანალიზი („წინაგანწყობად სქოლასტიკოსისად“)“.

H-622 ხელნაწერში მარკოზ მონაზონის ნაშრომის – „სამოთხისა და სულიერი რჯულის შესახებ“ – შემდეგ, კვლავ, კითხვა-მიგების ფორმით არის განთავსებული ტექსტი (102r -103r), რომელიც ასევე მარკოზის ნაშრომად მიიჩნეოდა (იხ. H ფონდის არწერილობა 1951: 97). ჩვენ გამოკვლევის შედეგად დავადგინეთ, რომ ეს არის ნაწილი ღირსთა მამათა, ბარსანუფი დიდისა და იოანეს ცნობილი ასკეტური ნაშრომისა – βαρσανουφίου και ιωάννου εργαταποκρίσεις [ბარსანუფისა და იოანეს კითხვა-მიგება] (Νικόδημος, 1816: 449-616). მოცემული მონაკვეთი, ორიგინალთან მიმართებით, სრულად მოიცავს 71-ე კითხვა-მიგებას, ხოლო 74-ე კითხვა-მიგებას აკლია პირველი ორი წინადადება:

Inc. 102r: „**კითხვა:** მამაო, ვითარ დაწერილ არს [.....] თქუა უფალმან მამაო ჩუენო, ანუ ვითარცა თქუა ამას შინა მაკარი სკიტელმან“ - Ἐρώτησις: Πῶς δὴ προσεύχεσθαι, ὡς εἶπεν ὁ κύριος, τὸ Πατερ ἡμῶν ἢ ὡς εἶπεν ὁ ἀββῆς Μακάριος ὁ Σκητιώτης,... - [**კითხვა:** როგორ ვილოცოთ – „მამაო ჩვენო“, როგორც უფალმა თქვა, თუ როგორც მაკარი სკიტელმა ...].

Des. 102r: „რომლისა-იგი ძალი ერთი არს, რომელი-იგი თქუა ამბა მაკარი, ვითარ: „შემიწყალე მე და შემეწიე“ – ἰσοδυναμεῖ τοῖς τοῦ Μακαρίου ρήμασιν, εἰπόντος ἐκείνου, ἐλέησον καὶ βιήθησον – [იგივეობრივია მაკარის (იმ) სიტყვებისა, რომელიც მან თქვა: „შემიწყალე და შემეწიე“] (თ. 71).

Inc. 102r: „**კითხვა: ლოცვისათვის:** ვითარ უღირს მარტომყოფსა ჟამთა ლოცვა და ფსალმუნებად?“ – πῶς ὀφείλει διάγειν ὁ κατὰ μόνας; Καὶ εἰ δεῖ λέγειν τὰς ψάλας, ἢ ὑμνοὺς; – [როგორ უნდა განვლოს (დრო) მარტო მყოფმა? და საჭიროა, რომ წარმოთქვას გალობანი ან სადიდებლები?].

Des. 103r: „ნუუკუე იყოს ვინმე მახლობელად მისა კაცი და უღირს კრძალვად, რათა არა ცნას ვინ თუ რასა იქმს იგი“ - εἰ οὐκ ἔστι πλησίον αὐτοῦ ἄλλος καὶ θέλει παρατηρήσαι, ἵνα μηδεὶς μάθῃ τί ποιεῖ. - [თუკი მის ახლოს არავინაა სხვა, რომელიც აკვირდება, რათა არავინ გაიგოს, რას აკეთებს [ის]] (თ. 74).

განხილულ ნაშრომს ბოლოში ერთვის მცირე მონაკვეთი (103r), რომლითაც მთავრდება აღნიშნული გვერდი, და ბერძნულ ორიგინალში ეს გვერდი არ იძებნება (იხ. Νικόδημος 1816: 449-616) „**მოწყინებისთვის:** უკუეთუ შეგაწუხებდეს მოწყინება მოიკსენებდ ჭირსა და იწროებასა, რომელსა შინა იყო წმიდა ევთვი და მივიდა

დიდებით უფლისა, და მოელოდე დღესა მას სიკუდილისა შენისასა, და მოწყინებაჲ წარვიდეს შენგან“, ხოლო H-622 ხელნაწერის 103v.-დან იწყება ევაგრე პონტოელის ნაშრომი „ცუდად მზაობისთვის“⁴² (იხ. H ფონდის არჩერილობა 1951: 97).

მეტად მნიშვნელოვანია შემოკრება და იდენტიფიცირება მარკოზ მონაზონის ყველა იმ უცნობი ძველი ქართული თარგმანისა, რომელნიც, როგორც აღვნიშნეთ, გაბნეული იყო წინათონურ ხელნაწერებში.

⁴² ნაშრომის – „ცუდადმზაობისთვის“ – ავტორის საკითხთან დაკავშირებული ცნობა მოგვაწოდა ლ. ტყეზუჩავამ.

2. ექვთიმე ათონელისეული თარგმანი

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ხელნაწერში A 1101 (209v-225r), რომელიც 1047 წლით თარიღდება (A ფონდის აღწერილობა 1954: 74), მოცემულია ექვთიმე ათონელის მიერ შესრულებული თარგმანი მარკოზის ნაშრომისა: „ეპისტოლე წმიდისა მამისა ჩუენისა მარკოზისი თვისსა მოწაფისა ნიკოლას მიმართ, ფრიად სასურველისა შვილისა ნიკოლას მიმართ მარკოზის მიერ მონაზონისა“ (სტურუა 2020: 572)⁴³ – Πρὸς Νικόλαον νοσηεσία ψυχωφελεί⁴⁴ [ნიკოლასის მიმართ სულისმარგებელი დარიგებანი] (*AD Nicolaum praecepta animae salutaria: CPG 6094, PG. 65, col. 1028-1049*):

Inc. 209v: „ვინამთგან პირველად ფრიად მოსწრაფე იყავ ზრუნვად სულისათვის შენისა და ფრიადი მკურვალეზაა გაქუნდა საღმრთოთას“⁴⁵ – Ἐπειδὴ περ πρώην πολὺν ἦν φροντίζων περὶ τῆς σεαυτοῦ σωτηρίας, καὶ πολλὴν ἔχων μέριμναν περὶ τῆς κατὰ Θεὸν ζωῆς – „რადგან ამას წინათ დიდად დაფიქრდი საკუთარ ცხოვნებაზე და მეტისმეტად წუხდი საღვთო ცხოვრების გამო“ (ჭელიძე 2013ა: 206).

Des. 225r: „და მაღლი სუფევნ მის შორის ქრისტე იესუმს მიერ უფლისა ჩუენისა, რომლისაა არს დიდებაა და სიმტკიცე აწ და მარადის და უკუნითი-უკუნისამდე ამინ“ (იხ. სტურუა 2020: 611) – τῆς χάριτος λοιπὸν βασιλευσούσης ἐν αὐτῇ, ἐν Χριστῷ Ἰησοῦ τῷ Κυριῷ ἡμῶν ᾧ ὁ δόξα, καὶ τὸ κράτος εἰς τοὺς αἰῶνας τῶν αἰῶνων. Ἀμήν „რის შემდეგაც უკვე მაღლი მეუფებს მასში ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მიერ, რომელსაც შეჰფერის დიდება და ძლიერება უკუნითი-უკუნისამდე. ამინ“ (ჭელიძე 2013ა: 226).

⁴³ კვლავ აღვნიშნავთ, რომ ექვთიმესეული თარგმანი ასევე მოგვეპოვება XVIII საუკუნეში გადაწერილ H 2853 ხელნაწერში 40r-49v, (H ფონდის არწერილობა 1953: 242).

⁴⁴ აქვე განვმარტავთ, რომ აღნიშნულ ნაშრომს მინის პატროლოგიაში ამგვარი სათაური აქვს: Πρὸς Νικόλαον νοσηεσία ψυχωφελεί [ნიკოლასის მიმართ სულისმარგებელი დარიგებანი] (PG. 65, col. 1028), ხოლო ე. წ. „ფილოკალიის“ ტექსტში ამ სათაურით არის წარმოდგენილი: Τοῦ αὐτοῦ ὁσίου καὶ θεοφοροῦ πατρὸς ἡμῶν Μαρκοῦ τοῦ ἀσκητοῦ ἐπιστολὴ πρὸς Νικόλαον μονάζοντα [იმავე წმინდა ღმერთშემოსილი ჩვენი მამის, მარკოზ განშორებულის ეპისტოლე ნიკოლას მონაზონის მიმართ] (ΦΙΛΟΚΑΛΙΑ 1893: 73). „ფილოკალიის“ ტექსტის სათაურში არ შედის ეს ნაწილი – Τῷ περιποθῇ τῷ τέκνῳ Νικόλαῳ, წმ. ექვთიმეს თარგმანში კი შეტანილია სათაურში – „ეპისტოლე წმიდისა მამისა ჩუენისა მარკოზისი თვისსა მოწაფისა ნიკოლას მიმართ, ფრიად სასურველისა შვილისა ნიკოლას მიმართ მარკოზის მიერ მონაზონისა“. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ, როგორც ზემოთ არის მითითებული, PG.-ის ტექსტი დასათაურებულია ამგვარად: Πρὸς Νικόλαον νοσηεσία ψυχωφελεί, სადაც - **ψυχωφελεί** შედგენილი ტერმინია: ψυχή [სული]+ωφελίσις [სარგებელი], რომელსაც წმ. ექვთიმე თარგმნის, როგორც „სულისმარგებელი“. ასე რომ, „ფილოკალიაში“ სათაურს მოდევნებული მიმართვა PG.-ის ტექსტში შეტანილია თავად სათაურში და ასევე ექვთიმესეულ თარგმანშიც.

⁴⁵ კრიტიკული ტექსტი გამოცემულია თბილისის სასულიერო აკადემიის საღვთისმეტყველო-სამეცნიერო შრომებში, ტ. X-XI (იხ. სტურუა 2020: 576).

3. ეგრემ მცირესეული თარგმანები

A-60 ხელნაწერი XIII საუკუნეს განეკუთვნება. როგორც აღვნიშნეთ, ხელნაწერში არსებული წმ. მარკოზ მონაზონის ოთხი ნაშრომის თარგმანი ე. ჭელიძის მიერაა იდენტიფიცირებული და მთარგმნელად მიჩნეულია წმ. ეგრემ მცირე. სხვა ხელნაწერი ამ თარგმანისა არ მოგვეპოვება. წმ. მარკოზ მონაზონის ნაშრომები ხელნაწერში შემდეგი თანმიმდევრობითაა განაწილებული:

ხელნაწერის პირველი გვერდიდან მეცხრე გვერდამდე არსებული ტექსტის ნაწილი განეკუთვნება წმ. მარკოზის ნაშრომის – „კითხვაჲ მისივე ნეტარისა მამისა მარკოზის მიმართ წმიდისა ნათლისღებისათვის“ (57-78; 1-9) – დასასრულს. ეს ნაშრომი იწყება 57-ე გვერდზე და წყდება 78-ე გვერდზე, ბოლო 9 გვერდი კი, როგორც ვთქვით, ნუსხა A-60-ის დასაწყისშია განთავსებული⁴⁶. H-622 ხელნაწერისგან განსხვავებით, A-60 ხელნაწერში სრულად არის წარმოდგენილი თარგმანი აღნიშნული ნაშრომისა: Περὶ τοῦ ἁγίου βαπτίσματος [წმინდა ნათლისღების შესახებ] (*De baptism: CPG 6093, PG. 65, col. 985 -1028*):

Inc. 57: „**კითხუაჲ** ვინაფთგან უკუჲ რომელნიმე სრულად იტყვან წმიდასა ნათლისღებასა, მიყრდნობილნი სიტყუასა მას წერილისასა:“ – **Ἐρώτησις:** Ἐπειδὴ οἱ μὲν τέλειον λέγουσι τὸ ἅγιον βάπτισμα, ἐπερὶ δὲ οἱ μὲν τὴν Γραφὴν λεγούσιν· [**კითხვა:** რადგანაც ერთნი ამბობენ, რომ სრულყოფილია წმინდა ნათლისღება, ეფუძნებიან რა (წმინდა) წერილს, რომელიც ამბობს:].

Des. 9: „ვინ ცნა გონებაჲ უფლისაჲ ანუ ვინ თანამზრახვალ ეყო მას ანუ ვინ წინა მისცა მას რადმე, რადთა ნაცვალნი მოეგოს მას? რამეთუ მისგან და მის ძლით და მისსა მიმართ ყოველი. მისსა დიდებაჲ დაუსრულებელთა საუკუნეთა უკუნისამდე. ამინ“ – «Τίς ἔγνω νοῦν κυρίου, ἢ τίς σύμβουλος αὐτοῦ ἐγένετο, ἢ τίς προέδωκεν αὐτῷ, καὶ ἀνταποδοθήσεται αὐτῷ; Ὅτι ἐξ αὐτοῦ καὶ δι’ αὐτοῦ καὶ εἰς αὐτὸν τὰ πάντα. Αὐτῷ ἡ δόξα εἰς τοὺς αἰῶνας τῶν αἰῶνων. Ἀμήν.» [ვინ შეიცნო უფლის განზრახვა ან ვინ იყო მისი თანამზრახველი, ან ვინ უბოძა მას წინასწარ [რადმე], უკან რომ მიეგოს მას? იმიტომ რომ მისგან და მისი მიერ და მასში არის ყოველივე. დიდება მას უკუნითი უკუნისამდე, ამინ] (შდრ. რომ. 11, 34-36).

⁴⁶ გამოცემულია თარგმანის ნაწილი, 57 გვერდიდან 78 გვერდამდე, მაგრამ ნაშრომის ბოლო ნაწილი – 9 გვერდი, გამოცემული არ არის (იხ. ასკურავა 2014: 224).

როგორც აღინიშნა, მარკოზის მომდევნო ნაშრომის სათაურია „სამოთხისათვის და შჯულისა სულიერისა“ (9-14) – Περὶ τοῦ παραδείσου, καὶ νόμου πνευματικοῦ – „სამოთხისა და სულიერი რჯულის შესახებ“. ნაშრომი სრულადაა თარგმნილი ეფრემ მცირის მიერ. ხელნაწერის დაზიანების გამო თარგმანს აკლია ბოლო რამდენიმე წინადადება (მდრ. PG. 1860: 750-757), განსხვავებით H-622 ხელნაწერისგან, სადაც მხოლოდ ნაშრომის ნაწილია თარგმნილი.

Inc. 9: „წერილისა მისებრ, ვითარმედ სიყუარული სოფლისაჲ ამის მტერობაჲ არს ღმრთისაჲ“⁴⁷ – «Ἡ φιλία τοῦ κόσμου» κατὰ τὸ γεγραμμένον «ἔχθρα ἐστὶν εἰς Θεόν» [ქვეყნის (მიწიერი) სიყვარული, წერილის მიხედვით, მტრობაა ღმერთის მიმართ] (მდრ. იაკ.4,4).

Des.14: „ესრეთვე არს ბოროტსა ზედა, რაჟამს კაცი ერჩიდეს და განემზადებოდის, მაშინ სატანა უშინებს და აფიცხებს, ვითარცა ავაზაკი მახვლსა. რკინ...“⁴⁸ – οὐτὰρ δὲ ἐστὶ καὶ εἰς τὸ κακόν. Ὅτε ὁ ἄνθρωπος ὑπακούει καὶ ἐτοιμάζεται, τότε καὶ ὁ σατανᾶς ἐλάσνει καὶ παροξύνει, ὡς ὁ λιπτήρ τὸ ξίφος – [ასევე არის ბოროტებასთან მიმართებითაც, როცა ადამიანი ემორჩილება და გამზადებულია (სატანისთვის), მაშინ სატანაც აღძრავს (ადამიანს) და უბიძგებს (იყენებს), ისევე როგორც ავაზაკი მახვილს].

მოცემულ თარგმანს მე-15 გვერდიდან უშუალოდ ებმის ტექსტი, რომელიც 30-ე გვერდზე სრულდება (15-30). ამ ტექსტს სათაური არ გააჩნია. გადამწერს ხელნაწერის ამიაზე აქვს მინაწერი, ამ უსათაურო ნაშრომის მდებარეობასთან დაკავშირებით. ჯერჯერობით, აღნიშნული ტექსტი იდენტიფიცირებული არ არის.

⁴⁷ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არსებობს გარკვეული სხვაობა ეფრემის თარგმანსა და Patrologia Graeca-ის ტექსტს შორის. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, PG.-ის გამოცემის ტექსტში არ არის ნაშრომის დასაწყისი მონაკვეთი, დაახლოებით ერთი გვერდი (იხ. PG. 34, col. 750-757), რაც აღიბეჭდება ეფრემ მცირის თარგმანში, და ასევე ასახულია ძველ რუსულ თარგმანში (М. Г. Калинин 2013: 137). ჩვენი აზრით, ეს სხვაობა განპირობებულია იმით, რომ ეფრემი იყენებდა უძველეს ბერძნულ ხელნაწერებს. ძველი რუსული თარგმანიც, გარკვეულწილად, ასევე განსხვავდება ჟ. მიწის პუბლიკაციისგან და ყოველმხრივ თანხვედნილია ეფრემის თარგმანთან. ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ ძველი ქართული და ძველი რუსული თარგმანები ერთ საერთო უძველეს ბერძნულ ნუსხას ეყრდნობა. აქედან გამომდინარე, აღნიშნული ფაქტი კიდევ ერთი არგუმენტია იმისა, რომ მარკოზ მონაზონი არის ავტორი ნაშრომისა „სამოთხისათვის და შჯულისა სულიერისა“, რადგან აღნიშნული ნაშრომი სრული სახით მხოლოდ ამ უძველეს ბერძნულ ხელნაწერებსა და შესაბამის თარგმანებშია გადმოცემული, სადაც მარკოზი დასახებულია ნაშრომის ავტორად.

⁴⁸ როგორც აღვნიშნეთ, ტექსტის დასასრულს, ხელნაწერის დაზიანების გამო, მცირე მონაკვეთი აკლია (მდრ. PG. 34, col.757).

თარგმანი წმ. მარკოზის ნაშრომისა – „წინაგანწყობაჲ სქოლასტიკოსისაჲ“ (31-44) – Αντιβολή πρὸς τινὰ σχολαστικόν [პასუხი ვინმე სქოლასტიკოსის წინააღმდეგ] – იწყება 31-ე გვერდიდან და სრულდება 44-ე გვერდზე. თარგმანს აკლია პირველი ექვსი გვერდი (*Disputation cum quodam causidico: CPG 6097, PG. 65, col. 1072-1102*).

Inc. 31: „ვითარმედ „არა დაცემულ ვართ“ და ბრძენ ყოფად აღსწერენ თავთა თვსთა, რომელთა არცაღა თვის დაკუთებაჲ იცინ“ – Πῶς οὖν οἱ τοιοῦτων καὶ τοσοῦτων ἀγαθῶν δι’ ἄγνοιαν καὶ προσευχῆς ἀμέλειαν ἐστερημένοι λέγουσιν· Οὐ πεπτῶκαμεν; Καὶ σοφίαν ἑαυτοῖς ἐπιγράφουσιν, οἱ μὴδὲ τὴν ἰδίαν καταβολὴν ἐπιστάμενοι⁴⁹ – [მართლაც, ისინი, ვინც სწორედ ამ და ესოდენ დიდ სიკეთეთაგან, უგუნურობისა და ლოცვის უგულბელყოფის გამო, დაკლებულნი არიან, როგორღა ამბობენ: „არ დავცემულვართ“? სიბრძნეს მიაწერ საკუთარ თავს, [ისინი] არც საკუთარ დაცემულობას აცნობიერებენ].

Des.44: „ხოლო ესე თქუეს, რამეთუ უნდა რადთა არა თანა მივწყებოდეთ ჩუენ ესევითართა მათ აღძრვათა, ქრისტეს იესუმს მიერ ღმრთისა ჩუენისა, რომლისა თანა მამასა თანა სულით წმიდითურთ შუენის დიდებაჲ, პატივი და სიმტკიცე, უკუნითი-უკუნისამდე ამინ“ – Ταῦτα δὲ εἰρήκασιν ἄσυνδιόστους ἡμᾶς πρὸς τὰς τοιαύτας κινήσεις εἶναι βουλόμενοι. Ἐν Χριστῷ Ἰησοῦ τῷ Κυρίῳ ἡμῶν τῷ δόξα εἰς τοὺς αἰῶνας. Ἀμήν – [ეს კი უთქვამთ [მოციქულებს], რადგან სურდათ, რომ ჩვენ არ ავყოლოდით ამ ქმედებებს (აღძვრას). ჩვენი უფლის, იესო ქრისტეს მეშვეობით, დიდება მას საუკუნოდ. ამინ].

მომდევნო თარგმანის სახელწოდებაა „სიტყუაჲ მელქისედეკისთჳს“ (44v-57r) – Εἰς τὸν Μελχισεδέκ [მელქისედეკის შესახებ] – ის ხელნაწერის 44-57 გვერდებს მოიცავს და სრულადაა წარმოდგენილი (*De Melchisegech: CPG 6100, PG. 65, col. 1117-1140*).

Inc. 44: „უფალი სოფლისა აგარაკსა, ხოლო ჭემმარიტებისა ქადაგებისაჲ თესლსა მამსგავსებელი, პირველად თესლისა თესვასა იტყვს და ეგრეთღა ღუარძლისასა“ – Ὁ Κύριος τὸν μὲν κόσμον ἀγρῶ, τὸ δὲ τῆς ἀληθείας κήρυγμα σπύρω παρεικάσας, σῆτον μὲν ἐν πρώτοις ἐσπάρθαι λέγει, ἕστερον δὲ ζιζάνια [უფალი, რომელმაც სამყარო – მიწას, ხოლო ჭემმარიტების მოძღვრება – თესვას შეადარა, ამბობს, რომ, პირველ რიგში, პური ითესება, შემდეგ კი მას [მოჰყვება] სარეველა (შდრ. მთ.13.24,25)].

⁴⁹ ხელნაწერს აკლია რამდენიმე ფურცელი და თარგმანი VII თავიდან (შდრ. PG. 65, col. 1084 A).

Des.57: „რომელთა გურწამს სიტყუათა მიერ იგი თავადი მედ ღმრთისა, სათნოყოფითა და ძალითა და მადლითა ღმრთისა, მამისა და ძისა და სულისა წმიდისაჲთა, მისსა დიდებაჲ და სიმტკიცე და მეუფებაჲ, აწ, და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ“ – οἱ πιστεύοντες τοῖς λόγοις αὐτοῦς Ἰησοῦ Θεοῦ, εὐδοκίᾳ καὶ δυνάμει καὶ χάριτι τοῦ Θεοῦ Πατρὸς καὶ τοῦ Ἰησοῦ καὶ τοῦ ἁγίου Πνεύματος. Αὐτῶν δόξα καὶ τὸ κράτος καὶ ἡ βασιλεία νῦν καὶ ἀεὶ καὶ εἰς τοὺς αἰῶνας τῶν αἰῶνων. Ἀμήν [რომლებსაც // ვისაც გვწამს მისი სიტყვები, როგორც ღმერთის ძისა. კეთილი ნებითა და ძალითა და წყალობითა ღმერთისა – მამისა და ძისა და სულიწმინდისა. მისი არის დიდება, სიმტკიცე (ძალა) და მეუფება, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ].

მომდევნო ნაშრომის სათაურია: „კითხვამ მისივე ნეტარისა მამისა მარკოზის მიმართ წმიდისა ნათლისღებისთვის“. ხელნაწერში, გვერდების გადანაცვლების გამო, ნაშრომი წყდება 78-ე გვერდზე. 79-ე გვერდიდან ამ თარგმანს მოჰყვება კვლავ უცნობი ძეგლი, რომელიც მთავრდება 86-ე გვერდზე. ეს ტექსტიც ამ ეტაპზე არ არის იდენტიფიცირებული. 86-ე გვერდიდანვე იწყება წმ. დიოდოქოს ფოტიკელის ნაშრომი (ჭელიძე 2013გ.: 74, 491).

ზემოთ აღნიშნული ორი უცნობი ტექსტის შინაარსიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ ეს ტექსტები ერთ მთლიანობას შეადგენს, ანუ ერთ, ჯერჯერობით უცნობ ნაშრომთან გვაქვს საქმე.

მოკლედ შევაჯამებთ მოცემულ გამოკვლევას:

გამოკვლევის შედეგად დადგინდა, რომ მარკოზ მონაზონის ნაშრომთა ძველი ქართული თარგმანების კლასიფიკაცია შემდეგი სახით არის წარმოდგენილი ძველ ქართულ მწერლობაში:

1. **წინათონური პერიოდი:** მარკოზ მონაზონის თარგმანების უმეტესი ნაწილი მიეკუთვნება წინათონურ პერიოდს და მათი უმეტესობა თავმოყრილია ხელნაწერში Sin.35 (907 წ.). სინას მთის ხელნაწერთა აღწერილობა წარმოვადგინეთ G. Garitte-ის გამოცემის მიხედვით (G. Garitte 1956, გვ. 108-110; 129).

ათონის ფონდის კოლექციის ხელნაწერში Ath. 12, 137v-138r⁵⁰ მოცემულია მარკოზ მონაზონის ცნობილი ნაშრომებიდან ამოკრეფილი სხვადასხვა ადგილი.

⁵⁰ იხ. „ანბანურ-ანონიმური პატერიკები“ (დვალი 1974, გვ. 152)

პირველი ფრაგმენტი არის ნაშრომიდან – Περὶ νόμου πνευματικοῦ (De lege spirituali: CPG 6090; PG. 65, col. 905-929) – „სულიერი რჯულის შესახებ“, ხოლო მეორე ფრაგმენტი არის ნაშრომიდან – Περὶ τῶν οἰομένων ἐξ ἔργων δικαιοσύνη (De his qui putant se ex operibus iustificari: CPG 6091; PG. 65, col. 929-965) – „მათ შესახებ, რომლებიც ფიქრობენ, რომ საქმეებით გამართლდებიან“.

ხელნაწერში Ath. 17 (50) (261r-348v) განთავსებულია ასკეტური ხასიათის კრებული – „გამოკრებულნი სადადთვე სიტყუანი წმიდათა მამათანი“ (ათონის ფონდის აღწერილობა 1986, გვ. 59)⁵¹. კრებულში წარმოდგენილია ფრაგმენტები მარკოზ მონაზონის ოთხი ნაშრომიდან:

1) პირველი ფრაგმენტი ნაშრომიდან – Περὶ νόμου πνευματικοῦ (De lege spirituali: CPG 6090; PG. 65, col. 905-929) – „სულიერი რჯულის შესახებ“ მოიცავს ხუთ მუხლს: 10, 128, 124, 127, 126;

2) მეორე ფრაგმენტი ნაშრომისა – Περὶ τῶν οἰομένων ἐξ ἔργων δικαιοσύνη (De his qui putant se ex operibus iustificari: CPG 6091; PG. 65, col. 929-965) – „მათ შესახებ, რომლებიც ფიქრობენ, რომ საქმეებით გამართლდებიან“ – მოიცავს შემდეგ მუხლებს: 15, 16, 155, 130, 132.

3) მესამე ფრაგმენტი არის ნაშრომიდან – Συμβουλία νοῦς πρὸς τὴν ἑαυτοῦ ψυχὴν (Consultatio intellectus cum sua ipsius anima CPG 6098; PG. 65, col. 1104-1109) – „გონების დარიგება (რჩევა) საკუთარი სულისადმი“.

4) შემდეგი ფრაგმენტი კი არის ნაშრომიდან – Περὶ μετανοίας (De paenitentia: CPG 6092; PG. 65, col. 965-984) – „სინანულის შესახებ“.

XI საუკუნის A 1105 (2r-163v) ხელნაწერში მოცემულია ე. წ. სისტემატური კოლექციის პატერიკის თეოფილე ხუცეს-მონაზონისეული თარგმანი, სათაურით: „მამათა სწავლანი“⁵² (A ფონდის აღწერილობა 1954, გვ. 86). ამ წყაროშიც პირველი ფრაგმენტი მარკოზის ნაშრომიდანაა – Περὶ νόμου πνευματικοῦ – „სულიერი რჯულის შესახებ“, რომელიც შეესაბამება ნაშრომის 28-ე და 29-ე თავებს, ხოლო მეორე ფრაგმენტი არის მარკოზის ნაშრომიდან – Περὶ τῶν οἰομένων ἐξ ἔργων δικαιοσύνη – „იმათ შესახებ, რომლებიც ფიქრობენ, რომ საქმეებით გამართლდებიან“ (De his qui

⁵¹ იხ. ჩიტუშაშვილი 2011, გვ. 255.

⁵² აღნიშნული ნაშრომი გამოცემულია (იხ. დვალი... 2014: 101, 158).

putant se ex operibus iustificari: CPG 6091; PG. 65, col. 929-965), მოცემული ამონარიდი მოიცავს 27-ე, 28-ე და 29-ე თავებს.

ხელნაწერში - H-622 (99r -103r) კითხვა-მიგების ფორმით წარმოდგენილია მარკოზ მონაზონის ნაშრომის ფრაგმენტის თარგმანი – *Περὶ τοῦ ἀγίου βαπτίσματος* [წმინდა ნათლისღების შესახებ] (*De baptism: CPG 6093; PG. 65, col. 1005 - 1017, B 6*).

H-622 ხელნაწერში ასევე შესულია მარკოზ მონაზონის მეორე ნაშრომის ნაწილის თარგმანიც – *Περὶ τοῦ παραδείσου, καὶ νόμου πνευματικοῦ* - „სამოთხისა და სულიერი რჯულის შესახებ“ (PG. 34, col. 750-757).

ამავე ხელნაწერში მარკოზ მონაზონის ნაშრომის - „სამოთხისა და სულიერი რჯულის შესახებ“ შემდეგ, კვლავ, კითხვა-მიგების ფორმით, განთავსებულია ტექსტი (102r-103r), რომელიც ასევე მარკოზის ნაშრომად მიიჩნეოდა (იხ. H-ფონდის არქერილობა 1951: 97). გამოკვლევის შედეგად დავადგინეთ, რომ ეს არის ნაწილი ღირსთა მამათა, ბარსანუფი დიდისა და იოანეს ცნობილი ასკეტური ნაშრომისა – *βαρσανουφίου καὶ ἰωάννου εἰσακτικαί* [ბარსანუფისა და იოანეს კითხვა-მიგება] (Νικόδημος 1816: 449-616).

2. **ექვთიმე ათონელისეული პერიოდი:** ხელნაწერში A 1101 (209v-225r), რომელიც 1047 წლით თარიღდება (A ფონდის აღწერილობა 1954, გვ. 74), მოცემულია წმინდა ექვთიმე ათონელის მიერ შესრულებული თარგმანი მარკოზის ნაშრომისა – „ეზისტოლე წმიდისა მამისა ჩუენისა მარკოზისი თვისისა მოწაფისა ნიკოლაას მიმართ, ფრიად სასურველისა შვილისა ნიკოლაას მიმართ მარკოზის მიერ მონაზონისა“ (სტურუა 2020: 572) – *Πρὸς Νικόλαον νομθεσία ψυχαφειεῖς* [ნიკოლაოსის მიმართ სულისმარგებლნი დარიგებანი] (AD Nicolaum praecepta animae salutaria: CPG 6094, PG. 65, col. 1028-1049).

3. **ეფრემისეული პერიოდი:** A-60 ხელნაწერი XIII საუკუნეს განეკუთვნება. როგორც აღვნიშნეთ, ხელნაწერში არსებული წმ. მარკოზ მონაზონის ნაშრომთა (ოთხი ნაშრომის) თარგმანი ე. ჭელიძის მიერ იდენტიფიცირებულია და მთარგმნელად მიჩნეულია წმ. ეფრემ მცირე. წმ. მარკოზ მონაზონის ნაშრომები ხელნაწერში ასეთი თანმიმდევრობითაა განაწილებული: „სამოთხისათვის და შჯულისა სულიერისა“ (9-14); „კითხვაჲ მისივე ნეტარისა მამისა მარკოზის მიმართ წმიდისა

ნათლისღებისთვის“ (57-78; 1-9); „წინაგანწყობა სქოლასტიკოსისად“ (31-44); „სიტყუად მელქისედეკისთვის“ (44-57).

თავი III მელქისედეკიანელთა ერესის შესახებ

წმინდა ეპიფანე კვიპრელი (315-403 წწ.) თავის ცნობილ ნაშრომში „პანარიონი“ მოგვითხრობს მწვალებლობის შესახებ, რომელსაც მელქისედეკიანელთა ერესს უწოდებს (Migne 1863(a): 972). მეტად საგულისხმო გახლავთ ერთ-ერთი უდიდესი ანტიერეტკოსი მოძღვრის, ეპიფანე კვიპრელის შეხედულება აღნიშნულ ერესთან დაკავშირებით. აქედან გამომდინარე, ჩვენ თანმიმდევრობით განვიხილავთ „პანარიონის“ 55-ე ქვეთავს⁵³, სადაც ავტორი მელქისედეკიანელთა მწვალებლობას განაქიქებს, და შევუდარებთ მარკოზ მონაზონის მიერ გადმოცემულ სწავლებებს მელქისედეკიანელთა წინააღმდეგ, კერძოდ, ჩვენი საკვლევი ნაშრომიდან „მელქისედეკის შესახებ“.

ეპიფანე კვიპრელი აღნიშნული ერესის გამოვლინების რამდენიმე სახეს წარმოგვიდგენს, რაც იმ დროისთვის იყო ცნობილი.

„პანარიონის“ ქვეთავის სათაური – Κατὰ Μελχισηδεκיאῶν განსხვავდება მარკოზის ნაშრომის სათაურისგან – Εἰς τὸν Μελχισηδέκ. აქვე დავამატებთ, რომ წმინდა ფოტი პატრიარქიც, თავის სახელგნთქმულ ნაშრომში – „ბიბლიოთეკა“ მარკოზ მონაზონის ნაშრომს ასე მოიხსენებს – Κατὰ Μελχισηδεκיאῶν (Migne 1860(b): 669). ამ სახით ეპიფანე კვიპრელი და ფოტი პატრიარქი ჩამოყალიბებულ, ერეტკულ მიმდინარეობაზე მიუთითებენ.

„ბიბლიოთეკა“⁵⁴ [(მარკოზის) მეცხრე სიტყვა, მიმართული მელქისედეკიანელთა წინააღმდეგ, ამხელს ერესში დამნაშავეს (ბრალდებულს), რომელიც გახდა [მელქისედეკიანელთა ერესზე] უფრო დიდი (=არამცირე) [ერესის] მშობელი (შემქმნელი). გარდა ამისა, იმისთვის, ვინც ყოველი მხრიდან ესწრაფვის სარგებლის მიღებას, (მისთვის) არ იქნება უსარგებლო ამ ნაშრომის წაკითხვა (გაცნობა)].⁵⁵

⁵³ „პანარიონის“ წვალეზათა მოკლე აღწერილობის, „ანაკეფალეოსისის“, ძველი ქართული თარგმანი, ანუ, როგორც მას ეწოდება – „ოთხმეოცთა წვალეზათათჳს“, დაცულია სამ ნუსხაში: A 205 (XIII ს.), H 601 (1746 წ.) და A 64 (1751 წ.). მისი მთარგმნელია თეოფილე ხუცესმონაზონი (მახარაშვილი 2012: 48).

⁵⁴ განვმარტავთ, რომ ამ შემთხვევაში წყაროებს ქრონოლოგიურად არ ვიმოწმებთ.

⁵⁵ Ὁ δὲ θ', κατὰ Μελχισηδεκιδῶν ἀγωνιζόμενος, οὐδὲν ἔλαττον τὸν γεννησάμενον αὐτὸν αἰρέσεως ἔνοχον οὐ μετριωτέρας στήλιτεσει· πλὴν τῷ γε θηρᾶν πανταχόθεν ἐφιέμενῶ τὸ χριήσιμον, οὐκ ἀσυντελής αὐτῷ οὐδ' ἡὲκ τοῦτου ἀνάγκωσις ἔσται. (იხ. იქვე: 669).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მეტი სიციხადისთვის „პანარიონიდან“ დავიმოწმებთ ბერძნულ ტექსტს, ჩვენ მიერ შესრულებულ ახალ ქართულ თარგმანთან ერთად⁵⁶ და განვიხილავთ იმ ერეტიკულ განშტოებებს, რომლებსაც მელქისედეკიანელთა მწვალელობა მოიცავდა. ბერძნულ ტექსტს ვიმოწმებთ კრიტიკული გამოცემიდან – GCS 31 Epiphanius II. Panarion haer. 34-64 (Kar Holl 1922: 324-337), მეტი თვალსაჩინოებისთვის, ასევე ვუთითებთ შესაბამის მონაკვეთებს მინის პატროლოგიიდან.

„პანარიონი“: [ზოგიერთები, რომლებიც ალბათ გამოეყვნენ თეოდოტიანელებად⁵⁷ წოდებულებს, თავის თავს მელქისედეკიანელებს უწოდებენ. ისინი განადიდებენ მელქისედეკს, რომელზეც წერილშია ნათქვამი და მიიჩნვენ მას რაღაც დიდ ძალად. [თითქოს] ის მყოფობს მაღლა (ზემოთ), სადღაც უცნობ (დაუსახელებელ) ადგილებში და ის არის არა მხოლოდ როგორც რაღაც ძალა, არამედ, თავიანთი ცთომილებით ამტკიცებენ, რომ ის არის ქრისტეზე უფრო მეტი. ქრისტეზე კი ფიქრობენ, მოვიდა და მელქისედეკის წესის ღირსი გახდა, წარმოთქმული სიტყვიდან გამომდინარე: „შენ ხარ მღვდელი საუკუნოდ მელქისედეკის წესის მიხედვით“ (ფსალმ. 109,4). ამიტომ ამბობენ, რომ ქრისტე არის მელქისედეკზე უფრო მცირე, რადგან, თუ არ იქნებოდა წარმოდგენილი რომელიღაც მეორე რიგში, არ დასჭირდებოდა მელქისედეკის წესი. ხოლო მელქისედეკის შესახებ ამბობენ, რომ „უმამო, უდედო, უგვარტომო“ იყო (შდრ. ებრ.7,3), და სურთ, რომ ეს დაამტკიცონ წმინდა პავლე მოციქულის ებრაელთა მიმართ ეპისტოლის მიხედვით. თავიანთთვის ხელოვნურ წიგნებსაც კი იგონებენ და საკუთარ თავს ატყუებენ]⁵⁸.

⁵⁶ ყველგან, კავებში ჩასმული ახალი ქართული თარგმანი ჩვენ მიერ არის შესრულებული.

⁵⁷ ეპიფანე კვიპრელი თეოდოტიანელთა ერესის შესახებ 54-ე თავში საუბრობს. სადაც მოთხრობილია, რომ თეოდოტე, პროფესიით მეპრატაკე, რომელიც წარმოშობით ბიზანტიიდან იყო, ქრისტიანთა ერთ-ერთი დევნის დროს სხვა ქრისტიანებთან ერთად შეიპყრეს, რომელთაგან მხოლოდ მან უარყო ქრისტე. ამის შემდეგ, საკუთარი საქციელის გამართლების მიზნით, მან ჩამოაყალიბა მწვალელობური სწავლება, რომლის მიხედვით, იესო ქრისტე არის ადამიანი და არა ღმერთი. აქედან გამომდინარე, მას მიაჩნდა, რომ მან უარყო მხოლოდ ადამიანი და არა ღმერთი (შდრ. PG. 1863(b): 961). თეოდოტე მეპრატაკეს (დაახლ. 190 წ., რომი) უკავშირდება დინამისტების პირველი მოძრაობა. მისი სწავლების გამგრძელებელი იყვნენ თეოდოტე ბანკირი და არტემონი (დაახლ. 200 წ.). დინამისტებს სხვანაირად ადოპციონიზმის წარმომადგენლებს უწოდებენ. ადოპციონიზმი (დინამიკური მონარქიანელობა) – მონარქიანელობის ერესის ერთ-ერთი ძირითადი მიმდინარეობა. ადოპციონიზმის მიხედვით, ქრისტე ჩვეულებრივი ადამიანია (ბერძნ. ψιλός άνθρωπος), რომელშიც მოქმედებდა განსაკუთრებული ღვთაებრივი ძალა (ლოგოსი).

⁵⁸ «Κατὰ Μελχισεδεκιανῶν»: Μελχισεδεκιανούς πάλιν ἕτεροι ἑαυτοὺς καλοῦσιν, ἀποσπασθέντες τάχα ἀπὸ τῶν Θεοδοτιανῶν καλοῦμένων. οὗτοι τὸν Μελχισεδεκ τὸν ἐν ταῖς γραφαῖς λεγόμενον δοξάζουσι, μεγάλην τινὰ δύναμιν

როგორც გადმოცემიდან ჩანს, წმინდა მამა წარმოგვიდგენს მელქისედეკიანელთა ერესის ერთ-ერთ გამოვლინებას, რომელიც თავდაპირველად დაკავშირებული იყო ე. წ. თეოდოტიანელთა მწვალებლობასთან. შემდგომ კი ცალკე მიმდინარეობად ჩამოყალიბდა. ერეტიკოსები მელქისედეკს მიიჩნევდნენ რაღაც ზებუნებრივ ძალად, რომელიც თავად მე ღმერთზე აღმატებულად წარმოედგინათ. მელქისედეკიანელთა ერესის გამოვლინების სხვადასხვა სახიდან ეს იყო უპირველესი სახე, რომელმაც საფუძველი დაუდო მელქისედეკიანელთა ერესის დანარჩენ გაუკუღმართებებს. წმ. ეპიფანეს მონათხრობი, ამ შემთხვევაში, ეფუძნება წმინდა იპოლიტე რომაელის (170–235 წწ.) ცნობას. როგორც აღვნიშნეთ, თეოდეტიანელთა ერესის ფუძემდებელი იყო თეოდოტე მეპრატაკე, ხოლო მისმა მოსწავლემ, თეოდოტე მენალამ (მცირემ), მას შემდეგ, რაც უფროსი თეოდოტე გარდაიცვალა, საფუძველი დაუდო მელქისედეკიანელთა ერესს (შდრ. Migne 1863(a): 613). თვალსაჩინოებისთვის დავიმოწმებთ თავად იპოლიტე რომაელის აღნიშნულ ნაშრომს – „ფილოსოფუმენა ანუ ყველა ერესის მხილება“. იპოლიტე რომაელი ნაშრომის ამ მონაკვეთში მოგვითხრობს თეოდეტიანელთა ერესის ფუძემდებელზე – თეოდოტე მეპრატაკეზე, ხოლო შემდეგ განაგრძობს თხრობას, მისი მოსწავლის, თეოდოტე მენალას (მცირეს) შესახებ, რომელმაც მელქისედეკიანელთა ერესი ჩამოაყალიბა: [ვინმე თეოდოტე ბიზანტიელმა შემოიტანა ახალი ერესი. მან წარმოთქვა აზრები, ყოველივეს წარმოშობის (საწყისის) შესახებ, რაც გარკვეულწილად შეესაბამებოდა ჭეშმარიტი ეკლესიის აზრებს, რადგან აღიარა, რომ ღმერთისგან შეიქმნა ყოველივე. ხოლო მიიტაცა რა გნოსტიკოსებისგან – კერინფის და ებიონის სწავლება, და აი, ამ სახით გაიაზრა განცხადება⁵⁹: „იესოც ადამიანია, რომელიც ქალწულისაგან იშვა მამის განზრახულობით, იცხოვრა რა ყველა ადამიანთან ერთად და ღვთისმოსავი გახდა, ამის შემდეგ, ნათლობის დროს,

ἡγοῦμενοι. εἶναι δὲ αὐτὸν ἄνω ἐν ἀκατονομάστοις τόποις καὶ <ἀληθ>ῶς εἶναι τοῦτον οὐ μόνον δύναμιν τινα, ἀλλὰ καὶ μαιζότερον τοῦ Χριστοῦ τῆ ἑαυτῶν πλάνη φάσκουσι. Χριστὸν δὲ ἡγοῦνται ἀπλῶς ἐληλυθότα καὶ καταξωθέντα τῆς ἐκείνου τάξεως, διήθεν ἐκ τοῦ ῥητοῦ τοῦ εἰρημένου «σὺ εἶ ἱερεὺς εἰς τὸν αἰῶνα κατὰ τὴν τάξιν Μελχισεδέκ»: ὡς εἶναι αὐτόν, φησὶν, ὑποδεέστερον τοῦ Μελχισεδέκ. εἰ μὴ γὰρ ἦν ἐν δευτέρᾳ τινὶ εἰσαγωγῇ κείμενος, οὐκ ἂν τῆς ἐκείνου τάξεως ἐπεδέετο. περὶ αὐτοῦ δὲ τοῦ Μελχισεδέκ φασιν ὅτι «ἀμήτωρ, ἀπάτωρ, ἀγενεαλόγητος» <ἐγένετο>, ἐκ τῆς πρὸς Ἑβραίους τοῦ ἀγίου Παύλου ἐπιστολῆς παριστᾶν βουλόμενοι. πλάττουσι δὲ ἑαυτοῖς καὶ βίβλους ἐπιπλάστους, ἑαυτοὺς ἀπατῶντες (Migne 1863(b): 972)

⁵⁹ იგულისხმება ნათლისღების დღესასწაული. სწორედ სამების განცხადება აღსრულდა ქრისტეს ნათლისღების ჟამს, სწორედ ამიტომ ეწოდებოდა ძველქართულად მაცხოვრის ნათლისღების დღესასწაულს ”განცხადება“ (ჭელიძე 1990: „ეკლესია - სძალი უფლისა“, (01.05,23) <http://library.church.ge/>).

იორდანეში მიიღო ქრისტე, რომელიც ზეციდან მტრედის სახით გადმოვიდა. ... მაშინ როცა მათ (ერეტიკოსებს) შორის სხვადასხვა განხეთქილება წარმოიშვა, ვინმე, ვინც თავად თეოდოტედ იწოდებოდა და ბანკირის ხელობა (პროფესია) ჰქონდა, შეეცადა ჩამოეყალიბებინა (დაემტკიცებინა), რომ მელქისედეკი არის რაღაც უდიდესი ძალა, და რომ ის ქრისტეზე უფრო აღმატებულია. ერეტიკოსები ამტკიცებენ, რომ ქრისტე მელქისედეკს მიემსგავსა, ისინი, ზემოთქმული თეოდოტიანელების მსგავსად, ამბობენ, რომ იესო ადამიანია და, თავად იმ (ზემოთქმული) ნათქვამის შესაბამისად, ქრისტე გადმოვიდა იესოზე⁶⁰.

ახლა კვლავ დავუბრუნდეთ ეპიფანე კვიპრელის ნაშრომს - „კანარიონს“ და განვაგრძოთ მსჯელობა. ამის შემდეგ ეპიფანე მელქისედეკიანელთა მომდევნო განშტოების შესახებ საუბრობს:

[ზოგიერთები კიდევ, როცა მელქისედეკის შესახებ ლაპარაკობენ, [რაღაცებს არასწორად] წარმოიდგენენ, რადგან ხორციელად განსჯიან და სულიერად არ აღიქვამენ წმინდა მოციქულის მიერ ნათქვამს, იმავე ეპისტოლეში ებრაელთა მიმართ. ხოლო იერაკასს⁶¹, ეგვიპტელ ერესიერარქს მიაჩნია, რომ მელქისედეკი არის სულიწმინდა, იმის გამო, რომ ნათქვამია: „ღვთის ძეს მიმსგავსებული, მღვდლად რჩება სამარადისოდ“ (ებრ. 7,3); თითქოსდა, ამ სიტყვიდან გამომდინარე, წმინდა მოციქულმა რომ წარმოთქვა: „სული შუამდგომლობს ჩვენთვის გამოუთქმელი სულთქმით (ოხვრით). ხოლო მცოდნემ იცის სულის ზრახვა, რამეთუ რჩეულთათვის შესთხოვს ღმერთს (შდრ. რომ. 8.26,27). ეს ერესიერარქიც სრულიად გადაიხარა ჭეშმარიტებისგან. რადგან სული არასოდეს არ შემოსილა ხორციით; ხოლო არ შეიმოსა

⁶⁰ Θεόδοτος δὲ τις ὦν Βυζάντιος εἰσήγαγεν αἴρεσιν καινὴν, φάσκων τὰ περὶ μὲν τῆς τοῦ παντὸς ἀρχῆς σύμφωνα ἐκ μέρους τοῖς τῆς ἀληθοῦς Ἐκκλησίας, ὑπὸ τοῦ θεοῦ πάντα ὁμολογῶν γεγονέναι, τὸν δὲ Χριστὸν ἐκ τῆς τῶν Γνωστικῶν καὶ Κηρίνθου καὶ Ἐβίωνος σχολῆς ἀποσπάσας φάσκει τοιοῦτον τινὲ τρόπον πεφηνέναι· καὶ τὸν μὲν Ἰησοῦν εἶναι ἄνθρωπον ἐκ Παρθένου γεγεννημένον κατὰ βουλήν τοῦ Πατρὸς, βίωσαντα δὲ κοινῶς πᾶσιν ἀνθρώποις καὶ εὐσεβέστατον γεγονός· ὑστερον ἐπὶ τοῦ βαπτίσματος ἐπὶ τῷ Ἰορδάνῃ κεχωρηκέναι τὸν Χριστὸν ἄνωθεν κατεληλυθότα ἐν εἰδὲι περιστερᾶς. ... Διαφόρων δὲ γενομένων ἐν αὐτοῖς ζητήσεων ἐπεχείρησέ τις καὶ αὐτὸς θεόδοτος καλοῦμενος, τραπεζίτης τὴν τέχνην, λέγειν δύναμιν τινα τὸν Μελχισεδέκ εἶναι μεγίστην, καὶ τοῦτον εἶναι μείζονα τοῦ Χριστοῦ, οὗ κατ' εἰκόνα φάσκουσι τὸν Χριστὸν τυγχάνειν, καὶ αὐτοὶ ὁμοίως τοῖς προειρημένοις θεοδοτιανοῖς ἄνθρωπον εἶναι λέγουσι τὸν Ἰησοῦν, καὶ κατὰ τὸν αὐτὸν λόγον τὸν Χριστὸν εἰς αὐτὸν κατεληλυθέναι (Migne 1863(a): 3343).

⁶¹ იერაკასის შესახებ ეპიფანე საუბრობს 67-ე თავში - „იერეკიტა წინააღმდეგ“. ეპიფანეს განმარტებით იერეკიტა ერესის სახელწოდება მომდინარეობს მათი მოძღვრის იერაკასის სახელიდან (PG. 1863(c): 172).

რა ხორცი, არც შეიძლება, რომ ყოფილიყო სალემის მეფე და რომელიმე ქვეყნის მღვდელი⁶².

ეპიფანეს განმარტებით, იერაკასი, რომლის სახელთანაც დაკავშირებულია იერეკიტა ერესის სახელწოდება, მელქისედეკს გაუკუღმართებულად აიგივებდა სამების ერთ-ერთ ჰიპოსტასთან, სულიწმინდასთან.

საყურადღებოა წმინდა მოძღვრის შემდეგი ცნობა, სადაც ეპიფანე, საქილიკოდ და **შეუძლებლად** მიიჩნევს სამარიტელების გადმოცემას იმის შესახებ, რომ მელქისედეკი არის ნოეს ძე – სემი⁶³:

[სხვებსაც მეტად ცრუ წარმოდგენა აქვთ მელქისედეკის შესახებ. სამარიტელებს მიაჩნიათ, რომ მელქისედეკი არის ნოეს ძე – სემი. მაგრამ თავადვე აღმოჩნდებიან საქილიკო მდგობარეობაში]⁶⁴.

მომდევნო ცნობა – მელქისედეკიანელთა ერთ-ერთი გაუკუღმართების შესახებ, ჩვენთვის ფრიალ მნიშვნელოვანია, რადგან ის ანალოგიურია მელქისედეკიანელთა ერესის იმ გამოვლინებისა, რომელსაც მარკოზ მონაზონი უპირისპირდება. პირველ რიგში, ერესის ამ ორი გამოვლინების მსგავსებასთან დაკავშირებით, აღსანიშნავია, რომ ეპიფანეს და მარკოზიც გვამცნობენ იმ მწვალებლური მიმდინარეობის შესახებ, რომელიც, გარკვეული დროით მოქმედებდა საკუთრივ ეკლესიის წიაღში. მეორე მტკიცებულება იმისა, რომ სწორედ ერთი და იგივე მწვალებლობის განშტოებაზე საუბრობს ორივე მოძღვარი, გახლავთ დოგმატურად ცდომილი სწავლება ძე ღმერთთან დაკავშირებით, რომელიც მოცემულია როგორც ეპიფანეს „პანარიონში“, ისე მარკოზის ნაშრომში – „მელქისედეკის შესახებ“. პრველ რიგში, დავიმოწმებთ მონაკვეთს „პანარიონიდან“:

⁶² Φαντάζονται δὲ πάλιν ἄλλοι, <ἄλλα> περὶ τούτου τοῦ Μελχισεδέκ λέγοντες. σαρκικῶς γὰρ οἱ τοιοῦτοι ἀνεκρίθησαν, πνευματικῶς μὴ νενοηκότες τὰ ὑπὸ τοῦ ἁγίου ἀποστόλου ἐν τῇ αὐτῇ ἐπιστολῇ τῇ πρὸς Ἑβραίους εἰρημένα. καὶ ὁ μὲν Ἱερακᾶς ὁ Αἰγύπτιος αἰρεσιάρχης νομίζει τούτον τὸν Μελχισεδέκ εἶναι τὸ πνεῦμα τὸ ἅγιον διὰ τὸ «ἀφομοιοῦμενος, φησί, τῷ σὺν τῷ θεῷ μὲναι ἱερεὺς εἰς τὸ διηκεῖς» ὡς ἀπὸ τῆς λέξεως ἧς εἶπεν ὁ ἅγιος ἀπόστολος «τὸ δὲ πνεῦμα ὑπερευχάνει ὑπὲρ ἡμῶν στεναγμοῖς ἀλαλήτοις». ὁ δὲ ἐπιστάμενος τὸ φρόνημα τοῦ πνεύματος οἶδεν ὅτι ὑπὲρ ἐκλεκτῶν ἐντυγχάνει τῷ θεῷ. ἐξέπεσε δὲ καὶ οὗτος παντελῶς τοῦ προκειμένου. οὐ γὰρ σάρκα ἐνεδύσατο τὸ πνεῦμα ποτε· σάρκα δὲ μὴ ἐνδυσάμενον οὐκ εἶχεν εἶναι βασιλεὺς τῆς Σαλήμ καὶ ἱερεὺς τόπου τινός (Migne 1863(b): 981).

⁶³ განსხვავებულ აზრს გამოთქვამს ღირსი ეფრემ ასური. მისი განმარტების მიხედვით, მელქისედეკი არის ნოეს ძე – სემი (Ефре́м Сири́нь 2014: 242-243). ასევე, ნეტარი იერონიმე სტრიდონელი „შესაქმის“ წიგნის განმარტებისას გვამცნობს, რომ ებრაული გადმოცემის მიხედვით, მელქისედეკი ნოეს ძედ – სემად მოიაზრება (Решетников 2009: 105).

⁶⁴ Πόσα δὲ περὶ τούτου τοῦ Μελχισεδέκ καὶ ἄλλοι φαντάζονται. Σαμαρεῖται μὲν γὰρ τοῦτον νομίζουσιν εἶναι σὺν τῷ Νῶε τὸν Σήμ. **καταγέλαστοι** δὲ καὶ αὐτοὶ εὐρεθίσονται (Migne 1863(b): 972).

[საკუთრივ ეკლესიაში ზოგიერთები განსხვავებულად ფიქრობენ მელქისედეკის შესახებ, რომელთაც მიაჩნიათ, რომ თავად ბუნებითი ღვთის ძე ადამიანის სახით ეჩვენა მაშინ აბრაამს. მაგრამ ისინიც შორდებიან ჭეშმარიტებას (განსაზღვრულობას); რადგან ვერავინ გახდება საკუთარი თავის(თვის) მსგავსი (სახე, ხატი), როგორც განსაზღვრავს საღვთო წერილი, რომ: „ღმერთის ძეს მიმსგავსებული, მღვდლად რჩება სამარადისოდ“ (ებრ. 7.3)]⁶⁵.

მარკოზის ნაშრომიდან – „მელქისედეკის შესახებ“, უპირველეს ყოვლისა, მოვიხმობთ იმ ადგილს, სადაც საუბარია ერეტიკოსების ბოროტმზრახველობისა და მზაკვრობის შესახებ. სწორედ ამის გამო ისინი ეკლესიიდან იქნენ განკვეთილნი ეპისკოპოსების მიერ:

ეფრემი: „რამეთუ განიყარნეს რაღ წმიდათა ეპისკოპოსთაგან და შეიჩუენნეს, სადაცა უცნაურ-იყვნენ ეზიარებიანცა ფარულად და კრებათა ჰყოფენ და ესე არს, რომელი-იგი პირველ ვთქუთ, ვითარმედ სადღუმლოთაცა ქრისტესცა და განგებულებასა მისსა დააკნინებენ. არა ხოლო ესე, არამედ, დაღათუ ოდესმე ზმნობითითა მით ღმერთის მოშიშებითა მათითა უძლონ სარწმუნო-ყოფად თავთა თვსთა წინაშე ეპისკოპოსთა და ქორეპისკოპოსთა, მყის ფარულად შეასმენენ ნამდვლვე მორწმუნეთა და მართლმადიდებელთა, ვითარცა ბოროტად მზრახვალთა და სამულელ-ყოფასა ანუ განდევნასაცა მოუმზადებენ მათ“ (თ. 10)⁶⁶.

ნაშრომთა აღნიშნული მონაკვეთებიდან ჩანს, რომ ორივე წმინდა მამა საუბრობს ერთი და იმავე ერესზე, რომლის მიმდევრები ეკლესიაში ქადაგებდნენ მწვალებლურ მოძღვრებას და მართლმადიდებლური სწავლების შერყვნას ცდილობდნენ.

⁶⁵ Ἐν δὲ τῇ ἐκκλησίᾳ φύσει τινὲς διαφόρως τοῦτον τὸν Μελχισεδὲκ ὀρίζονται. οἱ μὲν γὰρ αὐτὸν νομίζουσι φύσει τὸν υἱὸν τοῦ θεοῦ, ἐν ἰδέᾳ δὲ ἀνθρώπου τότε τῷ Ἀβραάμ πεφηνέναι. ἐκπίπτουσι δὲ καὶ αὐτοὶ τοῦ προκειμένου· οὐ γὰρ τις ἑαυτῷ ὁμοίος γενήσεται ποτε, ὡς ἔχει ἡ θεία γραφή ὅτι «ἀφομοιούμενος τῷ υἱῷ τοῦ θεοῦ μένει ἱερεὺς εἰς τὸ διηνεκέζ» (PG 1983: 985).

⁶⁶ SC.: Αφορισθέντες γὰρ ἀπὸ τῶν ἁγίων ἐπισκόπων καὶ ἀναθεματισθέντες, ὅπου ἀγνοοῦνται καὶ κοινοῦσι λάθρα καὶ συνάγονται, τουτέστιν ὁ προειρήκαμεν, ὅτι καὶ τὸ μυστήριον τοῦ Χριστοῦ καὶ τὴν οἰκονομίαν ἐτελίξουσιν. Οὐ μόνον δὲ τοῦτο, ἀλλ’ εἰ καὶ ποτε διὰ τῆς ἐπιπλάστου ἐνλαβείας πιστοποιῆσαι ἑαυτοὺς δυνήθησι παρ’ ἐπισκόποις ἢ περιοδευσταῖς, ἐσθῆδας τοὺς ὄντως πιστοὺς καὶ ὀρθοδόξους διαβάλλουσι λαθραίως ὡς κακόφρονας καὶ μισεῖσθαι ἢ διώκεσθαι παρασκευάζουσιν (Durand 2000: 218). [რადგან განშორებულნი წმინდა ეპისკოპოსებისგან და შეჩვენებულნიც, იქ, სადაც არ იცნობენ, იკრიბებიან და მალულადაც ეზიარებიან, ე. ი. რაც წინასწარვე ვთქვით, რომ ქრისტეს საიდუმლოსაც და [მის] განგებულებასაც აკნინებენ. არა მარტო ეს, არამედ, თუკი ოდესმე დროს იხილთებდნენ, მოჩვენებითი მოკრძალების მეშვეობით, და შეძლებდნენ საკუთარი თავის სანდოდ წარმოჩენას ეპისკოპოსების ან ქორეპისკოპოსების წინაშე, მაშინვე ჭეშმარიტად მორწმუნეებსა და მართლმადიდებლებს ფარულად ცილს სწამებდნენ, როგორც ბოროტადმზრახველებს და ისე აკეთებენ (ახერხებენ), რომ ისინი (მართლმადიდებლები) არიან შეძლებულნი და დევნილნი].

რაც შეეხება დოგმატურ საკითხს. მარკოზი ზედმიწევნით გადმოგვცემს, თუ რა სახის გაუკუღმართებულ სწავლებასთან აქვს საქმე:

ეფრემი: „და კუალად იგინივე იტყვან, ვითარმედ «არათუმცა ღმერთი იყო, ვითარმცა უმამო და უდედო იყო?» ამის მიერ ცხად არს, ვითარმედ არლარა ძე ყოფად იტყვან მელქისედეკს, არამედ ნუუკუე და მამად: «გარნა სიტყუად ღმრთისაჲ, პირველ ჯორცმესხმისაცა და მარიამისგან შობისა ძე ღმრთისაჲ არს»; და ვითარ უმამო არს სიტყუად ღმრთისაჲ, ჰოჲ ამოებისა მზრახველნო?“ (თ. 2)⁶⁷.

სავსებით ნათლად არის გადმოცემული მელქისედეკიანელთა ერესის ის ერთ-ერთი გამოვლინება. ეს მწვალებლები ძე ღმერთის, იესო ქრისტეს პიროვნებას აიგივებდნენ მელქისედეკის პიროვნებასთან. **შეიძლება ითქვას, რომ ისინი მელქისედეკს მიიჩნევდნენ ძე ღმერთად, ოღონდ ადამიანური ბუნების გარეშე.** ამ მოსაზრებას ადასტურებს მარკოზის შემდეგი მსჯელობაც:

ეფრემი: „და ესეცა საჭირო არს კითხვად მათგან: ვითარ ღმერთი სიტყუად მღდელობდა მაშინ არლარა ჯორცმესხმული და ვისთვის მღდელობდა? სთქუა სადმე, ვითარმედ სოფლისათვის და სადა არს მსხვერპლი, **რამეთუ თვნიერ სისხლისა დათხევისა გასმიეს, ვითარმედ არა იქმნების მოტევება**“ (თ. 9)⁶⁸.

ეპიფანე კვიპრელის განმარტებითაც, მის მიერ ხსენებული მელქისედეკიანელთა განშტოებაც მელქისედეკს მიიჩნევდა ბუნებით ღმერთად, რომელიც ადამიანის სახით აბრაამს გამოეცხადა. გამოცხადებაში, რაღა თქმა უნდა, იგულისხმება, რომ იმას, ვინც მწვალებელთა აზრით, აბრაამს ადამიანის სახით ეჩვენა, პირდაპირი გაგებით, ადამიანური ბუნება არ ჰქონდა, ჰქონდა მხოლოდ ადამიანის

⁶⁷ SC.: Πάλιν οἱ αὐτοὶ φασιν· Εἰ μὴ ἦν Θεός, πῶς ἀπάτωρ, ἀμήτωρ; Ἐν τούτῳ δέ, ὡς ἔοικεν, οὐκέτι Ὑἱὸν λέγουσι εἶναι τὸν Μελχισεδέκ, ἀλλὰ τάχα Πατέρα. Καὶ φασιν· Ἡμεῖς οὐ λέγομεν αὐτὸν Πατέρα, ἀλλὰ τὸν Θεὸν Λόγον πρὶν ἢ σαρκωθῆναι καὶ ἐκ Μαρίας γεννηθῆναι (Durand 2000: 184). [ისინი კვლავ ამბობენ: „თუკი [მელქისედეკი] არ იყო ღმერთი, როგორ იყო უმამო და უდედო?“, მათი მსჯელობის თანახმად, მელქისედეკი ძე კი არ არის, არამედ უფრო მამა. ისინი კი ამბობენ: „ჩვენ არ ვამბობთ, რომ ის მამაა, არამედ არის ღმერთი სიტყვა სანამ (ვიდრე) განკაცდებოდა (განხორციელდებოდა) და მარიამისგან იშვებოდა“; და როგორ იქნებოდა უმამო ღმერთი სიტყვა, ამოდმზრახველნო?].

⁶⁸ SC.: Καὶ τοῦτο δὲ ἀναγκαῖόν ἐστι πυθῆσθαι παρ’ αὐτῶν· Πῶς ὁ Θεὸς Λόγος μὴ ἔχων τότε σάρκα ἱεράτευσεν; Ὑπὲρ τίνος δὲ καὶ ἱεράτευσεν; Εἰ ὑπὲρ τοῦ κόσμου λέγεις, καὶ ποῦ ἐστι τὸ θῆμα; «Χωρὶς γὰρ αἱματεκχυσίας ἤκουσας ὅτι οὐ γίνεται ἄφεισις» (Durand 2000: 218) [და ესეც აუცილებელია გავიგოთ მათგან – სიტყვა ღმერთი, როგორ მღვდელმოქმედებდა მაშინ, როცა არ ჰქონდა სხეული? და ვისთვის მღვდელმოქმედებდა? თუ ამბობ, რომ სამყაროსთვის, და სად არის მსხვერპლი? „რადგან გსმენია, რომ სისხლის დაღვრის გარეშე არ ხორციელდება მიტევება“ (ებრ. 9.22)].

სახე და მსგავსება: [რომლებიც მიიჩნევენ, რომ თავად ბუნებითი ღვთის ძე ადამიანის სახით ეჩვენა მაშინ აბრაამს]⁶⁹.

აქედან გამომდინარე, ცხადია, რომ ეპიფანეც და მარკოზიც ერთსა და იმავე ერესზე საუბრობენ.

ვფიქრობთ, ძალიან მნიშვნელოვანია ეპიფანეს შემდეგი თეოლოგიური განმარტება ტერმინისა - ὁμοιος [მსგავსი]: [ერეტიკოსები მიიჩნევენ, რომ თავად ბუნებითი ღვთის ძე ადამიანის სახით ეჩვენა მაშინ აბრაამს, მაგრამ ისინიც შორდებიან ჭეშმარიტებას (განსაზღვრულობას); რადგან ვერავინ ვერასდროს ვერ გახდება საკუთარი თავის(თვის) მსგავსი (სახე, ხატი), როგორც განსაზღვრავს საღვთო წერილი რომ: „ღმერთის ძეს მიმსგავსებული, მღვდლად რჩება სამარადისოდ“ (ებრ. 7,3)]⁷⁰.

აღნიშნულ საღვთისმეტყველო მსჯელობას განავრცობს და სრულყოფილად ავსებს მარკოზ მონაზონის განმარტებანი მისი ნაშრომიდან. მეტი თვალსაჩინოებისთვის სრულად დავიმოწმებთ კონტექსტს:

ეფრემი: „და ესეცა საჭირო არს კითხვად მათგან: ვითარ ღმერთი სიტყუაჲ მღდელობდა მაშინ არღარა ჯორცმესხმული და ვისთვის მღდელობდა? სთქუა სადმე, ვითარმედ სოფლისათჳს და სადა არს მსხუერპლი, „რამეთუ თჳნიერ სისხლისა დათხევისა გასმიეს, ვითარმედ არა იქმნების მოტევებაჲ“ (ებრ. 9.22), ანუ ვინ არიან ქადაგ და მოწამე მღდელობისა? ხოლო უკუეთუ თქუან, ვითარმედ იგი არს, არამედ სახედ იქმნა ყოფადთა, გარნა არა იპოების უჯორცოდ სახედ განჯორციელებადისა. უფროდსღა თჳთ სადმე იქმნა სახეთა, ვისა თჳსისა? ხოლო ოდეს თჳთ წარმოდგომილ-იყოს არღარა ითქუმის სახედ, არამედ ჭეშმარიტებად, და უკუეთუ ესრეთ არს რაღდა ვთქუათ განჯორციელებისათჳს“ (თ. 9)⁷¹.

⁶⁹ οἱ μὲν γὰρ αὐτὸν νομίζουσι φῦσει τὸν υἱὸν τοῦ θεοῦ, ἐν ἰδέᾳ δὲ ἀνθρώπου τότε τῷ Ἀβραάμ πεφηνέναι (Migne 1863(b): 985)

⁷⁰ ὁμοιος [მსგავსი]: οἱ μὲν γὰρ αὐτὸν νομίζουσι φῦσει τὸν υἱὸν τοῦ θεοῦ, ἐν ἰδέᾳ δὲ ἀνθρώπου τότε τῷ Ἀβραάμ πεφηνέναι. ἐκπίπτουσι δὲ καὶ αὐτοὶ τοῦ προκειμένου· οὐ γὰρ τις ἑαυτῷ ὁμοιος γενήσεται ποτε, ὡς ἔχει ἡ θεία γραφή ὅτι «ἀφομοιούμενος τῷ υἱῷ τοῦ θεοῦ μένει ἱερὸς εἰς τὸ διηκεκέχ» (Migne 1863(b): 985).

⁷¹ SC.: Καὶ τοῦτο δὲ ἀναγκαῖόν ἐστι πηθεῖσθαι παρ' αὐτῶν· Πῶς ὁ Θεὸς Λόγος μὴ ἔχων τότε σάρκα ἱεράτευσεν; Ὑπὲρ τίνος δὲ καὶ ἱεράτευσεν; Εἰ ὑπὲρ τοῦ κόσμου λέγεις, καὶ ποῦ ἐστι τὸ θῆμα; «Χωρὶς γὰρ αἱματεκχυσίας ἤκουσας ὅτι οὐ γίνεται ἄφεσις.» Τίνες δὲ εἰσι καὶ οἱ τῆς ἱεροσύνης κήρυκός τε καὶ μάρτυρες; Εἰ δὲ λέγουσιν ὅτι αὐτὸς μὲν ἐστι, τύπος δὲ ἐγένετο τῶν μελλόντων, οὐκοῦν ὁ ἄσαρκος τοῦ σαρκωθισομένου τύπος ἠρρίσκετο; μᾶλλον δὲ αὐτὸς ἑαυτοῦ τύπος ἐγένετο; Ὅπου δὲ αὐτὸς πάρεστιν, οὐ λέγεται τύπος, ἀλλ' ἀλήθεια. Εἰ δὲ τότε ἀλήθεια, ἐπὶ τῆς σαρκώσεως τί ἐροῦμεν (Durand 2000: 210, 212) [და ესეცა აუცილებელია გავიგოთ მათგან: სიტყვა ღმერთი, როგორ მღვდელმოქმედებდა მაშინ, როცა არ ჰქონდა სხეული? და ვისთვის მღვდელმოქმედებდა? თუ ამბობ, რომ სამყაროსთვის, და სად არის მსხუერპლი? „რადგან გსმენია, რომ სისხლის დაღვრის გარეშე არ ხორციელდება მიტევება“ (ებრ. 9.22). მაშინ ვინ არიან მღვდლობის მქადაგებლები და დამმოწმებლები?

ამ საკითხთან დაკავშირებით, დავიმოწმებთ სხვა მონაკვეთს მარკოზის აღნიშნული ნაშრომიდან:

ეფრემი: „ხოლო მსგავსებაჲ და გუამი⁷² არა ერთ და იგივე არიან, რამეთუ პირველი იგი სახე არს, ხოლო მეორე ჭეშმარიტება“ (თ. 3)⁷³.

ეპიფანე კვიპრელის განმარტების მიხედვით, მიმსგავსება შესაძლებელია მხოლოდ ორი სხვდასხვა პიროვნებისა, როცა ერთი ჰიპოსტასი მიემსგავსება და ხდება მსგავსი, სახე, ანუ ხატი, მეორე ჰიპოსტასის არქეტიპისა⁷⁴. აქედან გამომდინარე, ერთი და იგივე პიროვნება ვერ იქნება საკუთარი თავის მსგავსი, ანუ სახე. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მარკოზ მონაზონი განავრცობს ამ საღვთისმეტყველო მსჯელობას და ზედმიწევნით განასხვავებს ერთმანეთისგან „სახეს“ – τῆς οὐσίας და „ჭეშმარიტებას“ – ἀληθείας. მარკოზის ნაშრომის მიხედვით, „ჭეშმარიტება“, ანუ არქეტიპი, არის განკაცებული ძე ღმერთი, ხოლო მისი „სახე“, ანუ ხატი, და აქედან გამომდინარე, ძე ღმერთთან მიმსგავსებული, არის მელქისედეკი.

მოცემულ საკითხთან დაკავშირებით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, დავიმოწმოთ კიდევ ერთი დიდი ღვთისმეტყველის, ნეტარი თეოდორიტე კვირელის დოგმატური შრომა "ერანისტი, ანუ პოლიმორფი", სადაც წარმოდგენილია დიალოგი ერანისტსა (ე.ი. მამიებელსა) და მართლმადიდებელს შორის. აღნიშნულ ნაშრომში ერთი საკითხი ეხება მელქისედეკის პიროვნებას, რომელთან დაკავშირებითაც, ნეტარი თეოდორიტე განიხილავს ურთიერთმიმართებას საღვთისმეტყველო ტერმინებისა ხატი და არქეტიპი (ჭელიძე 2001: 31), სახე და ჭეშმარიტება:

[**მართლმადიდებელი**: მოსე იყო სახე ჭეშმარიტებისა; ხოლო სახეს არ აქვს ყოველივე ის, რაც აქვს ჭეშმარიტებას. სწორედ ამის გამო, მიუხედავად იმისა, რომ მოსე

ხოლო თუ ამბობენ, რომ თავად არის [ძე], და სახე (წინასახე) გახდა მომავალისა (მომავალი საქმეების განხორციელებისა), ნუთუ უსხეულო (უხორცო) [სიტყვა] განხორციელებულის სახედ წარმოჩნდა? ე. ი. (უფრო სწორად)=μῆλον) თავად გახდა საკუთარი თავის სახე? როცა თავად წარმოგვიდგება, აღარ ითქმის სახედ, არამედ ჭეშმარიტებად, ხოლო თუ ჭეშმარიტებაა, მაშინ რაღას ვიტყვიტ განხორციელების შესახებ?].

⁷² ეფრემისეული ტერმინის – გუამი და ბერძნული ტერმინის – ὑπόστασις ურთიერთმიმართების შესახებ იხ. წინამდებარე დისერტაციის შესაბამის თავში: „ბერძნული და ქართული ტექსტების ფილოლოგიურ-საღვთისმეტყველო ანალიზი“ (გვ.96).

⁷³ SC.: Ἀφομοίωσις δὲ καὶ ὑπόστασις ταὐτὸν οὐκ ἔστι· τὸ μὲν γὰρ τῆς οὐσίας, τὸ δὲ ἀλήθεια τυγχάνει (Durand 2000: 188). [ხოლო მსგავსება და პიროვნულობა (პიროვნება) ერთი და იგივე არა არის, რადგან ერთი არის სახე (ხატი) და მეორე ჭეშმარიტება].

⁷⁴ ხატისა და არქეტიპის ურთიერთმიმართების შესახებ ვრცლად იხ.: ჭელიძე 2001: 30.

არ იყო ბუნებით ღმერთი, იწოდებოდა ღმერთად, რათა [ღმერთის] სახე გამოეხატა⁷⁵...

ერენისტი (მაძიებელი): და ვინ უწოდებს სახეს მას, ვისაც არ აქვს სრულიად გამოხატული თვისებები არქექტიპისა? **მართლმადიდებელი**: მაგალითად, მეფეთა (მეფურ) სურათებს (გამოსახულებებს) [თავად] მეფის გამოსახულებას არ უწოდებ?

ერენისტი (მაძიებელი): რა თქმა უნდა. **მართლმადიდებელი**: მაგრამ მათ ხომ არ აქვთ ის ყველაფერი, რაც აქვს არქექტიპს... **მართლმადიდებელი**: თქვა საღვთო მოციქულმა, რომ „უძამო, უდედო, უგვარტომო, რომელსაც არც დღეთა დასაბამი აქვს და არც სიცოცხლის დასასრული“, და დაამატა, რომ „ღვთის ძეს მიმსგავსებული, მღვდლად რჩება სამარადისოდ“ (ებრ. 7,3). ჩვენ კი გვასწავლა, რომ მელქისედეკის არქექტიპი, უფალი ქრისტე, ადამიანურ ბუნებაზე ამით⁷⁶ არის აღმატებული, ხოლო მელქისედეკი ხატი არის და სახე უფალი იესო ქრისტესი, რადგან ნათქვამია, რომ მელქისედეკი მიმსგავსებულია ღვთის ძეს... **მართლმადიდებელი**: შესაბამისად, მას შეჰფერის, რომ არ აქვს არც დღეთა დასაწყისი და არც სიცოცხლის დასასრული; დაუსაბამო და უსასრულო, და, მოკლედ რომ ვთქვათ, მარადიული და მამასთან თანამარადიული.

ერენისტი (მაძიებელი): მეც ამგვარად მიმაჩნია მართებულად. მაგრამ მაინც საჭიროა, რომ განვიხილოთ, თუ როგორ მიემართება (უკავშირდება) ზემოთქმული საკვირველ მელქისედეკს. **მართლმადიდებელი**: როგორც ხატს და სახეს; ხოლო ხატს, როგორც მანამდე ვთქვით, არ აქვს ყველაფერი ის, რაც აქვს არქექტიპს. ... **ერენისტი** (მაძიებელი): რადგან საღვთო წერილი არ მოიხსენებს მის მშობლებს, შეიძლება, რომ [მელქისედეკს] უძამო და უდედო ეწოდოს? **მართლმადიდებელი**: თუ ჭეშმარიტად უძამო და უდედო იქნებოდა, *აღარ იქნებოდა ხატი, არამედ ჭეშმარიტება*. რადგანაც არა ბუნებით აქვს ეს, არამედ საღვთო წერილის განგებულებით წარმოაჩენს ჭეშმარიტების სახეს. **ერენისტი** (მაძიებელი): მაგრამ საჭიროა, რომ ხატს ჰქონდეს სრულიად გამოხატული თვისებები არქექტიპისა. **მართლმადიდებელი**: განა ადამიანი არ იწოდება ღვთის ხატად? **ერენისტი** (მაძიებელი): ადამიანი ღვთის ხატი კი არ არის, არამედ ღვთის ხატად არის შექმნილი. **მართლმადიდებელი**: მაშ მოუსმინე მოციქულს, რომელიც ამბობს: „მამაკაცი არ არის ვალდებული თავი დაიბუროს, რადგან ღმერთის ხატია და დიდება“ (1 კორ.11,7). **ერენისტი** (მაძიებელი): დაე, იყოს ღვთის ხატი.

⁷⁵ შდრ, (გამ.7,1)

⁷⁶ იგულისხმება წმინდა წერილის მოცემული სიტყვები „უძამო, უდედო, უგვარტომო,“...

მართლმადიდებელი: შესაბამისად, შენი მსჯელობიდან გამომდინარე, საჭირო იქნებოდა, რომ ხატს შეენარჩუნებინა ღმერთის არქექტივის სრულიად გამოხატული თვისებები, არც შექმნილი არ უნდა ყოფილოყო, არც შედგენილი, არც გარემემოწერილი... **ერენისტი** (მაძიებელი): ადამიანი არ არის ყოველმხრივ ღმერთის ხატი. **მართლმადიდებელი:** თუკი როგორღაც დაუშვებ, რომ ადამიანი ნამდვილად არის ღვთის ხატი, აღმოაჩენ, რომ ხატი ყოველმხრივ, დიდად მოკლებულია ჭეშმარიტებას. **ერენისტი** (მაძიებელი): გეთანხმები. **მართლმადიდებელი:** ახლა ამასაც დააკვირდი: საღვთო მოციქულმა, ძე მამის ხატად მოიხსენა, რადგან თქვა: „რომელიც არის ხატი უხილავი ღმერთისა“ (კოლას. 1.15). **ერენისტი** (მაძიებელი): ანუ რა? განა ძეს არ აქვს ყოველივე ის, რაც აქვს მამას? **მართლმადიდებელი:** [ძე] მამა არ არის, არც უშობელი და არც უმიზეზო. **ერენისტი** (მაძიებელი): ეს ყოველივე რომ ჰქონოდა, აღარ იქნებოდა ძე. **მართლმადიდებელი:** აქედან გამომდინარე, ჭეშმარიტია ჩემი სიტყვა, რაც წარმოვთქვი, რომ ხატს არ აქვს ყველაფერი ის, რაც აქვს არქექტივს. **ერენისტი** (მაძიებელი): ჭეშმარიტად. **მართლმადიდებელი:** სწორედ ამ აზრით თქვა საღვთო მოციქულმა მელქისედეკზეც, რომ ის მიემსგავსება ღვთის ძეს⁷⁷.

⁷⁷ {OPΘ.} Τύπος ἦν ἐκεῖνος τῆς ἀληθείας· ὁ δὲ τύπος οὐκ ἔχει πάντα ὅσαπερ ἡ ἀλήθεια. Οὗ δὲ χάριν ἐκεῖνος οὐκ ἦν μὲν φύσει θεός, ὠνομάσθη δὲ ὄμως θεός, ἵνα πληρώσῃ τὸν τύπον. {EPAN.} Καὶ τίς ἂν καλέσαι τύπον τὸν οὐκ ἔναργεῖς ἔχοντα τοῦ ἀρχετύπου τοὺς χαρακτήρας; {OPΘ.} Ὡς ἔοικε, τὰς βασιλικὰς εἰκόνας οὐ καλεῖς βασιλέως εἰκόνας; {EPAN.} Πάνυγε. {OPΘ.} Καὶ μὴν οὐ πάντα ἔχουσιν, ὅσαπερ τὸ ἀρχέτυπον ἔχει (Migne 1864(c): 121). ...{OPΘ.} Εἰρηκῶς γὰρ ὁ θεῖος ἀπόστολος, "Ἀπάτωρ, ἀμήτωρ, ἀγενεαλόγητος, μήτε ἀρχὴν ἡμερῶν, μήτε ζῶης τέλος ἔχων," ἐπήγαγεν, "Ἀφωμοιωμένος δὲ τῷ σὺν τοῦ θεοῦ μένει ἱερεὺς εἰς τὸ διηνεκές." Καὶ σαφῶς ἡμᾶς ἐδίδαξεν, ὡς τοῦ Μελχισεδέκ ἐν τοῖς ὑπὲρ τὴν ἀνθρωπείαν φύσιν ἀρχέτυπόν ἐστιν ὁ δεσπότης Χριστός, ὁ δὲ γε Μελχισεδέκ εἰκὼν ἐστὶ καὶ τύπος τοῦ δεσπότη Χριστοῦ· τὸν γὰρ Μελχισεδέκ εἶπεν ἀφωμοιωμένον τῷ σὺν τοῦ θεοῦ. ... {OPΘ.} Οὕτω αὐτῷ προσήκει τὸ μήτε ἀρχὴν ἡμερῶν, μήτε ζῶης τέλος ἔχειν· ἄναρχος γὰρ καὶ ἀνώλεθρος, καὶ συντόμως εἰπεῖν, ἀίδιος, καὶ τῷ πατρὶ συναίδιος. {EPAN.} Ταῦτα μὲν οὕτω κάμοι συνδοκεῖ. Χρὴ δὲ σκοπεῖσαι λοιπόν, πῶς ἀρμόττει ταῦτα καὶ τῷ θαυμασίῳ Μελχισεδέκ. {OPΘ.} Ὡς εἰκὼν καὶ τύπος ἡ δὲ εἰκὼν, ὡς καὶ πρόσθεν εἰρήκαμεν, οὐ πάντα ἔχει ὅσα τὸ ἀρχέτυπον ἔχει (Migne 1864(c): 124). ... {EPAN.} Καὶ ἐπειδὴ τῶν γεγεννηκότων αὐτὸν οὐκ ἐμνημόνευσεν ἡ θεία γραφή, ἀπάτωρ δύναται καὶ ἀμήτωρ καλεῖσθαι; {OPΘ.} Εἰ ἀληθῶς ἀπάτωρ ἦν καὶ ἀμήτωρ, οὐκ ἂν ἦν εἰκὼν, ἀλλ' ἀλήθεια. Ἐπειδὴ δὲ οὐ φύσει ταῦτ' ἔχει, ἀλλὰ κατὰ τὴν τῆς θείας γραφῆς οἰκονομίαν, δείκνυσι τῆς ἀληθείας τὸν τύπον. {EPAN.} Χρὴ τὴν εἰκόνα ἔχειν ἔναργεῖς τοῦ ἀρχετύπου τοὺς χαρακτήρας. {OPΘ.} Ὁ ἄνθρωπος εἰκὼν καλεῖται θεοῦ; {EPAN.} Οὐκ ἔστιν εἰκὼν θεοῦ, ἀλλὰ κατ' εἰκόνα θεοῦ ἐγένετο. {OPΘ.} Ἄκουσον οὖν τοῦ ἀποστόλου λέγοντος· "Ἀνὴρ μὲν γὰρ οὐκ ὀφείλει κατακαλύπτεσθαι τὴν κεφαλὴν, εἰκὼν καὶ δόξα θεοῦ ὑπάρχων." {EPAN.} Ἔστω εἰκὼν θεοῦ. {OPΘ.} Ἐχρὴν τοῖσιν, κατὰ τὸν σὸν λόγον, σῶζειν αὐτὸν ἔναργεῖς τοῦ ἀρχετύπου τοὺς χαρακτήρας, καὶ μήτε κτιστὸν εἶναι, μήτε σύνθετον, μήτε περιγεγράφθαι (Migne 1864(c): 125). ... {EPAN.} Οὐ κατὰ πάντα ἐστὶν ὁ ἄνθρωπος εἰκὼν θεοῦ. {OPΘ.} Ἀληθὲς πλην ἐν οἷσπερ ἂν αὐτὸν δῶς εἶναι εἰκόνα, παμπόλλω τινὶ μέτρῳ τῆς ἀληθείας ἀποδέοντα πάντως εὐρήσεις. {EPAN.} Ὡμολόγηται. {OPΘ.} Σκόπησον δὲ καὶ τόδε· τὸν υἱὸν ὁ θεῖος ἀπόστολος εἰκόνα προσηγόρευσε τοῦ πατρὸς· ἔφη γὰρ· "Ὁς ἐστὶν εἰκὼν τοῦ θεοῦ τοῦ ἀοράτου." {EPAN.} Τί οὖν; οὐ πάντα ἔχει ὁ υἱὸς ὅσαπερ ὁ πατήρ; {OPΘ.} Πατήρ οὐκ ἔστιν, οὔτε ἀγέννητος οὔτε ἀνάιτιος. {EPAN.} Εἰ ταῦτα εἶχεν, οὐκ ἂν ἦν υἱός. {OPΘ.} Ἀληθὲς ἄρα ὁ λόγος ὃν εἶρηκα ἐγώ, ὡς ἡ εἰκὼν οὐ πάντα ἔχει ὅσα τὸ ἀρχέτυπον ἔχει; {EPAN.}

წმინდა მამათა შრომებზე დაყრდნობით, საღვთისმეტყველო ტერმინების ხატისა და არქეტიპის, სახისა და ჭეშმარიტების ურთიერთმიმართების განხილვის შემდეგ, ჩვენ განვაგრძობთ მსჯელობას მელქისედეკიანელთა ერესის შესახებ ეპიფანე კვიპრელის ნაშრომიდან „პანარიონი“. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მელქისედეკიანელთა ერესის რამდენიმე სახის მწვალებლური მიმდინარეობა იყო ცნობილი. კერძოდ, ერეტიკოსთა ნაწილი მიიჩნევდა, რომ მელქისედეკი არის ზეცაში მყოფი, რაღაც ზებუნებრივი, დიდი ძალა, რომელიც თვით ქრისტესაც აღემატება. ხოლო ეგვიპტელი ერესიერარქი იერაკასი მკრეხელურად ფიქრობდა, რომ მელქისედეკი არის სულიწმინდა.

„პანარიონში“ ასევე ნახსენები არიან სამარიტელები, რომლებიც თვლიდნენ, რომ მელქისედეკი არის ნოეს ძე – სემი, ამ მოსაზრებას ეპიფანე არარეალურად მიიჩნევს.

როგორც უკვე ითქვა, მელქისედეკიანელთა შემდეგი სახე, რაც ეპიფანეს „პანარიონშია“ გადმოცემული, იგივეობრივია იმ მწვალებლობისა, რომელსაც მარკოზი განაქიქებს ნაშრომში – „მელქისედეკის შესახებ“. ეს ერეტიკოსები მიიჩნევდნენ, რომ მელქისედეკი არის წმინდა სამების მეორე ჰიპოსტასი – ძე ღმერთი.

ამჯერად წარმოვადგენთ იმ დარჩენილ ნაწილს „პანარიონიდან“, რომელიც არის გაგრძელება ზემოთ წარმოდგენილი მონაკვეთისა⁷⁸, სადაც დაზუსტებულია, საკუთრივ რა თვალსაზრისით გააიგივეს მელქისედეკი ძე ღმერთთან და გააუკუღმართეს მართლმადიდებლური სწავლება.

[ზემოაღნიშნული ერესი მადლიერებასაც კი (შესაწირს) აღავლენს მელქისედეკის სახელზე და ასწავლის, რომ ის არის ღმერთისკენ წარმმართველი, და ამბობს, რომ საჭიროა, მისი მეშვეობით მივუძღვნათ (ვუბოძოთ) შესაწირავი ღმერთს, რადგან ის არის სამართლიანობის წინამძღოლი, ღმერთისგან სწორედ ამისთვის განწესებული ზეცაში, რომელიც სულიერად არსებობს და ღმერთის მიერ მღვდლად არის დადგენილი. და ამბობენ, რომ ჩვენ მელქისედეკს უნდა მივუძღვნათ (ვუბოძოთ) შესაწირავი, რათა მისი შუამავლობით ებოძოს [ღმერთს] ჩვენთვის და მისი მეშვეობით

Ἀληθές. {OPΘ.} Οὐτῶ τοῖνυν καὶ τὸν Μελχισηδὲκ εἶπεν ὁ θεῖος ἀπόστολος ἀφωμοιωσθαι τῷ υἱῷ τοῦ θεοῦ (Migne 1864(c): 128).

⁷⁸ ნაშრომის მოცემული მონაკვეთის დიდი მოცულობიდან გამომდინარე, აზრის უკეთ გადმოსცემად, აღნიშნული მსჯელობა ორ ნაწილად დავყავით.

მივიღოთ ცხოვრება. [ისინი] ამბობენ, რომ ქრისტეც ამიტომ იქნა არჩეული, რათა მოგვიხმოს ჩვენ, სხვადასხვა გზაზე მავალთ, ამ ერთი ცოდნისკენ. როცა ღმერთის მიერ იცხო და გახდა რჩეული, რადგან მოგვაქცია ჩვენ კერპებისგან და გზა გვიჩვენა. მისგან წარგზავნილმა მოციქულმა განგვიცხადა ჩვენ, რომ დიდია მელქისედეკი და მღვდლად რჩება საუკუნოდ (სამარადისოდ). და იხილეთ, რაოდენ დიდია იგი, და რომ უფრო მცირე იკურთხება უმეტესისგან (შდრ.: ებრ. 7,4,7). ისინი ამბობენ, რომ მამამთავარი აბრაამიც ამის გამო აკურთხა, როგორც უფრო აღმატებულმა. ჩვენ მისგან ვეზიარებით საიდუმლოებებს, რათა თავად ჩვენც მივიღოთ მისგან კურთხევა⁷⁹.

როგორც მონათხრობიდან ჩანს, ერეტიკოსები მელქისედეკს ღმერთთან შუამავლად მიიჩნევდნენ. ეპიფანეს განმარტებით, გამოიკვეთება ორი მწვალებლური აზრი. ერთი მხრივ, ის, რომ პარალელურია გავლებული მელქისედეკსა და ქრისტეს შორის და, ერთი შეხედვით, თითქოსდა, გაიგივებულია მელქისედეკისა და ქრისტეს პიროვნებები. მელქისედეკი, მათი აზრით, არის ზეცაში მყოფი სულიერი არსება, რომელიც ღმერთის მეშვეობით ადამიანებს ანიჭებს ცხოვრებასა და ცხოვნებას, ხოლო ქრისტე დედამიწაზე ახორციელებს ადამიანების მოქცევას და გადასცემს მათ ამ საიდუმლო ცოდნას. მეორე მხრივ, მწვალებელთა მსჯელობის მიხედვით, საბოლოოდ, მელქისედეკი მაინც აღმატებულია ქრისტეზე.

ნათელია, რომ მწვალებლობის შინაარსიდან გამომდინარე, საქმე გვაქვს გარკვეული ინკარნაციის შინაარსის მქონე მოძღვრებასთან, სადაც, ქრისტე, ამავე დროს, წარმოდგენილია ლიტონ ადამიანად და, ამ მხრივ, მელქისედეკიანელთა ერესი ახლოს დგას როგორც ებიონიტურ მწვალებლობასთან, ისე ნესტორიანიზმთან. საინტერესოა ეპიფანეს საპასუხო დასკვნა მოცემულ ერესთან მიმართებით, რომელიც შინაარსით ძალიან ჰგავს მარკოზ მონაზონის დოგმატურ ფორმულირებას, ძე ღმერთის განკაცებასთან დაკავშირებით. თავდაპირველად წარმოვადგენთ ციტატას „პანარიონიდან“: [როგორი ცარიელია (უგუნურია) ყველა ერეტიკული აზრი. ნახე,

⁷⁹ Εἰς ὄνομα δὲ τοῦτου τοῦ Μελχισεδέκ ἡ προειρημένη αἴρεσις καὶ τὰς προσφορὰς ἀναφέρει καὶ αὐτὸν εἶναι εἰσαγωγέα πρὸς τὸν θεὸν λέγει καὶ δι' αὐτοῦ, φησί, δεῖ τῷ θεῷ προσφέρειν, ὅτι ἀρχῶν ἐστὶ δικαιοσύνης, ἐπ' αὐτὸ τοῦτο κατασταθεὶς ὑπὸ τοῦ θεοῦ ἐν οὐρανῷ, πνευματικός τις ὢν καὶ εἰς ἱερωσύνην θεοῦ τεταγμένος. καὶ δεῖ ἡμᾶς αὐτῷ προσφέρειν, φασίν, ἵνα δι' αὐτοῦ προσενεχθῆ ὑπὲρ ἡμῶν καὶ εὐρωμεν δι' αὐτοῦ ζῶν. καὶ Χριστὸς μὲν, φησί, ἐξελέγη, ἵνα ἡμᾶς καλέσῃ ἐκ πολλῶν ὁδῶν εἰς μίαν ταύτην τὴν γνῶσιν, ὑπὸ θεοῦ κεκριμένος καὶ ἐκλεκτὸς γενόμενος, ἐπειδὴ ἀπέστρεψεν ἡμᾶς ἀπὸ εἰδώλων καὶ ὑπέδειξεν ἡμῖν τὴν ὁδόν. ἐξ οὗπερ ὁ ἀπόστολος ἀποσταλαὶς ἀπεκάλυπεν ἡμῖν ὅτι μέγας ἐστὶν ὁ Μελχισεδέκ καὶ ἱερεὺς μένει εἰς τὸν αἰῶνα. καὶ θεωρεῖτε πηλίκος οὗτος, καὶ ὅτι τὸ ἦσσαν ἐκ τοῦ μείζονος εὐλόγεται, καὶ διὰ τοῦτο, φησί, καὶ τὸν Ἀβραάμ τὸν πατριάρχην εὐλόγησεν, ὡς μείζων ὢν, οὗ ἡμεῖς ἐσμὲν μύσται, ὅπως τύχωμεν καὶ αὐτοὶ ἡμεῖς παρ' αὐτοῦ τῆς εὐλογίας (Migne 1863(b): 985).

მათაც როგორ უარყვეს თავიანთი უფალი, რომელმაც ისინი საკუთარი სისხლით გამოისყიდა (შდრ. 2 პეტ. 2,1), მას [არსებობა] არ დაუწყია მარიამისგან, როგორც ისინი მიიჩნევენ, არამედ მუდამ მამასთან მყოფი, ღმერთი სიტყვა, მამისგან შობილი დაუსაბამოდ და მარადიულად, როგორც მოგვითხრობს მთელი წერილი]⁸⁰.

ვფიქრობთ, ცხადად არის გადმოცემული სწავლება ძე ღმერთის, ჩვენი მაცხოვრის დაუსაბამოდ მყოფობის შესახებ მამასთან და იესო ქრისტეს მიერ კაცობრიობის გამოსყიდვის დოგმატი.

მარკოზ მონაზონის პასუხიც მელქისედეკიანელთა მიმართ ანალოგიურ დოგმატურ სწავლებას გადმოგვცემს, სადაც კიდევ ერთხელ, ნათლად არის წარმოდგენილი, რომ მელქისედეკიანელები ქრისტეს მხოლოდ ლიტონ ადამიანად მიიჩნევენ.

ეფრემი: „რამეთუ არა თქუა წერილმან, ვითარ-ეგე თქუენ იტყვთ, ვითარმედ ლიტონი კაცი იშვა სიტყუად ღმერთი, არამედ ქრისტე, რომელ-იგი არს თანად ღმერთი და კაცი, განუყოფელად და განუწვალელებლად ძე ღმერთისად, რამეთუ განგებულებითისა შობისად აქუნდა დასაბამი, ხოლო ბუნებისად არა აქუს დასაბამი საშოდთგამო შეერთებისათჳს“ (თ. 5)⁸¹.

საინტერესოა, რომ პირველ წინადადებაში ეფრემთან არ არის თარგმნილი კავშირი – ი. „რამეთუ არა თქუა წერილმან, ვითარ-ეგე თქუენ იტყვთ, ვითარმედ ლიტონი კაცი იშვა **სიტყუად ღმერთი**, არამედ ქრისტე“ - Οὐκ εἶπε γὰρ ἡ Γραφή ὅτι ἐγεννήθη ψιλὸς ἄνθρωπος, ὡς ὑμεῖς λέγετε, **ἢ ὁ Θεὸς Λόγος, ἀλλ’ ὁ Χριστός**. ჩვენი აზრით, ამ შემთხვევაში, ან გადამწერს მექანიკურად გამორჩა ეს ფაქტი, ან იმ ნუსხებში, რომლითაც ეფრემი ხელმძღვანელობდა, არ იყო მოცემული. დოგმატური შინაარსი, რა თქმა უნდა, უცვლელად და ზედმიწევნით არის გადმოცემული ეფრემის თარგმანში. ამ შემთხვევაში, ჩვენ მიერ ზემოთ განხილული მსჯელობიდან გამომდინარე,

⁸⁰ Καὶ ὡς μάταιος πασῶν αἰρέσεων ἡ διάνοια. ἰδοὺ γὰρ καὶ οὗτοι ἠρνήσαντο τὸν αὐτῶν δεσπότην τὸν «ἀγοράσαντα αὐτοὺς τῆ ἰδίᾳ αὐτοῦ αἵματι», τὸν οὐκ ἀπὸ Μαρίας ἐναρξάμενον, ὡς αὐτοὶ νομίζουσιν, ἀλλ’ ἀεὶ ὄντα πρὸς τὸν πατέρα θεὸν Λόγον, γεγεννημένον ἐκ τοῦ πατρὸς ἀνάρχου καὶ ἀχρόνου, ὡς πᾶσα γραφή διηγεῖται. (Migne 1863(b): 985).

⁸¹ SC.: Οὐκ εἶπε γὰρ ἡ Γραφή ὅτι ἐγεννήθη ψιλὸς ἄνθρωπος, ὡς ὑμεῖς λέγετε, ἢ ὁ Θεὸς Λόγος, ἀλλ’ ὁ Χριστός, ὅς ἐστι Θεὸς ἅμα καὶ ἄνθρωπος, ἀμέριστος καὶ ἀδιαίρετος Υἱὸς Θεοῦ. Γεννήσεως οὖν τῆς οἰκονομικῆς ἔσχεν ἀρχὴν, φύσεως δὲ ἀρχὴν οὐκ ἔχει διὰ τὴν ἐκ μητρὸς ἔνωσιν (Durand 2000: 198). [წერილს არ უთქვამს, რომ ლიტონი ადამიანი იშვა, როგორც თქვენ ამბობთ, ან ღმერთი სიტყვა, არამედ ქრისტე, რომელიც ერთად არის ღმერთი და ადამიანი, განუყოფელი და არაგანყოფილი ღვთის ძე. ასე რომ, (ქრისტეს) ჰქონდა განგებულებითი შობის დასაწყისი, ხოლო [დედის] საშოში შეერთებით (ერთ ჰიპოსტასში) მის (სადვთო) ბუნებას დასაწყისი არ აქვს].

დავაზუსტებთ, რომ კავშირი – **ი** მიუთითებს შემდეგ ასპექტზე: მარკოზ მონაზონის სწავლებით წარმოჩნდება მელქისედეკიანელთა ორი გაუკუღმართებული მოძღვრება. პირველი ის გახლავთ, რომ ერეტიკოსები ქრისტეს მიიჩნევდნენ მხოლოდ ლიტონ ადამიანად და არა განკაცებულ ღმერთად. მეორე ცდომილება კი ის არის, რომ მათ ძე ღმერთი ანუ სიტყვა ღმერთი სხეულის ანუ ადამიანური ბუნების არმქონედ წარმოედგინათ. სწორედ მეორე გაუკუღმართებაზე მიუთითებს ბერძნ. კავშირი - **ი**: Οὐκ εἶπε γὰρ ἡ Γραφή ὅτι ἐγενήθη ψιλὸς ἄσθραπος, ὡς ὑμεῖς λέγετε, **ἢ ὁ Θεὸς Λόγος, ἀλλ’ ὁ Χριστός**, სადაც მსაზღვერილი „ψილბ“ მიემართება არამართო სიტყვას „ἄσθραπος“, არამედ ასევე – შესიტყვებას „ὁ Θεὸς Λόγος“. აქედან გამომდინარე, ახალი ქართული თარგმანი ამგვარი იქნება: [არ უთქვამს წერილს, რომ ლიტონი ადამიანი იშვა, როგორც თქვენ ამბობთ, ან [ლიტონი] ღმერთი სიტყვა, არამედ ქრისტე].

ამრიგად, განხილული მწვალებლობის შინაარსიდან გამომდინარე გამოიკვეთა, როგორც იუდეველურ (ებიონიტურ და ნაზარეველურ) და ნესტორიანულ ერესთან მსგავსება, ასევე დოკეტიზმის ერეტიკული შინაარსი. ვფიქრობთ, აღნიშნული ფაქტი კიდევ ერთი მტკიცებულებაა იმისა, რომ ეპიფანე კვიპრელის მიერ განხილული მელქისედეკიანელთა ერთ-ერთი მწვალებლობა, რომელიც იესო ქრისტეს პიროვნების დაკნინებასა და მელქისედეკის პიროვნების არასწორად გააზრებას გულისხმობს, იგივეობრივია მარკოზ მონაზონის ნაშრომში „მელქისედეკის შესახებ“ განქიქებული ერესისა.

აქვე განვმარტავთ ერთ მნიშვნელოვან საკითხს. მარკოზ მონაზონი ნაშრომის – „მელქისედეკის შესახებ“ – დასასრულს, მელქისედეკიანელებს ცალსახად იუდეველებს უწოდებს. *ეფრემი*: „რაოდენნი სხვთ კერძო ხედვენ და სიტყვთ გინა უსიტყუად ღმერთად სახელ-სდებენ მელქისედეკს, ანუ ბუნებით ძედ ღმერთისა იტყვან, განცხადებულად ჰურიანობენ“ (თ. 11)⁸².

მარკოზ მონაზონის სიტყვებიდან გამომდინარე, როცა ვსაუბრობთ მელქისედეკიანელთა და იუდეველეთა ერესების მსგავსებაზე, ერთი მხრივ, ვგულისხმობთ იმას, რომ მელქისედეკიანელთა ერესი მსგავსია ებიონიტური

⁸² SC.: ὅσοι ἂν ἐτέρωθι βλέπωσιν καὶ εὐλόγως καὶ ἀλόγως τὸν Μελχισεδὲκ Θεὸν ὀνομάζουσιν ἢ φῶσιν Υἱὸν Θεοῦ, φανερώς ἰσοδυναμοῦσι· [რომლებიც სხვა მხარეს (არა მართლმადიდებლურს) მიემხრობიან და გააზრებულად თუ გაუაზრებლად მელქისედეკს ღმერთს უწოდებენ ან ღმერთის ბუნებით ძეს, ცხადად იუდეველობენ].

მწვალებლობისა, რადგან ებიონიტებიც უარყოფდნენ იესო ქრისტეს საღვთო ბუნებას და მაცხოვარს ლიტონ ადამიანად მიიჩნევდნენ. მაგრამ, მეორე მხრივ, ებიონიტები, ამავე დროს, უარყოფდნენ პავლე მოციქულს და მის ეპისტოლეებს, რასაც ვერ ვიტყვით მელქისედეკიანელებზე. ეპიფანე კვიპრელი ებიონიტურ ერესს, მათი მრავალმხრივი გაუკუღმართების გამო, ყველაზე საძაგელს უწოდებს (Holl 1915: 333). რა თქმა უნდა, მელქისედეკიანელები არასწორად იგებდნენ პავლე მოციქულის ეპისტოლეს, მაგრამ ისინი აღიარებდნენ მას და მის ავტორიტეტს. აქედან გამომდინარე, ამ მწვალებლობათა დაკავშირება მხოლოდ გარკვეული კუთხით არის შესაძლებელი.

იუდეველთა მეორე მწვალებლურ განშტოებას წარმოადგენს ნაზარეველთა ერესი. ამ ერესის შესახებ ცნობები მცირეა. ეპიფანე კვიპრელის მიხედვით ისინი სრულიად აღიარებდნენ ძველი და ახალი აღთქმის წიგნებს, მათ შორის პავლე მოციქულის ეპისტოლეებსაც (Holl 1915: 329), შესაბამისად, ამ კუთხით ნაზარეველთა ერესი უფრო შეესაბამება მელქისედეკიანელთა მწვალებლობას ვიდრე ებიონიტური გაუკუღმართება. საინტერესოა, თუ როგორ ახასიათებს ეპიფანე ნაზარეველთა ერესს „პანარიონში“, ქრისტოლოგიური დოგმატის თვალსაზრისით:

[ნაზარეველები] მხოლოდ ამით განსხვავდებიან იუდეველებისგან და ქრისტიანებისგან: იუდეველებს არ ეთანხმებიან იმიტომ, რომ სწამთ ქრისტე, ხოლო ქრისტიანებს არ შეეფერებიან იმიტომ, რომ ჯერ კიდევ რჯულით არიან შებოროტლნი: წინადაცვეთით, შაბათით და სხვა მრავალით. არ ვიცი ქრისტეს შესახებ [რა] ვთქვა; ისინი, ან ლიტონ ადამიანად მიიჩნევენ ქრისტეს და გატაცებულნი არიან ცოდვით, ზემოთქმულთა: კერინთონის და მერინთონის მსგავსად, ან, როგორც ჭეშმარიტად არის, ამტკიცებენ, რომ სულიწმინდის მიერ იშვა მარიამისგან ქრისტე]⁸³.

როგორც ჩანს, არსებობდა საეჭვო დამოკიდებულება ამ ერესის მიმართ. ეპიფანემ ზუსტად არ იცოდა, ნაზარეველები მაცხოვრის განკაცების დოგმატს ზედმიწევნით მართლმადიდებლური სწავლების შესაბამისად აღიარებდნენ თუ ერეტიკოსების მსგავსად ამახინჯებდნენ ჭეშმარიტ სწავლებას. სწორედ ამიტომაც გამოთქვამს ეპიფანე გარკვეულ ეჭვს მათ მიმართ.

⁸³ ἐν τούτῳ δὲ μόνον πρὸς Ἰουδαίους διαφέρονται καὶ Χριστιανούς, Ἰουδαίους μὲν μὴ συμφωνοῦντας διὰ τὸ εἰς Χριστὸν πεπιστευκέναι, Χριστιανοὺς δὲ μὴ ὁμογνωμονοῦντας διὰ τὸ εἶναι νόμον πεπεδημένοι, περιτομῇ τε καὶ σαββάτῳ καὶ τοῖς ἄλλοις. περὶ Χριστοῦ δὲ οὐκ οἶδ' εἰπεῖν, εἰ καὶ αὐτοὶ τῆ τῶν προειρημένων περὶ Κήρινον καὶ Μήρινον μοχθηρίᾳ ἀχθέντες ψιλὸν ἄνθρωπον νομίζουσιν ἢ καθὼς ἢ ἀλήθεια ἔχει διὰ πνεύματος ἁγίου γεγεννησθαι ἐκ Μαρίας διαβεβαίουσιν (Holl 1915: 329).

ერთი რამ ცხადია, როცა მარკოზ მონაზონი მელქისედეკიანელებს იუდეველობაში ამხელს, ამით ის, ერთი მხრივ, მათ მიანიშნებს, რომ თუკი ისინი გონს არ მოეგებიან, აღმოჩნდებიან ისეთ უმძიმეს გაუკუღმართებაში, როგორც არის ებიონიტური სექტა, ხოლო, მეორე მხრივ, მიუთითებს, შედარებით მცირე იუდეურ გადაცდომაზე, რომელსაც ნაზარეველთა ერესი წარმოადგენს, და თუკი ჭეშმარიტ სწავლებას მიიღებენ, ადვილად დააღწევენ თავს ცდომილებისგან, რადგან ისინი ჯერ კიდევ ისე არ დაშორებულან ჭეშმარიტებას, როგორც ებიონიტები დაშორდნენ, არამედ მათი ცდომილებით ისინი უფრო ნაზარეველებს ემსგავსებიან. ვფიქრობთ, რომ მარკოზმა იცოდა ნაზარეველთა ერესში არსებული გადაცდომა, იესო ქრისტეს განკაცების დოგმატთან დაკავშირებით, რაზედაც ეპიფანე მიუთითებს, და რომელიც მელქისედეკიანელთა ერესში მკვეთრად გამოვლინდა.

უკანასკნელი ცნობა „პანარიონში“, რომელიც მელქისედეკიანელთა ერესის გამოვლინების ფორმებს უკავშირდება ეპიფანეს მიერ შემდეგი სახით არის დახასიათებული: [ასევე ჩვენამდე მოაღწია [ამბავმა], რომ ზოგიერთები ყველა ზემოთქმულზე უფრო მეტად დაიბნენ (შეცდნენ) და ამაღლებულებმა, უფრო მეტი მედიდური აზრით, გაბედეს და შეუძლებელ მსჯელობებს მიმართეს, ღვთისმგმობელ აზრამდეც კი მივიდნენ და განაცხადეს, რომ თავად მელქისედეკია ჩვენი უფლის, იესო ქრისტეს მამა. ვაი, რომ ადამიანთა დაუდევარი გული და აზროვნება ცდება და აღარ აქვს ჭეშმარიტი სიმტკიცე. იმის გამო, რომ მოციქულმა მელქისედეკი უმამოდ, უდედოდ და უგვარტომოდ დაასახელა, გამონათქვამის მეტისმეტად განვრცობის გამო ისინი შეცდენილნი აღმოჩნდნენ აზრით და იფიქრეს, რომ აღნიშნული სიტყვები ყოველთა მამას შეეფერება და საკუთარ თავში ღვთისმგმობელი ცდომილება წარმოისახეს]⁸⁴.

გადმოცემის მიხედვით, არსებობდნენ მელქისედეკიანელთა მიმდევრები, რომლებიც ისეთ ცდომილ აზრამდე მივიდნენ, რომ მელქისედეკი მამა ღმერთადაც კი

⁸⁴ Ἦλθε δὲ πάλιν εἰς ἡμᾶς ὧς τινες περιττότερον τῶν προειρημένων πάντων πλανηθέντες καὶ περισσοτέρως ἀλαζονείᾳ ἔννοιᾳς ἀρθέντες ἐτόλμησαν εἰς ἀπορίαν διανοημάτων τραπήναι καὶ εἰς βλάσφημον ἔννοιαν εἰσεῖν καὶ εἰπεῖν τὸν αὐτὸν Μελχισεδέκ εἶναι τὸν πατέρα τοῦ κυρίου ἡμῶν Ἰησοῦ Χριστοῦ. καὶ ὃ τῆς τῶν ἀνθρώπων ἀφυσλάκτου ἔννοιᾳς καὶ ἀπατωμένης καρδιάς καὶ μὴ ἐχούσης στάσιν ἀληθείας. ἀπὸ τοῦ γὰρ τὸν ἀπόστολον λέγειν ἀπάτορα καὶ ἀμήτορα τὸν Μελχισεδέκ καὶ ἀγενεαλόγητον, διὰ τὸ ὑπέρογκον τῆς φράσεως πλανηθέντες τῇ ἔννοιᾳ οἱ τοιοῦτοι καὶ * διανοηθέντες τὰ * εἰς τὸν πατέρα τῶν ὄλων ἀναλογοῦντα ἐν ἑαυτοῖς ἀνετύπωσαν βλασφημίας πλάνην. მოცემული ტექსტის მონაკვეთი მიხის პატროლოგიის გამოცემაში არ არის შესული. იხ. PG. 1863(b): 988. აღნიშნული მონაკვეთი მოგვეპოვება, ჩვენ მიერ დამოწმებულ კრიტიკულ გამოცემაში: Holl: 1922: 336.

მიიჩნის. ამასთან დაკავშირებით, კვლავ მოვიხმობთ მარკოზ მონაზონის ზემოთ დამოწმებულ ციტატას:

ეგრემი: „და კუალად იგინივე იტყვან, ვითარმედ „არათუმცა ღმერთი იყო, ვითარმცა უმამო და უდედო იყო“? ამის მიერ ცხად არს, ვითარმედ არლარა ძე ყოფად იტყვან მელქისედეკს, არამედ ნუუკუე და მამად: «გარნა სიტყუად ღმრთისაჲ პირველ ჯორცშესხმისაცა და მარიამისგან შობისა ძე ღმრთისაჲ არს» (თ. 2)⁸⁵.

როგორც ჩანს, მარკოზისთვის ცნობილი იყო ამ სახის ცდომილებაც, და ამგვარი მსჯელობით ის თავად ერეტიკოსების პასუხიდან აზუსტებს, მელქისედეკიანელთაგან საკუთრივ რომელ მწვალებლობას უპირისპირდებოდა.

ჩვენი განხილვა გვინდა დავასრულოთ ეპიფანე კვიპრელის ნიშანდობლივი სიტყვებით, რომელიც მელქისედეკიანელთა ერესს და მისგან გამომდინარე საფრთხეს უკავშირდება: [მას შემდეგ რაც საკმარისად ვიმსჯელებთ ამის შესახებ, მივატოვოთ ეს ერესი, როგორც მტკიცე რწმენისა და საფუძვლის მეშვეობით ქვით განგმირული შრიუსი და გავექცეთ მის მომწამვლელ შხამს. ამბობენ, რომ შრუსი, იმას, ვისაც კბენს, მაშინვე კი არ ვნებს, არამედ გარკვეულ დროის განმავლობაში ანადგურებს მის სხეულს და მას, ვის მიმართაც ფარული განაჩენი იქნა გამოტანილი, სნეულების წყლულებით ფარავს მთელი [სხეულის] ნაწილებს. მსგავსად ამისა, იმათ, ვინც მოისმინა ამ ერესის (ამის შესახებ) შინაარსი, იმ წუთას ეს ერესი არაფრად ეჩვენებათ, ხოლო [ერეტიკული] სწავლებათა გადაჭარბება კვალს ტოვებს [მსმენელზე] და კითხვებს შთააგონებს მათ დასალუპად, ვინც არ მიიღო დახმარება ამ წამლისგან, რომელიც ჩვენგან შეიქმნა ამ ერესის განადგურებისთვის და განქიქებისთვის. ეს ცხოველი არ ჩქარობს გამოჩენას. რადგან ღამით გადაადგილდება და ამგვარად მოაქვს ზიანი, ყველაზე მეტად ეგვიპტელთა ქვეყანაში]⁸⁶.

⁸⁵ SC.: Πάλιν οἱ αὐτοὶ φασιν· Εἰ μὴ ἦν Θεός, πῶς ἀπάτωρ, ἀμήτωρ; Ἐν τούτῳ δέ, ὡς ἔοικεν, οὐκέτι Υἱὸν λέγουσι εἶναι τὸν Μετχισεδέκ, ἀλλὰ τάχα Πατέρα. Καὶ φασιν· Ἡμεῖς οὐ λέγομεν αὐτὸν Πατέρα, ἀλλὰ τὸν Θεὸν Λόγον πρὶν ἢ σαρκωθῆναι καὶ ἐκ Μαρίας γεννηθῆναι (Durand 2000: 184). [ისინი კვლავ ამბობენ: „თუ კი [მელქისედეკი] არ იყო ღმერთი, როგორ იყო უმამო და უდედო?“ მათი მსჯელობის თანახმად, მელქისედეკი ძე კი არ არის, არამედ მამა. ისინი კი ამბობენ: „ჩვენ არ ვამბობთ, რომ ის მამაა, არამედ არის ღმერთი სიტყვა სანამ განკაცდებოდა (განხორციელდებოდა) და მარიამისგან იშვებოდა“].

⁸⁶ Καὶ περὶ τούτων δὲ ἰκανῶς διαλεχθέντες καταλείψομεν τὴν αἴρεσιν, ὥσπερ μυογαλίδιον λίθῳ πεπαικότεσ διὰ τῆσ στερεᾶσ πίστεωσ καὶ ἐδραιώματοσ καὶ φυγόντεσ τὸ ἰοβόλον αὐτῆσ δηλητηρίον. τὸ γὰρ μυογαλίδιον φασὶ πρὸσ μὲν τὴν ὄραν μὴδὲν ἀδικεῖν τὸν δακνόμενον, χρόνῳ δὲ τινὶ τὸ σῶμα ἀφανίσειν καὶ εἰσ λώβησιν κελεφίας ἕωσ ὄλων τῶν μελῶν ἄγειν τὸν ἐπιβουλεσθέντα. οὕτω καὶ αὐτῆ ἡ αἴρεσισ τῆ διανοιᾶ τοῖσ εὐθὺσ περὶ τούτων ἀκούσασὶ φαίνεται ὡσ οὐδὲν, προσεντριβομένη δὲ ἡ τῶν λόγων παρολκῆ ζητήματα ἐμποιεῖ καὶ ὥσπερ ἀφανισμὸν τοῖσ μὴ τυχούσι τοῦ βοηθήματοσ τῆσ ἀντιδότου αὐτῆσ, τῆσ παρ' ἡμῶν γενομένησ κατ' αὐτῆσ ἀνατροπῆσ τε καὶ ἀντιλογίᾶσ. οὐ τάχιον δὲ φαίνεται τὸ

საინტერესო და მნიშვნელოვანია ეპიფანე კვიპრელის მიერ გადმოცემული ისტორიული ცნობა იმის შესახებ, რომ მელქისედეკიანელთა ერესი, ყველაზე მეტად, ეგვიპტეში იყო გავრცელებული.

ζῆλον. ἐν συκτὶ γὰρ ἔστι πορευόμενον καὶ οὕτω τὴν βλάβην ἐργάζεται, μάλιστα δὲ ἐν τῇ τῶν Αἰγυπτίων χώρα (Migne 1863(b): 988).

შეჯამება

მოკლედ შევაჯამებთ ჩვენ მიერ განხილულ საკითხს და მელქისედეკიანელთა ერესის შესახებ ცნობებს წმინდა მამათა ნაშრომების მიხედვით, დასკვნის სახით ამგვარად წარმოვადგენთ. ეპიფანე კვიპრელის გადმოცემით აღნიშნული ერესი გავრცელებული იყო ეგვიპტის ტერიტორიაზე. „პანარიონის“ ავტორი გამოყოფს მელქისედეკიანელთა ერესის გამოვლინების რამდენიმე სახეს. ნაშრომის დასაწყისში ეპიფანე საუბრობს ერეტიკოსებზე, რომლებიც მელქისედეკს მიიჩნევდნენ რაღაც ზებუნებრივ ძალად, რომელიც თავად ძე ღმერთზე აღმატებულად წარმოედგინათ. მეორე სახე მწვალებლობისა, რასაც წმინდა მამა წარმოგვიდგენს, მელქისედეკს ყოვლადწმინდა სამების ერთ-ერთ ჰიპოსტასთან, სულიწმინდასთან აიგივებდა. შემდეგი ცდომილება დაკავშირებულია სამარიტელთა მიერ მელქისედეკის პიროვნების არასწორ გააზრებასთან.

ეპიფანე კვიპრელის განმარტების მიხედვით, სამარიტელთა გადმოცემით, მელქისედეკი არის ნოეს ძე – სემი. ეპიფანე კვიპრელის მოსაზრებით, ამგვარი გადმოცემა შეუსაბამოა ისტორიული თვალსაზრისით და ეწინააღმდეგება წმინდა წერილში მოცემულ ცნობებს.

შემდგომი გამოვლინება მელქისედეკიანელთა ცდომილებისა, რასაც ეპიფანე გადმოგვცემს, გულისხმობს მელქისედეკის პიროვნების აიგივებას ძე ღმერთთან, ვიდრე განკაცებამდე. საკუთრივ ამავე მწვალებლობის ფორმას უპირისპირდება მარკოზ მონაზონი ნაშრომში – „მელქისედეკის შესახებ“. მარკოზი თავის ნაშრომში, ისევე როგორც ეპიფანე, ადასტურებს, რომ მელქისედეკიანელთა ერესი ერთი მხრივ, მელქისედეკს აიგივებს ყოვლადწმინდა სამების მეორე ჰიპოსტასთან, ძე ღმერთთან, ვიდრე იგი ადამიანურ ბუნებას შეიმოსავდა ანუ განკაცდებოდა, მაგრამ ასევე აზუსტებს მწვალებლობის მეორე ასპექტს, რასაც ეპიფანე არღარ ახსენებს „პანარიონში“. მელქისედეკიანელები, მარკოზის სწავლების მიხედვით განკაცებულ ძე ღმერთს, იესო ქრისტეს მხოლოდ ლიტონ ადამიანად თვლიდნენ. მელქისედეკიანელთა ერესის გამოვლინების ბოლო სახე, რასაც ეპიფანე განიხილავს „პანარიონში“, ავტორის განმარტებით ყველაზე მეტად გაუკუღმართებული ფორმაა.

აღნიშნული ერესის მიმდევრები თვლიდნენ, რომ წმინდა წერილში მოხსენიებული მელქისედეკი არის თვით მამა ღმერთი.

თავი VI

ძვ.ქართ. ტერმინ აწინკიანის გენეზისის საკითხისათვის

გიორგი მცირის ნაშრომში „ცხოვრება და მოქალაქობა წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გიორგი მთაწმიდელისა“ გადმოცემულია ერთი მეტად საგულისხმო ცნობა. აღნიშნული წყაროს მიხედვით, იმ ეპოქაში ბიზანტიის იმპერიის ტერიტორიაზე ცხოვრობდა ხალხი, რომელიც წარმოშობით სამარტელი იყო. ავტორი მათ სიმონ მოგვის შთამომავლებს უწოდებს. ისინი გამოირჩეოდნენ ჯადოქრობითა და მაგიური კულტმსახურებით. გიორგი მცირე მათ მოიხსენებს, როგორც – „აწინკიანებს“⁸⁷.

ვფიქრობთ, სიტყვა – აწინკიანი არის გიორგი მცირის მიერ შესრულებული ტრანსლიტერაცია ბერძნული ტერმინისა – Ἀθίγγανοι, რომელიც ახალ ქართულად გამოითქმის, როგორც „ათინგანები“. სავარაუდოდ, გიორგი მცირის მიერ ნახსენები – „აწინკიანები“ იგივე „ათინგანები“ არიან. ამის დასადასტურებლად რამდენიმე ძველ ბერძნულ წყაროს მოვიხმობთ.

პირველი წყარო, რომელშიც „ათინგანების“ შესახებ არის საუბარი და მოცემულია შესაბამისი განმარტება, გახლავთ ტიმოთე კონსტანტინეპოლელის (VI ს.) ნაშრომი „ეკლესიაში მომსვლელთა შესახებ“. მელქისედეკიანელთა ერესის განხილვისას ავტორი მათ „ათინგანებს“ უწოდებს: ტერმინი „ათინგანი“ – Ἀθίγγανοι, ტიმოთე კონსტანტინეპოლელის თქმით, მომდინარეობს ზმნიდან ἠίγγανα „ვეხები“, „ვეკარები“ – მასზე უარყოფითი პრეფიქს α-ს დართვით. შესაბამისად, ვიღებთ

⁸⁷ „რამეთუ ჟამსა მას, ოდეს იგი ღმრთისმსახური ბაგრატ მეფე სამეუფოსა ქალაქსა იყო, ესმა მას საქმე საკვრველი და ყოვლად არა დასაჯერებელი, ვითარმედ: არს ნათესავი სამარტელთაო, ტომისაგან სვმონ მოგვსა, რომელთა აწინკიან ეწოდების, განთქუმულნი გრძნებათა შინა და უკეთურებათა, ხოლო ფილოპატსა მეფისასა მკეცნი შეჩუეულ იყვნეს და ჭამდეს ნადირთა მათ, რომელნი არიან მუნ შინა სანადიროდ მეფისა. ცნა ესე მეფემან მონომახმან და უბრძანა მოყვანებად აწინკიანთა მათ, რათა კელოვნებითა გრძნებისა თვისისადათა მოსწყვდნენ მკეცნი იგი, ნადირთა მათ მომსრველნი. ხოლო მათ ბრძანებად მეფისად საქმით აღასრულეს და მრავალი მკეცი მოსწყვდეს. ცნა ესე მეფემან ბაგრატ, ვითარცა ზემო ვთქუთ, და მოუწოდა აწინკიანთა მათ და ჰრქუა: ”ვითარითა სახითა მოსწყვდენით მკეცნი იგი, მაუწყეთ?” ხოლო მათ ჰრქუეს: ”ჴ მეფეო, ესე ვითარსა კელოვნებასა მიწდომილ ვართ, ვიდრეღა ჯორცსა [შ]ევჴგრძნობავთ და დავსდებთ ადგილსა მას, სადა მკეცნი იგი მოვიდოდნენ, და ჩუენ ხეთა ჴედა აღვკდებით და მკეცებრივითა კმითა უკმობთ, და იგინი კმასა ჩუენსა შემოკრებებიან, ჯორცსა მას ჴამენ და მოკუდებიან მეყსეულად, ხოლო დიდსა შაბათსა შობილი მკეცი არა გვსმენს და არცა ჴამს არამედ გუეცყს: ”თუ კარგი არს, თქუენ ჩამოედით და ჴამეთო”, და მშვდობით წარვალოს” (აბულაძე, და სხვ. 1967: 136-137).

ზედსართავ სახელს – ἄθικυαοიც „შეუხებელი“, „მიუკარებელი“. აღნიშნული ეპითეტი, როგორც კონსტანტინეპოლელი მღვდელი განმარტავს, ერეტიკოსებს მათი განსაკუთრებული, ადამიანებისგან განცალკევებული ცხოვრების წესიდან გამომდინარე ეწოდათ⁸⁸: [მელქისედეკიტები არიან ისინი, რომლებიც ახლა ათინგანებად იწოდებიან. ისინი მელქისედეკს ადიდებენ, რომლისგანაც მიიღეს სახელწოდება. ათინგანები ფრიგიის გარშემო მყოფობენ. არც ებრაელები არიან და არც წარმართები. მიაჩნიათ, რომ შაბათის [წესი] უნდა დაიცვან, ხოლო ხორციელ წინადაცვეთას არ ახორციელებენ (ცნობენ). ისინი არცერთ ადამიანს არ იკარებენ. თუკი მათ ვინმე მისცემს პურს ან წყალს, ან სხვა რაიმე მსგავსს, არ დაუშვებენ, რომ მისი ხელიდან მიიღონ, არამედ მოუწოდებენ მზობელებს, რომ მიწაზე დადონ, შემდეგ მიდიან და იღებენ მათ. ასევე [იქცევიათ] მაშინ, როცა სხვებს თავად გადასცემენ [რაიმეს]; მართლაც, სწორედ ამ ნიშნით უწოდებენ მათ ათინგანებს, რადგან არ დაუშვებენ, რომ მათ ვინმე შეეხოს. აქედან გამომდინარე, როცა ისინი შეუერთდებიან ღვთის წმინდა ეკლესიას, [მათთვის] აუცილებელია გამომხსნელობითი ნათლისღება (წყალში შთაფლვა). ხოლო ესენი არიან, რომლებიც წმინდა მირონს იცხებენ:⁸⁹]⁹⁰.

⁸⁸ აქვე დავაზუსტებთ, რომ წყაროების დამოწმების დროს, ჩვენ მიერ შესრულებული ახალი ქართული თარგმანი კავებში არის ჩასმული. თარგმანში, ოვალურ ფრჩხილებში მოცემულია სიტყვის შინაარსის დაზუსტება, განმარტება, ხოლო კვადრატულ ფრჩხილებში – ბერძნული ტექსტის შინაარსის მიხედვით აღდგენილი სიტყვა.

⁸⁹ პირველი ტექსტი აქ წყდება და ერთვის სქოლიო, სადაც მოცემულია ტექსტის მეორე წაკითხვა, ვარიანტი და სრულად არის გადმოცემული კონტექსტის შინაარსი.

⁹⁰ Μελησιεδεκίται εισιν, οί νυν προσαγορευόμενοι Ἀθίγγανοι. Οὗτοι τὸν Μελησιεδέκ ἀχούσιν, ἐξ οὗ καὶ τὴν ἐπανυμίαν εἰλήφασιν. Εἰσὶ δὲ περὶ τὴν Φρυγίαν. Οὕτε δὲ Ἑβραῖοι, οὔτε Ἑθνικοὶ εἰσι. Δοκοῦσι γὰρ τὸ μὲν Σάββατον φυλάττειν, τὴν δὲ σάρκα μὴ περιτέμνεσθαι· οὗτοι οὐδένα ἄνθρωπον ἄπτεσθαι αὐτῶν ἀνέχονται· ἀλλὰ κἄν δὴ αὐτοῖς τις ἄρτον, ἢ ὕδωρ, ἢ ἕτερόν τι εἶδος, οὐκ ἀνέχονται ἀπὸ χειρῶν λαβεῖν, ἀλλὰ παρακαλοῦσι τοὺς ἐπιδιδόντας αὐτοῖς θεῖναι χαμαὶ τὰ εἶδη, καὶ οὕτως αὐτοὶ προσερχόμενοι αἴρουσιν αὐτά· ὁμοίως κἄν αὐτοὶ ἑτέροις μεταδιδῶσι· τοῦτῃ οὖν τῷ τρόπῳ Ἀθίγγανους αὐτοὺς καλοῦσιν, διὰ τὸ μὴ ἀνέχεσθαι αὐτοὺς προσψάειν τινός (Migne 1865 a: 33). როგორც აღვნიშნეთ, მინის პატროლოგიის გამოცემაში მოცემულია ტექსტის ორი ვარიანტი, ანუ ორი წაკითხვა, მეორე ტექსტი სქოლიოშია ჩატანილი: Μελησιεδεκίται, οί νυν Ἀθίγγανοι προσαγορευόμενοι. Οί τὸ μὲν Σάββατον φυλάττειν δοκοῦσι, τὴν δὲ σάρκα μὴ περιτέμνεσθαι, μήτε ἄνθρωπον ἄπτεσθαι αὐτῶν ἀνέχόμενοι· ἀλλὰ κἄν δὴ αὐτοῖς ἄρτον, ἢ ὕδωρ, ἢ ἕτερόν τι εἶδος, [καταθέσθαι κελεύουσι·] καὶ οὕτως αὐτοὶ προσερχόμενοι αἴρουσιν αὐτά. Ὡσαύτως καὶ αὐτοὶ ἑτέροις μεταδιδούσιν. Ὅθεν καὶ Ἀθίγγανοι, παρὰ τὸ μὴ ἀνέχεσθαι αὐτοὺς προσψάειν, ἦτοι θίγειν τινός, προσηγορεύθησαν. Σιμωνιανοί, Μενανδριανοί, Βασιλειδιανοί, Νικολαῖται, Μαρκιωνισταί, καὶ οἱ λοιποὶ ὁμόφρονές αὐτῶν. Ὅθεν καὶ οὗτοι προσερχόμενοι τῇ ἀγίᾳ τοῦ θεοῦ Ἐκκλησίᾳ, χρεῖαν ἔχουσι τοῦ σωτηριῶδους βαπτίσματος. Οἱ δὲ χριόμενοι τῷ ἀγίῳ μύρῳ εἰσὶν οὗτοι· Σαββατιανοί, οἱ καὶ Τεσσαρεσκαίδεκαῖται, ἀπὸ Σαββατίου πρεσβυτέρου, καὶ Ναυατιανοῦ· οἱ τὴν μετάνοιαν μὲν ὡσαύτως παραγραφόμενοι, τῇ δὲ ἰδ' τῆς σελήνης ἡμέρα πασχάζοντες Ἰουδαϊκῶς. [Ναυατιανοί,] Ἀρειανοί, Μακεδονιανοί, Ἀπολλινარიσταί. [მელქისედეკიანელები არიან ისინი, რომლებიც ახლა ათინგანებად იწოდებიან. ისინი შაბათის წესს იცავენ, მაგრამ ხორციელ წინადაცვეთას არ ადასრულებენ, ისინი არ დაუშვებენ, რომ მათ ადამიანი შეეხოს. თუკი ვინმე მისცემს მათ პურს, ან წყალს, ან სხვა რაიმე მსგავსს, მოუწოდებენ მათ, რომ ძირს დადონ და უბრალოდ მიდიან და იღებენ მათ.

როგორც ჩანს, უკვე VI საუკუნიდან მელქისედეკიანელები გაიგივებულნი არიან ათინგანებთან. მელქისედეკიანელთა ერეტიკულ მიმდინარეობას, აღნიშნული წყაროს მიხედვით, სახელი შეეცვალა და მათ „ათინგანები“ ეწოდათ.

მელქისედეკიანელთა წარმომავლობის საკითხთან დაკავშირებით, მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის წმ. ეპიფანე კვიპრელი თავის ცნობილ ნაშრომში – „ჰანარიონი“. სამარიტელთა მწვალებლობის განხილვისას იგი მოგვითხრობს მათ ერთ „უგუნურ“ ტრადიციაზე, რომელიც, ვფიქრობთ, პირდაპირ უკავშირდება „ათინგანთა“ ერესს: „სამარიტელები რაღაც სრულ უგუნურებას აღასრულებენ, ისინი ზღურბლთან სუფთავდებიან (განიბანებიან), თითქოსდა შებილწულნი, როდესაც უცხო ქვეყნიდან დაბრუნდებიან. თუკი მათ უცხო ტომელთაგან ვინმე შეეხება, შესამოსელთან ერთად წყალში განიბანებიან, რადგან სიბილწედ მიიჩნევენ ურთიერთობას ან შეხებას ადამიანთან, რომელსაც სხვა სარწმუნოება აქვს“⁹¹.

ვფიქრობთ, სავსებით ნათელია მელქისედეკიანელების, შემდგომ „ათინგანების“, და სამარიტელთა ტრადიციების მსგავსება. ჩვენი აზრით, მელქისედეკიანელთა უმეტეს ნაწილს სწორედ რომ სამარიტელები შეადგენდნენ და, სამარიტელთა უკუღმართი ტრადიციებიდანვე გამომდინარე, მელქისედეკიანელებს „ათინგანები“ ეწოდათ.

გიორგი მცირის ზემოხსენებულ ნაშრომშიც სამარიტელებს, კერძოდ, სიმონ მოგვს უკავშირდება „აწინკიანების“ წარმომავლობა, რომლებსაც ჩვენ, როგორც აღვნიშნეთ, ვუკავშირებთ „ათინგანებს“, იგივე მელქისედეკიანელებს.

ტიმოთე კონსტანტინეპოლელის განმარტებით, „ათინგანებისთვის“ სავალდებულო იყო იუდეური შაბათის აღსრულების რიტუალი. ასევეა გიორგი

ამავე სახით ისინი სხვებს გადასცემენ [რაიმეს]. აქედან გამომდინარე, ათინგანებად იწოდებიან, რადგან არ დაუშვებენ, რომ მათ ვინმე შეეხოს ან მიეკაროს. სიმონიანელები, მენანდრეანელები, ვასილიდეანელები, ნიკოლაიტები, მარკიონელები და სხვა დანარჩენებიც მათი (მელქისედეკიანელთა) მსგავსნი არიან. აქედან გამომდინარე, როცა ისინი შეუერთდებიან ღვთის წმინდა ეკლესიას, [მათთვის] აუცილებელია გამომხსნელობითი ნათლისღება (წყალში შთაფლვა). ხოლო რომელნიც წმინდა მირონს იცხებენ, არიან: შაბათიანელები და თოთხმეტეანელები, შაბათობის უხუცესის (პრესვიტერის), ნოვატიანუსისგან [წარმომავალნი]; ისინი კი, რომლებიც სინანულს უარყოფენ და თვის მე-14 დღეს აღდგომას იუდეველთა მსგავსად აღნიშნავენ, [არიან]: ნოვატიანელები, არიანელები, მაკედონიელები, აპოლინარები].

⁹¹ ἔχουσι δὲ καὶ ἄλλα τινὰ ἀνοίας ἔμπλεα, οὐρα κλισζόμενοι, ἐπὶν ἀπὸ ξένης ἔλθωσι <ὧς> μεμιασμένοι δῆθεν· ὕδατι σὺν ἱματίοις βαπτίζόμενοι, ἐπὶν ἄψωνται ἐτέρου τῶν ἀλλοεθῶν. μιασμὸν γὰρ ἠγοῦνται τὸ τινος ἄψασθαι ἢ τοι θιγεῖν ἄλλου τινὸς ἀνθρώπου ἀπὸ ἄλλου δόγματος. πολλή δὲ ἡ τούτων φρενοβλάβεια (Karl Holl 1922: 200).

მცირის გადმოცემაში, რომლის მიხედვითაც, „აწინკანებისთვის“ მაგიური რიტუალის შესასრულებლად მნიშვნელოვანი დღე იყო შაბათი. შესაბამისად, „ათინგანები“ და „აწინკიანები“ გარკვეულ ძველ იუდაურ ტრადიციებზე დაფუძნებული ერთი და იგივე ერეტიკული მიმდინარეობა უნდა ყოფილიყო.

ვინაიდან ჩვენი ერთ-ერთი მიზანი გიორგი მცირის მიერ ხსენებული „აწინკიანისა“ და ბერძნული ტერმინის – Ἀθίγγανοι – „ათინგანების“ განმარტება და მათი ურთიერთმიმართების კვლევაა, აქედან გამომდინარე, წარმოვაჩინეთ მელქისედეკიანელთა შესახებ იმ ისტორიულ წყაროებს, რომლებიც აღნიშნული ერესის განვითარების ეტაპებსა და მის სახეცვლილებას ასახავს.

წინა თავში ვრცლად განვიხილეთ მელქისედეკიანელთა მწვალებლობა, ამჯერად კვლავ აღვნიშნავთ, რომ მელქისედეკიანელთა ერესთან დაკავშირებით, უაღრესად მნიშვნელოვანი წყარო გახლავთ წმინდა მარკოზ მონაზონის ნაშრომი – „მელქისედეკიანელთა შესახებ“. ეს ძეგლი ქართულად თარგმნილია წმინდა ეფრემ მცირის მიერ. აღნიშნული ნაშრომი დოგმატურ-პოლემიკური ხასიათისაა და მიმართულია საკუთრივ მელქისედეკიანელთა ერესის წინააღმდეგ, ამდენად, იგი მეტად მნიშვნელოვანია ჩვენი მსჯელობისთვის.

მარკოზ მონაზონის უწყებით, მელქისედეკიანელობა იყო გნოსტიკურ-ერეტიკული სექტა. მათი წარმომადგენლები მელქისედეკის პიროვნებას ძე ღმერთის პიროვნებასთან აიგივებდნენ და ამით იესო ქრისტეს განკაცებას უარყოფდნენ. *ეფრემ მცირე*: „და კუალად იგინივე იტყვან, ვითარმედ „არათუმცა ღმერთი იყო, ვითარმცა უმამო და უდედო იყო?“. ამის მიერ ცხად არს, ვითარმედ არღარა ძე ყოფად იტყვან მელქისედეკს, არამედ ნუუკუე და მამად: «გარნა სიტყუად ღმრთისაჲ პირველ ჯორცმესხმისაცა და მარიამისგან შობისა ძე ღმრთისაჲ არს»; და ვითარ უმამო არს სიტყუად ღმრთისაჲ ჰოდ ამაოებისა მზრახველნო“?⁹²

⁹² SC.: Πάλιν οἱ αὐτοὶ φασι· Εἰ μὴ ἦν Θεός, πῶς ἀπάτωρ, ἀμήτωρ; Ἐν τοῦτῳ δέ, ὡς ἔοικεν, οὐκ ἐπιτίθεται λέγουσι εἶναι τὸν Μελχισεδέκ, ἀλλὰ τάχα Πατέρα. Καὶ φασι· Ἡμεῖς οὐ λέγομεν αὐτὸν Πατέρα, ἀλλὰ τὸν Θεὸν Λόγον πρὶν ἢ σαρκωθῆναι καὶ ἐκ Μαρίας γεννηθῆναι. (Durand 2000: 184). [ისინი კვლავ ამბობენ: „თუკი [ის] არ იყო ღმერთი, როგორ იყო უმამო და უდედო?“ – მათი მსჯელობის თანახმად, მელქისედეკი ძე კი არ არის, არამედ უფრო მამა. ისინი კი ამბობენ: „ჩვენ არ ვამბობთ, რომ ის მამაა, არამედ არის ღმერთი სიტყვა, ვიდრე ხორცს შეისხამდა და მარიამისგან იშვებოდა“; და როგორ იქნებოდა უმამო ღმერთი სიტყვა, ამოდმზრახველნო?] შდრ. A-60, 45r.

მარკოზ მონაზონი ასევე გვამცნობს, რომ მელქისედეკიანელთა ერესმა, გარკვეული დროით, საკუთრივ ეკლესიის წიაღშიც კი შეაღწია, რის შემდეგაც ეპისკოპოსების მიერ მელქისედეკიანელები ეკლესიიდან განიკვეთნენ. *ეფრემ მცირე*: „რამეთუ განიყარნეს რად წმიდათა ეპისკოპოსთაგან და შეიჩუენნეს, სადაცა უცნაურ-იყვენ ეზიარებინა ფარულად და კრებათა ჰყოფენ და ესე არს, რომელი-იგი პირველ ვთქუთ, ვითარმედ საიდუმლოთაცა ქრისტესცა და განგებულებასა მისსა დააკნინებენ. არა ხოლო ესე, არამედ, დაღათუ ოდესმე ზმნობითითა მით ღმრთის მოშიშებითა მათითა უძლონ სარწმუნო-ყოფად თავთა თვსთა წინაშე ეპისკოპოსთა და ქორეპისკოპოსთა, მყის ფარულად შეასმენენ ნამდვლვე მორწმუნეთა და მართლმადიდებელთა, ვითარცა ბოროტად მზრახვალთა და საძულელ-ყოფასა ანუ განდევნასაცა მოუშაადებენ მათ“⁹³.

როგორც აღინიშნა, წმინდა ეპიფანე კვიპრელი „პანარიონის“ 55-ე ქვეთავში⁹⁴ მელქისედეკიანელთა მწვალებლობას განაქიქებს და აღნიშნული ერესის გამოვლინების იმ რამდენიმე სახეს წარმოგვიდგენს, რომელიც იმ დროისთვის იყო ცნობილი (Migne 1863(b): 972).

წმინდა იოანე ოქროპირი (349-407 წწ.) ნაშრომში „მელქისედეკის შესახებ“ ამგვარ ცნობას გვაწვდის: [... რადგან ბევრმა ვერ გაიაზრა მელქისედეკის შესახებ დაწერილი, თქვეს, რომ მელქისედეკი ქრისტეზე აღმატებულია, მათ შექმნეს თავიანთი ერესი და იწოდებიან მელქისედეკიტებად, ჩვენ გვეკამათებიან და სურთ დამტკიცონ, რომ ის ქრისტეზე აღმატებულია, ხოლო სხვები, რომლებიც ასევე ცდომილებაში არიან, ამბობენ, რომ მელქისედეკი არის სულიწმინდა]⁹⁵.

წმინდა კირილე ალექსანდრიელიც (375-444 წწ.) ცნობილი ნაშრომის – „გლავირების“ I თავში მელქისედეკიანელთა ერესის გამოვლინების ორ სახეზე მოგვითხრობს: [ის, ვინც შეპყრობილია ქრისტეს წინააღმდეგ ბრძოლით, თავისთავად, სხვებზე უწინარეს გამოიჩენს ცნობისმოყვარეობას, [იმის შესახებ], თუ ვინ იყო

⁹³ SC.: Ἀφορισθέντες γὰρ ἀπὸ τῶν ἀγίων ἐπισκόπων καὶ ἀναθεματισθέντες, ὅπου ἀγνοοῦνται καὶ κοινωνοῦσι λάθρα καὶ συνάγονται, τούτέστιν ὁ προειρήκαμεν, ὅτι καὶ τὸ μυστήριον τοῦ Χριστοῦ καὶ τὴν οἰκονομίαν εὐτελεῖζουσιν. Οὐ μόνον δὲ τοῦτο, ἀλλ’ εἰ καὶ ποτε διὰ τῆς ἐπιπλάστου εὐλαβείας πιστοποιῆσαι ἑαυτοὺς δυνήθωσι παρ’ ἐπισκόποις ἢ περιοδευταῖς, εὐθὺς τοὺς ὄντως πιστοὺς καὶ ὀρθοδόξους διαβάλλουσι λαθραίως ὡς κακόφρονας καὶ μισεῖσθαι ἢ διώκεσθαι παρασκευάζουσιν. (Durand 2000: 218). შდრ. A-60, 55r.

⁹⁴ 55-ე თავი ძველ ქართულ ტექსტში გამოტოვებულია (იქვე: 134).

⁹⁵ Ἄλλ’ ἐπειδὴ πολλοὶ μὴ νοήσαντες τὰ περὶ αὐτοῦ γεγραμμένα, καὶ μείζονα τοῦ Χριστοῦ αὐτὸν εἶναι εἰρήκασιν, καὶ συνεστήσαντο ἑαυτοῖς αἴρεσιν, καὶ λέγονται Μελχισεδεკიტαί, καὶ φιλονεικοῦσιν ἡμῖν, δεῖξαι βουλόμενοι, ὅτι μείζων ἐστὶ τοῦ Χριστοῦ, Ἄλλοι δὲ πάλιν πλανηθέντες λέγουσιν αὐτὸν εἶναι τὸ Πνεῦμα τὸ ἅγιον· (Migne 1862(a): 260).

მელქისედეკი. ზოგიერთები [წმინდა წერილისთვის] უცხო აზრებით არიან გაბრუებულები მელქისედეკის შესახებ, როცა უგუნურად ცვივდებიან ამოადმეტყველებაში და ღვთივსულიერი წერილის გადმოცემას უგულვებელყოფენ. ერთნი ჩვენ წინააღმდეგ ამბობენ, რომ სულიწმინდა მელქისედეკის სახით შეხვდა გამარჯვებულ აბრაამს და ეჩვენა. ხოლო მეორენი ასე არ ამბობენ, რადგან, ვფიქრობ, შიშობენ რა, რომ ასეთი რამ არის სრული გადახრა მცდარი აზრისკენ, ისინი ამტკიცებენ, რომ ანგელოზთა სიმრავლის ნათელი და გამორჩეული ძალა იყო [მელქისედეკი]]⁹⁶.

VI საუკუნის შემდეგ ცნობები მელქისედეკიანელთა ერესის შესახებ ნაკლებად მოგვეპოვება. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ტიმოთე კონსტანტინეპოლის ნაშრომის – „ეკლესიაში მომსვლელთა შესახებ“ – მიხედვით, უკვე VI საუკუნიდან მელქისედეკიანელები გაიგივებულები არიან „ათინგანებთან“. რაც შეეხება „ათინგანებს“, მათ შესახებ რამდენიმე, შედარებით გვიანდელი (VIII-XI სს.), ბერძნული და ერთი ქართული წყარო (ვგულისხმობთ გიორგი მცირის მიერ გადმოცემულ უწყებას) არსებობს. წყაროებიდან ირკვევა, რომ მოგვიანებით მელქისედეკიანელთა ერეტიკულ მიმდინარეობას სახელწოდება შეეცვალა და მელქისედეკიანელებს „ათინგანები“ ეწოდათ, ხოლო გიორგი მცირე მათ უწოდებს – „აწინკიანებს“. ხსენებულ გვიანდელ ბერძნულ ცნობებს ქვემოთ თანმიმდევრობით განვიხილავთ.

ქრონოლოგიურად მომდევნო ბერძნულ წყაროს, რომელშიც საუბარია „ათინგანებზე“, წარმოადგენს ღირსი თეოფანე სილრიანელის (დაახლ. 760-818 წწ.) ნაშრომი „ქრონოგრაფი“. ამ ნაშრომში აღწერილია ქრისტიანული ეკლესიის ისტორია 285 წლიდან 813 წლამდე. იმ ნაწილში, სადაც საუბარია ბიზანტიის იმპერატორ ნიკიფორე I-ის (დაახლ. 760-811 წწ.) შესახებ, ღირსი თეოფანე ამგვარ ცნობას გვაწვდის: [(ნიკიფორე) გულითადი მეგობარი იყო მანიქეველებისა, რომლებიც ახლა პავლიკიანელებად იწოდებიან, და ათინგანებისა, რომლებიც ფრიგიასა და

⁹⁶ Φιλοπευστήσσει δὲ ἴσως καὶ πρὸ γε τῶν ἄλλων, ὁ χριστομαχεῖν ἠρημένως, τίς δὴ ἄρα γέγονεν ὁ Μελχισεδέκ. Διαφόροις γὰρ δόξαις ταῖς ἐπ' αὐτῷ καταμεθύουσι τινες, ὕθλοις εἰκαίοις ἀσυνέτως ἐνολισθήσαντες, καὶ τοῖς ἕθεσι τῆς θεοπνεύστου Γραφῆς οὐ σφόδρα προσεσεχικότες. Οἱ μὲν γὰρ ὡς ἐν φάσματι καὶ εἶδει μόνῳ τῷ καθ' ἡμᾶς τὸ Πνεῦμα τὸ ἅγιον ὑπαντήσασαι, καὶ μόνον ὀφθῆναί φασι νευικηκότι τῷ Ἀβραάμ. Οἱ δὲ τοῦτο μὲν οὐχί' δεδίασι γὰρ, οἶμαί σου, τὸ πολὺ λίαν ἀπονευεुकὸς εἰς τὸ ἀκαλλῆξ, δύναμιν δὲ εἶναι δι᾽ ἰσχυρίζονται τῆς τῶν ἀγγέλων πληθῆος περιφανῆ τε καὶ ἔκκριτον (Migne 1864(d): 84).

ლიკაონიაში მის მეზობლად ცხოვრობდნენ. ნიკიფორე ხარობდა მათი მკითხაობითა და რიტუალებით და იმ დროს, როცა მას დაუპირისპირდა პატრიციუსი ვარდანესი, *ათინგანებს* მოუხმო და მათი ჯადოქრობით დაიმორჩილა ის. მართლაც, *ნიკიფორმა ხარი ორმოში რქებით რკინის ბოძზე მიაბა და თავი მიწაზე დაადებინა და როცა ხარმა დაიწყო ღრიალი და ტრიალი, მოაკვლევინა, ვარდანესის შესამოსელი წისქვილში უკულმა დაატრიალა და ჯადოქრული შელოცვების მეშვეობით გამარჯვება მოიპოვა*, მას შემდეგ, რაც უფალმა [ეს] დაუშვა ჩვენი ცოდვების სიმრავლის გამო⁹⁷.

როგორც გადმოცემიდან ჩანს, იმპერატორი ნიკიფორე „ათინგანების“ მწვალებლური სწავლებების განსაკუთრებულ გავლენას განიცდიდა. ღირსი თეოფანეს მიერ სწორედ „ათინგანების“ მაგიური რიტუალებია აღწერილი, რომლებსაც ნიკიფორე მტრების წინააღმდეგ იყენებდა. ჩვენი მსჯელობისთვის მნიშვნელოვანია იმის ხაზგასმა, რომ „ათინგანების“ ერესისტვის, ერთი მხრივ, დამახასიათებელი იყო, სხვა მწვალობლობების მსგავსად, ჭეშმარიტების გაუკუღმართება სწავლების ანუ მოძღვრების თვალსაზრისით, მაგრამ „ათინგანებს“, მეორე მხრივ, სხვა ერესებისგან გამოარჩევდა განსაკუთრებული მაგიური კულტმსახურება, რომელიც ვლინდებოდა ცხოველთა მსხვერპლშეწირვითა და შელოცვის რიტუალებით. წყაროების მიხედვით, ეს მახასიათებლები მათ შეიძინეს მხოლოდ მას შემდეგ, რაც „ათინგანები“ ეწოდათ. მელქისედეკიანელებად აღნიშნული ერესის მიმდევრები გვიანდელ წყაროებში აღარ იწოდებიან. „ქრონოგრაფში“ აღწერილი მაგიური კულტმსახურება მსგავსია გიორგი მთწმინდელის ცხოვრებაში მოთხრობილი მაგიური რიტუალისა. აღნიშნული გარემოებაც ადასტურებს, რომ „ათინგანები“ იგივე „აწინკიანები“ არიან, როგორც მათ გიორგი მცირე უწოდებს.

შემდეგი ცნობა, სადაც თეოფანე კვლავ „ათინგანებს“ ახსენებს, მოგვითხრობს მეტად საინტერესო ამბავს, რომელიც ბიზანტიის იმპერატორ მიქაელ I რანგავის (დაახლ. 770-844 წწ.) მმართველობის პერიოდს უკავშირდება. როცა ღვთისმოსავმა იმპერატორმა, საღვთო განგებულებით, ერეტიკოსებს და, მათ შორის, „ათინგანებსაც“,

⁹⁷ τῶν δὲ Μανιχαίων, τῶν νῦν Παυλικιανῶν καλουμένων, καὶ Ἀθιγγάνων τῶν κατὰ Φρυγίαν καὶ Λυκαονίαν, ἀγγιχειτόνων αὐτοῦ, φίλος ἦν διάπυρος, χρησιμοῖς καὶ τελεταῖς αὐτῶν ἐπιχαίρων, ἐν οἷς ὅταν Βαρδάνης ὁ πατρικίος ἐπανεῖστη αὐτῷ, τούτους προσκαλεσάμενός, ταῖς αὐτῶν μαγγανείαις τοῦτον ὑπέταξεν. ταῦρον γὰρ ἐν τινὶ λάκκῳ ἐν σιδηρῷ πάλῳ ἐκ τῶν κεράτων προσδῆσας εἰς γῆν νενευκότα, οὕτω μυκώμενον καὶ εἰλυσπώμενον ἀποκτανθῆναι πεποίηκεν, τὴν δὲ τοῦτου ἐσθῆτα ἐν μύλωνι ἀλήσας ἀντιστρόφως, καὶ ἐπαοιδίαις χρῆσάμενος νίκην ἤρατο, παραχωρήσαντος τοῦ θεοῦ διὰ πλῆθος ἀμαρτιῶν ἡμῶν (Boor 1883: 488).

სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა: [ღვთის დიდი მოშურნეობით აღძრულმა ღვთისმოსავმა მეფემ, წმინდა პატრიარქ ნიკიფორესა და სხვა ღვთისმოსავი ადამიანების რჩევით, მანიქველების, ახლანდელი პავლიკიანელებისა და ათინგანების მიმართ, რომლებიც იყვნენ ფრიგიასა და ლიკონიაში, სიკვდილით დასჯა განაწესა. მაგრამ მეფემ შეცვალა [ბრძანება], სხვა უზნეო მრჩეველების გამო, მათ ამის საბაზად [სიკვდილმისჯილთა] სინანული [დაასახელეს]. ... მაგრამ ღვთისმოსავმა მეფე მიქაელმა უღმერთოთაგან არცთუ ისე ცოტა ამოწყვიტა]⁹⁸. ამის შემდეგ ღირსი თეოფანე მოგვითხრობს, თუ როგორ აღმოჩნდა ადამიანთა გარკვეული ჯგუფი კვლავ ერეტიკული სექტების გავლენის ქვეშ და მიეცა უზნეობასა და გარყვნილებას. ბოლოს კი, ავტორი გვამცნობს, თუ რა ხვედრი ერგოთ ათინგანებს: [(მოსახლეობამ) შეწყვიტა რა დადანაშაულება ადამიანთა ბოროტმზრახველობისა (=მრავალი ადამიანის ბოროტი აზრისა) და ღვთისმებრძოლი პავლიკიანელების, ათინგანების, ხატმებრძოლებისა და თოთხმეტიანელების ერესების, რომლებიც იზრდებოდა (რომ არაფერი ვთქვა მრუშობისა და სიძვის, გარყვნილებისა და ცრუ ფიცის, მმათმოძულეობისა და სიძუნწის შესახებ) და სხვა დანარჩენი უკანონობისა. ... მეფე მიქაელმა ათინგანებს ქონება ჩამოართვა და განდევნა ლეონის, აღმოსავლეთის მხედართმთავრის, მეშვეობით]⁹⁹.

იმდენად მძიმე და უკუურნებელი სენით იყვნენ შეპყრობილნი ეს ერეტიკული ჯგუფები, რომ მათ, ღვთის განგებულებით, რომელსაც ამ შემთხვევაში ბიზანტიის იმპერატორის ბრძანება განაცხადებდა, სიკვდილი განეკუთვნათ. ღირსი თეოფანეს გადმოცემით, ცოდვისა და გაუკუღმართების ხარისხის მიხედვით, პავლიკიანელების, „ათინგანების“, ხატმებრძოლებისა და თოთხმეტიანელების ერესები ერთ რანგში, ერთ სიბრტყეზე განიხილება.

⁹⁸ ζήλω δὲ Θεοῦ πολλῶν κινηθεὶς ὁ εὐσεβέστατος βασιλεὺς κατὰ Μανιχαίων, τῶν νῦν Παυλικιάνων, καὶ Ἀθιγγάνων τῶν ἐν Φρυγίᾳ καὶ Λυκαονίᾳ, κεφαλικὴν τιμωρίαν ἀποφηνάμενος ταῖς Νικηφόρου, τοῦ ἁγιοτάτου πατριάρχου, καὶ ἄλλων εὐσεβῶν εἰσηγήσεσιν ἀνετρέπη δι' ἑτέρων κακοτρόπων συμβούλων προφάσει μετανοίας, ὑπερ ἧν ἀδύνατον τοὺς τῆ πλάνῃ ἐκεῖνῃ ἐαλωκότας μετανοῆσαι. ... ἀλλ' ὁ εὐσεβὴς βασιλεὺς Μιχαὴλ οὐκ ὀλίγους αὐτῶν ἀπέτεμεν (οἰ. ὀქτ. col. 494)

⁹⁹ καὶ τὰς τῶν πολλῶν κακοδοξίας οἱ τὰς θεομάχους αἰρέσεις πλεοναξούσας Παυλικιάνων καὶ Ἀθιγγάνων, Εἰκονοκλαστῶν καὶ Τετραδιτῶν ἀφέντες αἰτιᾶσθαι (ἀφῶ γὰρ λέγειν μοιχείας καὶ πορνείας, ἀσελγείας τε καὶ ἐπιορκίας, μισαδελφίας τε καὶ πλεονεξίας,) καὶ τῶν λοιπῶν παρανομῶν. ... τοὺς δὲ Ἀθιγγάνους δημεύσας ἐξορία παραδέδωκε διὰ Λέοντος, τοῦ στρατηγοῦ τῶν ἀνατολικῶν (οἰ. ὀქτ. col. 496-497)

ქრონოლოგიურად, „ათინგანების“ შესახებ მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის შემდეგი წყარო, ე. წ. „თეოფანეს გამგრძელებლის ქრონიკა“, რომელიც მოიცავს ბიზანტიის ისტორიის 813-961 წლებს. ამ წყაროში ბიზანტიის იმპერატორ მიქაელ II-ის ბიოგრაფიული ცნობებია წარმოდგენილი. მოცემული ცნობები ასევე ნათელს ჰფენს „ათინგანების“ (ერეტიკულ) ცხოვრების წესებსა და რიტუალებს: [მიქაელი დაიბადა ქალაქში, რომელიც იწოდება ამორიად, ქვემო ფრიგიაში, სადაც საკმაოდ დიდი ხანია ცხოვრობენ იუდეველების და ვიღაც ათინგანების ხალხები, ხოლო [მათი] ერთმანეთთან კავშირისა და მჭიდრო ურთიერთობის გამო, რაღაც ერესი აღმოცენდა, რომელსაც ახალი სახე და სწავლებები ჰქონდა. მიქაელი ამ ერესის თანაზიარი იყო. მან ეს მამისგან მემკვიდრეობით მიიღო. იმათ, რომლებიც აღასრულებდნენ რიტუალს, ეს ერესი ნებას რთავდა, მონაწილეობა მიეღოთ გამომხსნელობით, საღვთო ნათლობაში (საბანელში), რასაც ისინიც აღიარებდნენ. ერესი ყოველივე დანარჩენს, წინადაცვეთის გარდა, მოსეს კანონის მიხედვით იცავს და მიჰყვება. ერესის საიდუმლოში განდობილს საკუთარ სახლში ჰყავდა მასწავლებელი და გარკვეული წინამძღოლი, რომელიმე ებრაელი კაცი ან ქალი, რომლებიც არ იყვნენ სრული ნათლისღებით მონათლულნი. ასეთ წინამძღოლს [ერესში განდობილი] მიანდობდა არა მხოლოდ საკუთარ სულს, არამედ სახლეულობის მმართველობასაც (მართვეას) მისი ზედამხედველობის ქვეშ გადასცემდა]¹⁰⁰.

მეტად მნიშვნელოვანი ფაქტია ნაუწყები „თეოფანეს გამგრძელებლის ქრონიკაში“. იუდეველური გაუკუღმართებისა და „ათინგანების“ ერესის შერწყმის შედეგად წარმოიშვა კიდევ სხვა, რაღაც ახალი, მწვალებლობა, რომლის მიმდევარიც იყო იმპერატორი მიქაელ II. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამ წყაროშიც გადმოცემულია გაუკუღმართების ორი სახე, პირველი – კულტმსახურებითი, რომელიც „ათინგანების“ მაგიურ რიტუალებს მოიცავს, და მეორე – სწავლა-მოდღვრებითი, რომელიც ამ

¹⁰⁰ ἦνεγκε μὲν οὖν αὐτὸν ἢ κατὰ τὴν ἄνω Φρυγίαν πόλιν Ἀμόριον οὕτω καλουμένη, ἐν ἣ καὶ Ἰουδαίων καὶ τινῶν Ἀθιγγάνων πλῆθος αἰεὶ πως ἐγκατοικίζεται· καὶ τις δὲ αἴρεσις ἐκ τῆς ἀλλήλων κοινωνίας καὶ διηνεκοῦς ὁμιλίας καινὸν ἔχουσα τρόπον καὶ δόγματα ἐπιφύεται, ἧς καὶ αὐτὸς μετέσχεν ἐκ πατέρων διαδεξάμενος. αὕτη δὲ τοῦ μὲν θείου λουτροῦ ὡς σωτηριῶδους ὄντος καὶ παρ’ αὐτοῦς διωμολογημένου τοὺς τελοῦμένους μεταλαγχάνειν ἀνίησι, τὰλλα δὲ παντὰ σώζει φυλάττουσα κατὰ νόμον τὸν Μωσαϊκόν, πλὴν τῆς περιτομῆς. διδάσκαλον δὲ καὶ οἶον ἔξαρχον ὁ ταύτην μεμύσταγωγῆμένος Ἑβραῖόν τινα ἢ Ἑβραΐδα κέκτηται, τοῦ θείου τελέως βαπτίσματος ἀπεχόμενον, κατὰ τὸν ἑαυτοῦ οἶκον, ὃ καὶ τὰ ἑαυτοῦ οὐ μόνον τὰ ψυχικὰ ἀλλὰ δὴ καὶ τὰς κατ’ οἶκον οἰκονομίας ἐμπιστεύει καὶ ὑπο χεῖρα δίδωσι τὴν αὐτοῦ (Bekker 1838: 42).

შემთხვევაში, იუდეველებისა და „ათინგანების“ გაუკუღმართებულ სწვალებათა შერწყმასა და სახეცვლილებას გულისხმობს.

როგორც ჩანს, იუდეველებმა და „ათინგანებმა“ წარმოქმნეს ახალი ერეტიკული მიმართულება, რომლის სახელწოდებაც წყაროში არა არის მითითებული. ჩვენთვის ამ შემთხვევაშიც მნიშვნელოვანია მიუვითითოთ „ათინგანების“ მაგიურ კულტმსახურებაზე, რომელიც ყველა წყაროში დასტურდება.

„ათინგანები“ „თეოფანეს გამგრძელებლის ქრონიკაში“ მოხსენიებულნი არიან ეთნიკურ იუდეველებთან ერთად და, ამ შემთხვევაში, მათაც უკვე მიკუთვნებული აქვთ გარკვეული ეთნიკური ჯგუფის მახასიათებელი: [...საკმაოდ დიდი ხანია ცხოვრობენ იუდეველების და ვიღაც ათინგანების ხალხები].¹⁰¹ ბერძნული სიტყვა – „πληθις“ ითარგმნება, როგორც „სიმრავლე“, ასევე – „ხალხი“, „მოსახლეობა“. ამ შემთხვევაში, სიტყვის „πληθις“ მართებული თარგმანი სწორედ „ხალხი“ უნდა იყოს. უფრო ადრინდელი წყარო – „ქრონოგრაფი“ კი, როგორც ვნახეთ, „ათინგანებს“ ჯერ კიდევ სხვა ერესების გვერდით ასახელებს, ჩვეულებრივ ერესად მიიჩნევს და არა ეთნიკურ ჯგუფად. აქედან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ უნდა გამოიყოს მელქისედეკიანელთა ერესის ისტორიის სამი ეტაპი:

პირველი ეტაპი მოიცავს მელქისედეკიანელთა ერესის წარმოქმნასა და შემდეგ ამ ერესის სხვადასხვა სახით ჩამოყალიბებას, რასაც თავდაპირველად გვამცნობს იპოლიტე რომაელი ანტიერეტიკულ ნაშრომში „ფილოსოფუმენა ანუ ყველა ერესის მხილება“, ხოლო შემდეგ ეპიფანე კვიპრელი, იპოლიტე რომაელის ნაშრომზე დაყრდნობით, „პანარიონში“ წარმოგვიდგენს მელქისედეკიანელთა ერესის გამოვლინების რამდენიმე სახეს.

მეორე ეტაპი გულისხმობს მელქისედეკიანელთა ერესის სახელწოდების ცვლილებას – „ათინგანებად“, რასაც გვამცნობს ტიმოთე კონსტანტინეპოლელი ნაშრომში „ეკლესიაში მომსვლელთა შესახებ“. სწორედ ეს არის პირველი წყარო, რომელშიც მელქისედეკიანელები „ათინგანებად“ იწოდებიან. როგორც აღვნიშნეთ, მელქისედეკიანელთა ერესის პირვანდელი სახელწოდება მომდინარეობს მათი მწვალებლური სწავლებიდან. ისინი სალემის მეფის, მელქისედეკის, პიროვნების შესახებ არამართებულ და მკრეხელურ სწავლებებს გადმოსცემდნენ. ეს მეორე ეტაპი,

¹⁰¹ ἐν ἧ καὶ Ἰουδαίων καὶ τινῶν Ἀθιγγάνων πληθὸς ἀεὶ πᾶς ἐγκατοικίζεται· (იხ. იქვე: col. 42).

ჩვენი აზრით, გარდამავალია, როდესაც მელქისედეკიანელთა ერეტიკული ჯგუფის სახელწოდება შეიცვალა. ამ ჯგუფს კი, როგორც ტიმოთე კონსტანტინეპოლელი გვამცნობს, ეწოდათ „ათინგანები“. წყაროების მიხედვით, მელქისედეკიანელთა სექტის უმრავლესობას წარმოადგენდნენ სამარიტელები. სწორედ სამარიტელთა მოძღვრების არამართებულ ჩვეულებათა და ტრადიციათა წინა პლანზე წამოწევის გამო ეწოდათ მელქისედეკიანელებს „ათინგანები“, ანუ „შეუხებლები“, „მიუკარებლები“.

რაც შეეხება მელქისედეკიანელთა ერესის ისტორიის მესამე ეტაპს. ღირსი თეოფანე ნაშრომში „ქრონოგრაფი“, როგორც აღვნიშნეთ, „ათინგანებს“ ჯერ კიდევ სხვა ერესების გვერდით ასახელებს და მათ უწოდებს არა მელქისედეკიანელებს, არამედ „ათინგანებს“. მაგრამ აღნიშნული წყაროს მიხედვით, ამ ეტაპზე „ათინგანებში“ გამოიკვეთა სამი ნიშან-თვისება: მელქისედეკიანელთა ერეტიკული სწავლება, სამარიტელთა ტრადიცია და გარკვეული უცხო ეთნიკური ჯგუფის მაგიური რიტუალები, რომლებსაც სახელშეცვლილი „ათინგანები“ აღასრულებდნენ.

„თეოფანეს გამგრძელებლის ქრონიკის“ მიხედვით კი იუდეველები და „ათინგანებიც“ თავიანთ სწავლებებსა და კულტმსახურებებთან ერთად ამჯერად უკვე წარმოდგენილნი არიან, როგორც ორი ეთნიკური ჯგუფი. ის ხალხები კი, რომლებიც ამ ჯგუფებს მიეკუთვნებოდნენ, ცხოვრობდნენ ფრიგიის ტერიტორიაზე. მარკოზ მონაზონი მელქისედეკიანელებს იუდეველურ ერესში ადანაშაულებს¹⁰². მელქისედეკიანელთა დიდი ნაწილი სამარიტელი იყო და, აქედან გამომდინარე, განიცდიდა იუდეურ მწვალებლობათა გავლენას. როგორც აღვნიშნეთ, მელქისედეკიანელთა, შემდგომ „ათინგანელთა“, იუდეურ გავლენაზე საუბრობს ტიმოთე კონსტანტინეპოლელი (Migne 1865a: 33). და ამავეს ადასტურებს გიორგი მცირეც, როცა „აწინკიანელებზე“ მოგვითხრობს (აბულაძე, და სხვ., 1967: 136-137).

თავად მარკოზ მონაზონის მოღვაწეობის გეოგრაფიულ ადგილად „დიდ სვნაქსარში“ (მთარგმნელი – წმ. გიორგი მთაწმინდელი) მცირე აზია, კერძოდ, ანკვირია სახელდება (შდრ. დოლაქიძე... 2018: 179). მელქისედეკიანელთა ერესიც მცირე აზიის ტერიტორიაზე იყო გავრცელებული, რასაც ადასტურებს „თეოფანეს გამგრძელებლის ქრონიკაც“, როცა მოწმობს, რომ „ათინგანები“, იგივე მელქისედეკიანელები, მცირე

¹⁰² A-60, 45.

აზიასა და საკუთრივ ფრიგიაში სახლობდნენ¹⁰³. იუდეველებმა კი, გამომდინარე იქიდან, რომ მათი ნაწილი ისტორიულად მელქისედეკიანელთა ერესის თანაზიარი იყო, რაღაც ახალი მწვალეობა ადვილად ჩამოაყალიბეს „ათინგანებთან“, ყოფილ მელქისედეკიანელთან, რომლებმაც უკვე გარკვეული ეთნიკური ჯგუფის სახე მიიღეს.

„თეოფანეს გამგრძელებლის ქრონიკა“ კიდევ ერთ მნიშვნელოვან ცნობას გვაწვდის „ათინგანებზე“. როგორც ირკვევა „ათინგანებისთვის“, გარდა მაგიური რიტუალებისა, დამახასიათებელი იყო მისნობა და მჩხიბაობა: [ერთმა ათინგანმა, [მხედართმთავრის] შინაურმა ნაცნობმა უთხრა მხედართმთავარს, რომ სწორედ მიქაელი და ვიღაც ერთი ადამიანი მალე სახელოვანნი გახდებოდნენ და მიაღწევდნენ თავად სამეფო ძალაუფლებას. ... მართლაც, მიქაელმა ათინგანი მისნის ეს ნათქვამი მიიჩნია, როგორც რაღაც ღვთაებრივი წინასწარმეტყველება]¹⁰⁴.

უკანასკნელ ბერძნულ წყაროს წარმოადგენს ეგნატე დიაკონის (დაახლ. 785-847 წწ.)¹⁰⁵ მიერ დაწერილი წმინდა ნიკიფორე კონსტანტინეპოლელის ცხოვრება, სადაც „ათინგანები“ კვლავ იუდეველებთან ერთად არიან მოხსენიებულნი, მაგრამ ამ შემთხვევაში ავტორი „ათინგანებს“ ფრიგიელების სახელით მოიხსენებს. წყაროების მიხედვით, „ათინგანები“ ფრიგიაში დიდი ხნის განმავლობაში ცხოვრობდნენ, საბოლოოდ კი, სრულფასოვანი ეთნიკური ჯგუფის სახე მიიღეს. შესაბამისად, ეგნატე დიაკონი „ათინგანებს“, მათი გეოგრაფიული საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ფრიგიელებს უწოდებს¹⁰⁶ [ამრიგად, საღვთო მოშურნეობა სხვა გზისკენ აღძრავდა ნიკიფორს და ის წარემართებოდა ურწმუნო და საშინელი ერესების წინააღმდეგ, იმ დროს, როცა [ერეტიკოსები] ურცხვად აღასრულებდნენ თავიანთ შემადრწუნებელ სისამაგლით სავსე რიტუალებს, ვგულისხმობ იუდეველებსა და ფრიგიელებს, რომლებმაც შესვეს მანის ხრიკის ურწმუნოების სასმელი. ... [ეს ყველაფერი] ნიკიფორმა წარმოაჩინა (თხოვნის) წერილის მეშვეობით, და, ერთი მხრივ, ამხილა

¹⁰³ ეპიფანე კვიპრელის გადმოცემით, აღნიშნული ერესი ასევე გავრცელებული იყო ეგვიპტის ტერიტორიაზე, შდრ. (Migne 1863(b): 988).

¹⁰⁴ τῶν Ἀθιγγάνων τις γνωστός τε καὶ οἰκεῖος τῷ στρατηγῷ ὦν αὐτόν τε τοῦτον Μιχαὴλ καὶ τινα ἕτερον περιβοήτους ἔσεισθαι μετ' οὐ πολὺς διηγήρευε καὶ βασιλείας αὐτῆς ἐπιτυχεῖν οὐκ εἰς μακρὰν Ταύτην οὖν τὴν τοῦ Ἀθιγγάνου μάντεως φωνὴν ὡς θεῖαν τινα πρόρησιν ὁ Μιχαὴλ ἐνηγήθει. (Bekker 1838: 44-46).

¹⁰⁵ შემდგომ – ნიკეის მიტროპოლიტი (829-843 წწ.).

¹⁰⁶ (შდრ.: Speck 2007: 35).

იუდეველთა მიერ მეუფის მკვლელობა, ხოლო, მეორე მხრივ, ფრიგიელთა მახინჯი (უგუნური) ყბედობა და შემუსრა მანიქველური ზმანება]^{107 108}.

ჩვენ მიერ განხილულ საკითხთან დაკავშირებით, აუცილებელია მოვიხმოთ ცნობილი ავსტრიელი ენათმეცნიერის და მკვლევარის ფრანც მიკლოშვეიჩის (1813-1891 წწ.) ნაშრომი – «Über den Ursprung des Wortes „Zigeuner“»¹⁰⁹, რომელშიც ის გერმანული ტერმინის – Zigeuner წარმომავლობას განმარტავს. ეს სიტყვა ქართულ ენაზე ითარგმნება, როგორც „ციგანი“ ან „ბოშა“. მიკლოშვეიჩის მითითებით, გერმანული სიტყვა Zigeuner მომდინარეობს ბულგარული სიტყვებისგან – aciganь, aciganinь, ciganь, ხოლო ბულგარული ტერმინი, თავის მხრივ, მომდინარეობს ბერძნული სიტყვისგან – Ἀθίγγανοι (შდრ. Miklosich 1877: 55).

მიკლოშვეიჩის განმარტებით, ტერმინი – Zigeuner „ციგანი, ბოშა“ – მომდინარეობს ერეტიკული სექტის სახელწოდებიდან – Ἀθίγγανοι, რომელიც XI საუკუნეში იყო გავრცელებული მცირე აზიაში. შესაბამისად, როცა გიორგი მცირე თავის ნაშრომში აღნიშნულ ერესზე მოგვითხრობს, მოცემული სახელწოდება – Ἀθίγγανοι – ტრანსლიტერაციით გადმოაქვს: „აწინკიანი“.

მიკლოშვეიჩის აზრით, არსებობს სამი მიზეზი იმისა, თუ როგორ შეიძლება უკავშირდებოდეს სიტყვა Zigeuner („ციგანი, ბოშა“) სიტყვას – Ἀθίγγανοι.

პირველი მიზეზი: ციგანთა ერთ-ერთი ეთნიკური წარმომავლობის მქონე ჯგუფს, რომელიც მცირე აზიის აღმოსავლეთ ნაწილში ცხოვრობდა, იმის გამო ეწოდა „ათინგანები“, რომ ისინი წარმომავლობით იმ ადგილიდან იყვნენ, სადაც გავრცელებული იყო „ათინგანების“ ერესი.

¹⁰⁷ ὅθεν ἐφ' ἐτέραν ὁδὸν αὐτὸν ὁ ζῆλος ἐκίνει κατὰ τῶν ἀπίστων τραπέσθαι καὶ ἀλλοκότων αἰρέσεων ἄρτι τότε τῆς ἑαυτῶν ἐμπίρονησιν ἀπειρησιασμένως τὰ πλήρη μύσους ἐπιτελοῦντων μυστήρια, Ἰουδαίους τε φημι καὶ Φρύγας, καὶ τοὺς ἐκ τῆς τοῦ Μάνεντος τερθρείας τὸν τῆς ἀπιστίας κυκεῶνα προπίνοντας. ... δι' ἐντεῦξενος ἐνδειξάμενος, βάλλει μὲν τὴν Ἰουδαϊκὴν κυριοκτονίαν, βάλλει δὲ καὶ τὴν τῶν Φρυγῶν τερατώδη ἐρεσχηλίαν, τιτρώσκει δὲ τὴν Μανιχαϊκὴν ὄνειρξεν, ὡς μὴδὲ χεῖλέων ἐκτὸς τὰ ἑαυτῶν ἄγῃ προέρχασθαι, ἐν ἀπορητήρῳ δὲ καὶ παραβύστω τὰ τῆς ἀπάτης αὐτῶν ὑπολαβεῖσθαι ληρήματα (Boor 1880:158- 159).

¹⁰⁸ ჩვენ ვვარაუდობთ, რომ „თეოფანეს გამგრძელებლის ქრონიკაში“ მოთხრობილი ისტორია ერესისა, რომლის სახელწოდებაც ავტორის მიერ არ არის დასახელებული, და რომელიც იუდეველებისა და „ათინგანების“ კავშირის შედეგად წარმოიქმნა, იგივეობრივია იმისა, რაზეც საუბრობს ეგნატე დიაკონი, როცა მოგვითხრობს, რომ იუდეველებმა და ფრიგიელებმა ერთად მიიღეს მანიქველთა სწავლება. შესაბამისად, რამდენადაც ორივე წყარო ერთსა და იმავე ერესის გამოვლინებაზე მოგვითხრობს, ეგნატე დიაკონის წყაროზე დაყრდნობით, მიგვაჩნია, რომ „თეოფანეს გამგრძელებლის ქრონიკაში“ ნახსენები ახალი ერესის გაუკუღმართებას სწორედ მანიქეიზმის ნიშნები ახასიათებდა.

¹⁰⁹ აღსანიშნავია, რომ ფრანც მიკლოშვეიჩი თავის გამოკვლევაში, ნაწილობრივ, ჩვენ მიერ მოძიებულ და დამოწმებულ წყაროებს ეყუძნება: იხ. Miklosich 1877: 55-66.

მეორე მიზეზი: ციგანთა აღნიშნულმა ეთნიკურმა ჯგუფმა სწორედ „ათინგანების“ ერეტიკული სწავლება მიიღო და ამის გამო გაიგივდა ერეტიკოს „ათინგანებთან“.

მესამე მიზეზი: „ათინგანები“ ციგანთა იმავე ეთნიკურ ჯგუფს უარყოფით და დამამცირებელ კონტექსტით ეწოდა (Miklosich 1877: 60; ასევე იხ. Pobożniak 1964: 9). მკვლევართა აზრით, იმის გამო, რომ ეს ხალხი მაგიურ რიტუალებსა და ჯადოქრობას აღასრულებდა, მათთან მიკარება და ურთიერთობა ავის მომასწავებლად ითვლებოდა. ამიტომაც ეწოდათ „ათინგანები“, გამომდინარე ბერძნული სიტყვიდან (ἀθίγγανος – „შეუხებელი“, „მიუკარებელი“).

ასე რომ, „ათინგანების“ (Ἀθίγγανοί) სახელწოდება მიიღო მცირე აზიაში არსებულმა ციგანთა, ანუ ბოშათა ერთ-ერთმა ეთნიკურმა ჯგუფმა, რომელსაც გიორგი მცირე თავის ნაშრომში უწოდებს – „აწინკიანებს“. მათ გაიზიარეს „ათინგანების“ ერეტიკული სწავლება და შეიტანეს მასში საკუთარი ტრადიციული ჩვეულებები – მაგიური რიტუალები და კულტმსახურებები.

შეჯამება

გიორგი მცირე თავის ნაშრომში „ცხოვრება და მოქალაქობაა წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გიორგი მთაწმიდელისა“ ახსენებს ტერმინს – „აწინკიანი“, რომელიც ტრანსლიტერაციაა ბერძნული სიტყვისა – Ἀσίνκιοι, ხოლო ახალ ქართულად გამოითქმის, როგორც „ათინგანები“. „ათინგანები“ VI საუკუნიდან ეწოდა მელქისედეკიანელთა მწვალელობას.

რაც შეეხება საკუთრივ მელქისედეკიანელებს, ეს ერესი წმინდა მამათა ნაშრომების მიხედვით, გავრცელებული იყო ეგვიპტისა და მცირე აზიის ტერიტორიაზე. ცნობილია მელქისედეკიანელთა ერესის გამოვლინების რამდენიმე სახე.

მელქისედეკიანელთა ერესს ეს სახელი ეწოდებოდა VI საუკუნემდე. მათ უმეტეს ნაწილს შეადგენდნენ სამარიტელები. მელქისედეკიანელთა მოძღვრება ეფუძნებოდა გნოსტიკურ მწვალელობას, შემდეგ კი სხვადასხვა გაუკულმართების სახე მიიღო. VI საუკუნის შემდეგ მელქისედეკიანელები სამარიტელთა ტრადიციების გამო იწოდებიან „ათინგანებად“. VI საუკუნიდან XI საუკუნის ჩათვლით, სხვადასხვა წყაროში ისინი უმეტესწილად მხოლოდ ამ სახელით – „ათინგანები“ – არიან მოხსენიებულნი.

„ათინგანთა“ ერესს ამ პერიოდისთვის, გარდა ერეტიკული მოძღვრებისა, ახასიათებდა განსაკუთრებული მაგიური კულტმსახურება, რაც გამოიხატებოდა ცხოველთა მსხვერპლშეწირვითა და შელოცვის სხვადასხვა რიტუალით. ასევე მათთვის ნიშანდობლივი იყო ჯადოქრობა, მისნობა და მჩხიბაობა. აღნიშული მოვლენა კი განაპირობა იმ ფაქტმა, რომ მცირე აზიაში შემოსულმა ერთ-ერთმა ეთნიკურმა ჯგუფმა მიიღო ათინგანების ერეტიკული სწავლება და შეიტანა მასში საკუთარი მაგიური რიტუალები, რის შემდეგაც ათინგანები ეთნიკურ ჯგუფად ჩამოყალიბდნენ და თანამედროვე ეპოქაში ციგნების, ანუ ბოშების სახელით არიან ცნობილნი.

თავი V

ბერძნული და ქართული ტექსტების ფილოლოგიური და საღვთისმეტყველო ანალიზი („სიტყუა მელქისედეკისთვის“)

მარკოზ მონაზონის ნაშრომის – „სიტყუა მელქისედეკისთვის“ – თარგმანი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, შესრულებულია ეფრემ მცირის მიერ და წარმოდგენილია XIII საუკუნით დათარიღებულ A-60 ხელნაწერში (A-60: 44-57).

ბერძნულ ტექსტთან შედარებისას გამოვიყენეთ მარკოზ მონაზონის ტრაქტატების ორი ტომი, რომელიც ფრანგი მკვლევარ ჟორჟ-მეტიუ დე დიურანის ავტორობით გამოიცა, შესულია «Sources chretiennes»-ში („ქრისტიანულ წყაროებში“) (Durand 2000: 182-222). აქვე დავძენთ, რომ ჩვენს კვლევაში ბერძნულ ტექსტს ამავე გამოცემიდან ვიმოწმებთ (Sources chretiennes) (SC.). ნაშრომის ტექსტში არსებული თავებიც აღნიშნული გამოცემის მიხედვით არის დანომრილი¹¹⁰, რომელებიც ჟ. მინის პუბლიკაციას (Patrologia Graeca-ს) შეესაბამება (Migne 1864(a): 1117-1140).

ბერძნულ ორიგინალთან შედარების შედეგად, ეფრემისეული თარგმანის ტექსტში გამოვლენილ მეტობას, კლებასა და განსხვავებულ თარგმანს თავების მიხედვით წარმოვაჩინოთ, ფილოლოგიური და საღვთისმეტყველო ანალიზთან ერთად.

I. ტექსტის კლება

ა) პირველ თავში გამოვლენილი კლება:

1. ეფრემი: „ვინადაც ქრისტესა ზედა სათარგმანებელსა მას გამოცხადებასა თვთ მას კაცსა, ვითარცა ღმერთსა მიაჩემებენ“ (თ. 1). SC.:¹¹¹ Διὸ καὶ τὸν ἐπὶ Χριστοῦ ἔμψυεσόμενον χριματισμὸν τῷ χριματισθέντι ἀμθράπα ἄς Θεῷ ἀποπέμυσσι [ამიტომაც იმ წინასწარმეტყველებას, რომელიც ქრისტეს მიმართ განიმარტება, მიაკუთვნებენ ადამიანს, როგორც ღმერთს].

დიურანის გამოცემასთან შედარებით, ეფრემის თარგმანში მიმღეობა და, ამ შემთხვევაში, სიტყვის ἀμθράπα – „კაცსა“ განსაზღვრება – χριματισθέντι არ

¹¹⁰ ჩვენ მიერ ძველი ბერძნულიდან შესრულებული ახალი ქართული თარგმანი კავებში გვაქვს ჩასმული.

¹¹¹ აღნიშნული გამოცემა: Durand G.-M. Analyse // Marc le Moine. Traités. — Paris: Cerf, 2000. — T. 2. (Sources chretiennes. Vol. 455), დამოწმებული გვაქვს მიღებული შემოკლებით - SC.

მოგვეპოვემა: „თვთ მას კაცსა“. ბერძნ. χρηματισθέντι ვნებითი გვარის მიმღობაა და, როგორც აღვნიშნეთ, მიემართება ἀνθρώπων-ს. წინადადების სიტყვასიტყვითი თარგმანი ამგვარია: [ამიტომაც იმ წინასწარმეტყველებას, რომელიც ქრისტეს მიმართ განიმარტება, მიაკუთვნებენ ადამიანს, რომელიც გამოცხადებულია მათ (= მწვალებელთა) მიერ, როგორც ღმერთი].

ეფრემისეული თარგმანი, ამ შემთხვევაში, შეესაბამება XI საუკუნის ბერძნული ხელნაწერების წაკითხვას (Durand 2000: 184).

ბ) მეორე თავში გამოვლენილი კლება:

1. *ეფრემი*: „და კულად იგინივე იტყვან, ვითარმედ: „არათუმცა ღმერთი იყო, ვითარმცა უმამო და უდედო იყო?“ ამის მიერ ცხად არს, ვითარმედ არღარა ძე ყოფად იტყვან მელქისედეკს, არამედ ნუუკუე და მამად: „გარნა სიტყუად ღმრთისად პირველ ჯორცშესხმისაცა და მარიამისგან შობისა ძე ღმრთისად არს“; და ვითარ უმამო არს სიტყუად ღმრთისად, ჰოო, ამოებისა მზრახველნო?“ (თ. 2) SC.: Πάλιν οἱ αὐτοὶ φασιν· Εἰ μὴ ἦν Θεός, πῶς ἀπάτωρ, ἀμήτωρ; Ἐν τούτῳ δέ, ὡς ἔοικεν, οὐκέτι Ἰὶὸν λέγουσι εἶναι τὸν Μελχισεδέκ, ἀλλὰ τάχα Πατέρα. Καὶ φασιν· Ἡμεῖς οὐ λέγομεν αὐτὸν Πατέρα, ἀλλὰ τὸν Θεὸν Λόγον πρὶν ἢ σαρκωθῆναι καὶ ἐκ Μαρίας γεννηθῆναι. Καὶ πῶς ἀπάτωρ ὁ Θεὸς Λόγος, ᾧ ματαιόφρονες; [ისინი კვლავ ამბობენ: „თუკი [ის] არ იყო ღმერთი, როგორ იყო უმამო და უდედო?“ – მათი მსჯელობის თანახმად, მელქისედეკი ძე კი არ არის, არამედ უფრო მამა. ისინი კი ამბობენ: „ჩვენ არ ვამბობთ, რომ ის მამაა, არამედ არის ღმერთი სიტყვა, ვიდრე ხორცს შეისხამდა და მარიამისგან იშვებოდა“; და როგორ იქნებოდა უმამო ღმერთი სიტყვა, ამოდმზრახველნო?].

ეფრემი არ თარგმნის სიტყვებს: Ἡμεῖς οὐ λέγομεν αὐτὸν Πατέρα [ისინი კი ამბობენ: „ჩვენ არ ვამბობთ, რომ ის მამაა“]. არამედ ოდნავ შემოკლებით და ლაკონიურად გადმოსცემს დედანში მოცემული დოგმატური კონტექსტის შინაარსს.

2. *ეფრემი*: „ვინაჲცა არა იტყვს: «უმამო და უდედო წესისაებრ მელქისედეკისსა» (შდრ. ებრ.5.6). რად-მე არს ესე, გარნა რამეთუ «მსგავსებისაებრ მელქისედეკისსა», ვითარმედ არა შჯულისებრ მდდებლობად დაიწესა ქრისტე“ (თ. 2) SC.: Διὰ τοῦτο οὐ λέγει· οὐ ἀπάτωρ καὶ ἀμήτωρ κατὰ τὴν τάξιν Μελχισεδέκ, ἀλλά· «ὡς ἰερεὺς εἰς τὸν αἰῶνα κατὰ τὴν τάξιν Μελχισεδέκ». Τί δέ ἐστι τό· κατὰ τὴν τάξιν; τοῦτ' ἔστιν κατὰ τὴν ἀφομοίωσιν, καὶ οὐ κατὰ νόμον. [ამიტომაც არ ამბობს ასე: «შენ [ხარ] უმამო და უდედო მელქისედეკის

წესის შესაბამისად», არამედ ამბობს: „შენ [ხარ] მღვდელი უკუნისამდე, მელქისედეკის წესის შესაბამისად“ (ებრ. 5.6). რას ნიშნავს ეს: „წესის შესაბამისად“? ეს ნიშნავს „მსგავსების შესაბამისად“ და არა – „რჯულის შესაბამისად“].

როგორც დამოწმებული მონაკვეთიდან ჩანს, თარგმანს აკლია ის წინადადება, რომელიც წმინდა წერილშია მოცემული: ἄλλα· «σὺ ἱερεὺς εἰς τὸν αἰῶνα κατὰ τὴν τάξιν Μελχισεδέκ». [არამედ ამბობს: „შენ [ხარ] მღვდელი უკუნისამდე, მელქისედეკის წესის შესაბამისად“ (ებრ.5.6)]. მომდევნო მონაკვეთს კი ეფრემი განსხვავებულად თარგმნის: „რად-მე არს ესე, გარნა რამეთუ «მსგავსებისაებრ მელქისედეკისსა», ვითარმედ არა შჯულისებრ მღვდლობად დაიწესა ქრისტე“ SC.: Τί δέ ἐστι τό· κατὰ τὴν τάξιν; τοῦτ' ἔστιν κατὰ τὴν ἀφομοίωσιν, καὶ οὐ κατὰ νόμον [რას ნიშნავს ეს: „წესის შესაბამისად“? ეს ნიშნავს „მსგავსების შესაბამისად“ და არა „რჯულის შესაბამისად“].

თარგმანში გამოვლენი კლება, დიურანის გამოცემის მიხედვით, შეესაბამება IX საუკუნის ბერძნულ ხელნაწერს (Durand 2000: 186).

რაც შეეხება თარგმანში გამოვლენილ განსხვავებას, ვფიქრობთ, რომ ეს არის ეფრემისეული თარგმანის თავისებურება, რომელიც მხოლოდ გარკვეულ შემთხვევებში შეინიშნება¹¹².

გ) მესამე თავში გამოვლენილი კლება:

1. *ეფრემი*: „რადმე არს ესე, გარნა რამეთუ მსგავსებისაებრ მელქისედეკისსა, ვითარმედ არა შჯულისებრ მღვდლობად დაიწესა ქრისტე, ხოლო მელქისედეკის მღვდლობად არა შჯულისაებრ, არამედ წესისაებრ წინადასწარმეტყულებისა წინამომასწავებელ იყო ქრისტესთა ამათ. ამისთვის იტყვს: „შენ ხარ მღვდელ“ უკუე არა წესისაებრ ლევისა, არცა წესსა ზედა აპრონის მისვე ტომისაგანისა, არამედ წესისაებრ მელქისედეკისსა, რომელი პირველ შჯულისა მღვდლობდა“ (თ. 3). SC.: «σὺ ἱερεὺς εἰς τὸν αἰῶνα κατὰ τὴν τάξιν Μελχισεδέκ». Τί δέ ἐστι τό· κατὰ τὴν τάξιν; τοῦτ' ἔστιν κατὰ τὴν ἀφομοίωσιν, καὶ οὐ κατὰ νόμον. Ἡ μὲν γὰρ φυλὴ τοῦ Λευὶ κατὰ τὸν νόμον ἱερατεύειν ἐτέτακτο· ὁ δὲ Μελχισεδέκ οὐ κατὰ νόμον, ἀλλὰ κατὰ τάξιν προφητείας, παραδεικνύων τὰ περὶ τοῦ Χριστοῦ. Διὰ τοῦτό φησι· «Σὺ ἱερεὺς εἰς τὸν αἰῶνα», οὐ κατὰ τὴν τάξιν Λευῖ, οὐδὲ κατὰ τὴν τάξιν Ἀαρῶν, τῆς αὐτῆς φυλῆς ὄντας, ἀλλὰ· «κατὰ τὴν τάξιν Μελχισεδέκ», τοῦ χωρὶς νόμου ἱερατεύσαντος. [შენ [ხარ] მღვდელი უკუნისამდე მელქისედეკის წესის

¹¹² კონტექსტიდან გამომდინარე, თარგმანში გამოვლენილ განსხვავებულ თარგმანს აქვე განვიხილავთ.

შესაბამისად“ (ებრ.5.6). რას ნიშნავს ეს: „წესის შესაბამისად“? ეს ნიშნავს „მსგავსების შესაბამისად“ და არა – „რჯულის შესაბამისად“. რადგან „რჯულის შესაბამისად“ ლევის ტომი განწესდა მღვდლობისთვის. მელქისედეკიც არა რჯულის, არამედ წინასწარმეტყველების წესის შესაბამისად [განწესდა მღვდლობისთვის], რომელიც ამით ქრისტეს შესახებ მოასწავებს. ამიტომ ამბობს: „შენ [ხარ] მღვდელი საუკუნოდ“, არა ლევის წესის შესაბამისად, არც აარონის წესის შესაბამისად, რომლებიც ერთი და იმავე ტომიდან არიან, არამედ „მელქისედეკის წესის მიხედვით“, რომელიც მღვდლობდა რჯულის გარეშე].

თარგმანში არ არის მონაკვეთი წმინდა წერილიდან: «*σὺ ἱερεὺς εἰς τὸν αἰῶνα κατὰ τὴν τάξιν Μελχισεδέκ*» [შენ [ხარ] მღვდელი უკუნისამდე მელქისედეკის წესის შესაბამისად (ებრ.5.6)].

ორიოდე სიტყვით უნდა განვიხილოთ სწავლება „მელქისედეკის წესის“ შესახებ. წმინდა მარკოზი ძალიან ზუსტად და ამომწურავად განმარტავს სიტყვებს – „წესის შესაბამისად“, რომ „წესი“ იგივეა, რაც „მსგავსება“, ანუ მელქისედეკი მღვდელმსახურების მიხედვით იყო მიმსგავსებული ქრისტესთან და იყო წინასახე, ჭეშმარიტი მღვდელმოქმედის იესო ქრისტესი. აქვე დავიმოწმებთ წმინდა კირილე ალექსანდრიელისა და წმინდა იოანე ოქროპირის განმარტებებს „მელქისედეკის წესის“ შესახებ, ახალ ქართულ თარგმანთან ერთად.

კირილე ალექსანდრიელი: [მართლაც, მელქისედეკის სახით ნაუწყებია, რომ ოდესღაც გადაინაცვლებს მღვდლობის საქმე რჯულის კანონით მღვდელმსახური ტომისგან, და რომ ნამდვილად ამობრწყინდება მღვდელმოქმედების სხვაგვარი წესი. რადგან საჭირო იყო, მღვდელმოქმედებების შეცვლასთან ერთად, თავად რჯულის გაუქმებაც. ამიტომაც ღვთაებრივი პავლე კეთილად განსჯის ამის შესახებ და ამგვარად ამბობს: „ამრიგად, სრულყოფა რომ ლევიტელთა მღვდელმსახურებით მიიღწეოდეს (ვინაიდან ხალხს მის მიერ მიეცა რჯული), რა საჭირო იქნებოდა მელქისედეკის წესისამებრ აღმდგარიყო სხვა მღვდელი, ნაცვლად იმისა, რომ აარონის წესით წოდებულიყო? ვინაიდან მღვდლობის შეცვლასთან ერთად უთუოდ უნდა შეიცვალოს რჯულიც“ (ებრ. 7. 11-12). და კვლავ: „და კიდევ უფრო მეტად ცხადია, რომ, მელქისედეკის მსგავსად, დგება სხვა მღვდელი, რომელიც ხორციელი აღთქმის რჯულისამებრ კი არ გახდა მღვდელი, არამედ წარუვალი სიცოცხლის ძალით. რადგან

დამოწმებულია: „შენა ხარ მღვდელი უკუნისამდე, წესისამებრ მელქისედეკისა“. (ებრ. 7. 15-17). შეხედე, როგორ ადანაშაულებს (კიცხავს) რჯულისმიერ მღვდლობას იმაში, რომ შეუძლებელი იყო სრულყოფილება და წარმოაჩენს, რომ შემოაქვს უფრო აღმატებული და ჭეშმარიტად სასარგებლო მცნება. რადგან ამბობს: „თუკი რჯულისმიერ მღვდლობაში იყო საჭიროება, მაშინ რატომ არ იყო უკეთესი, რომ სხვა მღვდელი წარმოჩენილიყო აარონის წესის შესაბამისად, და არა მელქისედეკის წესის შესაბამისად, რომელიც მსგავსება და ხატი იყო ქრისტესი, რომელიც უკვე ხორციელად კი არ მღვდელმოქმედებდა, არამედ, უპირატესად, მარადიული ცხოვრების ძალით? იგი განგვსწავლის ჩვენ მოუკლებელი ცხოვრებისთვის საიდუმლო მღვდელმოქმედებით, ხოლო აარონი ხორციელად მღვდელმოქმედებდა. მის მიერ აღესრულებოდა საქონლის მსხვერპლშეწირვა, ცხოვრების დაკვლა და ხბოთა ფერფლი წმენდდა შებილწულებს, ხორციელი სისუფთავისთვის; ამათ გარდა, სხვა დანარჩენიც აღესრულებოდა, მაგრამ არ მიჰყავდა მსახურები სინდისის (გონების) სრულყოფილებამდე, რადგან შეუძლებელია ხართა სისხლმა აღხოცოს ცოდვები (შდრ. ებრ. 10. 4). ასე რომ, როცა ჩვენთვის მღვდელმოქმედების სხვა სახე შემოვიდა, რომელიც აღხოცავს უწინდელ და ძველ ჩვეულებებს, შესაბამისად, რაღა თქმა უნდა, სხვა არის მღვდელიც. და თუკი უფალმა განგვიცხადა ახალი აღთქმა, როცა პირველი დაძველდა, მაშინ მელქისედეკის წესის მიხედვით, მღვდლად, რომლისთვისაც შესაფერისია, რომ მოვიაზროთ მარადიულად, სხვა არავინ შეიძლებოდა ყოფილიყო, გარდა ჩვენი უფლის იესო ქრისტესი“¹¹³.

¹¹³ Αποδέδεικται τοῖσιν ἐν μὲν τῷ Μελχισεδέκ, ὅτι μεταστήσεται ποτε τῆς ἱερωσύνης τὸ χρῆμα, τῆς κατὰ νόμον ἱερατευσούσης φυλῆς· καὶ μὴν, ὅτι καὶ ἕτερος ἱεουργίας ἀναλάμψει τρόπος τε καὶ νόμος. Ἦν γάρ πως ἀνάγκη συμμαθίστασθαι καὶ ἀποφοιτᾶν ταῖς ἱεουργίαις καὶ αὐτὸν τὸν νόμον. Τοιγάρτοι καὶ ὁ θεσπέσιος Παῦλος φιλοσοφεῖ τὰ τοιάδε, καὶ φησιν· Εἰ μὲν οὖν τελείωσις διὰ τῆς Λευϊτικῆς ἱερωσύνης ἦν (ὁ λαὸς γὰρ ἐπ' αὐτῆς νενομοθέτηται), τίς ἔτι χρεία κατὰ τὴν τάξιν τοῦ Μελχισεδέκ ἕτερον ἀνίστασθαι ἱερέα, καὶ οὐ κατὰ τὴν τάξιν Ἀαρὼν λέγεσθαι; Μετατιθεμένης γὰρ τῆς ἱερωσύνης, ἐξ ἀνάγκης καὶ νόμου μετάθεσις γίνεται. Καὶ πάλιν· Καὶ περισσότερον ἔτι κατάδηλόν ἐστιν, εἰ κατὰ τὴν τάξιν Μελχισεδέκ ἀνίσταται ἱερεὺς ἕτερος, ὃς οὐ κατὰ νόμον ἐντολῆς σαρκίνης γέγονεν, ἀλλὰ κατὰ δύνάμιν ζωῆς ἀκαταλύτου. Μαρτυρεῖται γὰρ, Ὅτι σὺ ἱερεὺς εἰς τὸν αἰῶνα κατὰ τὴν τάξιν Μελχισεδέκ. Ὅρα ὅπως τὸ μηδὲν δύνασθαι τελειοῦν τῆς κατὰ νόμον ἱερωσύνης καταψηφίζεται, χρησιμωτάτην ἀποδεικνύς τῆς κρείττονος ἐντολῆς τὴν ἐπεισοφράν. Εἰ γὰρ ἦν ἐν ἐκείνῃ τὸ ἀναγκαῖον, τί μὴ μᾶλλον, φησὶ, κατὰ τὴν τάξιν Ἀαρὼν ἱερεὺς ἕτερος ἀναδείκνυται, καὶ οὐ κατὰ τὴν τάξιν Μελχισεδέκ, ὃς ἦν ὁμοίωσις καὶ τύπος Χριστοῦ, ἥκιστα μὲν σαρκικῶς ἱερατεύοντος ἔτι, κατὰ δύνάμιν δὲ μᾶλλον ἀκαταλύτου ζωῆς; Τρέφει γὰρ ἡμᾶς εἰς ἀμάραντον ζωὴν ταῖς μυστικαῖς ἱεουργίαις, καίτοι σαρκικῶς ἱερατεύοντος Ἀαρὼν. Βουθυσίαί τε γὰρ δι' αὐτοῦ, καὶ προβάτων ἦσαν σφαγαί, καὶ σποδὸς δαμάλεων ῥαντίζουσα τοὺς κεκοινωμένους, πρὸς τὴν τῆς σαρκὸς καθαρότητα· καὶ ἕτερα ἅτα πρὸς τοῦτοις, οὐ τελειοῦντα κατὰ συνείδησιν τοὺς λατρεύοντας. Ἀδύνατον γὰρ αἶμα ταύρων, ἀφαιρεῖν ἁμαρτίας. Ὅτε τοῖσιν καὶ ἕτερος ἡμῖν εἰσκεκόμισται τρόπος ἱεουργίας ἀφιστὰς τῶν πρώτων καὶ ἀρχαιοτέρων ἐθῶν, ἕτερός που πάντως καὶ ἱερεὺς. Καὶ εἰ καινὴν ἐπήγγελται διαθήκην ὁ Θεὸς, παλαιωθείσης τῆς πρώτης, ὁ κατὰ τὴν τάξιν Μελχισεδέκ ἱερεὺς, ἐφ' οὗ πρέποι ἂν καὶ τὸ εἰς αἰῶνα νοεῖσθαι· οὐδεὶς ἂν ἕτερος εἴη παρὰ τὸν Κύριον ἡμῶν Ἰησοῦν Χριστὸν (Migne 1864(c): 109).

იოანე ოქროპირი: [მელქისედეკიტები გვეწინააღმდეგებინ ჩვენ და ამას ამბობენ: „რას ნიშნავს ეს სიტყვები, როცა მამა ამბობს მის მიმართ: «შენ ხარ მღვდელი საუკუნოდ მელქისედეკის წესის მიხედვით» (ებრ. 5.6)? ჩვენ ვუპასუხებთ მათ, რომ ეს მელქისედეკი იყო მართალი კაცი, და ჭეშმარიტად იტევდა ქრისტეს ხატებას. ამიტომ წინასწარმეტყველური სულით აღძრულმა, ადამიანთა მოდგმისთვის მომავალი ძღვენის ბოძება განჭვრიტა, პურით და ღვინით კი ადიდებდა უფალს, ზამავდა რა მომავალ ქრისტეს. რადგანაც იუდეველთა სინაგოგა აარონის წესით უძღვნიდა (აღუვლენდა) მსხვეპლშესაწირს ღმერთს, არა პურსა და ღვინოს, არამედ კრავებსა და ხბოებს და სისხლისმიერი მსხვერპლშესაწირებით ადიდებდა ღმერთს, ამიტომ ღმერთი, თავის ძეს, იესო ქრისტეს, რომელიც განიზრახავდა შობას ქალწული მარიამისგან, მიმართავს და ამბობს: «შენ ხარ მღვდელი საუკუნოდ მელქისედეკის წესის მიხედვით» (ებრ. 5.6), არა აარონის წესის, რომელიც კრავებით და ხბოებით თაყვანს სცემდა ღმერთს, არამედ შენ ხარ მღვდელი საუკუნოდ მელქისედეკის წესის მიხედვით, შემწირველთა ძღვენის პურთა და ღვინით მარადიულად მზომებელი¹¹⁴.

ნათელია, რომ აბსოლუტურად თანხვედნილია სამივე წმინდა მამის საეკლესიო სწავლება – „მელქისედეკის წესთან“ დაკავშირებით.

მელქისედეკის პიროვნების სრულყოფილად წარმოსაჩენად კი, საკმარისია, წარმოვადგინოთ წმინდა დიონისე არეოპაგელის სიტყვებისა და წმ. მაქსიმეს კომენტარების წმინდა ეფრემ მცირისეული განმარტება: „არა ხოლო ანგელოზთა, არამედ კაცთამიერსაცა ცხად-ჰყოფს წარმართთა ზედამდგომელობასა სახითა ამით მელქისედეკისითა, რომელი-იგი წარმართთა ნათესავისა მღვდელმთავარ იყო და მიმყვანებელ ღმრთისა, რომლითა ცხად-იქმნების, ვითარმედ ძუელსაცა შინა არა ხოლო ისრაელნი, არამედ წარმართნიცა მიიყვანებოდეს ღმრთისა, რომელთა ოდენ ნეფსით უნდა, ვითარ-ესე მელქისედეკ თვთ ნეფსით შეუდგა წინამძღურობასა ანგელოზთასა და არა ხოლო თავისა თვისისა, არამედ სხუათაცა წარმართთა

¹¹⁴ Αντιλέγουσι δὲ καὶ τοῦτο ἡμῖν οἱ Μελχισεδεκιταὶ λέγοντες: Τί οὖν ἔστιν ὃ λέγει πρὸς αὐτὸν ὁ Πατήρ· Σὺ ἱερεὺς εἰς τὸν αἰῶνα κατὰ τὴν τάξιν Μελχισεδέκ; Πρὸς οὓς λέγομεν, ὅτι οὗτος ὁ Μελχισεδέκ ἀνὴρ δίκαιος γέγονε, καὶ ἀληθῶς εἰκόνα ἔφερε τοῦ Χριστοῦ. Προφητικῶς τοῖσιν πνεύματι κινούμενος, τὴν μέλλουσαν προσφορὰν ὑπὲρ τῶν ἔθνῶν προσκομιζέσθαι νοήσας, ἄρτω καὶ οἴνῳ τὸν Θεὸν ἐγέραϊρε, μιμούμενος τὸν μέλλοντα Χριστόν. Ἐπειδὴ οὖν ἡ Ἰουδαίων συναγωγὴ ἐν τάξει τοῦ Ἀαρὼν θυσίαν προσέφερε τῷ Θεῷ, οὐκ ἄρτον καὶ οἶνον, ἀλλὰ μόσχους καὶ ἀμνοὺς, καὶ θυσίαις δι' αἵματος ἐδόξαζε τὸν Θεόν, ὁ Θεὸς πρὸς τὸν μέλλοντα γεννᾶσθαι ἐκ τῆς παρθένου Μαρίας Ἰησοῦν τὸν Χριστόν, τὸν Υἱὸν τοῦ Θεοῦ, βῶα καὶ λέγει· Σὺ ἱερεὺς εἰς τὸν αἰῶνα κατὰ τὴν τάξιν Μελχισεδέκ· οὐ κατὰ τὴν Ἀαρὼν, τοῦ ἐν μόσχοις καὶ ἄρνασι λατρεύοντος· ἀλλὰ, Σὺ ἱερεὺς εἰς τὸν αἰῶνα κατὰ τὴν τάξιν Μελχισεδέκ, ἄρτω καὶ οἴνῳ τὴν τῶν προσκομιζόντων προσφορὰν εἰς τὸ διηγεκὲς προσάγων (Migne 1862(a): 260).

მიმყვანებელ იყო ღმრთისა, რომელი-იგი არავის აიძულებს, არამედ მზა არს განათლებად ყოველთა სულთა, რომელთა ინებონ მიღებად სიწმიდისგან მისისა“ (ჭუმბურიძე 2019: 242).

დ) მეოთხე თავში გამოვლენილი კლება:

1. *ეფრემი*: „რამეთუ არცა შესაძლებელ იყო ნათესავთმეტყუელება წარმართთა ტომისაგან შთამომავლისა“ (თ. 4). SC.: Οὐτε γὰρ ἰδύνατο γενεαλογηθῆναι, ἐκ τῶν παραλειφθέντων καταγόμενος ἐθνῶν [არც შეიძლებოდა, რომ [მისი] გენეალოგია აღრიცხულიყო, რადგან ის იყო შთამომავალი წარმართთა იმ ტომებისა, რომლებსაც [წერილი] არ იხსენიებს].

ეფრემთან მიმღეობა – τῶν παραλειφθέντων [მოუხსენიებელთა] გამოტოვებულია, ხოლო ტერმინს – γενεαλογηθῆναι – ეფრემი თარგმნის – „ნათესავთმეტყუელება“, რომელიც ზედმიწევნით გადმოსცემს ბერძნული ორიგინალის შინაარსს.

გიორგი ამარტოლი (IX ს.) თავის ნაშრომში, რომელიც ქართულად ცნობილია სახელწოდებით – „ქრონოგრაფი“, მარკოზ მონაზონის ნაშრომიდან – „მელქისედეკის შესახებ“ რამდენიმე მონაკვეთს ციტირებს. აღნიშნულ ადგილებს, მარკოზის ნაშრომთან მიმართებით, შესაბამისი თანმიმდევრობით განვიხილავთ. გიორგი ამარტოლი სწორედ ზემოთ დამოწმებული მონაკვეთიდან იწყებს მარკოზის ნაშრომის ციტირებას. გიორგი ამარტოლის ნაშრომის არსენ იყალთოელის თარგმანს ბერძნულ ტექსტსთან ერთად წარმოვადგენთ.

გიორგი ამარტოლი: Περὶ οὗ μέντοι καὶ Μάρκος ὁ θεῖος ὕστερον, ὁ καὶ τοῦ Χριστοστόμου φοιτητῆς, ἔφη. “Ἐπειδὴ γὰρ ἐν τῇ γενεαλογίᾳ οὐκ ἐκφέρεται τίνας πατὴρ ἢ ποίας μητὴρ ἐστὶν ἢ πότε ἀπέθανε, διὰ τοῦτο μήτε ἀρχὴν ἡμερῶν μήτε ζῆτος τέλος ἔχειν εἴρηται· οὐ γὰρ ἰδύνατο γενεαλογηθῆναι ἐκ τῶν παραλειφθέντων ἐθνῶν καταγόμενος, καθὼς ἐκ τῆς κατοικίας αὐτὸν ἡ Γραφή παρεδήλωσε (Migne 1863(e): 148). *არსენი*: „და კუალად საღმრთოდ მარკოზ მოწაფე ოქროპირისა იტყვს, ვითარმედ: ვინაჲთგან ნათესავთმეტყუელებასა არა მოიჯსენების, თუ ვის მამისა, ანუ რომლისა დედისა იყო, ანუ ოდეს მოკუდა, ამისთვის არცა დასაბამსა დღეთასა, არცა დასასრულსა ცხორებისასა მქონებელად ითქუმის. რამეთუ არცა შესაძლებელ იყო

ნათესავთმეტყუელება წარმართთაგან შთამომავლისად, ვითარცა სამკვდრებელისა მისისაგან ცხად-ყო წერილმან” (ყაუხჩიშვილი 1920: 44).

მარკოზ მონაზონი: SC.: ἐπειδὴ γὰρ ἐν τῇ γενεαλογίᾳ οὐκ ἐμφέρεται τίς τις πατὴρ ἢ ποίᾳς μητρὸς ἢ πότε ἐγεννήθη ἢ πότε ἀπέθανε· διὰ τοῦτο μήτε ἀρχὴν ἡμερῶν μήτε ζῶντος τέλους ἔχων. Οὕτε γὰρ ἠδύνατο γενεαλογηθῆναι, ἐκ τῶν παραλειφθέντων καταγόμενος ἐθνῶν, καθὼς ἡ Γραφή ἐκ τῆς κατοικεσίας αὐτὸν φανεροποιεῖ. *ეფრემი*: „რამეთუ, ვინაფთგან ტომთ რაცხვასა შინა არა მოიღებვის, თუ რომლისა მამისა ანუ რომლისა დედისა, ანუ ოდეს შობილ არს, ანუ ოდეს მოკუდა, ამისთვის არცა დასაბამი დღეთაჲ არცა აღსასრული ცხორებისაჲ აქუს, რამეთუ არცა შესაძლებელ იყო ნათესავთმეტყუელება წარმართთა ტომისაგან შთამომავლისა, ვითარცა ცხად-ჰყოფს წერილი თვთ მის მკვდრობისა მისისაგან“ (თ. 4).

ამ ნაწილში, ტექსტის თავების თანმიმდევრობის შესაბამისად, საკვლევი თემის, მარკოზ მონაზონის ნაშრომის ერთ-ერთი საკვანძო საკითხს განხილვით, რომელიც მაცხოვრის, იესო ქრისტეს განკაცების დოგმატს მოიცავს და მთელ ნაშრომში ფართოდ არის გაშლილი.

ცნობილია, რომ მარკოზ მონაზონი ამ ნაშრომში უპირისპირდება ერთ-ერთ ერეტიკულ სექტას, რომელიც „მელქისედეკიანელების“ სახელით არის ცნობილი. როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, მწვალებლები მელქისედეკის პიროვნებას აიგივებდნენ მე ღმერთის, იესო ქრისტეს პიროვნებასთან.

განსახილველი საკითხი უკავშირდება პავლე მოციქულის ეპისტოლეს ებრაელთა მიმართ. მარკოზ მონაზონი განმარტავს ამ ეპისტოლის მონაკვეთს და სრულყოფილად გადმოსცემს მაცხოვრის განკაცების დოგმატს. ჩვენ, თეოლოგიურ ანალიზთან ერთად, მოცემულობის შესაბამისად, განვახორციელებთ ეფრემისეული თარგმანის ტექსტოლოგიურ და ფილოლოგიურ შედარებასაც. ქვემოთ წარმოვადგენთ მონაკვეთს პავლე მოციქულის ეპისტოლედან, შემდეგ კი – მარკოზ მონაზონის განმარტებას.

„უმამო, უდედო, ნათესავთმეტყუელებელ; არცა დასაბამი დღეთაჲ, არცა აღსასრული ცხორებისაჲ აქუს, ხოლო მიმსგავსებულ არს იგი ძესა ღმერთისასა და ჰგიეს იგი მღდელად სამარადისოდ“ (ებრ. 7. 3; ჭელიძე 2017: 385).

ეგრემი: „ვინადათგან უკუე ვთქუთ, ვითარმედ განგებულებით არა მოაქუს საღმრთოსა წერილსა შინა ოდეს შობად ანუ ოდეს სიკუდილი მელქისედეკისი და ამისთჳს იტყჳს: არცა დასაბამი დღეთად, არცა აღსასრული ცხორებისად აქუს მას, ამასცა სიტყუასა შინა ეძიებენ მსგავსებასა და იტყჳან: «სთქუ მელქისედეკისთჳს თქუ ქრისტესათჳსცა, ვითარ არცა დასაბამი დღეთად, არცა აღსასრული ცხორებისად აქუს მას, რადთა ამიერცა ვცნათ მსგავსებად, რამეთუ უწყით, ვითარმედ მარიამისგან შობილობითა დასაბამი დღეთად აქუს მას და მსგავსად წერილთასად მოკუდა და აღდგა». ხოლო ჩუენ ამათდა მიმართ მიუგებთ: გრწამსა სახარებისად, ვითარმედ სიტყუად ვორც იქმნა, არათუ კაცად ქცეულებითა, არამედ კაცისა მისსა მიმართ მიღებითა, ხოლო იგინი – „ჰე გურწამს“, იტყჳან; უკუეთუ გრწამს ცანთ ესეცა, ვითარმედ ლიტონი კაცი არცა არს, არცა იცნობების ქრისტე, რამეთუ ერთი მარტოდ არა ოდეს ყოფილ არს და უკუანადსკნელდა შეერთებულ, არამედ მყის შეერთებული იშვა. ცხად არს, ვითარმედ სიტყუად ღმრთისად ღმრთივშუენიერად მოქმედებდა წერილისამებრ“ (თ. 4)¹¹⁵.

მწვალელები, ანუ ე. წ. „მელქისედეკიანელები“, ვერ აცნობიერებდნენ განკაცების საიდუმლოს და მაცხოვრის სიკვდილს არასწორად იგებდნენ. გარკვეულწილად, აქ შეიმჩნევა ნესტორიანიზმის გამოვლინება, რადგან მათი

¹¹⁵ SC.: Ἐπειδὴ δὲ εἰρήκαμεν ὅτι κατ’ οἰκονομίαν οὐκ ἐμφέρεται ἐν τῇ θείᾳ Γραφῇ πότε ἐγεννήθη ὁ Μελχισεδέκ ἢ πότε ἀπέθανε, καὶ διὰ τοῦτο λέγει μὴτε ἀρχὴν ἡμερῶν μῆτε ζωῆς τέλος ἔχειν, ζῆτοῦσι καὶ ἐν τούτῳ τῷ λόγῳ τὴν ἀφομοίωσιν, λέγοντες% Εἶπερ περὶ τοῦ Μελχισεδέκ, εἶπε καὶ περὶ τοῦ Χριστοῦ πῶς οὔτε ἀρχὴν ἡμερῶν οὔτε ζωῆς τέλος ἔχει, ἵνα γινώμεν καὶ ἐν τούτῳ τὴν ἀφομοίωσιν. Οἴδαμεν γάρ ὅτι ὁ γεννηθεὶς ἐκ Μαρίας καὶ ἀρχὴν ἔσχε καὶ ἀπέθανε καὶ ἀνέστη κατὰ τὰς Γραφάς. Ἡμεῖς δὲ πρὸς ταῦτα· Πιστεῦετε τῷ Εὐαγγελίῳ ὅτι· «ὁ Λόγος σὰρξ ἐγένετο», οὐ τραπείσθε εἰς ἄνθρωπον, ἀλλὰ ἄνθρωπον εἰς αὐτὸν προσλαβόμενος; Οἱ δὲ· Ναί, φασί, τοῦτο πιστεύομεν. Εἰ οὖν πιστεῦετε, γινώτε ὅτι ἄνθρωπος ψιλὸς οὔτε ἐστὶν οὔτε νοεῖται ὁ Χριστός, καθότι μονομερῶς οὐχ ὑπέστη ποτὲ καὶ ὑστερον ἠγάθη, ἀλλ’ ἐσθὲως ἠγαμένοσ καὶ ἔφυ καὶ ἐγεννήθη, δῆλον δὲ ὅτι τοῦ Θεοῦ Λόγου θεοπρεπῶς πρότερον ἐνεργήσαντος κατὰ τὸ γεγραμμένον· [რადგანაც ვთქვით, რომ განგებულებით საღვთო წერილში არ შედის ის, თუ როდის იშვა მელქისედეკი, ან ის, თუ როდის მოკვდა. ამიტომ ნათქვამია, რომ არც ჟამთა დასაწყისი აქვს მას და არც სიცოცხლის დასასრული, ისინი ამ სიტყვაშიც მსგავსებას [ქრისტესთან] ეძებენ და ამბობენ: „შენ უკვე თქვი მელქისედეკის შესახებ, ახლა თქვი ქრისტეს შესახებაც, თუ როგორ არ აქვს მას არც ჟამთა (დღეთა) დასაწყისი და არც სიცოცხლის დასასრული, რათა ამითაც შევიცნოთ მსგავსება. რადგან ვიცით, რომ შობილი [არის] მარიამისგან და ჰქონდა დასაწყისი, მოკვდა და აღდგა, წერილის მიხედვით“. ჩვენ კი ამის პასუხად მივუგებთ: გწამთ სახარებისა, რომ „სიტყვა ხორცი გახდა (განხორციელდა)“ (ინ. 1.14), ისე რომ, არ იქცა ადამიანად, არამედ ადამიანობა (= ბუნება) მიიღო (შეიერთა) საკუთარ თავში (პიროვნებაში)? ისინი კი ამბობენ: „დიახ, ეს გვწამს“. თუკი მართლა გწამთ, შეიგნეთ, რომ ლიტონი ადამიანი არც არის და არც [ასეთად] მოიაზრება ქრისტე, რამდენადაც, არასდროს ყოფილა ცალკე (ღმრთეებისგან) და არც შემდგომ შეერთებია (მას), არამედ მყისიერად შეერთებული (შეერთებულად) (ორი ბუნება ერთ ჰიპოსტასში) ჩაისახა და იშვა. მეორე მხრივ, ცხადია, რომ ღმრთის სიტყვა მანამდე (განკაცებამდე) ღვთივმშუენიერად მოქმედებდა, წმიდა წერილის შესაბამისად].

მსჯელობის მიხედვით, ის, ვინც ჯვარს ეცვა და მოკვდა, იყო ლიტონი ადამიანი და არა სამების მეორე ჰიპოსტასი, რომელმაც ადამიანური ბუნებით ივნო. ის მოკვდა, როგორც ადამიანი და, თუმცა მისი წმინდა სული განეყო უბიწო სხეულს, მაგრამ ღმრთეება განუშორებელი დარჩა სულისა და სხეულისგან და არც ამ სახით განყოფილა ერთი ჰიპოსტასი ორ ჰიპოსტასად, რადგან სხეულსა და სულს თავიდანვე ერთდროულად ჰქონდათ არსებობა სიტყვის ჰიპოსტასში (შდრ. ჭელიძე 2019ა: 504).

აქვე გვინდა დავიმოწმოთ მარკოზ მონაზონის დოგმატური მსჯელობებით გამორჩეული ნაშრომი, რასაც ძველ ბერძნულ ხელნაწერებში ამგვარი სათაური აქვს: «Λόγος δογματικός Πρὸς τοὺς λέγοντας μὴ ἰνῶσθαι τὴν ἀγίαν σάρκα μετὰ τοῦ Λόγου, ἀλλ' ὡς ἰμάτιον μονομερῶς περικεῖσθαι καὶ διὰ τοῦτο ἄλλως μὲν ἔχειν περὶ τὸν φοροῦντα, ἄλλως δὲ περὶ τὸν φοροῦμενον» (Durand 2000: 252). [„დოგმატური სიტყვა მათ წინააღმდეგ, რომლებიც ამბობენ, რომ არ შეუერთდა წმინდა ხორცი სიტყვას, არამედ, როგორც შესამოსელმა მხოლოდ ნაწილით მოიცვა სიტყვა და ამიტომ, ერთი მხრივ, არის ის, ვინც ატარებს [შესამოსელს] და მეორე მხრივ, ის რასაც ატარებენ“].

დღესდღეობით, ეს ნაშრომი უფრო ცნობილია სათაურით: „ნესტორიანელთა წინააღმდეგ“. მარკოზის ეს ნაშრომი ზუსტად ეხმიანება მისივე ზემორე სწავლებას, უფლის ადამიანური ბუნებით სიკვდილის შესახებ: [მაშ, ნუ კითხულობ მტაცებლურად და მზაკვრულად და ამბობ: „ღმერთი კვდება? ან ღმერთი აღდგება?“, და ცარიელი სიტყვებით მალავ განკაცებას და განუყოფელ შეერთებას. არამედ თქვი, „როგორ მოხდა, რომ ქრისტე მოკვდა? ან ივნო (იტანჯა)? ან მოშივდა? და შეძლებ მოისმინო, რომ ჭეშმარიტად ივნო და მოკვდა, რადგანაც ამბობს საღვთო წერილი, რომ ყოველივე ხორცით იტვირთა, არა ბუნებისგან იძულებით, არამედ ჩვენი შეწყალების გამო (= წყალობისთვის). მართლაც, თუ მოკვდა და აღდგა, უფრო მეტად შეეძლო არ მომკვდარიყო; და თუ ზღვაზე გაიარა, მიწაზე სიარულის დროსაც შეეძლო, რომ არ დაღლილიყო; და თუ დახურულ კარებში გადიოდა, რამდენად უფრო მეტად შეეძლო გაქცეოდა მათ, რომლებიც მის შესაპყრობად მოვიდნენ? მიუხედავად ამისა, არა საკუთარი თავისთვის, არამედ ჩვენთვის ივნო (იტანჯა), ყოველივე განიკუთვნა და აიტანა]¹¹⁶.

¹¹⁶ Μὴ οὖν συναρπαστικῶς καὶ κακοῦργως ἐπερώτα λέγων ὅτι Θεὸς ἀποθνήσκει; ἢ Θεὸς πάσχει; ἀποκρύπτων τῆ γυμνασίᾳ τὴν σάρκωσιν καὶ τὴν ἀδιαίρετον ἔνωσιν. Ἄλλ' εἰπέ, ὡς ἔστιν, ὅτι Ὁ Χριστὸς ἀπέθανεν; ἢ ἔπαθεν; ἢ ἐπέινασεν; Καὶ ἔχεις ἀκοῦσαι ὅτι· Naί, καὶ ἔπαθε καὶ ἀπέθανε καὶ ὅσα λέγει ἡ θεία Γραφή πάντα ὑπέμεινε σαρκί, οὐ

დამოწმებული მონაკვეთიდან განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია მარკოზ მონაზონის სწავლება განკაცებული ძე ღმერთის კაცობრივ ნებასთან დაკავშირებით. წმინდა მამა განმარტავს მაცხოვართან დაკავშირებულ სახარებისეულ სიტყვებს, იმის შესახებ, თუ როგორ ვერ შეძლო უფალმა, დაფარულიყო, ნებავდა რა ეს (შდრ. მარკ. 7.4). მარკოზ მონაზონი ეყრდნობა იმ დოგმატურ სწავლებას, რომელიც საეკლესიო სწავლების ფუნდამენტს წარმოადგენს.

მაცხოვრის კაცობრივი ნება ყოვლითურთ იმას ნებელობდა, რაც საღვთო ნებას ნებავდა, რომ ენება მას. შესაბამისად, თუ როგორია ცალკე აღებული, თავისთავად უძლურებითი კაცობრივი ნება, მაცხოვრის კაცობრივმა ნებამ წარმოაჩინა საღვთო ნების დაშვებით და არა – დამოუკიდებლად საღვთო ნებისგან, ხოლო, თავისთავად, უძლურებითი კაცობრივი ნების წარმოჩენა აუცილებელი იყო, რომ მტკიცედ გვერწმუნა ძე ღმერთისგან სრული კაცების მიღება. კაცება, ცალკე აღებული, უძლურებითია და მონური, მაგრამ მაცხოვრის ყოვლისშემძლე ჰიპოსტასთან შეერთებული ეს კაცება სრულიად განიქარვებს მონურობას და აღივსება საღვთო ბუნების მეუფებითი ღირსებით და ხდება ერთმეუფებითი ღმრთიერებასთან პირდაპირი გაგებით; ანუ – მაცხოვრის კაცებას ჰქონდა ნება, ბუნებითად არაყოვლისშემძლე, მაგრამ ქრისტეში ყოვლისშემძლე (შდრ. ჭელიძე 2019ა: 836, 844).

განხილულ დოგმატურ სწავლებასთან პირდაპირ კავშირშია მარკოზ მონაზონის მეორე სწავლება, სადაც საუბარია მაცხოვრის მიერ მიღებული უყვედრელ ვნებულებათა გამოვლენის შესახებ: ὅσα λέγει ἢ θεία Γραφή πάντα ὑπέμεινε σαρκί, οὐ φύσσει ἀνάγκη, ἀλλὰ χάριτι ὑπὲρ ἡμῶν (Durand 2000: 280). [რადგანაც ამბობს საღვთო წერილი, რომ ყოველივე ხორციით იტვირთა, არა ბუნებისგან იძულებით, არამედ ჩვენი შეწყალების გამო].

წმინდა მამა ამ შემთხვევაშიც ზუსტად გადმოსცემს ძე ღმერთის განკაცების დოგმატის არსს იმის თაობაზე, რომ ყოვლადუცოდველმა მაცხოვარმა ყოველგვარი ცოდვის გარეშე აბსოლუტურად სრულად და ბუნებითად განიკუთვნა ჩვენეული ცოდვითდაცემული კაცება – ყველა მისი უყვედრელი ვნებულებითურთ. მიუხედავად

φύσει ἀνάγκη, ἀλλὰ χάριτι ὑπὲρ ἡμῶν. Εἰ γὰρ ἀποθανὼν ἔζησε, πολλῶ μᾶλλον μὴ ἀποθανεῖν ἠδύνατο. Καὶ εἰ ἐπὶ θανάτῳ περιεπάτησεν, ἐπὶ γῆς περιπατεῖν καὶ μὴ κοπιᾶν ἠδύνατο. Καὶ εἰ κεκλεισμένων τῶν θυρῶν εἰσῆρχετο, πόσῳ μᾶλλον τοῦς συλλαμβάνοντάς αὐτὸν διαδράσασθαι ἠδύνατο; Ἐπεὶ δὲ οὐχ ὑπὲρ ἑαυτοῦ, ἀλλ' ὑπὲρ ἡμῶν ἔπασχεν, πάντα ὑπομεῖναι κατεδέξατο (Durand 2000: 280).

ამისა, გამომდინარე იქიდან, რომ მისი კაცება ღმერთი-სიტყვის კაცებაა და არა ადამიანპიროვნებისა, შესაბამისად, უფლისგან მიღებული უყვედრელი ვნებულებანი ისევე აბსოლუტურ დამორჩილებულობაშია მაცხოვრის ყოვლადწმინდა ნებისადმი, როგორც მთლიანად მისი კაცება, რის გამოც, ადამიანებისგან განსხვავებით, მაცხოვრის კაცებაში არცერთი კაცობრივი უყვედრელი ვნებულება არ განიცდიდა სტიქიურ, უნებურ აღმოცენებულობას, არამედ ყოველ მათაგანს წინ უძლოდა მაცხოვრის ნება, ანუ მაცხოვარი ინებებდა და ჭეშმარიტად ავლენდა თავის ჰიპოსტასში მის მიერ მიღებულ უყვედრელ ვნებულებებს (შდრ. ჭელიძე 2016: 336).

აქვე დავიმოწმებთ იოანე დამასკელის „მართლმადიდებლური სარწმუნოების ზედმიწევნითი გადმოცემას“, რომელიც გარკვეულწილად ეფუძნება მარკოზ მონაზონის სწავლებას: „მსგავსად იქმნა განღმრთობადცა იგი კაცობრივისა ნებისად, არა თუ ვითარ თუმცა შეცვალებულ იყო ბუნებითისა მოძრაობისაგან, არამედ ვითარ თუმცა შეერთებულ იყო საღმრთოძსა მის და ყოვლისშემძლებელისა ნებისადა და ქმნილ იყო ნება ღმრთისა განკაცებულისა. ვინადაც ენება რაჲ დაფარვად, ვერ შეუძლო, რამეთუ მაშინ ინება სიტყუამან ღმრთისამან, რადთა აჩუენოს ჭეშმარიტად თავსა შორის მისსა მყოფი უძლურებაჲ კაცობრივისა ნებისად. ხოლო ენება რაჲ კეთროვანისა განწმედაჲ, მყის შეუძლო და ნებაჲ იგი საქმე ქმნა თანა-შეერთებითა საღმრთოძსა ნებისა და მოქმედებისა“ (მიმინოშვილი 2006: 269). ... „და აქუნდა ბუნებითი ნებებაჲ, ვითარცა ღმერთსა და ვითარცა კაცსა. ხოლო შეუდგებოდა და მორჩილ ექმნებოდა ნებასა ღმრთეებისასა მისისასა ნებაჲ კაცობრივი, რამეთუ არა თავით თჯსით აღიდრვოდა, არამედ მას ინებებდა, რადცა იგი ენების საღმრთოსა მას ნებასა მისსა და რაჟამს მიუშჯს საღმრთომან ნებამან, მაშინ ევნებოდის მას ბუნებითად. რამეთუ რაჟამს იგი იჯმნიდა სიკუდილისაგან, ბუნებითად მიუშვა მას ნებებაჲ ამისი ნებამან მან საღმრთომან, რადთა იჯმნა სიკუდილისაგან, მწუხარე იყო და შეურვებულ, ხოლო რაჟამს ინება საღმრთომან მან ნებამან, მიუშუა კაცობრივისა მის ბუნებისა ნებასა ნებებაჲ სიკუდილისაჲ და ნებსით იქმნა ვნებაჲ იგი მისი“ (იქვე: 271). ... „დადაცათუ შჯულითა ბუნებისათა იქმნებოდა ყოფადი იგი, არამედ არავე იძულებით შეემთხუეოდა მსგავსად ჩუენსა, რამეთუ ნეფსითითა ნებებითა მიითუალვიდა ბუნებითთა მათ შემთხუევათა“ (იქვე: 279)¹¹⁷.

¹¹⁷ ყველგან ვიმოწმებთ ეფრემ მცირის თარგმანს.

ახლა კვლავ წარმოვადგენთ წმ. მარკოზის სწავლებას, ნაშრომიდან „ნესტორიანელთა წინააღმდეგ“, რათა წარმოვაჩინოთ მარკოზის ამ ორი დოგმატური ნაშრომის – „მელქისედეკის შესახებ“ და „ნესტორიანელთა წინააღმდეგ“ მჭიდრო ურთიერთკავშირი. ეს ორი ნაშრომი გამორჩეულია მარკოზის სხვა ნაშრომთაგან, მათი დოგმატური შინაარსიდან გამომდინარე. მელქისედეკიანელთა და ნესტორიანელთა ერეტიკული სწავლებების ურთიერთკავშირის წარმოსაჩენად, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ამ ორი ნაშრომის ურთიერთშედარება და მათი ერთობლივი საღვთისმეტყველო ანალიზი.

[მაშ, ამ საოცარ [საქმეებს], რაც განხორციელდა შენთვის და ყოველი ჩვენგანისთვის, მკრეხელო და ურწმუნო ადამიანო, მკვდრად ასახელებ და არა ღვთის ძალად და ღვთის სიბრძნედ, წმინდა პავლეს შესაბამისად? მოკლედ აღვნიშნეთ ეს ყოველივე, რათა ურწმუნოები დავარწმუნოთ. რომ ჩვენ გამო „სიტყვა ხორცი გახდა“ (ინ. 1.14), საღვთო წერილის შესაბამისად, არ გარდქმნილა ადამიანად, არამედ ჰიპოსტასურად შეიერთა ადამიანობა. შენ ამბობ: „როგორ“? მე კი გეუბნები შენ: [გონებისთვის] მიუწვდომლად; რადგან ღმერთთან მიმართებით, „როგორ“ არ ითქმის. ივნებს ადამიანურად და რჩება უვნებელად [საღვთო ბუნებით]. შენ კვლავ ამბობ: „როგორ“? მე კი გეუბნები: მეუფებრივად. ჯვარს ეცვა ხორცი, მაგრამ სულით არ შეცვლილა, რადგან შეერთებული იყო [დედის] წიაღიდან. შენ ამბობ: „როგორ“? მე კი გიპასუხებ: მოუწვდომლად. კვდება სხეულებრივად, მაგრამ უკვდავია მოქმედებით. შენ კვლავ ამბობ: „როგორ“? მე კი გიპასუხებ: ყოვლისშემძლეობით. ადამიანურად დაეფლო და საღვთოდ აღდგა]¹¹⁸.

მარკოზი კვლავ მოიხმობს ფრაზას: «ὁ Λόγος σὰρξ ἐγένετο» – „სიტყვა ხორცი გახდა“. იოანე მახარებლის აღნიშნულ სიტყვებს წმ. კირილე ალექსანდიელი სხვადასხვა ნაშრომში უდიდესი საღვთისმეტყველო სიბრძნით განმარტავს. მარკოზ მონაზონის მთელი დოგმატური მსჯელობა, ორივე ნაშრომში, კირილე

¹¹⁸ SC.: Ταῦτα οὖν τὰ θαυμάσια τὰ ὑπὲρ σοῦ καὶ πάντων ἡμῶν γινόμενα, ὃ βλάσφημε καὶ ἄπιστε ἄνθρωπε, νεκρὰν λέγεις καὶ οὐχὶ Θεοῦ δύναμιν καὶ Θεοῦ σοφίαν, κατὰ τὸν ἅγιον Παῦλον; Ἐν ἐπιτόμῳ δὲ ταῦτα ἐμνημονεύσαμεν ὅπως τοὺς ἀπίστους πείσωμεν ὅτι δι' ἡμᾶς ὁ Λόγος σὰρξ ἐγένετο, κατὰ τὴν θείαν Γραφήν, οὐ τραπεὶς εἰς ἄνθρωπον, ἀλλ' ἐνωθεὶς κατ' ὑπόστασιν. Σὺ δὲ λέγεις· Πῶς; Κἀγὼ σοὶ λέγω· Ἀπερινοήτως. Ἐπὶ γὰρ Θεοῦ τὸ πῶς οὐ λέγεται. Πάσχει ἀνθρωπίνως, καὶ ὑπομένει ἀπαθῶς. Πάλιν σὺ λέγεις· Πῶς; Κἀγὼ σοὶ λέγω· Κυριακῶς. Σταυροῦται σαρκί, ἀλλ' οὐχ ἕτεροῦται? πνεύματι· ἦνωτο γὰρ ἐκ μήτρας. Σὺ λέγεις· Πῶς; Κἀγὼ σοὶ λέγω· Ἀκαταλήπτως. Ἀποθνήσκει σωματικῶς, ἀλλ' ἀθάνατος ἦν ἐνεργητικῶς. Πάλιν σὺ λέγεις· Πῶς; Κἀγὼ σοὶ λέγω· Παντοδυνάμως. Θάπτεται βροτείως, καὶ ἀνίσταται θείως (Durand 2000: 290).

ალექსანდრიელის ღვთისმეტყველებას ეყრდნობა და სწორედ ამის მიხედვით განიხილება და განიმარტება. ჩვენ ქვემოთ წარმოვადგენთ მარკოზ მონაზონის მიმართ მკვლევართაგან წარმოთქმულ კრიტიკას, რომელიც, ერთი შეხედვით, წმ. ფოტი პატრიარქის (810-893) ნააზრევს უკავშირდება. ამიტომ აქვე გვინდა საფუძველი ჩავუყაროთ მომავალ მსჯელობას და, რაც მთავარია, ზუსტად გადმოვცეთ მარკოზ მონაზონის მართლმადიდებლურ მსჯელობათა საღვთისმეტყველო საკითხები:

ცალკე გამოვყოფთ მარკოზის ფრაზას: Στασιῶνται σαρκί, ἀλλ' οὐχ ἐτεροῖνται πνεύματι. [ჯვარს ეცვა ხორციტ, მაგრამ სულიტ არ შეცვლილა]. როგორც აღვნიშნეთ, მარკოზ მონაზონის დოგმატური ფორმულირება, ფაქტობრივად, უიგივდება კირილე ალექსანდრიელის ღვთისმეტყველებას. აქ ვგულისხმობთ სუკენსონისადმი მიწერილ მეორე ეპისტოლეს (Migne 1864(c): 238). კირილე ალექსანდრიელი უფლის განკაცების დოგმატს ამგვარი ფორმულირებით გადმოგვცემს: „ერთი ბუნება ღმერთი-სიტყვისა, ხორცშესხმული“. სადაც განკაცებული ძე ღმერთის, იესო ქრისტეს საღვთო ბუნება ადამიანის სულის, ხოლო ადამიანური ბუნება ადამიანის სხეულის შესაბამისად განიმარტება. მსგავსადვე, მარკოზ მონაზონიც ტერმინით – σαρκί [ხორციტ] – მაცხოვრის ადამიანურ სხეულს, ხოლო – πνεύματι [სულიტ] საღვთო ბუნებას გულისხმობს.

ზემოთ მოხმობილი მარკოზის ტექსტიდან ნათელია, თუ რაოდენ ზუსტად გადმოსცემს ავტორი მაცხოვრის განხორციელების დოგმატს. აღსანიშნავია, რომ მარკოზის დოგმატური სწავლება ძე ღმერთის განკაცების შესახებ ძალიან ჰგავს წმ. იოანე დამასკელის დოგმატურ ფორმულირებასაც, რომელიც გადმოცემულია „მართლმადიდებლური სარწმუნოების ზედმიწევნითი გადმოცემის“ 55-ე თავში. განმარტებატა მსგავსება განსაკუთრებით შესამჩნევია იოანე მახარებლის წარმოდგენილ სიტყვებტან მიმართებით – „სიტყუაჲ ჯორც იქმნა“: „რამეთუ დასაბამი მიიღო თბისა ჩუენისაჲ, არა თვისისაგან განუკუეთელ და გუამ ქმნული პირველ გუამი იგი ჯორცთაჲ და ეგრეთლა მიღებული მის მიერ, არამედ თვტ მის შორის მიმღებელი გუამოვნებისაჲ, რამეთუ თვტ გუამი იგი სიტყუსა ღმრთისაჲ ექმნა გუამ ჯორცთა მათ მიღებულთა მის მიერ. და ამით წესისაჲთ, სიტყუაჲ იგი ხორციელ იქმნა, ცხად არს, ვითარმედ უქცეველად ღმრთეებისაგან, და ჯორცნი იგი სიტყუაჲ იქმნნეს უქცეველად

კაცებისაგან და ღმერთი – კაც, რამეთუ სიტყუა იგი ღმერთ არს და კაცი – ღმერთ შერთებითა გუამოვნებითა“ (მიმინოშვილი 2006: 245)¹¹⁹.

დავუბრუნდეთ ტექსტოლოგიურ შედარებას.

ე) მეოთხე თავში გამოვლენილი კლება:

2. *ეფრემი*: „ცხად არს, ვითარმედ სიტყუა ღმრთისაჲ ღმრთივშუენიერად მოქმედებდა წერილისამებრ“ (თ. 4). SC.: *δῆλον δὲ ὅτι τοῦ Θεοῦ Λόγου θεοπρεπῶς πρότερον ἐνεργήσαντος κατὰ τὸ γεγραμμένον*. [მაგრამ ცხადია, რომ ღმერთის სიტყვა მანამდე (განკაცებამდე) ღვთივშუენიერად მოქმედებდა, თანახმად წერილისა].

ეფრემის თარგმანს აკლია სიტყვა - *πρότερον*. ჩვენი აზრით, ეს კლება შესაძლოა განპირობებული იყოს რამდენიმე მიზეზით. ერთი მიზეზი – შეიძლება გადამწერის მექანიკურ შეცდომად ჩაითვალოს. მეორე მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ ეფრემმა, აზრის უკეთესად გადმოსაცემად, აღნიშნული ტერმინის გამოტოვება უფრო მართებულად მიიჩნია, ვიდრე თარგმნა. არსებობს მესამე მიზეზიც, რომელსაც მეცნიერული დასაბუთება მოეპოვება.

ჩვენ ნაწილობრივ ზემოთაც აღვნიშნეთ, რომ ზოგიერთი მეცნიერის აზრით, ფოტი პატრიარქს გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით, კრიტიკული დამოკიდებულება ჰქონდა მარკოზ მონაზონის მიმართ, რომელიც, ამ შემთხვევაში, იმით გამოიხატებოდა, რომ ფოტი პატრიარქი, მათი აზრით, მარკოზს უწუნებდა ძველი ბერძნული ენის არასათანადო ცოდნას.

მარკოზ მონაზონის შრომების ფრანგი მკვლევარი - ჟორჟ-მეტუ დე დიურანი თავის გამოკვლევაში აღნიშნავს: «*Outre cela, la notice contient une appréciation, modérément favorable, du style de Marc. Photius lui reproche quelque manque de précision dans l'emploi de l'attique et, sur un fond général de clarté et de concision, des obscurités occasionnelles, excusables néanmoins parce que « ce dont on acquiert la connaissance par les œuvres mêmes ne se laisse pas volontiers exprimer par des mots. La notice suivante (codex 201) rabaisse encore un peu Marc par une comparaison avec Diadoque quant à l'élégance de la composition et quant au rapport entre formulation et expérience.*» (Durand 1999: 21). ფრანგი მეცნიერის აზრით, ფოტი პატრიარქი იწუნებს მარკოზის ბერძნული ენის

¹¹⁹ ვიმოწმებთ ეფრემ მცირის თარგმანს.

ცოდნას, ძველ ბერძნულ, ატიკურ დიალექტთან შედარებით. ასევე მკვლევარი მიუთითებს, რომ ფოტი აკნინებს მარკოზ მონაზონის სწავლებათა გადმოცემის მეთოდს, წმ. დიადოქოს ფოტიკელთან შედარებით. მეტი სიზუსტისა და სრულყოფილი ანალიზისთვის ვნახოთ, თუ რას ამბობს თავად ფოტი პატრიარქი მისი ცნობილი ნაშრომის – „ბიბლიოთეკის“ მე-200 კოდექსში, რომელიც მარკოზ მონაზონს ეძღვნება. აღნიშნულ კოდექსს სრული სახით დანართში ვიმოწმებთ, ჩვენ მიერ შესრულებულ თარგმანთან ერთად¹²⁰.

ფოტი პატრიარქის ნაშრომიდან აქ გამოვყოფთ იმ საკითხებს, რომლებიც ჩვენს მსჯელობას უკავშირდება და თანმიმდევრობით განვიხილავთ მათ.

[მართლაც, მეტყველების (ლექსიკის ერთიანობის, (საერთოობის) მიხედვით, რითაც ზოგადად არის გადმოცემული [ეს სიტყვები, ნაშრომები], გამოხატვის ფორმა ნათელია (გასაგებია), თუმცა კი მთლიანად (მთლიანობაში) ზუსტად არ შეესაბამება ატიკურ დიალექტს; და თუკი სადმე რაიმე ბუნდოვანება შეიმჩნევა (შეინიშნება), ეს არის არა [მარკოზის] ცუდად მეტყველების გამო (= τῷ), არამედ იმის გამო (= τῷ), რომ ეს ბუნდოვანებები აღმოჩნდება, რომ უფრო მეტად გაიაზრება (გაიგება) და უკან იხვეს საქმით (ქმედებით) ვიდრე სიტყვიერი განმარტებით]¹²¹.

პირველ რიგში აღვნიშნავთ, რომ ჩვენ გარკვეულწილად ვეთანხმებით ფრანგ ავტორს, დიურანს. ფოტი პატრიარქი მართლაც ადარებს ერთმანეთს მარკოზის ბერძნულად მეტყველების სტილს და ძველ ბერძნულ, ატიკურ დიალექტს, მაგრამ მიგვაჩნია, რომ ფოტი პატრიარქი არ აკრიტიკებს მარკოზს, არამედ უფრო მეტად სხვა ვითარებაზე მიგვანიშნებს, კერძოდ: როცა ფოტი უპირისპირებს ერთმანეთს მარკოზის მეტყველებასა და ატიკურ დიალექტს, ვარაუდობს, რომ ამ განხილვისას შესაძლოა წარმოიქმნას გაურკვეველობა (ბუნდოვანება). გაურკვეველობაში იგულისხმება, ერთი მხრივ, ის, რომ სულიერ სწავლებათა ჭეშმარიტი არსი მეტყველების საშუალებით, ანუ ზუსტი სიტყვიერი ფორმით, რთულად გადმოსაცემია. ეს სწავლებანი დაფარულია გარეშე თვალისგან. მეორე მხრივ, განუსწავლელი, მოუმზადებელი მკითხველისთვის, მეცნიერულადაც და სულიერადაც, უფრო მისაღები ფორმაა მარტივი და სახეობრივი

¹²⁰ იხ. დანართი 2.

¹²¹ «Σαφής μὲν οὖν ἐστὶν ὅσον ἐπὶ τῇ κοινότητι τῶν λέξεων καὶ τῷ κεφαλαϊστικῷ ἐξσηνηθῆναι, ἢ φράσις, εἰ καὶ μὴ πρὸς τὴν Ἀττικὴν ἀπικρίβηται τὰ ὅλα γλῶτταν· εἰ δὲ πού τὸ ἀσαφὲς ἐνορᾶται, τῷ διὰ πράξεως ἀντὶ πεφουκέναι μᾶλλον κατανοεῖσθαι ἀναχωρεῖ τῆς διὰ λόγων ἐρμηνείας, οὐχὶ τῷ δυσκόλως εἰρησθαι.» (Migne 1860(b): 667).

მაგალითების მეშვეობით განსწავლა, ანუ გარკვეულწილად, სწავლებათა იგავური ფორმით გადმოცემა. ჩვენ, რა თქმა უნდა, შორს ვართ იმ აზრისგან, რომ მარკოზ მონაზონის შრომების ყველა მკითხველი ან მსმენელი აუცილებლად განუსწავლელი უნდა ყოფილიყო, მეცნიერული თუ სულიერი კუთხით, არამედ ჩვენ ვსაუბრობთ ასკეტურ სწავლებათა გადმოცემის ერთ-ერთ ფორმაზე, რომელიც გარკვეულ იდუმალებასა და ჭეშმარიტების გადაცემის პრაქტიკულ მეთოდს გულისხმობს. ამ მეთოდს, მარკოზის გარდა, თითქმის ყველა წმ. მამა იყენებდა, რასაც თავად ფოტი პატრიარქიც ადასტურებს: [სწორედ ეს წარმოჩნდება არა მარტო ზემოხსენებულ სიტყვებში (ნაშრომებში), არამედ სხვა დანარჩენ სიტყვებშიც (ნაშრომებშიც), და არა მარტო ამ ადამიანთან (კაცთან), არამედ თითქმის ყველასთან, რომლებთანაც მოშურნეობა (მოღვაწეობა) წარმოიშვა, რომ გადმოეცათ ასკეტური სწავლებები (კანონები), ვნებები და საქმეებით მოცული (განმტკიცებული) სულიერი განწყობილებები; ამგვარი ბუნდოვანების სახე ხშირად მაშინ იწვევს წინ, როცა მათი (= მოღვაწეთა) ქმედებებიდან (საქმეებიდან) გამომდინარე, შეცნობა (შემეცნება) გამორიცხავს (= არ იწონებს) სიტყვიერ (სიტყვათა მეშვეობით) დასაბუთებებს]¹²².

აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ფოტი პატრიარქის მოცემული შეფასება მიემართება მხოლოდ ასკეტური და მოძღვრებითი შინაარსის მქონე ნაშრომებს და არ მიემართება დოგმატური ხასიათის ნაშრომს „მელქისედეკის შესახებ“. ამ ნაშრომის შესახებ ფოტი ცალკე საუბრობს.

ჩვენ არ გვსურს, ვრცელი მსჯელობით გავწყვიტოთ ტექსტის ანალიზი და დავცილდეთ ძირითად მიზანს, რომელიც, ამ შემთხვევაში, გულისხმობს სიტყვის – „πρότερον“ დაკლებას, ეფრემის თარგმანში. მიუხედავად ამისა, სამეცნიერო კვლევის სრული ანალიზისთვის, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ წარმოვადგინოთ ფოტი პატრიარქის 201-ე კოდექსი მისი „ბიბლიოთეკიდან“, რომელიც, ამ შემთხვევაში, წმ. მარკოზ მონაზონსა და ასევე წმ. დიოდოქოს ფოტიკელს (400-480) უკავშირდება. აღნიშნული კოდექსი სრული სახით დანართში გვაქვს დამოწმებული, ჩვენ მიერ შესრულებულ თარგმანთან ერთად¹²³:

¹²² «τὸ δὲ τοιοῦτον οὐκ ἐν τοῖς εἰρημένους μόνον ἀναφαίνεται λόγοις, ἀλλὰ καὶ ἐν τοῖς ἐξῆς. Καὶ οὐχὶ μόνον τῷδε τῷ ἀνδρὶ, ἀλλὰ μικροῦ πᾶσιν, οἷς ἀσκητικοὺς νόμους καὶ πάθη καὶ διαθέσεις δι' ἔργων χωροῦσας ἀπαγγέλλειν γέγονε σπουδῆ, ὃ τῆς τοιαύτης ἀσαφείας ἐνιαχοῦ συμπρόεισι τρόπος, τῆς ἐκ τῶν ἔργων αὐτῶν ἐπιγνώσεως οὐτι μᾶλα στεργοῦσας τὰς διὰ τῶν ῥημάτων ἐπιδηλώσεις.» (Migne 1860(b): 669).

¹²³ იხ. დანართი 2.

მოცემულ კოდექსში ფოტი პატრიარქი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მის მიერ წაკითხული ნაშრომები, რომლებიც დიოდოქოს ფოტიკელს განეკუთვნება, დაწერილია მათთვის, ვინც სრულყოფილად განსწავლულია. განსწავლულებაში იგულისხმება როგორც სამეცნიერო დისციპლინების ცოდნა¹²⁴, ისე დიდი სულიერი გამოცდილება. აქედან გამომდინარე, მათთვის, ვინც ამგვარ საზომს მიაღწია, არავითარ გაურკვევლობას არ წარმოქმნის დიოდოქოს ფოტიკელის მაღალსულიერი საღვთისმეტყველო მსჯელობანი, გადმოცემული რთული ტერმინოლოგიით; შესაბამისად, ფოტიკის ეპისკოპოსი სრულყოფილად გადასცემს მათ სწავლებას, როგორც ტერმინოლოგიური კუთხით, ისე სულიერ სწავლა-დარიგებათა მაგალითებისა და საქმეების აღწერით. განსხვავებით იმათგან, ვისაც ჯერ კიდევ არ მიუღწევია ამგვარი საზომისთვის და საჭირობენ უფრო მარტივი და მათთვის გასაგები ენით საუბარს.

შეჯამების სახით, ვიტყვით, რომ ფოტი პატრიარქის „ბიბლიოთეკის“ მე-200 და 201-ე კოდექსების მიხედვით, გამოიყოფა რამდენიმე საკითხი. პირველი ის, რომ ფოტი არ აკნინებს მარკოზ მონაზონის ბერძნული ენის ცოდნას, არამედ, კონსტანტინეპოლელი მღვდელთავრის განმარტებით, „გაურკვევლობით“ იგულისხმება, ერთი მხრივ, სულიერ სწავლებათა იდუმალება და დაფარულობა, რომლებიც შესაძლოა მოუმზადებელ მკითხველს წარმოექმნას, ხოლო, მეორე მხრივ – თავად მარკოზის მეთოდი სწავლებათა გადმოცემის შესახებ, რომელიც შედარებით მარტივია, ტერმინოლოგიური თვალსაზრისით, ვიდრე – დიადოქოს ფოტიკელის მეთოდი, რადგან დიადოქოსის ნაშრომები განკუთვნილია უფრო სრულყოფილად განსწავლული ადამიანებისთვის. მარკოზი, აბსტრაქტული ცოდნისა და თეორიული სწავლებისაგან განსხვავებით, უმეტესად – ასკეტური ცხოვრების პრაქტიკულ წესს, გამოცდილებასა და სიბრძნეს გადასცემს მკითხველს, რასაც თავად ფოტი პატრიარქის სიტყვები მოწმობს: «Ταῦτα μὲν, εἰ καὶ κατὰ τὸ μᾶλλον καὶ ἥττον ἀλλήλων διαφέροντα, ὅμως τὰ ὀκτὼ τῶν λογίων εἰς τὴν πρακτικὴν χειραγαγεί φιλοσοφίαν.» – [იმის შესაბამისად, რაც მეტნაკლებად ერთმანეთისგან განასხვავებს [სიტყვებს, ნაშრომებს], თავადვე [ეს

¹²⁴ სამეცნიერო დისციპლინებში იგულისხმება ცნობილი ტრივიუმ-კვადრიუმის საგანთა სწავლების სისტემა. ტრივიუმი (გრამატიკა, რიტორიკა, დიალექტიკა) და კვადრიუმი (არითმეტიკა, ასტრონომია, გეომეტრია, მუსიკა) შვიდ თავისუფალ დისციპლინად მოიაზრებოდა (შდრ.თათარაშვილი 2019: 91).

განსხვავებულებანი] წინ მიუძღვის (მიმართავს, მეთაურობს) წარმოთქმულთაგან რვავე **ნაშრომის პრაქტიკული სიბრძნისმოყვარეობისკენ**].

მეორე საკითხი კი გვაფიქრებინებს, რომ მიუხედავად ყველაფრისა, ჩვენ, მეცნიერული მიდგომიდან გამომდინარე, ვერ უგულებელვყოფთ ფოტი პატრიარქის მინიშნებას მარკოზთან დაკავშირებით: «εἰ καὶ μὴ πρὸς τὴν Ἀπτικὴν ἀπηκρίβηται τὰ ἄλλα γλῶτταν» [თუმცა კი, მთლიანად (მთლიანობაში) ზუსტად ვერ იცავს ატიკურ დიალექტს]. ამ საკითხთან მიმართებით, ვარაუდის გამოთქმის გარკვეულ საფუძველს სწორედ ეფრემ მცირის თარგმანი გვაძლევს, რაზეც ზემოთ შევჩერდით.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეფრემის თარგმანს აკლია სიტყვა – πρότερον;

ეფრემი: „ცხად არს, ვითარმედ სიტყუაჲ ღმრთისაჲ ღმრთივშუენიერად მოქმედებდა წერილისამებრ“ (თ. 4). SC.: *δηλον δὲ ὅτι τοῦ Θεοῦ Λόγου θεοπρεπῶς πρότερον ἐνεργήσαντος κατὰ τὸ γεγραμμένον.* [მაგრამ ცხადია, რომ ღმრთის სიტყვა მანამდე (განკაცებამდე) ღვთივშუენიერად მოქმედებდა, წმიდა წერილის შესაბამისად]. სიტყვის დაკლების ერთი მიზეზი, როგორც ვთქვით, შეიძლება იყოს გადამწერის მექანიკური შეცდომა; ან თავად ეფრემმა მიიჩნია, რომ აზრი, ამ სიტყვის გამოტოვებით, უკეთესად გადმოიცემოდა; დასახელებული ორი მიზეზის გარდა, ვფიქრობთ, მესამე მიზეზი შეიძლება იყოს ის, რომ ეფრემმა ეს სიტყვა არ თარგმნა სწორედ ატიკური დიალექტის ნორმების გათვალისწინებიდან გამომდინარე, რაც ფოტი პატრიარქის მითითებას უკავშირდება.

მარკოზის ნაშრომის სრული კონტექსტი ამგვარია:

ეფრემი: „უკუეთუ გრწამს, ცანთ ესეცა, ვითარმედ ლიტონი კაცი არცა არს, არცა იცნობების ქრისტე, რამეთუ ერთი მარტოდ არა ოდეს ყოფილ არს და უკანაჲსკნელდა შეერთებულ, არამედ მყის შეერთებული იშვა. ცხად არს, ვითარმედ სიტყუაჲ ღმრთისაჲ ღმრთივშუენიერად მოქმედებდა წერილისამებრ“ (თ. 4). SC.: *Εἰ οὖν πιστεύετε, γινῶτε ὅτι ἄνθρωπος ψιλὸς οὐτε ἕστιν οὐτε νοεῖται ὁ Χριστός, καθότι μονομερῶς οὐχ ὑπέστη ποτὲ καὶ ὑστερον ἡνῶθη, ἀλλ’ εὐθὺς ἡνωμένος καὶ ἕψυ καὶ ἐγενήθη, δηλον δὲ ὅτι τοῦ Θεοῦ Λόγου θεοπρεπῶς πρότερον ἐνεργήσαντος κατὰ τὸ γεγραμμένον.* [თუკი მართლა გწამთ შეიგნეთ, რომ ლიტონი ადამიანი არც არის და არც [ასეთად] მოიაზრება ქრისტე, რამდენადაც, არასდროს ყოფილა ცალკე (ღმრთეებისგან) და არც შემდგომ შეერთებია (მას), არამედ მყისიერად შეერთებული (შეერთებულად) (ერთ

ჰიპოსტასში) ჩაისახა და იშვა. მაგრამ ცხადია, რომ ღმერთის სიტყვა მანამდე (განკაცებამდე) ღვთივმშვენიერად მოქმედებდა, თანახმად წერილისა].

წინადადებაში – „*δὴλον δὲ ὅτι τοῦ Θεοῦ Λόγου θεοπρεπῶς πρότερον ἐνεργήσαντος*“ – თუ სიტყვათა კავშირს – „*τοῦ Θεοῦ Λόγου... ἐνεργήσαντος*“ განვიხილავთ, როგორც ჩვეულებრივ, ნათესაობით ბრუნავაში დასმულ მსაზღვრელს, წინადადების ამგვარ შინაარსს მივიღებთ: [ღმერთის სიტყვის ... მოქმედების უწინ], რაც თავისთავად მიუღებელია. შესაბამისად, წინადადების ეს მონაკვეთი – „*τοῦ Θεοῦ Λόγου... ἐνεργήσαντος*“ – უნდა ითარგმნოს სინტაქსური კონსტრუქციით – Genetivus Absolutus, ანუ „დამოუკიდებელი ნათესაობითი“, რომელიც არის გარემოებით დამოკიდებული წინადადება. აქედან გამომდინარე, ნათესაობით ბრუნვაში მდგომი არსებითი სახელი – Λόγος, ამ კონსტრუქციაში ასრულებს ლოგიკური ქვემდებარის ფუნქციას და უნდა ითარგმნოს, როგორც დამოკიდებული წინადადების ქვემდებარე, ხოლო მიმღეობა – ἐνεργήσαντος ასრულებს ლოგიკური შემასმენლის ფუნქციას და უნდა ითარგმნოს, როგორც დამოკიდებული წინადადების შემასმენელი და აუცილებლად უნდა აღდგეს გარემოებითი წინადადების კავშირი (როდესაც, რადგანაც, რომ...) (შდრ. ურუშაძე 2018: 355). ჩვენს შემთხვევაში, ზმნიზედას – πρότερον ვერ ჩავთვლით გარემოებით დამოკიდებული წინადადების კავშირად, სინტაქსური კონსტრუქციისთვის – Genetivus Absolutus, რადგან ამ სახის წინადადებას, თარგმნის დროს, საკუთარი გარემოებითი კავშირი სჭირდება. შესაბამისად, კონტექსტიდან გამომდინარე, მარკოზ მონაზონის მიერ წარმოდგენილ წინადადების კონსტრუქციას ვერც „დამოუკიდებელ ნათესაობითად“ (Genetivus Absolutus) მივიჩნევთ, ატიკური დიალექტის გრამატიკის ნორმებიდან გამომდინარე.

ამგვარად, აღნიშნულ შემთხვევაში, შესაძლოა, ნაწილობრივ გადაცდომასთან გვეკონდეს საქმე, ატიკური დიალექტთან მიმართებით. აქედან გამომდინარე ეფრემ მცირე აღარ თარგმნის ზმნიზედას – πρότερον, ხოლო მიმღეობას – ἐνεργήσαντος თარგმნის არა გარემოებით დამოკიდებული წინადადებით, არამედ დამატებით დამოკიდებული წინადადების მეშვეობით. რითაც კვლავ დასტურდება ეფრემის მთარგმნელობითი უბადლო ოსტატობა და მეცნიერული განსწავლულობა: «*δὴλον δὲ ὅτι τοῦ Θεοῦ Λόγου θεοπρεπῶς πρότερον ἐνεργήσαντος κατὰ τὸ γεγραμμένον*» – „ცხად არს, ვითარმედ სიტყუაჲ ღმრთისაჲ ღმრთივმშვენიერად მოქმედებდა, წერილისამებრ“.

სანამ უშუალოდ მომდევნო ტექსტოლოგიურ შედარებაზე გადავალთ, განვიხილოთ კიდევ ერთი საკითხი, რომელიც ფოტი პატრიარქის შეხედულებას უკავშირდება. მეცნიერთა წრეში არსებობს მეორე მოსაზრებაც, ფოტი პატრიარქთან დაკავშირებით. ამ მოსაზრების შინაარსი გულისხმობს იმას, რომ ფოტი პატრიარქი, თავისი ნაშრომის – „ბიბლიოთეკის“ მე-200 კოდექსის ბოლო ნაწილში, სადაც განხილულია მარკოზის ნაშრომი, გარკვეულწილად საყვედურობს მარკოზს, რომ მისი მსჯელობა ნაშრომში – „მელქისედეკის შესახებ“, ბუნდოვანია, რამაც ხელი შეუწყო რაღაც ახალი ერსის აღმოცენებას (Durand 1999: 21; ასევე იხ. Ашмарин 2013: 35). თანამედროვე მკვლევარი ა. აშმარინი განმარტავს, რომ ერესში იგულისხმება მონოფიზიტობა. მისი მოსაზრებით, მონოფიზიტებმა გამოიყენეს მარკოზის ნაშრომი თავიანთ სასარგებლოდ, თუმცა მარკოზის ღვთისმეტყველებას არავითარი კავშირი არ ჰქონდა მონოფიზიტობასთან (Ашмарин 2013: 65).

ჩვენ ვიზიარებთ ა. აშმარინის ამ მოსაზრებას. რა თქმა უნდა, ერეტიკოსებს შეეძლოთ მარკოზის ნაშრომი თავიანთ სასარგებლოდ გამოეყენებინათ. ამგვარი შემთხვევა ხშირად იყო ეკლესიის ისტორიაში. ამის თვალსაჩინო მაგალითია წმ. დიონისე არეოპაგელი და მისი ნაშრომები. VI ს-ის 30-იან წლებში, როდესაც გაიმართა ცნობილი ანტიოქიის ადგილობრივი კრება დიოფიზიტებსა და მონოფიზიტებს შორის, პაექრობათა ჟამს სწორედ მონოფიზიტებმა მოიხმეს ციტატა არეოპაგეტული სწავლებიდან.

თანამედროვე მეცნიერთა აზრი, გარკვეულწილად, ეფუძნება ჩვენთვის უკვე კარგად ნაცნობი ფრანგი მეცნიერის, დიურანის გამოკვლევას. მისი შრომები მაღალ შეფასებას იმსახურებს და ჩვენც, ისევე როგორც სხვა მკვლევრები, სხვადასხვა საკითხში ვიყენებთ მის გამოკვლევებს. როგორც აღვნიშნეთ, დიურანის თქმით, ფოტი პატრიარქი „ბიბლიოთეკის“ მე-200 კოდექსის ბოლოს აღწერილი ცხრა ნაშრომიდან ცალკე გამოყოფს დოგმატურ ნაშრომს – „მელქისედეკის შესახებ“ და მისი დახასიათების დროს მიუთითებს, რომ მარკოზი იმდენად დაიბნა საკუთარ განმარტებებში, რომ ვერ აიცილა კრიტიკა ერეტიკული მოსაზრებების გამო (შდრ. Durand 1999: 21). შემდეგ დიურანი განმარტავს ფოტი პატრიარქის ამ სიტყვებს: [ხოლო მეცხრე სიტყვა, მიმართული მელქისედეკიანელთა წინააღდეგ, ამხელს ერესში დამნაშავეს (ბრალდებულს), რომელიც გახდა [მელქისედეკიანელთა ერესზე] უფრო

დიდი [ერესის] მშობელი (შემქმნელი). გარდა ამისა, იმისთვის, ვინც ყოველმხრიდან ესწრაფვის სარგებლის მიღებას, (მისთვის) არ იქნება უსარგებლო ამ ნაშრომის წაკითხვა (გაცნობა), ხოლო ზემოხსენებული სიტყვების (ნაშრომების) თანმიმდევრობას (რიგს) ყველა (გადაწერილი) ასლი (ხელნაწერი= τὰ ἀντίγραφα) იმავე სახით (τὴν αὐτὴν) არ იცავს, არამედ ზოგი ასლი (ხელნაწერი) [ნაშრომითა თანმიმდევრობას] წინ გადასწევს, ზოგი კი უკან გადასვამს, ისე რომ, რომელიღაც უკანა ადგილს პირველებს მიუჩენს]¹²⁵.

პირველ რიგში, დიურანი წერს, რომ ფოტის მიერ მარკოზის ნაშრომის – „მელქისედეკის შესახებ“ ორაზროვანმა (ბუნდოვანმა) შეფასებამ გაურკვევლობა გამოიწვია მთარგმნელთა შორს. ზოგიერთმა მთარგმნელმა ეს მონაკვეთი იმგვარად გაიაზრა, რომ მარკოზი, თითქოს, საკუთარ მამას ერესში ამხელდა. დიურანი მიიჩნევს, რომ ტექსტის ამგვარი გააზრება არ არის მართებული, და განმარტავს, რომ სიტყვით – „დამნაშავე“ (ἔνοχον), ანუ ის, რაც „იშვა“, იგულისხმება მარკოზის ნაშრომი, ხოლო სიტყვებით – «τὸν γεννησάμενον αὐτὸν» იგულისხმება ავტორი, ანუ შემქმნელი ამ ნაშრომისა, ე.ი. თავად მარკოზ მონაზონი (შდრ. Durand 1999: 21). მეტი სიცხადისთვის დავიმოწმებთ დიურანის სიტყვებს: «L'appréciation du petit traité dogmatique est exprimée dans des termes à vrai dire quelque peu contour-nés, qui ont amené certains traducteurs anciens à comprendre que Marc dénonçait dans Melch. **son propre père ! En réalité, ce qui est engendré, c'est le traité, et « celui qui a engendré» (τὸν γεννησάμενον αὐτόν), c'est Marc lui-même, dont Photius estime qu'il s'est embrouillé en ses explications au point de ne pas échapper au reproche d'hérésie» (Durand 1999: 21).**

ჩვენც ვეთანხმებით დიურანს ამ ასპექტში, რომ ფოტი პატრიარქი ნამდვილად ცალკე გამოყოფს დოგმატურ ნაშრომს – „მელქისედეკის შესახებ“, რადგან ეს ნაშრომი თავისი შინაარსით განსხვავდება დანარჩენი რვა ნაშრომისგან. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ფოტი ნაწარმოებს არ უწოდებს „მელქისედეკის შესახებ“ – «Εἰς τὸν Μελχισεδέκ», არამედ – „მელქისედეკიანელთა წინააღმდეგ“ – «Κατὰ Μελχισεδεκίανων». ფოტი პატრიარქი ამ სათაურით ერეტიკულ მიმდინარეობაზე მიუთითებს.

¹²⁵ «Ὁ δὲ θ', κατὰ Μελχισεδεκίτων ἀγωνιζόμενος, οὐδὲν ἔλαττον τὸν γεννησάμενον αὐτὸν αἰρέσεως ἔνοχον οὐ μετριωτέρας στηλιτεύει· πλὴν τῷ γε θηρᾶν πανταχόθεν ἐφιεμένῳ τὸ χρήσιμον, οὐκ ἀσυντελής αὐτῷ οὐδ' ἢ ἐκ τοῦτου ἀνάγκωσις ἔσται. Τὴν δὲ τῶν εἰρημένων λόγων τάξιν οὐ πάντα τὰ ἀντίγραφα τὴν αὐτὴν διασφάζει, ἀλλ' ἕνια προτάττει, ἄλλα ὑποτάττει, ὡς τινα καὶ τὴν ἐσχάτην τοῖς πρώτοις ἀπονέμειν χώραν» (Migne 1860(b): 669)

დიურანის გამოკვლევებიდან გამომდინარე, ჩვენ, ვარაუდისა და დაშვების სახით, ფოტი პატრიარქის ე. წ. „ორაზროვანი წინადადების“ რამდენიმე ჩვენეულ თარგმანს წარმოვიდგენთ, რათა უკეთესად გავაანალიზოთ მოცემული მონაკვეთი. მიგვაჩნია, რომ ჩვენი მოსაზრების წარმოჩენით, შესაძლოა, სხვა კუთხით წარმოვიდგეს ფოტი პატრიარქის დამოკიდებულება მარკოზ მონაზონის ნაშრომისადმი. როგორც აღვნიშნეთ, ჩვენს თვალსაზრისს მხოლოდ ვარაუდის სახით წარმოვადგენთ და არა როგორც მტკიცებულებას.

«Ὁ δὲ θ', κατὰ Μελχισεδεκικῶν ἀγαναζόμενος, οὐδὲν ἕλαττον τὸν γεννησάμενον αὐτὸν αἰρέσεως ἔνοχον οὐ μετριάτερως στηλιτεύει» (Migne 1860(b): 669) – [ხოლო მეცხრე სიტყვა, რომელიც მელქისედეკიანელთა წინააღდეგ არის მიმართული (იბრძვის), არანაკლებ (οὐδὲν ἕλαττον) ამხელს მას, ვინც წარმოშვა არც ისე მცირე [მასშტაბის] ერესში დამნაშავე].

თავდაპირველად, თარგმანი დიურანისეული განმარტების შესაბამისად გავიაზროთ, სადაც «τὸν γεννησάμενον αὐτὸν»-ში მოიაზრება ნაშრომის დამწერი, ანუ „თავად მშობელი“ ნაწარმოებისა, ე. ი. მარკოზ მონაზონი, ხოლო სიტყვით – «ἔνοχον», ანუ „დამნაშავე“, იგულისხმება მარკოზის ნაშრომი – „მელქისედეკის შესახებ“, რომელმაც, დიურანის მიხედვით, ერესის წარმოშობის საფუძველი შექმნა. დიურანი, როგორც ჩანს, წინადადებაში – „τὸν γεννησάμενον αὐτὸν... ἔνοχον“, სიტყვას „ἔνοχον“ [დამნაშავე] მიიჩნევს მიმღებური ფორმის – „τὸν γεννησάμενον“ [ვინც შექმნა] პირდაპირ დამატებად, და შესაბამისად თარგმნის: „მას, ვინც წარმოშვა (შექმნა) ... დანაშავე“. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ეს წინადადება შეიძლება სხვაგვარადაც ითარგმნოს, რასაც ქვემოთ წარმოვაჩენთ.

როგორც ირკვევა, ფოტი პატრიარქის მოცემული სიტყვები მართლაც გაურკვევლობასა და ორაზროვნებას იწვევდა მთარგმნელთა შორის. ამის დასტურად წარმოვადგენთ მე-17 საუკუნის ფრანგულ თარგმანს - «Il y a encore un neuvième livre contre les Melchisédecien, dans lequel il n'épargne pas même son père qui avait été engagé dans cette hérésie.» (Ellies 1693) - სადაც სიტყვები – «τὸν γεννησάμενον αὐτὸν» გაგებულია, როგორც – „თავად მშობელს (= მამას)“, ანუ მარკოზი, თითქოს, ამხელს საკუთარ მამას. ამ გააზრების მიხედვით, ბერძნული ტექსტის ქართული თარგმანი ამგვარი იქნება: [ხოლო მეცხრე სიტყვა, რომელიც მელქისედეკიანელთა წინააღდეგ არის მიმართული

(იბრძვის), არანაკლებ (არამცირედ=ძლიერად) (οὐδὲν ἕλαττον) ამხელს ერესში დამნაშავეს (ბრალდებულს), **თავად მის მშობელს (= საკუთარ მამას)**].

ერთი მხრივ, ჩვენ ვეთანხმებით დიურანის იმ მოსაზრებას, რომ XVII საუკუნის ფრანგულ თარგმანში არამართებულად არის ორიგინალი ტექსტი გააზრებული. მაგრამ, მეორე მხრივ, მოკრძალებით გამოვთქვამთ ჩვენს მოსაზრებას, კერძოდ: მიუხედავად იმისა, რომ ფოტი პატრიარქის განმარტება, ერთი შეხედვით, ორაზროვნად წარმოჩნდება, ვფიქრობთ, არსებითად, არავითარი გაურკვევლობა არ არსებობს. გაურკვევლობა კი წარმოშვა მკვლევართა და მთარგმნელთა სუბიექტურმა (კერძო) შეხედულებამ. ფოტი პატრიარქი გამოირჩეოდა განსწავლულობითა და სიზუსტით. ეს კარგად ჩანს მისი ნაშრომიდანაც. ჩვენ ვნახეთ, თუ რაოდენ დიდ მნიშვნელობას ანიჭებს იგი აზრის ზუსტ და მართებულ გადმოცემას, ძველი ბერძნული ენის ატიკურ დიალექტთან მიმართებით. აქედან გამომდინარე, ჩვენ არ ვთვლით, რომ ფოტი პატრიარქი მაკოზ მონაზონის ნაშრომის შეფასებისას, აზრს შეგნებულად, გაურკვევლად და ორაზროვნად გადმოსცემდა. ვფიქრობთ, მისი ეს შეფასებაც ლაკონიური და ზუსტია: «Ὁ δὲ θ', κατὰ Μελησιθεδικτῶν ἀγανιζόμενος, οὐδὲν ἕλαττον τὸν γεννησάμενον αὐτὸν αἰρέσεως ἔνοχον οὐ μετριωτέρας στήλιτεύει» (Migne 1860(b): 669) – [ხოლო მეცხრე სიტყვა, მიმართული მელქისედეკიანელთა წინააღდეგ, ამხელს ერესში დამნაშავეს (ბრალდებულს), რომელიც გახდა [მელქისედეკიანელთა ერესზე] უფრო დიდი (=არამცირე, არაუბრალო) [ერესის] მშობელი (შემქმნელი)]. ფოტი გადმოგვცემს, რომ მარკოზის ეს ნაშრომი ებრძვის მელქისედეკიანელთა მწვალებლობას, და, გარდა ამისა, ხაზგასმით წერს, რომ ის ამხელს ერესში დამნაშავეს „αἰρέσεως ἔνοχον...στήλιτεύει“, ანუ ნაშრომი „მელქისედეკის შესახებ“ ამხელს იმასაც, ვინც მომავალში რომელიღაც ერესს აღმოცენების საბაზი მისცა, ე. ი. სიტყვებით – «τὸν γεννησάμενον αὐτὸν... ἔνοχον» – იგულისხმება ის, ვინც უკვე შემდგომ გახდა მელქისედეკიანელთა ერესთან შედარებით უფრო დიდი მასშტაბის ერესის წარმოქმნის მიზეზი. რაც შეეხება საკუთრივ წინადადების წყობას: «τὸν γεννησάμενον αὐτὸν... ἔνοχον... στήλιτεύει», სიტყვა – «ἔνοχον» არ არის მიმღეობური ფორმის – „τὸν γεννησάμενον“ – პირდაპირი დამატება, როგორც ამას დიურანი მიიჩნევს: „ამხელს მას, ვინც წარმოშვა (შექმნა)...დანაშავე“, არამედ მოცემული წინადადებისთვის – «τὸν γεννησάμενον αὐτὸν...ἔνοχον...στήλιτεύει» არის შეთანხმებული მსაზღვრელ-

საზღვრული (Мейшен 2008: 79): [ამხელს ... დამნაშავეს, რომელიც თავად არის მშობელი]. შესაბამისად, მიგვაჩნია, რომ სიტყვაში – „ἔνοχον“ – „დამნაშავე“ არ იგულისხმება მარკოზის ნაშრომი – „მელქისედეკის შესახებ“, ხოლო მიმღეობაში – „τὸν γεννησάμενον αὐτὸν“ – „დამნაშავის მშობელი“, ანუ „თავად მარკოზი“, როგორც დიურანი განმარტავს. თუ რომელ ერესზეა საკუთრივ საუბარი, დასახელებული არ არის, მაგრამ სიტყვები – „არამცირე ერესი“ გვაფიქრებინებს, რომ აღნიშნული ერესი, მასშტაბითა და ჭეშმარიტი სწავლების გაუკუღმართებით, აღემატებოდა მელქისედეკიანელთა მწვალებლობას.

ფოტი პატრიარქი, როცა მარკოზს მოიხსენებს და მასზე საუბრობს, ყოველთვის აკონკრეტებს მის სახელს და მას ორაზროვნად არსად არ წარმოგვიდგენს. მაგალითისთვის კვლავ დავიმოწმოთ მე-200 და 201-ე კოდექსებს „ბიბლიოთეკიდან“: «καὶ ὁ ζ' δὲ εἰς διάλογον σχηματίζεται, σχολαστικὸν εἰσάγων τινὰ πρὸς Μάρκον αὐτὸν διαλεγόμενον» (Migne 1860(b): 669) – [მეექვსე სიტყვა დიალოგური სახით არის წარმოდგენილი და წარმოაჩენს ვინმე სქოლასტიკოსს, რომელიც თავად მარკოზთან ერთად მსჯელობს]; ასევე: «Τοῦ μέντοι Μάρκου δι' ἑκατέρας προέχων ἰδέας, καὶ ἐνιαχοῦ ταῖς γνώμαις ἀντιφέρεται» (Migne 1860(b): 672) – [ხოლო მარკოზის გამოხატვის ფორმას ორივე ასპექტით აღემატება და, ხანდახან, აზრებითაც უპირისპირდება].

აღნიშნული ფაქტიც ადასტურებს, რომ ფოტი პატრიარქი მარკოზსა და მის ნაშრომზე ბუნდოვნად არასდროს მიუთითებდა და არ წარმოქმნიდა გაურკვევლობის მიზეზს.

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას: ფოტი პატრიარქის ნაშრომის მიხედვით, მარკოზ მონაზონი საკუთარ მშობელ მამას ნამდვილად არ ადანაშაულებს ერესში. ფოტი კონსტანტინეპოლელი გარკვევით, არაორაზროვნად მიგვითითებს, რომ ერეტიკოსებმა მარკოზის ნაშრომი თავიანთ სასარგებლოდ ბოროტად გამოიყენეს და აღმოაცენეს რაღაც უფრო დიდი მასშტაბის მწვალებლობა, რადგან აღნიშნული ერესი უფრო ფართოდ გავრცელდა ბიზანტიის ტერიტორიაზე, ვიდრე მელქისედეკიანელთა გაუკუღმართება.

დიურანის მეორე არგუმენტი, რომელიც, მისი აზრით, განაპირობებს ფოტის კრიტიკულ დამოკიდებულებას მარკოზის მიმართ, შემდეგი სახისაა: «c'est Marc lui-même, dont Photius estime qu'il s'est embrouillé en ses explications au point de ne pas

échapper au reproche d'hérésie» (Durand 1999: 21). როგორც უკვე აღვნიშნეთ, მკვლევარი მიიჩნევს, რომ ფოტის აზრით, მარკოზი იმდენად დაიბნა საკუთარ განმარტებებში, რომ ვერ აიცილა კრიტიკა ერესის გამო (შდრ. Durand 1999: 21). გარკვეული თვალსაზრისით, ამ მოსაზრებას იზიარებს რუსი მკვლევარიც, ა. აშმარინი (Ашмарин 2013: 35). მისი განმარტებით, ფოტი პატრიარქი მიუთითებს, რომ მარკოზი არათანმიმდევრულია მელქისედეკიანელებთან პაექრობის დროს. მეტი სიცხადისთვის დავიმოწმებთ სრულ კონტექსტს „ბიბლიოთეკიდან“: [ხოლო მეცხრე სიტყვა მიმართული მელქისედეკიანელთა წინააღმდეგ, ამხელს დამნაშავეს (ბრალდებულს), რომელიც თავად არის [მელქისედეკიანელთა ერესზე] უფრო დიდი (=არამცირე) ერესის მშობელი (შემქმნელი). გარდა ამისა, იმისთვის, ვინც ყოველმხრიდან ესწრვფის სარგებლის მიღებას, (მისთვის) არ იქნება უსარგებლო ამ ნაშრომის წაკითხვა (გაცნობა). ხოლო ზემოხსენებული სიტყვების (ნაშრომების) თანმიმდევრობას (რიგს) ყველა (გადაწერილი) ასლი (ხელნაწერი=τὰ ἀντίγραφα) იმავე სახით (τὴν αὐτὴν) არ იცავს, არამედ ზოგი ასლი (=ხელნაწერი) [ნაშრომთა თანმიმდევრობას] წინ გადასწევს, სხვები კი უკან გადასვამს, ისე რომ, რომელიღაც უკანა ადგილს პირველებს მიუჩენს]¹²⁶.

„დაბნევაში“ დიურანი გულისხმობს ფოტის შემდეგ სიტყვებს: «Τὴν δὲ τῶν εἰρημένων λόγων τάξιν οὐ πάντα τὰ ἀντίγραφα τὴν αὐτὴν διασώζει, ἀλλ’ ἔνια προτάττει, ἄλλα ὑποτάττει, ὡς τινα καὶ τὴν ἐσχάτην τοῖς πρώτοις ἀπονέμειν χάραν» [ხოლო ზემოხსენებული (წარმოთქმული) სიტყვების (ნაშრომების) თანმიმდევრობას (რიგს) ყველა (გადაწერილი) ასლი (ხელნაწერი=τὰ ἀντίγραφα) იმავე სახით (τὴν αὐτὴν) არ იცავს, არამედ ზოგ ასლი (= ხელნაწერს) [ნაშრომთა თანმიმდევრობას] წინ გადასწევს, ზოგი კი უკან გადასვამს, ისე რომ, რომელიღაც უკანა ადგილს პირველებს მიუჩენს].

ვფიქრობთ, მკვლევარმა საშუალო სქესის სიტყვა „τὸ ἀντίγραφον“ – „ასლი“ გააიგივა მდედრობითი სქესის სიტყვასთან „ἡ ἀντιγραφὴ“ - „სიტყვისგება, პასუხის გაცემა, უარყოფა, ბრალდება“ (Дворецкий 1958: 163). შესაბამისად, ფოტი პატრიარქის სიტყვები არამართებულად გაიაზრა: „ყველა პასუხი (სიტყვისგება) წარმოთქმული

¹²⁶ «Ὁ δὲ θ’, κατὰ Μελχισεδεκитῶν ἀγωνιζόμενος, οὐδὲν ἔλαττον τὸν γεννησάμενον αὐτὸν αἰρέσεως ἔνοχον οὐ μετριώτερας στηλιτεύει· πλὴν τῷ γε θηρᾶν πανταχόθεν ἐφιεμένῳ τὸ χρήσιμον, οὐκ ἀσυντελής αὐτῷ οὐδ’ ἢ ἐκ τοῦτου ἀνάγκωσις ἔσται. Τὴν δὲ τῶν εἰρημένων λόγων τάξιν οὐ πάντα τὰ ἀντίγραφα τὴν αὐτὴν διασώζει, ἀλλ’ ἔνια προτάττει, ἄλλα ὑποτάττει, ὡς τινα καὶ τὴν ἐσχάτην τοῖς πρώτοις ἀπονέμειν χάραν» (Migne 1860(b): 669) -

სიტყვების თანმიმდევრობას (რიგს) არ იცავს“. სინამდვილეში კი ფოტი აღნიშნავს არა იმას, რომ მარკოზმა თავისი პოლემიკური სიტყვა არათანმიმდევრულად დაუპირისპირა ერეტიკოსებს, არამედ იმას, რომ გადაწერილ ხელნაწერთა ნუსხებში ნაშრომები, ანუ „სიტყვები“, ყოველთვის ერთი და იმავე თანმიმდევრობით არ არის განთავსებული.

ჩვენი აზრით, მკვლევართა კერძო მოსაზრებებმა განაპირობა მცირედი გაურკვევლობა ფოტი პატრიარქის შეხედულებასთან მიმართებით, რაც მარკოზ მონაზონს და მის ნაშრომებს უკავშირდება.

ვ) მეთერთმეტე თავში გამოვლენილი კლება:

1. *ეფრემი*: „ჰხედავა რაოდენთა გმობათა და რაოდენთა ბოროტთა შთაჰვარდები, ესევითართა ამით ბოროტადმორწმუნეობითა შენითა. ხოლო თუ ვითარ ესე ისწავე:“ SC.: Βλέπεις πόσαις βλασφημίαις καὶ πόσοις κακοῖς περιπέπτωκας διὰ τὴν τοιαύτην σου κακοπιστίαν, **μᾶλλον δὲ παντελῆ ἀπιστίαν**. Τὸ δὲ πᾶς μάθε· [ხედავ, თუ რაოდენ გმობასა და ბოროტებაში ჩავარდი შენი ამგვარი ბოროტმორწმუნეობისა და, **უფრო სწორად, სრული ურწმუნოების გამო**, ხოლო თუ როგორ (მოხდა ეს), ისწავლე:].

ძველ ქართულ თარგმანს აკლია წინადადება: μᾶλλον δὲ παντελῆ ἀπιστίαν [უფრო სწორად, სრული ურწმუნოების გამო].

II. ტექსტის მატება

ა) მეოთხე თავში გამოვლენილი მატება:

1. *ეფრემი*: „რამეთუ უკუეთუ დაუსაბამოდ სიტყუად იქმნა დასაბამ **თვისა** განკაცებისა, ცხად არს, ვითარმედ დაუსაბამო არს ქრისტე, თვთ **მისითა** საშოსა შინა **შეერთებითა**“ (თ. 4). SC.: Εἰ γὰρ ὁ ἄναρχος Λόγος τῆς ἐνανθρωπήσεως γέγονεν ἀρχή, σαφές ὅτι ὁ Χριστὸς ἄναρχος διὰ τὴν ἐκ μητρὸς ἔνασιν. [მართლაც, თუ დაუსაბამო სიტყვა [თავისი] განკაცების დასაწყისი გახდა, მაშინ ნათელია, რომ დაუსაბამოა ქრისტე დედის საშოში [საღვთო და კაცობრივი] შეერთების შემდეგაც (=შეერთებითაც)].

ეფრემს თარგმანში დამატებული აქვს ნაცვალსახელები: „თვისა“ და „მისითა“, რომლებიც წინადადების შინაარსს უფრო მეტ სიზუსტეს ანიჭებს. აქ მნიშვნელოვანია ის საკითხი, რომ მარკოზ მონაზონი გადმოსცემს მაცხოვრის განკაცების დოგმატის ერთ-ერთ ფუნდამენტურ სწავლებას, რომელიც ნაცვალბოძების წესს უკავშირდება. იოანე დამასკელი ამგვარად განმარტავს ნაცვალბოძების წესს: „და რაჟამს ერთისა

კერძოთაგანისაგან ძედ ღმრთისად და ღმერთად სახელ-იდებოდის, შეიწყნარებს თვთებათა მის თანა ერთ-გუამ ქმნილისაცა ბუნებისათა, რომელ არიან ჯორცნი. ღმერთად ვნებულად აღსაარებული და უფალი დიდებისად ჯუარცმული არა ვითარ ღმერთი არს, არამედ ვითარ კაც არს იგივე. და რაჟამს კაცად და ძედ კაცისად სახელ-იდებოდის, მიითუალავს თვთებათა საღმრთოჲსა არსებისათა და სიქადულობათა ყრმაჲ პირველ საუკუნეთად და კაცი დაუსაბამოდ, არა ვითარ-იგი ყრმა არს კაც, არამედ ვითარ-იგი ღმერთ პირველ საუკუნეთად მყოფი უკუანაძსკნელ იქმნა ყრმა, და ესე არს სახე ნაცვალ-მიმცემელობისა თითოეულისა ბუნებისად, ვითარმცა ნაცვლად მისცემდა სხუდ სხუასა თვსთა იგივეობისთვის გუამოვნებისა და ურთიერთას დამტევნელობისა მათისა. ამის უკუე სიტყვსაებრ ძალ-გვც თქუმაჲ ქრისტესთვის, ვითარმედ „ესე ღმერთი ჩუენი ქუეყანასა ზედა გამოჩნდა“ (ბარ. 3. 36, 38), და კაცი ესე აუგებელ არს და უვნებელ და გარეშემოუწერელ“ (მიმინოშვილი 2006: 233). შესაბამისად, მარკოზ მონაზონი ფრაზით – „დაუსაბამოდ სიტყუად იქმნა დასაბამ თვისისა განკაცებისა“ – გულისხმობს, რომ სამების მეორე ჰიპოსტასმა, დაუსაბამო სიტყვამ, ანუ ძე ღმერთმა, ნაცვალბოდების წესის შესაბამისად განიკუთვნა დასაბამი, უფალი იესო ქრისტე კი დაუსაბამო საღვთო ბუნების შესაბამისად.

მარკოზი განაგრძობს ნაცვალბოდების შესახებ მსჯელობას და ამომწურავად უპასუხებს ერეტიკოსთა კითხვას: „კუალად იტყვან: „დავდვათ, ვითარმედ ქრისტესა არა აქუს დასაბამი, შეერთებისა მისთვის, ნუუკუე შეერთებასაცა არავე აქუსა დასაბამი?“ აქუსაცა და არა აქუს, რამეთუ თვთ დაუსაბამოდ იგი იქმნა დასაბამ შეერთებისა და ამისთვის ვთქუ აქუსცა და არა აქუს“ (თ. 5). SC.: Δεδόσθη, φησίν, ὅτι ὁ Χριστὸς οὐκ ἔχει ἀρχὴν διὰ τὴν ἔνωσιον· μὴ καὶ ἡ ἔνωσις ἀρχὴν οὐκ ἔχει; Καὶ ἔχει καὶ οὐκ ἔχει, διότι αὐτὸς ὁ ἄναρχος τῆς ἐνώσεως γέγονεν ἀρχή, καὶ διὰ τοῦτο εἶπον· καὶ ἔχει καὶ οὐκ ἔχει. [„დავუშვათ (= Δεδόσθη), რომ ქრისტეს არ აქვს დასაბამი შეერთების გამო; ნუთუ შეერთებასაც არა აქვს დასაბამი?“ აქვს და თან არა აქვს, რადგან თავად დაუსაბამო შეერთების დასაბამი გახდა. ამიტომაც ვთქვი: აქვს და თან არა აქვს].

მარკოზი განუმარტავს ერეტიკოსებს, რომლებსაც განკაცებული მაცხოვარი ლიტონ ადამიანად მიაჩნდათ: რა თქმა უნდა, დროში განხორციელდა განკაცება და, ამ მხრივ, დასაბამი აქვს ქრისტეს ადამიანურ ბუნებას, მაგრამ, მეორე მხრივ, ძე ღმერთი

იესო ქრისტე არის დაუსაბამო და ამიტომაც ითქმის, მასზე რომ ერთდროულად არის დაუსაბამო საღვთო ბუნებით და დასაბამიერი ადამიანური ბუნების შესაბამისად.

ჩვენ ზემოთ უკვე განვიხილეთ მეცნიერთა მიერ გამოთქმული მარკოზ მონაზონის ნაშრომის – „მელქისედეკის შესახებ“ კრიტიკა (Durand 1999: 35, 96), რომელიც, მეტწილად, როგორც ანალიზიდან გაირკვა, ფოტი პატრიარქის ნაშრომის არამართებული თარგმანისა და გააზრებითაა განპირობებული. აქვე დავამატებთ, რომ ა. აშმარინი თავის გამოკვლევაში წარმოგვიდგენს ინგლისელი მეცნიერის, ჰენრი ჩედვიკის მოსაზრებას, რომლის მიხედვით, ჩედვიკი მარკოზ მონაზონს მონოფიზიტობას მიაწერს (Ашмарин 2013: 19), ხოლო ა. ი. სიდოროვი თავის გამოკვლევაში იმოწმებს გრილმეიერის ნაშრომს – „κρυακός ἄσθραπος“, სადაც გრილმეიერი მარკოზ მონაზონს ადანაშაულებს, რომ მისი სწავლება მონოფიზიტურ მოძღვრებას უახლოვდება (Сидоров 2011: 224-225).

ამჯერად წარმოვადგენთ მარკოზის ნაშრომის საკუთრივ იმ მონაკვეთს, რომელმაც ზემოთ აღნიშნული დამოკიდებულება წარმოშვა. მეტი სიცხადისთვის დავიმოწმებთ სრულ კონტექსტს, რათა ნათელი მოეფინოს არსებულ გაუგებრობას:

ეგრემი: „კულადაცა იტყვან: „ქრისტემან ჯორცნი ჩუენნი შეისხნაო, ანუ არა“? ჰე ჩუენნი, არამედ არა განყოფილად მიიხუნა იგინი, რამეთუ არათუ პირველ დაჰბადნა იგინი და ეგრეთ შეიერთნა, არამედ მყის საშოდთვე-ყო განუყოფელი შეერთებად, ვითარცა პირველ ვთქუთ. მყის მოგვგებენ, ვითარმედ: „რადსათჳს აღირცხუვიან წელნი მისნი“? აღირცხუვიან წელნი არა ხოლო ერთკერძოდთა ბუნებითა, არამედ შობითა კაცობრივ შობილისადთა, რამეთუ არა თქუა წერილმან, ვითარ-ეგე თქუენ იტყვთ, ვითარმედ ლიტონი კაცი იშვა სიტყუად ღმერთი, არამედ ქრისტე, რომელ-იგი არს თანად ღმერთი და კაცი, განუყოფელად და განუწვალელებლად ძე ღმრთისად, რამეთუ განგებულებითისა შობისად აქუნდა დასაბამი, ხოლო ბუნებისად არა აქუს დასაბამი საშოდთგამო შეერთებისათჳს, რამეთუ ვის ზედა დასდებ დასაბამსა მითხარდა, ლიტონსა გუამისა? არამედ ლიტონ არა ოდეს იყვნეს საუფლონი ჯორცნი, ჳმისაებრ სახარებისა, იოსების მიმართ მეტყუელისა: „ნუ გეშინინ მიყვანებად მარიამისა ცოლისა შენისა, რამეთუ მის შორის შობილი სულისაგან წმიდისა არს“, არამედ დასაბამსა დასდება შობილსა ქრისტესა ზედა? აჰა იგი არს სტყუად ჯორცმეხმული, ვითარცა-იგი სახარებათა შინა გამოჩინებულ არს, ვინად არცა განყოფასა, არცა დასაბამსა

შესაძლებელ არს დადებამ ქრისტესა ზედა, ვითარცა-იგი გამოჩინებულ არს. კუალად იტყვან: „დავდვით, ვითარმედ ქრისტესა არა აქუს დასაბამი, შეერთებისა მისთვის, ნუუკუე შეერთებასაცა არავე აქუსა დასაბამი?“ აქუსაცა და არა აქუს, რამეთუ თვთ დაუსაბამოდ იგი იქმნა დასაბამ შეერთებისა და ამისთვის ვთქუ აქუსცა და არა აქუს, ხოლო უკეთილმსახურეს არს თქუმად, ვითარმედ არა აქუს, რამეთუ რაოდენნი გუამოვნებით შეიერთოს დაღათუ ორთაგან იცნობებოდის, გარნა უძლიერესსა მას ბუნებასა თანა შეერთებული, იგივედ იცნობების და სახელ-იდების, ვითარცა-იგი მდინარე წვიმისაგან შეკრებული და ზღვსადა შეერთებული არლარა მდინარედ ითქუმის, არამედ ზღუად, მიერ მიღებითა დასაბამისადათა მისდადვე შეერთებული, რამეთუ უკუეთუ ჯორციელი ძალი, ვითარცა უზემთაესი მოქმედებდა სიტყვსა შორის და ესრეთ იქმნა შეერთებად იგი, იცნობებოდენ ქონებად დასაბამისადაცა ბუნებისაებრ ჯორცთადას, ხოლო უკუეთუ ღმერთი სიტყუად ღმრთივბუნებითად მოქმედებდა სახარებისაებრ, ცხად არს, ვითარმედ მის ბუნებისად იქმნა წმიდად იგი გუამი, „რამეთუ მის შორის დამკვდრებად სათნო-იყო ყოველი სავსებად ღმრთეებისად ჯორციელად“ (კოლ. 1.19;2.9), ხოლო უკუეთუ ყოველივე სავსებად, ცხად არს, ვითარმედ არარადა დაკლებულ არს ღმრთეებისაგან, რომელიმცა არა აქუნდა წმიდათა ჯორცთა ქრისტესთა (თ. 5)¹²⁷.

¹²⁷ SC.: Καὶ πάλιν φησί· Ὁ Κύριος τὸ ἡμέτερον ἀνέλαβε σῶμα ἢ οὐ; Ναί, τὸ ἡμέτερον· ἀλλ' οὐ διηρημένως αὐτὸ ἀνέλαβεν· οὐ γὰρ προϋπέστησεν αὐτὸ καὶ τότε ἠνώθη, ἀλλ' ἀδιαίρετον ἐκ μήτρας ἐποίησατο τὴν ἔνωσιν, καθὰ προειρήκαμεν. Εὐθὺς δὲ λέγουσι· Διὰ τί οὗν ψηφίζετε αὐτοῦ τὰ ἔτη; Ἐτη ψηφίζονται οὐκ ἐκ φύσεως μονομερῶς, ἀλλὰ γεννήσεως τοῦ γενομένου ἀνθρώπου. Οὐκ εἶπε γὰρ ἡ Γραφή ὅτι ἐγεννήθη ψιλὸς ἄνθρωπος, ὡς ὑμεῖς λέγετε, ἢ ὁ Θεὸς Λόγος, ἀλλ' ὁ Χριστὸς, ὃς ἐστὶ Θεὸς ἅμα καὶ ἄνθρωπος, ἀμέριστος καὶ ἀδιαίρετος Υἱὸς Θεοῦ. Γεννήσεως οὗν τῆς οἰκονομικῆς ἔσχεν ἀρχὴν, φύσεως δὲ ἀρχὴν οὐκ ἔχει διὰ τὴν ἐκ μήτρας ἔνωσιν. Τίτι γάρ, εἰπέ μοι, ἐπιθήσεις ἀρχὴν; σῶματι ψιλῶ; ἀλλὰ ψιλὸν οὐδέποτε ὑπήρξε τὸ κυριακὸν σῶμα κατὰ τὴν εὐαγγελικὴν φωνὴν τὴν λέγουσαν πρὸς Ἰωσήφ· «Μὴ φοβηθῆς παραλαβεῖν Μαριάμ τὴν γυναῖκά σου· τὸ γὰρ ἐν αὐτῇ γεννηθὲν ἐκ Πνεύματος ἔστιν ἁγίου.» Ἀλλ' ἐπιθήσεις ἀρχὴν τῶ γεννηθέντι Χριστῶ; Ἴδου αὐτὸς ὁ Λόγος σεσαρκωμένος, καθὼς ἐν τοῖς Εὐαγγελίοις ἀποδέδεικται. Οὐτε οὗν μερισμὸν οὐτε ἀρχὴν ἐπιθεῖναι δύνασαι τῶ Χριστῶ, καθὼς ἀποδέδεικται. Δεδόσθω, φησί, ὅτι ὁ Χριστὸς οὐκ ἔχει ἀρχὴν διὰ τὴν ἔνωσιν· μὴ καὶ ἡ ἔνωσις ἀρχὴν οὐκ ἔχει; Καὶ ἔχει καὶ οὐκ ἔχει, διότι αὐτὸς ὁ ἄναρχος τῆς ἔνωσεως γέγονεν ἀρχή, καὶ διὰ τοῦτο εἶπον· καὶ ἔχει καὶ οὐκ ἔχει. Εὐσεβέστερον δὲ ἐστὶν εἰπεῖν ὅτι οὐκ ἔχει· ὅσα γὰρ ὑποστατικῶς ἦνται, κἂν ἐκ δύο νοοῖτο, ὅμως τῆ τοῦ δυνατωτέρου φύσει συνενωθὲν ἐκείνο καὶ νοεῖται καὶ ὀνομάζεται. Καθάπερ ποταμὸς ἀπὸ βροχῆς συσταθεὶς καὶ τῆ θαλάσσης συμμειγρῶς οὐκ ἔτι λέγεται ποταμὸς, ἀλλὰ θάλασσα, ἐκεῖθεν ἀρχὴν λαβὼν ἀκαθεῖ καταλήξας. Εἰ μὲν γὰρ ἡ σωματικὴ δύναμις ὡς υπερέχουσα ἐνήργησε τῶ Λόγῳ καὶ οὕτως γέγονεν ἔνωσις, νοεῖσθω καὶ ἀρχὴν ἔχειν κατὰ τὴν τοῦ σώματος φύσιν. Εἰ δὲ ὁ Θεὸς Λόγος θεοπρεπῶς ἐνήργησε κατὰ τὸ Εὐαγγέλιον, φανερόν ὅτι πρὸς ἐκείνην τὴν φύσιν τὸ ἅγιον σῶμα ἠυγένισται, ὅτι ἐναυτῶ εὐδόκησε κατοικῆσαι πᾶν τὸ πλήρωμα τῆς θεότητος σωματικῶς. Εἰ δὲ πᾶν τὸ πλήρωμα, δηλονότι οὐδὲν ὑπολέλειπται τῆς θεότητος, ὃ οὐκ ἔχει τὸ ἅγιον σῶμα τοῦ Χριστοῦ. [და კვლავ ამბობენ: „უფალმა ჩვენი სხეული (ბუნება) მიიღო თუ არა?“ დიახ, ჩვენი. მაგრამ არა განყოფილად (დროში) მიიღო ის (სხეული), რადგან წინასწარ კი არ შექმნა ის (სხეული) და ამ დროს შეურთდა (მას), არამედ განუყოფელი შეერთება განხორციელდა. ისინი კი მყისვე ამბობენ: „მაშ რატომ აღრიცხავთ მის წლებს?“ წლები (ადამიანური) ბუნებისგან განცალკევებულად კი არ აღრიცხებიან, არამედ შობიდან [აღრიცხებიან წლები], მას შემდეგ რაც [ძე] ადამიანად იშვა. რადგან არ უთქვამს წერილს, რომ ლიტონი ადამიანი დაიბადა, როგორც თქვენ ამბობთ,

პირველ რიგში, მსჯელობა კვლავ უნდა დავიწყოთ მარკოზის ზემოთ აღნიშნული ფრაზით: „რამეთუ თვთ დაუსაბამოდ იგი იქმნა დასაბამ შეერთებისა“. მოცემული მონაკვეთი, გარდა იმისა, რომ ნაცვალბოდების წესის შესახებ გადმოგვცემს სწავლებას, ასევე მეორე დოგმატურ ფორმულირებასაც იტევს, კერძოდ: მარკოზ მონაზონი განმარტავს, რომ დაუსაბამო სიტყვის, ანუ ძე ღმერთის ჰიპოსტასში განხორციელდა შეერთება, ანუ განკაცება და იესო ქრისტეში დაიწყო არსებობა მისმა ადამიანურმა ბუნებამ და არასოდეს არსებულა მისი ადამიანური ბუნება ქრისტეს გარეშე. ამასთან დაკავშირებით, ტექსტის წინა მონაკვეთიდან მარკოზის სწავლებას მოვიხმობთ: „კულადცა იტყვან: „ქრისტემან ჯორცნი ჩუენნი შეისხნაო, ანუ არა?“ ჰე ჩუენნი, არამედ არა განყოფილად მიიხუნა იგინი, რამეთუ არათუ პირველ დაჰბადნა იგინი და ეგრეთ შეიერთნა, არამედ მყის საშოდთვე-ყო განუყოფელი შეერთებად“. სავსებით ცხადია, თუ რაოდენ ზუსტად არის წარმოჩენილი მარკოზის მიერ მაცხოვრის განკაცების დოგმატი.

ამავე სწავლებას ეფუძნება და გადმოსცემს იოანე დამასკელი „გარდამოცემის“ 56-ე თავში: „კულად იტყვს მოციქული: „გამოავლინა ღმერთმან ძე თვისი მხოლოდ-შობილი, ქმნილი დედაკაცისგან“ (გალატ. 4,4). არა თქუა დედაკაცის მიერ, არამედ

ღმერთი სიტყვა, არამედ ქრისტე, რომელიც ერთად არის ღმერთი და ადამიანი, განუყოფელი და არაგანყოფილი ღვთის ძე. ასე რომ (ქრისტეს) ჰქონდა განგებულებითი შობის დასაწყისი, ხოლო [დედის] საშოში შეერთებით (ერთ ჰიპოსტასში) მის (საღვთო) ბუნებას დასაწყისი არ აქვს. ამგვარად, მითხარი მე, ვის განუწყესებ (განუკუთვნებ) დასაბამს (დასაწყისს)? ლიტონ (ცალკე) სხეულს? მაგრამ ლიტონი (ცალკე) არასოდეს ყოფილა საღვთო სხეული, სახარებისეული სიტყვის შესაბამისად, სადაც იოსების მიმართ არის ნათქვამი: „არ შეგეშინდეს, რომ მიიღო შენი ცოლი მარიამი, რამეთუ მისგან (მასში) შობილი სულიწმინდისგან არის“ (მათ. 1.20). ხოლო შენ დასაბამს განუწყესებ შობილ ქრისტეს? ნახე, რომ თავად სიტყვა განხორციელდა, როგორც ნაჩვენებია სახარებებში. ასე რომ, ვერც განყოფას და ვერც დასაბამს ვერ განუკუთვნებ, ქრისტეს, როგორც ნაჩვენებია. ის (ერეტიკოსი) კი ამბობს: „დავუშვათ (= Δεδοῖσθαι), რომ ქრისტეს არ აქვს დასაბამი შეერთების გამო; ნუთუ შეერთებასაც არა აქვს დასაბამი?“ აქვს და თან არა აქვს, რადგან თავად დაუსაბამო შეერთების დასაბამი გახდა. ამიტომაც ვთქვი: აქვს და თან არა აქვს. ხოლო უფრო კეთილმსახურებითა თქმა იმისა, რომ არა აქვს. რამდგანაც [ორი ბუნება] ჰიპოსტასურად შეერთდა, ორი ბუნებისგან კი შეიცნობა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, უფრო ძლიერის ბუნებასთან შეერთებული, ასე შეიცნობა და იწოდება. ისევე, როგორც მდინარე, რომელიც წვიმისგან ივსება და ზღვას უერთდება, უკვე აღარ იწოდება მდინარედ, არამედ ზღვად, საიდანაც (შეერთებიდან) იღებს [შეერთების] დასაბამს და აქვე ასრულებს მას, [შეერთების] დასაბამს [და ხდება ზღვა]. რადგან თუკი სხეულებრივმა ძალამ, როგორც უპირატესმა იმოქმედა სიტყვაში და ამის შედეგად განხორციელდა შეერთება, მაშინ უნდა გავიაზროთ, რომ დასაბამიც აქვს ხორციელი ბუნების მიხედვით, ხოლო, თუკი სახარების თანახმად, სიტყვა ღმერთმა საღვთო დიდებულებით იმოქმედა, ცხადია, რომ ამ (საღვთო) ბუნების შესაბამისად განიღმრთო (გაკეთილშობილდა) წმინდა სხეული, რადგან სათნო-იჩინა, რომ მასში დამკვიდრებულიყო მთელი ღვთაების სისავსე, ხორციელად (კოლ. 1.19; 2.9). თუკი მთელი სისავსე [დაემკვიდრა], ცხადია, რომ არაფერი დარჩენილა საღმრთო, რაც არ აქვს ქრისტეს წმინდა სხეულს].

დედაკაცისგან. ვინაიца წარმოაჩინა საღმრთო მან მოციქულმან, ვითარმედ თვთ იგი არს მხოლოდშობილი ძე ღმრთისაჲ და ღმერთი ქალწულისაგან ქმნილი იგი კაცი. და თვთ იგი არს ქალწულისაგან შობილი იგი ძე ღმრთისაჲ და ღმერთი, ხოლო შობილი სხეულეანად, ვითარ-იგი იქმნა კაც, არა გუამქმნილისა კაცისა შორის დამკვიდრებული, ვითარცა წინაღწარმეტყუელისა შორის, [არამედ] თვთ არსებით და ჭეშმარიტებით კაცქმნილი, ესე იგი არს, გუამსა შინა თვსსა სულიერთა ჳორცთა, სულისა სიტყუერისა და გონიერისა გუამყოფელი და თვთ გუამ მათდა ქმნილი“ (მიმინოშვილი 2006: 248).

შემდეგ მარკოზი განაგრძობს მსჯელობას და ამგვარად უპასუხებს ერეტიკოსებს:

ეგრემო: „კუალად იტყვან: „დავდვათ, ვითარმედ ქრისტესა არა აქუს დასაბამი, შეერთებისა მისთვს, ნუუკუე შეერთებასაცა არავე აქუსა დასაბამი?“. აქუსაცა და არა აქუს, რამეთუ თვთ დაუსაბამოდ იგი იქმნა დასაბამ შეერთებისა და ამისთვს ვთქუ აქუსცა და არა აქუს, ხოლო უკეთილმსახურეს არს თქუმად, ვითარმედ არა აქუს, რამეთუ რაოდენნი გუამოვნებით შეიერთოს დაღათუ ორთაგან იცნობებოდის, გარნა უძლიერესსა მას ბუნებასა თანა შეერთებული, იგივედ იცნობების და სახელ-იდების, ვითარცა-იგი მდინარე წვმისაგან შეკრებული და ზღვსადა შეერთებული არღარა მდინარედ ითქუმის, არამედ ზღუად, მიერ მიღებითა დასაბამისაჲთა მისდადვე შეერთებული, რამეთუ უკუეთუ ჳორციელი ძალი, ვითარცა უზეშთაესი მოქმედებდა სიტყვსა შორის და ესრეთ იქმნა შეერთებაჲ იგი, იცნობებოდენ ქონებაჲ დასაბამისაჲცა ბუნებისაებრ ჳორცთაჲსა“ (თ. 5).

მარკოზის მიერ გამოყენებული ტერმინი ἕνωσις – „შეერთება“ იესო ქრისტეს განკაცების კიდევ ერთ დოგმატურ საკითხს მოიცავს. როგორც აღვნიშნეთ, მარკოზი მონაზონი უპირისპირდება ერეტიკოსებს, რომლებიც უარყოფდნენ განკაცების საიდუმლოს: „რამეთუ არა თქუა წერილმან, ვითარ-ეგე თქუენ იტყვთ, ვითარმედ ლიტონი კაცი იშვა სიტყუად ღმერთი, არამედ ქრისტე, რომელ-იგი არს თანად ღმერთი და კაცი, განუყოფელად და განუწვალელებლად ძე ღმრთისაჲ“ (თ. 5). Οὐκ εἶπε γὰρ ἡ Γραφή ὅτι ἐγεννήθη ψιλὸς ἄνθρωπος, ὡς ὑμεῖς λέγετε, ἢ ὁ Θεὸς Λόγος, ἀλλ’ ὁ Χριστὸς, ὃς ἐστὶ Θεὸς ἅμα καὶ ἄνθρωπος, ἀμέριστος καὶ ἀδιάρητος Υἱὸς Θεοῦ. [რადგან არ უთქვამს წერილს, რომ ლიტონი ადამიანი დაიბადა, როგორც თქვენ ამბობთ, ღმერთი სიტყვა,

არამედ ქრისტე, რომელიც ერთად არის ღმერთი და ადამიანი, განუყოფელი და არაგანყოფილი ღვთის ძე].

შესაბამისად, მარკოზი ტერმინით – **შეერთება** აღნიშნავს იმ უმწვერვალეს შეერთებას¹²⁸, რომელიც განხორციელდა ორი ბუნების შეერთებით მაცხოვრის ერთ ჰიპოსტასში. მარკოზის განმარტებით, ეს შეერთება იმდენად მიუწვდომელი და აღმატებულია ორი ჰიპოსტასის შეერთებასა და შეკავშირებაზე, რომ „შეერთება“ აღარ იწოდება ჩვეულებრივ შეერთებად. დაუსაბამო ძე ღმერთმა მის ჰიპოსტასში დასაბამი დაუდო განკაცებას, ანუ შეერთებას, ხოლო თავად ძეს, ღვთის სიტყვას, საღვთო ბუნებით არა აქვს დასაწყისი. რა თქმა უნდა, მარკოზი ამ სიტყვებით არ საუბრობს ორი ბუნების შერწყმაზე და საღვთო ბუნებისგან კაცობრივი ბუნების შთანქმედაზე, არამედ სურს, რომ ერეტიკოსებს მაცხოვრის ჰიპოსტასში არსებული საღვთო ბუნება სრულად წარმოუჩინოს და ამით აჩვენოს მისი საღვთო ბუნების არსობრივი და არა ღირსებითი (ნიშნით) აღმატებულება, მისსავე კაცობრივ ბუნებაზე¹²⁹. შესაბამისად, მარკოზი მსჯელობს „ჭეშმარიტ შეერთებაზე“, ანუ „ურთიერთდატევენელობაზე“, რაც, ამ შემთხვევაში, გულისხმობს იესო ქრისტეს ორი ბუნების აბსოლუტურ განუყოფლობას ჰიპოსტასურად (და აქედან – ღირსებითად) და აბსოლუტურ შეურევლობას ბუნებითად (ანუ არსობრივად) (შდრ. ჭელიძე 2019ბ: 89).

ანალოგიურ დოგმატურ სწავლებას ტერმინზე ἕνωσις – „შეერთება“, უფრო ვრცლად, გვაწვდის იოანე დამასკელი „გარდამოცემის“ 91-ე თავში.

ეგრემი: „რამეთუ გვამოვნებითისა მისგან შეერთებისა ჯორცთა განღმრთობა ითქუმის ზიარ ღმრთისა და ერთ სიტყვსა თანა ყოფად და ეგრეთვე სიტყვსა ღმრთისა განჯორციელება და განკაცება და აგებულქმნად აუგებელისა და უკანადასკნელთა ჟამთად წოდება პირველ საუკუნეთა და ჟამთადასა. არა თუ ვითარმცა ორთა ბუნებათაგან ერთ ბუნებად შეზავებულ იყო, რამეთუ შეუძლებელ არს თანად ერთბუნებაყოფად ბუნებით წინააღმდეგომთა ბუნებათადა. არამედ ვითარცა ორნი იგი ბუნებანი ერთსა გუამსა შინა დატევენულ-იყვნეს და სამარადისოდ დაცვულად აქუნდა შეურევნელი შეერთება და უქცეველი ერთბამად დატევენად. ხოლო დატევენად იგი არა ჯორცთა მიერ იქმნა, არამედ ღმრთეებისა მიერ, რამეთუ შეუძლებელ არს ჯორცთაგან

¹²⁸ „უმწვერვალესი შეერთების“ შესახებ იხ. ჭელიძე 2016: 830-868.

¹²⁹ ვრცლად აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით იხ. იქვე, გვ. 982-995.

დატევნად ღმრთეებისად. გარნა საღმრთოდ იგი ბუნებად, ერთგვის რად შეეერთა ჯორცთა, მისცა ჯორცთა მათ ძალი გამოუთქუმელად დატევნისად, რომელსაცა შეერთებად ეწოდების“¹³⁰ (მიმინოშვილი 2006: 328).

მარკოზის მონაზონის სწავლებაში ასევე გადმოცემულია მაცხოვრის ადამიანური ბუნების შეერთებიდანვე, ანუ შექმნიდანვე ღმრთეების ბრწყინვალეობით სრულად აღვსებისა და ამ ღირსებით ყოვლითურთ გამდიდრების დოგმატური სწავლება: „რამეთუ რაოდენნი გუამოვნებით შეიერთოს დაღათუ ორთაგან იცნობებოდის, გარნა უძლიერესსა მას ბუნებასა თანა შეერთებული, იგივედ იცნობების და სახელ-იდების, ვითარცა-იგი მდინარე წვიმისაგან შეკრებული და ზღვსადა შეერთებული არღარა მდინარედ ითქუმის, არამედ ზღუად, მიერ მიღებითა დასაბამისადათა მისდადვე შეერთებული“ (თ. 5).

რაც შეეხება მარკოზის მიერ მდინარისა და ზღვის მაგალითის მოხმობას, ამ შედარებით მარკოზი სახეობრივად წარმოგვიდგენს მდინარის სახით მაცხოვრის ადამიანურ ბუნებას, ხოლო ზღვა განასახიერებს თავად მაცხოვრის საღვთო ბუნებას, რომელმაც ერთჰიპოსტასურ შეერთებულობაში საღვთო ღირსებებით, ანუ საღვთო დიდებულებებით, ისე რომ ოდნავადაც არ შეცვლილა მაცხოვრის ადამიანური ბუნების თვისებები, არამედ შეიცვალა ბუნების მდგომარეობა, – სრულად აღავსო და განამდიდრა მისი კაცობრივი ბუნება.

მართლმადიდებელი მოძღვარნი სახელდებითად გამოყოფენ ოთხ ღირსებას, ესენია: საღვთო ცოდნა, საღვთო შემძლეობა, საღვთო ცხოველმყოფელობა და საღვთო მეუფება. მართლაც, მაცხოვარი აბსოლუტური და ბუნებითი მეუფე აბსოლუტურად ერთი და მხოლო მეუფეა საღვთოდაც და კაცობრივადაც, ანუ ყოვლად მეუფებითა საღვთო ღირსებებით სრულად აღვსებული მისი ადამიანური ბუნებაც. ეს ნიშნავს, რომ მაცხოვრის ორი ბუნება განიყოფება მხოლოდ ბუნებითი თვისებების მხრივ, მაგრამ იგივე ღმრთეება და კაცება მაცხოვრისა ყოვლად განუყოფელია ღირსებითი ნიშნით (ჭელიძე 2019ბ: 59-69). შესაბამისად, მარკოზის მიერ სახისმეტყველებითად მოხმობილი მდინარეც, როგორც უდარესი, იძენს რა უფრო აღმატებული ზღვის ბუნების მახასიათებელს, მდიდრდება, რის შედეგადაც სწორედ ზღვის შექმნილ მახასიათებელს ავლენს და ამითვე შეიცნობა.

¹³⁰ ეფრემისეული თარგმანი

შედარებისთვის კვლავ წმინდა იოანე დამასკელის ნაშრომს დავიმოწმებთ ეფრემ მცირის თარგმანით: „რამეთუ არა ვინაფთგან იგი სიტყუად იგი ჯორციელ-იქმნა, ამით ჯერითა თვსთა საზღუართაგან განვიდა ღმრთეებისათა, ანუ განეკუა თვსთა მათ ბუნებითა დიდებულებათაგან, არცა ჯორცნი იგი, მისდა შეერთებულნი, განმღრთობილ-იქმნეს, რად ქცეულ-იქმნეს თვისისაგან ბუნებისა, რამეთუ შეურევნელად ეგნეს ბუნებანი მათნი შემდგომად შეერთებისა. ხოლო ჯორცნი უფლისანი, საღმრთოთა მით მოქმედებითა განმდიდრებულნი, სრულებითითა მით სიტყუსა გუამოვნებითითა შეერთებითა არა განჯუებულ-იქმნეს ბუნებითა წესთა და საზღვართა თვსთა, რამეთუ არა თვსითა ოდენ ძალითა მოქმედებდეს, ანუ თვსთა ოდენ მოქმედებასა აჩუენებდეს, არამედ თვთ სიტყუად იგი, მათდა შეერთებული, მათ შორის აჩუენებდა მოქმედებასა თვსთა. რამეთუ სწუვიდეს რად განჯურვებული რკინად, ცხად არს, ვითარმედ არა ბუნებით მოულებიეს მას მწუველობად იგი, არამედ შეერთებითა ცეცხლისაფთა მოიგო იგი. ეგრეთვე ჯორცნი მოკუდავ იყვნეს თავით თვსით და ცხოველსმყოფელ-იქმნეს მათდა მიმართ გუამოვნებითითა შეერთებითა ღმრთისა სიტყუსაფთა“ (მიმინოშვილი 2006: 269).

ახლა კვლავ განვიხილოთ ტერმინი „დასაბამი“ – ἄρχή. მარკოზი ტერმინს „დასაბამი“ – ἄρχή, ერთი მხრივ, იყენებს პიროვნული, ანუ ჰიპოსტასური მნიშვნელობის გადმოსაცემად და, მეორე მხრივ, ამავე ტერმინით გულისხმობს, გარკვეულ შემთხვევაში, საღვთო ბუნებას, და გარკვეულ შემთხვევაში, ადამიანური ბუნების წარმომავლობას.

ეფრემი: „რამეთუ განგებულებითისა შობისად აქუნდა დასაბამი, ხოლო ბუნებისად არა აქუს დასაბამი საშოფთგამო შეერთებისათვს, რამეთუ ვის ზედა დასდებ დასაბამსა მითხარდა, ლიტონსა გუამისა? არამედ ლიტონ არა ოდეს იყვნეს საუფლონი ჯორცნი, ჳმისაებრ სახარებისა, იოსების მიმართ მეტყუელისა: „ნუ გეშინინ მიყვანებად მარიამისა ცოლისა შენისა, რამეთუ მის შორის შობილი სულისაგან წმიდისა არს“, არამედ დასაბამსა დასდება შობილსა ქრისტესა ზედა? აჰა იგი არს სიტყუად ჯორცმეხმული, ვითარცა-იგი სახარებათა შინა გამოჩინებულ არს, ვინად არცა განყოფასა, არცა დასაბამსა შესაძლებელ არს დადება ქრისტესა ზედა, ვითარცა-იგი გამოჩინებულ არს. ... რამეთუ უკუეთუ ჯორციელი ძალი, ვითარცა უზეშთაესი მოქმედებდა სიტყუსა შორის და ესრეთ იქმნა შეერთებად იგი, იცნობებოდენ ქონებად

დასაბამისადაც ბუნებისაებრ ჯორცთადასა, ხოლო უკუეთუ ღმერთი სიტყუად ღმრთივბუნებითად მოქმედებდა სახარებისაებრ, ცხად არს, ვითარმედ მის ბუნებისად იქმნა წმიდად იგი გუამი, „რამეთუ მის შორის დამკვდრებად სათნო-იყო ყოველი სავესება ღმრთეებისად ჯორციელად“ (კოლ. 1.19;2.9) (თ. 5).

ტექსტის პირველ ნაწილში, ტერმინით – ἄρχή ადამიანური ბუნების დასაბამობა და საღვთო ბუნების დაუსაბამობაა გადმოცემული: „რამეთუ განგებულებითისა შობისად აქუნდა დასაბამი, ხოლო ბუნებისად არა აქუს დასაბამი საშოდთგამო შეერთებისათვს“ (თ. 5) SC.: Γεννήσεως οὖν τῆς οἰκονομικῆς ἔσχεν ἀρχήν, φσσεως δὲ ἀρχὴν οὐκ ἔχει διὰ τὴν ἐκ μήτρας ἔνασιν. [ასე რომ (ქრისტეს) ჰქონდა განგებულებითი შობის დასაწყისი, ხოლო (საღვთო) ბუნების დასაწყისი არა აქვს [დედის] საშოში (ერთ ჰიპოსტასში) შეერთების გამო].

ტექსტის მეორე ნაწილში – „რამეთუ უკუეთუ ჯორციელი ძალი, ვითარცა უზეშთაესი მოქმედებდა სიტყვსა შორის და ესრეთ იქმნა შეერთებად იგი, იცნობებოდენ ქონებად დასაბამისადაც ბუნებისაებრ ჯორცთადასა“ SC.: Εἰ μὲν γὰρ ἡ σωματικὴ δύναμις ὡς ὑπερέχουσα ἐνήργησε τῷ Λόγῳ καὶ οὕτως γέγονεν ἔνασις, νοείσθω καὶ ἀρχὴν ἔχειν κατὰ τὴν τοῦ σώματος φύσιν [რადგან თუკი სხეულებრივმა ძალამ, როგორც უპირატესმა იმოქმედა სიტყვაში და ამის შედეგად განხორციელდა შეერთება, მაშინ უნდა გავიაზროთ, რომ დასაბამიც აქვს ხორციელი ბუნების მიხედვით] – წმინდა მამა მწვალეზლური აზრის განსაქარვეზლად, არარსებულ დაშვებას წარმოადგენს და ამზობს, რომ სიტყვა ანუ ძე, ღმერთი თუკი არ იქნებოდა, არამედ იქნებოდა მხოლოდ ადამიანური ბუნების ჰიპოსტასი, ანუ ჩვეულებრივი ადამიანი, და მის ჰიპოსტასში იმოქმედებდა ლიტონი ადამიანური ნება და ღვთის მაღლისმიერი მოქმედებით განიღმრთობოდა მისი ჰიპოსტასი, როგორც მოსე და ყოველი წინასწარმეტყველი (ჭელიძე 2020: 301-302), ამის შედეგად კი შეუერთდებოდა ღმერთს, ამ შემთხვევაში, მის ჰიპოსტასსაც ექნებოდა დასაბამი, ისევე როგორც მის ადამიანურ ბუნებას. ამ შემთხვევაში, მარკოზ მონაზონი ტერმინით „დასაბამი“ – ἀρχή ყურადღებას ამახვილებს პიროვნულ, ანუ ჰიპოსტასურ საწყისზე.

შემდეგ მარკოზი თავადვე განაქარწყლებს მაცხოვართან მიმართებით ამ არარსებულ და მკრეხელურ მოცემულობას და მე-5 თავის ბოლოს კიდევ ერთ მნიშვნელოვან დოგმატურ სწავლებას გადმოგვცემს: „ხოლო უკუეთუ ღმერთი

სიტყუად ღმრთივბუნებითად მოქმედებდა სახარებისაებრ, ცხად არს, ვითარმედ მის ბუნებისად იქმნა წმიდად იგი გუამი, „რამეთუ მის შორის დამკვდრებად სათნო-იყო ყოველი სავსებად ღმრთეებისად ჯორციელად“ (კოლ. 1.19;2.9), ხოლო უკუეთუ ყოველივე სავსებად, ცხად არს, ვითარმედ არარად დაკლებულ არს ღმრთეებისაგან, რომელიმცა არა აქუნდა წმიდათა ჯორცთა ქრისტესთა (თ. 5).

დამოწმებულ მონაკვეთში მარკოზ მონაზონის მიერ ნათლად არის გადმოცემული – მაცხოვრის საღვთო ბუნებისგან მაცხოვრისვე კაცობრივი ბუნების ყოვლადსრული, ღირსებითი გამდიდრებულობის დოგმატი.

ჩვენი მსჯელობის ბოლოს, განხილულ საკითხთან დაკავშირებით უნდა აღვნიშნოთ, რომ იმ მეცნიერთა მოსაზრებები, რომლებიც გულისხმობენ მარკოზის ნაშრომში გარკვეული მონოფიზიტური სწავლების არსებობას, ვფიქრობთ, გადაჭარბებულია. კვლავ გავიმეორებთ, რომ მელქისედეკიანელთა გაუკუღმართებული მსოფლმხედველობიდან გამომდინარე, მარკოზ მონაზონის ძირითად მიზანდასახულობას ორი ასპექტი წარმოადგენდა. ერთი მხრივ, მას თავის ნაშრომში სურდა, ნათლად წარმოეჩინა იესო ქრისტეს საღვთო ბუნება, მეორე მხრივ კი, გადმოეცა მაცხოვრის კაცობრივი ბუნების ღმრთეებისგან გამდიდრებისა და განღმრთობის დოგმატი, თუმცა აქვე დავამატებთ და აღვნიშნავთ, რომ ჩვენ სავსებით ვეთანხებით რუსი მეცნიერის, ა. აშმარინის აზრს, რომლის მიხედვით, მარკოზ მონაზონის ეპოქაში მართლმადიდებლური, დოგმატური ქრისტოლოგიური ტერმინოლოგია ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესში იყო და გამოხატვის სრულყოფილ ფორმებს ეძებდა. წმინდა ფოტი კონსტანტინეპოლელიც სწორედ ამ საკითხზე მიუთითებს თავის ნაშრომში „ბიბლიოთეკა“ (Migne 1860(b): 669; 672), სადაც მარკოზ მონაზონის აზრის გადმოცემის ფორმასა და ტერმინოლოგიას განიხილავს.

მარკოზის ნაშრომის მოცემული მონაკვეთის დეტალური ანალიზის შედეგად წარმოჩნდა, რომ ნაშრომში – „მელქისედეკის შესახებ“ წარმოდგენილია მართლმადიდებლური სწავლებები, რომლებიც მაცხოვრის განკაცების დოგმატის ძირითად საფუძვლებს შეადგენს. კერძოდ, მართლმადიდებლური სწავლება ჭეშმარიტი შეერთების, ანუ ურთიერთდამტევნელობის შესახებ, სწავლება ნაცვალბოძების წესის შესახებ და სწავლება მაცხოვრის საღვთო ბუნებისგან

მაცხოვრისვე კაცობრივი ბუნების ყოვლადსრული ღირსებითი გამდიდრებულობის შესახებ.

ბ) მეექვსე თავში გამოვლენილი მატება:

1. *ეფრემი*: „ესრეთვე მელქისედეკა დალათუ იწოდა მეფე სიმართლისა და მეფე მშვედობისა...“ (თ. 6). SC.: οὐτὰ καὶ ὁ Μελχισεδέκ κἄν ἐχρημάτισε βασιλεὺς δικαιοσύνης. [ამგვარადვე მელქისედეკსაც თუკი ეწოდება მეფე სიმართლისა...].

თარგმანში დამატებულია „მეფე მშვედობისა“. შესაძლოა, ბერძნული ხელნაწერი, რომლითაც ეფრემი ხელმძღვანელობდა, აღნიშნულ სიტყვებს შეიცავდა.

დიურანის კრიტიკულ ტექსტში არ არის ორსიტყვედი „მეფე მშვედობისა“, რომელიც თარგმანშია მოცემული. XI საუკუნის ბერძნული ხელნაწერი, რომლითაც ეფრემ მცირე ხელმძღვანელობდა აღნიშნულ სიტყვებს შეიცავდა (Durand 2000: 202).

გ) მეთე თავში გამოვლენილი მატება:

1. *ეფრემი*: „და მათოჯს გვკვრს, თუ ვითარ არა ესმის ნეტარისა პეტრესგან ცხადად ჳმობითა თქუმაჲ მათოჯს...“ (თ. 9). SC.: Θασμάζω δὲ πᾶς οὐκ ἤκουσαν τοῦ μακαρίου Πέτρου σαφῶς περὶ αὐτῶν βιῶντος καὶ λέγοντος [მიკვირს, როგორ არ ესმით ნეტარი პეტრესი, როცა ცხადად ღაღადებს და ამბობს მათ მიმართ...].

ეფრემთან დამატებულია ნაცვალსახელი – „მათოჯს“.

2. *ეფრემი*: „მიმსგავსებად მათსა მას სივერაგესა და მრჩობლ მოქცევითითა მოპოვნებითა დაჯსნად მათსა მას ღუარჭნილებასა“ (თ. 10) μιμήσασθαι τὴν ἐκείνων πανουργίαν καὶ τοῖς ἀγχιστρόφοις νοήμασι ἐκλύειν αὐτῶν τὰς τοιαύτας περιείλιγγας [მივბადოთ მათს მოხერხებას და სხარტი დასკვნებით ავხსნათ მათი ასეთი ბუნდოვანება].

თარგმანში მოცემულია დანამატი, რომელიც ბერძნულ ტექსტში არ არის – „მრჩობლ მოქცევითითა მოპოვნებითა“.

ე) მეთერთმეტე თავში გამოვლენილი მატება:

1. *ეფრემი*: „ესე ყოველნი განჯორციელებულმან სიტყუამან მოგუანიქნა ჩვენ“ (თ. 11). SC.: Ταῦτα πάντα σαρκωθεῖς παρέσχεν ἡμῖν. [ეს ყველაფერი განხორციელებულმა (განკაცდა რა) გვიბოძა ჩვენ].

ეფრემი თარგმანში ამატებს – „სიტყუამან“.

III. განსხვავებული თარგმანი:

ა) პირველ თავში გამოვლენილი განსხვავებული თარგმანი:

1. *ეფრემი*: „შემდგომად სამოციქულოდასა მოცემისა მოგონებითნი ზრახვანი ნამეტავ რაჲმე არიან, და საეშმაკო *თესლის ზედა*“ (თ. 1). τὰ μὲν μετὰ τὴν ἀποστολικὴν παράδοσιν ἐπινενιοημένα φροσήματα περιττὴ τίς ἐστὶ καὶ δαίμωνιῶδες ἐπίσπορά. [მოციქულთა გადმოცემის შემდეგ მოფიქრებული სწავლებები არის რაღაც მეტისმეტი და ეშმაკისეული მეორეული [ცრუ] თესვა].

ტერმინის – ἐπίσπορά მნიშვნელობა ლექსიკონში მითითებულია, როგორც: „მეორეული თესვა, გადათესვა“ (Liddell... 1940: 658). ეფრემი სიტყვას თარგმნის: „თესლის ზედა“ (თ. 1). აღნიშნული თარგმანი ზუსტია, რადგან მოცემული სიტყვა – ἐπίσπορά შეიცავს წინდებულს – ἐπι-. მსგავსი შედგენილი სიტყვები, რომლებსაც ეფრემი ხშირად ზედმიწევნით თარგმნის, პირობითად შეგვაქვს „განსხვავებულ თარგმანთა“ სიაში.

ბ) მეორე თავში გამოვლენილი განსხვავებული თარგმანი:

1. *ეფრემი*: „შენ ხარ მღვდელ უკუე არა წესისაებრ ლევისა, არცა წესსა ზედა აჰრონის მისვე ტომისაგანისა, არამედ წესისაებრ მელქისედეკისსა, რომელი პირველ მჯულისა მღვდლობდა“ (თ. 2). SC.: «Σὺ ἱερεὺς εἰς τὸν αἰῶνα», οὐ κατὰ τὴν τάξιν Λευῖ, οὐδὲ κατὰ τὴν τάξιν Ἀαρῶν, τῆς αὐτῆς φυλῆς ὄντας, ἀλλὰ «κατὰ τὴν τάξιν Μελχισεδέκ», τοῦ ἁγίου νόμου ἱερατεύσαντος. [„შენ [ხარ] მღვდელი საუკუნოდ“, არა ლევის წესის შესაბამისად, არც აარონის წესის შესაბამისად, რომლებიც ერთი და იმავე ტომიდან არიან, არამედ „მელქისედეკის წესის მიხედვით“, რომელიც მღვდლობდა რჯულის გარეშე].

მკვლევარ დიურანის¹³¹ მიერ გამოცემულ კრიტიკულ ტექსტში მიმღეობა ὄντας [მყოფები] მოცემულია ბრალდებითი (accusativus) ბრუნვის მრავლობით რიცხვში. სქოლიოში მკვლევარს მითითებული აქვს XII საუკუნის ხელნაწერი, სადაც აღნიშნული მიმღეობური ფორმა ნათესაობითი (genetivus) ბრუნვის მრავლობით რიცხვში დგას ὄντων (Durand 2000: 186). ამ წაკითხვას მიჰყვება ჟ. მინის პუბლიკაციაც

¹³¹ როგორც აღვნიშნეთ, მარკოზ მონაზონის ტრაქტატების ორი ტომი, რომლებიც სწორედ ფრანგი მკვლევარი ჟორჟ-მეტეიუ დე დიურანის ავტორობით გამოიცა, შესულია «Sources chretiennes»-ში („ქრისტიანულ წყაროებში“). ეს ნაშრომი მიჩნეულია მარკოზ მონაზონის შრომათა ერთ-ერთ ფუნდამენტურ სამეცნიერო გამოკვლევად. ძველი ბერძნულ კრიტიკულ ტექსტს ნაშრომისა „მელქისედეკის შესახებ“ – დიურანის გამოკვლევებიდან ვიმოწმებთ.

(Patrologia Graeca, Migne 1864(a): 1120). ჩვენი აზრით, სწორედ – ὄντων არის მართებული ფორმა და არა – ὄντας.

წინადადებაში – «οὐ κατὰ τὴν τάξιν Λευῖ , οὐδὲ κατὰ τὴν τάξιν Ἀαρῶν», „κατὰ“ მიემართება „τάξιν“ და, შესაბამისად – „τάξιν“ დგას ბრალდებით (accusativus) ბრუნვაში, ხოლო „Λευῖ“ და „Ἀαρῶν“ ებრაული საკუთარი სახელებია და უბრუნველია. მაგრამ ეს სახელები, წინადადების კონტექსტიდან გამომდინარე, დგას ნათესაობით (genetivus) ბრუნვაში და მათ ბრალდებით ბრუნვას ვერ მივაკუთვნებთ. შესაბამისად, მიმღეობური ფორმა, რომელიც ორივე ამ სახელს მიემართება და განსაზღვრავს, უნდა იდგეს ნათესაობითი ბრუნვის მრავლობით რიცხვში – „ὄντων“, რადგან სხვაგვარად, წინადადების შინაარსის ზუსტი გააზრება ვერ მოხერხდება.

ჩვენს მოსაზრებას ადასტურებს მომდევნო წინადადებაც – «κατὰ τὴν τάξιν Μελχισεδέκ», τοῦ χάρις νόμου ἱερατεύσαντος», სადაც სახელი „Μελχισεδέκ“ ასევე უბრუნველია, მაგრამ ნათესაობით ბრუნვაში დგას, რომელსაც განსაზღვრავს და ეთანხმება მიმღეობა – „ἱερατεύσαντος“. მეტი სიცხადისთვის წინადადების სიტყვასიტყვით თარგმანს წარმოვადგენთ: [„შენ [ხარ] მღვდელი საუკუნოდ“, არა ლევის წესის შესაბამისად, არც აარონის წესის შესაბამისად, რომლებიც ერთი და იგივე ტომისგან არიან, არამედ „მელქისედეკის წესის მიხედვით“, რომელიც მღვდლობდა, (=მელქისედეკის მღვდლობის წესის შესაბამისად) რჯულის გარეშე]. ეფრემი, რა თქმა უნდა, ამ წაკითხვას მიჰყვება. განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ სიტყვას χάρις [„გარეშე“] ანაცვლებს სიტყვით – „პირველ“: „შენ ხარ მღვდელ უკუე არა წესისაებრ ლევისა, არცა წესსა ზედა აპრონის მისვე ტომისაგანისა, არამედ წესისაებრ მელქისედეკისა, რომელი პირველ უჯულისა მღვდლობდა“.

გ) მესამე თავში გამოვლენილი განსხვავებული თარგმანი:

1. *ეფრემი*: „ხოლო მსგავსებაჲ და გუამი არა ერთ და იგივე არიან, რამეთუ პირველი იგი სახე არს, ხოლო მეორე ჭემმარიტება“ (თ. 3). SC.: Ἀφομοίωσις δὲ καὶ ὑπόστασις ταῦτόν οὐκ ἔστι· τὸ μὲν γὰρ τύπος, τὸ δὲ ἀλήθεια τυγχάνει.

ტერმინი – ὑπόστασις პოლისემიურია და, ეტიმოლოგიურად, ნიშნავს „ქვეშ დგომას“, გადატანითი და ყოფითი მნიშვნელობით კი – „საფუძველს, საყრდენს, სიმტკიცეს“. ფილოსოფიურ-თეოლოგიური გააზრებით, უიგივდება ὁσίαι-ს და აღნიშნავს „არსებას, არსს, არსებობას, ძირეულ თვისებას“. ქრისტიანულ მწერლობაში

საბუნებისმეტყველო მეცნიერებების განვითარების მიზნით, მაგრამ, ამასთანავე, ამ ტერმინმა ახლებური გააზრებაც მიიღო, იგი ღვთის სამპიროვნების განმსაზღვრელ ცნებად დამკვიდრდა და შინაარსობრივად დაუპირისპირდა ოსტია-ს. თუკი ოსტია აღმნიშვნელია ღვთის სამი პირის ერთარსებისა, სპირიტუალური პირიქით, ერთარსება ღვთის სამპიროვნებას ცხადყოფს. მართლმადიდებლურმა ქრისტიანობამ დააკანონა ფორმულა: ღმერთი არის სამი „ჰიპოსტასი“ და ერთი „უსია“. აქედან გამომდინარე, სპირიტუალური „არსებად“ და მის შესატყვისებად თარგმნა მხოლოდ ფილოსოფიური კონტექსტით იყო შესაძლებელი. ტრიადოლოგიასთან დაკავშირებით, სპირიტუალური მკვეთრად იმიჯნება ოსტია-საგან. სამების ცალკეული პირების აღმნიშვნელად ქართულ მწერლობაში, ბერძნული ტერმინოლოგიის კვალდაკვალ, რამდენიმე სიტყვა-ცნება გამოიყენებოდა: „პირი“, „ხატი“, „გვამი“, „გვამოვნება“, „თვისება“. თავისთავად, სამების დოგმატთან დაკავშირებით, სპირიტუალური „არსებად“ თარგმნა შეუძლებელი იყო და ამ ტერმინის ძველ ქართულ შესატყვისად დაკანონდა „გუამი“ და „გუამოვნება“ (შდრ. ჭელიძე 1997: 217).

მოცემული სამეცნიერო გამოკვლევებიდან ნათელია, რომ ძველ ქართულ ღვთისმეტყველებაში ტერმინი – სპირიტუალური ითარგმნებოდა ტერმინებით – „გუამი“ და „გუამოვნება“, რომლებიც ყოველდღეობდა სამების პირებს – ჰიპოსტასებს გამოხატავდა. აქედან გამომდინარე, „გუამი“ და „გუამოვნება“, ტრიადოლოგიური თვალსაზრისით, უიგივდება ჰიპოსტასის, პირის, ანუ პიროვნულობის მნიშვნელობას. ხოლო იმ შემთხვევაში, როცა ტერმინი სპირიტუალური შინაარსით არ უკავშირდება სამების დოგმატს, შესაძლოა თარგმნილიყო ფილოსოფიურ-თეოლოგიური მნიშვნელობით და, ამ შემთხვევაში, როგორც აღვნიშნეთ, ეს ტერმინი უიგივდება – „არსებას“, „არსს“, „არსებობას“, „ძირეულ თვისებას“.

რაც შეეხება ძველ ქართულ ტერმინს „გუამი“. უძველესი დროიდან ეს ტერმინი ყოფილი აზრით ნიშნავდა ადამიანის „სხეულს“, „ტანს“. ამ შინაარსის შემცველ ტერმინს, არც ეტიმოლოგიურად და არც გადატანითი მნიშვნელობით, არაფერი აკავშირებს ბერძნულ სპირიტუალურ-სთან. ედიშერ ჭელიძის გამოკვლევამ ცხადყო, რომ „გუამი“, ტერმინოლოგიური თვალსაზრისით, დაკავშირებულია სომხურ ტერმინთან *սնձն* (ანძნ). ეს სომხური ტერმინი ბერძნული „ჰიპოსტასის“ შესატყვისია. ტერმინი

αὐτὸν მოიცავს შემდეგ მნიშვნელობებს: 1) თვით, თავად, პიროვნება; 2) სული; 3) სხეული, ტანი; 4) ჰიპოსტასი, პირი ღვთისა; 5) არსება (შდრ. ჭელიძე 1997: 220).

დავუბრუნდეთ განსახილველ საკითხს. ამ შემთხვევაში, ეფრემ მცირე ტერმინს ἡπόστασις თარგმნის მნიშვნელობით – „გუამი“. ზემოთ წარმოდგენილი მსჯელობიდან გამომდინარე, თუკი, ერთი მხრივ, დავუშვებთ, რომ მარკოზ მონაზონი და, ასევე, ეფრემ მცირე აღნიშნულ ტერმინს თეოლოგიურ-ფილოსოფიური მნიშვნელობით იმის გამო მოიაზრებენ, რომ წინადადების კონტექსტი არ მოიცავს ტრიადოლოგიურ შინაარსს, – მაშინ წინადადების ახალი ქართული თარგმანი ამგვარი იქნება: Ἀφομοίωσις δὲ καὶ ἡπόστασις ταῦτόν οὐκ ἔστι· τὸ μὲν γὰρ τύπος, τὸ δὲ ἀλήθεια τυγχάνει. [ხოლო მსგავსება და არსებულობა (რეალურობა, სინამდვილე) ერთი და იგივე რამ არ არის].

თავის მხრივ, წარმოვაჩინო მეორე თვალსაზრისს, რათა უკეთ გავიაზროთ აღნიშნული მონაკვეთის საღვთისმეტყველო შინაარსი. ამ თვალსაზრისს მხოლოდ სავარაუდო მსჯელობად წარმოვადგენთ და არა როგორც მტკიცებულებას. როგორც აღვნიშნეთ, მიუხედავად იმისა, რომ მოცემულ წინადადებაში მსჯელობის საგანს არ შეადგენს სამების დოგმატი, შესაძლოა, მარკოზ მონაზონი ტერმინს ἡπόστασις პიროვნულობის აღმნიშვნელი შინაარსით იყენებს და, შესაბამისად, ეფრემ მცირე ტერმინით – გუამი გადმოსცემს „ჰიპოსტასის, პირის“, ანუ პიროვნულობის მნიშვნელობას. ამ შემთხვევაში, წინადადების ახალი ქართული თარგმანი ამ სახის იქნება: [ხოლო მსგავსება და პიროვნულობა ერთი და იგივე არა არის, რადგან ერთი არის სახე (ხატი) და მეორე ჭეშმარიტება]. ჩვენი აზრით, მარკოზი სწორედ პიროვნულობას მოიაზრებს ტერმინით – ἡπόστασις და ეფრემი შესაბამისად თარგმნის, მნიშვნელობით – „გუამი“. მეტი სიცხადისთვის სრულად დავიმოწმებთ მარკოზ მონაზონის სწავლების სრულ კონტექსტს:

ეფრემი: „გარნა კუალად იგინი რასალა იტყვან ჩუენდა მომართ: უკუეთუ მელქისედეკ კაც არს, ვითარ ჰგიეს მღდელად სამარადისოდ? და ამასცა ნაკუეთსალა იკითხვენ, თანაწარსრულნი უმრავლესსა ნაწილსა ამის თავისასა, რამეთუ იტყვს, ვითარმედ მიმსგავსებითა ძესა ღმრთისასა ჰგიეს იგი მღდელად სამარადისოდ, ხოლო მსგავსებად და გუამი არა ერთ და იგივე არიან, რამეთუ პირველი იგი სახე არს, ხოლო მეორე ჭეშმარიტება“ (თ. 3). SC.: Ἀλλὰ τί πάλιν ἐκείνοι πρὸς ἡμᾶς; Εἰ ὁ Μελχισεδέκ

ἀνθρωπός ἐστι, πῶς μένει ἱερεὺς εἰς τὸ διηνεκέ; Καὶ τοῦτο δὲ ἐκ περικοπῆς ἐρωτῶσι τὰ πλείονα τοῦ κεφαλαίου παρατρέχοντες. Λέγει γάρ· «Ἀφομοιωμένος τῷ Ἰῆσῴ Θεοῦ, μένει ἱερεὺς εἰς τὸ διηνεκέ.» **Ἀφομοίωσις** δὲ καὶ **ὑπόστασις** ταῦτόν σὺκ ἔστι· τὸ μὲν γὰρ **τύπος**, τὸ δὲ **ἀλήθεια** τυγχάνει. [მაგრამ ისინი კვლავ რას ამბობენ ჩვენ მიმართ? „თუ მელქისედეკი ადამიანი არის, როგორ რჩება „მღვდლად სამარადისოდ“? (ებრ. 7. 3). ამ შეკითხვასაც ხომ [წმინდა წერილის] ნაწყვეტიდან გამომდინარე სვამენ და [წმინდა წერილის] თავის¹³² ერთიანობას უგულვებელყოფენ. რადგან (მოციქული) ამბობს: „ღმერთის ძეს მიმსგავსებული, რჩება მღვდელი სამარადისოდ“ (ებრ. 7. 3). ხოლო მსგავსება (= ხატება) და **პიროვნულობა** (= **არსებულობა**) ერთი და იგივე რამ არ არის, რადგან ერთი არის სახე (ხატი) და მეორე ჭეშმარიტება].

როგორც ვხედავთ, ერეტიკოსები მელქისედეკის პიროვნებას აიგივებდნენ ძე ღმერთის პიროვნებასთან, და არასწორად იგებდნენ პავლე მოციქულის სწავლებას. მარკოზ მონაზონი კი, პავლე მოციქულის სიტყვების დამოწმებით განუმარტავს მათ, რომ სხვა არის პიროვნება, ანუ ძე ღმერთი, და სხვა – ამ პიროვნებასთან მიმსგავსებული მეორე პირი, ანუ მელქისედეკი. შესაბამისად, სამების მეორე ჰიპოსტასი – იესო ქრისტე, არის ჭეშმარიტება, ხოლო მასთან მიმსგავსებული მელქისედეკი – მისი სახე.

დ) მეხუთე თავში გამოვლენილი განსხვავებული თარგმანი:

1. *ეფრემი*: „ცხად არს, ვითარმედ მის ბუნებისად იქმნა წმიდა იგი გუამი“ (თ. 5).

SC.: φανερόν ὅτι πρὸς ἐκεῖνην τὴν φύσιν τὸ ἄγιον σῶμα ἠϋγένισται. [ცხადია, რომ ამ (საღვთო) ბუნების შესაბამისად განიღმრთო (გაკეთლშობილდა) წმინდა სხეული].

ზმნის – ἠϋγένισται კალკირებული თარგმანია „გაკეთილშობილდა“, ეფრემთან კი მის შესატყვისად მოცემულია – „იქმნა“. ამ შემთხვევაში, ეფრემ მცირის თარგმანი შეესაბამება XI საუკუნის ბერძნულ მანუსკრიპტს (Durand 2000: 196).

ე) მეექვსე თავში გამოვლენილი განსხვავებული თარგმანი:

1. *ეფრემი*: „რომელი აცხოვნებს წყალობითა სამართალითითა“ (თ. 6).

SC.: Ὁ ἐν οἰκτιρμοῖς διαίσιος ἄπιστῶσαν [რომ [მელქისედეკი] გულმოწყალებით განარიდებს მართლმსაჯულებისგან]. ეფრემი ზმნას – ἄπιστῶσαν,

¹³² იგულისხმება წმინდა წერილის დაყოფა თავებად.

რომლის ქართული შესატყვისიც არის „გადარჩენა“, თარგმნის „აცხოვნებს“, რაც სავსებით მართებული და ადეკვატური თარგმანია, კონტექსტიდან გამომდინარე.

ახლა კვლავ წარმოვადგენთ მონაკვეთს გიორგი ამარტოლის ნაშრომიდან „ქრონოგრაფი“, რომელიც, როგორც აღვნიშნეთ, გახლავთ ციტატა მარკოზის ნაშრომიდან – „მელქისედეკის შესახებ“. აღნიშნული ტექსტის ნაწილი მარკოზის ნაშრომის მე-6 თავშია მოცემული. შედარებისთვის დავიმოწმებთ მონაკვეთებს ორივე ნაშრომიდან, თარგმანებთან ერთად.

ეფრემი: „ვინაჲცა იკითხვიდე რაჲ და ჰპოო მელქისედეკისთვის წერილი რაჲმე, მყის მოიჯსენე მოციქულისაჲ, ვითარმედ რომელსა ზედა ითქუმის ესე: „**სხვსა ნათესავისაგან მოღებულ-იყო**“ და არა სადა შესცთე“ (თ. 6)¹³³.

არსენი: „ვინაჲცა აღმოიკითხვიდე რაჲ, ჟ ესე ვითარო, და, რაჟამს ჰპოვო რაჲმე ზეშთა-კაცთაჲ წერილად მელქისედეკისთვის, მეყსეულად მოიჯსენე მოციქულისა მიერ თქუმული იგი, ვითარმედ: „რომლისა-თვის ესე თქუმულ არს სხვსა ნათესავისაგან იყო“, და არა სადა შესცთე“ (ყაუხჩიშვილი 1920: 44)¹³⁴.

ვ) მეშვიდე თავში გამოვლენილი განსხვავებული თარგმანი:

1. *ეფრემი:* „ჩუენ უფლისა მიერ ძალისაებრ გამოვთარგმნოთ მელქისედეკისი, ვითარცა **სახე ქრისტჳსი**“ (თ. 7) SC.: ἡμεῖς ἐν Κυρίῳ κατὰ δύναμιν τὰ τοῦ Μελχισεδέκ ὡς τυπικὰ ἐμνηνεύσαμεν. [ჩვენ, უფლის მეშვეობით, ჩვენი შეძლებისდაგვარად, მელქისედეკზე ნათქვამებს განვმარტავთ, როგორც სახეობრივებს].

იქიდან გამომდინარე, რომ მელქისედეკი იყო იესო ქრისტეს წინასახე, შესაბამისად, ეფრემი ბერძნულ – ὡς τυπικὰ-ს [როგორც სახეობრივებს] თარგმნის „ვითარცა სახე ქრისტჳსი“.

გიორგი ამარტოლის „ქრონოგრაფში“ მომდევნო ციტატა დამოწმებულია ნაშრომიდან – „მელქისედეკის შესახებ“, მისი 1-ელი და მე-7 თავიდან.

ეფრემი: „მოციქული არა ბუნებით იტყვს მას მეუფედ მშვიდობისა, არამედ თარგმანებით, რამეთუ თქუა: პირველად გამოითარგმანების მეუფედ სიძარტლისა და ეგრეთღა მეფედ სალიმისა, რომელ არს მეფე მშვიდობისაჲ (შდრ. ებრ. 7.2) აწინდელსა

¹³³ **მარკოზ მონაზონი:** SC.: Ὅταν οὖν ἀναγινώσκων εὐρηξ ἡ τι περὶ Μελχισεδέκ γεγραμμένον, μνήσθητι τὸ εἰρημένον ὑπὸ τοῦ Ἀποστόλου· «Ἐφ' ὃν λέγεται ταῦτα, φυλῆς ἐτέρας μετέσχηκε», καὶ οὐδέποτε πλανηθῆσθι.

¹³⁴ **გიორგი ამარტოლი:** Ὅταν οὖν ἀναγινώσκῃς, ὃ οὗ τος, καὶ εὐρηξ ἡ τι περὶ τοῦ Μελχισεδέκ γεγραμμένον ὑπὲρ ἄνθρωπον, ἀναμνήσθητι παρ' αὐτίκα τοῦ Ἀποστόλου φάσκοντος· “Ἐφ' ὅσον λέγεται ταῦτα, φυλῆς ἐτέρας μετεσχηκέναι”, καὶ οὐδέποτε πλανηθῆσθι (Migne 1863(e): 148).

ამას იჭრუსალემსა პირველ იებოსი ეწოდებოდა, ვინაჲ უწყით, ვითარმედ მოსპოლვილთა მათ შვდთა ნათესავთაგანი იყო მელქისედეკ, რამეთუ იებოსელი იყო, ხოლო შემდგომად შვდთა მათ ნათესავთა განდევნისა და ერისა მკვდრობისა წილ-ხუდა იგი მდდელთა მუნ შეწირვად მსხუერპლთა ყოვლისაგან ადგილსა ჰურიათაჲსა. ვინაჲცა შემდგომად ბრძოლათა დაცხრომისა ეცვალა ქალაქსა მას სახელი სალიმად, რომელ არს მშვდობაჲ, რამეთუ იჭრუსალემი სახილველად მშვდობისა გამოითარგმანების. ... ხოლო მეფე სიმართლისაჲ თვისსა სახელისა თარგმანებითა ეწოდებოდა, ესე იგი არს მელქისედეკ, რამეთუ, ვითარცა გვსწავიეს მეცნიერთაგან ქანანელთა ენისათა, მელქისედეკ მეფედ სიმართლისა გამოითარგმანების“ (თ. 1, 7)¹³⁵.

არსენი: „და რომლისა-თვის თქუა მოციქულმანცა, ვითარმედ: "ესე მელქისედეკ პირველად უკუე თარგმანებული მეფედ სიმართლისა და მერმე მეფედ სალიმისა, რომელ არს მეფე მშვდობისაჲ". და რამეთუ აწ იერუსალჴმად სახალდებულსა ამას იებოსელ ეწოდებოდა პირველ, რომლისაგან ვისწავებთ, ვითარმედ შვდთა მათ მოსპოლვილთა ნათესავთაგან პირველი იყო მელქისედეკ იებოსელი, ხოლო შემდგომად განკდისა წარმართთაჲსა და დამკვდრებისა ისრაჴლთაჲსა მდდელთა განუწიანაებისაჲ და მძვნვარისა საცდურისა¹³⁶. და რამეთუ მოსეანნიცა ფრიადლა იგი¹³⁷ ღმერთმან, რათა მუნ შესწირვიდენ მსხუერპლთა. რომლისა-თვისცა შემდგომად დაცადებისა ბრძოლათაგან სახელდებულ ყვეს ქალაქი იგი სალიმად, რომელ არს მშვდობაჲ. რამეთუ იერუსალჴმი მთად მშვდობისა გამოითარგმნების, რომლისა-თვისცა მელქისედეკ მეფედ მშვდობისა გამოითარგმნების, ვითარცა უპირატეს მეფექმნილი მას შინა. ხოლო კუალად მეფე სიმართლისაჲ თვისსა ხელისა

¹³⁵ **მარკოზ მონაზონი:** SC. ὁ Ἀπόστολος αὐτὸν οὐ λέγει φύσει βασιλέα εἰρήνης, ἀλλ' ἐρμηνευόμενον. Φησὶ γάρ· «Πρῶτον μὲν ἐρμηνευόμενος βασιλεὺς δικαιοσύνης, ἔπειτα δὲ καὶ βασιλεὺς Σαλήμ, ὃ ἐστὶ βασιλεὺς εἰρήνης.» ... Πρῶτον μὲν γὰρ ἢ νῦν Ἱερουσαλήμ Ἰεβούσ ἐκαλεῖτο· ὅθεν γινώσκομεν ὅτι ἐκ τῶν καθαιρεθέντων ἐπτά ἐθνῶν ἦν ὁ Μελχισεδέκ. Ἰεβουσαῖος γὰρ ἐτύγγανεν. Ὑστερον δὲ, μετὰ τὸ ἐκβληθῆναι τὰ ἔθνη καὶ κατοικῆσαι τὸν λαόν, ἀπεκλήρωσεν αὐτὴν ὁ Θεὸς τοῖς ἱερεῦσι τοῦ ἐκεῖ ἀναφῆρεσθαι τὰς θυσίας ἐκ παντὸς τόπου τῶν Ἰουδαίων· ὅθεν καὶ μετὰ τὸ καταπαῦσαι ἀπὸ τῶν πολέμων μετωνόμασαν τὴν πόλιν Σαλήμ, ὃ ἐστὶν εἰρήνη. Ἱερουσαλήμ δὲ ἐρμηνεύεται ὄρασις εἰρήνης. ... Τὸ δὲ βασιλεὺς δικαιοσύνης, τοῦ οἰκείου ὀνόματός ἐστιν ἐρμηνεία, τουτέστι Μελχισεδέκ, γλῶσση τῆ Χανανίτιδι, καθὼς παρὰ τῶν ἐπισταμένων ἐμάθομεν.

¹³⁶ „განუწიანებისა და მძვნვარისა საცდურისა“. თარგმანის ეს ნაწილი ბერძნულ დედანში არ არის. სავარაუდოდ, ქართულ ხელნაწერში უნდა ყოფილიყო „განუწიანებისა“.

¹³⁷ მომდევნო მონაკვეთი ხელნაწერიდან სრულად არ არის ამოკითხული. აღნიშნული მონაკვეთი ბერძნულ ტექსტში არ მოგვეპოვება: ὕστερον δὲ μετὰ τὴν ἐκβολὴν τῶν ἐθνῶν καὶ κατοικῆσιν τοῦ λαοῦ, ἀπεκλήρωσεν αὐτὴν ὁ Θεὸς τοῖς ἱερεῦσι τοῦ ἐκεῖ ἀναφῆρεσθαι τὰς θυσίας ἐκ παντὸς τόπου τῶν Ἰουδαίων.

მისისა არს თარგმანება ენითა ქანაანელთაჲთა, რომელ არს მელიქ სედეყ“ (ყაუხჩიშვილი 1920: 44)¹³⁸.

წყაროთმცოდნეობითი თვალსაზრისით, მოკლედ წარმოვადგენთ იებუსისა იებუსელთა შესახებ ცნობებს.

პირველ რიგში დავიმოწმებთ ცნობებს წმინდა წერილიდან. შემდეგ ვისაუბრებთ თავად სახელწოდების – „იებუსი“ ეტიმოლოგიური წარმომავლობის შესახებ, და ბოლოს მოვიხმოთ ისტორიულ წყაროებს, რომლებიც მოიცავს ეკლესიის მამათა განმარტებებსა და მეცნიერთა გამოკვლევებს.

ბიბლიის მიხედვით, იებუსელები ბიბლიაში მოხსენიებული პიროვნების, ქანაანის შთამომავლები ცხოვრობდნენ ქალაქ იებუსში, რომელიც სიონისა და მორიას მთებზე მდებარეობდა (დაბ. X,16; XV, 21; გამ. III, 8; მსაჯ. XIX, 10-11).

ღმერთმა აბრაამს აღთქმა დაუდო, რომ ქანაანის ტერიტორიიდან ურჯულო ტომებს განდევნიდა და ამ წმინდა მიწას მას და მის მემკვიდრეებს გადასცემდა (დაბ. XV, 21). ამ ტომთაგან ერთ-ერთი სწორედ იებუსელთა ტომი იყო.

სიტყვა „იებუსი“, როგორც აღვნიშნეთ ერთ-ერთი ქანაანური ტომის სახელს აღნიშნავს. სახელწოდება – „იებუსი“ დაკავშირებულია ებრაულ ზმნასთან – 'יב' – „ბუს“, რაც გულისხმობს „ზიზღს“, „გათელვას“, „დაჩაგვრას“, „დამცირებას“.

გარკვეულ მეცნიერთა აზრით, ეს სახელი იმიტომ ეწოდათ მათ, რომ იებუსელები ძლიერი და მებრძოლი ხალხი იყო, შესაბამისად ისინი მეზობელ ტომებს თავს ესხმოდნენ, ამცირებდნენ და ანადგურებდნენ, და ზოგადად, სხვა ტომის ხალხებს ქედმაღლობითა და ზიზღით უყურებდნენ, როგორც მათზე სუსტებს (Щедровицкий 2014: 807). რა თქმა უნდა, ამგვარი დამოკიდებულება მიუღებელი უნდა ყოფილიყო იმ ღვთისმომშიში ებრაელი ერისთვის, რომელიც უფლისგან იყო რჩეული და მომავალში აღთქმულ წმინდა მიწაზე დამკვიდრდებოდა.

¹³⁸ **გიორგი ამარტოლი:** *περι ου̅ και ο̅ Ἀπόστολος εἶπεν·” Οὗτος γὰρ ὁ Μελ χισειδὲκ πρῶτον μὲν ἐρμηνευόμενος βασιλεὺς δικαιοσύνης, ἔπειτα δὲ βασιλεὺς Σαλήμ, ὃ ἐστὶ βασιλεὺς εἰρήνης.”* *Περὶ τῆς κλήσεως Ἱερουσαλήμ. Ἡ μὲν γὰρ νῦν Ἱερουσαλήμ Ἰεβούδ ἐκαλεῖτο πρῶτον, ὅθεν μαθητόμεν, ὅτι ἐκ τῶν καθαιρεθέντων ἑπτὰ ἔθνων ὁ Μελχισειδὲκ Ἰεβουσαῖος πρῶτον ἐτύγγανεν· ὕστερον δὲ μετὰ τὴν ἐκβολὴν τῶν ἔθνων καὶ κατοίκησιν τοῦ λαοῦ, ἀπεκλήρωσεν αὐτὴν ὁ Θεὸς τοῖς ἱερεῦσι τοῦ ἐκεῖ ἀναφέρεσθαι τὰς θυσίας ἐκ παντὸς τόπου τῶν Ἰουδαίων. Διὸ καὶ μετὰ τὸ καταπαῦσαι ἀπὸ τῶν πολέμων, μετωνόμασε τὴν πόλιν Σαλήμ, ὃ ἐστὶν εἰρήνη· Ἱερουσαλήμ γὰρ ἐρμη νεύεται, ὄρος εἰρήνης, οὗ δὴ χάριν ὁ Μελχισειδὲκ βασιλεὺς εἰρήνης ἐρμηνεύεται βασιλεὺς ἐν αὐτῇ πρὸ τερῶν. Τὸ δὲ “βασιλεὺς δικαιοσύνης” πάλιν τοῦ ἰδίου ἐστὶν ὀνόματος ἐρμηνεία, τουτέστι Μελχισειδὲκ γλῶσσῃ τῇ Χαναϊτικῇ (Migne 1863(e): 148).*

მოსე წინასწარმეტყველის მიერ გაგზავნილი მზვერავები საუბრობენ იებუსელებზე, როგორც მთაში მცხოვრებ ძლიერ ხალხზე (რიცხ. XIII, 28-29). ისუ ნავეს მეს წიგნში ქალაქი იებუსი მოხსენიებულია იერუსალიმად. ამ დროს მისი მეფე იყო ადონისედეკი. ებრაელებმა იებუსელები დიდი ხნის განმავლობაში ვერ დაიმორჩილეს (იესნ. X, 1; XV, 63. მსაჯ. XIX, 10-11).

ქალაქი იებუსი დაპყრობილ იქმნა იუდეველთა უდიდესი მეფის, დავითის მიერ. დავითმა კლდეზე აშენებული ქალაქის ციხე დაიკავა და დაიმორჩილა ქალაქი (II მეფ. V, 6, 7). მიუხედავად ამისა, იებუსელები მთლიანად ვერ განდევნეს თავიანთი მთის ხეობიდან. დავითის მეფობის დროს ბიბლია იებუსელთაგან გამოყოფს ორნა იებუსელს, რომელიც თანატომელებისგან ღირსებით გამოირჩეოდა. დავითმა ორნასგან 50 შეკელ ვერცხლად იყიდა კალო და ხარები, შემდეგ კალოზე, ანუ სამსხვერპლოზე მსხვერპლი შესწირა ღმერთს (II მეფ. XXIV, 18-25).

საეკლესიო განმარტებით წმ. წერილში აღწერილი ეს მოვლენა სახისმეტყველებითად მოასწავებდა, რომ ქრისტეს ეკლესია არ აღმოცენდებოდა იუდეველთა წიაღში, არამედ წარმართთა შორის.

მეცნიერთა ნაწილი მიიჩნევს, რომ ორნა არის საკუთარი სახელი იებუსელთა წინამძღოლისა, ხოლო მკვლევართა ნაწილი აღნიშნავს, რომ სახელი „ორნა“ მომდინარეობს ხურიტული სახელწოდებისგან - [ewrine], რაც ნიშნავს დიდ მიწათმფლობელს, აქედან გამომდინარე, „ორნა“ არის ტიტული და არა საკუთარი სახელი. ამ მოსაზრების მიხედვით, იებუსელები ხეთური და ხურიტული წარმომავლობის ხალხად მიიჩნევა (Chavalas 2000: 354). როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ზოგადად მიღებულია, რომ იებუსელები ხეთელთა შთამომავლები (შდრ. დაბ. X,16) და ხურიტების მონათესავენი იყვნენ, რომლებიც ძვ. წ.-ით II-ის დასაწყისში სახლობდნენ ქანაანის ტერიტორიაზე.

მას შემდეგ რაც იებუსელთა ციხე დავითმა აიღო, მისმა ძემ, სოლომონმა აიძულა ისინი, რომ ხარკი გადაეხადათ (2 ნეშტ. VIII, 7, 8). ბაბილონის ტყვეობიდან ებრაელების დაბრუნების შემდეგ, სხვა ქანაანურ ტომებთან ერთად იებუსელებიც მოიხსენიებიან, მაგრამ ისინი უკვე შესამჩნევად კარგავენ თავიანთ გამორჩეულ მნიშვნელობას და ნაციონალურ თვითმყოფადობას. ამის შემდეგ კი მათზე მეტი არაფერია ნათქვამი ბიბლიაში.

ახლა კი განვიხილოთ ეკლესიის მამათა განმარტებანი, სადაც მოცემულია ცნობები იებუსელთა შესახებ.

წმ. ეპიფანე კვიპრელი ნაშრომში „პანარიონი“ მოგვითხრობს სამარიტელთა მწვალელობის შესახებ და გვამცნობს, რომ ბაბილონის ტყვეობიდან 40 წლის შემდგომ, ეზრა, ებრაელთა მღვდელი თავის თანამოაზრეებთან ერთად მოსეს რჯულის მიხედვით განსწავლიდა სამარიაში მყოფ ხალხს, რომელთაც სამარიელები (სამარიტელები) ეწოდებათ.

წმ. ეპიფანეს გადმოცემით, „საკვირველია ის, რომ ერთი წარმომავლობის ხალხში ოთხი ერი შემოიკრიბა და ოთხი ერესი აღმოცენდა. იგულისხმება: ესეველები, გოროთენები (Γορθοίται), სებუები (იგივე იებუსები) და დოსითები. ... ბაბილონის ტყვეობიდან დაბრუნების შედეგ, ეზრამ იერუსალიმის აღდგენა დაიწყო, ხოლო სამარიელებმა (სამარიტელებმა) მათთან ერთად ქალაქის აღმშენებლობის სურვილი გამოთქვეს, მაგრამ ეზრამ და ნეემიამ აუკრძალეს მათ ამ საქმეში თანამონაწილეობა. ... ამის შემდეგ, სებუები განრისხდნენ ეზრაზე და გადაადგილეს იუდეველთა რჯულის მიხედვით დადგენილი დღესასწაულთა აღნიშვნის თარიღები. აღნიშნული ერესებიდან ამ დრომდე¹³⁹ შემორჩა მხოლოდ სამი სამარიული ერესი: გოროთენების (Γορθοίται), დოსითების და სებუების (იგივე იებუსების)“ (შდრ. Migne 1863: 221; 232; 233; 273).

როგორც დამოწმებული წყაროდან ჩანს სამარიტელებში არსებობდა ოთხი სახის ერესი. ამათგან ერთ-ერთი იყო სებუების ერეტიკული მიმდინარეობა, რომელშიც ებრაელთა რჯული და სწავლებანი იყო გაუკუღმართებული. სებუები რომ იგივე „იებუსები“ ანუ „იებუსელები“ არიან, ამის დასადასტურებლად დავიმიწმებთ უდიდესი ღვთისმეტყველის წმ. იოანე დამასკელის ნაშრომს „წვალებათათვის“.

მოკლედ განვიხილავთ აღნიშნულ ნაშრომს.

„პანარიონის“ წვალებათა მოკლე აღწერილობის, „ანაკეფალეოსისის“ ძველი ქართული თარგმანი, ანუ როგორც მას ეწოდება „ოთხმეოცთა წვალებათათვის“, დაცულია სამ ნუსხაში: A 205-ში (XIII ს.), H 601-სა (1746 წ.) და A 64-ში (1751 წ.). მისი მთარგმნელია თეოფილე ხუცესმონაზონი. საგულისხმოა, რომ „ანაკეფალაიოსისი“ შესულია ბიზანტიური ლიტერატურის უმნიშვნელოვანეს ძეგლში – იოანე

¹³⁹ იგულისხმება ეპიფანე კვიპრელის მოღვაწეობის ეპოქა.

დამასკელის „წყარო ცოდნისა“, რომელიც თავის მხრივ შემდეგი სამი ნაწილებისაგან: „დიალექტიკა“, „წვალებათათვის“ (ძვ.ქ. – „წვალებათათვის“) და „მართლმადიდებლური სარწმუნოების ზედმიწევნითი გადმოცემა“.

ძველ ქართული თეოფილესული თარგმანი „ანაკეფალეოსიდან“:

„სამარიტელთა ნათესავი არს ოთხ: „10. ი. ღორლოთენ[ნ]ი, რომელნი-იგი სხუათა ჟამთა ჰყოფენ დღესასწაულთა გარეშე იებოსელთა წესისა. და სხუად ყოველივე აქუს სამარიტელთად. 11. ია. იებოსელნი, რომელნი-იგი მათვე დღესასწაულთა წვალებით განყოფილ არიან ღორლონიტელთაგან. 12. იბ. ესინნი, არცა ერთსა რას წინა-აღუდგებიან; ხოლო ყოველთავე, რომელთაცა მიემთხუზვიან, განუკითხველად თანავე დღესასწაულობენ. 13. იგ. დოსთინ[ელნ]ი. მითივე წესითა სამარიტელთადთა მოქალაქობენ, წინადაცუჭთასა და შაბათსა იკუმევენ და პენტატევხოსს უმეტეს სხუათა მათ იმარხვენ: და რადთა განეყენენ ყოვლისაგანვე მშვნვიერისა, და რადთა მარხვითა ჯშირითა მოქალაქობდენ. ხოლო რომელთამე მათგანთა აქუს ქალწულებადცა, კუალად, სხუანი იმარხვენ. და ჰრწამს აღდგომადცა, რომელი-იგი უცხოად არს სამარიტელთაგან“ (მახარაშვილი 2012: 123)¹⁴⁰.

ცხადია, რომ ეპიფანე კვიპრელის ნაშრომში განხილული ოთხი ერესი იგივეობრივია იმ ოთხი მწვალებლობისა, რომლებსაც იოანე დამასკელი ასახელებს. შესაბამისად, „სებუები“ – „Σεισμοί“ იგივე „იებუსები“ – „Ἰεβουσαῖοι“ ანუ „იებუსელები“ არიან.

განხილულ საკითხთან დაკავშირებით, მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს ძველ ქართულ ენაზე შემორჩენილი ორი ძეგლი.

ქრონოლოგიურად პირველი წყარო, სადაც სახელი „იებოსი“¹⁴¹ იხსენიება, გახლავთ სირიულ ენაზე III საუკუნეში შექმნილი აპოკრიფული თხზულება – „განძთა ქვაბი“. ეს თხზულება ბერძნულ ენაზე არ არსებობს. ქართული თარგმანი არაბულიდან მომდინარეობს. აღნიშნული თხზულება მოგვითხრობს მელქისედეკის

¹⁴⁰ზდრ. იონე დამასკელის ნაშრომის – Περὶ αἰρέσεων (ძვ.ქ.–„წვალებათათვის“) ბერძნული ტექსტი: Σαμαρειτῶν ἔθνη τέσσαρα: 10 Γοροθηνοί, οἱ ἄλλοις καιροῖς τὰς ἑορτὰς ἄγοντες παρὰ τοὺς Ἰεβουσαῖους. 11 Ἰεβουσαῖοι διὰ τὴν αὐτὴν αἰτίαν τῶν ἑορτῶν πρὸς τοὺς Γοροθηνοὺς διαφερόμενοι. 12 Ἑσσηνοί, οἱ μὴδ' ὀποτέρους ἐναντιούμενοι, τοῖς δὲ παρατυγχάνουσι συνεορτάζοντες ἀδιαφόρως. 13 Δοσθηνοί τοῖς αὐτοῖς ἔθουσιν, οἷα δὲ Σαμαρεῖται ἐμπολιτεύομενοι, περιτομῇ τε καὶ σαββάτῳ καὶ τοῖς ἄλλοις χρώμενοι καὶ τῇ πεντατεύχῳ· περισσότερον δὲ τῶν ἄλλων φυλάττοντες τὸ ἀπέχεσθαι ἐμψύχων, ὁμοίως καὶ ἐν τοῖς ἄλλοις, καὶ ἐν νηστείαις δὲ συνεχέστατα βιοῦν. Ἐχουσι δὲ καὶ παρθενίαν, τινὲς δὲ αὐτῶν ἐγκρατεῦνται· ἄλλοι πιστεῦσυσί τε νεκρῶν ἀνάστασιν, ὅπερ ζῆνον ἐστὶ Σαμαρεῖταις. Ἰουδαίων αἰρέσεις ἐπτὰ (Migne 1864(f): 685).

¹⁴¹ წყაროში არის „იებოსი“, ამ შემთხვევაში აღინიშნება ხმოვანთა მონაცვლეობა: „იებოს“ – „იებუს“.

წარმომავლობაზე და მის სამკვიდრებელ ადგილზე – „იეზოსის“ მთაზე. ასევე, აქვეა ცნობა შვიდ ქანაანელ მეფეზე, რომელთაგან ერთ-ერთი იყო მელქისედეკი, მეფე იეზოსელთა (ქურციკიძე 2007: 110, 111, 116).

მომდევნო უმნიშვნელოვანესი ძეგლი გახლავთ „ქართლის ცხოვრება“, სადაც მოცემულია სახელი „იოზოსი“¹⁴² და მოთხრობილია ოსების წარმომავლობის შესახებ: „ხოლო ოდეს პირველ გამოვიდა ხაზართა მეფე და მოტყუენნა ქუეყანანი, რომელნი ზემოთ დამიწერიან, და გარდავლო მთა კავკასია. და იყო ძე მისი სახელით უოზოს, და მისცა მესა თვსსა ტყუე სომხითისა და ქართლისა. ... და დაემენა უოზოს და მათნი ნათესავნი არიან ოვსნი, და იგი არს ოვსეთი“ (ყაუხჩიშვილი 1955: 7).

მეცნიერთა ნაწილი მიიჩნევს, რომ ეს გახლავთ ოვსთა ანუ ოსების ეპონიმი: ოვს > უოზოს (ნიკოლოზიშვილი 2011: 206).

ბიბლიაში მოხსენიებული იებუსელები, მათი ისტორიის, ცხოვრების წესისა და ტრადიციების გათვალისწინებით, შეიძლება დავაკავშიროთ „ქართლის ცხოვრებაში“ ნაუწყებ – „იოზოსთან“. ვფიქრობთ, აღნიშნული საკითხი დამატებით შესწავლასა და კვლევას საჭიროებს.

მოკლედ შევაჯამებთ განხილულ საკითხს. ბიბლიური თხრობის მიხედვით, იებუსელები, ანუ ქალაქ იებუსის მკვიდრნი, ქანაანის შვილის ხეთის შთამომავლები იყვნენ, შესაბამისად, იებუსელები ხეთელთა მემკვიდრეებად (შდრ. დაბ. X,16), ხოლო ენობრივი თვალსაზრისით, ხურიტების მონათესავე ხალხად მიიჩნევიან (Chavalas 2000: 354). იებუსელები ძლიერი მეომრები იყვნენ. ისინი გამოირჩეოდნენ ბრძოლის უნარიანობითა და სისატიკით. ქალაქი იებუსი დაიპყრო ებრაელთა ერმა და მას შემდეგ ეს ადგილი იერუსალიმის სახელით არის ცნობილი (II მეფ. V, 6, 7).

წმ. ეპიფანე კვიპრელი და შემდეგ წმ. იოანე დამასკელი თავიანთ ნაშრომებში გვაწვდიან ცნობებს იებუსელთა მწვალებლობის შესახებ.

ზ) მერვე თავში გამოვლენილი განსხვავებული თარგმანი:

1. *ეგრები*: „რამეთუ ვითარ-იგი აბრაჰამ თვსთა სახლისწულთა სამას ათრვამეტთა მელქისედეკისზე განიმკედრა რაჲ უცხოთესლთა ზედა, იოტნა იგინი“ (თ. 8) SC.: Ὡσπερ ὁ Ἀβραὰμ μετὰ τῶν οἰκείων οἰκογενῶν τριακοσίων δέκα καὶ ὀκτὼ ὀπλισάμενος ἐπὶ τοῦ Μελχισεδέκ τοὺς ἀγλοφύλους ἐτροπώσατο [როგორც შეირადებულმა

¹⁴² სავარაუდოდ, ამ შემთხვევაშიც ხმოვანთა მონაცვლეობასთან გვაქვს საქმე.

აბრაამმა თავის 318 მსახურთან ერთად, მელქისედეკის დროს, განდევნა უცხო ტომელები].

მნიშვნელოვნად მიგვაჩნია აღნიშვნა ეფრემის მიერ თარგმნილი შესიტყვებისა – τῶν οἰκείων οἰκογενῶν, რომელსაც ეფრემი თარგმნის მნიშვნელობით – „თვსთა სახლისწულთა“.

ამგვარი თარგმანი კვლავ წარმოაჩენს ეფრემ მცირის უბადლო მთარგმნელობით ოსტატობას. აღნიშნული მონაკვეთი – τῶν οἰκείων οἰκογενῶν – ახალ ქართულად ამ სახით შეიძლება ითარგმნოს: [თავის სახლში შობილ ნათესავ მსახურებთან].

2. ეფრემი: „ ... ამისდავე მსგავსად ქრისტემანცა, დიდმან მღვდელმთავარმან, საცნაურისა ბრძოლისაგან მისსა მოქცეულთა მისცა პური და ღვინო, განწმედილი და წმიდა ქმნილი“ (თ. 8) SC.: Ὁμοίως καὶ ὁ Χριστός, ὁ μέγας ἀρχιερεὺς, τοῖς ἐκ τοῦ νοερίου πολέμου πρὸς αὐτὸν ἀναστρέφουσι δῖδασιν ἄρτον καὶ οἶνον ἡγιασμένον. [მსგავსადვე ქრისტეს, დიდი მღვდელმთავარი, გონებისეული ომისგან მისკენ მოქცეულებს აძლევს განწმენდილ პურსა და ღვინოს].

ეფრემი ზედსართავ სახელს – νοερός „ზრისმიერი“ თარგმნის ტერმინით – „საცნაური“, რაც ნიშნავს „გონებისეულს“, „სულიერს“.

ზემოთ მოხმობილ მონაკვეთში აღბეჭდილი წმინდა წერილის თხრობა (დაბ. 14, 14), მარკოზ მონაზონის განმარტების მიხედვით, ნიკეაში გამართული I მსოფლიო საეკლესიო კრების წინასახეა. როგორც აბრაამმა მელქისედეკის დროს, თავის 318 მეომართან ერთად, უცხოტომელები განდევნა, მსგავსადვე, ქრისტეს 318-მა მამამთავარმა – მოციქულებრივად შეიარაღებულმა, ერეტიკული სწავლებანი განაგდო, და ისევე როგორც მელქისედეკმა პურითა და ღვინით ანუგეშა ომიდან დაბრუნებულნი, ასევე, იესო ქრისტე განწმენდილ პურსა და ღვინოს უბოძებს, ერეტიკულ სწავლებათა უკუგდების შემდეგ, გონითი ომიდან უკანდაბრუნებულებს¹⁴³.

¹⁴³ იხ. სრული კონტექსტი: „ვითარ-იგი აბრაჰამ თვსთა თანა სახლისწულთა სამას ათრვამეტთა მელქისედეკისზე განიმკედრა რად უცხოთესლთა ზედა, იოტნა იგინი, ეგრთვე ქრისტესზე ნამდვლვე სახლისწულთა მისთა სამას ათრვამეტთა მამათმთავართა, ნიკიელთა ქალაქსა შინა სამოციქულოდ აღჭურვილთა წარიოტნეს წვალეზანი. იხილვა შესაბამი თარგანება? მაშინ მელქისედეკ გამოართუა მათ პური და ღვინო განსასუნებელედ ბრძოლისაგან მოქცეულთა. ამისდავე მსგავსად ქრისტემანცა, დიდმა მღვდელმთავარმან, საცნაურისა ბრძოლისაგან მისსა მოქცეულთა მისცა პური და ღვინო. განწმედილი და წმიდა ქმნილი“ (თ. 8).

3. ეფრემი: „ანუ არა წარგიკითხავსა რაოდენსა მოგვთხრობს საღმრთოდ წერილი მათთვისა მას შინა თხრობასა, სახეთათჳს ლოთისთა, **დისწულისა** აბრაჰამისსა...“ (თ. 8). SC.: Ἡ οὐκ ἀνέγνως ὅσα διηγῆται ἢ θεία Γραφή ἐν τῇ κατ’ αὐτὸν ἱστορίᾳ περὶ τῶν τύπων, περὶ τοῦ Λῶτ τοῦ **ἀδελφίδου** Ἀβραάμ, [რამდენჯერ (რაოდენ ბევრს) გვამცნობს წერილი საღვთო ისტორიაში [მელქისედეკთან დაკავშირებით] მასზე (მელქისედეკზე), სახეების შესახებ, მაგალითად, აბრაამის **ძმისშვილის** – ლოთის შესახებ...].

ამ შემთხვევაში, განიხილება გადამწერის მექანიკური შეცდომა – ლოთი აბრაამის ძმისშვილი (დაბ. 11. 31) (ჭელიძე 2015: 29), შეცდომით მოხსენიებულია, როგორც აბრაამის დისშვილი.

თ) მეათე თავში გამოვლენილი განსხვავებული თარგმანი:

1. ეფრემი: „რამეთუ ნამდვლვე წინა-ემზირებიან...“ (თ. 10). SC.: καιροσκοπισι γὰρ ὄντας [რადგან ნამდვილად ხელსაყრელ დროს ეძებენ (ელოდებიან)].

ეფრემი ბერძნულ ზმნურ ფორმას – καιροσκοπισι, რომელიც წარმოქმნილია ზმნის – σκοπέω „გუთვალთვალვ“ და სიტყვის – καιρός „შესაფერისი დრო“ – შეერთებით, კალკირებულად თარგმნის: „წინა-ემზირებიან“. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მსგავსი შედგენილი სიტყვები, რომლებსაც ეფრემი ხშირად ზედმიწევნით თარგმნის, პირობითდ შეგვაქვს „განსხვავებულ თარგმანთა“ სიაში.

2. ეფრემი: „გამოითარგმანების ოდენ მეფედ მშჯდობისა“ (თ.10). SC.: ἐμπνευσμένον ἐστὶ βᾶσιλευς δικαιοσύνης. [[მელქისედეკი] განმარტებულია სიმართლის მეფედ]. ბერძნული ტექსტისგან განსხვავებით, ეფრემთან არის – „მეფედ მშჯდობისა“.

როგორც აღვნიშნეთ, გიორგი ამარტოლი ნაშრომში „ქრონოგრაფი“ იმოწმებს რამდენიმე მონაკვეთს ნაშრომიდან „მელქისედეკის შესახებ“. „ქრონოგრაფში“ მოცემული უკანასკნელი დამოწმება გახლავთ პერიფრაზი მარკოზ მონაზონის ნაშრომის მე-10 თავიდან. ეს ნაწილი მნიშვნელოვანია იმითაც, რომ „ქრონოგრაფის“ ავტორი მწვალებლებს, რომლებსაც წმ. მარკოზი უპირისპირდება, მელქისედეკიანელებს უწოდებს.

ეფრემი: „ესევითარი იგი ორგულებაჲ მათი ცხადად აჩუენებს დაუმტკიცებელობასა ქრისტეს მიმართისა სარწმუნოებისა მათისასა, რამეთუ ესრეთვე უფალიცა და მეფე ყოველთაჲ ლიტონად კაცად შეჰრაცხონ მათ და არა ვითარ-იგი არს

მაცხოვარ და ღმერთ და მეუფე, მომზადებითა მათგან დაბადებულთა მსახურებისადთა, ნაცვლად დამზადებელისა“ (თ. 10)¹⁴⁴.

არსენი: „ამის-თვსცა ამაო იქმნენს ყოვლად-ბოროტნი იგი და სულმყრალნი მელქისედეკიანნი, რომელნი ბუნებით ღმერთყოფასა მისსა ირწმუნებდეს და არა მოკუდავად კაცად იტყოდეს მას, რომლისათვსცა სამართლად დაიმჯებიან თუალუხუავისა სამსჯავრომსაგან, ვითარცა კაცის მსახურნი და დაბადებულისა დამზადებელისა წილ მსახურქმნილნი ფრიადისა მიერ და უკუანადასკნელისა უგულისხმოებისა, უფრომდა პირუტყუებისა და ბოროტად-მსახურებისა“ (ყაუხჩიშვილი 1920: 44)¹⁴⁵.

3. ეფრემი: „და ნუ მიმოგანჭრილად და მიმოდაბძარულად შემოჰკრებენ“ (თ. 10) SC.: καὶ μὴ περικοπήν ἀμφιρεπήν ἐκλεγέσθωσαν [ნურც (კონტექსტიდან) ამოგლეჯილ ნაწილებს შემოკრებენ მიკერძოებულად].

თარგმანში მოცემულია ზმნიზედა: „მიმოდაბძარულად“, „გაპოზილად“, ანუ „განცალკევებულად“, ორიგინალ ტექსტში კი გვაქვს ზედსართავი: ἀμφιρεπής (მიკერძოებული).

4. ეფრემი: „გარნა მათ იხილნენ რაჲ მათ მიერ ცთუნებულნი იგი შენანების მნებებელად ადვილმისაწთომელობითა სიტყუა-რწმუნებითა იპყრობენ მათ“ (თ. 10) SC.: ὅταν ἴδωσι τοὺς ὑπ’ αὐτῶν ἠπατημένους μετανοῆσαι θέλοντας, εὐληπτοτέραις αὐτοὺς πιθανολογίαις ἐπικρατοῦσιν [როცა დაინახვენ მათგან შეცდენილებს, რომლებსაც სურთ შეინანონ, ადვილად საწვდომი ცრუმეტყველებით სძლევენ მათ].

ძველი ქართული სიტყვა ადვილმისაწთომელობა ნიშნავს – „ადვილად გაგების შემძლეობას“, შესაბამისად, ზმნიზედა ადვილმისაწთომელობით იგივეა, რაც „ადვილად, მარტივად“. ზემოთ დამოწმებულ კონტექსტში საუბარია, რომ ერეტიკოსები, მარტივი, უბრალო, ანუ „ადვილად საწვდომი ცრუმეტყველებით“, ცდილობდნენ გადმოეცათ მაცხოვრის განკაცების საიდუმლო და ამით მოეხიბლათ

¹⁴⁴ **მარკოზ მონაზონი:** SC.: οὐκ εἰδότες ὅτι ἡ τοιαύτη διχόνοια ἀβέβαιον μὲν τὴν εἰς Χριστὸν πίστιν ἀποδείκνυσι σαφῶς - ἂν οὕτως τὸν Κύριον πάντων ἀνθρώπων ἴσον ἠγῆσονται, καὶ οὐκέτι ὡς ἔστι, Σωτήρα καὶ Θεὸν καὶ Δεσπότην—, λατρεύειν δὲ τῆ κτίσει παρὰ τὸν κτίσαντα παρασκευάζει.

¹⁴⁵ **გიორგი ამარტოლი:** Ἐματαιώθησαν τοῖνυν ἐκ διαμέτρου οἱ ἀπόπλη κτοι καὶ δυσώδεις Μελχισεδეκιανοὶ, θεὸν φύσει τοῦ τον πιστεύοντες εἶναι καὶ οὐ θνητὸν ἄνθρωπον· ὅθεν δικαίως καταδικασθήσονται παρὰ τῆς ἀδεκάστου δίκης ὡς ἄθροωπολάτραι “τῆ κτίσει παρὰ τὸν κτί σαντα λατρεύσαντες” διὰ πολλὴν καὶ ἐσχάτην ἄνοιαν, μᾶλλον δὲ τᾶλθίστερον εἰπεῖν, διὰ κτηνωδῖαν τε καὶ δυσσέβειαν (Migne 1863(e):149).

შეცთენილები. აქ ეფრემი სიტყვათა კავშირს - εὐληπτοτέραις ... πιθανολογίαις თარგმნის: „ადვილმისაწთომელობითა სიტყუა-რწმუნებითა“.

5. ეფრემი: „უკუეთუ ამას დაუბეჭდავს სახარებისადა, ამიერთგან რაღლა-ყონ რომელნი-იგი წვალებათაცა შემოიხუმენ ანუ რომელნი მათსა ირწმუნებენ?“ (თ. 10). SC.: Εἰ οὖν οὗτος τὰ τοῦ Εὐαγγελίου σφραγίζει, τί πείσονται λοιπὸν οἱ τὰς αἰρέσεις παρεισάγοντες ἢ οἱ πιστεύοντες αὐτοῖς; [მართლაც, თუკი ის (პავლე) სახარებისეულ ამბებს ბეჭედს უსვამს (დაბეჭდავს). სხვას რაღას იმედოვნებენ ისინი, რომლებსაც ერესები შემოაქვთ ან რომლებიც მათ ენდობიან?].

ეფრემი მოცემულ მონაკვეთს – τί πείσονται [რაღას იმედოვნებენ] ამგვარად თარგმნის: „რაღლა-ყონ“. ამ შემთხვევაში, ეფრემს ხელთ ჰქონდა ის ხელნაწერი სადაც τί πείσονται-ის ნაცვალად მოცემულია - τί ποιήσονται [„რაღას იზამენ“] (შდრ. Durand 2000: 216).

7. ეფრემი: „რამეთუ განიყარნეს რაღ წმიდათა ეპისკოპოსთაგან და შეიჩუნენეს, სადაცა უცნაურ-იყვნენ ემზირებიანცა ფარულად და კრებათა ჰყოფენ და ესე არს, რომელი-იგი პირველ ვთქუთ, ვითარმედ საიდუმლოთაცა ქრისტესცა და განგებულებასა მისსა დააკნინებენ“ (თ. 10). SC.: Αφορισθέντες γὰρ ἀπὸ τῶν ἀγίων ἐπισκόπων καὶ ἀναθεματισθέντες, ὅπου ἀγνοοῦνται καὶ κοινωοῦσι λάθρα καὶ συνάγονται, τούτέστιν ὁ προειρήκαμεν, ὅτι καὶ τὸ μυστήριον τοῦ Χριστοῦ καὶ τὴν οἰκονομίαν ἐτέλιζουσιν. [რაღგან განშორებულნი წმინდა ეპისკოპოსებისგან და შეჩვენებულნიც, იქ, სადაც არ იცნობენ, იკრიბებიან და მალულადაც ეზიარებიან. ე. ი. რაც წინასწარვე ვთქვით, რომ ქრისტეს საიდუმლოსაც და [მის] განგებულებასაც აკნინებენ].

ნაცვალად ბერძნული ზმნისა κοινωοῦσι – „ეზიარებიან“ თარგმანში მოცემულია – „ემზირებიანცა“. სავარაუდოდ, აღნიშნული ფაქტი განაპირობა ქართული ნუსხის გადამწერის შეცდომამ, რაღგან ქართული „ეზიარებიან“ და „ემზირებიან“ მსგავსი დაწერილობის სიტყვებია, აქედან გამომდინარე, გადამწერს, ამოკითხვის დროს, ეს სიტყვები შესაძლოა აღრეოდა.

o) მეთერთმეტე თავში გამოვლენილი განსხვავებული თარგმანი:

1. ეფრემი: „დაღათუ პირითა არა აღიარებ კაცთმოთნებისათჳს, არამედ უფროდს ჳმისა შენისა ჳმობს ჳეშმარიტებაჲ საქმეთაჲ“ (თ. 11). SC.: εἰ καὶ στόματι μὴ λέγεις ἀνθρώποις ὑποκρινόμενος, ἀλλ' ὁμῶς μεῖζον τῆς σῆς φωνῆς βῶθ ἢ ἀκολουθία τοῦ

παράγματος. [მაგრამ თუ პირითაც არ ამბობ [ამას], და თვალთმაქცობ ადამიანთა წინაშე, მიუხედავად ამისა, შენს ხმაზე უფრო მეტად [შენი] მოქმედების (საქმეების) თანმიმდევრობა იყვირებს].

ბერძნულ ტექსტში „კაცთმოთნებისათვის“ ნაცვლად გვაქვს ორსიტყვედი – ἀνθρώποις ὑποκρινόμενος [თვალთმაქცობ ადამიანთა წინაშე].

ტერმინი **კაცთმოთნება** ნიშნავს – „პირმოთნებას“, ხოლო **თნება** ძველ ქართულში – იგივეა, რაც – **მოწონება**, ანუ **კაცთმოთნება** იგივეა, რაც – ადამიანებისთვის თავის მოწონება. მარკოზ მონაზონის განმარტებით: „კაცთმოთნება არს, ვითარ ვჰგონებ სათნოყოფად კაცთად და ესე უწყი მე შესატყვისად ამის პირისა“ (იხ. „წინაგანწყობად სხოლასტიკოსისა“ (თ. 10)).

დიურანის გამოცემისგან განსხვავებით, ეფრემთან სიტყვის – ἀκίβητος (თანმიმდევრობა) ნაცვლად არის „ჭეშმარიტება“. აღნიშნული თარგმანი შეესაბამება IX საუკუნის ბერძნულ მანუსკრიპტს (Durand 2000: 221).

2. ეფრემი: „და ცუდ ესევითარი ღმრთისმეტყუელება“ (თ.11). SC.: ματαίᾳ ἢ τοιαύτῃ θείῳ αἰσῶ. [ამაოა ასეთი ღვთისმცოდნეობა].

ეფრემი ტერმინს – θείῳ αἰσῶ, რომელიც სიტყვასიტყვით ნიშნავს „ღვთისცოდნას“, თარგმნის - „ღმრთისმეტყუელება“.

თავი VI

ბერძნული და ქართული ტექსტების ფილოლოგიური და საღვთისმეტყველო ანალიზი („წინაგანწყობა სქოლასტიკოსისაჲ“)

ეგრემ მცირის თარგმანი წმინდა მარკოზის შრომისა – „წინაგანწყობა სქოლასტიკოსისაჲ“ A-60 ხელნაწერში იწყება 31-ე გვერდიდან და სრულდება 44-ე გვერდზე. თარგმანს აკლია პირველი ექვსი გვერდი, ანუ ხელნაწერში აღნიშნული ნაშრომი ბერძნული დედნის მიხედვით VIII თავიდან იწყება (მდრ. Migne 1864(a): 1072).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქართული ტექსტის თავისებურებანი, ბერძნულ ორიგინალთან მიმართებით, წარმოჩენილი გვაქვს ტიპოლოგიური დაჯგუფებებით: კლება, მატება, განსხვავებული თარგმანი, ცხადია – ფილოლოგიურ და საღვთისმეტყველო ანალიზთან ერთად. კვლევაში ბერძნულ ტექსტს ვიმოწმებთ ჟორჟ-მეტიუ დე დიურანის გამოცემიდან – „Sources chretiennes“ (SC.) (Durand 2000: 26-92), რომლის მიხედვითაც არის დამოწმებული და დანომრილი ტექსტში არსებული თავები, რაც შეესაბამება ჟ. მინის პუბლიკაციას – „Patrologia Graeca!“ (Migne 1864(a): 1072-1102)¹⁴⁶.

I. ტექსტის კლება

ა) მერვე თავში გამოვლენილი კლება:

1. *ეგრემი*: „არა ხოლო ღმრთისმსახურებასა და ლოცვასა შინა“ (თ. 8). SC.: οὐκ ἐν πόνῳ εὐσεβείᾳ καὶ προσευχῆς. [არა ღვთისმოსაობისა და ლოცვის **ღვაწლის მეშვეობით**]. ეგრემის თარგმანში – ἐν πόνῳ [ღვაწლით] გამოტოვებულია.

2. *ეგრემი*: „ვინაჲცა, უკუეთუ არა სიტყუანი საწარმართოდსა სიბრძნისანი სათნო-უჩნან, არამედ შრომაჲ ლოცვისა და სიმდაბლისაჲ სათნო-ეყოფვის, ...“ (თ. 8). SC.: Εἰ οὖν ὁ Θεὸς οὐκ ἐν ῥήματι ἐλληρικῆς σοφίᾳ, ἀλλ’ ἐν ποιήμασι προσευχῆς καὶ ταπεινοφροσύνης εὐδοκεῖ. [მართლაც, თუ ღმერთს ესთნოება არა ელინური სიბრძნის

¹⁴⁶ ჩვენ მიერ ძველი ბერძნულიდან შესრულებული ახალი ქართული თარგმანი კავებში გვაქვს ჩასმული.

სიტყვები, არამედ ლოცვისა და სიმდაბლის შრომის ნაყოფი,]. ეფრემთან სიტყვა ὁ
Θεὸς [ღმერთი] თარგმნილი არ არის.

ბ) მეთხუთმეტე თავში გამოვლენილი კლება:

1. *ეფრემი:* „არამედ ჩუენ ამისთვისცა გულსავსე-გყოფთ შენ ნაცვლით კითხვითა
შესაბამისადათ“ (თ. 15). SC.: ἡμεῖς σε ἐν Κυρίῳ καὶ περὶ τούτου πληροφορησόμεν, τὰ
προσθήκοντα ἀντεπερωτήσαντες. [ჩვენ უფალთან მიმართებით ამის შესახებაც სრულად
განგიმარტავთ (დაგარწმუნებთ) შენ და, ამის შესაბამისად, საპირისპიროდ გკითხავთ].

თარგმანს აკლია სიტყვა ἐν Κυρίῳ [უფალზე], სავარაუდოდ, ეფრემმა მიიჩნია,
რომ წინადადების ამ სიტყვის გარეშე თარგმნაც სავსებით გადმოსცემდა ორიგინალში
მოცემული წინადადების შინაარსს.

გ) მეოცე თავში გამოვლენილი კლება:

1. *ეფრემი:* „და მის ძლით მოსლვითა სულისადათა მომმადლნა ჩუენ ყოფადნი
კეთილნი“ (თ. 20). SC.: τὴν ἐπὶ τούτοις ὑπομονὴν διὰ τῆς τοῦ Πνεύματος μετουσίᾳ
χαρισάμενος ἡμῖν τὰ μέλλοντα ἀγαθὰ [ამათ გარდა, სულიწმინდის ზიარების მეშვეობით
ჩვენ მოთმინება მოგვმადლა და მომავალი სიკეთეები].

ეფრემის თარგმანში არ მოგვეპოვება სიტყვა: ὑπομονὴν [მოთმინება].

II. ტექსტის მატება

ა) მერვე თავში გამოვლენილი მატება:

1. *ეფრემი:* „ვინაჲცა, უკუეთუ არა სიტყუანი საწარმართოდსა სიბრძნისანი
სათნო-უჩნან, არამედ შრომაჲ ლოცვისა და სიმდაბლისაჲ სათნო-ეყოფვის, ... “ (თ. 8).
SC.: Εἰ οὖν ὁ Θεὸς οὐκ ἐν ῥήμασιν ἐλληνικῆς σοφίας, ἀλλ’ ἐν ποιήμασι προσηυχῆς καὶ
ταπεινοφροσύνης εὐδοκεῖ. [მართლაც, თუ ღმერთს ესათნოება არა ელინური სიბრძნის
სიტყვები, არამედ ლოცვისა და სიმდაბლის შრომის ნაყოფი, ...].

ეფრემი ბერძნული ზმნის – εὐδοκεῖ [სათნოა მისთვის] – შინაარსს კონტექსტის
უკეთესად გადმოსაცემად ქართულად ორ ზმნურ ფორმას უფარდებს: „სათნო-უჩნან“
და „სათნო-ეყოფვის“.

ბ) მეთერთმეტე თავში გამოვლენილი მატება:

1. *ეფრემი:* „ხოლო მოღუაწემან თქუა: „ესე ესრეთ იყავნ, ხოლო უსამართლოდ
შენ მიერ ჩუენდა ბრალობისა სიტყუანი სადა დავსხნეთ?“ გამომკულეველმან თქუა:
„სულგრძელებისა შჯულისა ვაჩემნეთ იგი, რომელსა პირველად შენ მასწავებდ ჩუენ“

(თ. 11). SC.: Ὁ δὲ ἀσκητὴς ἔφη· Ἐχέτω ταῦτα οὐτως· τὰς δὲ ἀδίκους παρὰ σοῦ μεμψιεύς καθ' ἡμῶν ποῦ **θήσομεν**; Ὁ δὲ δικανικὸς λέγει· Εἰς τὸν τῆς μακροθυμίας νόμον ὃν ἡμᾶς προεδιόξα. [მოღვაწემ კი უპასუხა: „დაე იყოს ეს ასე; მაგრამ შენგან ჩვენ წინააღმდეგ უსამართლო გაკიცხვა **სად წავიღოთ** (სად შევინახოთ)?“ კანონმდებელმა უპასუხა: „სულგრძელების რჯულში, რომელიც წედან (წინათ) გვასწავლე“].

ეგრემი პირველ წინადადებაში ზმნას – *θήσομεν* თარგმნის მნიშვნელობით – „დავსხნეთ“, ხოლო მეორე წინადადებაში მთარგმნელს აზრის დასაზუსტებლად შემოაქვს ზმნა – „ვაჩემნეთ“, რომელიც ბერძნულ ორიგინალში არ მოგვეპოვება.

გ) მეცამეტე თავში გამოვლენილი მატება:

1. *ეგრემი*: „მტერსა თვისსა უსახელოდ შეასმენს“ (თ. 13). SC.: ἀνανύμας διαβάλλει. [თავისი სახელის დასახელების გარეშე (უსახელოდ=ἀνανύμας) ცილს სწამებს].

მოცემულ ადგილას, თარგმანში აზრის დასაზუსტებლად დამატებულია – „მტერსა“. ეს სიტყვა ორიგინალში არ მოგვეპოვება.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ზმნიდან *διαβάλλει*, რომელიც ნიშნავს „ცილს ვწამებ“, მომდინარეობს საკუთარი სახელი *Διάβολος* – „ემმაკი“, ანუ „ცილისმწამებელი“.

წმინდა ანდრია კესარია-კაზადოკიელი ტერმინს – *Διάβολος*, ცნობილ ეგზეგეტიკურ ძეგლში, ამგვარად გამარტავს: „წმინდა მოციქულისა და მახარებლის იოანე ღვთისმეტყველის აპოკალიფსის განმარტება“ (Migne 1857: 215-458): [თუ სახელი – სატანა მოცემულია არტიკლთან¹⁴⁷ ერთად, ეს არ ნიშნავს, რომ სატანა სხვა არის და ემმაკი სხვა, და თუკი ასეა წარმოდგენილი, გადაჭარბებულია, რადგან ორივე სახელი – ემმაკი (ცილისმწამებელი) და სატანაც – მას ეწოდება. ერთი მხრივ, [ემმაკი ეწოდება], იმის გამო, რომ ცილს წამებს სათნოებებს და მათ, ვისაც უყვართ სათნოებები, ხოლო ადამიანთა წინაშე თავად ღმერთს წამებს ცილს, როგორც ადამის წინაშე წარმოაჩინა, რომ ღმერთი, თითქოს, შურიანი იყო. ხოლო, მეორე მხრივ, [სატანა ეწოდება] როგორც მეუფისა და მისი მსახურების მოწინააღმდეგეს]¹⁴⁸.

¹⁴⁷ იგულისხმება, რომ განსაზღვრული არტიკლი, რითაც, როგორც წმინდა ანდრია განმარტავს, წარმოდგენილია სახელი ὁ Σατανᾶς (სატანა), მას არავითარ განსხვავებულობას არ ანიჭებს სახელისგან *διάβολος* (ცილისმწამებელი, ემმაკი).

¹⁴⁸ Εἰ δὲ μετὰ τοῦ ἄρθρου κεῖται, ὁ Σατανᾶς, οὐχ ὡς ἄλλος ὢν παρὰ τὸν διάβολον, εἰ καὶ κεῖται καθ' ὑπερβατόν· οἷον ὁ διάβολος ὁ καὶ Σατανᾶς· ἄλλ' ὡς τὰ δύο καλοῦμενος· τὸ μὲν, διὰ τὸ διαβάλλειν τὰς ἀρετὰς καὶ τοὺς τοῦτων ἐραστὰς·

მოცემული ნაშრომის ძველი ქართული თარგმანი შესრულებულია წმ. ექვთიმე ათონელის მიერ. დავიმოწმებთ აღნიშნულ მონაკვეთს: „ხოლო ეშმაკი გამოითარგმანების: **შემასმენელ**, რამეთუ **შემასმენელი** არს სათნოებათაჲ და კაცთაჲ და ღმრთისაჲცა, ვითარცა-იგი ადამის თანა შეასმენდა, ვითარმედ: გეშურებისო. ხოლო სატანა გამოითარგმანების: წინააღმდგომ, რამეთუ წინააღმდგომ არს ღმრთისაჲცა და კაცთა (იმნაიშვილი 1961: 77).

წმინდა ანდრია კესარიელის განმარტების შესაბამისად, ექვთიმე მთაწმინდელი სახელს – Διάβολος თარგმნის „შემასმენელი“, ანუ ცილისმწამებელი. ისევე, როგორც ეფრემ მცირე აღნიშნულ ზმნას – διαβάλλει თარგმნის – „შეასმენ“, ანუ ცილს წამებს¹⁴⁹.

III. განსხვავებული თარგმანი:

ა) მეცხრე თავში გამოვლენილი განსხვავებული თარგმანი:

1. *ეფრემი*: „რამეთუ აქა ვერ განმართლებულთა შესატყვისთა შემთხუევათა მიერ, მიერთგან საჭირო არს მერმეთა მათ პატიჟთა შემთხუევად ჩუენდა“ (თ. 9). SC.: καθότι ὁὐδὲ μὴ διορθωθέντα (მრგ.ნომ.) διὰ τῶν πρῶτων συμψάσεων, ἐξ ἀνάγκης λοιπὸν τὴν ἐκείθεν ἡμῖν κρίσιν ἐπάγουσιν. [რამეთუ, ის რაც აქ ვერ იქნა გამართლებული შესაფერისი (შესაბამისი) შერიგების მეშვეობით [ღმერთთან], აუცილებლობის გამო მოგვაწევს ჩვენ მომავალ, იქაურ (=ἐκείθεν) სასჯელს].

ეფრემთან შესიტყვება: διὰ τῶν πρῶτων συμψάσεων [შესაფერისი შერიგების მეშვეობით] ამგვარად არის თარგმნილი: „შესატყვისთა შემთხუევათა მიერ“.

2. *ეფრემი*: „ვიდრემდის არცა თუ გარდაქცევათაჲ მისთა ადვილად სცნობენ მონადირებულნი მის მიერ“ (თ. 9). SC.: ὡς μὴδὲ τὰς παρατροπὰς αὐτῆς τοῦς δελεαζομένους ἐπιγῶναι ῥῆδιον. [რომლებმაც საკუთარი თავი მოიტყუეს (შეაცდინეს), ადვილად აღარ აღიარეს კაცთმოთნეობის გადაცდომა].

ვფიქრობთ, ეფრემი ოდნავ განსხვავებულად თარგმნის აღნიშნულ ადგილს: მიმღეობა δελεαζομένους, რომელსაც, ამ შემთხვევაში, ბერძნულში საშუალი გვარის შინაარსი აქვს, მთარგმნელს ქართულად გადმოაქვს ვნებითი გვარის მნიშვნელობით:

καὶ αὐτὸν τὸν θεὸν τοῖς ἀνθρώποις, ὡς τῷ Ἀδὰμ αὐτὸν βάσκανον ὑπέγραψε· τὸ δὲ, ὡς ἀντικείμενος καὶ τῷ Δεσπότη καὶ τοῖς δούλοις [αὐτοῦ] (Migne 1857: 328)

¹⁴⁹ დაცემული ანგელოზისადმი განკუთვნილი საკუთარი სახელების შესახებ მსჯელობა ვრცლად იხ. (ორჟონია 2022: 213).

„მოტყუებულნი (მონადირებულნი) მის მიერ“. ამის შედეგად, კონტექსტი უფრო გასაგები და ნათელი ხდება.

ბ) მეათე თავში გამოვლენილი განსხვავებული თარგმანი:

1. ეფრემი: „კაცთმოთნება არს, ვითარ ვჰკონებ სათნოყოფად კაცთად და ესე უწყი მე შესატყვისად ამის პირისა“ (თ. 10). SC.: Ἀνθρωπαρέσκειά ἐστίν, ὡς δοικῶν, τὸ τοῖς ἀνθρώποις ἀρέσκειν. Ταύτην οἶδα εἶναι τοῦ χρηματισμοῦ τὴν οἰκειότητα. [კაცთმოთნეობა, როგორც მგონია, არის ადამიანების მიმართ თავის მოწონება. მე ასე ვიცი, რომ სწორედ ეს არის [მისი] სახელის ნიშან-თვისება]. სიტყვა – οἰκειότης ქართულად იგივეა, რაც – „მახასიათებელი“, „ნიშან-თვისება“. ეფრემი აღნიშნულ სიტყვას თარგმნის: „შესატყვისი“. წინადადების შინაარსიდან გამომდინარე აღნიშნული თარგმანი სავსებით ადეკვატურია.

2. ეფრემი: „ვინაჲცა რად ესოდენ დაამძიმე ბრალობად კაცთმოთნებისაჲ?“ (თ. 10). SC.: Τί οὖν τοσοῦτον ἐβάρυνας τὴν ἀνθρωπαρέσκειαν μεμρόμενος; [მართლაც, იქამდე რატომ დახვედი, რომ კაცთმოთნეობა გაკიცხე?].

ბერძნული ზმნა βάρυνω ქართულად ნიშნავს – „ვალრმავებ“, „ვთხრი“, ხოლო მიმღეობური ფორმის – μεμρόμενος – ქართული თარგმანია: „გამკიცხველი“ (შდრ. Дворецкий 1958: 284, 1070). ეფრემი აღნიშნული ზმნისა და მიმღეობის შინაარსს აერთიანებს და ამ სახით თარგმნის: „დაამძიმე ბრალობად“. ახალ ქართულ თარგმანში, კონტექსტიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ბერძნული βάρυνω ვთარგმნოთ როგორც – „დახვედი“.

3. ეფრემი: „ვინაჲთგან უკუე შენ არათუ მოლუაწებითა, არამედ უსწავლელობითა გარე-წარჰკედე“ (თ. 10). SC.: Ἐπειδὴ οὖν σοὶ οὐκ ἀπὸ ἀμελείας, ἀλλὰ ἀπὸ ἀμαθίας προσελήλυθε. [მართლაც, რადგან არა დაუდევრობით, არამედ უსწავლელობისგან შეგემთხვა (მოგივიდა) შენ ეს].

ბერძნული სიტყვის ἀμελείας „უზრუნველობა“, „დაუდევრობა“ – შესატყვისად თარგმანში მოცემულია: „მოლუაწებითა“. ეს ფაქტი განაპირობა იმან, რომ ნუსხაში, რომელსაც ეფრემი იყენებდა, წარმოდგენილია სიტყვა: ἐπιμέλεια (იხ. Durand 2000: 57), რომელიც იგივეა, რაც – „მონდომება“, „ზრუნვა“, „გულმოდგინება“.

ზმნის პირიან ფორმას – προσελήλυθε [შეგემთხვა] – ეფრემი თარგმნის, როგორც: „გარე-წარჰკედე“.

4. ეგრემი: „სამართალ არს სახელსა მისსა გამოჩინებად ჩუენ მიერ და მიზეზთა მისთა, ვითარცა ტყუვილთა დადუმებაჲ“ (თ. 10). SC.: δίκαιον ἂν εἴη, τῆς ἀντανυσμίας φανερωθείσης, καὶ τὰς αἰτίας ὧς ψευθεῖς παρασιωπηθῆναι. [სამართლიანი იქნებოდა, მას შემდეგ, რაც ჩვენ მიერ საპირისპირო გამომჟღავნდა, [მის] გამოგონილ (ცრუ) მიზეზებზე დადუმება].

აღნიშნულ მონაკვეთში სქოლასტიკოსი მარკოზ მონაზონს ადანაშაულებს იმაში, რომ მარკოზმა კაცთმოთნეობას, თითქოსდა არამართებულად უწოდა „ცოდვა“ და ამით სახელი შეუცვალა, ხოლო სქოლასტიკოსმა ეს გამოამჟღავნა, ანუ სქოლასტიკოსმა საპირისპირო დაამტკიცა. შესაბამისად, სიტყვას – ἀντανυσμία ჩვენ ვთარგმნით, როგორც – „საპირისპირო“.

მოცემულ სიტყვას – ἀντανυσμία რამდენიმე მნიშვნელობა აქვს: „ნაცვალსახელი“, „ანტონიმი“, „საპირისპირო“, მის ნაცვალად ეგრემის თარგმანში არის – „სახელი“, რადგან, ამ შემთხვევაშიც, ნუსხაში, რომელსაც იყენებდა ეგრემი, არის – προσιωσμία – „წოდება“, „სახელი“ (იხ. Durand 2000: 57).

გ) მეთერთმეტე თავში გამოვლენილი განსხვავებული თარგმანი:

1. ეგრემი: „ხოლო მოღვაწემან შეატყუა, ვითარმედ განცხადებულთა მხილებათა ზედა ეძვნების და თქუმულთა მათგან იჯმნის“ (თ. 11). SC.: Ὁ δὲ ἀσκητὶς ἐπιγνοῦς ὅτι φανερῶς πρὸς τοὺς ἐλέγχους ἀγανακτεῖ καὶ τὰ ῥηθησόμενα παραιτεῖται. [ხოლო მოღვაწე მიხვდა, რომ [სქოლასტიკოსი] ცხადად შფოთავს მხილებების გამო, და [წინასწარ] იმასაც უარყოფს, რაც [მოღვაწის მიერ] მომავალში უნდა თქმულიყო].

ეგრემი წინადადებას: πρὸς τοὺς ἐλέγχους ἀγανακτεῖ καὶ τὰ ῥηθησόμενα παραιτεῖται [...შფოთავს მხილებების გამო და [წინასწარ] იმასაც უარყოფს, რაც [მოღვაწის მიერ] მომავალში უნდა თქმულიყო] – ნაწილობრივ ცვლის და ამ სახით თარგმნის: „მხილებათა ზედა ეძვნების და თქუმულთა მათგან იჯმნის“.

2. ეგრემი: „ხოლო გაქუს თუ ღონე ჩუენებად შენ მიერ ძაგებულისა სახელოვნისა კაცთმოთნებისა იტყოდე“ (თ. 11). SC.: Εἰ δὲ πάρεστί σοι δεῖξαι καταγινωσσκομένην ὀνομαστί τὴν ἀσθραπαρέσκειαν, λέγε. [ხოლო თუ შეგიძლია, გვაჩვენე, რომ [წერილი] სახელდებითად კაცთმოთნეობას ადანაშაულებს, თქვი].

თარგმანის აღნიშნული მონაკვეთის შინაარსი ნაწილობრივ განსხვავდება ბერძნული ტექსტისგან – შემდეგი ასპექტით: დედნის მიხედვით, სქოლასტიკოსი

ითხოვს, რომ მარკოზმა წარმოადგინოს წმინდა წერილიდან ის ადგილები, სადაც კაცთმოთნეობა, როგორც ასეთი, გაკიცხულია. ამგვარი აზრი ეფრემისეული თარგმანის საკუთრივ ამ წინადადებაში არ იკითხება. ეფრემი: „შენ მიერ დაგებულისა სახელოვნისა კაცთმოთნეობისა“.

დ) მეთორმეტე თავში გამოვლენილი განსხვავებული თარგმანი:

1. *ეფრემი*: „წერილი არა წინააღმდეგომ არს თავისა თვისსა, არამედ ჩუენ ჭურითიან ვართ ცნობად ჭეშმარიტებისა“ (თ. 12) SC.: Ἡ Γραφή οὐκ ἔστιν ἐναντὶ ἀσύμφωνος, ἀλλ’ ἡμεῖς ἀμβλυσάπισμεν πρὸς τὴν τῆς ἀληθείας κατανοήσιν [წერილი არ ეწინააღმდეგება თავის თავს, არამედ ჩვენ ვჭკვრეტთ ძნელად (ამოსაცნობი) ჭეშმარიტების შინაარსს].

ტერმინი „ჭურეტა“ ნიშნავს – „მზერას“, „ხედვას“. აღნიშნული ტერმინი ასევე გულისხმობს რაიმეზე ღრმად ფიქრს. ქრისტიანული თვალსაზრისით კი, „ჭვრეტა“ არის ერთგვარი შინაგანი, სულიერი ხედვა.

ეფრემი ზმნას ἀμβλυσάπισμεν, რომელიც პირდაპირი მნიშვნელობით ნიშნავს „ცუდად ვხედავთ“, ამგვარად თარგმნის – „ჭურითიან ვართ“. შესაბამისად, მთარგმნელი აღნიშნული ტერმინით ორ რამეს განმარტავს: ერთი მხრივ, იმას, რომ წმინდა წერილი ყოველთვის პირდაპირი გაგებით, ბუკვალურად არ უნდა გავიგოთ, მეორე მხრივ კი, წმინდა წერილის შინაარსი მიწიერი ხედვისა და აზროვნებისთვის დაფარულია და ძნელად საწვდომი.

ე) მეცამეტე თავში გამოვლენილი განსხვავებული თარგმანი¹⁵⁰:

1. *ეფრემი*: პირველი და დედაა გარდაქცევათაა არს ურწმუნოებაა, მიერთვან ამას შვილებრ შეუდგან შური, პირთნებაა (თ. 13). SC.: Ταύτη δὲ λοιπὸν ἄς τέκνα ἐπακοιουσθῆσιν φθόνος, ... προσωποληψία [პირველი და დედა გადაცთომისა (უკუღმართობისა) არის ურწმუნოება. შემდეგ, მას თანმიმდევრობით, როგორც შვილები, მოჰყვებიან: შური, ... მიკერძობა].

აღსანიშნავია, რომ ეფრემი ტერმინს – προσωποληψία – „მიკერძობა“, კალკირებულად თარგმნის – „პირთნებაა“ (თ. 13). მოცემული ტერმინი შედგება

¹⁵⁰ როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ჩვენ მიერ ქვემოთ წარმოდგენილი და მსგავსი შედგენილი სიტყვები, როლებსაც ეფრემი ხშირ შემთხვევაში ზედმიწევნით თარგმნის, პირობითად შეგვაქვს „განსხვავებულ თარგმანთა“ სიაში.

სიტყვისგან $\pi\rho\sigma\alpha\pi\omicron\nu$ (პირი, სახე) და $\lambda\eta\psi\iota\varsigma$ (სარგებლობა) ანუ „ვინმესგან [ანგარებით] სარგებლის მიღება“.

2. ეგრემი: „გამოცდილთა თანა სიტყუა-მდაბლობნ“ (თ. 13) SC.: $\pi\alpha\rho\acute{\alpha}\ \acute{\epsilon}\mu\pi\epsilon\iota\rho\iota\varsigma\ \tau\alpha\pi\epsilon\iota\nu\omicron\lambda\omicron\gamma\epsilon\iota$ [გამოცდილებთან თავდაბლად მეტყველებს].

ასევე აღსანიშნავია ეგრემის ზედმიწევნითი თარგმანი ზმნური ფორმისა: $\tau\alpha\pi\epsilon\iota\nu\omicron\lambda\omicron\gamma\epsilon\iota$ - „სიტყუა-მდაბლობნ“. ამ ფორმის ზმნა ლექსიკონში წარმოდგენილი არ არის, რადგან ის წარმოქმნილია ზედსართავი სახელის $\tau\alpha\pi\epsilon\iota\nu\acute{\omicron}\varsigma$ [მდაბალი] და ზმნის პირიანი ფორმის $\lambda\omicron\gamma\acute{\alpha}$ [მსურს მეტყველება] შეკავშირებით.

3. ეგრემი: „ყოვლად ვერაგებით კაცთმოთნე, ... სხვსა თანა მზრახვალობითა სხვსა ძვრისა მზრახვალობნ“ (თ. 13) $\text{Ὁ πανοῦργος ἀνθρωπάρεσκος, ... Ἐγκαιμαζομένων ἐναρέτων ἀηδίζεται}$. [ყოველმხრივ ვერაგია (მოხერხებულია) კაცთმოთნე, ... როცა სათნო ადამიანები განდიდებიან (იქებიან), შეწუხებულია (უკმაყოფილოა)].

ბერძნულ ორიგინალში გვაქვს ზმნა – $\acute{\alpha}\eta\delta\acute{\iota}\zeta\epsilon\tau\alpha\iota$. ეს ზმნა სიტყვასიტყვით ამგვარად ითარგმნება: „არა სასიამოვნოდ გრძნობს თავს“. ეგრემისეულ თარგმანში მის შესატყვისად არის – „ემკნებოდიან“. ძველი ქართული სიტყვა „ძვინება“ ი. აბულაძის ლექსიკონში განმარტებულია, როგორც – „მრისხანება“ (აბულაძე 1973: 529).

4. ეგრემი: „მდაბალთა ჰხასრონ და მოძღუართა ბიწისმომზირალობენ“ (თ. 13). SC.: $\tau\omicron\upsilon\varsigma\ \tau\alpha\pi\epsilon\iota\nu\acute{\omicron}\phi\rho\omicron\nu\alpha\varsigma\ \mu\upsilon\kappa\tau\eta\rho\acute{\iota}\zeta\epsilon\iota\ \kappa\alpha\acute{\iota}\ \tau\omicron\upsilon\varsigma\ \delta\iota\delta\alpha\sigma\kappa\acute{\alpha}\lambda\omicron\upsilon\varsigma\ \mu\alpha\mu\omicron\sigma\kappa\omicron\pi\epsilon\iota$. [თავმდაბლებს დასცინის და მასწავლებლებს (მოდღვრებს) საქილიკოდ უთვალთვალეებს].

აღნიშნული შემთხვევაც ზემოთ განხილული მონაკვეთის მსგავსია. მოცემული ზმნა $\mu\alpha\mu\omicron\sigma\kappa\omicron\pi\epsilon\iota$ [საქილიკოდ უთვალთვალეებს] ნაწარმოებია არსებით სახელის – $\mu\acute{\alpha}\mu\omicron\varsigma$ [ქილიკი] და ზმნის – $\sigma\kappa\omicron\pi\acute{\epsilon}\omega$ [უთვალთვალეებ] შეკავშირების შედეგად. ეგრემი წარმოდგენილ ზმნას, კალკირებულად და, შინაარსის თვალსაზრისით, ზუსტად თარგმნის: „ბიწისმომზირალობენ“.

5. ეგრემი: „ყოველთა სათნოებათა უგულებელს-ჰყოფენ“ (თ. 13) SC.: $\pi\acute{\alpha}\nu\tau\omega\nu\ \tau\acute{\alpha}\varsigma\ \acute{\alpha}\rho\epsilon\tau\acute{\alpha}\varsigma\ \pi\alpha\rho\alpha\lambda\omicron\gamma\acute{\iota}\zeta\epsilon\tau\alpha\iota$ [თითოეული ადამიანის სათნოებას არამართებულად განსაზღვრავს].

ბერძნული ზმნის პირიან ფორმას $\pi\alpha\rho\alpha\lambda\omicron\gamma\acute{\iota}\zeta\epsilon\tau\alpha\iota$, რომლის ქართული შესატყვისია: „არამართებულად განსაზღვრავს, არასწორად განსჯის“ – ეგრემი ოდნავ

განსხვავებულად თარგმნის: „უგულებელს-ჰყოფენ“, რაც სრულად შეესაბამება დედანში მოცემულ კონტექსტს.

6. ეფრემი: „რაფთა თავნიცა თვსნი დაიმწირნენ“ (თ. 13) SC.: τοῦτο δὲ καὶ ἑαυτοὺς σμικρύνοντες [მეორე მხრივ კი, თავს დაიმცირებენ (σμικρύνοντες)].

ტერმინი – σμικρύνοντες გახლავთ ზმნის პირიანი ფორმის მიმღეობა: σμικρύνω, რომელიც, თავის მხრივ, წარმოქმნილია ზედსართავი სახელის σμικρός = μικρός „მცირე“ და ზმნის εἰμί (ἔμ) „ვარ“ შეკავშირებით, და ნიშნავს „თავს ვიმცირებ“. ეფრემის თარგმანში მოცემული ტერმინის (σμικρύνοντες) შესატყვისად გვაქვს: „დაიმწირნენ“.

რაც შეეხება ტერმინს – „მწირობა“: ი. აბულაძის ლექსიკონში ამგვარი განმარტებაა მოცემული აღნიშნულ ტერმინთან დაკავშირებით: «უცხოობა, მსხემობა, გარდასახლება, „უცხოებად აღირჩია და მწირობით და სიგლახაკით ცხორებად“ ი.-ე. 15,3;» (აბულაძე 1973: 310).

ვ) მეთოთხმეტე თავში გამოვლენილი განსხვავებული თარგმანი:

1. ეფრემი: „...ღონიერებადცა შენი დამიკვრდა, რამეთუ რასა-იგი სხუათა აბრალებ, იგი შენ გაქუს მიჩრდილებითრე“ (თ. 14) SC.: ...τὴν πανουργίαν ἐθαύμασα, ἦν ἑτέροις ἐγκαλῶν αὐτὸς ἐπεσκιασμένως κατέχεις [... შენმა ვერაგობამ (მოხერხებულობამ) გამაოცა, და ვერაგობა, რომელსაც სხვას აბრალებ, თავადვე ფარულად გაგაჩნია].

საინტერესოა, რომ ეფრემი სიტყვას πανουργία, რომელიც ითარგმნება, როგორც „მზაკვრობა, ვერაგობა, ეშმაკობა“, თარგმნის „ღონიერებად“ ანუ „მოხერხებულობა“. ხოლო ზმნიზედას – ἐπεσκιασμένως თარგმნის ზედმიწევნით – „მიჩრდილებითრე“, რადგან ἐπεσκιασμένως მომდინარეობს ზმნიდან – ἐπισκιάζω და ნიშნავს – „ვუჩრდილაე“.

2. ეფრემი: „სახე-მოვიღე, ვითარმედ არა სარგებელად, არამედ სავნებელად მიითუალენით სიტყუანი გამომკულეველისანი“ (თ. 14). SC.: Τεκμήριον ἔλαβον ὅτι οὐ πρὸς ὠφέλειαν, ἀλλὰ πρὸς βλάβην ἐδέξασθε τοῦ δικανικοῦ τὰ ρήματα· [ეს [იმის] ნიშნად ჩავთვალე, რომ არა სარგებლად, არამედ საზიანოდ მიიღეთ სამართალმცოდნის სიტყვები].

ამ მონაკვეთში ჩვენ გამოვყოფთ ბერძნულ ტერმინს – τεκμήριον, რომელიც სიტყვასიტყვით ითარგმნება, როგორც: „მტკიცებულება“, „ნიშანი“. ეფრემი მოცემულ

ტერმინს აკავშირებს ზმნასთან – ἔλαβον [მივიღე] და ამგვარად თარგმნის: „სახე-მოვიღე“. „სახისმოგება“, ანუ „რადაცის მტკიცებულება, მინიშნება“.

3. ეფრემი: „ვითარმედ თანამდებ-ვართ ჩუენდა შემთხუელთა შემაწუხებელთა“ (თ. 14) SC.: τῶν συμβαιόντων ἡμῖν λυπηρῶν ἔσμεν ὑπεύθυνοι [როცა მწუხარებანი შეგვემთხვევა ჩვენ, ვიმსახურებთ მათ].

ზედსართავი სახელის – ὑπεύθυνοι მნიშვნელობაა – „პასუხისმგებელი“. წინადადებაში ეს სახელი დაკავშირებულია ზმნასთან – εἶμι, ანუ შედგენილი შემასმენელი – ἔσμεν ὑπεύθυνοι ახალ ქართულად ამგვარად ითარგმნება: „ვიქნებით პასუხისმგებლები“, ეფრემთან გვაქვს: „თანამდებ-ვართ“.

4. ეფრემი: „ხოლო ბერმან თქუმულთა მათ მისთა ზედა ფრიად პირშუენიერებით ჰრქუა:“ (თ. 14) SC.: ‘Ὁ δὲ γέρον ἐφ’ οἷς εἰρήκει λίαν εὐπριοσπαήσας ἔφη· [ბერმა კი ამ სიტყვებზე, რომლებიც ძმამ წარმოთქვა, კეთილსახოვნებით (ნათელი, კეთილი სახით) უპასუხა:].

წინადადებაში მოცემული მიმღეობის – εὐπριοσπαήσας პირიანი ფორმაა εὐπριοσπαέα და ზედმიწევნით ნიშნავს: „კეთილსახოვანი, კეთილი ვარ, ლამაზი ვარ“, შესაბამისად, მიმღეობა εὐπριοσπαήσας შეიძლება ითარგმნოს, როგორც „კეთილსახოვანი“. ეფრემი აღნიშნულ ტერმინს თარგმნის ზმნიზედის ფორმით: „პირშუენიერებით“.

5. ეფრემი: „ესე არს მიზეზი ურვისა ჩემისაჲ, რამეთუ სულიერსა შჯულსა სხუათა სადმე მიუთხრობთ, ხოლო ჩუენ არა დავიცავთ, გარნა უკუეთუ არა შესაბამად შეუდეგ ზრახვასა შემაწუხებელთასა, არამედ ესენი იპყრობენ ღმრთისა შჯულსა და ყოველთაჲვე შემაწუხებელთაჲ არაუსამართლოდ მოწევნაჲ მათ ზედა ჰრწამს წერილისებრ, ვითარცა ბერსა, შენდობაჲ მომმადლეთ მე მცირედმცნობელობისათჳს, მხოლოდ, რადთა გურწმენეს, ვითარმედ თანამდებ-ვართ ჩუენდა შემთხუელთა შემაწუხებელთა, დაღათუ არა ახლად, არცა მათვე საქმეთე ზედა, არამედ ძუელთა ვალთა მიერ“ (თ. 14) SC.: Αὕτη ἐστὶν ἡ αἰτία τῆς ἐμῆς ἀθυμίας, ὅτι τὸν πνευματικὸν νόμον ἑτέροις μὲν λαλοῦμεν, αὐτοὶ δὲ οὐ τηροῦμεν. Εἰ δὲ οὐ προσφῶς κατηκολούθησα τῷ βουλήματι τῶν σκυθραπῶν, ἀλλ’ αὐτοὶ κρατοῦσι τὸν τοῦ Θεοῦ νόμον καὶ πάντα τὰ θλιβερά οὐκ ἀδικῶς αὐτοῖς ἐπέρχεσθαι πεπιστεύκασιν κατὰ τὴν Γραφήν, ὡς γέροντί μοι συγγνώμην τῆς μικρονοίας ἀπόδοτε, μόνον ἵνα πιστεύσωμεν ὅτι τῶν συμβαιόντων ἡμῖν λυπηρῶν ἔσμεν

ὑπεύθυνοι, κἄν μὴ προσφάτω, κἄν μὴ διὰ τῶν αὐτῶν πραγμάτων, ἀλλ' ἐκ παλαιοῦ χρεαστήματος. [ეს არის მიზეზი ჩემი ურვისა, რომ სულიერ რჯულზე სხვებს მოვუთხრობთ, თავად კი არ ვიცავთ. ხოლო თუ შესაფერისად არ მივყევი მწუხარეთა (შეწუხებულ ძმათა) ნებას, რადგან ისინი საღვთო რჯულს ფლობენ და სწამთ წერილის შესაბამისად, რომ ყოველი მწუხარებანი (განსაცდელი) უსამართლოდ არ მოეწევა მათზე, მაშინ როგორც ბერს, მე შენდობა მომეცით მცირედმცოდნეობის გამო; მხოლოდ გვწამდეს, რომ მწუხარებანი როცა შეგვემთხვევა, ჩვენ ვიმსახურებთ მათ, შეიძლება არა ახლა და არა თავად ამ საქმეებისთვის, არამედ ძველი საზღაურის გამო].

პირველ რიგში, მივმართავთ ტექსტოლოგიურ საკითხს. ხელნაწერში ყურადღებას იქცევს შემდეგი წინადადება: ἀλλ' αὐτοὶ κρατοῦσι τὸν τοῦ Θεοῦ νόμον καὶ πάντα τὰ θλιβερὰ οὐκ ἀδικῶς αὐτοῖς ἐπέρχεσθαι πεπιστεύκασιν κατὰ τὴν Γραφήν, რომლის თარგმანია: „არამედ ესენი იპყრობენ ღმრთისა შჯულსა და ყოველთაჲვე შემაწუხებელთაჲ არაუსამართლოდ მოწევნაჲ მათ ზედა **ჰრწამს** წერილისებრ“, სადაც πεπιστεύκασιν „ჰრწამს“ – მხოლოდით რიცხვში დგას, რაც გადამწერის მექანიკურ შეცდომად მიგვაჩნია, ვინაიდან წინადადების ქვემდებარე მრავლობით რიცხვში დგას და, შესაბამისად, მასთან შეთანხმებული შემასმენელიც მრავლობით რიცხვში უნდა იდგეს, ისევე როგორც თარგმანის პირველ წინადადებაში: ἀλλ' αὐτοὶ κρατοῦσι ... καὶ ... πεπιστεύκασιν – „არამედ ესენი იპყრობენ ... და ... **ჰრწამთ**“.

შედგენილ ტერმინს μικρόνοια (μικρο + νοια), რომელიც სიტყვასიტყვით ითარგმნება, როგორც – „მცირედმცოდნეობა“, ეფრემი მისთვის დამახასიათებელი მეთოდით, კალკირებულად თარგმნის – „მცირედმცნობელობა“.

მარკოზ მონაზონი ამ მონაკვეთში გადმოგვცემს სწავლებას „სულიერი რჯულის“ შესახებ და ამგვარად განმარტავს მას: „ესე არს მიზეზი ურვისა ჩემისაჲ, რამეთუ **სულიერსა შჯულსა** სხუათა სადმე მიუთხრობთ, ხოლო ჩუენ არა დავიცავთ, ... ვითარმედ თანამდებ-ვართ ჩუენდა შემთხუელთა შემაწუხებელთა, დაღათუ არა ახლად არცა მათვე საქმეთე ზედა, არამედ ძუელთა ვალთა მიერ“ (თ. 14)¹⁵¹.

¹⁵¹ SC.: Αὕτη ἐστὶν ἡ αἰτία τῆς ἐμῆς ἀθυμίας, ὅτι τὸν πνευματικὸν νόμον ἐτέροις μὲν λαλοῦμεν, αὐτοὶ δὲ οὐ τηροῦμεν, ... μόνον ἴνα πιστεῦσωμεν ὅτι τῶν συμβαινόντων ἡμῖν ληθηρῶν ἐσμεν ὑπεύθυνοι, κἄν μὴ προσφάτω, κἄν μὴ διὰ τῶν αὐτῶν πραγμάτων, ἀλλ' ἐκ παλαιοῦ χρεαστήματος. [ეს არის მიზეზი ჩემი ურვისა, რომ სულიერ რჯულზე სხვებს მოვუთხრობთ, თავად კი არ ვიცავთ, ... მხოლოდ გვწამდეს, რომ მწუხარებანი როცა შეგვემთხვევა, ჩვენ ვიმსახურებთ მათ, შეიძლება ახლა არა და არა თავად ამ საქმეების გამო, მაშინ ძველი საზღაურის (χρεαστήματος) გამო].

როგორც ვხედავთ, მარკოზის განმარტებით, „სულიერი რჯულის“ აღსრულების საწინდარი არის ის, როცა ადამიანი აცნობიერებს, რომ მასზე მოწვევნილ ყოველგვარ მწუხარებას და განსაცდელს ის სამართლიანად იმსახურებს, რაც ადამიანს ყოვლად სამართლიანად – განგებულებითად მოევლინება ღვთისგან.

„სულიერი რჯულის“ მსგავს განმარტებათა შემცველი ანალოგიური სწავლებებით არის განმსჭვალული წმინდა მარკოზის ნაშრომი „წინაგანწყობაჲ სქოლასტიკოსისაჲ“. როგორც უკვე აღვნიშნეთ, მარკოზის ამ ნაშრომის ხელნაწერში ეფრემისეულ თარგმანს პირველი 7 თავი აკლია. შესაბამისად, მსჯელობის დროს, ამ თავებიდან დამოწმებულ სწავლებებს ეფრემისეულ თარგმანს ვერ დავურთავთ, მაგრამ წარმოვადგენთ ბერძნულ ტექსტს ჩვენ მიერ შესრულებულ ახალ ქართულ თარგმანთან ერთად.

SC.: Διὸ χρὴ, ὃ σοφάτατε, μετα/ του/ς ἕξωθεν λόγους τε καὶ νόμους, λοιπὸν καὶ τὸν πνευματικὸν διδαχθῆναι νόμον, καὶ τοὺς ὑπὲρ εὐσεβείας ἀναδέξασθαι πόνους, καὶ ὡς ἴδια ὑπομένειν τὰ ἐπερχόμενα θλιβερά , ὃν χάρις οὐ δύναται τις ἀληθῶς γενέσθαι σοφός. [ამიტომ ჯერ არს, ჰოდ უბრძენესო, რომ გარეგანი (არა სულიერი) სიტყვებისა და კანონების შემდეგ, გარდა ამ კანონებისა, **სულიერი რჯულიც** შეისწავლო და კეთილკრძალულებით იტვირთო გასაჭირი, და ყოველივე შენზე მოწვევნილი მწუხარება აიტანო, როგორც საკუთარი, რომელთა გარეშე შეუძლებელია, ვინმე ჭეშმარიტად გახდეს ბრძენი] (თ. 3).

აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ განხილული ნაშრომის გარდა, მარკოზ მონაზონი თავის სხვა ნაშრომებშიც საკმაოდ ვრცლად განმარტავს მოძღვრებას „სულიერი რჯულის“ შესახებ. კერძოდ, დავიმოწმებთ მის ცნობილ ნაშრომს – „სულიერი რჯულის შესახებ“: „იცის მტერმა **სულიერი რჯულის სამართალი** და ეძიებს მარტოოდენ გონებისეულ თანხმობას, რადგან იგი, სწორედ ამ სახით, ან სინანულის შრომათა მოვალედ გახდის მისდამი დაქვემდებარებულს, ან კიდევ, თუ არ შეინანებს, იძულებით მოსაწევართა მიერ დაამწუხრებს მას, ზოგჯერ კი ამ მოსაწევართა წინააღმდეგ ბრძოლისთვისაც განამზადებს, რომ ამ მხრივაც

მწუხარებანი განუმრავლოს და მიცვალების ჟამს ურწმუნოდ გამოაჩინოს იგი დაუთმენლობის გამო¹⁵² (ჭელიძე 2013ა: 164)¹⁵³.

მარკოზ მონაზონის სწავლების მიხედვით, უფლის მიერ ბოძებული „სულიერი რჯული“ განუყრელ კავშირშია ღვთის ყოვლადსამართლიანობასთან, ამასთან, ერთი მეორისგან განუყოფლად ხორციელდება და აღესრულება კაცობრიობაზე.

როგორც აღვნიშნეთ, მარკოზის ნაშრომების უმეტეს ნაწილში საუბარია „სულიერი რჯულის“ შესახებ. აქვე დავიმოწმებთ მის ერთ-ერთ ცნობილ ნაშრომს – „გონების თანაგანზრახულობა საკუთარ სულთან“¹⁵⁴: [„რადგან სიკვდილი ღმერთს არ შეუქმნია და არც ცოცხალთა დაღუპვით ხარობს“ (სიბრძ. 1.13), ის არც მრისხანების ვნებით აღიძვრის, არც შურისძიებას განიზრხავს, და თითოეულის ღირსების შესაბამისად კი არ იცვლება, „არამედ ყოველივე სიბრძნით განახორციელა“ (ფსალმ. 103.24), როცა სულიერი რჯულის ქვეშ წინასწარ განსაზღვრა განჩინება. სწორედ ამის გამო არ ეუბნება ადამს: „რომელ დღესაც შეჭამთ, მე მოგკლავთ თქვენ“, არამედ, იცავს რა მათ, წინასწარ განუცხადებს სამართლიანობის რჯულს და ამბობს: „რომელ დღესაც შეჭამთ, სიკვდილით მოკვდებით“ (დაბ. 2.17). და საყოველთაოდ (საერთოდ) განაწესა, რომ თითოეულ საქმეს, კარგსაც და ცუდსაც, ბუნებითად მოსდევდეს შესაბამისობა, და არა მიკერძოებულად¹⁵⁵, როგორც ზოგიერთებს მიაჩნიათ, რომლებმაც არ იციან სულიერი რჯული]¹⁵⁶.

მარკოზ მონაზონი განმარტავს, რომ სიკვდილი, რომელიც ადამმა და ევამ განიცადეს, მათივე არჩევანით მოეწია მათზე, და შესაბამისად, მთელს კაცობრიობაზე. აღნიშნული მოვლენა განაპირობა სულიერი რჯულის დარღვევამ, რასაც ბუნებრივად მოჰყვა სულიერ რჯულში ჩადებული ყოვლადსამართლიანი განჩინების ამოქმედება,

¹⁵² Ἐπίσταται ὁ ἐχθρὸς τὸν πνευματικὸν νόμου τὸ δίκαιον, καὶ ζητεῖ μόνον τὴν νοερὰν συγκατάθεσιν. Οὕτω γὰρ ἂν, ἢ τοῖς τῆς μετάνοιας πόνοις ὑπεύθυνον ποιήσει τὸν ὑποχείριον, ἢ μὴ μετανοοῦντα, ἀκουσίως ἐπιφοραῖς ὀδυσήσει αὐτόν. Ἔστι δ' ὅτε καὶ πρὸς τὰς ἐπιφορὰς ἀντιμάχεσθαι παρασκευάζεται, ὅπως καὶ ὧδε τὰς ὀδύνας πολυπλασιάσῃ, καὶ ἐν ἐξῶδῳ διὰ τὴν ἀσυπομονησίαν ἀποδείξῃ ἄπιστον (Φιλοκαλία 2010: 368).

¹⁵³ ამ შემთხვევაში, ვიმოწმებთ უკვე არსებულ, ახალ ქართულ თარგმანს, რომელოც ედიშერ ჭელიძის მიერ არის შესრულებული.

¹⁵⁴ σμψιοιλια νοος πορος την εαυτου ψυχην

¹⁵⁵ კონტექტუდან გამომდინარე, ზმნიზედას – ἐπινοητικῶς ამგვარად ვთარგმნით: „მიკერძოებულად“.

¹⁵⁶ Θεὸς γὰρ θάνατον οὐκ ἐποίησεν, οὐδὲ τέρεται ἐπ' ἀπωλεία ζώντων, οὕτε κινεῖται πάθει ὀργῆς, οὕτε ἐπινοεῖ πρᾶγμα εἰς ἄμνησιν, οὕτε ἀλλοιοῦται πρὸς τὴν ἐκάστου ἀξίαν· ἀλλὰ πάντα ἐν σοφίᾳ ἐποίησεν ὑπὸ νόμου πνευματικοῦ κρίνεσθαι προορισίας. Διὰ τοῦτο οὐ λέγει τῷ Ἀδάμ· Ἡ δ' ἂν ἡμέρα φάγητε, ἐγὼ θανατώσω ὑμᾶς, ἀλλ' ἀσφαλιζόμενος τὸν τῆς δικαιοσύνης προλέγει νόμον καὶ φησὶν· «Ἡ δ' ἂν ἡμέρα φάγητε, θανάτω ἀποθανεῖσθε». Καὶ ὅλωσ δὲ ἐκάστω πρᾶγματι, καλῶ τε καὶ κακῶ, φυσικῶς ἐπακολουθεῖν τὸ δέον ἀπένευμε, καὶ οὐκ ἐπινοητικῶς, ὡς τινες νομίζουσιν, οἱ τὸν πνευματικὸν ἀγνοοῦντες νόμον (Durand 1999: 394).

რომელიც უფალმა სამოთხეში წინასწარ განუწესა (მიანიჭა) პირველმშობლებს – მათ დასაცავად და არა – დასასჯელად. მარკოზის რწმუნებით, სულიერ რჯულს ახასიათებს ორი ძირითადი მახასიათებელი: ბუნებითი კანონზომიერება, ანუ ღვთისგან მოცემული რჯულის დარღვევის შემთხვევაში, მასში ჩადებული განჩინების ბუნებრივი, გარდაუვალი აღსრულება, და სამართლიანობა, ანუ მისი განჩინების ყოვლადსამართლიანი მოქმედება.

აქვე, მოკლედ უნდა შევეხოთ კიდევ ერთ მნიშვნელოვან საკითხს, რომელიც ასევე პირდაპირ კავშირშია მარკოზ მონაზონის სწავლებასთან „სულიერი რჯულის“ შესახებ.

როგორც ცნობილია, XIII საუკუნით დათარიღებულ A-60 ხელნაწერში არსებული თარგმანი „სამოთხისათვის და შჯულისა სულიერისა“ ე. ჭელიძის მიერ არის იდენტიფიცირებული. ეს არის თარგმანი მარკოზ მონაზონის ნაშრომისა – Περι τον παρ᾽αδείσθω, καιν νόμω πνευματικῶν [სამოთხისა და სულიერი რჯულის შესახებ]. ე. ჭელიძის მიერვე გამოკვლეულია და დასაბუთებულია, რომ ამ ნაშრომების მთარგმნელი არის XI საუკუნეში მოღვაწე წმ. ეფრემ მცირე (ჭელიძე 2013ა: 665; ჭელიძე 2013ბ: 74). ამ დრომდე მიიჩნეოდა, რომ ეფრემ მცირე იყო ის უადრესი მოღვაწე, რომელიც მარკოზ მონაზონს აღნიშნული ნაშრომის ავტორად ასახელებდა.

ჩვენმა გამოკვლევამ ცხადყო ის ფაქტი, რომ უადრესი წყარო, სადაც მარკოზ მონაზონი დასახელებულია ავტორად ნაშრომისა – „სამოთხისა და სულიერი რჯულის შესახებ“, – არის X საუკუნით დათარიღებული H-622 ხელნაწერი.

აღნიშნული ფაქტების მიუხედავად, არსებობს ცალკეულ მეცნიერთა მოსაზრება იმის შესახებ, რომ ნაშრომის – „სამოთხისა და სულიერი რჯულის შესახებ“ – ავტორი მარკოზ მონაზონი არ არის (Durand 1999: 42–43). ამ მოსაზრების უარსაყოფად, არსებული არგუმენტების გარდა, რომლებიც ჩვენი სადოქტორო ნაშრომის წინა თავებში განვიხილეთ¹⁵⁷, მსჯელობის სახით წარმოვადგენთ კიდევ ერთ არგუმენტს. პირველ რიგში, დავიმოწმებთ ეფრემის თარგმანს, შემდეგ თავად ბერძნულ ტექსტს და ანალიზისთვის წარმოვადგენთ ახალ ქართულ თარგმანსაც:

¹⁵⁷ იხ. თავი I, „მარკოზ მონაზონის ნაშრომები და ბიოგრაფიული ცნობები“; თავი II, „წმინდა მარკოზ მონაზონი ძველ-ქართულ საეკლესიო მწერლობაში“.

ეფრემი: „ვინადაც აღმასრულებელ შჯულისა მიტევებად არს. პირველი ვთქუთ შჯული, არათუ ვითარმცა ღმერთსა ორნი შჯულნი დაესხნეს კაცთადა, არამედ ერთი, **ბუნებითად**, ვიდრემე **სულიერი**, ხოლო შურისგებითად **სამართალისა** ბჭობისა მომრთუმელი“ (A-60: 11r) (თ. 4). Πλήρωμα οὖν νόμου ἢ ἄφεσις τυγχάνει. Πρῶτον δὲ νόμον εἰρήκαμεν, οὐχ ὅτι ὁ Θεὸς δὴν νόμους παρέθηκε τοῖς ἀνθρώποις, ἀλλ' ἕνα· πνευματικὸν μὲν κατὰ φύσιν, κατὰ δὲ τὴν ἐκδίκησιν δικαίαν ἐπιφέρων ἐκάστω τὴν ψῆφον (Migne 1860(a): 750). [მართლაც, რჯულის აღსრულება არის მიტევება. ხოლო „პირველი რჯული“ ვთქვით, არა იმიტომ, რომ ღმერთმა ორი რჯული უბოძა ადამიანებს, არამედ – ერთი. [ღმერთი] ბუნებითად (ბუნების შესაბამისად) აძლევს სულიერ რჯულს, ხოლო სამართლიანი სასამართლოს მიხედვით, თითოეულს აძლევს განჩინებას (გადაწყვეტილებას)].

ნათელია, რომ მოცემულ ნაშრომში წარმოდგენილი სწავლება „სულიერი რჯულის“ შესახებ იდენტურია მარკოზ მონაზონის ზემოთ ჩამოთვლილ ნაშრომებში არსებული სწავლებებისა. მოცემული განმარტებები ანალოგიურია როგორც შინაარსობრივად, ისე ტერმინოლოგიური თვალსაზრისითაც.

თანამედროვე მეცნიერთა აზრი ერთმანეთს ემთხვევა იმ საკითხში, რომ მარკოზ მონაზონი გამორჩეული მოღვაწეა, და მის ნაშრომებში ყველაზე ვრცლად და ამომწურავადაა გადმოცემული სწავლებანი „სულიერი რჯულის“ შესახებ (Ашмарин 2013: 125), ამასთან, ყველა მისი ნაშრომი აღნიშნულ სწავლებებს ეფუძნება.

ყველაზე ადრინდელი წყარო, სადაც მარკოზ მონაზონი დასახელებულია ნაშრომის – „სამოთხისა და სულიერი რჯულის შესახებ“ ავტორად, არის X საუკუნის H-622 ხელნაწერი, ხოლო მომდევნო უძველესი და უმნიშვნელოვანესი ცნობა, სადაც მარკოზი დასახელებულია ნაშრომის ავტორად, გახლავთ XIII საუკუნით დათარიღებული A-60 ხელნაწერი. ნაშრომის მთარგმნელია – XI საუკუნეში მოღვაწე წმინდა ეფრემ მცირე.

ჩვენ არამართებულად მიგვაჩნია ეფრემ მცირის მიერ მოწოდებული ცნობის უარყოფა და იმ უძველესი ბერძნული ხელნაწერების უგულებელყოფა, რომელთაც ეყრდნობა ეფრემ მცირე. უნდა გავითვალისწინოთ, რომ განხილული ნაშრომი სრული სახით სწორედ ამ ხელნაწერებსა და შესაბამის ძველ ქართულ და სლავურ

თარგმანებშია მოცემული¹⁵⁸. ხოლო, „როგორც საყოველთაოდაა ცნობილი, მონაცემთა სხვაობის შემთხვევაში, ურყევი ტექსტოლოგიური თეზისის შესაბამისად, უპირატესობა ენიჭება სწორედ ქრონოლოგიურად უადრეს მონაცემს“ (ჭელიძე 2020ა: 617). ამ შემთხვევაში კი, უადრეს წყაროდ, სწორედ H-622 ხელნაწერი და, შემდგომ, ეფრემ მცირისეული მონაცემი გვევლინება.

გარდა ამისა, დამატებით მტკიცებულებად მიგვაჩნია ის, რომ ნაშრომი – „სამოთხისა და სულიერი რჯულის შესახებ“, შინარსობრივი და ენობრივი თვალსაზრისით, ანალოგიურია მარკოზის სხვა, ზემოთ განხილული ნაშრომებისა. ამ ნაშრომშიც, ისევე, როგორც მის სხვა ნაშრომებში, სწავლება „სულიერი რჯულის“ შესახებ წარმოდგენილია და განმარტებულია ორი ძირითადი ტერმინითა და მახასიათებლით – „ბუნებითობით“ და „სამართლიანობით“. შედარებისთვის წარმოვადგენთ მონაკვეთებს აღნიშნული ნაშრომებიდან:

„სამოთხისა და სულიერი რჯულის შესახებ“ (Migne 1860(a): 750):

πνευματικὸν μὲν κατὰ φύσιν, κατὰ δὲ τὴν ἐκδίκησιν δίκαιον ἐπιφέρων ἐκάστω τὴν ψῆφον. [(დმერთი) **ბუნებითად** (ბუნების შესაბამისად) აძლევს სულიერ რჯულს, ხოლო **სამართლიანი სასამართლოს** მიხედვით, თითოეულს აძლევს განჩინებას (გადაწყვეტილებას)].

ეფრემი: „ ერთი, **ბუნებითად**, ვიდრემე **სულიერი**, ხოლო შურისგებითად **სამართალისა ბჭობისა** მომრთუმელი“ (A-60: 11) (თ. 4).

„სულიერი რჯულის შესახებ“ (Φιλοκαλία 2010: 368):

Ἐπίσταται ὁ ἐχθρὸς τὸν πνευματικὸν νόμου τὸ δίκαιον, καὶ ζητεῖ μόνον τὴν νοερὰν συγκατάθεσιν. Οὕτω γὰρ ἄν, ἢ τοῖς τῆς μετάνοιας πόνοις ὑπέσθυσον ποιήσει τὸν ὑποχείριον, ἢ μὴ μετανοῶντα, ἀκουσίως ἐπιφοραῖς ὀδυσήσει αὐτόν. „იცის მტერმა **სულიერი რჯულის სამართალი** და ეძიებს მარტოოდენ გონებისეულ თანხმობას, რადგან სწორედ ამ სახით იგი ან სინანულის შრომათა მოვალედ გახდის მისდამი დაქვემდებარებულს, ან კიდევ, თუ არ შეინანებს, იძულებით მოსაწევართა მიერ დაამწყობებს მას“ (ჭელიძე 2013ა: 164).

„გონების თანაგანზრახულობა საკუთარ სულთან“ (Durand 1999: 394):

¹⁵⁸ იხ.: თავი II, „წმინდა მარკოზ მონაზონი ძველ-ქართულ საეკლესიო მწერლობაში“.

ὑπὸ νόμου πνευματικοῦ κρίνεσθαι προορίσας. Διὰ τοῦτο οὐ λέγει τῷ Ἀδάμ· Ἦ δ' ἄν ἡμέρᾳ φάγητε, ἐγὼ θανατώσω ὑμᾶς, ἀλλ' ἀσφαλιζόμενος τὸν τῆς δικαιοσύνης προλέγει νόμον καὶ φησὶν· «Ἦ δ' ἄν ἡμέρᾳ φάγητε, θανάτῳ ἀποθανεῖσθε». Καὶ ὅπως δὲ ἐκάστῳ πράγματι, καλῶ τε καὶ κακῶ, φυσικῶς ἐπακολουθεῖν τὸ δέον ἀπένειμε, καὶ οὐκ ἐπινοητικῶς, [რადგან სულიერი რჯულის ქვეშ წინასწარ განსაზღვრა განხილება, სწორედ ამის გამო არ ეუბნება ადამს: „რომელ დღესაც შეჭამთ, მე მოგკლავთ თქვენ“, არამედ იცავს რა მათ, წინასწარ განუცხადებს **სამართლიანობის რჯულს** და ამბობს: „რომელ დღესაც შეჭამთ, სიკვდილით მოკვდებით“ (დაბ. 2.17). და საყოველთაოდ (საერთოდ) განაწესა, რომ თითოეულ საქმეს, კარგსაც და ცუდსაც, **ბუნებითად** მოსდევდეს შესაბამისობა, და არამიკერძობულად].

აქვე დავიმოწმებთ მარკოზ მონაზონის ცნობილ ნაშრომს: Περὶ τοῦ ἁγίου βαπτίσματος – „წმინდა ნათლისღების შესახებ“. ნაშრომში გადმოცემული სულიერი მოძღვრების შინაარსი ანალოგიურია იმ სწავლებისა, რომელიც მოცემულია ნაშრომში – „სამოთხისა და სულიერი რჯულის შესახებ“.

„წმინდა ნათლისღების შესახებ“ (Durand 1999: 320-322):

Πόλις δὲ ἐστὶν ἡ φαιδρὰ καὶ ἔννομος ἐν Χριστῷ διάκρισις, ἣτις ὅταν μὲν εὐσεβῶς διοικῆ τὰ πράγματα, εἰρηνεύει τε καὶ εὐθύνει, ὅταν δὲ διαμαρτάνῃ, τοῖς ἐχθροῖς παραδίδοται εἰς κατάλυσιν αὐτῆς. Ναὸς δὲ τὸ τῆς ψυχῆς καὶ σώματος θεόκτιστον τέμενος, θυσιαστήριον δὲ τὸ ἐν τῷ ναῷ τούτῳ τῆς ἐλπίδος ἴδρυσμα, ἐν ᾧ πάσης συμβάσεως πρωτογενῆς λογισμὸς ὡσεὶ πρωτότοκον ζῶον ὑπὸ τοῦ νοῦ ἀναφερόμενος θύεται εἰς ἰλασμόν τοῦ ἀναφέροντος, εἶγε καὶ ἄμωμον αὐτῷ ἀνερέγκη. Ἔχει δὲ καὶ ὁ ναὸς οὗτος **τὸ ἐσώτερον τοῦ καταπετάσματος, ὅπου πρόδρομος ὑπὲρ ἡμῶν εἰσηλθεν Ἰησοῦς** καὶ οἰκεῖ ἐν ἡμῖν κατὰ τὸν Ἀπόστολον λέγοντα· «Ἦ οὐκ ἐπιγινώσκετε ὅτι Χριστὸς οἰκεῖ ἐν ὑμῖν, εἰ μὴτι ἄρα ἀδόκιμοί ἐστε;¹⁵⁹» ὅπερ ἐστὶ τὸ ἐνδότατον καὶ ἀπόκρυφον καὶ εἰλικρινὲς χῶρημα τῆς καρδίας, δ εἰ μὴ διὰ Θεοῦ καθολικῆς καὶ νοερᾶς ἐλπίδος ἀνοιγῆ, οὐκ ἔστι βεβαίως ἐπιγινῶναι τὸν ἐνοικοῦντα, οὔτε εἰδέναι εἰ προσεδέχθησαν ἡμῶν αἱ λογικαὶ θυσίαι ἢ οὐ. [„ქალაქი“ არის წმინდა და რჯულიერი,

¹⁵⁹ მოცემულ კონტექსტში პირველი წინადადება კითხვითი ფორმითაა მოცემული, ხოლო მომდევნო თხრობითი ფორმით, რადგან ასეა წმინდა წერილის ტექსტში (Aland... 2005: 637) და ეფრემის თარგმანშიც, ასევე მინის პუბლიკაციაშიც (იხ. Migne 1884: 996), ხოლო დიურანის გამოცემაში მეორე წინადადებაც კითხვითი ფორმისაა (Durand 1999: 320-322). ჩვენ მეორე წინადადებას თხრობითი შინაარსით ვთარგმნით..

ქრისტესმიერი განსჯა (განრჩევა), რომელიც, როცა კეთილკრძალებულად წარმართავს საქმეებს, მყუდროებაშია და მართებულად მოქმედებს, ხოლო როცა [განსჯა] გადაიხრება შეცოდებისკენ, [ის] გასაძარცვად გადაეცემა მის მტრებს. ხოლო „ტადარი“ არის სულისა და სხეულის ღვთივექმნილი სიწმინდე; „საკურთხეველი“ (სამსხვერპლო) კი არის თავად ტადარში სასოების დაფუძნება, სადაც ყოველი პირველშობილი, თანმხვედრი გულისზრახვა, როგორც პირმშო ცხოველი, რომელიც გონებისგან ზე აღიწევა, მსხვერპლად შეიწირება მსხვერპლშემწირველის შეწყალებისთვის (სალხინებელად), თუკი უბიწოდ აღავლენს მას. ხოლო ამ ტადარს აქვს „კრესტაბმელის, უფრო შინაგანი სიღრმე, სადაც ჩვენზე პირველი იესო შევიდა“ (ებრ. 6,19-20) და მყოფობს ჩვენში, როგორც ამბობს მოციქული: „განა არ იცით, რომ ქრისტე მყოფობს თქვენში? თუ არა და არასრულყოფილნი ხართ“ (2 კორ. 13,5). სწორედ ეს არის უშინაგანესი, საიდუმლო და წმინდა ადგილი].

ეგრემი: „ხოლო „ქალაქ ბრწყინვალე და შჯულიერ“ არს ქრისტესმიერი განრჩევად, რომელი-იგი რაჟამს ღმრთისმსახურებით განაგებდეს საქმეთა, მშვედნების და იეფობს, ხოლო რაჟამს ამისგან კუჭბულ იქმნეს, მტერთა მიეცემის სადგურად მათდა. ხოლო „ტადარ“ სულისადა ესე და კორცთადა ღმრთივექმნიებული სართული, ხოლო „საკურთხეველ“ ამას ტადარსა შინა დამყარებადა სასოებისადა, რომელსა ზედა ყოვლისა შემთხუფვადისა პირმშოდ ნაშობი გულისსიტყუადა, ვითარცა პირმშოდ ცხოველი ტადრად მიყვანებული, დაიკლვის სალხინებელად მიმყვანებელისა, უკუჭთუ ოდენ უბიწოდ შეწიროს იგი. „ხოლო აქუს ტადარსა ამასცა უშინაგანესი კრესტაბმელისადა, სადა-იგი წინამორბედადა ჩუენთვს შევიდა ქრისტე და მკვდრობს ჩუენ შორის“ (მდრ. ებრ. 6:19-20), მოციქულისაებრ მეტყუელისა: ანუ არა უწყითა, ვითარმედ „ქრისტე იესუ მკვდრ არს თქუენ შორის, გარნა თუ სადმე გამოუცდელ ხართ (მდრ. ებრ.6,19-20), რომელი-იგი არს უშინაგანესი და საიდუმლოდა და უწმიდესი ადგილი გულისადა“ (ასკურავა 2014: 233).

„სამოთხისა და სულიერი რჯულის შესახებ“ (Migne 1860(a): 753):

Ἐπὸ δὲ τοῦ πνευματικοῦ νόμου οὕτω φρονεῖν ἐδιδάσκοντο. Ὑπομενόντων γὰρ αὐτῶν καὶ τὴν νοερὰν πράοτητα τηρούντων ὁ Κύριος, βλέπων τὴν ὑπομονὴν τῆς καρδίας πολεμουμένης καὶ τῆς ἀγάπης μὴ ἐξισταμένης, διέβηκε τὸ μεσότοιχον τοῦ φραγμοῦ, καὶ τελείως τὴν ἔχθραν ἀπεβύλλοντο καὶ οὐκέτι μετὰ βίας, ἀλλὰ μετὰ βοηθείας εἶχον τὴν ἀγάπην·

ὁ γὰρ Κύριος λοιπὸν κατήργει «τὴν στρεφομένην ῥομφαίαν» τὴν κινουῦσαν τοὺς λογισμοὺς, καὶ εἰσήρχοντο «εἰς τὸ ἐσώτερον τοῦ καταπετάσματος, ὅπου πρόδρομος ὑπὲρ ἡμῶν εἰσῆλθεν ὁ Κύριος». Καὶ ἐνετρύφων τοῖς καρποῖς τοῦ Πνεύματος καὶ τὰ μέλλοντα ἐν βεβαιότητι καρδίας θεασάμενοι, καὶ κατὰ τὸν ἀπόστολον οὐκέτι «ἐν ἐσώπτῳ καὶ ἐν αἰνίγματι» ἔλεγον, ἂ ὀφθαλμὸς οὐκ εἶδε καὶ οὐκ ἤκουσε καὶ ἐπὶ καρδίαν ἀνθρώπου οὐκ ἀνέβη, ὅσα ἠτοίμασεν ὁ Θεὸς τοῖς ἀγαπῶσιν αὐτόν. [ამგვარად, სულიერი რჯულის მიერ სწავლობდნენ განსჯას. მართლაც, როცა ისინი დაითმენდნენ და გონებისეულ სიმშვიდეს ინარჩუნებდნენ, მეუფემ მხილველმა ნაომარი გულისა და შეუძრავი სიყვარულის სიმტკიცისა, გაარღვია ზღუდის შუაკედელი და [ადამიანებმა] სრულიად განიშორეს მტრობა და უკვე სიყვარული ჰქონდათ არა ძალდატანებით, არამედ [ღვთის] შეწევნით. ამგვარად, უფალი საბოლოოდ აუქმებს „მოტრიალე მახვილს“ (დაბ. 3,24), რომელიც არის ზრახვათა მამოძრავებელი და [უკვე] ისინი მიემართებოდნენ **„კრესტაბმელის უფრო შინაგან სიღრმეში, სადაც ჩვენზე პირველი უფალი შევიდა“**(ებრ.6,19-20) და ტკბებოდნენ სულიწმინდის ნაყოფებით, და მომავალს (სამომავლო რაღაცებს) გულის სიმტკიცით ჰგრეტენ რა, მოციქულის [სწავლების] შესაბამისად – „უკვე არა სარკით და იგავით“(1 კორ. 13,12) და იტყოდნენ: „ის, რაც თვალს არ უხილავს, ყურს არ გაუგონია და ადამიანის გულთან არ მიუღწევია, ისინი გაუმზადა ღმერთმა მის მოყვარულებს“ (შდრ. 1 კორ. 2,9)].

ეფრემი: ესრეთ უკვე განისწავლებოდეს სულიერისა მის შჯულისაგან ზრახვად, რომელ დაითმენდეს რად იგინი დაჰმარხვიდეს საცნაურსა სიმშვიდესა. იხილა უფალმან მოთმინებაჲ იგი გულისაჲ მის, რომელი იბრძოლებოდა და სიყვარულისაგან არა განდგებოდა, ამისთვის დაჰქსნა შუაკედელი ზღუდისაჲ და სრულიად განჰადა მტერობაჲ მათი, რადთა არღა რა იძულებითი, არამედ ვითარცა მადლიერებითი აქუნდეს სიყვარული მაჰირვებელთაჲ, რამეთუ განაქარვა უფალმან **იქცევისი იგი მახვილი** (დაბ. 3,24) , მძვრელი გულისსიტყუათა მათთაჲ და **შევიდეს უშინაგანეს კრესტაბმელისა მის, სადა-იგი წინამორბედად ჩუენთვის შევიდა უფალი** (1 კორ. 13,12) და იშუებდის ნაყოფთაგან სულისათა და ხედვიდეს ყოფადთა სიმტკიცითა გულისაჲთა, მოციქულისაებრ, **რომელი რეცა სარკით და იგავით** (1 კორ. 13,12) იტყოდა, **რად-იგი თუალმან არა იხილა და ყურსა არა ესმა და გულსა კაცისასა არა**

აღვიდა, რად-იგი განუზადა ღმერთმან მოყუარეთა თვსთა (1 კორ.2,9)]. (A-60, 11r-12v) (თ. 5).

ნაშრომთა ორივე მონაკვეთში საუბარია ადამიანის სულის უშინაგანეს და აღმატებულ ნაწილზე – გონებაზე, როცა იგი სულიწმინდის მიერ ქრისტესთან თანაზიარებით განიწმინდება და უბიწო ხდება. ადამიანი, რომელიც გონებას საკუთარი ნებით ქრისტეს დაუმორჩილებს და ყოველგვარ უკეთურებას უკუაგდებს, მაღლის მიერ განიწმინდება და ნეტარებაში მყოფობს.

ძალზე მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ორივე ნაშრომში, ანალოგიურ სულიერ სწავლებათა გადმოცემასთან ერთად, ორივეგან განმარტებულია „სულიერი რჯულის“ რაობა და მისი დანიშნულება, რომლითაც, როგორც აღვნიშნეთ, განსაკუთრებით გამოირჩევა მარკოზ მონაზონის ყველა ნაშრომი:

Πόλις δέ ἐστιν ἡ φαίδρα καὶ ἔννομος ἐν Χριστῷ διάκρισις, ἥτις ὅταν μὲν εὐσεβῶς διοικῆται πράγματα, εἰρηνεύει τε καὶ εὐθύνει – [„ქალაქი“ არის წმინდა და რჯულიერი, ქრისტესმიერი განსჯა, რომელიც, როცა კეთილკრძალოულად წარმართავს საქმეებს, მყუდროებაშია და მართებულად მოქმედებს]. *ეფრემი:* „ხოლო „ქალაქ ბრწყინვალე და მჯულიერი“ არს ქრისტესმიერი განრჩევად, რომელი-იგი რაჟამს ღმრთისმსახურებით განაგებდეს საქმეთა, მშჳდნების და იეფობს“ („წმინდა ნათლისღების შესახებ“);

Ἐπὶ δὲ τοῦ πνευματικοῦ νόμου οὕτω φρονεῖν ἐδιδάσκοντο. Ὑπομενότων γὰρ αὐτῶν καὶ τὴν νοεράν πρᾶοτητα τηροῦντων – [ამგვარად, სულიერი რჯულის მიერ სწავლობდნენ განსჯას. მართლაც, როცა ისინი დაითმენდნენ გონებისეულ სიმშვიდეს ინარჩუნებდნენ]. *ეფრემი:* „ესრეთ უკუე განისწავლებოდეს სულიერისა მის მჯულისაგან ზრახვად, რომელ დაითმენდეს რად იგინი დაჰმარხვიდეს საცნაურსა სიმშჳდესა“ („სამოთხისა და სულიერი რჯულის შესახებ“).

რომ შევაჯამოთ ჩვენი მსჯელობა, ნაშრომის – „სამოთხისა და სულიერი რჯულის შესახებ“ ავტორის ვინაობის საკითხთან დაკავშირებით, ამგვარ მოცემულობას მივიღებთ, რომ ზემოთ წარმოდგენილი არგუმენტებიდან გამომდინარე, ნაშრომის – „სამოთხისა და სულიერი რჯულის შესახებ“ ავტორად მარკოზ მონაზონის დასახელება სავსებით მართებულია.

წმ. მარკოზის სწავლება „სულიერი რჯულის“ შესახებ განუყოფელია მეორე საღვთისმეტყველო სწავლებისგან, რომელიც თანამედროვე ღვთისმეტყველებაში ცნობილია „თეოდისის“ სახელწოდებით.

მოცემული ფილოსოფიურ-საღვთისმეტყველო ტერმინის სახელწოდება მომდინარეობს ბერძნული სტყვებისგან – *θεός* [ღმერთი] და *δική* [სამართლიანობა], რომელიც სიტყვასიტყვით ნიშნავს – „უფალი სამართლიანია“. შინაარსობრივად კი, ეს ტერმინი მოიცავს მოძღვრებას „უფლის სამართლიანობის დაცვის შესახებ“. ამ მოძღვრების მიზანდასახულობაა, ადამიანის ცოდვით დაცემულ გონებაში შეაჯეროს და განმარტოს უფლის ყოვლადსახიერების, ყოვლისშემძლეობისა და ყოვლადსამართლიანობის განზრახულობა, ცოდვით დაცემულ სამყაროში ბოროტების გამოვლინებასთან მიმართებით.

თავდაპირველად, კვლავ მარკოზის სწავლებას დავიმოწმებთ ჩვენი საკვლევი ნაშრომიდან – „წინაგანწყობაჲ სქოლასტიკოსისაჲ“. როგორც აღვნიშნეთ, რამდენადაც ნაშრომის ეფრემისეულ თარგმანს აკლია დასაწყისი თავები, მხოლოდ ბერძნულ ტექსტსა და ახალ ქართულ თარგმანს წარმოვადგენთ: SC.: Ὁ μὲν γὰρ ἐκδικῶν ἑαυτὸν ἀκρισίαις Θεοῦ δοκεῖ καταγινώσκειν, ὁ δὲ ὑποφέρων ὡς ἰδίαν τὴν ἐπελθούσαν αὐτῷ θλίψιν τὴν ἰδίαν πρόσληψιν ὁμολογεῖ, δι' ἣν καὶ ὑπομένει πᾶσχα τὰ δεινὰ. [ამიტომ ვინც საკუთარი თავის გამო ცდილობს, შური იძიოს, მას სურს (δοκεῖ) წარმოაჩინოს (აღიაროს) ღმერთის სამართლიანობის ნაკლოვანებები. ხოლო ის, ვინც მასზე მოწევნულ მწუხარებას იტანს, როგორც საკუთარს, ის აღიარებს საკუთარ თანაზიარებას (თანამონაწილეობას) [ცოდვასთან], ამის გამო (ის) ხდება (რჩება) კიდევ მწუხარებათა დამთენი] (თ. 3).

ამჯერად წარმოვადგენთ იმ წმინდა მამათა ნააზრევს, რომელთა ნაწილი მათს მსჯელობაში, გარკვეულწილად, ეფუძნება მარკოზ მონაზონის სწავლებებს „სულიერი რჯულისა“ და, ეგრეთ წოდებული – „თეოდისის“ შესახებ, ზოგიერთი მსჯელობა კი წმინდა მამათა მიერ მარკოზის მოღვაწეობამდეა გამოთქმული და მათ თავად მარკოზი ეყრდნობა.

პირველ რიგში, დავიმოწმებთ წმინდა ბასილი დიდის ნაშრომს, რომელიც, თავის მხრივ, წარმოადგენს 32-ე ფსალმუნის განმარტებას: [წერილი ამბობს: „საუნჯეთა შორის უფსკრულთა მომთავსებელი“ (ფსალმ. 32.7). საზოგადოდ

მიღებული აზრიდან გამომდინარე, უფრო შესაბამისი იქნებოდა ამგვარად თქმა: „უფსკრულთა შორის საუნჯეთა მომთავსებელი“; ე. ი. (ანუ) საკუთარი განძის საიდუმლოდ დამცველი (შემნახველი) (როცა საიდუმლოდ ინახავ განძს). აქ კი ნათქვამია, რომ უფსკრულნი ისე არსებობენ, როგორც არსებობს საღვთო საუნჯის რაღაც დაცული ფასეულობა. მართლაც, განა საღვთო სამართლის შესახებ განზრახულობანი, არიან რა გამოუთქმელნი და მიუწვდომელნი ადამიანური გონებისთვის, უფსკრულებად არ იწოდებიან, რადგან ეს განზრახულობანი მხოლოდ საღვთო გონებით არიან განსაზღვრულნი, და განა მათი მეშვეობით არ იმართება ყოველივე? ხოლო ის, რომ ყოველთათვის ცალ-ცალკე [განკუთვნილი] განჩინებანი უფსკრულად იწოდება, [ამაში] მომდევნო ფსალმუნით განვისწავლებით, რომელშიც ნათქვამია: „შენ გეკუთვნის განჩინებანი და უფსკრული არის დიდი“ (ფსალმ. 35,7). ასე რომ, თუკი ეძიებ იმას, თუ რატომ გრძელდება ცოდვილის სიცოცხლე, ხოლო მართლის მწირობის დღეები მოკლდება, რატომ არის დალხინებული უსამართლო, ხოლო მართალი იტანჯება, რატომ აღმოჩნდება ჩვილი აღსასრულისკენ ნაადრევად წარტაცებული, რატომ იძირება გემები, რატომ არის ომები, მიწისძვრები, გვალვები, წყალდიდობები, რატომ შეიქმნენ ადამიანთა მომაკვდინებელნი, რატომ არის ერთი მონა, ხოლო მეორე – აზნაური, ერთი მდიდრი, მეორე კი – უპოვარი? (ასევე დიდი განსხვავებაა იმათ შორის, რომლებიც შეცდომას (ცოდვას) ჩადიან, და იმათ შორის, რომლებიც მართებულად წარმატებიან; რადგან ზოგი მიყიდულია მეძავთა პატრონს და ძალდატანებით არის ცოდვაში; ხოლო მეორე პირდაპირ კეთილ ბატონთან აღმოჩნდება და ქალწულებაში აღიზრდება); და რატომ იქება ეს უკანასკნელი, ხოლო ის პირველი განისჯება; და ამათგან თითოეულისთვის რა არის მსაჯულის მიერ შესაბამისად მისაგებელი; როცა ამგვარი აზრები (=ეს ყოველივე) გონებას მიეახლება, განსაჯე, რომ არსებობს უფსკრული, ღვთის განჩინებანი კი მიუწვდომელნი არიან და, რაკი საღვთო საუნჯეებით არიან [გარშემორტყმულნი], ამიტომაც არიან ისინი დაფარულნი (შემოზღუდულნი). მორწმუნესთვის კი ღვთისგან ბოძებულია უწყება: „მოგცემ შენ არნახულ და საიდუმლო საუნჯეს“ (შდრ. ესაია 45,3). მართლაც, მას

შემდეგ, რაც ღირსი გავხდებით პირისპირ შემეცნებისა (შდრ. 1 კორ. 13,12), ვიხილავთ საუნჯეებში ღმერთის უფსკრულებს]¹⁶⁰.

ბასილი დიდი უმკაფიოესად განმარტავს, რომ უფლის ყოვლადსამართლიანობის სრულყოფილად გააზრება ადამიანური გონებისთვის მიუწვდომელია, ეს მხოლოდ მაშინ არის ნაწილობრივ შესაძლებელი და ისიც – ადამიანის დატევნისამებრ, როცა ადამიანის გონება განღმრთობილია. ანუ ბასილი დიდის სწავლების მიხედვით, საღვთო განგებულების ნაწილობრივი წვდომა ადამიანის განწმენდილი გონებისთვის, მისი მიმღებლობისა და დამტევნელობის შესაბამისად, მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი, როცა მისი განღმრთობილი გონება მიეახლება უფალს სასუფეველში.

ბასილი დიდის სწავლებას ეფუძნება მარკოზ მონაზონის ნაშრომის მომდევნო მონაკვეთი. წმ. მარკოზის მიერ ნაშრომის ამ ნაწილში კითხვა-მიგების ფორმით წარმოაჩენილია, რა განაპირობებს ჩვენზე მოწვევულ განსაცდელებს და ისიც, რომ ეს განსაცდელები ყოვლადსამართლიანად მოევლინება ჩვენთვის.

მარკოზ მონაზონი („წინაგანწყობაჲ სქოლასტიკოსისაჲ“): ეფრემი: „**კითხვად:** ვინათგან მრავალნი მაჭირვებელნი საქმენი შემემთხუევინ ჩუენ, რომელნიმე კაცთა მოშურნეთაგან, ძვრის-მზრახთაგან, შემასმენელთაგან, ცილისმწამებელთაგან, მლიქნელთაგან, მაცთურთაგან, წინაგანმწყობთაგან, მთხრელთაგან, მპარავთაგან და მაჭირვებელთაგან, დამაბრკოლებელთაგან, შეურაცხის-მყოფელთაგან, მტერობის-მქონებელთაგან, მოძულეთაგან, მბრძოლთაგან, მცემელთაგან, განმცდელთაგან, მდევართაგან, და რაოდენი კაცთაგან კაცთა ზედა მოიწევის, გინათუ თვთ თვსითა

¹⁶⁰ Τιθεις, φησιν, εν θησαυροις αβυσσους. Ακολουθότερον ἦν ὡς πρὸς τὴν κοινὴν ἔννοιαν εἰπεῖν, Τιθεις εν αβυσσοις τους θησαυρους· τουτέστιν, εν μυστηρίῳ συν ἔχων τὸν ἑαυτοῦ πλοῦτον. Νῦν δὲ ὡσπερ τινὰ κειμήλια ἄξια τῶν θείων θησαυρῶν τὰς αβυσσους εἶναι φησι. Μήποτε οὖν οἱ περὶ τῆς θείας κρίσεως λόγοι, ἄρρητοι ὄντες καὶ ἀκατάληπτοι ταῖς ἀνθρωπίναις ἐν νοίαις, ἄβυσσοι λέγονται, ἐν μόνῃ τῇ τοῦ Θεοῦ γνώσει ἀποκειμένων τῶν λόγων, καθ' οὗς ἕκαστα οἰκονομεῖ; Ὅτι γὰρ τὰ περὶ ἕκαστον κρίματα ἄβυσσος προσηγορεύθη, ἐν ἑτέρῳ ψαλμῷ δεδιδάγμεθα λέγοντι· Τὰ κρίματά σου ἄβυσσος πολλή. Ἐὰν οὖν ἐπι ζητῆς, διὰ τί τοῦ μὲν ἁμαρτωλοῦ ἡ ζωὴ παρατείνεται, τοῦ δὲ δικαίου αἱ ἡμέραι τῆς παροικίας συντέμνονται, διὰ τί ὁ μὲν ἄδικος εὐθηνεῖται, ὁ δὲ δίκαιος θλίβεται, διὰ τί τὸ παιδίον πρὶν εἰς τελείωσιν ἔλθειν ἀνηπάσθη, πόθεν πόλεμοι, διὰ τί τὰ ναύαγια, οἱ σεισμοί, οἱ αὐχμοί, αἱ ἐπομβρίαι, διὰ τί τὰ φθαρτικὰ τῶν ἀνθρώπων δεδημιούργηται, διὰ τί ὁ μὲν δοῦλος, ὁ δὲ ἐλεύθερος, ὁ μὲν πλουτεῖ, ὁ δὲ πένεται (πολὺ δὲ καὶ ἐν τοῖς ἁμαρτανομένοις ἢ κατορθουμένοις ἐστὶ τὸ διάφορον· ἡ μὲν γὰρ πορνοβοσκῶν πραθεισα πρὸς ἀνάγκην ἐστὶν ἐν τῇ ἁμαρτίᾳ· ἡ δὲ εὐθὺς ἀγαθῆς δεσποίνης ἐπιτυχουσα συνεξετράφη τῇ παρθενίᾳ), διὰ τί αὕτη μὲν εὐηργετήθη, ἐκεῖνη δὲ κατεδικάσθη· καὶ τίς ἢ ἐφ' ἑκάστου τούτων παρὰ τοῦ κριτοῦ ἀνταπόδοσις· ταῦτα πάντα λαβὼν εἰς ἔννοιαν, ἐνθυμήθητι, ὅτι ἄβυσσός ἐστι τὰ κρίματα τοῦ Θεοῦ, καὶ τῷ τοῖς θησαυροις τοῖς θείοις ἐναποκεκλεισθαι, οὐκ εὐληπτα τοῖς τυχοῦσι. Καὶ τῷ πιστεύοντι δὲ ἐπαγγελία δέδοται παρὰ Θεοῦ, ὅτι Δώσω σοι θησαυροὺς ἀποκρύφους, ἀοράτους. Ἐπειδὴν οὖν καταξιοθῶμεν τῆς πρόσωπον πρὸς πρόσωπον γνώσεως, ὁπόμεθα καὶ τὰς ἐν τοῖς θησαυροις τοῦ Θεοῦ αβυσσους (PG. 1857: 336).

ჯორცთაგან ტრიობად, ბრძოლად, ნებებად განსუენებისად, თითო სახეთა სენთა და წყლულებათა შთაგდებად, მრავალსახე უძლურებად, გინათუ გარეგან ამათსა შემთხუეულნი: კბენანი ძაღლთაგან, გესლიანთა ანუ სხუათა ჯორცის-მჭამელთა მჯეცთაგან, ამათ ზედა სიყმილნი, სრვანი, ძრვანი, ნეფხვანი, სიცხენი, სიბერე, სიგლახკე, მარტოებად და რაოდენნი არიან ესევითარნი. ამათთანა სულთაგანცა სიბოროტისათა, რომელთა მიმართი ბრძოლად ჩუენი მოციქულმან განაცხადა, რომელნი სიტყუათა და საქმეთა ჩუენტა ემზირებიან, რომელთა შედრგინებით და შეტყუებით გულისსიტყუათა ჩუენტა ჰაზრ-ჰყოფენ, და სამართლად, რადთა არათუ თვთმფლობელი გონებად ჩუენი ეზრახოს გამომცდელობითთა კუეთებათა მისთა თვსითა ურწმუნობითა, და დატევევითა საყოველთაოდსა სასოებისადთა, აღძრნეს გულისსიტყუანი, არა სიტყუანი აღმოითქუმიან, არცა საქმენი აღესრულებიან. ხოლო შენ სთქუ, ვითარმედ ყოველნი განსაცდელნი შესაბამად ბრალისა შეემთხუევიან თითუეულსა, მეცნიერებად, ღმრთისა სიმართლესა მიმზიდველობითა ჩუენითა. გამომცხადენ ჩუენ მიზეზნი იგი, რადთა ესრეთ გურწმენეს, ვითარმედ თანამდებ განსაცდელთა ვართ და თანა-გუაც დათმენად ჩუენ ზედა მომავალთა ჭირთად, რადთა არა სამშჯავროსა მას, არა ხოლო ვითარცა ცოდვილთა, არამედ ვითარცა არცა კურნებისა თავს-მდებელთა უმძიმესი ტანჯვად გუაქუნდეს.

მიგებად: ყოვლისა შემთხუევისა მიზეზ არს გულისსიტყუად თითოეულისად. მაქუნდა თქუმად, ვითარმედ სიტყუანიცა და საქმენი, ხოლო ვინადთგან ესენი პირველ მოგონებისა არა გამოვლენ, ამის მაღლისათვს ყოველსავე გულისსიტყუათა ზედა დავაწერ, რამეთუ წინა-უძლოდეს რად გულისსიტყუად, მიერთგან სიტყუანიცა და საქმენი მომცემენ ჩუენ ურთიერთას ზიარებასა, ხოლო ზიარებისა სახენი ორ არიან: ერთი სიყუარულისაგან და მეორე სიბოროტისაგან, რამეთუ ზიარებითა, ვითარცა-იგი არა უწყით ურთიერთას ვითამსდებებთ, ხოლო თავსმდებობითა საჭიროდ შეუდგან შემთხუევანიცა, ვითარცა იტყვს წერილი, ვითარმედ, „რომელმან ითავსმდებოს მეგობარი თვსი, მტერსა მისცემს ჰელსა თვსსა“ (იგავ. 6. 1,2), ვინადცა ესრეთ თითოეული არა ხოლო თავისა თვსისათვს თავს ისხამს მის ზედა მომავალთა, არამედ [მეგობართა] თვსცა, რომელთაცა ზედა ითავსმდება იგი“ (თ. 18)¹⁶¹.

¹⁶¹ SC.: Ἐρώτησις: Οὐκοῦν ἐπειδὴ πολλὰ ἐπέρχονται ἡμῖν θλιβερὰ πράγματα, τοῦτο μὲν δι' ἀνθρώπων φθοιούτων, καταλαλούντων, διαβιβλόντων, σκολοφαντούντων, κολακευόντων, πλανώντων, απατώντων, διορυστόντων, ἀποστερούστων, σκανδαλιζόντων, ἐχθραίνόντων, καταφροσύντων, μισούντων, πολεμούντων, τυπτόντων,

მარკოზ მონაზონის მოძღვრება მსგავსია ბასილი დიდის მიერ წარმოდგენილი სწავლებისა. წმ. მარკოზი გარკვეულწილად განავრცობს ბასილი დიდის სწავლებას, და ის საუბრობს არა მხოლოდ იმის შესახებ, რომ ღვთისმოშიში ადამიანები მოწევნილ

ἐπιηρεζόντων, διωκόντων, καὶ ὅσα ἀνθρώποις παρὰ ἀνθρώπων ἐπέρχεται· ἢ καὶ παρὰ τοῦ ἰδίου σώματος σφριγῶντος, πολεμοῦντος, ἀναπαύσεις θέλοντος, ποικίλοις νοσήμασι καὶ τραύμασι περιπίπτοντος καὶ πολυτρόπως ἀσθινοῦντος· ἢ καὶ τὰ ἐκτὸς τούτων ἐντὸς τούτοις συμβαίνοντα δῆγματα κυνῶν, ἰοβόλων ἢ σαρκοβόρων θηρίων, πρὸς τούτοις λιμοί, λοιμοί, σεισμοί, παγετοί, καύσωνες, γῆρας, πενία, μόνωσις καὶ ὅσα τοιαῦτα· τοῦτο δὲ διὰ τῶν πνευμάτων τῆς πονηρίας πρὸς ἃ τὴν πάλιν ἡμῶν εἶναι ὁ Ἀπόστολος ἐφάνερωσε τοὺς λόγους ἡμῶν καὶ τὰς πράξεις ἐπιτηρούντων, δι' ὧν ἀκολούθως ἐφαμίλλους καὶ τοὺς λογισμοὺς ἡμῶν εἶναι καταστοχάζονται· καὶ εἰκότως, εἰ μὴ γὰρ ὁ αὐτεξούσιος ἡμῶν νοῦς ταῖς δοκιμαστικαῖς προσβολαῖς ἐξ ἀπιστίας προσομιλήσει καὶ ἀφείδ τὴν καθολικὴν ἐλπίδα λογισμοὺς ἀνακινήσει, οὔτε λόγοι προσφέρονται, οὔτε πράξεις ἐπιτελοῦνται. Αὐτὸς δὲ εἶρηκας ὅτι πᾶσαι αἱ συμφοραὶ κατὰ αἰτίαν ἀναλόγως ἐκάστω ἐπέρχονται, εἰς ἐπίγνωσιν τῆς τοῦ Θεοῦ δικαιοσύνης ἡμᾶς ἔλκουσαι. Φανέρωσον ἡμῖν τὰς αἰτίας, ἵνα οὕτως πιστεῦσώμεν ὅτι ὑπέσθηναι τῶν ἐπιφορῶν ἐσμεν, καὶ ὀφείλομεν ὑπομένειν τὰ ἐπερχόμενα θλιβερά, ἵνα μὴ ἐν τῇ κρίσει οὐχ ὡς ἁμαρτωλοὶ μόνον ἀλλὰ καὶ ὡς τὴν ἴασιν μὴ προσδεξάμενοι βαρύτεραν ἔξωμεν τὴν κόλασιν.

Ἀπόκρισις: Πάσης συμβάσεως αἰτία ἐστὶν ὁ ἐκάστου λογισμὸς. Εἶχον δὲ εἰπεῖν ὅτι καὶ οἱ λόγοι καὶ αἱ πράξεις· ἀλλ' ἐπειδὴ ταῦτα πρὸ ἐννοίας οὐ προέρχονται, τούτου χάριν τὸ πᾶν τοῖς λογιμοῖς ἐπιγράψοιμι. Τοῦ λογιμοῦ οὗν προηγουμένου, λοιπὸν οἱ λόγοι καὶ αἱ πράξεις παρέχουσιν ἡμῖν τὴν εἰς ἀλλήλους κοινωσίαν. Δύο δὲ εἰσὶν οἱ τρόποι τῆς κοινωσίας, εἰς ἀπὸ ἀγάπης καὶ εἰς ἀπὸ κακίας. Διὰ δὲ τῆς κοινωσίας, ὡς οὐκ οἶδαμεν, ἀλλήλους ἀναδεχόμεθα. Ταῖς δὲ ἀναδοχαῖς αἱ ἐπιφοραὶ ἀναγκαιῶς ἀκολουθοῦσι, καθὼς φησιν ἡ Γραφή· «Ὁ ἐγγυώμενος τὸν ἑαυτοῦ φίλον ἐχθρῶν παραδίδωσι τὴν ἑαυτοῦ χεῖρα.» Οὕτως ἕκαστος οὐ μόνον ὑπὲρ ἑαυτοῦ τὰ ἐπερχόμενα ὑπομένει, ἀλλὰ καὶ ὑπὲρ τοῦ πλησίον ἐφ' οἷς αὐτὸν ἀνεδέξατο. [კითხვა: რადგანაც მრავალი მწუხარე საქმეები შეგვემთხვევა ჩვენ, ერთი მხრივ, შურიან ადამიანთა, ავისმეტყველთა, დამბრალებელთა, ცილისმწამებელთა, შურისმაძიებელთა, მლიქვნელთა, მაცდურთა, ცრუთა, ძირის-გამომთხრელთა, მპარავთა, შეურაცხყოფელთა, მოძულეთა, შემზიზღებელთა, წინააღმდეგობთა, მტერთა, მცემელთა, მავნებელთა, მდევნელთა მიერ, იმდენად რამდენადაც ადამიანებზე ადამიანთაგან მოიწევა (შემთხვევა). ანდაც, [შეგვემთხვევა] საკუთარი სხეულის გაზულუქებისგან (განებივრებისგან), როცა სხეული მტრად გვექცევა ჩვენ და სურს განსვენება, როცა სხვადასხვა სხეულებითა და იარებით გვესხმის თავს და სხვადასხვაგვარად გვაუძლურებს. ამათ გარდა, [ჩვენზე] მოიწევა ნაკბენები ძაღლების ან შხამიანი და მტაცებელი ცხოველების, ამასთან ერთად, შიმშილი, დაავადებანი, მიწისძვრანი, ყინვები, გვალვები, სიბერე, სიდუხჭირე, მარტოობა და სხვა მრავალი. მეორე მხრივ, [მწუხარე საქმეები შეგვემთხვევა ჩვენ] ბოროტ სულთა მიერ, რომლებიც ჩვენს სიტყვებს და საქმეებს უთვალთვალევენ, რომელთა მიმართ ჩვენი ბრძოლა მოციქულმა ცხადყო (განაცხადა). ბოროტი სულები, რომლებიც თვალთვალის მეშვეობით თანმიმდევრულად გამოიცნობენ, რომ ჩვენი გულისზრახვანიც [ჩვენი სიტყვებისა და საქმეების] შესაბამისნი (თანასწორი) არიან, და სამართლიანად. მართლაც, თუ ჩვენი თვითმფლობელი გონება არ თანაეზიარება (დაუკავშირდება), არასანდოობის გამო, გამომცდელ შემოტყვევებს (კვეთებებს) და არ მიატოვებს [ღმერთის] საყოველთაო სასოებას, არ აღძრავს გულისზრახვებს, არც სიტყვები წარმოთქმებიან და აღარც საქმეები აღსრულდებიან. შენ ხომ თავადვე თქვი, რომ განსაცდელეები ბრალეულობის (დანაშაულის) შესაბამისად შემთხვევიან თითოეულს, რომ განსაცდელეებმა ჩვენ ღმერთის სამართლიანობის შეცნობისკენ მიგვიყვანოს (მიგვიზიდოს). გამოგვიცხადე ჩვენ ბრალეულობანი, რათა ვირწმუნოთ, რომ დამსახურებული გვაქვს (= დამნაშევენი ვართ) განსაცდელეები და ვალდებულნი ვართ, გადავიტანოთ ჩვენზე მოწევნილი მწუხარებანი, რათა სამსჯავროზე უფრო მეტი სასჯელი არ განვიკუთვნოთ (გვექონდეს), როგორც არა მხოლოდ ცოდვილებმა, არამედ, როგორც კურნების არმიმდებებმაც.

პასუხი: ყველა შემთხვევის მიზეზი არის თითოეულის გულისზრახვა. შემძლო მეთქვა, რომ სიტყვებიც და საქმეებიც არიან, მაგრამ, ვინაიდან ისინი განზრახვას წინ არ უსწრებენ, ამის გამო ყოველივე ამას გულისზრახვას მივაწერდი. მართლაც, გულისზრახვა წინ მიუძღვის, და შემდეგ სიტყვები და საქმეები ჩვენ ერთმანეთთან თანაზიარების (ურთიერთობის) საშუალებას გვამლევენ. ორი სახე არსებობს თანაზიარებისა (ურთიერთობისა): ერთი სიყვარულისა და ერთი ბოროტებისა. თანაზიარების მეშვეობით ერთმანეთზე ვიღებთ პასუხისმგებლობას (ერთმანეთს თავდებად ვუდგებით), ისე რომ, ვერც ვხვდებით (ვერც ვაცნობიერებთ). თავდებაობას კი განსაცდელეები მოჰყვება, როგორც წერილი ამბობს: «ის, ვინც თავდებად დაუდგა საკუთარ მეგობარს, მტერს გადასცა თავისი ხელი» (იგავ. 6. 1,2). ამრიგად, თითოეულს არა მარტო საკუთარი თავის გამო გადააქვს მოწევნილი მწუხარებანი, არამედ მოყვასის გამოც, რაზეც (შიც) თავდებად დაუდგა მას (=მოყვასს)].

განსაცდელებს უფლის ყოვლადსამართლიანობის შეცნობისკენ მიჰყავს, არამედ, ასახელებს ორ ძირითად მიზეზსაც, რის გამოც ადამიანებზე მოიწია განსაცდელები.

როგორც აღვნიშნეთ, იმისათვის, რომ ჩვენს მსჯელობაში ერთიანი შინაარსი არ დაგვერღვია, აქვე დავიმოწმეთ მე-18 თავი ჩვენი საკვლევ ნაშრომისა – „წინაგანწყობა სხოლასტიკოსისა“. აღნიშნული თავის ტექსტოლოგიურ ანალიზს თანმიმდევრულად, შესაბამის ადგილას განვახორციელებთ.

ზ) მეთხუემეტე თავში გამოვლენილი განსხვავებული თარგმანი:

1. ეფრემი: არამედ ჩუენ ამისთვისცა გულსავსე-გყოფთ შენ ნაცვლით კითხვითა შესაბამისადთა (თ. 15).

ეფრემი წინადადებას – τὰ προσήκοντα ἀντεπερατήσαντες [ამის შესაბამისად საპირისპიროდ გკითხავთ] ამ სახით თარგმნის: „ნაცვლით კითხვითა შესაბამისადთა“.

ახლა კი დავუბრუნდებით ჩვენს მთავარ საკითხს, და კვლავ განვაგრძობთ რა მსჯელობას ე. წ. „თეოდიციის“ შესახებ, დავიმოწმებთ წმინდა მაქსიმე აღმსარებლის ნაშრომს – τὸν περὶ ἀγάπης κεράλαίαν – „თავნი სიყვარულის შესახებ“.

ამ შემთხვევაში, ვიმოწმებთ ე. ჭელიძის მიერ შესრულებულ ახალ ქართულ თარგმანს: „ვისაც გონიერება აქვს და იაზრებს საღვთო მსჯავრთა მაკურნებლობას, მაღლიერებით დაითმენს მათგან მოწევნილ უბედურებებს, არ მიიჩნევს რა არავის სხვას ამ უბედურებათა მიზეზად, თუ არა – საკუთარ ცოდვებს, მაშინ როცა უგუნური, რომელიც უმეცარია ღვთის უბრძენესი წინაგანგებისა, შესცოდავს რა და ამის გამო განისწავლება¹⁶², ან ღმერთს ანთუ ადამიანებს რაცხს მისის ჭირ-ვარამის მიზეზად“ (ე. ჭელიძე 2022ა: 72)¹⁶³.

ანალოგიურ სწავლებას, წმინდა წერილიდან დამოწმებული ფრაზებით, სრულყოფილად გადმოგვცემს და განავრცობს მარკოზ მონაზონი. ჩვენი საკვლევით თემის, მარკოზის ნაშრომის ამ ნაწილში ყველაზე ცხადად არის წარმოჩენილი უფლის ყოვლადსამართლიანობის ასპექტები. იქიდან გამომდინარე, რომ ტექსტის მომდევნო მონაკვეთის ეფრემისეული თარგმანი არ განსხვავდება ბერძნული ორიგინალისგან, დავიმოწმებთ მხოლოდ ეფრემის თარგმანს, რათა ზედმეტად არ გადავტვირთოთ

¹⁶² ანუ – როცა ადამიანს განსაცდელი შეემთხვევა.

¹⁶³ Ὁ μὲν ἐχέφρων, τῶν θείων κριμάτων τὴν ἰατροίαν ἀναλογιζόμενος, εὐχαρίστας φέρει τὰς διὰ τούτων ἐπισυμβαινούσας αὐτῷ συμφορὰς, μηδένα ἄλλον τούτων αἴτιον, ἢ τὰς ἑαυτοῦ ἀμαρτίας λογιζόμενος. Ὁ δὲ ἄφρων, τὴν τοῦ Θεοῦ ἀγνοῶν σοφωτάτην πρόνοιαν, ἀμαρτάνων καὶ παιδευόμενος, ἢ τὸν Θεόν, ἢ τοὺς ἀνθρώπους τῶν ἑαυτοῦ κακῶν αἰτίους λογιζέται (Φιλοκαλία 2012: 70).

ჩვენი ნაშრომი; შესაბამისი ბერძნული ტექსტის და ახალ ქართული თარგმანის ხილვა კი მითითებულ თავშია შესაძლებელი.

ეფრემი: „და ვითარცა ირგეს ყოველთა მეცნიერებასა ზედა სინანულსა მის მმისასა, ბერძან თქუა: „ამიერითგან ესედა მაკლს ჩუენ წერილთა მიერითა ჩუენებითა, ვითარმედ არარაჲ შემაწუხებელთაგანი მოიწვევის უსამართლოდ თითოეულსა ზედა, არამედ ყოველივე სამართლითა ბჭობითა ღმრთისათა, რადთამე თვსთა ბოროტათვს, ხოლო რადთამე მოყუასთა ვნებისა მიერ, „ყოველივე წიაღთა უსამართლოთა ზედა დაუვალს, რამეთუ უფლის მიერი ყოველივე სამართალ არს“ (იგავ. 16.33), და კუალად: „არა არს სიბოროტე ქალაქსა შინა, რომელი არა ქმნა უფალმან“ (ამოს 3.6), და კუალად: „ყოველნი საქმენი უფლისანი სიმართლით არიან“ (გალ. 6.7), „და რადცა რად სთესოს, თითოეულმან იგიცა მოიმკოს“ (იგავ. 16.7), და კუალად: „უკუეთუ სიცრუვე ჩუენი სიმართლესა ღმრთისასა წარმოადგინებს, რადმე ვთქუა, ნუსადა უსამართლობაჲ არს ღმრთისა თანა, რომელი მოავლინებს რისხვასა, კაცობრივ ვიტყვ, ნუ იყოფინ“ (რომ. 3.5,6). „აჰა ეგერა, სამნი ყრმანიცა საჯუმილსა შეთხეულნი (შდრ. დან. 3.28,31), ამასავე ცნობასა მასწავლებენ ჩუენ, რამეთუ თვსითა მიზეზითა და ბრძანებითა ღმრთისაჲთა იტყვან საჯუმილსა შეთხევასა თვსსა, დადათუ სხუათა პირსა იჩემებენ და წმიდაჲ დავით, სემისგან ჭირვეული, ღმრთისა ბრძანებისა და თვსისა ბრალეულებისა მიერ აღიარებს თვსსა ჭირვეულებასა, ხოლო ესაია და იერემია, ეზეკიელ და დანიილ და სხუანი წინაღწარმეტყუელნი, ერსა და წარმართთა შემთხუევადასა მათდა ჭირსა თითოეულისა ცოდვისაებრ შემთხუეულად წინა-აუწყებდეს, ამას თანა მიზეზთაცა მათ ზედა მოწვევანდათასა წინაგანუცხადებდეს თქუმითა, ვითარმედ, ვინაჲთგან იტყოდეს ამას და ამას და იქმოდეს ამას და ამას, მიწიოს მათ ზედა ესე და ესე, და ფსალმუნსა შინა ნეტარი დავით ამისდა ცხად-ყოფად იტყოდა: „გულისკმა-ვყავ უფალო, რამეთუ სიმართლით არიან განკითხვანი შენნი და ჭეშმარიტებით დამამდაბლე მე“ (ფსალმ. 118.75), და კუალად: „საყუედრელად უგუნურსა მიმეც მე, დავყრუვდი და არა აღვალე პირი ჩემი, რამეთუ შენ ჰყავ“ (ფსალმ. 38.9,10)“ (თ. 16).

აღსანიშნავია, რომ ეფრემ მცირე წმინდა წერილიდან დამოწმებულ ზმნურ ფორმას – ἐπίρχεται, რომელიც ნიშნავს: „მივეახლები, მივდივარ“, თარგმნის მნიშვნელობით – „დაუვალს“, საკუთრივ ძველი აღთქმის ქართულ თარგმანში კი მოცემულია – „მიუვდეს“. ასევე ზედსართავი სახელი – ἄδικος [უსამართლოებს],

რომელსაც ეგრემი თარგმნის მნიშვნელობით – „უსამართლოთა“, ბიბლიაში თარგმნილია – „ცრუთა“. „ყოველივე წიაღთა უსამართლოთა ზედა დაუვალს, რამეთუ უფლის მიერი ყოველივე სამართალ არს“ (თ.16) – „წიაღადვე თჳსად მოუქდეს ყოველი ცრუთა მათ, ხოლო უფლისა მიერ ყოველი სამართლად“ (იგავ. 16.33), (ჭელიძე 2015: 1075). SC.: «Εἰς κόλπον ἐπέρχεται πάντα τοῖς ἀδίκοις, παρὰ γὰρ Κυρίου πάντα δίκαια.» [«ყოველი [საქმე] მიეახლება (ჩადის, მიეწევა) უსამართლოებს [მათ] სამყოფელში (წიაღში, გულში), უფლისგან კი (γὰρ) ყოველი [საქმე] სამართლიანი არის].

ეგრემ მცირე მარკოზ მონაზონის ნაშრომში წმინდა პავლე მოციქულის რომაელთა მიმართ ეპისტოლის მონაკვეთის თარგმნისას ზმნას – συνίστησι [თანა დადებს] თარგმნის მნიშვნელობით – „წარმოადგინებს“, მაშინ როცა ეპისტოლის წინაათონურ და გიორგი მთაწმინდელისეულ თარგმანებში მოცემულია: „შეტყუების“ (მოწენიძე... 1974:16), ხოლო ექვთიმე ათონისეულ თარგმანში ტერმინი – შეტყუების ჩანაცვლებულია გაცილებით ადეკვატური ტერმინით დაამტკიცებს (კოჭლამაზაშვილი 2003: 46; შდრ. ჭელიძე 2017: 711) SC.: «Εἰ ἡμῶν ἀδίκια Θεοῦ δικαιοσύνην συνίστησι, τί ἐροῦμεν; Μὴ ἀδικὸς ὁ Θεὸς ὁ ἐπιφέρων τὴν ὀργήν; κατὰ ἄνθρωπον λέγω. Μὴ γένοιτο.» „უკუეთუ სიცრუვე ჩუენი სიმართლესა ღმრთისასა წარმოადგინებს, რამე ვთქუა? ნუსადა უსამართლობა არს ღმრთისა თანა, რომელი მოავლინებს რისხვასა?“ (რომ. 3.5,6) (ჭელიძე 2017: 285). [თუ ჩვენი უსამართლობა ღმრთის სამართლიანობას წარმოაჩენს, რა ვთქვათ? განა უსამართლოა ღმერთი, რომელიც რისხვას მოავლინებს?].

2.¹⁶⁴ *ეგრემი*: „ვითარმედ არცა ერთი სასოებად ცხორებისა დაშთომილ არს კაცთა მოციქულისა მიერ თქუმითა, ვითარმედ: ყოველთავე ცოდეს და დააკლდებიან დიდებასა ღმრთისასა, ხოლო განმართლდებიან უსასყიდლოდ მაღლითა მისითა“ (თ. 15), (რომ. 3.23,24). SC.: Οἶδα γὰρ ὅτι οὐδεὶς ἐτέρα ἐλπὶς σωτηρίας ὑπολέλειπται τοῖς ἀνθρώποις, τοῦ Ἀποστόλου λέγοντος ὅτι· «Πάντες ἡμαρτον, καὶ ὑστεροῦμενοι τῆς δόξης τοῦ Θεοῦ, δικαιοσύμενοι δωρεὰν τῆ αὐτοῦ χάριτι.» [რადგან ვიცი,

¹⁶⁴ იმისათვის, რომ ტექსტოლოგიური შედარების შედეგად გამოვლენილი განსხვავებებით არ გავწყვიტოთ ჩვენი მსჯელობის ძირითადი აზრი, რომელიც, ამ შემთხვევაში, ე. წ. „თეოდიციის“ საკითხს უკავშირდება, მე-15 თავში არსებულ განსხვავებებს წარმოვადგენთ არათანმიმდევრულად, ანუ ჯერ განვიხილვით თავის ბოლოში მოცემულ ტექსტობრივ სხვაობებს, რადგან ეს მონაკვეთი შინაარსობრივად უკავშირდება მომღვრებას „თეოდიციის“ შესახებ. აღნიშნული მსჯელობის დასრულების შემდგომ, კვლავ თანმიმდევრობით განვავრცობთ ტექსტოლოგიურ კვლევას.

რომ ცხონების (გამოხსნის) სხვა არცერთი სასოება არ დარჩენილა ადამიანებისთვის, მას შემდეგ რაც მოციქულმა თქვა: „ყველამ შესცოდა, და მოაკლდნენ ღვთის დიდებას, მაშინ როცა განმართლდნენ უსასყიდლოდ, ღვთის მადლით“ (რომ. 3.23,24)].

ეფრემი სიტყვას – σαῦρία – თარგმნის მნიშვნელობით: „ცხორება“, რომელიც ნიშნავს „ხსნას“, ანუ მაცხოვრის მიერ კაცობრიობის გამოხსნას ეშმაკისა და ცოდვის ტყვეობიდან.

მარკოზ მონაზონის მიერ მოხმობილი წმინდა წერილის სიტყვები სრულყოფს ზემოთ განხილულ მოძღვრებას „თეოდიციის“ შესახებ. პავლე მოციქულის სწავლების მიხედვით, რომელსაც მარკოზი იმოწმებს, ყველა ადამიანი შესცოდა და აქედან გამომდინარე, ყველა ადამიანს მხოლოდ ცოდვის შედეგი კი არ აქვს მიღებული ადამისა და ევასგან, არამედ თავად ცოდვაც და ყველა ჩვენგანი ცოდვილნი ვართ ჩასახვისთანავე.

საკითხის ცხადად წარმოჩენისათვის მოვიხმობთ სამეცნიერო გამოკვლევას და დოგმატურ ფორმულირებას, რომელიც შეადგენს მართლმადიდებლური სწავლების ერთ-ერთ საფუძველს, თავის მხრივ, იგი დაფუძნებულია წმ. მაქსიმე აღმსარებლის სწავლებაზე: „ადამში, უპირველესად, უკეთურისკენ მიდრკა და გაიხრწნა განზრახულებითი (იგივე გნომური, ანუ პიროვნული) არჩევანი. სწორედ ეს არის „პირველი, ანუ არჩევანისეული ცოდვა“ (იგივე „ჩემი ცოდვა“), რაც გასაკიცხია, ანუ სასაყვედუროა (საყვედრელია) და რამაც, თავის მხრივ, განაპირობა „მეორე, ანუ ბუნებისეული ცოდვა“, მაქსიმეს მიერ წოდებული, როგორც „ჩემგან გამომდინარე ცოდვა“. ეს არის ოდენ შედეგი არჩევანისეული ცოდვისა – არგასაკიცხი (უყვედრელი), რაც გულისხმობს ადამის თავდაპირველი უხრწნადი, უკვდავი და უვნებო ბუნების გარდაქმნას მოკვდავ, ხრწნად და ვნებულ ბუნებად. აღნიშნული ცხადყოფს, რომ ადამში პიროვნულ არჩევანისეულ გახრწნადობას (ანუ, რაც იგივეა „არჩევანისეულ ცვალებადობას“), ე.ი. „გასაკიცხ ცოდვას“, ანუ „ჩემს ცოდვას“, მოჰყვა ბუნებისეული, ანუ იგივე თვისობრივი გახრწნადობა (ე.ი. „ბუნებისეული, თვისობრივი ცვალებადობა“), რაც „გაუკიცხავ ცოდვად“, ანუ „ჩემგან გამომდინარე ცოდვად“ იწოდება და რაც არის საკუთრივ „ცოდვის შედეგი“, ვინაიდან, ერთი მხრივ, რეალური და გაკიცხვადი ცოდვა (იგივე „ჩემი ცოდვა“) სწორედ არჩევანისეულია, ხოლო, მეორე მხრივ, ბუნებითი გაუკუღმართება შედეგია არა ხსენებული ბუნების ცალკე რამ

შეცოდებისა, არამედ – მხოლოდ და მხოლოდ იმ სასჯელისა, რაც სწორედ პირველი, ანუ არჩევანისეული ცოდვის შედეგად მოიწია ადამიანზე. ხოლო უფალმა ყოვლადქმნარითი ბუნებითი და გვამოვნებითი შეერთებით თავის ჰიპოსტასში აბსოლუტური ნამდვილობით შეიარსა გახრწნილი და ვნებული კაცება ადამისი, ანუ ღმერთმა-სიტყვამ ბუნებითად მიიღო მხოლოდ მეორე, ანუ ბუნებისეული და გაუკიცხავი (უყვედრელი) „ცოდვა“, ანუ ცოდვის შედეგი, ე.ი. – ბუნებისეული ხრწნადობა, მოკვდავობა და ვნებითობა. აბსოლუტურად არანაირად არ მიუღია რა პირველი, ანუ არჩევანისეული და გასაკიცხი (საყვედრელი) ცოდვა, იგივე პირველცოდვა, ანუ პირველქმნილი ცოდვა, ვინაიდან მაცხოვარს საპირისპიროდ ადამის „არჩევანისეული ცვალებადობისა“, ჰქონდა აბსოლუტური „არჩევანისეული უცვალებლობა“. ამიტომ, უფალმა, სწორედ „არჩევანისეული უცვალებლობის“ გზით, ერთი მხრივ, ყოვლითურთ განკურნა ცოდვის ყოველგვარი შედეგისგან (ე.ი. „მეორე, ანუ ბუნებისეული ცოდვისგან“) მის მიერ ბუნებითად მიღებული ხრწნადი, მოკვდავი და ვნებული, ანუ ცოდვითდაცემული კაცება ადამისი, ხოლო, მეორე მხრივ, იმავე „არჩევანისეული უცვალებლობით“, უფალმა ყოვლითურთ შემუსრა ადამის „პირველი“, ანუ „არჩევანისეული ცოდვაც“, აღადგინა რა დაცემული ადამიანი თავდაპირველი მადლით, ანუ თავდაპირველ მადლისმიერ უკვდავებით, უხრწნადობითა და უვნებობით (ჭელიძე 2016: 290-291).

ზემოთ მოხმობილი ქრისტიანული სწავლებიდან გამომდინარე, ვერანაირად ვერ დავეთანხმებით რუსი მეცნიერის, იოანე მეინდორფის აზრს, რომ: „აღმოსავლეთ ეკლესიაში მიღებული ტრადიციის მიხედვით, პირველქმნილი ცოდვის დანაშაული არ ვრცელდება ადამის და ევას შთამომავლებზე, და ეს მხოლოდ დასავლეთის ეკლესიაშია მიღებული“¹⁶⁵ (Мейндорф 2007: 43; Ашмарин 2013: 83). ამ შემთხვევაში, ჩვენ არ ვისაუბრებთ, დასავლეთის, ანუ კათოლიკური ეკლესიის ცდომილების მიხედვით, ცოდვით დაცემისა და გამოხსნის შესახებ.

ჩვენ ვიზიარებთ რუსი მეცნიერის ა. აშმარინის მოსაზრებას, რომ მარკოზ მონაზონის სწავლება პირველმშობლების ცოდვით დაცემისა და კაცობრიობისგან ამ

¹⁶⁵ შდრ. Отсутствие понятия вины потомков за первородный грех характерно для восточной святоотеческой мысли, тогда как на Западе утвердилась идея, что все люди разделяют «вину» Адамова грехопадения

ცოდვის მიღების შესახებ – პირდაპირ არ უკავშირდება ნეტარი ავგუსტინეს სწავლებებს (შდრ. Ашмарин 2013: 83). ზოგადად ვიტყვით, რომ ნეტარი ავგუსტინეს ნაშრომები მოიცავს სწავლებებს, რომლებიც გულისხმობს ადამიანის სულის შექმნასა და მასზე პირველცოდვის გენეტიკურ გადაცემადობას (ვრცლად იხ. ჭელიძე 2020გ: 92-93; ასევე იხ.: Кремлєвский 1902: 2).

მარკოზ მონაზონი რამდენიმე ნაშრომში განიხილავს საკითხს პირველმშობელთა ცოდვით დაცემის, ასევე, კაცობრიობასთან ამ ცოდვის კავშირისა და შედეგის თაობაზე.

უწინარესად, წარმოვადგენთ მონაკვეთს ჩვენ მიერ ზემოთ ხსენებული ნაშრომიდან „ნესტორიანელთა წინააღმდეგ“:

[როცა პირველი ადამიანი ეშმაკის მიერ იქნა მოტყუებული, არ დაემორჩილა რა ღმერთს, ურჩობის გამო ცოდვაში ჩავარდა და ცოდვის გამო გადაეცა სიკვდილს, მაშინ ყველანი, თუგინდ ცოდვილნი და თუგინდ მართალნი, განვეშორეთ მარადიულ სიცოცხლეს. ადამიანთაგან არავინ მოჰკლებია ამ ბრალეულობას, იმიტომ რომ მასზეა (ბრალეულობაზეა) დაფუძნებული ჩვენი ბუნების საწყისი, ანუ პირველი ადამიანი. საბოლოოდ კი, შეუქცევადი იყო საფრთხე, როგორც გარდაუვალი სიკვდილი. მართალაც, თუკი წინასწარ არსებობდა მცნება, დანაშაულისთვისაც სასჯელი იყო განსაზღვრული. ყოვლისმცოდნეა მსაჯული, მისი სიტყვა უცთომელია და მისი რჯული – ჭეშმარიტი, სამართლიანობა – უცვალებელი, სინანული უშედეგო (შეუძლებელი) იყო, არავინ იყო წმინდა მღვდელი, რადგან ყველანი ბრალეულობას ექვემდებარებოდნენ]¹⁶⁶.

მარკოზის შემდეგი ნაშრომი, სადაც საუბარია ცოდვით დაცემასა და უფლის მიერ კაცობრიობის ცოდვიდან გამოხსნის შესახებ, არის – περι τοῦ ἀγίου βαπτίσματος. როგორც აღვნიშნეთ, ნაშრომის ძველი ქართული თარგმანი შესრულებულია ეფრემ მცირის მიერ – „წმიდისა ნათლისღებისათჳს“ (იხ. ასკურავა 2014: 241).

¹⁶⁶ κατασοφισθέντος ὑπὸ τοῦ διαβόλου τοῦ πρώτου ἀνθρώπου, καὶ παρακούσαντος τοῦ Θεοῦ, καὶ διὰ τῆς παρακοῆς ὑπὸ τὴν ἀμαρτίαν πεσόντος, καὶ διὰ τῆς ἀμαρτίας τῷ θανάτῳ παραδοθέντος, πάντες τῆς ἀϊδίου ζωῆς ἐκπεπώκαμεν, εἴτε ἀμαρτωλοί, εἴτε δίκαιοι· οὐδεὶς γὰρ ἀνθρώπων ὑφῆρθε τοῦ ἐγκλήματος, διότι ὑπέκειτο αὐτῷ ἡ ρίζα τῆς ἡμῶν φύσεως, λέγω δὴ ὁ πρῶτος ἄνθρωπος. Καὶ ἦν λοιπὸν ἀνυπόδραστος ὁ κίνδυνος, ὁ θάνατος ὁμοίως ἀφευκτος· εἰ γὰρ ἐντολὴ προέκειτο, ἢ καταδίκη ἐπὶ τῇ παραβάσει ἔριστο, ὁ κριτὴς ἀλάθητος, ὁ λόγος αὐτοῦ ἀψευδής, ὁ νόμος αὐτοῦ ἀληθής, τὸ δίκαιον ἀπαράλλακτον, ἀμήχανος ἢ μετάνοια, τὸν ἀμίαντον ἱερέα οὐκ ἔχουσα· πάντες γὰρ ὑπέκειντο ἐγκλήματι (Durand 2000: 286).

ეფრემი: „ამისთვის არა გვკმს გონებად მოღუაწებითა მოკუჭათასა ადამისმიერისა ცოდვისასა, არამედ არცაღა თვთ ჩუენისა ბრალისა შემდგომად ნათლისღებისა ქმნულისასა, თვნიერ ქრისტეს მიერ“. Διὰ τοῦτο οὐ χρὴ οἴεσθαι δι' ἁγῶναι ἐκκόπτειν τὴν τοῦ Ἀδὰμ ἁμαρτίαν, ἀλλ' οὐδὲ τὰς ἰδίας, τὰς μετὰ τὸ βάπτισμα γενομένας, εἰ μὴ διὰ Χριστοῦ (Durand 1999: 346). [ამიტომ არ არის საჭირო ფიქრი, რომ ადამის ცოდვა მოღვაწეობათა მეშვეობით აღიხოცება, ისევე როგორც, არც საკუთარი ცოდვა, ნათლობის შემდგომ წარმოშობილი, თუ არა იესო ქრისტე მიერ].

მარკოზ მონაზონი თავის კიდევ ერთი ნაშრომში – *περὶ μετανοίας* – „სინანულის შესახებ“, იმეორებს პავლე მოციქულის სიტყვებს და შესაბამის განმარტებასაც გვაძლევს მოციქულის სიტყვებზე: [ვინ არის ისეთი, ვინც არ იკარებს სიცრუეს, და ყოველგვარი გარეგანი ვნებისგან თავისუფალია (უმეცარია), ვინც განუსჯელად არასდროს განრისხებულა მოყვასზე, არც ფუჭ მეტყველებაშია დამნაშავედ მხილებული, და არც სინანულს საჭიროებს? მართლაც, თუკი ახლა არ არის ასეთი, ოდესღაც ხომ იყო და სიკვდილამდე სინანულს საჭიროებს. დავუშვათ, რომ მოიძებნებიან ვიღაცები ზემოთ აღნიშნული ვნებების გარეშე, რომლებისთვისაც დაბადებიდან უცხოა ყოველგვარი ბოროტება (ცოდვა), მაგრამ ეს შეუძლებელია, რადგან წმინდა პავლე მოციქული ამბობს: „ყველამ შესცოდა, და მოაკლდნენ ღვთის დიდებას, მაშინ როცა განმართლდნენ უსასყიდლოდ, ღვთის მადლით“ (რომ. 3. 23-24)“; თუნდაც რომ იყვნენ ასეთები, მაინც ადამისგან არიან, ყოველმხრივ დანაშაულის ცოდვის ქვეშ დაიბადნენ და ამიტომაც გასამართლებულნი არიან განჩინებული სიკვდილით, და შეუძლებელია გამოხსნა უფლის გარეშე]¹⁶⁷.

კიდევ ერთი უმკაფიოესი საეკლესიო განმარტება ე. წ. „თეოდიციის“ საკითხის შესახებ, ანუ იმის შესახებ, რომ ღმერთი არ არის უსამართლო, არამედ მთელ კაცობრიობაზე ყოვლადსამართლიანიად აღესრულა პირველმშობლების შეცოდებით გამოწვეული სასჯელი, – მოცემულია საეკლესიო ეგზეგეტიკური ლიტერატურის უმნიშვნელოვანეს ძეგლში: „სამოციქულოს განმარტება გამოკრებული იოვანე

¹⁶⁷ Τίς οὖν ὁ τοιοῦτος ὁ καὶ ψεῦδους ἀπειραστος, καὶ πάσης τῆς καθ' ὄψιν ἐπιθυμίας ἀμύητος, καὶ μηδέποτε ὀργισθεὶς τῷ πλησίον εἰκῆ, μηδὲ ἀργοῦ ῥήματος ὑπαίτιος εὐρεθεὶς, ὥστε μὴ χρῆζειν μετανοίας. Εἰ γὰρ καὶ νῦν οὐκ ἔστι τοιοῦτος, ποτὲ δὲ ἐγένετο, μετάνοιαν κεχρεώσθηκεν ἕως θανάτου. Θῶμεν δὲ ὅτι καὶ τούτων ἐκτός τινες εὐρίηται, καὶ ἀπὸ γεννητῆς πάσης κακίας ἀλλότριον — ὅπερ ἀδύνατον, τοῦ ἁγίου Παύλου λέγοντος: « Πάντες ἥμαρτον καὶ ὑστεροῦνται τῆς δόξης τοῦ Θεοῦ, δικαιοσύμενοι δωρεὰν τῆ αὐτοῦ χάριτι » — , ὅμως εἰ καὶ ἐτύγγανον τοιοῦτοι, πλην ἐκ τοῦ Ἀδὰμ εἰσι καὶ ὑπὸ τὴν ἁμαρτίαν τῆς παραβάσεως πάντως γεγόνασι καὶ διὰ τοῦτο τῷ θανάτῳ τῆς ἀποφάσεως κατεδικάσθησαν, σωθῆναι ἐκτός τοῦ Κυρίου μὴ δύναμενοι (Durand 1999: 246).

ოქროპირისა და სხვა წმიდა მამათა ნაშრომებიდან“, რაც თარგმნილია ეფრემ მცირის მიერ. აქვე დავიმოწმებთ პავლე მოციქულის სიტყვების ბერძნულ ტექსტს:

Διὰ τοῦτο ἄσπερ δι' ἐνὸς ἀνθρώπου ἢ ἀμαρτία εἰς τὸν κόσμον εἰσῆλθεν καὶ διὰ τῆς ἀμαρτίας ὁ θάνατος καὶ οὕτως εἰς πάντας ἀνθρώπους ὁ θάνατος διῆλθεν ἐφ' ᾧ πάντες ἥμαρτον· (Ro. 5. 12) (Aland... 2005: 531). *ეფრემი*: „ამისთვის, ვითარცა-იგი ერთისა მის კაცისათვის ცოდვად სოფლად შემოჰდა და ცოდვისა ძლით – სიკუდილი, და ესრეთ ყოველთა კაცთა ზედა სიკუდილი მოიწია, რომლითა ყოველთა შესცოდეს.

თარგმანი: ერთად კაცად პირველსა მას კაცსა უწოდეს, ადამს, რომლისა მცნებასა გარდასვლამან ცოდვად სოფლად შემოიყუანა, და ცოდვისა მიერ მოგუეტყუა სიკუდილი და ხრწნილებად, რამეთუ ჩუენცა ვებაძვენით ურჩებასა მისსა, და ესრეთ ყოველთა შევსცოდეთ.

სხუდ თარგმანი ჯკუმენისი: რადთა არავინ უსამართლობად დასწამოს ღმერთსა, ვითარმედ: „ადამ ერთმა ცოდა და მან მის ძლით ჩუენ ყოველთა ზედა მოაწია სიკუდილი“, – ამისთვის დაჰრთავს, ვითარმედ: „ყოველთა შესცოდეს“, რომლითა ცხად-ჰყოფს, ვითარმედ, უკუეთუმცა არა პირველად თანაზიარებულ ვიყვენით ურჩებასა და ცოდვასა მისსა, არამცა ზიარქმულ ვიყვენით სიკუდილსა და ხრწნილებასა მისსა“ (კოჭლამაზაშვილი 2006: 49).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იკუმიონიოსი ცხადად წარმოაჩენს მოძღვრებას უფლის სამართლიანობის დაცვის, ანუ „თეოდიციის“ შესახებ, და გვამცნობს: „იმისათვის, რომ არავინ დასწამოს ღმერთს უსამართლობა, ისე თითქოს „ერთმა ადამმა სცოდაო და მან თავისი თავის გამო ყველა ჩვენგანზე მოაწიო სიკვდილი“, სწორედ ამიტომ უმატებს [მოციქული], რომ „ყველამ შესცოდა“, რითაც ცხადყოფს იმას, რომ თუკი არ ვიქნებოდით უპირველესად თანაზიარებულნი მის [ადამის] ურჩობასა და ცოდვას, არც მის სიკვდილსა და ხრწნილებას გავუხდებოდით მოზიარენი“ (ჭელიძე 2020გ: 176).

მოცემულ ნაშრომში „სამოციქულოს განმარტება“, რომელიც ეფრემ მცირის მიერ არის თარგმნილი, პავლე მოციქულის სიტყვებს, როგორც ვნახეთ, ორი განმარტება დაერთვის, აქედან მეორე უკვე განვიხილეთ. პირველი განმარტების მიხედვით კი, ადამის და ევას შეცოდების შემდგომ მათზე და მათს შთამომავლებზე, ანუ მთელ კაცობრიობაზე მოიწია სიკვდილი და საჯელი, რომლის შემდეგაც, პირველმშობლების

ცოდვას მათმა მემკვიდრე კაცობრიობამ თავისუფალი ნებით მიბაძა და ეს ცოდვა უფრო მეტად განამტკიცა და განაღრმავა საკუთარ თავში, შესაბამისად, წმინდა მამათა განმარტების მიხედვით – „ესრეთ ყოველთა შევსცოდეთ“. ორივე განმარტება შინაარსობრივად მსგავსია მარკოზ მონაზონის სწავლებისა, რომელიც მოცემულია ნაშრომში – „ნესტორიანელთა წინააღმდეგ“ (შდრ. Ашмарин 2013: 85): [როცა პირველი ადამიანი ეშმაკის მიერ იქნა მოტყუებული, არ დაემორჩილა რა ღმერთს, ურჩობის გამო ცოდვაში ჩავარდა და ცოდვის გამო გადაეცა სიკვდილს, მაშინ ყველანი, თუგინდ ცოდვილნი და თუგინდ მართალნი, განვეშორეთ მარადიულ სიცოცხლეს. ადამიანთაგან არავინ მოკლება ამ ბრალეულობას, იმიტომ რომ მასზეა (ბრალეულობაზე) დაფუძნებული ჩვენი ბუნების საწყისი, ანუ პირველი ადამიანი. ... ვისურვებდი, რომ ნეტავ, აქ (ამ მოცემულობაში) გაჩერებულიყო ცოდვა, მაგრამ ცოდვამ უღმერთოების სიმრავლე ზემოდან კიდევ დაამატა. მართლაც, ერთხელ განეშორა რა ადამიანი სამოთხისეულ სინათლეს, შეუმჩნევლად [ღმერთის] საწინააღმდეგო შეიყვარა, და მისთვის ბუნდოვანება უფრო თვისობრივი გახდა, ვიდრე ჭეშმარიტება, გაუკუღმართება თავისუფალი ნებით იყო არჩეული, კერპთაყვანისმცემლობა მისაღები, გონებისეული იყო სიამოვნების სიყვარული, სიხარბე იყო მისწრაფების საგანი, ცოდვა მრავლდებოდა, ვნება უფრო საშინელი გახდა, გველი უფრო მეტად მძლავრობდა [ადამიანზე], ხოლო ადამიანი მაშინ იყო უგუნური და მერყევი, ვერ ჭვრეტდა რა მომავალს, ჩაფლული იყო არსებულში. ... ხოლო საბოლოოდ, [ადამიანისთვის] სწორედ ამ ბოროტებათა სიმრავლე იქცა გამოუხსნელ ბორკილად. შესაბამისად, საჭირო იყო, როგორც პირველ, ასევე ყველა სხვა დანაშაულს მოსდევნებოდა სამართლიანი სასამართლო. თუკი ერთი (აკრძალული ნაყოფის) ჭამისთვის სიკვდილი განისაზღვრა, მაშინ ამ მომდევნო უწმინდურობათა დამატებისთვის (დანამატზე) რა განისაზღვრებოდა ღირსეულ განჩინებად, თუ არა ის, რომ ადამიანი საუკუნეთა მანძილზე არსებობდა სასჯელში? მართლაც, ამიტომ დემონიც ადანაშაულებდა ადამიანს, და საკუთარი ადგილისკენ (სამყოფელისკენ)¹⁶⁸ ჩვენც სამართლიანად გვიზიდავდა, ამბობდა რა: „როგორც ხდებოდნენ [ადამიანები] ვერაგობის თანამონაწილენი, ამგვარადვე იქნებიან სასჯელის [თანამონაწილენი]. მართლაც, ღმერთი სამართლიანია და ჭეშმარტი, და

¹⁶⁸ იგულისხმება ჯოჯოხეთი

მისი რჯული არ სუსტდება. როგორც [პირველი] დანაშაულისთვის განდევნა ადამიანი სამოთხიდან და სიკვდილს გადასცა, ამგვარადვე, ბოროტი საქმეების დამატებისთვის დასჯის მას სასჯელით, რომ მთელი ცხოვრება გაატაროს ჩემთან ერთად]¹⁶⁹.

ადამიანისთვის იმის სრულად გააზრება, თუ რა სახით არის მთელი კაცობრიობა პირველმშობლების ცოდვის თანამონაწილე, რა თქმა უნდა, შეუძლებელია, და ეს საიდუმლოებითი მოვლენაა. წმინდა კირილე ალექსანდრიელი ზედმიწევნით განმარტავს აღნიშნულ საკითხს თავის ნაშრომებში. პირველად მოვიხმობთ განმარტებას კირილე ალექსანდრიელის ნაშრომიდან: Ἐρμηνεία εἰς τὴν πρὸς Ρωμαίους ἐπιστολὴν – „რომაელთა მიმართ ეპისტოლის განმარტება“¹⁷⁰:

¹⁶⁹ κατασοφισθέντος ὑπὸ τοῦ διαβόλου τοῦ πρώτου ἀνθρώπου, καὶ παρακούσαντος τοῦ Θεοῦ, καὶ διὰ τῆς παρακοῆς ὑπὸ τὴν ἁμαρτίαν πεσόντος, καὶ διὰ τῆς ἁμαρτίας τῷ θανάτῳ παραδοθέντος, πάντες τῆς ἀϊδίου ζωῆς ἐκπεπτώκαμεν, εἴτε ἁμαρτωλοί, εἴτε δίκαιοι· οὐδεὶς γὰρ ἀνθρώπων ὑψήρητο τοῦ ἐγκλήματος, διότι ὑπέκειται αὐτῷ ἡ ρίζα τῆς ἡμῶν φύσεως, λέγω δὴ ὁ πρῶτος ἄνθρωπος. ... Ὁφελον δὲ ἕως τούτου ἴστατο ἡ ἁμαρτία. Καὶ μὴν πλήθος δυσσεβείας ἐπεισήγαγεν· ἅπαξ γὰρ χωρισθεὶς ὁ ἄνθρωπος τοῦ παραδείσιου φωτός, ἐρασθεὶς λεληθότως τῶν ἐναντίων ἐγένετο. Καὶ ἦν αὐτῷ ἡ πλάνη οἰκειωτέρα τῆς ἀληθείας, ἀυθαίρετος ἡ πονηρία, εὐπαράδεκτος ἡ εἰδωλολατρεία, εὐλογος ἡ φιληδονία, σπουδαζομένη ἡ πλεονεξία, πληθονομένη ἡ ἁμαρτία, ἡ ὀργὴ φοβερωτέρα, ὁ ὄφις θρασύτερος, ὁ δὲ ἄνθρωπος ποτὲ ἐνεός, ποτὲ μετέωρος, τὸ μέλλον οὐκ εἰδώς καὶ τοῖς ἐνεστῶσιν ἐγκείμενος· ... Ὁ δὲ τῶν τοιούτων κακῶν ἔσμος λοιπὸν ἐγένετο ἄλυτος δεσμός· ἐχρῆν γάρ, καθὼς ἐν πρώτοις τῇ παραβάσει, οὕτω καὶ πᾶσι τούτοις δικαίαν ἐπακολουθῆσαι τὴν ψήφον. Εἰ δὲ ἐπὶ τῇ μιᾷ βρώσει θάνατος ὤριστο, ἐπὶ τῇ προσθήκῃ τῶν τοιούτων πονηρευμάτων τίς ἂν λοιπὸν ἀξία ἐπιφορὰ ἐπιγένηται, ἡ τὸ ζῆν ἐν κολάσει δι' αἰῶνος τὸν ἄνθρωπον; Τοῦτο γὰρ καὶ ὁ διάβολος ἐπήφιξε κατὰ τοῦ ἀνθρώπου, ἴσως ἐκ τοῦ ἰδίου τόπου καὶ τῶν ἡμετέρων στοχαζόμενος καὶ λέγων· Ὡσπερ τῆς πονηρίας ἐγένοντο κοινωνοί, οὕτως καὶ τῆς κολάσεως ἔσονται. Δίκαιος γὰρ ἔστιν ὁ Θεὸς καὶ ἀληθής, καὶ τὸν ἑαυτοῦ νόμον οὐ παραλύει· καὶ καθὼς ἐπὶ τῇ παραβάσει ἐξέβαλε τοῦ παραδείσου τὸν ἄνθρωπον καὶ θανάτῳ παρέδωκεν, οὕτως ἐπὶ τῇ προσθήκῃ τῶν κακῶν ἐν κολάσει συνδιδαιωνίζειν αὐτὸν ἔμοι καταδικάσει! (Durand 2000: 286-288).

¹⁷⁰ კირილე ალექსანდრიელის ნაშრომში ჩვეულებრივი წაკითხვის ნაცვლად – Διὰ τοῦτο გვაქვს – *οὐκοῦν* (შტრ. Aland... 2005: 531): «*οὐκοῦν* ὡς δι' ἑνὸς ἀνθρώπου φησὶν ἡ ἁμαρτία εἰς τὸν κόσμον εἰσηλθε, καὶ διὰ τῆς ἁμαρτίας ὁ θάνατος, καὶ οὕτως εἰς πάντας ἀνθρώπους ὁ θάνατος διήλθεν ἐφ' ᾧ πάντες ἡμαρτον» εἰσέδου μὲν γὰρ, ὡς ἔφη, διὰ τῆς ἁμαρτίας ὁ θάνατος ἐν τῷ πρωτοπλάστῳ καὶ ἐν τῇ τοῦ γένους ἀρχῇ· εἶτα ὄλον ἐφεξῆς κατενεμήθη τὸ γένος. ἀλλὰ καὶ ὁ τῆς ἁμαρτίας εὐρετῆς δράκων ἰσχύσας ἐν Ἀδὰμ τοῖς τῆς φαυλότητος τρόποις, βατὴν εἴργασται τὴν ἀνθρώπου διάνοιαν· "Πάντες γὰρ ἐξέκλιναν, ἅμα ἡχρειώθησαν." ἐκ προσώπου δὲ οὗν γεγονότες τοῦ παναγίου Θεοῦ διὰ τοι τὸ ἐπιμελῶς ἐγκεῖσθαι τὴν ἀνθρώπου διάνοιαν "ἐπὶ τὰ πονηρὰ ἐκ νεότητος," ἀλογώτερον διεζῶμεν βίον· καὶ "κατέπιεν μὲν ὁ θάνατος ἰσχύσας," ὡς ὁ προφήτης φησὶν, ἐπλάτυνε δὲ καὶ "ὁ ἄδης τὴν ψυχὴν αὐτοῦ καὶ διήνοιξε τὸ στόμα αὐτοῦ τοῦ μὴ διαλιπεῖν·" ἐπειδὴ γὰρ τῆς ἐν Ἀδὰμ παραβάσεως γεγόναμεν μιμηταὶ καθ' ὃ πάντες ἡμαρτον, ταῖς ἴσαις ἐκείνῳ δίκαις ὑπενενήγμεθα· ἀλλ' οὐ μεμένηκεν ἀνεπικούρητος ἡ ὑπ' οὐρανὸν, καθήρηται γὰρ ἡ ἁμαρτία, πέπτωκεν ὁ σατανᾶς, κατήρηται δὲ καὶ ὁ θάνατος (PG. 1863(d): 783). ... Ἀλλ' εἴποι τις ἂν Ναὶ παρώλισθεν ὁ Ἀδὰμ, καὶ τῆς θείας ἀλογήσας ἐντολῆς, φθορᾶ καὶ θανάτῳ κατεδικάζετο· εἶτα πῶς ἁμαρτωλοὶ δι' αὐτὸν κατεστάθησαν οἱ πολλοί; τί πρὸς ἡμᾶς τὰ ἐκείνου πταισμάτα; πῶς δὲ ὄλωσεν οἱ μὴπω γεγεννημένοι καταδικάσμεθα σὺν αὐτῷ; καίτοι Θεοῦ λέγοντος "Οὐκ ἀποθανοῦνται πατέρες ὑπὲρ τέκνων, οὔτε τέκνα ὑπὲρ πατέρων", "ψυχὴ ἡ ἁμαρτάνουσα αὕτη ἀποθανεῖται·" τίς οὗν ἂν γένοιτο πρὸς ἡμᾶς τῆς ἀπολογίας ὁ τρόπος; οὐκοῦν ψυχὴ μὲν ἡ ἁμαρτάνουσα αὕτη ἀποθανεῖται· ἁμαρτωλοὶ δὲ γεγόναμεν διὰ τῆς παρακοῆς τοῦ Ἀδὰμ διὰ τοῖονδε τρόπον· πεποιήτο μὲν γὰρ ἐπὶ ἀφθαρσία καὶ ζωῆ, ἦν δὲ αὐτῷ καὶ ὁ βίος ἀγιοπρεπῆς ἐν τῷ παραδείσῳ τῆς τρυφῆς, ὅλος ἦν καὶ διὰ παντὸς ἐν θεοπτίαις ὁ νοῦς, ἐν εὐδία δὲ καὶ γαλήνῃ τὸ σῶμα, κατηρεμούσης ἀπάσης αἰσχροῦς ἡδονῆς· οὐ γὰρ ἦν ἐκτόπων κινήματων θόρυβος ἐν αὐτῷ· ἐπειδὴ δὲ πέπτωκεν ὑφ' ἁμαρτίαν, καὶ κατώλισθεν εἰς φθορὰν, ἐντεῦθεν εἰσέδραμον τὴν τῆς σαρκὸς φύσιν ἡδοναί τε καὶ ἀκαθαρσίαι, ἀνεφύ δὲ καὶ ὁ ἐν τοῖς μέλεσιν ἡμῶν ἀγριαίων νόμος. ვენόσηκεν οὗν ἡ φύσις τὴν ἁμαρτίαν διὰ τῆς παρακοῆς τοῦ ἑνός, τουτέστιν Ἀδὰμ· οὕτως ἁμαρτωλοὶ κατεστάθησαν οἱ πολλοί, οὐχ ὡς τῷ Ἀδὰμ συμπαραβεβηκότες, οὐ γὰρ ἦσαν πώποτε, ἀλλ' ὡς τῆς ἐκείνου φύσεως ὄντες τῆς ὑπὸ νόμον

[„მართლაც, ნათქვამია, რომ როგორც ერთი ადამიანისგან შემოვიდა ამ ქვეყნად ცოდვა, და ცოდვის მეშვეობით – სიკვდილი, ამგვარადვე, სიკვდილმა ყველა ადამიანში შეაღწია, რადგან ყველამ შესცოდა“ (შდრ. რომ. 5.12). მართლაც, როგორც ვთქვი, ცოდვის მეშვეობით სიკვდილმა შეაღწია პირველქმნილ ადამიანში და შთამომავლობის საწყისში. შემდეგ კი თანმიმდევრულად და სრულად გადანაწილდა შთამომავლობაზე. მაგრამ ცოდვის გამომგონებელმა გველმა, რომელმაც იმძლავრა რა ადამზე, უბოროტესი ჩვეულებების მიმართ ადვილად მიმღები (გამტარი) გახდა ადამიანის აზროვნება. „რადგან ყველა შეცდა, ერთნაირად უსარგებლო გახდა“ (რომ. 3.12; შდრ. ფსალმ. 13.3). მართლაც, აღმოვჩნდით რა უფლის ყოვლადწმინდა სახისგან [შორს], სწორედ იმის გამო, რომ „ადამიანის აზროვნება მონდომებით წარემართა უკეთურებისკენ სიყრმიდანვე“ (შდრ. დაბ. 8.21), უფრო მეტად უგუნურად ვატარებდით ცხოვრებას, და „შთანთქა სიკვდილმა, რომელსაც ძალა მიეცა“ (ესაია 25.8), როგორც წინასწარმეტყველი ამბობს: „გააფართოვა ჯოჯოხეთმა თავისი სული და მოუკლებლად გააღო თავისი პირი“ (ეს. 5.14). მართლაც, მას შემდეგ, რაც ადამში [მისი] დანაშაულის მიმბამველები გავხდით, რადგანაც ყველამ შევსცოდეთ, თანაბარი სასჯელების ქვეშ მასთან ერთად აღმოვჩნდით. ... მაგრამ ვიღაც იტყვის: „თუკი ადამი შეცდა, და როცა უგულვებლყო საღვთო მცნება, ხრწნილებით და სიკვდილით დაისაჯა, შემდეგ, ამის გამო, ყველა¹⁷¹ როგორ გახდა ცოდვილი? რა სახით გვიკავშირდება ჩვენ მისი ცდომილება? და საერთოდ, ისინი ვინც არც კი იყვნენ დაბადებულნი, როგორღა დაისაჯნენ მასთან (ადამთან) ერთად? რადგან უფალი ამბობს: «არ მოკვდებიან მამები შვილების გამო, და არც შვილები მამების გამო» (რჯლ. 24.16); «ის სული მოკვდება, რომელიც შესცოდავს» (ეზეკ. 18.4). რა სახის იქნება ჩვენი პასუხი [ამ შეკითხვაზე]? მართლაც, ის სული, რომელიც შესცოდავს, მოკვდება, ხოლო ცოდვილნი ადამის ურჩობის გამო ამ სახით (ამგვარად) გავხდით: [ადამი] შეიქმნა უხრწნელებისა და სიცოცხლისთვის, მას კი სიწმინდის შესაფერისი ცხოვრება ჰქონდა ნეტარების სამოთხეში, ხოლო მისი გონება სრულად და ყოველთვის საღვთო

πεσοῦτης τὸν τῆς ἀμαρτίας. ὡσπερ τοῖσιν ἠῆρώστησεν ἡ ἀνθρώπου φύσις ἐν Ἀδὰμ διὰ τῆς παρακοῆς τῆν φθορὰν, εἰσῆδν τε οὐτως αὐτῶν τὰ πάθη, οὐτως ἀπῆλλακται πάλιν ἐν Χριστῷ· γέγονε γὰρ ὑπὲρ τοῦ Θεοῦ καὶ Πατρὸς, καὶ οὐκ ἐποίησεν ἀμαρτίαν (PG. 1863(d): 787-789).

¹⁷¹ πολλοί – ამ შემთხვევაში, სიტყვასიტყვით ნიშნავს: „კრებული“, „ადამიანთა ერთობლიობა“, კონტექსტიდან გამომდინარე, ჩვენ ვთარგმნით: „ყველა“, რადგან სწორედ ამ მნიშვნელობით იყენებს წმ. კირილე ალექსანდრიელი აღნიშნულ სიტყვას.

მჭვრეტელობაში მყოფობდა, სხეული კი სიმშვიდესა და უშფოთველობაში, რადგან არ აღიძვროდა ყოველგვარი სამარცხვინო ვნება, რადგან უცხო მოქმედებათა დამაბნეველობა არ იყო მასში. მას შემდეგ, რაც ცოდვით დაეცა [ადამი] და ხრწნილებაში აღმოჩნდა, ამის გამო [დაცემულ] ხორციელ ბუნებში შეაღწია ვნებამაც და უწმინდურობამაც, ხოლო ჩვენი სხეულის ნაწილებში აღმოცენდა უცხო (ველური) რჯული. შესაბამისად, ერთის ურჩობის, ანუ ადამის გამო ბუნება დასნეულდა ცოდვით. ამგვარად, ყველანი ცოდვილნი გახდნენ, არა იმიტომ, რომ ადამთან ერთად შესცოდეს, რადგან ისინი ჯერ კიდევ არ არსებობდნენ, არამედ მყოფობენ ადამის დაცემული ბუნების ცოდვის რჯულის ქვეშ¹⁷². აქედან გამომდინარე, როგორც ადამიანის ბუნება ურჩობის გამო დასნეულდა ხრწნილებით, და ამგვარად შეაღწია მასში ვნებამ, მსგავსადვე, [ადამიანის ბუნება] ქრისტეში კვლავ განთავისუფლდა [ვნებისგან], რადგან გახდა მორჩილი ღმერთის და მამის, და არ ჩაუდენია ცოდვა].

ახლა კი დავიმოწმებთ კირილე ალექსანდრიელის მეორე ნაშრომს: Πρώτον κεφάλαιον ἐπιλύσεως διγυματικῶν ζητημάτων προτεθέντων τῷ ἁγιωτάτῳ Κυρίλλῳ – [პირველი თავი დოგმატური კითხვების განმარტებების, წარდგენილი წმინდა კირილე ალექსანდრიელისადმი]:

[რატომ არის, რომ ადამში ვკვდებით¹⁷³, მამისეული საჯელით განვისჯებით, და თითოეული ვალდებულია, იტვირთოს ადამის დანაშაულებები, ხოლო ქრისტეში აღმდგარმა (გაცოცხლებულმა) ჩემმა მამამ¹⁷⁴, რომელიც სულიწმინდის მიერ პირველმშობლის ვალისა და საკუთარი ცოდვისგან იქნა გამოხსნილი (განწმენდილმა), არ გადმომცა მე, მისგან შობილს, ეს სიწმინდე, და არც მასში (მამაში) [არსებული] სამართლიანი მაღლი შემძინა მე, მიუხედავად იმისა, რომ მაღლი გაცილებით აღმატებულია ცოდვაზე?

განმარტება:

ჯერ არს, რომ გამოვიკვლიოთ, თუ როგორ გადმოგვცა ჩვენ პირველმა მამამ, ადამმა, ის სასჯელი, რომელიც მისთვის იყო განწესებული დანაშაულის გამო. მან

¹⁷² არამედ, მას შემდეგ, რაც ადამის ბუნება დაეცა ცოდვის რჯული ქვეშ, ისინიც ამგვარად მყოფობენ.

¹⁷³ შდრ. „რამეთუ კაცისა მიერ იყო სიკუდილი, და კაცისა მიერ – აღდგომაჲ მკუდართაჲ. და ვითარცა-იგი ადამის გამო ყოველნი მოსწყდებიან, ეგრეთცა ქრისტეს მიერ ყოველნი ცხოველ იქმნენ“ (1 კორ. 15.21,22) (ჭელიძე 2017: 327).

¹⁷⁴ იგულისხმება საკუთრივ მამა, ანუ მშობელი, და არა პირველმშობელი, ანუ ადამი.

გაიგონა, რომ „მიწა ხარ და მიწადვე მიიქცევი“ (შდრ. დაბ. 3.19), უხრწნადი ხრწნადი გახდა, და სიკვდილის ბორკილებში აღმოჩნდა. ხოლო, რაკი ამ მდგომარეობაში დაცემულმა შვა შვილები, მისგან, როგორც ხრწნადისგან შობილები – ხრწნადები დავიზადეთ; და ამ სახით ვართ ადამში წყევლის მემკვიდრეები. მაგრამ იმის გამო სრულიად არ ვისჯებით, რომ თითქოს მასთან ერთად უგულბევეყავით საღვთო მცნება, რომელიც ადამმა მიიღო, არამედ, როგორც ვთქვი, იმიტომ ვისჯებით, რომ, გახდა რა მოკვდავი, მისგან შთამომავლობით თესლში გადმოიცა წყევლა. რადგან მკვდრები დავიზადეთ მკვდრისგან. ხოლო უფალმა ჩვენმა იესო ქრისტემ, რომელიც წოდებულია მეორე ადამად და ჩვენი წარმომავლობის მეორე საწყისად, პირველის შემდეგ, აღგვადგინა ჩვენ უხრწნადობაში, დათრგუნა სიკვდილი, და საკუთარი ხორცით გააუქმა იგი, და აღხოცილია მასში ძველი წყევლის ძალა. ამიტომ ამბობს ყოვლადბრძენი პავლე: „როგორც ადამიანის მიერ [შემოვიდა] სიკვდილი, ასევე ადამიანის მიერ [იქნა] მკვდართა აღდგომა“; და კვლავ: „როგორც ადამში ყველანი კვდებიან, ისე ქრისტეში იცოცხლებს ყველა“ (1 კორ. 15.21,22). ამიტომ, ადამში დანაშაულის გამო საყოველთაო და მემკვიდრეობითი მართლმსაჯულება არის ხრწნადობა და სიკვდილი. ასევე, ქრისტეშიც ყველას მიმართ აღსრულდა მემკვიდრეობითი¹⁷⁵ გამოხსნა. მართლაც, ქრისტეში ადამიანურმა ბუნებამ სიკვდილი განიძარცვა (მოიცილა), რომელიც მასზე იყო დაშვებული, იმის გამო, რომ პირველი ადამიანი გახდა ხწნადი. ხოლო თითოეული ჩვენგანის მამა, თუნდაც რომ განწმენდილი იყოს სულიწმინდის მიერ და მას ცოდვები ჰქონდეს მიტევებული, ჩვენ ამ ძღვენს არ გადმოგვცემს [მემკვიდრეობით], რადგან ერთია ის – უფალი ჩვენი იესო ქრისტე, ვინც ყველას განწმენდს, განგვამართლებს და აღგვადგინებს უხრწნელებით, და ეს ძღვენი მის მიერ და მისგან თანაბრად ებოძება ყველას. სხვა არის ცოდვათა მიტევება, და სხვა არის სიკვდილისგან განთავისუფლება. თითოეული საკუთარი ცოდვების მიტევებას სულიწმინდის მეშვეობით იღებს ქრისტეში, ყველანი ერთად კი ვთავისუფლდებით დასაბამში ჩვენზე დადებული მართლმსაჯულებისგან, ვგულისხმობ – სიკვდილს, რომელმაც ჩვენ მოგვიცვა, პირველი [ადამის] მსგავსად, რომელიც მოკვდა]¹⁷⁶.

¹⁷⁵ იგულისხმება, რომ იესო ქრისტეს მიერ ყველა ადამიანის ბუნება გამოხსნილია ცოდვის ტყვეობისგან.

¹⁷⁶ Διὰ τὴν ἐν τῷ Ἀδὰμ ἀποθνήσκοντες πατρικὴν εὐθύνομεν θῆκην, καὶ τὴν ἐκεῖνους παράβασις ἕκαστος χρεώσεται· ἐν δὲ τῷ Χριστῷ ζωοποιῶμεθα ὅτι ἐμὸς πατήρ καὶ διὰ τοῦ ἁγίου πνεύματος καθαρῶς τῆς τε προπατορικῆς ὀφλήσεως καὶ

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ეკლესიის მამათა მიხედვით, სწავლება „სულიერი რჯულის“ შესახებ განუყოფელია მეორე საეკლესიო მოძღვრებისგან, რომელიც „უფლის სამართლიანობის დაცვას“, ანუ „თეოდიციას“ გულისხმობს.

ეს ორი მოძღვრება და მათი განუყოფლობა ნათლად არის წარმოჩენილი და განმარტებული წმინდა გრიგოლ ღვთისმეტყველის 45-ე სიტყვაში, სათაურით: Λόγος μὲ'. Εἰς τὸ ἅγιον Πάσχα - „წმინდა აღდგომის შესახებ“¹⁷⁷:

„მაგრამ ვინაიდან ეშმაკის შურით და ქალის შემაცდენლობით (რაც განიცადა თვით ამ ქალმა, როგორც უფრო სუსტმა, და რაც გამოიყენა მანვე, როგორც უფრო სარწმუნომ), დაივიწყა მან მოცემული მცნება (ვაი ჩემს უძლურებას, ვინაიდან ჩემია ის, რაც არის ჩემი წინამამისა), იძლია მწარე გემოსხილვისგან და ბოროტების გამო ერთბაშად ხდება გაძევებული სიცოცხლის ხისგანაც, სამოთხისგანაც და ღვთისგანაც, გარემოიხვევს რა „ტყავის შესამოსლებს“ (ანუ, როგორც ჩანს, უფრო განხშობულ ხორცს, – მოკვდავსა და წინააღმდეგობის გამწევს). ამ დროს კი პირველად შეიცნობს საკუთარ სიშიშვლეს და იმალება ღვთისგან (შდრ. დაბ. 3.7-10), ხოლო სარგებლობს რაღაცას აქაც – სიკვდილს და ცოდვის მოკვეთას, რომ არ იყოს ცოდვა უკვდავი. და სასჯელი ხდება კაცთმოყვარეობა, ვინაიდან მჯერა, რომ სწორედ ამგვარად სჯის ღმერთი“ (ჭელიძე 2020დ: 15).

τῆς ἰδίας πλημμελείας, οὐ μετέδωκέ μοι τῆς καθαρότητος τῷ γεννηθέντι, οὕτε ὤνησέ με τῆς εἰς αὐτὸν δικαιοσύνης ἢ χάρις, καίτοι ὑπερισχύουσα κατὰ τῆς ἁμαρτίας;

Ἐπίλυσις

Ἐξετάσαι χρηὶ πῶς εἰς ἡμᾶς ὁ προπάτωρ Ἀδὰμ παρέπεμψε τὴν ἐπενεχθεῖσαν αὐτῷ διὰ τὴν παράβασιν δίκην. ἦκουσεν ὅτι γῆ εἶ καὶ εἰς γῆν ἀπελεύσει, καὶ φθαρτὸς ἐξ ἀφθάρτου γέγονε, καὶ ὑπηνέχθη τοῖς τοῦ θανάτου δεσμοῖς. ἐπειδὴ δὲ εἰς τοῦτο πεσὼν ἐπαιδοποίησεν, οἱ ἐξ αὐτοῦ γεγονότες ὡς ἀπὸ φαρτοῦ φαρτοὶ γεγόναμεν. οὕτω καὶ ἐσμεν τῆς ἐν Ἀδὰμ κατάρως κληρονόμοι. οὐ γὰρ πάντως ὡς σὺν ἐκείνῳ παρακούσαντες τῆς θείας ἐντολῆς ἦς ἐδέξατο τετιμωρήμεθα, ἀλλ' ὅτι, ὡς ἔφη, θνητὸς γεγὼνώς, εἰς τὸ ἐξ αὐτοῦ σπέρμα παρέπεμψε τὴν ἀράν· θνητοὶ γὰρ γεγόναμεν ἐκ θνητοῦ· ὁ δὲ γε κύριος ἡμῶν Ἰησοῦς Χριστὸς χρηματίσας δευτέρως Ἀδὰμ, καὶ ἀρχὴ τοῦ γένους ἡμῶν δευτέρα μετὰ τὴν πρώτην, ἀνεμόρφωσεν ἡμᾶς εἰς ἀφθαρσίαν, προσβαλὼν τῷ θανάτῳ, τῇ ἰδίᾳ σαρκὶ καταργήσας αὐτόν, καὶ λέλυται τῆς ἀρχαίας ἀρᾶς ἢ δύναμις ἐν αὐτῷ. διὰ τοῦτο φησὶν ὁ πάνσοφος Παῦλος ὅτι ὡσπερ δι' ἀνθρώπου ὁ θάνατος, οὕτω καὶ δι' ἀνθρώπου ἀνάστασις νεκρῶν, καὶ πάλιν ὡσπερ ἐν τῷ Ἀδὰμ πάντες ἀποθνήσκουσιν, οὕτω καὶ ἐν τῷ Χριστῷ πάντες ζωοποιηθήσονται. οὐκοῦν ἢ καθόλου καὶ γενικωτάτη δίκη διὰ τῆς ἐν Ἀδὰμ παραβάσεως ἢ φθορά καὶ ὁ θάνατος ἐστίν· ὁμοίως ἢ κατὰ πάντων καὶ γενικωτάτη λύτρωσις ἐν Χριστῷ τετέλεσται. ἀπεδύσατο γὰρ ἢ ἀνθρώπου φύσις ἐν αὐτῷ τὸν ἐπιρριφέντα αὐτῇ θάνατον διὰ τοῦ γενέσθαι φθαρτὸν τὸν πρῶτον ἄνθρωπον. ὁ δὲ ἐκάστω ἡμῶν πατήρ, κἂν ἁγιασθῆ διὰ τοῦ ἁγίου πνεύματος καὶ κομίσῃται τῶν πλημμελημάτων τὴν ἄφεσιν, οὐ παραπέμψει καὶ εἰς ἡμᾶς τὸ δῶρον. εἷς γὰρ ἐστὶν ὁ πάντας ἁγιάζων καὶ δικαίων καὶ ἀνακομίζων εἰς ἀφθαρσίαν ὁ κύριος ἡμῶν Ἰησοῦς Χριστὸς, καὶ εἷς πάντας ἐν ἴσῳ δι' αὐτοῦ καὶ παρ' αὐτοῦ τὸ δῶρον ἔρχεται. ἕτερον δὲ ἐστὶν ἁμαρτίας ἄφεσις, καὶ ἕτερον θάνατος λύσις. καὶ ἕκαστος μὲν τῶν ἰδίων πλημμελημάτων κερδαίνει τὴν ἄφεσιν ἐν Χριστῷ διὰ τοῦ ἁγίου πνεύματος· κοινῇ δὲ ἅπαντες ἀπαλλαττόμεθα τῆς ἐν ἀρχαῖς ἐπενεχθείσης ἡμῖν δίκης, τῆς τοῦ θανάτου φημί δραμούσης εἰς ἅπαντας, καθ' ὁμοιότητα τοῦ πρώτου πεσόντος εἰς θάνατον (Wickham 1983: 200-202).

¹⁷⁷ წმინდა გრიგოლ ღვთისმეტყველის ცნობილი თექვსმეტი სადღესასწაულო სიტყვა, სადაც შესულია 45-ე სიტყვა, აქამდე, სრული სახით ორგზის იყო თარგმნილი ქართულად. პირველი მთარგმნელი არის წმ. ექვთიმე ათონელი, მეორე გახლავთ წმ. ევრემ მცირე, ხოლო მესამე, თანამედროვე ქართული თარგმანი შესრულებულია ედიშერ ჭელიძის მიერ.

მეტი სიცხადისა და თვალსაჩინოებისთვის დავიმოწმებთ ექვთიმე ათონელისა და ეფრემ მცირის თარგმანებს:

ექვთიმე ათონელი: ვინადთგან უკუე შურიტა ეშმაკისადთა და ცთომითა დედაკაცისადთა, რომელი სცთა, ვითარცა უუძლურესი და მან მოილო ვითარცა უსარწმუნოესი და დასაჯეროდ (ჟ უძლურებად ესე ჩემი! რამეთუ რომელი-იგი პირველისა მამისად იყო, იგი ჩემი არს). დაავიწყდა მცნებად იგი, მიცემული მისდა, და იძლია მწართა მით გემოდსხილვითა და ერთბამად განძებულ-იქმნა ძელსა მისგან ცხორებისა და სამოთხისაგან და ღმრთისა და ტყავისა იგი სამოსელი შეიმოსა, ანუ უკუე ტყავისა სამოსელნი, ჯორცნი ესე ზრქელ არიან და მოკუდავნი და წინააღმდგომნი, და უწინარეს მისა იცნა თვისი იგი სირცხული და იმაღვოდა ღმრთისაგან (შდრ. დაბ. 3.7-10). ხოლო შეიძინა აქაცა რადმე, ესე არს სიკუდილი და განკუეთად ცოდვისად, რადთა არა უკუდავ იყოს ბოროტი იგი, და იქმნა შურისგებად წყალობად, რამეთუ მე დამიჯერიეს, ვითარმედ ესრეთ სწავლის ღმერთი“ (Metreveli 1998: 52-54).

ეფრემ მცირე: „ვინადთგან უკუე შურიტა ეშმაკისადთა და განცდითა დედაკაცისადთა, რომელსა ევნო, ვითარცა უჩჩლესსა და რომელმან მიილო, ვითარცა უსარწმუნოესი (ჟ ჩემსა უძლურებასა, რამეთუ ჩემ პირველისა მამისად!), დაავიწყდა მცნებისა მიცემულისად და იძლია მწართა გემოდსხილვითა და ერთბამად ძელისაგან ცხორებისა და სამოთხისა და ღმრთისა სიბოროტისათჳს ექსორია იქმნა და ტყავისანი შეემოსნეს სამოსელნი, ნუუკუე და უზრქესნი-რე ჯორცნი და მოკუდავნი და წინააღმდგომნი; და ესე პირველ იცნა თვისი სირცხული და იმაღვოდა ღმრთისა. შეიძინა უკუე აქაცა რადმე – სიკუდილი და განკუეთად ცოდვისად, რადთა არა უკუდავ იყოს ბოროტი და იქმნა კაცთმოყუარებად ტანჯვად, რამეთუ ესრეთ მრწამს მტანჯველობად ღმრთისად“ (Ibid. 53-55)¹⁷⁸.

წმინდა გრიგოლ ღვთისმეტყველისგან მოცემული ეს სიტყვები – ἐμὴ γὰρ ἢ τοῦ προπάτορος – შდრ.: *ექვთიმე: „რამეთუ რომელი-იგი პირველისა მამისად იყო, იგი ჩემი*

¹⁷⁸ Ἐπεὶ δὲ φθόνῳ διαβόλου, καὶ γυναικὸς ἐπιρραία, ἦν τε ἔπαθεν, ὡς ἀπαλωτέρα, καὶ ἦν προσήγαγεν, ὡς πιθανωτέρα (φεὺ τῆς ἐμῆς ἀσθενείας! ἐμὴ γὰρ ἢ τοῦ προπάτορος), τῆς μὲν ἐντολῆς ἐπελάθετο τῆς δοθείσης, καὶ ἠτήθη τῆς μικρᾶς γέυσεως· ὁμοῦ δὲ τοῦ τῆς ζῆς ἄλλου, καὶ τοῦ παραδείσου, καὶ τοῦ Θεοῦ διὰ τὴν κακίαν ἐξόριστος γίνεται, καὶ τοὺς δερματίνους ἀμφιένυσται χιτῶνας, ἴσως τὴν παχύτεραν σάρκα, καὶ θνητὴν, καὶ ἀντίτυπον· καὶ τοῦτο πρῶτον γινώσκει τὴν ἰδίαν αἰσχύνην, καὶ ἀπὸ Θεοῦ κρύπτεται. Κερδαίνει μὲν τι κἀνταῦθα, τὸν θάνατον, καὶ τὸ διακοπῆναι τὴν ἀμαρτίαν, ἵνα μὴ ἀθάνατον ἦ τὸ κακόν. Καὶ γίνεται φιλανθρωπία, ἢ τιμωρία. Οὕτω γὰρ πείθομαι κολάζειν Θεόν (Migne1858: 633,A3).

არს“, *ეფრემი*: „რამეთუ ჩემ პირველისა მამისაჲ!“; ე. ჭელიძე: „ვინაიდან ჩემია ის, რაც ჩემი წინამამისა“, – ნათლად წარმოაჩენს, რომ ადამისეულ შეცოდებას წმ. გრიგოლი სრულად განუკუთვნებს საკუთარ თავსაც. ამ სიტყვებით, წმინდა მამა აღმოფხვრის იმ უკეთურ აზრს, რომ პირველცოდვა, თითქოსდა, შემოიფარგლება მხოლოდ პირველშობლებით, და რომ დანარჩენ კაცობრიობას, როგორც პირველცოდვასთან შეხების არმქონეს, უსამართლოდ დაეკისრა პირველცოდვის უმძიმესი სასჯელი – მარადიული სიკვდილი.

რაც შეეხება თავად სასჯელს. სამოთხიდან გამოძევება, როგორც სასჯელი, და აქედან გამომდინარე, უფლისგან მოვლინებული ყოველი სასჯელი – განგებულებითად, კაცთმოყვარეობითად და ყოვლადსამართლიანად ეკისრება ყოველ ადამიანს, რადგან სწორედ სასჯელის შედეგად იქნა თავიდან აცილებული ცოდვის გამარადიულება, რომელიც კაცობრიობას დაუბზობდა გზას ცხოვნებისკენ (შდრ. ჭელიძე 2020დ: 306-307). ადამიანისგან მოცემული სწავლების მართებულად გაცნობიერება გულისხმობს „სულიერი რჯულის“ გააზრებასა და აღსრულებას, რომელსაც გვასწავლის მარკოზ მონაზონი, და რომელიც საეკლესიო სწავლება გახლავთ.

მსჯელობის დასასრულ, დასკვნის სახით ვიტყვით, მარკოზ მონაზონის ნაშრომების შესწავლის შედეგად, ცხადად წარმოჩნდა, რომ მისი შრომები განსმჭვალულია არა მხოლოდ ასკეტური, არამედ დოგმატური და ეგზეგეტიკური სწავლებანი. მის ნაშრომებში ნათლად არის ჩამოყალიბებული სწავლება, რომლის მიხედვითაც, მთელმა კაცობრიობამ შესცოდა; და ყოველი ადამიანის ხვედრია არა მარტო ცოდვის შედეგი, არამედ თავად ცოდვაც. შესაბამისად, თუ ჩვენ არ გავითვალისწინებთ და არ ვაღიარებთ ზემოთ წარმოდგენილ მართლმადიდებლურ სწავლებებს, რომელთაც წარმოგვიდგენენ მართლმადიდებელი ეკლესიის მოძღვარნი: კირილე ალექსანდრიელი, მარკოზ მონაზონი, იკუმენიოსი, მაქსიმე აღმსარებელი, გრიგოლ ღვთისმეტყველი, ექვთიმე ათონელი, ეფრემ მცირე, და რომელზეც დაფუძნებულია მთელი მართლმადიდებლური ღვთისმეტყველება, – შესაძლოა, იმ გაუკუღმართებულ აზრამდეც კი მივიდეთ, რომელსაც ამგვარი ფორმულიერება შეიძლება ჰქონდეს:

რომ თითქოს მხოლოდ უფალს კი არ მიუღია ცოდვის შედეგი, არამედ მთელი კაცობრიობა თურმე ცოდვის შედეგის მიმღებია და, არა თავად ცოდვისა, რადგან ადამის და ევას დროს სხვა ადამიანები იქ არ იყვნენ, და ვერ შესცოდავდნენ ადამსა ევასთან ერთად, შესაბამისად, ყველა ადამიანის პირველცოდვაში თანამონაწილეობა ცთომილი აზრია. ანუ ადამიანს ცოდვის შედეგი გადმოეცა და ცოდვასთან კავშირი მას (ადამიანს) არ გააჩნია. ამგვარი განმარტებით კი, უქმდება უფლის ყოვლადსამართლიანობა, რადგან ადამმა და ევამ მიიღეს მარადიული სიკვდილი, არა მხოლოდ ხორციელებამდე დაცემა და უხრწნადის ნაცვლად ხრწნადი, მოკვდავი სხეული, არამედ სულის მარადიული წარწყმედა ჯოჯოხეთში. ყველა ადამიანი უფლის განკაცებამდე ჯოჯოხეთში მიდიოდა. ჯოჯოხეთიდან რომ გამოხსნილ იქნა ადამიანი, ეს ადამიანის დამსახურება კი არ არის, ეს უფლის აუცილებელი მოქმედება კი არ არის, რომ, განკაცდა რა უფალი, გარდაუვალად იყო იძულებული, რადგან – ეს არის მხოლოდ გულმოწყალება. ეს არც უფლის მიზეზ-შედეგობრივი მოქმედებაა, რომ – ესე ყოველი ასეც უნდა მომხდარიყო. გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს, თუ საიდან დავიწყებთ მსჯელობას. თუკი ჩვენ მხოლოდ ცოდვის შედეგი მოგვეცა და არავითარი დანაშაული არ მიგვიძღვის, მაშინ რატომ მოგვეცა ცოდვის შედეგი? უფალს ცოდვის შედეგი კი არ მიეცა, უფალმა გულმოწყალებითად იტვირთა ეს, მას შეეძლო, არ ეტვირთა, ჩვენ კი ცოდვის შედეგი გვეძლევა, როგორც სასჯელი. უფალს სასჯელად კი არ მიეცა კაცება, მან გულმოწყალებითად აღიხვნა ჩვენი შეცოდებანი. ჩვენ კი გენეტიკურად გადმოგვეცემა ეს სასჯელი, და რომ არ განკაცებულიყო უფალი, ჩვენ ჯოჯოხეთში ვიქნებოდით; და რისთვის დავისაჯეთ, თუკი უდანაშაულონი ვართ? ანუ – ამით ჩვენ მივდივართ იქამდე, რომ უფალი ყოფილა ყოვლად უსამართლო. ჩვენ უნდა შევთანხმდეთ – უფალი ყოვლად სამართლიანია თუ უსამართლო? აი, აქედან უნდა დავიწყოთ მსჯელობა. და თუ გვწამს, რომ უფალი სამართლიანია, მაშინ ისიც გვჯერა, რომ ეს სასჯელი სამართლიანადაა ჩვენზე მოწეული. სამართლიანად კი იმ შემთხვევაში იქნება, თუ ჩვენც მონაწილენი ვართ დანაშაულისა. უფლის განგებას სრულად ვერ ჩავწვდებით, მაგრამ ვიცით დოგმატი – უფალი არის გულმოწყალე და ყოვლადსამართლიანი, შესაბამისად, ის სასჯელი, რომელიც დაგვედო, სამართლიანად გვაქვს დადებული, და თუ სამართლიანად გვაქვს დადებული, ე.ი. დამნაშავენი ვართ, და დამნაშავენი თუკი ვართ, თანამონაწილენი ვართ პირველ

ცოდვისა. აქედან გამომდინარე, ყველა ადამიანს მხოლოდ ცოდვის შედეგი კი არ აქვს ადამისა და ევასგან, არამედ – თავად ცოდვაც, და ყველა ჩვენგანი ცოდვილნი ვართ ჩასახვისთანავე. სწორედ ეს არის განსხვავება უცოდველ განკაცებულ ღმერთსა და მთელ დანარჩენ კაცობრიობას შორის.

3. ¹⁷⁹ *ეფრემი*: „ხოლო მორჩილი იგი ზედა მიეტევა სიტყუასა ამას და თქუა:“ (თ. 15) SC.: Ὁ δὲ ὑποτακτικὸς ἐπιδραμὸν τῷ λόγῳ ἔφη· [მორჩილი კი მიეჭრა (თავს დაესხა, დაუპირისპირდა) ბერის სიტყვას და წარმოთქვა:].

ძველ ქართულ სიტყვას **მიეტევა** რამდენიმე მნიშვნელობა შეესაბამება ახალ ქართულად: „გადაცემა“, „მინდობა“, „შენდობა“, „პატიება“, „მიჭრა“, „მისევა“, „თავდასხამა“. ამ შემთხვევაში, ძველი ბერძნული ზმნა – ἐπιτρέχω ეფრემის მიერ თარგმნილია სიტყვით – „მიეტევა“, რომელიც სწორედ „თავდასხმის“, „მიჭრის“ მნიშვნელობას შეესაბამება. ძველი ქართული ენის ლექსიკონში „მიტევა“ ამგვარადაა განმარტებული – „მიტევა: თავდასხმა; მუნთუესვე აღივსო გულისწყრომითა და მიეტევა დავითის ზედა «შატბ. კრებ. 247, 33»“ (სარჯველაძე 1995:127).

4. ეფრემი: „არამედ ჩუენ ამისთვსცა გულსავსე-გყოფთ შენ ნაცვლით კითხვითა შესაბამისადთა“ (თ. 15) SC.: καὶ περὶ τούτου πληροφορήσομεν, τὰ προϊήκοντα ἀντεπερατήσαντες. [ამის შესახებაც სრულად განგიმარტავთ (დაგარწმუნებთ) შენ, როცა ამ საკითხებთან შესაბამის შეკითხვას უკან დაგიბრუნებთ (=და ამის შესაბამისად საპირისპიროდ გკითხავთ)].

საგულისხმოა, რომ ეფრემი ბერძნულ ზმნას – πληροφορήσομεν, რომელიც სიტყვასიტყვით ნიშნავს: „აღვასრულებთ“, „სრულად დავაკმაყოფილებთ“, თარგმნის მნიშვნელობით: „გულსავსე-გყოფთ“.

5. ეფრემი: „ხოლო მორჩილმან მიუგო და ჰრქუა: ცხად არს, ვითარმედ თავსმდებელნიცა მათნი“. მაშინ ბერმან მისსა მიმართ თქუა: «ზედამიწევნით უკუე ცან, ვითარმედ ქრისტემანცა მიგვთავსამდებნა რაჲ ჩუენ, მოვალე-ყო თავი თვისი» (თ. 15). SC.: Ὁ δὲ ὑποτακτικὸς ἀπεκρίθη λέγων Δηλονότι καὶ οἱ ἐγγυάμενοι αὐτοῦς. Ὁ δὲ γέρων πρὸς αὐτόν· Γνῶθι οὗν ἀκριβῶς ὅτι καὶ ὁ Χριστὸς ἡμᾶς ἀναδεξάμενος χρεωφειλέτην ἑαυτὸν κατέστησε [მორჩილმა მიუგო და უთხრა: „ცხადია ისინიც, ვინც თავდებად დაუდგა

¹⁷⁹ როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამ მონაკვეთიდან, თანმიმდევრობით, განვავსებთ მე-15 თავში არსებული ტექსტოლოგიური განსხვავებების განხილვას.

მათ“. მაშ, ზედმიწევნით გაიაზრე, რომ ქრისტემ, რომელმაც ჩვენ გვიტვირთა (მიგვიღო), საკუთარი თავი მოვალე გახადა].

საჭიროდ მიგვაჩნია, ცალკე გამოვყოთ ბერძნული ზმნის მიმდებარე ფორმა: ἀναδέχμενος, რომელიც ახალ ქართულად ნიშნავს – „საკუთარ თავზე ამღები, „მტვირთველი“. ეფერემი მისთვის დამახასიათებელი ხერხით (სტილით) თარგმნის მოცემულ მიმდებარე: „მიგვთავსამდებნა რაჲ“. აქვე დავაზუსტებთ, რომ მე-15 თავში თარგმნილი მიმდებარე – „თავსმდებელი“ შესატყვისად, პირველ შემთხვევაში, გვაქვს ასევე მიმდებარე ფორმა ἐγγυσάμενοι, ზმნიდან ἐγγύς, ხოლო, მეორე შემთხვევაში, ზმნის პირიანი ფორმის – „მიგვთავსამდებნა“ ნაცვალდ, არის ἀναδέχμενος, ზმნიდან – ἀναδέχομαι.

თ) მეთვრამეტე თავში გამოვლენილი განსხვავებული თარგმანი:

1. *ეფრემი*: „ამათთანა სულთაგანცა სიბოროტისათა, რომელთა მიმართი ბრძოლად ჩუენი მოციქულმან განაცხადა, რომელნი სიტყუათა და საქმეთა ჩუენთა ემზირებიან, რომელთა შედრგინებით და შეტყუებით გულისსიტყუათა ჩუენთა ჰაზრ-ჰყოფენ“ (თ. 18). SC.: τοῦτο δὲ διὰ τῶν πνευμάτων τῆς πονηρίας πρὸς ἃ τὴν πάλην ἡμῶν εἶναι ὁ Ἀπόστολος ἐφανερώσῃ τοὺς λόγους ἡμῶν καὶ τὰς πράξεις ἐπιτηρούντων, δι’ ἃν ἀκοιούθῃς ἐφ’ αὐτοὺς καὶ τοὺς λογισμοὺς ἡμῶν εἶναι καταστοχάζονται. [მეორე მხრივ, [მწუხარე საქმეები შეგვემთხვევა ჩვენ] ბოროტ სულთა მიერ, რომელთა მიმართ ჩვენი ბრძოლა მოციქულმა ცხადყო (განაცხადა), ბოროტი სულები, რომლებიც ჩვენს სიტყვებს და საქმეებს უთვალთვალევენ, და (რომლებიც) თვალთვალის მეშვეობით (დი’ ἃν) თანმიმდევრულად გამოიცნობენ, რომ ჩვენი გულისზრახვანიც [ჩვენი სიტყვების და საქმეების] შესაბამისნი არიან].

ეფრემი მოცემულ წინადადებას – τοὺς λόγους ἡμῶν καὶ τὰς πράξεις ἐπιτηρούντων, δι’ ἃν ἀκοιούθῃς ἐφ’ αὐτοὺς καὶ τοὺς λογισμοὺς ἡμῶν εἶναι καταστοχάζονται – ამგვარად თარგმნის: „რომელნი სიტყუათა და საქმეთა ჩუენთა ემზირებიან, რომელთა შედრგინებით და შეტყუებით გულისსიტყუათა ჩუენთა ჰაზრ-ჰყოფენ“. ეს წინადადება ახალქართულად ამ სახით ითარგმნება: [ბოროტი სულები, რომლებიც ჩვენ სიტყვებს და საქმეებს უთვალთვალევენ, და (რომლებიც) თვალთვალის მეშვეობით (დი’ ἃν) თანმიმდევრულად გამოიცნობენ (გამოიჭერენ, ვარაუდობენ), რომ ჩვენი გულისზრახვანიც [ჩვენი სიტყვების და საქმეების] შესაბამისნი (თანასწორნი) არიან].

ბერძნულ ზმნიზედას – ἀκίουσθα, რაც ნიშნავს – „შესაბამისად, თანმიმდევრულად“, ეგრემი თარგმნის – „შედრგინებით“. სულხან-საბას მიერ ეს სიტყვა განმარტებულია, როგორც – „შედგინება“, თავის მხრივ, „შედგინება“ იგივეა, რაც – „მიყოლა, მიდევნება“ (აბულაძე 1993: 788; აბულაძე 1973: 473). ამრიგად, ეგრემს, როგორც ყოველთვის, ზუსტად გადმოაქვს ორიგინალის მნიშვნელობა. რაც შეეხება ბერძნულ ზმნას – καταστοχάζομαι – სიტყვასიტყვით ნიშნავს: „ამოვიცნობ, გამოვიცნობ, მოვიხელთებ“; ეგრემი თარგმნის – „აზრ-ჰყოფენ“.

მნიშვნელოვანია, რომ მარკოზ მონაზონის მიერ გამოთქმულ ღვთისმეტყველებას ეფუძნება და ანალოგიურ საეკლესიო სწავლებას გადმოგვცემს წმინდა იოანე სინელი თავის ცნობილ ნაშრომში „კლემაქსი, ანუ კიბე“: [სიხარულითა და შიშით შევუდგეთ კეთილ მოღვაწეობას, და ნუ შეგვეშინდება ჩვენი მტრების, რადგან, თუმცა ჩვენი სულის მდგომარეობას (სახეს) აკვირდებიან, მაგრამ ვერ ხედავენ. და თუ შეამჩნევენ, რომ სულის სახე შიშისგან შეიცვალა (გაუცხოვდა), მაშინ ჩვენ წინააღმდეგ უფრო ძლიერად (სასტიკად) შეიარაღდებიან, რადგან მზაკვრები ხვდებიან, რომ შევშინდით. **სქოლიო 23:** „სულის სახეში“ – სულის ძალას გულისხმობს, რადგან ჩვენი მტრები, დემონები, სულიერი მდგომარეობის მინიშნებებისგან და ჩვენი გამოხატულებებისგან ამჩნევენ [ჩვენს] განწყობას. რადგან თავად კი არ იციან ჩვენი ზრახვები, არამედ მხოლოდ საკუთარ მზაკვრობებს თესავენ, და ამის შემდეგ ელოდებიან სულიერი განწყობის რომელ ბოროტ აზრებს შევიწყნარებთ; ხოლო ჩვენი უზრუნველობის გამო ისე ვმოქმედებთ, რომ დემონებმა, რომლებიც ვერ ხედავენ [ჩვენს ზრახვებს], დაინახონ]¹⁸⁰.

დავიმოწმებთ წმინდა ექვთიმე ათონელის თარგმანს:

„მოუკდეთ სიხარულით და შიშით კეთილსა მას ღუაწლსა და ნუმცა გუემინის მტერთა ჩუენთაგან, რამეთუ პირსა სულისა ჩუენისასა განიცდიან, დაღაცათუ ვერ ხედვენ, და უკუეთუ იხილონ პირი იგი სულისაჲ შიშისაგან შეცვალეული, მაშინ უმწარესად აღიჭურვიან ჩუენ ზედა, რამეთუ ცნიან მზაკუართა მათ, ვითარმედ

¹⁸⁰ Προσδράμαμεν χαρᾶ καὶ φόβῳ τῷ καλῷ ἀγῶνι, μὴ δειλιῶντες τοὺς ἐχθροὺς ἡμῶν, ἐπειδὴ εἰς πρόσωπον τῆς ψυχῆς ἡμῶν καθορῶσιν, εἰ καὶ οὐχ ὄρῶνται· κἂν ἴδωσιν αὐτὸ ἐκ δειλίας ἀλλοτριωθῆν, τότε καθ' ἡμῶν πικροτέρως ὀπλιζονται, νοήσαντες οἱ δόλιοι ὅτι ἐφοβήθημεν. Εὐψύχως οὖν πρὸς αὐτοὺς ὀπλισώμεθα· (Migne 1864(e): 641.A1-6). Σχόλιον κγ'. Πρόσωπον ψυχῆς, τὰς δυνάμεις εἴρηκε τῆς ψυχῆς· καὶ γὰρ ἐκ τῶν αἰνιγμάτων τῶν ψυχικῶν διαθήσεωσ, καὶ μιμήσεωσ ἡμῶν βλέπουσιν τὴν κατάστασιν οἱ ἐχθροὶ ἡμῶν δαίμονες· ἐπεὶ οὐκ ἐξ ἑαυτῶν γινώσκουσι τὰς ἡμῶν διανοίας, μόνας δε τὰς ἰδίας τέχνας ἐπισπειροῦσι, καὶ ἐκδέχονται τὸ μετὰ ποίας διαθήσεωσ εἰσδεχόμεθα τὰς ἐπιβουλάς· καὶ μὴ ὄρῶντας ὀρᾶν ποιοῦμεν αὐτοὺς διὰ τῆς ἡμῶν ῥαθυσίας (Ibid. 652).

შევზინდით“. [სქოლიო 23] „პირად სულისა» ძალთა და საქმეთა სულისათა იტყვს, რამეთუ სახეთაგან და საქმეთა და ქცევათაგან კაცისათა სცნობენ გულისსიტყუათა მტერნი ჩუენნი ეშმაკნი, თუ არა, თავით თვსით არარაჲ იციან გონებაჲ ჩუენი, რამეთუ დასთესვენ იგინი სულსა შინა უკეთურებასა და ელიან, რადთამცა ცნეს, თუ ვითარითა სახითა შევიწყანეთ მათი თესლი, და საქმეთაგან და ქცევათაგან სცნობენ, თუ ვითარ შევიწყანართ“¹⁸¹ (საქართველოს ეკლესიის კალენდარი 1986: 220).

საღვთისმეტყველო თვალსაზრისით, ორივე წმინდა მამა საუბარობს იმაზე, რომ, სეკლესიო სწავლების თანახმად, მწუხარებანი ადამიანს ბოროტისგან შეემთხვევა, და აღწერილია, საკუთრივ როგორ ახორციელებს ამას ბოროტი ძალა. დაცემულ ძალაზე ღმერთისგან დაშვებული არის გარკვეული მოქმედების უნარი, ანუ არეალი, რომ დააკვირდეს ადამიანს და, მხოლოდ მას შემდეგ, როცა ადამიანი საკუთარი ნებით მიიდრიკება ბოროტისკენ, სხვადასხვაგვარი ზეგავლენა მოახდინოს მასზე. ხოლო ადამიანთა ზრახვების გულისხმისყოფა არ ხელეწიფებათ დემონებს.

ი) მეცხრამეტე თავში გამოვლენილი განსხვავებული თარგმანი:

1. *ეფრემი*: „წიაღად მიეგების ყოველი უსამართლოთა, რამეთუ უფლისა მიერი ყოველივე მართალ“ (თ. 19), (იგავ. 16.33). SC.: «Εἰς κόλπον ἐπέρχεται πάντα τοῖς ἀδίκοις, παρὰ δὲ Κυρίου πάντα δίκαια.» [«ყოველივე მიეგება (მიეახლება) უსამართლოებს [მათ] სამყოფელში (წიაღში, გულში), რადგან უფლისგან ყოველივე სამართლიანი არის»] (იგავ. 16.33).

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ ეფრემ მცირე, ერთ შემთხვევაში¹⁸², წმინდა წერილიდან დამოწმებულ ზმნურ ფორმას – ἐπέρχεται, რომელიც ნიშნავს: „მივეახლები, მივდივარ“, თარგმნის – „დაუვალს“, საკუთრივ, ძველი აღთქმის ქართულ თარგმანში კი მოცემულია – „მოუტდეს“: „წიაღადვე თვსად მოუტდეს ყოველი ცრუთა მათ, ხოლო უფლისა მიერ ყოველი სამართლად“ (იგავ. 16.33), (ჭელიძე 2015: 1075). მოცემულ შემთხვევაში კი, ბერძნული – ἐπέρχεται თარგმნილია, როგორც – „მიეგების“.

¹⁸¹ ტექსტს ვიმოწმებთ მცირედი შესწოვებით. მოცემულ საღვთისმეტყველო სწავლებასთან დაკავშირებით იხ. ორჟონია 2022: 84.

¹⁸² იხ. თავი 16.

მიგვაჩნია, რომ ეფრემი ორგვარად მოიაზრებს წმინდა წერილის აღნიშნულ მონაკვეთს. პირველ შემთხვევაში, რომელიც მე-16 თავშია წარმოდგენილი და სადაც – ἐπέρχεται ეფრემის მიერ თარგმნილია – „დაუვალს“: „ყოველივე წიაღთა უსამართლოთა ზედა დაუვალს, რამეთუ უფლის მიერი ყოველივე სამართალ არს“ (თ. 16), იგულისხმება, რომ, არასამართლიანი და ღვთისთვის არასათნო გზით ვინც იძენს მონაპოვარს, მისთვის ყოველგვარი საშუალება მისაღებია. ის არ განასხვავებს ერთმანეთისგან სამართლიანობას და უსამართლობას, და შესაბამისად, საბოლოოდ – უსამართლობას ირჩევს. ასეთი ადამიანი საკუთარ წიაღში ყოველგვარ უსამართლობას აგროვებს. ამიტომაც მისი შენაძენი ღვთისგან არ არის, რადგან ღმერთისგან მხოლოდ სამართლიანობას იძენს და იღებს ადამიანი (შდრ. Нечаев 1888: 222). შესაბამისად, ბერძნულის ახალქართული თარგმანი ამგვარი იქნება: SC.: «Εἰς κόλπον ἐπέρχεται πάντα τοῖς ἀδίκοις, παρὰ γὰρ Κυρίου πάντα δίκαια.» [«ყოველი [საქმე] მიეახლება უსამართლოებს [მათ] სამყოფელში (წიაღში, გულში), უფლისგან კი ყოველი [საქმე] სამართლიანი არის].

რაც შეეხება მე-19 თავში მოცემული ზმნის – ἐπέρχεται ეფრემისეულ თარგმანს – „მიეგების“. ამ შემთხვევაში, ეფრემი აღნიშნული ტერმინით ხაზს უსვამს უფლის ყოვლადსამართლიანობასა და შესაბამის მისაგებელს ადამიანთა მიმართ: „წიაღად მიეგების ყოველი უსამართლოთა, რამეთუ უფლისა მიერი ყოველივე მართალ“ (თ. 19. SC.: «Εἰς κόλπον ἐπέρχεται πάντα τοῖς ἀδίκοις, παρὰ δὲ Κυρίου πάντα δίκαια.» [«ყოველივე მიეგება (მიეწევა) უსამართლოებს [მათ] სამყოფელში (წიაღში, გულში), რადგან უფლისგან ყოველივე სამართლიანი არის»] (იგავ. 16.33).

კ) მეოცე თავში გამოვლენილი განსხვავებული თარგმანი:

1. ეფრემი შესიტყვებას – διὰ τῆς τοῦ Πνεύματος μετουσίαις [სულიწმინდის თანაზიარების მეშვეობით] ამგვარად თარგმნის: „მის ძლით მოსლვითა სულისაჲთა“ (თ. 20), ანუ სიტყვის – μετουσίαις [ზაირება] ნაცვალად, თარგმანში გვაქვს: „მის ძლით მოსლვითა“, რომელიც, რა თქმა უნდა, შინაარსობრივად სულიწმინდის მოქმედებასა და მასთან ზიარებას გულისხმობს.

2. *ეფრემი*: „ვინაჲ ჩუენ თვსნიცა იგი განსაცდელნი თავს-ისხნა, ყუედრებულმან, განბასრებულმან, ცილისწამებულმან, განცემულმან, მოკლულმან, ქენჯნილმან, ნაღველ და ძმარ სუმულმან და რაჲღა უმრავლესი ვთქუა?“ (თ. 20). SC.: Διὸ καὶ τοῖς

ὑπερ ἡμῶν πειρασμοῦς ἀναδέχεται ὀνειδίζομενος, μσκτηρίζομενος, παραδιδόμενος, ῥαπίζομενος, σκυφαντούμενος, διωκόμενος, **δεσμώμενος, κολαφίζομενος**, ὄξος καὶ χολῆν ποτιζόμενος καὶ τί πλεῖον εἶπα; [ამიტომაც ჩვენთვის განსაცდელებს იტვირთავს მაშინ, როცა აყვედრიან, დასცინიან, ღალატობენ (გასცემენ), სცემენ, ცილს სწამებენ, დევნიან, **ბორკავენ, ყვრიმალში ურტყამენ**, ძმარსა და ნალველს ასმევენ, მეტი რაღა ვთქვა?].

ეფრემის თარგმანში, დედანში ნაცვლად არსებული ზმნის მიმღეობური ფორმებისა – δεσμώμενος, κολαφίζομενος [შებორკილი, ყვრიმალშიცემული], მოცემულია: „მოკლულმან, ქენჯნილმან“.

დასკვნა

როგორც უკვე აღინიშნა, ჩვენი კვლევის საგანს წარმოადგენდა წმინდა მარკოზ მონაზონის ნაშრომთა ძველი ქართული თარგმანები. ჩვენი სადისერტაციო ნაშრომი კი მიზნად ისახავდა წმ. მარკოზ მონაზონის ავტორობით ცნობილი შრომების ძველი ქართული (ეფრემ მცირისეული) თარგმანის ფილოლოგიურ-თეოლოგიური თვალსაზრისით შევსწავლას. მნიშვნელოვანია ის, რომ აღნიშნული სწავლებები აქამდე საგანგებო კვლევის საგანი არ გამხდარა. შესაბამისად, უპირველესად, ტექსტობრივად დავამუშავეთ და გამოსაცემად მოვამზადეთ ხსენებულ სწავლებათა ძველი ქართული თარგმანი, ანუ დადგინდა ძველი ქართული კრიტიკული ტექსტი სწავლებათა თარგმანისა – „წინაგანწყობაჲ სქოლასტიკოსისაჲ“ და „სიტყუაჲ მელქისედეკისთჳს“. აღნიშნული თარგმანის ბერძნულ ორიგინალთან შედარების შემდეგ, გამოვლინდა მთარგმნელის ტერმინოლოგიურ-სტილური თავისებურებანი, შევადგინეთ ტერმინოლოგიური ლექსიკონი. ჩვენთვის მეტად მნიშვნელოვანი იყო ორიგინალი (ბერძნული) ტექსტების ახალ ქართულად თარგმნა. წარმოდგენილი კვლევების შემდეგ, დღის წესრიგში დადგა მარკოზ მონაზონის სწავლებათა შინაარსობრივი განხილვა და მათი ამომწურავი თეოლოგიური ანალიზი.

მოვიპოვეთ და დავაზუსტეთ ისტორიულ-ბიოგრაფიული მონაცემები მარკოზ მონაზონის შესახებ.

ასევე, ჩვენი კვლევა შეეხო ნაშრომის – „სამოთხისა და სულიერი რჯულის შესახებ“ – ავტორობის საკითხს. აღნიშნული ნაშრომის ავტორთან დაკავშირებით, მეცნიერთა აზრი ორად იყოფა: ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ ნაშრომის ავტორია წმ. მარკოზ მონაზონი, მეორე ნაწილი კი ავტორად წმ. მაკარი დიდს ასახელებს. ჩვენმა გამოკვლევამ ცხადყო, რომ უადრესი წყარო, სადაც მარკოზ მონაზონი დასახელებულია ავტორად ნაშრომისა – „სამოთხისა და სულიერი რჯულის შესახებ“, არის X საუკუნის H-622 ხელნაწერი, ხოლო მომდევნო უძველესი და უმნიშვნელოვანესი ცნობა, სადაც მარკოზი დასახელებულია ნაშრომის ავტორად, XIII საუკუნით დათარიღებულ A-60 ხელნაწერშია დაცული. ნაშრომის მთარგმნელი არის XI საუკუნეში მოღვაწე წმინდა ეფრემ მცირე. სწორედ ეფრემ მცირის ავტორიტეტი განაპირობებს და ადასტურებს მოცემული წყაროების უტყუარობას. შესაბამისად, ძალზე მნიშვნელოვანია იმ ორი უძველესი წყაროს გათვალისწინება, სადაც მარკოზ

მონაზონი მიიჩნევა განხილული ნაშრომის ავტორად. ამავე ცნობას ადასტურებს ძველი ფრანგული გამოცემა: «Bibliotheca veterum Patrum» და ძველი რუსული თარგმანი (Марк Подвижник, преподобный. Аскетические творения). ამ საკითხთან დაკავშირებით, დამატებით მტკიცებულებად მიგვაჩნია ის, რომ ნაშრომი – „სამოთხისა და სულიერი რჯულის შესახებ“, შინარსობრივი და ენობრივი თვალსაზრისით, მარკოზ მონაზონის სხვა ნაშრომების ანალოგიურია.

ასევე მნიშვნელოვანი იყო მარკოზ მონაზონის ყველა უცნობი ძველი ქართული თარგმანის შემოკრება და იდენტიფიცირება, რომლებიც, როგორც აღინიშნა, გაბნეული იყო წინაათონურ ხელნაწერებში.

მოკლედ წამოვადგენთ მარკოზ მონაზონის ნაშრომების – „სიტყუაჲ მელქისედეკისთჳს“ და „წინაგანწყობაჲ სქოლასტიკოსისაჲ“ – ბერძნული და ქართული ტექსტების ფილოლოგიური და საღვთისმეტყველო ანალიზის შეჯამებას.

ბერძნული და ქართული ტექსტების ფილოლოგიური და საღვთისმეტყველო ანალიზის შეჯამება („სიტყუაჲ მელქისედეკისთჳს“)

ბერძნული და ქართული ტექსტების ფილოლოგიურ-საღვთისმეტყველო ანალიზის შედეგად, გამოვლინდა შემდეგი საკითხები:

ა) მარკოზ მონაზონის ნაშრომის ეფრემისეული თარგმანისა („სიტყუაჲ მელქისედეკისთჳს“) და ჟორჟ-მეტიუ დე დიურანის ბერძნული კრიტიკულად დადგენილი ტექსტის («Eic τὸν Μελχισεδέκ») შედარების შედეგად დადგინდა, რომ A-60 ხელნაწერში არსებული, ეფრემ მცირისეული თარგმანი „სიტყუაჲ მელქისედეკისთჳს“ შეესაბამება უძველეს ბერძნულ ხელნაწერებს: Athos, Lavra Γ42 D, s IX; Athos, Lavra Γ37, s IX B; Moscou, Musaei Historici, olim bibliothecae Synodalis 145, s IX M; Paris, BNF Coislin 123, S. XI C; Patmos, S. Ioannis 193, s. XI P; version syriaque: Brit. Lib. Add. 12 175, a. 533-534¹⁸³.

¹⁸³ იხილეთ: Sources chretiennes T 2(Durand 2000: 182-222).

ბ) რა თქმა უნდა, გასაკვირი არ არის, რომ ეფრემ მცირის თარგმანი დედანთან მიმართებით ზედმიწევნითი სიზუსტითაა შესრულებული. ბერძნული ზმნის თითქმის ყველა მიმღობური ფორმა ქართულად მიმღობითვეა თარგმნილი, ხოლო ზმნის პირიანი ფორმა, შესაბამისად, ზმნის პირიანი ფორმით არის გადმოცემული. თვით ზმნის გვარის კატეგორიაც, უმეტეს შემთხვევაში, აბსოლუტურად ზუსტად არის თარგმნილი. როგორც ცნობილია, ეფრემ მცირისთვის ამგვარი თარგმანი დამახასიათებელია (კეკელიძე 1980: 254).

გ) ეფრემი, ხშირად, ბერძნულ ტერმინებს კალკირებულად, ანუ ზედმიწევნით თარგმნის. მაგალითად, აღნიშნულ შემთხვევებში, კონტექსტიდან გამომდინარე, იმდენად ზუსტია და შესაბამისი თარგმანის შინაარსი, ბერძნულთან მიმართებით, რომ სხვაგვარი თარგმანი წარმოუდგენელიც კი არის: ტერმინ – ἐπιστορά-ის მნიშვნელობა ლექსიკონში მითითებულია, როგორც: „მეორეული თესვა, გადათესვა“. სიტყვას – ἐπιστορά, წინდებულ – ἐπι-ის შესაბამისად, ეფრემი თარგმნის, როგორც – „თესლის ზედა“ (თ. 1), რაც აბსოლუტური სიზუსტით გადმოსცემს დედანში ჩადებულ შინაარსს, შდრ: *ეფრემი* – „ვითარმედ, შემდგომად სამოციქულოდსა მოციქვისა მოგონებითნი ზრახვანი ნამეტავ რადმე არიან, და საემაკო თესლის ზედა“. SC.: ὅτι τὰ μὲν μετὰ τὴν ἀποστολικὴν παράδοσιν ἐπινενημένα φρονήματα περιττὴ τίς ἐστὶ καὶ δαίμωνιῶδες ἐπιστορά. [მოციქულთა გადმოცემის შემდეგ მოფიქრებული სწავლებები არის რაღაც მეტისმეტი და ეშმაკისეული, მეორეული [ცრუ] თესვა (=სარველას თესვა)].

დ) ნაშრომის შინაარსიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ მარკოზ მონაზონი ტერმინს – „ὑπόστασις“ პიროვნულობის აღმნიშვნელი შინაარსით იყენებს და, შესაბამისად, ეფრემ მცირე ტერმინით – **გუამი** გადმოსცემს ჰიპოსტასის, პირის, ანუ პიროვნულობის მნიშვნელობას; ეფრემი: „ხოლო მსგავსება და გუამი არა ერთ და იგივე არიან, რამეთუ პირველი იგი სახე არს, ხოლო მეორე ჭეშმარიტება“ (თ. 3). SC.: Ἀφομοίωσις δὲ καὶ ὑπόστασις τὰὐτὸν οὐκ ἔστι· τὸ μὲν γὰρ τύπος, τὸ δὲ ἀλήθεια τυγχάνει. [ხოლო მსგავსება და პიროვნულობა ერთი და იგივე არა არის, რადგან ერთი არის სახე (ხატი) და მეორე ჭეშმარიტება].

თეოლოგიური და ფილოლოგიური ანალიზის შედეგად, გამოიკვეთა შემდეგი საკითხები:

ე) წმინდა იოანე დამასკელის ნაშრომში – „მართლმადიდებლური სარწმუნოების ზედმიწევნითი გადმოცემა“ არსებული დოგმატური ფორმულირებანი სრულადაა თანხვედნილი მარკოზ მონაზონის სწავლებებთან და გარკვეულწილად ეფუძნება კიდევ მათ.

ვ) აღსანიშნავია ის მჭიდრო ურთიერთკავშირი, რომელიც დადგინდა მარკოზ მონაზონის ორ დოგმატურ ნაშრომს შორის – „მელქისედეკის შესახებ“ და „ნესტორიანელთა წინააღმდეგ“ .

ზ) კვლევის შედეგად, სარწმუნოდ წარმოჩნდა, რომ მარკოზ მონაზონის ზემოთ განხილულ ორივე ნაშრომში დოგმატური მსჯელობანი წმინდა კირილე ალექსანდრიელის ღვთისმეტყველებას ეყრდნობა, რაც შესაბამისად განიხილება და განიმარტება.

თ) გიორგი ამარტოლი თავის ცნობილ ნაშრომში, რომელიც ქართულად ცნობილია სახელწოდებით – „ქრონოგრაფი“, ციტირებს რამდენიმე მონაკვეთს მარკოზ მონაზონის ნაშრომიდან „მელქისედეკის შესახებ“.

მარკოზ მონაზონის ნაშრომის („სიტყუად მელქისედეკისთვის“) ანალიზის შედეგად, გაირკვა რამდენიმე თეოლოგიურ-ფილოლოგიური საკითხი, რომლებიც უკავშირდება წმინდა ფოტი პატრიარქის ნაშრომს – „ბიბლიოთეკა“.

ა) წმ. ფოტი პატრიარქი არ აკნინებს მარკოზ მონაზონის ბერძნული ენის ცოდნას, „ბუნდოვანებაში“ კი იგულისხმება, სულიერ სწავლებათა იდუმალება და დაფარულობა მოუმზადებელ მკითხველთათვის.

ბ) მარკოზის მეთოდი საღვთისმეტყველო სწავლებათა გადმოცემის შესახებ, ტერმინოლოგიური თვალსაზრისით, შედარებით მარტივია – ვიდრე დიადოქოს ფოტიკელისა, რადგან, წმ. ფოტი პატრიარქის მიხედვით, დიადოქოსის ნაშრომები განკუთვნილია უფრო სრულყოფილად განსწავლული ადამიანებისთვის. მიგვაჩნია, რომ ამ შემთხვევაში, „განსწავლულობაში“ იგულისხმება სამეცნიერო დისციპლინები, ანუ ცნობილი ტრივიუმ-კვადრიუმის საგანთა სწავლების სისტემა, რომელიც შვიდ თავისუფალ დისციპლინად მოიაზრებოდა: ტრივიუმი – გრამატიკა, რიტორიკა, დიალექტიკა, და კვადრიუმი – არითმეტიკა, ასტრონომია, გეომეტრია, მუსიკა (თათარაშვილი 2019: 91). მარკოზ მონაზონი, აბსტრაქტულ ცოდნისა და თეორიული

სწავლებისაგან განსხვავებით, მკითხველს უპირატესად ასკეტური ცხოვრების პრაქტიკულ წესს, გამოცდილებასა და სიბრძნეს აწვდის.

გ) ფოტი პატრიარქი მარკოზის ნაშრომს არ მოიაზრებს რომელიმე ერესის წარმოქმნის მიზეზად, და არც მარკოზის მშობელ მამას ადანაშაულებს ერესში, როგორც ამას ზოგი მეცნიერი მიიჩნევდა, არამედ, პატრიარქის განმარტებით, მარკოზი თავისი ნაშრომით, გარდა მელქისედეკიანელებისა, იმასაც ამხელს, ვინც ამ ნაშრომის დაწერის შემდგომ წარმოშვა რომელიღაც ერესი.

დ) მკვლევართა სუბიექტურმა მოსაზრებებმა ის გაურკვევლობა განაპირობა, ფოტი პატრიარქის შეხედულებასთან დაკავშირებით, რომელიც მარკოზ მონაზონს და მის ნაშრომებს უკავშირდება.

ე) მარკოზის ნაშრომის V თავის დეტალური ანალიზის შედეგად, წარმოჩნდა, რომ ნაშრომში – „მელქისედეკის შესახებ“ წარმოდგენილია ფუნდამენტური მართლმადიდებლური სწავლებები, რომლებშიც მაცხოვრის განკაცების დოგმატის ძირითადი საფუძვლები აღიბეჭდება, კერძოდ: მართლმადიდებლური სწავლება ჭეშმარიტი შეერთების, ანუ ურთიერთდამტყვენელობის შესახებ, სწავლება ნაცვალბოძების წესის შესახებ და სწავლება მაცხოვრის საღვთო ბუნებისგან მაცხოვრისვე კაცობრივი ბუნების ყოვლადსრული ღირსებითი გამდიდრებულობის შესახებ. შესაბამისად, სრულიად არამართებულია მარკოზის ნაშრომში გარკვეული მონოფიზიტური სწავლების არსებობის დაშვება.

**ბერძნული და ქართული ტექსტების ფილოლოგიური და
საღვთისმეტყველო ანალიზის შეჯამება
(„წინაგანწყობაჲ სქოლასტიკოსისაჲ“)**

ბერძნული და ქართული ტექსტების ფილოლოგიურ-საღვთისმეტყველო ანალიზის შედეგად, გამოვლინდა შემდეგი ასპექტები:

ა) ჟორჟ-მეტიუ დე დიურანის კრიტიკული გამოცემის მიხედვით, მარკოზ მონაზონის ნაშრომის ეფრემისეული თარგმანი („წინაგანწყობაჲ სქოლასტიკოსისაჲ“)

შეესაბამება შემდეგ უძველეს, ბერძნულ ხელნაწერებს: Moscou, Musaei Historici, olim bibliothecae Synodalis 145, s IX; Paris, BNF Coislin 123, S. XI C; Patmos, S. Ioannis 193, s. XI¹⁸⁴.

ბ) ეფრემ მცირის თარგმანი წმ. მარკოზის შრომისა – „წინაგანწყობაჲ სქოლასტიკოსისაჲ“ A-60 ხელნაწერში იწყება 31-ე გვერდიდან და სრულდება 44-ე გვერდზე. თარგმანს აკლია პირველი ექვსი გვერდი, ანუ აღნიშნული ნაშრომი, ბერძნული დედნის მიხედვით, VIII თავიდან არის წარმოდგენილი (შდრ. PG. 1864: 1072).

გ) ეფრემ მცირისეული თარგმანი მარკოზ მონაზონის შრომისა – „წინაგანწყობაჲ სქოლასტიკოსისაჲ“, ბერძნულ ორიგინალთან მიმართებით, ძირითადად, ზედმიწევნითი სიზუსტითაა შესრულებული.

დ) ეფრემი, გარკვეულ შემთხვევებში, აზრის უკეთ გადმოსაცემად, თარგმნის დროს ბერძნული ზმნის გვარის კატეგორიებს ცვლის, მაგ.: მიმღეობა *δέλεαζομένους* [თავი მოიტყუეს], რომელიც, ამ შემთხვევაში, ბერძნულში წარმოდგენილია საშუალო გვარის ფორმით, მთარგმნელს ქართულად გადმოაქვს ვნებით გვარის მნიშვნელობით – „მოტყუებულნი (მონადირებულნი) მის მიერ“ (თ. 9).

ე) ხშირად, ეფრემ მცირე ბერძნულში მოცემული სხვადასხვა ზმნის შინაარსს აერთიანებს, და თავისებურად გადმოაქვს. მაგ.: ბერძნული ზმნა – *βαθύνω* ქართულად ნიშნავს – „ვადრმავებ“, „ვთხრი“, ხოლო მიმღეობური ფორმის – *μεμφομένους* – ქართული თარგმანია: „გამკიცხველი“. აღნიშნული ზმნისა და მიმღეობის შინაარსი ეფრემის მიერ გაერთიანებულია და ამ სახით არის თარგმნილი – „დაამძიმე ბრალობაჲ“: SC.: *Τί σὺν τοσοῦτον ἐβάθυνες τὴν ἀντιπαράθεσκαίαν μεμφομένους*; „ვინაჲცა რად ესოდენ დაამძიმე ბრალობაჲ კაცთმოთნებისაჲ?“ (თ. 10).

ვ) ბერძნული სიტყვის *ἀμελεία* – „უზრუნველობა“, „დაუდევრობა“ შესატყვისად თარგმანში მოცემულია: „მოლუაწებითა“ (თ. 10). ეს ფაქტი განაპირობა იმან, რომ ნუსხაში, რომელსაც ეფრემი იყენებდა, წარმოდგენილია სიტყვა – *ἐπιμέλεια*. ასევე, ბერძნულ სიტყვას – *ἀπτανυμία* რამდენიმე მნიშვნელობა აქვს: „ნაცვალსახელი“, „ანტონიმი“, „საპირისპირო“, მის ნაცვალად ეფრემის თარგმანშია – „სახელი“ (თ. 10), რადგან, ამ შემთხვევაშიც, სავარაუდო ნუსხაში, რომელსაც ეფრემის თარგმანი

¹⁸⁴ იხილეთ: Sources chretiennes T 2(Durand 2000: 26-92).

ეფუძნება, არის ბერძნ. *πρῶτον* – „წოდება“, „სახელი“. აქედან გამომდინარე, ეფრემი თარგმანის დროს, სავარაუდოდ, რამდენიმე სხვადასხვა ნუსხას იყენება.

ზ) აღსანიშნავია ეფრემის ზედმიწევნითი თარგმანი შედგენილი ზმნური ფორმებისა, მაგ.: *ταπεινολογεῖ* – „სტყუა-მდაბლობნ“ (თ. 13). ამგვარი ზმნური ფორმა ლექსიკონში წარმოდგენილი არ არის, რადგან ის წარმოქმნილია ზედსართავი სახელისა – *ταπεινός* [მდაბალი] და ზმნის პირიანი ფორმის – *λογάω* [მსურს მეტყველება] შეკავშირებით. მსგავსადვე, ზმნა *μαμιοσκιπεῖ* [საქილიკოდ უთვალთვალე] ნაწარმოებია არსებით სახელის – *μαμιοσ* [ქილიკი] და ზმნის – *σκιπεάω* [ვუთვალთვალე] შეკავშირების შედეგად. ეფრემი წარმოდგენილ ზმნას, შინაარსის თვალსაზრისით, ზედმიწევნით ზუსტი კალკირებით თარგმნის: „ბიწისმომზირალობენ“ (თ. 13). ეფრემი ტერმინს – *τεκμήριον*, რომელიც სიტყვასიტყვით ითარგმნება, როგორც – „მტკიცებულება“, „ნიშანი“, აკავშირებს ზმნასთან – *ἐλαβον* [მივიღე] და ამგვარად თარგმნის: „სახე-მოვიღე“ (თ. 14): SC.: *Τεκμήριον ἐλαβον ὅτι οὐκ ἔστιν ἄφελειαν* – „სახე-მოვიღე, ვითარმედ არა სარგებელად“.

თ) ეფრემ მცირე, გარკვეულ შემთხვევაში, ბიბლიის ძველი ქართული თარგმანისგან განსხვავებით, ზმნურ ფორმებს განსხვავებულად, სხვადასხვაგვარად თარგმნის. მაგ.: ზმნა – *ἐπέρχεται*, რომელიც ნიშნავს: „მივებახლები, მივდივარ“, ნაშრომის („წინაგანწყობაჲ სქოლასტიკოსისაჲ“) XVI თავში თარგმნილია, როგორც – „დაუვალს“, საკუთრივ, ძველი აღთქმის ქართულ თარგმანში კი მოცემულია, როგორც – „მიუჯდეს“: „წიაღადვე თვსად მოუჯდეს ყოველი ცრუთა მათ, ხოლო უფლისა მიერ ყოველი სამართლად“, ხოლო მოცემული ბერძნული – *ἐπέρχεται* XIX თავში ეფრემის მიერ თარგმნილია, როგორც – „მიეგების“. ასევეა ზედსართავი სახელი – *ἀδίκους* [უსამართლოებს], რომელსაც ეფრემი თარგმნის, როგორც – „უსამართლოთა“, ბიბლიაში კი თარგმნილია – „ცრუთა“ (შდრ. იგავ. 16.33, ჭელიძე 2015: 1075).

ნაშრომში („წინაგანწყობაჲ სქოლასტიკოსისაჲ“), თეოლოგიური და სულიერი სწავლებების მხრივ, მარკოზ მონაზონის მიერ შემდეგი საკითხებია გადმოცემული:

ა) კაცთმოთნეობის ვნება ყველაზე ფარულ და ვერაგ ცოდვადაა დასახელებული. მარკოზი გადმოგვცემს ამ ცოდვის მხილებისა და მასთან ბრძოლს მეთოდებს.

ბ) ნაშრომში განმარტებულია სწავლება „სულიერი რჯულის“ შესახებ.

გ) მარკოზის სწავლება „სულიერი რჯულის“ შესახებ დაკავშირებულია მეორე საღვთისმეტყველო სწავლებასთან, რომელიც თანამედროვე ღვთისმეტყველებაში ცნობილია „თეოდიციის“ სახელწოდებით.

დ) წმინდა მამათა სხვადასხვა ნაშრომი, გარკვეულწილად, ეფუძნება მარკოზ მონაზონის სწავლებებს „სულიერი რჯულისა“ და ეგრეთ წოდებული – „თეოდიციის“ შესახებ, ზოგიერთი მსჯელობა კი წმინდა მამათა მიერ მარკოზ მონაზონის მოღვაწეობამდეა გამოთქმული და თავად მარკოზი ეყდნობა მათ.

აქვე მოკლედ შევაჯამებთ სადოქტორო ნაშრომში ჩვენ მიერ განხილულ საკითხს მელქისედეკიანელთა, ანუ „ათინგანების“ ერესის შესახებ და დასკვნის სახით ამგვარად წარმოვადგენთ:

გიორგი მცირე თავის ნაშრომში: „ცხორებად და მოქალაქობად წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გიორგი მთაწმიდელისა“ – ახსენებს – „აწინკიანებს“, რაც ტრანსლიტერაციაა ბერძნული ტერმინისა – Ἀτιγγανοί, ხოლო ახალ ქართულად გამოითქმის, როგორც „ათინგანები“. „ათინგანები“ VI საუკუნიდან ეწოდა მელქისედეკიანელთა მწვალებლობას.

რაც შეეხება საკუთრივ მელქისედეკიანელებს, საეკლესიო გადმოცემით, აღნიშნული ერესი გავრცელებული იყო ეგვიპტისა და მცირე აზიის ტერიტორიაზე.

„პანარიონის“ ავტორი, წმ. ეპიფანე კვიპრელი გამოყოფს მელქისედეკიანელთა ერესის გამოვლინების რამდენიმე სახეს. ნაშრომის დასაწყისში ეპიფანე საუბრობს ერეტიკოსებზე, რომლებიც მელქისედეკს მიიჩნევდნენ რაღაც ზებუნებრივ ძალად, რომელიც თავად ძე ღმერთზე აღმატებულად წარმოედგინათ. მეორე სახე მწვალებლობისა, რომელსაც წმინდა მამა წარმოგვიდგენს, მელქისედეკს ყოვლადწმინდა სამების ერთ-ერთ ჰიპოსტასთან, სულიწმინდასთან აიგივებდა.

შემდგომი გამოვლინება მელქისედეკიანელთა ცდომილების, რომელსაც ეპიფანე გადმოგვცემს, გულისხმობს მელქისედეკის პიროვნების გაიგივებას ძე ღმერთთან, ვიდრე განკაცებამდე. საკუთრივ ამავე მწვალებლობის ფორმას უპირისპირდება წმ. მარკოზ მონაზონი ნაშრომში „მელქისედეკის შესახებ“. მარკოზ მონაზონი თავის ნაშრომში, ისევე როგორც ეპიფანე კვიპრელი, ადასტურებს, რომ

მელქისედეკიანელთა ერესი, ერთი მხრივ, მელქისედეკს აიგივებს ყოვლადწმინდა სამების მეორე ჰიპოსტასთან, მე ღმერთთან, ვიდრე უფალი ადამიანურ ბუნებას შეიმოსავდა, ანუ განკაცდებოდა. მაგრამ ასევე აზუსტებს მწვალებლობის მეორე ასპექტს, რომელსაც ეპიფანე აღარ ახსენებს „პანარიონში“. მელქისედეკიანელები, მარკოზის გადმოცემის მიხედვით განკაცებულ მე ღმერთს, იესო ქრისტეს, მხოლოდ ლიტონ ადამიანად თვლიდნენ. მელქისედეკიანელთა ერესის გამოვლინების ბოლო სახე, რომელსაც წმ. ეპიფანე განიხილავს „პანარიონში“, ავტორის განმარტებით, ყველაზე მეტად გაუკუღმართებული ფორმაა. აღნიშნული ერესის მიმდევრები თვლიდნენ, რომ წმინდა წერილში მოხსენიებული მელქისედეკი არის თვით მამა ღმერთი.

მელქისედეკიანელთა ერესს, ვიდრე VI საუკუნემდე, ეწოდებოდა მელქისედეკიანელები. მათ უმეტეს ნაწილს შეადგენდნენ სამარიტელები. მელქისედეკიანელთა მოძღვრება ეფუძნებოდა გნოსტიკურ მწვალებლობას, რამაც სხვადასხვა გაუკუღმართების სახე მიიღო. VI საუკუნის შემდეგ მელქისედეკიანელები სამარიტელთა ტრადიციების გამო იწოდებიან „ათინგანებად“. VI საუკუნიდან XI საუკუნის ჩათვლით, სხვადასხვა წყაროში ისინი, უმეტესწილად, მოხსენიებულნი არიან მხოლოდ ამ სახელით – „ათინგანები“.

„ათინგანთა“ ერესს ამ პერიოდისთვის, გარდა ერეტიკული მოძღვრებისა, ახასიათებდა განსაკუთრებული მაგიური კულტმსახურება, რომელიც გამოიხატებოდა ცხოველთა მსხვერპლშეწირვითა და შელოცვის სხვადასხვა რიტუალით. ასევე მათთვის ნიშანდობლივი იყო ჯადოქრობა, მისნობა და მჩხიბაობა. აღნიშნული მოვლენა კი განაპირობა იმ ფაქტმა, რომ მცირე აზიაში შემოსულმა ერთ-ერთმა ეთნიკურმა ჯგუფმა მიიღო „ათინგანების“ ერეტიკული სწავლება და შეიტანა მასში საკუთარი მაგიური რიტუალები, რის შემდეგაც „ათინგანები“ ეთნიკურ ჯგუფად ჩამოყალიბდნენ და თანამედროვე ეპოქაში ციგნების, ანუ ბოშების სახელით არიან ცნობილნი.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აბაშიძე 2008: აბაშიძე ლ., ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლები, ტომი III, თბილისი 2008.
2. აბულაძე 1955: აბულაძე ილ., „მამათა სწავლანი“, X-XI სს. ხელაწერების მიხედვით, თბ., 1955.
3. აბულაძე... 1967: აბულაძე ილ, და სხვ., ცხორება და მოქალაქობა წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გიორგი მთაწმიდელისაჲ, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი II, დასაბეჭდად მოამზადეს, ილ. აბულაძემ, ნ. ათანელიშვილმა, ნ. გოგუაძემ, მ. დოლაჭიძემ, ც. ქურციკიძემ, ც. ჭანკიევმა და ც. ჯღამაიამ, თბილისი, 1967.
4. აბულაძე 1973: აბულაძე ილ., ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბილისი, 1973.
5. ასკურავა 2014: ასკურავა გ., წმინდა მარკოზ მონაზონი, წმინდა ნათლისღებისთვის, თბილისის საულიერო აკადემია საღვთისმეტყველო-სამეცნიერო შრომები, თბილისი, 2014, V ტ.
6. დვალი 1974: დვალი მ., შუა საუკუნეთა ნოველების ძველი ქართული თარგმანები, ტ. II, ანბანურ-ანონიმური პატერიკები, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა მანანა დვალმა, თბილისი 1974.
7. დვალი... 2014: დვალი მ., ჩიტუნაშვილი დ., თეოფილე ხუცესმონაზონი მამათა სწავლანი და თხოვანი შუა საუკუნეთა ნოველების ძველი ქართული თარგმანები ტ. III, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთეს მანანა დვალმა და დალი ჩიტუნაშვილმა, თბილისი 2014.

8. დოლაქიძე... 2019: დოლაქიძე მ., ჩიტუნაშვილი დ., დიდ სვანაქსარი, გიორგი მთაწმინდელი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და სამეცნიერო აპარატი დაურთეს მანანა დოლაქიძემ და დალი ჩიტუნაშვილმა თბილისი 2018.
9. თათარაშვილი 2019: თათარაშვილი თ., ლექციები ფილოსოფიის ისტორიაში, შეადგინა დეკანოზმა თეიმურაზ თათარაშვილმა, თბილისი 2019.
10. იმნაიშვილი 1961: იმნაიშვილი ივ., იოვანეს გამოცხადება და მისი თარგმანება,, ძველი ქართული ვერსია, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ი. იმნაიშვილმა, თბილისი, 1961.
11. იორდანაშვილი 1949: იორდანაშვილი ს., სულხან-საბა ორბელიანი, სიტვის კონა ქართული, რომელ არს ლექსიკონი, ს. იორდანაშვილის რედაქციითა და წინასიტყვაობით, თბილისი, 1949.
12. კეკელიძე 1957: კეკელიძე კ., ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან V ტ., თბილისი 1957.
13. კეკელიძე 1980: კეკელიძე კ., ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, I ტ, თბილისი, 1980.
14. კოჭლამაზაშვილი 2003: კოჭლამაზაშვილი ექ., პავლეს ეპისტოლეთა განმარტება გამოკრებული იოანე ოქროპირისა და სხვა წმინდა მამათა ნაშრომებიდან თარგმნილი ეფთვიძე ათონელის მიერ. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო ექვთიმე კოჭლამაზაშვილმა, თბ. 2003.
15. კოჭლამაზაშვილი 2006: კოჭლამაზაშვილი ექ., სამოციქულოს განმარტება გამოკრებული იოვანე ოქროპირისა და სხვა წმიდა მამათა ნაშრომებიდან თარგმნილი ეფრემ მცირის (კარიჭის ძის) მიერ. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და შენიშვნები დაურთო ექვთიმე კოჭლამაზაშვილმა, II ტ. თბილისი, 2006.

16. მახარაშვილი 2012: მახარაშვილი ს., წმიდა ეპიფანე კვიპრელი ოთხმოცთა წვალებათათჳს, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო სოსო მახარაშვილმა, 2012.

17. მიმინოშვილი... 2000: მიმინოშვილი რ., რაფავა მ., ჭელიძე ედ., წმ. იოანე დამასკელი, მართლმადიდებლური სარწმუნოების ზედმიწევნითი გადმოცემა. ორი ძველი ქართული თარგმანი (წმ. ეფრემ მცირისა და წმ. არსენ იყალთოელისა) გამოსაცემად მოამზადა რომან მიმინოშვილმა და მათა რაფავამ. წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო მ. რაფავამ. ძველი ბერძნულიდან თანამედროვე ქართულზე თარგმნა, შესავალი და შენიშვნები დაურთო ედიშერ ჭელიძემ. თბილისის სასულიერო აკადემიის გამომცემლობა. თბილისი, 2000.

18. მიმინოშვილი 2006: მიმინოშვილი რ., იოანე დამასკელის „გარდამოცემის“ ქართული თარგმანები, 2006.

19. ნიკოლოზიშვილი 2011: ნიკოლოზიშვილი ნ., ქართლის ცხოვრება, ტექსტი ახალ ქართულ ენაზე თარგმნა და კომენტარები დაურთო: ნიკოლოზ ნიკოლოზიშვილმა, 2011.

20. ორჟონია 2022: ორჟონია ირ., ანგელოზის დაცემა და პირველგამოვლენილი ბოროტება, თბილისი, 2022.

21. პომაზანსკი 2012: პომაზანსკი მ., დოგმატური ღვთისმეტყველება, 2010.

22. სარჯველაძე 1995: სარჯველაძე ზ., ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბილისი, 1995.

23. საქართველოს ეკლესიის კალენდარი 1986: საქართველოს საპატრიარქო, თბილისი, 1986.

24. სტურუა 2020: წმ. მარკოზ მონაზონის ასკეტური ეპისტოლის ძველი ქართული თარგმანი; თბილისის სასულიერო აკადემია, საღვთისმეტყველო-სამეცნიერო შრომები, ტ. X-XI, თბილისი, 2020.

25. ურუშაძე 2018: ურუშაძე ა., ძველი ბერძნული ენა, თბილისი 2018.

26. ქურციკიძე 2007: ქურციკიძე ც., განძთა ქვაბი [აპოკრიფი]. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ციალა ქურციკიძემ; რედაქტორი ექვთიმე კოჭლამაზაშვილი; კ. კეკელიძის ხელნაწერთა ინსტიტუტი. თბილისი, 2007.

27. ყაუხჩიშვილი 1920: ყაუხჩიშვილი ს., ხრონოგრაფი გიორგი მონაზონისად, ტექსტი ნაწილი I, 1920.

28. ყაუხჩიშვილი 1955: ყაუხჩიშვილი ს., „ქართლის ცხოვრება“ – ტომი I – ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ - თბილისი – 1955,

29. მოწენიძე... 1974: მოწენიძე ქ., დანელია კ., გამოსაცემად მოამზადეს ქეთევან მოწენიძემ და კორნელები დანელიამ, 1974.

30. ჭელიძე 1997: ჭელიძე ედ., ედიშერ ჭელიძის მიერ ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად 1997 წელს წარდგენილი ნაშრომი: "ძველი ქართული საღვთისმეტყველო ტერმინოლოგია" სევერიანე გაბალოვნელის "ექუსთა დღეთა"-ს უძველესი ქართული თარგმანის საფუძველზე, თბილისი, 1997.

ჭელიძე 2001: ჭელიძე ედ., მართლმადიდებლური ხატმეტყველება, თბილისი, 2001.

31. ჭელიძე 2001: ჭელიძე ედ., ედიშერ ჭელიძე - "მართლმადიდებლური ხატმეტყველება, თბილისი, 2001 წ.

32. ჭელიძე 2013ა: ჭელიძე ედ., წმინდა მღვიძარეთა მშვენიერებათმოყვარეობა, I.I, ძველი ბერძნულიდან თარგმნა და სქოლიოები დაურთო ედიშერ ჭელიძემ, თბილისი 2013.

33. ჭელიძე 2013ბ: ჭელიძე ედ., წმინდა მღვიძარეთა მშვენიერებათმოყვარეობა, I.III, წმინდა დიოდოქოს ფოტიკელ ძველი ბერძნულიდან თარგმნა და სქოლიოები დაურთო ედიშერ ჭელიძემ, თბილისი 2013.

34. ჭელიძე 2015: ჭელიძე ედ., ბიბლია, ყველა არსებული რედაქციისა და ნუსხის მიხედვით. გამოსაცემად მოამზადა და სქოლიოები დაურთო ედიშერ ჭელიძემ, თბილისი, 2015.

35. ჭელიძე 2016ა: ჭელიძე ედ., საეკლესიო დოგმატიკა და ერესები, 2016.

36. ჭელიძე 2016ბ: ჭელიძე ედ., „როგორი კაცობრივი სხეული მიიღო მაცხოვარმა ადამის დაცემამდელი (ცოდვამდელი) თუ დაცემის (ცოდვის) შემდგომი?“ თბილისის სასულიერო აკადემია, საღვთისმეტველო-სამეცნიერო შრომები, ტ. VII, თბილისი, 2016.

37. ჭელიძე 2017: ჭელიძე ედ., ძველი ქართული ახალი აღთქმამდ სქოლიოებით. ყველა არსებული რედაქციისა და ნუსხის მიხედვით გამოსაცემად მოამზადა ედიშერ ჭელიძემ, თბილისი, 2017.

„ვხედავ, რომ ზოგიერთი თქვენგანი შემფოთებულია. ეს კი [იმის] ნიშნად, მივიჩნე, რომ არა სარგებლად, არამედ საზიანოდ მიიღეთ სამართალმცოდნის სიტყვები. არა სარგებლის მიმდებლად, არამედ შეურაცხყოფილად მიიჩნით საკუთარი თავი ამ საუბრის შემდეგ. ეს არის მიზეზი ჩემი ურვისა, რომ სულიერ რჯულზე სხვებს მოვუთხრობთ, თავად კი არ ვიცავთ. და ხოლო თუ არაშესაფერისად მივყვევი მწუხარეთა (შეწუხებულ ძმათა) ნებას, რადგან ისინი საღვთო რჯულს ფლობენ და სწამთ წერილის შესაბამისად, რომ ყოველი მწუხარება (განსაცდელი) უსამართლოდ არ მოეწევა მათზე, მაშინ – როგორც ბერს, მე შენდობა მომეცით მცირედმცოდნეობის გამო; მხოლოდ გვწამდეს, რომ ჩვენ, მწუხარებანი როცა შეგვემთხვევა, ვიმსახურებთ მათ, თუკი (შეიძლება) ახლა არა ან არა თავად ამ საქმეების გამო, მაშინ (არამედ) ძველი საზღაურის გამო. ამ დროს, ძმათაგან ერთ-ერთმა, [მხოლოდ] მარხვაზე მინდობილმა და ამის გამო უმეცარმა ჭეშმარიტებისა, რომელიც ცდილობდა, რომ ყველა მწუხარება დაეთემინა, მიუხედავად ამისა, ფიქრობდა, რომ უსამართლოდ იტანჯება, როგორც მოწამე; და თავხედურად შეეპასუხა ბერს, და უთხრა: „სად თქვა წერილმა, რომ თითოეულის მიზეზისა და ღმერთის სამართლიანი მსაჯავრის შესაბამისად შეემთხვევა განსაცდელეები ადამიანებს?“ ბერმა კი, ძმის ამ სიტყვების პასუხად, კეთილსახოვნებით (ნათელი, კეთილი სახით) თქვა: „[წმინდა წერილის] მრავალ თავში იპოვი ამას, როცა მოძებნი, საყვარელო, ძველშიც და ახალ აღთქმაშიც; ხოლო თუ

ბოროტადმზრახველობა და მოიგე სიმდაბლე ქრისტეს მეტყველისა: „**ალიღეთ უღელი ჩემი თქვენ ზედა და ისწავეთ ჩემგან, რამეთუ მშვედ ვარ და მდაბალ გულითა და ჰპოთ განსუენება სულთა თქვენთა**“ (მთ. 11.29).

15. ხოლო მორჩილი იგი ზედა-მიეტევა სიტყუასა ამას და თქუა: „უკუეთუ თითოეული ჩუენი ამით მიემსგავსების ქრისტეს სიმდაბლესა, თვსად ვალად შერაცხვითა მის ზედა მოწევნულთადათა, ვითარ-ეგე სთქუ, ცხად არს სადმე, ვითარმედ ქრისტემანცა ივნო რად, თვსი ვალი გარდადხადა, ვინამდე გმობად შემირაცხიეს ამისი თქუმად“. ესე რად ესმა წინამძღუარსა, ჰრქუა: „მე მენება პირველ თქუმულსა კითხვასა შენსა პირველ აღვსნად, ვინამთგან ესეცა შემოიღე, რადთა შერევნითა კითხვათადათა დაჰფარო აღხსნად იგი, არამედ ჩუენ ამისთვსცა გულსავსე-გყოფთ შენ ნაცვლით კითხვითა შესაბამისადათა. მარქუ მე, მოვალენი საჯმრისანი იგი მარტოდ ოდენ არიან მოვალენი, ანუ თავსმდებელნიცა მათნი?“ ხოლო მორჩილმან მიუგო და ჰრქუა: „ცხად არს, ვითარმედ თავსმდებელნიცა მათნი“. მაშინ ბერმან მისსა მიმართ თქუა: „ზედა-მიწევნით უკუე ცან, ვითარმედ ქრისტემანცა მიგვთავსამდებნა რად ჩუენ, მოვალე-ყო თავი თვსი წმიდათა წერილთაებრ: „**ტარიგმან ღმრთისამან, რომელი აღიხუამს ცოდვასა სოფლისსა, წყევა ქმნილი ჩუენტვს**“ (ინ. 1.29; გალ. 3.3;), ვინამცა, რომელმან ყოველთა სიკუდილი მიიჩმა

XV. Ὁ δὲ ὑποτακτικὸς ἐπιδραμῶν τῷ λόγῳ ἔφη· Εἰ ἕκαστος ἡμῶν ἐν τούτῳ μιμεῖται τὴν ταπεινώσιν τοῦ Χριστοῦ ἐν τῷ ἴδιον χρέος ἡγεῖσθαι τὰ ἐπερχόμενα, καθὼς εἶρηκας, δηλονότι καὶ ὁ Χριστὸς παθῶν ἴδιον χρέος ἐξέτελεσε· ὅθεν ἐγὼ βλασφημεῖν ἡγοῦμαι τὸν τοῦτο λέγοντα. Ἀκούσας δὲ ταῦτα ὁ ἡγοῦμενος λέγει· Ἐγὼ μὲν ἐπειρώμην τὴν προλαβοῦσάν σου πεῦσιν πρότερον ἐπιλῦσαι· ἐπειδὴ δὲ καὶ ταῦτην ἐπέβλαες, ὡς ἐκ τῆς συγχύσεως τῶν ἐρωτήσεων ἐπικαλῦσαι τὰς λύσεις, ἡμεῖς σε ἐν Κυρίῳ καὶ περὶ τούτου πληροφορήσομεν, τὰ προσήκοντα ἀντεπερωτήσαντες. Εἰπέ μοι, οἱ δανειζόμενοι ἴδιον χρέος αὐτοῖς μόνοι χρεῶσται τυγχάνουσιν, ἢ καὶ οἱ ἐγγυώμενοι αὐτούς; Ὁ δὲ ὑποτακτικὸς ἀπεκρίθη λέγων· Δηλονότι καὶ οἱ ἐγγυώμενοι αὐτούς. Ὁ δὲ γέρων πρὸς αὐτόν· Γνωθὶ σὺν ἀκριβῶς ὅτι καὶ ὁ Χριστὸς ἡμᾶς ἀναδέξάμενος χρεωφειλέτην ἑαυτὸν κατέστησε, κατὰ τὰς θείας Γραφάς· «ὁ ἄμνός τοῦ Θεοῦ, ὁ αἴρων τὴν ἁμαρτίαν τοῦ κόσμου· ὁ γενόμενος ὑπὲρ ἡμῶν κατάρα· ὁ πάντων τὸν θάνατον ἀναδέξάμενος καὶ ὑπὲρ πάντων ἀποθανῶν»· σὲ μόνον οὐκ ἀνεδέξατο; Τοῦτο ὁμολόγησον σαφῶς, καὶ ἡμεῖς ἠτήμηθα. Ὁ δὲ ἀδελφὸς προσπεσῶν ἔφη· Εἰ καὶ ὡς νῆπιος ἐσφάλην κατὰ ἄγνοϊαν, τὸν δὲ

გსურს, ჩვენც მცირედს გამოგიცხადებთ შენ; თავად კი, როცა გაიზრებ, განაგდე მაღალმზრახველობა, უფრო მეტად კი – ბოროტადმზრახველობა, და შეიძინე სიმდაბლე ქრისტესი, რომელიც ამბობს: «იტვირთეთ ჩემი უღელი თქვენ თავზე და ისწავლეთ ჩემგან, რადგან მშვიდი ვარ და მდაბალი გულით და მოიპოვებთ სიმშვიდეს თქვენი სულისთვის» (მთ. 11.29).

15. მორჩილმა კი მიუგო (=მორჩილი კი მიეჭრა ბერის სიტყვას) და თქვა: „თუ თითოეული ჩვენგანი იმით მიემსგავსება ქრისტეს სიმდაბლეს, რომ საკუთარ საზღაურად (დანაშაულად) მიიჩნევს [მასზე] მოწევნულ [განსაცდელეებს], როგორც თქვი, მაშასადამე, ქრისტემაც, როცა ივნო, საკუთარი საზღაური გადაიხადა (ვალი აღასრულა). აქედან გამომდინარე, მე მიმაჩნია, რომ ამას ვინც ამბობს, მკრეხელობს“. ხოლო წინამძღვარმა, როცა ეს მოისმინა, თქვა: „მე კი ვცდილობდი, რომ ჯერ შენი პირველგანსაზღვრული (პირველი) შეკითხვა ამეხსნა; რაკი ეს შეკითხვაც დაამატე, რომ შეკითხვათა შერევისგან [ჰასუხთა] განმარტება დაგეფარა, ჩვენ, უფლის მეშვეობით, ამის შესახებაც სრულად განგიმარტავთ (დაგარწმუნებთ) შენ, როცა ამ საკითხების შესაბამის შეკითხვას უკან დაგიბრუნებთ (=და ამის შესაბამისად საპირისპიროდ გკითხავთ). მითხარი მე, ისინი, ვინც ვალად იღებენ საკუთარ ვალს, მხოლოდ თავად არიან მოვალენი, თუ ისინიც, ვინც თავდებად დაუდგა მათ?“ მორჩილმა მიუგო და უთხრა: „ცხადია, ისინიც, ვინც თავდებად დაუდგა მათ“.

და ყოველთათვის მოკუდა (შდრ. 2 კორ. 5.14), შენ მხოლოდ არა მიგიჩემა? ესე ოდენ აღიარე ცხადად და ჩუენ ძლეულ ვართ“. ხოლო ძმაჲ იგი შეუვრდა მას და ჰრქუა: „დაღათუ, ვითარცა ჩჩული ვსცეთ, უმეცრებით,[38] არამედ არავე უვარ-ვჰყოფ მქსნელსა და თავსმდებსა მორწმუნეთასა, რამეთუ უწყი, ვითარმედ არცა ერთი სასოებაჲ ცხორებისაჲ დაშთომილ არს კაცთაჲ მოციქულისა მიერ თქუმითა, ვითარმედ: **ყოველთავე ცოდეს და დააკლდებიან დიდებასა ღმრთისასა, ხოლო განმართლდებიან უსასყიდლოდ მაღლითა მისითა** (რომ. 3.23,24).

λυτρωτήν τῶν πιστῶν καὶ ἀνάδοχον οὐκ ἄρνοῦμαι. Οἶδα γὰρ ὅτι οὐδεὶς ἑτέρα ἐλπὶς σωτηρίας ὑπολείπεται τοῖς ἀνθρώποις, τοῦ Ἀποστόλου λέγοντος ὅτι· «Πάντες ἡμαρτον, καὶ ὑστεροῦμενοι τῆς δόξης τοῦ Θεοῦ, δικαιούμενοι δωρεὰν τῆ αὐτοῦ χάριτι.»

ბერმა კი მას უპასუხა: მაშ, ზედმიწევნით გაიზრე, რომ ქრისტემ, რომელმაც ჩვენ გვიტვირთა (მიგვიღო), საკუთარი თავი მოვალე გახადა, საღვთო წერილის შესაბამისად: «ტარიგი ღვთისა, რომელიც იტვირთავს ქვეყნის ცოდვას, რომელიც ჩვენ გამო წყევლა გახდა, რომელმაც ყოველთა სიკვდილი მიიღო და ყველასთვის მოკვდა» (ინ. 1.29; გალ. 3,3; შდრ. 2 კორ. 5.14), და ნუთუ მხოლოდ შენ არ გიტვირთა (მიგვიღო)? აღიარე ეს, და ჩვენ დამარცხებული ვიქნებით“. ძმა კი [ბერის] წინ დაემხო და უთხრა: „თუკი როგორც ჩვილი, უმეცრებით შევცდი, მორწმუნეთა გამომხსნელსა და თავმდებს არ უარვყოფ.

რადგან ვიცი, რომ ცხონების (გამოხსნის) სხვა არცერთი სასოება არ დარჩენილა ადამიანებისთვის, მას შემდეგ, რაც მოციქულმა თქვა: «ყველამ შესცოდა, და მოაკლდნენ ღვთის დიდებას, მაშინ, როცა განმართლდენ უსასყიდლოდ, ღვთის მაღლით»“ (რომ. 3. 23,24).

16. და ვითარცა ირგეს ყოველთა მეცნიერებასა ზედა სინანულსა მის ძმისასა, ბერმან თქუა: „ამერიითგან ესელა მაკლს ჩუენ წერილთა მიერიითა ჩუენებითა, ვითარმედ არარაჲ შემაწუხებელთაგანი მოიწვევის უსამართლოდ თითოეულსა ზედა, არამედ ყოველივე სამართლითა ბჰობითა ღმრთისათა, რომელთამე თუსთა ბოროტათუს, ხოლო რომელთამე მოყუასთა ვნებისა მიერ, **ყოველივე წიაღთა უსამართლოთა ზედა დაუვალს, რამეთუ უფლის მიერი ყოველივე სამართალ არს**“ (იგავ. 16.33), და კულად: „**არა არს სიბოროტე ქალაქსა შინა, რომელი არა ქმნა უფალმან**“ (ამოს 3.6), და

XVI. Ωφεληθέντων δὲ πάντων ἐπὶ τῆ ἐπιγνώσει καὶ μετανοίᾳ τοῦ ἀδελφοῦ, ὁ γέρον ἔφη· Λείπεται λοιπὸν ἡμᾶς δεῖξαι ἀπὸ τῆς Γραφῆς ὅτι οὐδὲν τῶν συμβαινόντων λυπηρῶν ἐκάστω ἀδίκως ἐπέρχεται, ἀλλὰ πάντα κατὰ δικαίαν κρίσιν Θεοῦ, τῶν μὲν ὑπὲρ τῶν ἰδίων κακῶν, τῶν δὲ καὶ ὑπὲρ τῶν πλησίον πασχόντων. «Εἰς κόλπον ἐπέρχεται πάντα τοῖς ἀδίκοις, παρὰ γὰρ Κυρίου πάντα δίκαια.» Καὶ πάλιν· «Οὐκ ἔστι κακία ἐν πόλει ἢν Κύριος οὐκ ἐποίησε.» Καὶ πάλιν· «Πάντα τὰ ἔργα Κυρίου μετὰ δικαιοσύνης» Καί· «Ὁ σπείρει ἕκαστος, τοῦτο καὶ θερίσει», καί· «Εἰ ἡμῶν ἀδίκια Θεοῦ δικαιοσύνην συνίστησι, τί ἐροῦμεν; Μὴ ἄδικος ὁ Θεὸς ὁ ἐπιφέρων τὴν ὀργήν; κατὰ

16. ხოლო მას შემდეგ რაც, ყველამ სარგებელი მიიღო ძმის შემეცნებითა და სინანულით, ბერმა თქვა:

„ისლა დაგვრჩენია, ჩვენ გაჩვენოთ წერილიდან, რომ ჩვენთვის შემთხვეულ მწუხარებათაგან, არც ერთი უსამართლოდ არ მოგვეახლება, არამედ, ყოველივე უფლის სამართლიანი განაჩენის შესაბამისად [შეგვემთხვევა], ერთი ის, როცა საკუთარი ბოროტებისთვის ვიტანჯებით, და მეორე, როცა – მოყვასისთვის. **ყოველი [საქმე] მიეახლება უსამართლოებს [მათ] სამყოფელში (წიაღში, გულში), უფლისგან კი ყოველი [საქმე] სამართლიანი არის**“ (იგავ.

კულად: „ყოველნი საქმენი უფლისანი სიმართლით არიან (გალ. 6.7), და რადგა-რად სთესოს თითოეულმან იგიცა მოიმკოს“ (იგავ. 16.7), და კულად: უკუეთუ სიცრუვე ჩუენი სიმართლესა ღმრთისასა წარმოადგინებს, რად-მე ვთქუა? ნუსადა უსამართლობად არს ღმრთისა თანა, რომელი მოავლინებს რისხვასა? კაცობრივ ვიტყვ, ნუ იყოფინ (რომ. 3.5,6). აჰა ეგერა სამნი ყრმანიცა საკუმილსა შეთხეულნი (შდრ. დან. 3.28,31), ამასავე ცნობასა მასწავლებენ ჩუენ, რამეთუ თვისთა მიზეზითა და ბრძანებითა ღმრთისადათა იტყვან საკუმილსა შეთხევასა თვისსა, დაღათუ სხუათა პირსა იჩემებენ, და წმიდად დავით სემისგან ჭირვეული ღმრთისა ბრძანებისა და თვისსა ბრალეულებისა მიერ აღიარებს თვისსა ჭირვეულებასა (შდრ. 2 მეფ. 16.7-11), ხოლო ესაია და იერემია, ეხევიელ და დანიილ და სხუანი წინადაწარმეტყუელნი, ერსა და წარმართთა შემთხვევადსა მათდა ჭირსა თითოეულისა ცოდვისაებრ შემთხუეულად წინა-აუწყებდეს, ამას თანა მიზეზთაცა მათ ზედა მოწვევანდათასა წინაგანუცხადებდეს თქუმითა, ვითარმედ: ვინადათგან იტყოდეს ამას და ამას და იქმოდეს ამას და ამას, მიწიოს მათ ზედა ესე და ესე, და ფსალმუნსა შინა ნეტარი დავით ამისდა ცხადყოფად იტყოდა: „გულისკმა-ვყავ უფალო, რამეთუ სიმართლით არიან განკითხვანი შენნი და ჭეშმარიტებით დამამდაბლე მე“ (ფსალმ. 118.75), და კულად: „საყუედრელად უგუნურსა მიმეც მე, დაყვრუვდი და არა აღვადე პირი ჩემი, რამეთუ შენ ჰყავ“ (ფსალმ. 38.9,10). ვინადა ჩუენცა მათ ზედა, რომელნი-იგი

ἀνθρωπον λέγω. Μὴ γένοιτο.» Ἴδου καὶ οἱ τρεῖς παῖδες ἐν τῇ καμίνῳ βληθέντες διδάσκουσιν ἡμᾶς τοῦτο τὸ φρόνημα, κατὰ ἰδίαν αἰτίαν καὶ Θεοῦ κέλευσιν λέγοντες ἐμβεβλήσθαι, εἰ καὶ ἄλλων ἀνεδέξαντο πρόσωπον. Καὶ ὁ ἅγιος Δαβὶδ ὑπὸ τοῦ Σεμεὶ θλιβόμενος κελεύσει Θεοῦ καὶ διὰ ἴδια αἰτιάματα ὁμολογεῖ θλιβεσθαι. Καὶ Ἑσαίας δὲ καὶ Ἱερεμίας, Ἱεζεκιήλ τε καὶ Δανιήλ, καὶ οἱ λοιποὶ προφηταὶ τῷ τε λαῷ καὶ τοῖς ἔθνεσι τὰ μέλλοντα θλιβερὰ κατὰ τὴν ἐκάστου ἀμαρτίαν ἐπέρχεσθαι αὐτοῖς προεφήτευσον, ἅμα καὶ τὰς αἰτίας καὶ τὰς ἐπιφορὰς προδηλώσαντες· φησὶ γάρ· Ἄνθ' ὧν ἐλάλουν τάδε, καὶ ἐποίουν τάδε, ἐπέλθου αὐτοῖς τάδε καὶ τάδε. Καὶ ἐν τῷ ψαλμῷ ὁ μακάριος Δαβὶδ τοῦτο φανεροποιῶν ἔλεγεν· «Ἔγνων, Κύριε, ὅτι δικαιοσύνη τὰ κρίματά σου, καὶ ἀληθεῖα ἐταπείνωσάς με.» Καὶ πάλιν· «Ὀνειδος ἄφροني ἔδωκάς με· ἐκωφώθη, καὶ οὐκ ἦνοιξα τὸ στόμα μου, ὅτι σὺ ἐποίησας.» Διόπερ καὶ ἡμεῖς ἐφ' οἷς ἠκούσαμεν παρὰ τοῦ δικαιοῦ τὰ τοῦ ἀγίου Δαβὶδ λέγειν τῷ Θεῷ ὀφειλομεν, τὸ «Ἐκωφώθη καὶ οὐκ ἦνοιξα τὸ στόμα μου ὅτι σὺ ἐποίησας», καὶ εὐχαριστεῖν ὅτι τῶν ἐπιτεκαλυμμένων ἐν ἡμῖν ἐνοιῶν πονηρῶν ἔλεγον αὐτὸν ἐπέστειλεν, ἵνα ἀκριβῶς τὰς ἐνοιῶν ἡμῶν ἐπιβλεψάμενοι ἑαυτοῦς διορθώσωμεθα καὶ μὴ ἀμφιβάλλωμεν εἰ τὸ πλεῖστον τῆς ἑαυτῶν κακίας ἀγνοοῦμεν. Τελείου γάρ ἀνδρός ἐστὶν ἀληθάργητον εἶναι ἐν τοῖς ἰδίῳς ἡττήμασιν. Εἰ δὲ τὰ προφανῆ ἡττήματα ἐστὶ δυσκατανόητα, πολλῶ μᾶλλον τὰ ἐνθυμήματα. Γνωσόμεθα οὖν ὡς λογικοὶ ὅτι πρὸς τὴν ἡμῶν ὀφέλειαν ἐπιφέρει Κύριος τὰς ἐπαγωγὰς καὶ πολλὰ καλὰ δι' αὐτῶν ἐν ἡμῖν ἐργάζεται· πρῶτον εὐρεσιν τῶν κρυπτῶν ἡμᾶς κατεχουσῶν φάσλων ἐνοιῶν· μετὰ τὴν τούτων εὐρεσιν,

16.33); და ასევე: «არ არის სიბოროტე ქალაქში, რომელიც უფალმა არ დაუშვა (მოიმოქმედა)» (ამოს 3.6); და ისევე: «უფლის ყოველი საქმე სამართლიანობით არის» (იგავ.16.7); და კიდევ: «თითოეული, რასაც დათესავს, იმავს მოიმკის» (გალ. 6.7); და კვლავ: «თუ ჩვენი უსამართლობა ღმერთის სამართლიანობას წარმოაჩენს, რა ვთქვათ? განა უსამართლოა ღმერთი, რომელიც რისხვას მოავლინებს? ადამიანურად ვამბობ, ნუ იყოფინ» (რომ. 3.5,6). შეხედე, ამავ სულისკვეთებით განგვსწავლის ღუმელში ჩავარდნილი სამი ყრმაც, რომლებიც ამბობენ, რომ თავიანთი დანაშაულის (ბრალეულობის) გამო არიან ჩავარდნილები (შდრ. დან. 3.28,31) და ღვთის განწყევლით, თუმცა [ამ დროს] სხვათა სახეს განიკუთვნებენ. და წმინდა დავითი, სემისგან შეურაცხყოფილი (შევიწროებული) აღიარებს, რომ ღვთის განჩინებითა და საკუთარი დანაშაულის (ბრალეულობის) გამო არის შეურაცხყოფილი (შდრ. 2 მეფ. 16.7-11). ხოლო ესაიაც და იერემიაც, ეხევიელიც და დანიელიც და დანარჩენი წინასწარმეტყველნიც [ისრაელის] ერს და [წარმართთა] ტომებს უწინასწარმეტყველებდნენ, რომ მომავალი განსაცდელები მათ თითოეულის ცოდვის შესაბამისად შეემთხვეოდათ. ერთდროულად განუცხადებდნენ მათ დანაშაულებსაც (ბრალეულობაც) და განჩინებებსაც; რამეთუ ნათქვამია, რომ იმის (იმათ) შესაბამისად, რასაც ამბობდნენ და რასაც აკეთებდნენ, მათზე ასე და ასე მოიწეოდა. და ფსალმუნში ნეტარი დავით სწორედ ამას

გამომკვლევლისა მისგან, წმიდისა დავითისა მას თქუმად ღმრთისა თანამდებ ვართ: „**დავყრუვდი და არა აღვადე პირი ჩემი, რამეთუ შენ ჰყავ**“ (ფსალმ. 39.9,10), და მადლობად მისდა, რამეთუ დაფარულებასა ბოროტთა მოგონებათა ჩუენთასა მხილებად მოუვლინა იგი, რაათა განცხადებულად მხილველნი ჩუენთა მოგონებათანი განვჰმართნეთ თავნი თვსნი, და ნუმცა იქუენულ ვართ, ვითარმედ უმრავლესსა ბ[39][**ბოროტთა ჩუენთაგანსა უმეცარ ვართ, ხოლო სრულისა**] კაცისაჲ არს დაუფარველობად თვსთა ნაკლულევანებათად, ხოლო უკუეთუ საჩინონი ნაკალულევანებანი ძნად საცნობლად არიან, ფრიად სადმე უფროდს მათსა მოგონებანი. ვინადცა, ვითარცა სიტყვერთა ვცნათ, ვითარმედ სარგებელად ჩუენდა მოაწევს უფალი შემთხუევათა და მრავალთა კეთილთა მიყოფს ჩუენ მათ მიერ. პირველად პოვნსა ფარულად შემპყრობელთა ჩუენთა ბოროტთა მოგონებათასა, ხოლო შემდგომად ამათსა პოვნისა სიმდაბლესაცა შეგუძინებს ჭეშმარიტსა და უზმნობელსა. ამისსა შემდგომად ამაოღსა ცუდადმზუაობრობისაგან თავისუფლებასა, და ზოგად ერთბამად ყოვლისა ბოროტისა ჩუენ შორის დადარნებულისა განქიქებასა, წერილისა მისებრ, ვითარმედ: „**გამოჩნდეს ყოველნი მოქმედნი უსჯულოებისანი, რაათა მოისრნენ უკუენითი უკუენისამდე**“ (ფსალმ. 91.8). ვინადცა ესე ზედა-მიწევნით უწყოდეთ მმანო, ვითარმედ, უკუეთუ არა სარწმუნოებით და მადლობით მოვითმინნეთ

καὶ ταπεινοφροσύνην προστίθησιν ἀληθινὴν καὶ ἀσχημάτιστον· εἶτα τῆς ματαίας οἰήσεως ἀπαλλαγῆν καὶ ἀπαξάπλωδες πάσης κακίας ἐμφαλευσούσης ἀνακάλυσιν, κατὰ τὸ γεγραμμένον· «Διέκυσαν πάντες οἱ ἐργαζόμενοι τὴν ἀνομίαν, ὅπως ἂν ἐξολοθρευθῶσιν εἰς τὸν αἰῶνα τοῦ αἰῶνος.» Τοῦτο οὖν ἀκριβῶς ἴστε γινώσκοντες, ἀδελφοί, ὅτι ἐὰν μὴ τὰς ἐπιφορὰς μετὰ πίστεως καὶ εὐχαριστίας ὑπομείνωμεν, τὴν ἐγκεκρυμμένην κακίαν εὐρεῖν οὐ δύναμεθα. Ταύτης δὲ τρανῶς μὴ εὐρεθείσης, οὕτε τοὺς ἐνεσθῶτας φάσλους λογισμοὺς ἀπορρίψαι δύναμεθα, οὕτε τῶν προγεγενημένων κακῶν ἰλασμόν ζητήσαι, οὕτε περὶ τῶν μελλόντων ἀσφάλειαν δεξασθαι.

ცხად-ჰყოფდა და ამბობდა: «ვიცოდი, უფალო, რომ სამრთლიანია შენი განაჩენი, და ჭეშმარიტებით დამამდაბლე მე» (ფსალმ. 118.75), და ასევე: «საყვედრებლად უგუნურს გადაეცი ჩემი თავი; დავუძღურდი (=დავყრუვდი) და არ განვადე პირი ჩემი, იმიტომ რომ შენ იმოქმედე» (ფსალმ. 38.9,10). ამიტომ, ჩვენც მათზე, რაც მოვისმინეთ სამართალმცოდნისგან, ვალდებულები ვართ, რომ ვუთხრათ ღმერთს წმინდა დავითის ეს [სიტყვა]: «დავყრუვდი (=დავუძღურდი) და არ განვადე პირი ჩემი, იმიტომ რომ შენ იმოქმედე» (ფსალმ. 38.9,10), და ვმადლობდეთ [ღმერთს], რომ ჩვენში დაფარული უკეთური აზრების (ზრახვების) სამხილებლად მოავლინა იგი (სქოლასტიკოსი), რათა გულდასმით დავაკვირდეთ ჩვენს აზრებს (ზრახვებს) და საკუთარი თავი გამოვასწოროთ და არ დავეჭვდეთ, რომ საკუთარი ბოროტების უმეტესი ნაწილი არ ვიცით. ხოლო სრულყოფილ ადამიანს შეუძლია, რომ მისთვის დაუფარავი იყოს პირადი შეცოდებანი (ნაკლოვანებები). თუკი ცხადი შეცოდებანი (ნაკლოვანებები) ძნელადსაპოვნელნი არიან, სიმრვალის მიხედვით, მათზე უფრო მეტად ძნელად საპოვნელია აზრები (ზრახვები). მაშ ასე, როგორც გონიერებმა, გავიაზროთ (შევიცნოთ), რომ [უფალი] ჩვენ სასარგებლოდ განგვიწესებს განსაცდელებს და მათი მეშვეობით მრავალ სიკეთეს ახორციელებს ჩვენში. პირველ რიგში, აღმოვაჩენთ ფარულ და უკეთურ აზრებს¹⁹³ როცა ისინი ჩვენ გვიპყრობენ. მათი აღმოჩენის შემდეგ კი,

¹⁹³ = [უფალი] ახორციელებს [ἐργάζεται] აღმოჩენას (=εὑρεσιν), ფარული, უკეთური აზრებისა.

განსაცდელთა შემთხვევანი, ჩუენ შორის ფარულსა სიბოროტესა პოვნად ვერ უძლებთ და უკუეთუ არა პირველად იგი ცხადად იპოვოს, ვერცა მოწევნადთა ბოროტთა გულისსიტყუათა განგდებად უძლებთ, ვერცა პირველ ქმნულთა ბრალთათჳს ლხინებასა თხოვად, ვერცა ყოფადთა მიმართ კრძალულებისა მოგებად“.

უფალი ჩვენ მოგვანიჭებს (შეგვმატებს) ჭემმარიტ, და არა მოჩვენებით, სიმდაბლეს. შემდგომ, [მოგვანიჭებს] [ჩვენ] ფუჭი თვითდაჯერებულობისგან განთავისუფლებას და, საერთოდ, მთელი დაფარული ბოროტების განქიქებას, იმის შესაბამისად, რაც დაწერილია: «ყველა წარმოჩნდა, ვინც უსამართლობა გააკეთა, ჩაიდინა, რათა საუკუნოდ დაიღუპონ» (ფსალმ. 91.8). მაშ, ზედმიწევნით უწყოდეთ (იცოდეთ) ეს, როცა იმას შეიმეცნებთ, ძმებო, რომ განსაცდელებს რწმენით და მადლიერებით თუ არ გადავიტანთ, ჩვენში დაფარული უკეთურების აღმოჩენას ვერ შევძლებთ. მაშინ, როცა უკეთურება ცხადად არ იქნება აღმოჩენილი, ვერც მოწევნული ბოროტი გულისზრახვების უკუგდებას შევძლებთ, ვერც უწინ განხორციელებული სიბოროტეებისთვის შეწყალებას მოვიპოვებთ, და ვერც მომავლის მიმართ შევიძენთ (მოვიხვეჭთ) სიფრთხილეს“.

17. კითხვა: უკუეთუ სხოლასტიკოსისა სიტყუანი ჩუენთა საქმეთა სამხილებელ არნ, რად არა ვჰყობთ მათთჳს ბრალეულად თავთა თჳსთა?
მიგება: განსაცდელთა შემთხვევანი და მხილებანი არა ცხადად ემსგავსებიან მიზეზთა მათთა, ხოლო წინაშე სულიერთაჲსა ყოველსავე სცვენ იგინი სამართალსა, და ესე ცნობად ძალგვც წმიდთა წერილთაგან, რამეთუ ნუუკუე და სილოამს გოდლითა მოკლულთა მათ სხუათადა გოდოლი აღემართა? (მდრ. ლკ.13.4) და ტყუედ წარყვანებულთა ბაბილოვნს სამეოცდაათ წელ შენებად, სხუანი ვიეთნიმე ტყუედ

XVII. Ἐρώτησις: Εἰ τὰ ῥήματα τοῦ σχολαστικοῦ ἔλεγχός εἰσι τῶν ἡμετέρων πραγμάτων, διὰ τί τῶν εἰρημένων ὑπεσθόνους ἑαυτοῦς οὐχ εὐρίσκομεν;
Ἀπόκρισις: Αἱ ἐπιφοραὶ καὶ οἱ ἔλεχοι ταῖς αἰτίαις εἰς τὸ φανερὸν οὐκ ἐξομοιοῦνται, κατὰ δὲ τὸ πνευματικὸν πᾶσαν ἀποσφῆζουσι δικαιοσύνην. Τοῦτο δὲ καὶ διὰ τῆς ἀγίας Γραφῆς γινῶναι δυνάμεθα. Μὴ γὰρ οἱ ὑπὸ τοῦ πύργου τοῦ Σιλωάμ ἀποθανόντες ἑτέροις πύργον ἐπεκατέσεισαν, καὶ οἱ ἀπαχθέντες εἰς μετάνοιαν ἐν Βαβυλῶνι αἰχμάλωτοι ἐβδომῆκοντα ἔτη ἄλλους πῖνὰς αἰχμάλωτους ἔλαβον εἰς μετάνοιαν; Οὐχ οὕτως εἰσὶν αἱ παιδευτικαὶ συμβάσεις· ἀλλ’

17. კითხვა: თუ სქოლასტიკოსის სიტყვები ჩვენი საქმეების სამხილებლადაა, ნათქვამის გამო რატომ არ მივიჩნევთ თავს დამნაშავედ?
პასუხი: განსაცდელები და მხილებები ცხადად არ შეესაბამება დანაშაულებს (მიზეზებს), სულიერებასთან მიმართებით კი, მთელ სიმართლეს სრულად ინარჩუნებენ. ხოლო ეს ჩვენ შეგვიძლია შევიცნოთ წმინდა წერილის მეშვეობით. მართლაც, განა ვინც სილოამის კოშკის სახურავის [ჩამონგრევის] გამო მოკვდა, [მანამდე] მათ სხვა ადამიანებზე ჩამოანგრეის კოშკი (მდრ. ლკ.13.4), ან ტყვეებმა,

წარეყუნნესა? (მდრ. 4მეფ. 24.14-16; 2ნეშტ. 36.20; დან. 9.2), გარნა არა ესრეთ არიან განსასწავლენი შემთხვევანი, არამედ ვითარცა მკედარნი შეისმინნენ რად ბრალისათვის იტანჯებიან სადმე, გარნა არა იგივე შემთხვევის, ვითარ სახედ მათ ქმნნეს ბოროტნი. ეგრეთვე ყოველნი განვისწავლებით ჩუენ ზედა მომავალთაგან ჟამიერად სადმე და შესატყვისად შენანებისა, გარნა არა ერთსახედ, არცა მასვე ჟამსა, არცა მათვე საქმეთა მიერ და ესე არს რომელი მრავალთა ურწმუნობად მოიყვანებს სამართალთა ღმრთისათათაჲს, დროებად ჟამისაჲ და უმსგავსოებად შემთხვევადთაჲ.

ὥσπερ οἱ στρατιῶται, ὅταν φαραθῶσιν ἀμαρτήσαντες, αἰκίζονται μὲν, οὐ τὰ αὐτὰ δὲ πάσχουσιν οἷ᾽α φαῦλα πεποιήκασιν, οὕτω καὶ πάντες παιδεύομεθα διὰ τῶν ἐπερχομένων, εὐκαίρως μὲν καὶ ἀρμοζόντως καὶ πρὸς μετάνοιαν· οὐχ ὁμοιοτρόπως δὲ, οὐδὲ ἐν τῷ αὐτῷ καιρῷ, οὐδὲ διὰ τῶν αὐτῶν πραγμάτων· καὶ τοῦτό ἐστιν ὃ ἄγει τοὺς πολλοὺς εἰς ἀπιστίαν τῆς τοῦ Θεοῦ δικαιοσύνης, ἢ τοῦ καιροῦ ὑπέρθεσις καὶ ἢ τῶν ἐπιφορῶν ἀνομοιότης.

რომლებიც დაატყვევეს (=საპყრობილეში წაიყვანეს) სინანულისთვის ბაბილონში სამოცდაათი წლით, განა [მანამდე] მათ ვინმე სხვა დაატყვევეს სინანულისთვის (მდრ. 4 მეფ. 24.14-16; 2 ნეშტ. 36.20; დან. 9.2)? ასეთი შემთხვევები არ (არის) არიან დამსჯელობითნი; არამედ, როგორც დამნაშავე ჯარისკაცები, როცა მხილებულნი არიან, ისჯებიან, მაგრამ ისინი იმავე ბოროტებას არ იტანენ, რაც სხვაზე მოიმოქმედეს. მსგავსადვე, ყველანიც, მოწვენილთა მეშვეობით, დრო და დრო (დროულად, გარკვეულ დროს) და მიზანშეწონილად სინანულისთვის განვისწავლებით. არა ერთგვარად (ერთი სახით), არც იმავე დროს, არც იმავე საქმეების [და მოქმედებების] მიერ (მეშვეობით); და ეს არის ის, რასაც მიჰყავს მრავალი (მრავალნი), ღმერთის სამართლიანობის ურწმუნობისკენ - დროის გადაწევა (გადადება) და მოწვევულ განსაცდელთა შეუსაბამობა [ჩადენილ ცოდვებთან მიმართებით].

18. კითხვა: ვინათგან მრავალნი მაჭირვებელნი საქმენი შემემთხვევიან ჩუენ, რომელნიმე კაცთა მოშურნეთაგან, ძვრისმზრახთაგან, შემასმენელთაგან, ცილისმწამებე[40]ლთაგან, მლიქნელთაგან, მაცთურთაგან, წინაგანმწყობთაგან, მთხრელთაგან, მპარავთაგან და მაჭირვებელთაგან, დამაბრკოლებელთაგან, შეურაცხისმყოფელთაგან, მტერობისმქონებელთაგან, მოძულეთაგან, მბრძოლთაგან, მცემელთაგან, განმცდელთაგან, მდევართაგან და რაოდენი კაცთაგან კაცთა ზედა მოიწივის,

XVIII. Ἐρώτησις: Οὐκοῦν ἐπειδὴ πολλὰ ἐπέρχονται ἡμῖν θλιβερὰ πρᾶγματα, τοῦτο μὲν δι' ἀνθρώπων φθινοῦντων, καταλαλοῦντων, διαβαλλόντων, συκοφαντοῦντων, κολακεύοντων, πλανώντων, ἀπατώντων, διορυστόντων, ἀποστεροῦντων, σκανδαλιζόντων, ἐχθραίνόντων, καταφρονοῦντων, μισούντων, πολεμοῦντων, τυπτόντων, ἐπηρεάζόντων, διακόντων, καὶ ὅσα ἀνθρώποις παρὰ ἀνθρώπων ἐπέρχεται· ἢ καὶ παρὰ τοῦ ἰδίου σώματος σφριγῶντος, πολεμοῦντος, ἀναπαύσεις θέλοντος, ποικίλοις νοσήμασι καὶ τραύμασι περιπίπτοντος καὶ

18. კითხვა: რადგანაც მრავალი მწუხარე საქმე შეგვემთხვევა ჩვენ, ერთი მხრივ, - შურიან ადამიანთა, ავისმეტყველთა, დამბრალებელთა, ცილისმწამებელთა, მლიქვნელთა, მაცდურთა, ცრულთა, ძირის გამომთხრელთა, მპარავთა, შეურაცხმყოფელთა, მოძულეთა, შემზიზღებელთა, წინააღმდეგობთა, მტერთა, მცემელთა, მავნებელთა, მდევნელთა მიერ, ის, რაც ადამიანებს ადამიანთაგან შემთხვევათ. ანდა, [შეგვემთხვევა] საკუთარი სხეულის გაზულუქებისგან (აღზევებისგან, აღძვრისგან, განებვირებისგან), როცა

გინათუ თვთ თვისითა ჯორცთაგან ბრძოლად, განსუენებისად, თითო სახეთა სენთა და წყლულებათა შთაგდებად, მრავალსახე უძლურებად, გინათუ გარეგან ამათსა შემთხუეულნი: კბენანი ძალთაგან, გესლიანთა ანუ სხუათა ჯორცის-მჭამელთა მჯეცთაგან, ამათ ზედა სიყმილნი, სრვანი, ძრვანი, ნეფხვანი, სიცხენი, სიბერე, სიგლახვე, მარტოებად და რაოდენნი არიან ესევეითარნი. ამათ თანა სულთაგანცა სიბოროტისათა, რომელთა მიმართი ბრძოლად ჩუენი მოციქულმან განაცხადა, რომელნი სიტყუათა და საქმეთა ჩუენტა ემზირებინ, რომელთა შედრგინებით და შეტყუებით გულისსიტყუათა ჩუენტა ჰაზრ-ჰყოფენ, და სამართლად რმეთუ არათუ თვთმფლობელი გონებად ჩუენი ეზრახოს გამომცდელიობითთა კუეთებათა მისთა თვისითა ურწმუნოებითა, და დატევეებითა საყოველთაოდსა სასოებისადთა, აღძრნეს გულისსიტყუანი, არა სიტყუანი აღმოითქუმინ, არცა საქმენი აღსრულებინ. ხოლო შენ სთქუ, ვითარმედ ყოველნი განსაცდელნი შესაბამად ბრალისა შემთხუევიან თითოეულსა, მეცნიერებად, ღმრთისა სიმართლესა მიმზიდველობითა ჩუენითა. გამომცხადენ ჩუენ მიზეზნი იგი, რადთა ესრეთ გურწმენეს, ვითარმედ თანამდებ განსაცდელთა ვართ და თანა-გუაც დათმენად ჩუენ ზედა მომავალთა ჭირთად, რადთა არა სამშჯავროსა მას, არა ხოლო ვითარცა ცოდვილთა, არამედ ვითარცა არცა კურნებისა თავსმდებელთა უმძიმესი ტანჯვად გუაქუნდეს.

მიგებად: ყოვლისა შემთხუევისა მიზეზ არს გულისსიტყუად თითოეულისა. მაქუნდა

πολυτρόπως ἀσθινούντος· ἢ καὶ τὰ ἐκτὸς τούτων ἐντὸς τούτοις συμβαίνοντα δῆγματα κυνῶν, ἰοβόλων ἢ σαρκοβόρων θηρίων, πρὸς τούτοις λιμοί, λοιμοί, σεισμοί, παγετοί, καύσανες, γῆρας, πενία, μόνωσις καὶ ὅσα τοιαῦτα· τοῦτο δὲ διὰ τῶν πνευμάτων τῆς πονηρίας πρὸς ἃ τὴν πάλην ἡμῶν εἶναι ὁ Ἀπόστολος ἐφανέρωσε τοὺς λόγους ἡμῶν καὶ τὰς πράξεις ἐπιτηρούντων, δι' ὧν ἀκοιούθως ἐφαιμίλους καὶ τοὺς λογισμοὺς ἡμῶν εἶναι καταστοχάζονται· καὶ εἰκότως, εἰ μὴ γάρ ὁ ἀντεξοσιος ἡμῶν νοῦς ταῖς δοκιμαστικαῖς προσβολαῖς ἐξ ἀπιστίας προσομιλήσει καὶ ἀφείς τὴν καθολικὴν ἐλπίδα λογισμοὺς ἀνακινήσει, οὕτε λόγοι προσφέρονται, οὕτε πράξεις ἐπιτελοῦνται. Αὐτὸς δὲ εἶρηκας ὅτι πᾶσαι αἱ συμφοραὶ κατὰ αἰτίαν ἀναλόγως ἐκάστω ἐπέρχονται, εἰς ἐπίγνωσιν τῆς τοῦ Θεοῦ δικαιοσύνης ἡμᾶς ἔλκουσαι. Φανέρωσον ἡμῖν τὰς αἰτίας, ἵνα οὕτως πιστεύσωμεν ὅτι ὑπεύθυνοι τῶν ἐπιφορῶν ἐσμεν, καὶ ὀφείλομεν ὑπομένειν τὰ ἐπερχόμενα θλιβερά, ἵνα μὴ ἐν τῇ κρίσει οὐχ ὡς ἀμαρτωλοὶ μόνον ἀλλὰ καὶ ὡς τὴν ἴασιν μὴ προσδεξάμενοι βαρύτεραν ἐξάμεν τὴν κόλασιν.

Ἀπόκρισις: Πάσης συμβάσεως αἰτία ἐστὶν ὁ ἐκάστου λογισμός. Εἶχον δὲ εἰπεῖν ὅτι καὶ οἱ λόγοι καὶ αἱ πράξεις· ἀλλ' ἐπειδὴ ταῦτα πρὸ ἐννοίας οὐκ προέρχονται, τούτου χάριν τὸ πᾶν τοῖς λογισμοῖς ἐπιγράψοιμι. Τοῦ λογισμοῦ οὗν προηγουμένου, λοιπὸν οἱ λόγοι καὶ αἱ πράξεις παρέχουσιν ἡμῖν τὴν εἰς ἀλλήλους κοινωνίαν. Δύο δὲ εἰσιν οἱ τρόποι τῆς κοινωνίας, εἷς ἀπὸ ἀγάπης καὶ εἷς ἀπὸ κακίας. Διὰ δὲ τῆς κοινωνίας, ὡς οὐκ οἶδαμεν, ἀλλήλους ἀναδεχόμεθα. Ταῖς δὲ ἀναδοχαῖς αἱ ἐπιφοραὶ ἀναγκαιῶς ἀκοιουσιθῶσι, καθὼς φησιν ἡ Γραφή· «Ὁ ἐγγύσωμενος τὸν ἑαυτοῦ φίλον ἐχθρῷ παραδίδωσι τὴν ἑαυτοῦ χεῖρα.»

სხეული მტრად გვექცევა ჩვენ და სურს განსვენება, როცა სხვადასხვა სნეულებითა და იარებით გვესხმის თავს და სხვადასხვაგვარად გვაუძლურებს. მათ შორის, ამათ გარდა, [ჩვენზე] მოიწევა ნაკბენები, ძალღების ან შხამიანი და მტაცებელი ცხოველების, ამასთან ერთად, [არის] შიმშილი, დაავადებანი, მიწისძვრანი, ყინვები, გვალვები (სიცხეები), სიბერე, სიდუხჭირე (გაჭირვება), მარტოობა და სხვა მრავალი. და, მეორე მხრივ, [მწუხარე საქმეები შეგვემთხვევა ჩვენ] ბოროტ სულთა მიერ, რომელთა მიმართ ჩვენი ბრძოლა მოციქულმა ცხადყო (განაცხადა), რომლებიც ჩვენს სიტყვებს და საქმეებს უთვალთვალეებენ და, (რომლებიც) თვალთვალის მეშვეობით, თანმიმდევრულად გამოიცნობენ, რომ ჩვენი გულისზრახვანიც [ჩვენი სიტყვებისა და საქმეების] შესაბამისნი (თანასწორი) არიან; და სამართლიანადაც. მართლაც, თუ ჩვენი თვითმფლობელი გონება, არასანდოობის გამო, არ თანაეზიარება (არ დაუკავშირდება) გამომცდელ შემოტევეებს (კვეთებებს) და არ მიატოვებს [ღმერთის] საყოველთაო სასოებას, არ აღძრავს გულისზრახვებს, არც სიტყვები წარმოითქმება და აღარც საქმეები აღსრულდება. შენ ხომ თავადვე თქვი, რომ განსაცდელები ბრალეულობის (დანაშაულის) შესაბამისად შემთხვევა თითოეულს, რათა განსაცდელებმა ჩვენ ღმერთის სამართლიანობის შეცნობასთან მიგვიყვანოს. გამოგვიცხადე ჩვენ ბრალეულობანი, რათა ვირწმუნოთ, რომ დამსახურებული გვაქვს (=დამნაშევენი ვართ) განსაცდელები და ვალდებულნი ვართ,

თქუმად, ვითარმედ სიტყუანუცა და საქმენი, ხოლო ვინადთან ესენი პირველ მოგონებისა არა გამოვლენ, ამის მადლისათვს ყოველსავე გულისსიტყუათა ზედა დავაწერ, რამეთუ წინა-უძლოდეს რად გულისსიტყუად, მიერთთან სიტყუანიცა და საქმენი მომცემენ ჩუენ ურთიერთას ზიარებასა, ხოლო ზიარებისა სახენი ორ არიან: ერთი სიყუარულისაგან და მეორე სიბოროტისაგან, რამეთუ ზიარებითა, ვითარცა-იგი არა უწყით ურთიერთას ვითავმსდებებთ¹⁸⁷, ხოლო თავსმდებობითა საჭიროდ შეუდგან შემთხუევანიცა, ვითარცა იტყვს წერილი, ვითარმედ, „რომელმან ითავსმდებოს მეგობარი თვისი მტერსა მისცემს ჳელსა თვისსა“ (იგავ.6.1,2), ვინადცა ესრეთ თითოეული არა ხოლო თავისა თვისისათვს თავს ისხამს მის ზედა [41] მომავალთა, არამედ [მოყუასთა] თვისცა, რომელთაცა ზედა ითავსმდება იგი.

Ὅντως ἕκαστος οὐ μόνον ὑπὲρ ἑαυτοῦ τὰ ἐπιερχόμενα ὑπομένει, ἀλλὰ καὶ ὑπὲρ τοῦ πλησίον ἐφ' οἷς αὐτὸν ἀνεδέξατο.

გადავიტანოთ ჩვენზე მოწვევული მწუხარებანი, რათა სამსჯავროზე უფრო მეტი სასჯელი არ განვიკუთვნოთ, როგორც არა მხოლოდ ცოდვილებმა, არამედ, როგორც კურნების არმიმღებებმა.

პასუხი: ყველა შემთხვევის მიზეზი არის თითოეულის გულისზრახვა; შემეძლო მეთქვა, რომ – სიტყვებიც და საქმეებიც, მაგრამ, ვინაიდან ისინი განზრახვას წინ არ უსწრებენ, ამის გამო ყოველივე ამას გულისზრახვას მივაწერდი. მართლაც, გულისზრახვა წინ მიუძღვის, და შემდეგ სიტყვები და საქმეები ჩვენ ერთმანეთთან თანაზიარების (ურთიერთობის) საშუალებას გვაძლევენ. თანაზიარების (ურთიერთობის) ორი სახე არსებობს: ერთი – სიყვარულისა და ერთი – ბოროტებისა. თანაზიარების მეშვეობით, ერთმანეთზე ვიღებთ პასუხისმგებლობას (=ერთმანეთს თავდებად ვუდგებით), ისე რომ, ვერც ვხვდებით. თავდებადობას, (პასუხისმგებლობას, თანაგრძნობას) კი განსაცდელეები მოჰყვება, როგორც წერილი ამბობს: «ის, ვინც თავდებად დაუდგა საკუთარ მეგობარს, მტერს გადასცა თავისი ხელი» (იგავ.6.1,2). ამრიგად, თითოეულს არა მორტო საკუთარი თავის გამო გადააქვს მოწვევული მწუხარებანი, არამედ, მოყვასის გამოც, რადგანაც თავდებად დაუდგა მას (=მოყვასს).

19. კითხვა: ვითხოვთ სწავლად ერთსა რასმე სახესა თვსმდებობისასა, ვიტყვთ უკუე სიბოროტისაგან ქმნილსა. **მიგება:** სიბოროტისაგან ქმნილი თავსმდებობად უნებლიეთ არს, ხოლო ესრეთ

XIX. Ἐρώτησις: Ἄξιόν μιν μαθεῖν τὸν ἕνα τρόπον τῆς ἀναδοχῆς, λέγομεν δὲ τὸν ἀπὸ κακίας γινόμενον. **Ἀπόκρισις:** Ἡ ἀπὸ κακίας ἀναδοχὴ ἀκούσιτος ἐστίν. Ὅντως δὲ συμβαίνει. Ἀναδέχεται τοῖς

19. კითხვა: გვსურს, გვასწავლო თავდებადობის ერთი სახე, ვგულისხმობთ (ვამბობთ) სიბოროტისგან წარმოქმნილს (წარმოშობილს). **პასუხი:** სიბოროტისგან წარმოქმნილი თავდებადობა

¹⁸⁷ ხელნაწერშია: ვითამსდებებთ

შემთხვევის: ენაცვლების განსაცდელთა, ვითარ-იგი არა ჰნებავს, დამაკლებელი დაკლებულისათა; ეგრთვე ცილისმწამებელი ცილადწამებულისათა, მატკივებელი ტკივნიულისათა, მომხუეჭელი მიხუეჭილისათა, ძვრისმეტყუელი ძვრისზრახულისათა, შეურაცხისმყოფელი შეურაცხყოფილისათა, შემასმენელი შესმენილისათა და რადთა არა თითოეულად ვიტყოდი, ყოველი ძვრისმყოფელი ძვრნილულისა განსაცდელთა შესაბამად ეზიერების და ამას წამებს წერილი მეტყუელი ესრეთ, ვითარმედ: „**მართალი სანადიროდთ განერეს, ხოლო მისწილ მიეცეს უღმრთოდ**“ (იგავ. 11.8), და კუალად, „**რომელი უთხრიდეს მთხრებლსა მოყუასსა თვისა თვთვე შთავარდეს მას შინა**“ და „**რომელი გამოუთხრიდეს ქვასა თავისა თვსად გამოუთხრის**“ (იგავ. 26.27), და კუალად: „**წილად მიეგების ყოველი უსამართლოთა, რამეთუ უფლისა მიერი ყოველივე მართალ**“ (იგავ. 16.33), ვინაჲცა „**უკუეთუ უსამართლობაჲ ჩუენი სიმართლესა ღმრთისასა წარმოაჩინებს**“, რადსაღა ურთიერთას უჯდებით, „**ნუუკუე უსამართლო არს ღმერთი, რომელი მოაწევს რისხვასა**“ (შდრ. რომ. 3.5) თვისა განსაცდელთა მიერ არა განსწავლულთა ზედა, არამედ მათდა მიმართცა განძნებულთა?

πειρασμούς ὡς ὅς θέλει ὁ ἀποστερῶν τοῦ ἀποστερουμένου, ὁμοίως ὁ συκοφαντῶν τοῦ συκοφαντουμένου, ὁ καταπονῶν τοῦ καταπονουμένου, ὁ καταλαλῶν τοῦ καταλαλουμένου, ὁ καταφρονῶν τοῦ καταφρονουμένου, ὁ διαβάλλων τοῦ διαβαλλομένου· καὶ ἵνα μὴ καθ’ ἐν λέγω, πᾶς ὁ ἀδικῶν τοῦ ἀδικουμένου κατὰ ἀναλογίαν ἀναδέχεται τοὺς πειρασμούς. Τοῦτοις δὲ μαρτυρεῖ ἡ Γραφή λέγουσα· «Ὁ δίκαιος ἐκ θήρας ἐκδύνει, ἀντ’ αὐτοῦ δὲ παραδίδοται ἀσεβῆς», καὶ πάλιν· «Ὁ ὀρύσσων βῆθρον ἐμπεσεῖται εἰς αὐτόν», καὶ· «Ὁ κυλίαν λίθον ἐφ’ ἑαυτὸν κυλίει», καὶ πάλιν· «Εἰς κόλπον ἐπέρχεται πάντα τοῖς ἀδίκους, παρά δὲ Κυρίου πάντα δίκαια.» Εἰ οὖν «ἡ ἡμῶν ἀδικία Θεοῦ δικαιοσύνην συνίστησιν» ἐν ἀλλήλοις, κατὰ τὸν Ἀπόστολον, «τί ἐροῦμεν; Μὴ ἄδικος ὁ Θεὸς ὁ ἐπιφέρων τὴν ὀργὴν» τοῖς παιδευομένοις διὰ τῶν ἐπιφορῶν, ἀλλὰ καὶ πρὸς ταῦτα ἀνεπισκέπτως ἀγρυαινομένοις;

უნებლიეთია (უნებურია) და ამგვარად აღესრულება: ადამიანი, ისე, რომ არ სურს, თავის თავზე იღებს სხვის განსაცდელს: წამრთმეველი იმის განსაცდელს იღებს, ვისაც ართმევს, მსგავსადვე – ცილისმწამებელი იმისას, ვისაც ცილს სწამებს, მტანჯველი – ტანჯულისას, ძვირისმეტყველი – იმისას, ვისზეც ძვირს ამბობს, და ვინც სხვას შეიზიზღებს, იმის განსაცდელს მიიღებს, მომტყუებელი – იმისას, ვისაც ატყუებს; და რათა თითოეული ცალ-ცალკე არ ვთქვა, ყოველი დამზარალეველი – ურთიერთმეფარდების (მიმართების) შესაბამისად, დაზარალეულის განსაცდელს იტვირთავს (ანადეხეთ). ამას კი მოწმობს წერილი, რომელიც, ამბობს: „მართალი დახსნილია დევნისგან, მის ნაცვლად უღმრთო გადაიციმა“ (იგავ. 11.8), და ასევე: „ვინც ორმოს თხრის, თავად ჩავარდება მასში“ და „ვინც ქვას ისვრის, საკუთარ თავს ესვრის“ (იგავ. 26.27), და კიდევ: „ყოველი [საქმე] მიეგებათ (მიეწევთ) უსამართლოებს [მათ] სამყოფელში (წიაღში, გულში), რადგან უფლისგან ყოველი [საქმე] სამართლიანია“ (იგავ. 16.33). მართლაც, თუ მოციქულის თქმით, «ჩვენი უსამართლობა ღმერთის სამართლიანობას წარმოაჩენს» ჩვენში, «რას ვამბობთ? რომ (განა) უსამართლოა ღმერთი, რომელიც რისხვას მოავლინებს» (შდრ. რომ.3.5) [არა მხოლოდ] მათზე, რომლებიც განსაცდელის მეშვეობით განისწავლებიან, არამედ იმათზეც, რომლებიც გაუაზრებლად (უსაფუძვლოდ) მძვინვარებენ განსაცდელის წინააღმდეგ?

20. კითხვა: ესე ესრეთ ყოფად გურწამს შემდგომობისა უკუანა

XX. Ἐρώτησις: Ταῦτα οὕτως ἔχειν πιστεύομεν δι’ ἀκολουθίαι

20. კითხვა: მას შემდეგ, რაც ეს თანმიმდევრობით მოვისმინეთ,

შედგომილთა, ამიერიტგან მარქუ ჩუენ სიყუარულის მიერიცა თავსმდებობაჲ. **მიგებაჲ:** სიყუარულისა მიერი თავსდებობაჲ არს, რომელი-იგი უფალმან მოგუცა ჩუენ. პირველად კურნებთა უძლურებათა სულისა ჩუენისაჲთა, მერმე კურნებთა ყოვლისა სენისა და ყოვლისა უძლურებისაჲთა (შდრ. მთ. 10,1), აღიხუამს რაჲ ცოდვათა სოფლისათა და წმიდად კუალად-აგებს ბუნებასა, მტკიცედ მორწმუნეთა მისთასა წსნილთა სიკუდილისაგან. ღმრთისმსახურებაჲ მოგუცა, კეთილმსახურებაჲ გუასწავა, სიყუარულისათჳს ვიდრე სიკუდილმდე ძვრისხილვაჲ გვჩუენა, მოთმინებთა ჭირთა შინა, და მის ძლით მოსლვითა სულისაჲთა მომადლნა ჩუენ ყოფადნი კეთილნი, „**რომელნი თუალმან არა იხილნა და ყურსა არა ესმა და გულსა კაცისასა არა აღვიდა**“ (1 კორ. 2.9), ვინაჲ ჩუენ თჳსნიცა იგი განსაცდელნი თავს-ისხნა, ყუედრებულმან, განბასრებულმან, ცილისწამებულმან, განცემულმან, მოკლულმან, ქენჯნილმან, ნაღველ და ძმარ სუმულმან და რაღლა უმრავლესი ვთქუა? სამშჳულითაგან მშჳუალულმან და ჯუარცმულმან და ლახურითა განგუმერულმან. [42] ესრეთ სულით და ჳორცით **გუეზიარე** ჩუენ და ჩუენნი ვნებანი თავს-ისხნა და კუალად ესევე შჯული მისცა თჳსთა მოციქულთა, წინაღწარმეტყუელთა, მამათა, მამთამთავართა, რომელთამე წინა-ასწავა სულითა წმიდითა და რომელთამე უჩუენა უხრწნელთა ჳორცთა მიერ და ამისთჳს თავსმდებობისა გამოცხადებად იტყოდა: „**ნუ გეშინინ, მე მიძლევიეს სოფლისადა**“ (ინ. 16.33), და კუალად, „**მე მათთჳს წმიდა-ვჳყოფ თავსა ჩემსა, რაჲთა**

ἐπακούσαντες. Λοιπὸν εἶπε ἡμῖν καὶ τὴν ἐξ ἀγάπης ἀναδοχὴν. **Ἀπόκρισι:** Ἡ ἐξ ἀγάπης ἀναδοχὴ ἐστὶν ἢ ὁ Κύριος Ἰησοῦς ἡμῖν παρέδωκε, πρῶτον ἰασάμενος ἡμῶν τὰς ἀσθενείας τῆς ψυχῆς, εἶτα θεραπεύων πᾶσαν νόσον καὶ πᾶσαν μαλακίαν, αἴρων τὴν ἁμαρτίαν τοῦ κόσμου, τὴν καθάρων φύσιν ἀποκαθιστῶν τοῖς βεβιαῶς αὐτῶ πιστεύουσιν, θανάτου λύτρωσιν, θεοσέβειαν παραδιδούς, εὐσέβειαν διδάσκων, ὑπὲρ ἀγάπης κακοπαθεῖν ἕως θανάτου ὑποδεικνύων, τὴν ἐπὶ τούτοις ὑπομονὴν διὰ τῆς τοῦ Πνεύματος μετουσίᾳ χαρισάμενος ἡμῖν, τὰ μέλλοντα ἀγαθὰ, «ὃ ὀφθαλμοῦς οὐκ εἶδε, καὶ οὐκ οὐκ ἤκουσε, καὶ ἐπὶ καρδίᾳ ἀνθρώπου οὐκ ἀνέβη». Διὸ καὶ τοὺς ὑπὲρ ἡμῶν πειρασμοὺς ἀναδέχεται ὀνειδιζόμενος, μυκτηριζόμενος, παραδιδόμενος, ῥαπιζόμενος, συκοφαντούμενος, διωκόμενος, δεσμούμενος, κολαφιζόμενος, ὄξος καὶ χολὴν ποτιζόμενος καὶ τί πλεῖον εἶπα; ἦλοις καταπειρούμενος καὶ λόγχῃ νυσσοῦμενος. Οὕτως ἡμῖν διὰ σαρκὸς καὶ πνεύματος κοινωήσας καὶ τὰ ὑπὲρ ἡμῶν πάθη ἀναδεξάμενος, πάλιν τοῖς ἰδίοις ἀποστόλοις παρέδωκε τὸν νόμον τοῦτον, προφήταις, πατράσι, πατριάρχαις, τοὺς μὲν προδιδῶντας διὰ τοῦ ἀγίου Πνεύματος, τοῖς δὲ ὑποδείξας διὰ τοῦ ἀχράντου σώματος. Ταύτην τὴν ἀναδοχὴν ἐμφαίνων ἔλεγεν· «Μὴ φοβείσθε, ἐγὼ νενίκηκα τὸν κόσμον», καὶ πάλιν· «Ἐγὼ ὑπὲρ αὐτῶν ἀγιάζω ἑμαυτὸν ἵνα καὶ αὐτοὶ ὄσιν ἡγιασμένοι ἐν ἀληθείᾳ», καὶ πάλιν· «Μερίζονα ταύτης ἀγάπην οὐδεὶς ἔχει ἵνα τις τὴν ψυχὴν αὐτοῦ θῆ ὑπὲρ τῶν φίλων αὐτοῦ». Ὅθεν καὶ ὁ ἅγιος Παῦλος μιμούμενος τὸν Κύριον ἔλεγε· «Νῦν χαίρω ἐν τοῖς παθήμασί μου ὑπὲρ ὑμῶν τῶν ἔθνων, καὶ ἀναπληρῶ τὰ ὑστερήματα τῶν θλίψεων τοῦ Χριστοῦ ἐν τῇ σαρκί

გვწამს, რომ სწორედ ამგვარად არის. ამის შემდეგ (ახლა) გვითხარი ჩვენ – სიყვარულისმიერი თავდებობის შესახებ. **პასუხი:** სიყვარულისმიერი თავდებობა არის ის, რაც უფალმა იესომ ჩვენ მოგვანიჭა, ჯერ განკურნა ჩვენი სულის უძლურებანი, შემდეგ კი უმკურნალა ყოველგვარ სნეულებას და ყოველგვარ სისუსტეს (შდრ. მთ. 10,1), იტვირთა სამყაროს ცოდვა, და უფლის მტკიცედ მორწმუნეებს აღუდგინა ცოდვისგან განწმენდილი ბუნება. სიკვდილისგან გამოხსნა და ღვთისმომშიშება მოგვანიჭა, კეთილკრძალებულება გვასწავლა, სიყვარულისთვის სიკვდილამდე ტანჯვა გვიჩვენა, განსაცდელებში მოთმინებითა და სულიწმიდის მეშვეობით, ჩვენ მოთმინება და მომავალი სიკეთენი მოგვმადლა, «რაც თვალს არ უნახავს და ყურს არ სმენია და ადამიანის გულთან არ მიახლებულა» (1 კორ. 2.9). ამიტომაც იტვირთავს ჩვენთვის განსაცდელებს, მაშინ როცა – აყვედრიან, დასცინიან, ღალატობენ (გასცემენ), სცემენ, ცილს სწამებენ, დევნიან, ბორკავენ, ყვრიმალში ურტყამენ, ძმარს და ნაღველს ასმევენ, – მეტი რაღა ვთქვა? ლურსმებით შემშჳალეს და ლახვრით განგმირეს. ამგვარად, ხორცისა და სულის მეშვეობით გვეზიარა (თანამონაწილე გაგვიხდა, დაგვიკავშირდა, შეგვიერთდა) ჩვენ და ტანჯვა იტვირთა ჩვენ გამო, ეს რჯული ასევე (წესად) გადასცა თავის მოციქულებს, წინასწარმეტყველებს, მამებს, მამამთავრებს (პატრიარქებს), ერთნი სულიწმიდის მიერ წინასწარ განსწავლა (რჯულში, წესში), მეორეებს კი აჩვენა ეს [რჯული, წესი], უხრწნელი (უცოდველი, უბიწო) სხეულის

იგინიცა განწმედილ-იყვნენ ჭემმარტებითა“ (ინ. 17.19), და კუალად: „უფროდის ამისსა სიყუარული არავის აქუს, რათა სული თვის ვინმე დადვას მეგობართა თვსთათვს“ (ინ. 15.13), ვინადაც წმიდად პავლე მიმსგავსებულად უფლისა იტყოდა: „აწ მიხარის ვნებათა შინა ჩემთა თქუნ წარმართთათვს და აღმოვაგვებ ნაკლულევანებასა ჭირთა ქრისტესთასა ჯორცთა შინა ჩემთა გუამისათვს მისისა, რომელ არს ეკლესია“ (კოლ. 1.26). აჰა, ესერა სიყუარულისა თავსდებობასა მოასწავებს, ხოლო გნებავს თუ უცხადსადრე ცნობად თუ ვითარ გუეზიარნეს ჩუნ ყოველნი მოციქულნი გონებით და სიტყვთ და საქმით და ზიარებისა მისთვს თავს ისხნეს ჩუნთვსნიცა იგი განსაცდელნი, რამეთუ გონებითა წერილთა განმიხუმიდეს ჩუნ, წინადაწარმეტყულებათა წინა-დაგვდებდეს, ქრისტეს, ვითარცა მკსნელისა რწმუნებად გუარწუნებს, მსახურებად მისსა, ვითარცა ბუნებით ძისა ღმრთისა გულსავსე-გუყოფდეს, ლოცვიდეს ჩუნთვს, ცრემლოდეს, მოკუდებოდეს და რაოდენი-რადა არს სარწმუნოასა მოგონებისაჲ. ხოლო სიტყვთა გულოცვიდეს, გუსწავლიდეს, გურისხვდეს, გუამხილებდეს, მცირედ მორწმუნეობასა ჩუნენსა აყუდრებდეს, უმეცრებასა ჩუნენსა ჰკდემდეს, წერილთა გამოგვთარგმნიდეს, ჟამსა ცხადად-ჰყოფდეს, ქრისტესა აღიერებდეს, თვთ მას ჯუარცმულსა ქადაგებდეს სიტყუად განკაცებულად, ერთად და არა ორად იტყოდეს, დაღათუ ორთაგან იცნობიეს, განუყოფელად შეერთებულად, ყოველსავე შინა ჟამსა და ადგილსა და საქმესა. ბოროტმორწმუნეობასა

μου ὑπὲρ τοῦ σώματος αὐτοῦ, ὃ ἐστὶν ἡ Ἐκκλησία», καὶ αὐτὸς τὴν ἐξ ἀγάπης ἀναδοχὴν αἰνιττόμενος. Βούλει δὲ σαφέστερον ἐπιγῶναι πῶς ἡμῖν πάντες οἱ ἀπόστολοι δι' ἐννοίας καὶ λόγου καὶ πράξεως ἐκοινωνήσαν, καὶ διὰ τῆς κοινωνίας τοὺς ὑπὲρ ἡμῶν ἀνεδέξαντο πειρασμούς; διὰ μὲν ἐννοίας τὰς Γραφὰς ἡμῖν διανοιῶντες, τὰς προφητείας παρατιθέμενοι, τῷ Χριστῷ πιστεύειν ὡς λυτρωτῆ πείθοντες, λατρεύειν αὐτῷ ὡς κατὰ φύσιν Υἱῷ Θεοῦ πληροφοροῦντες, ὑπὲρ ἡμῶν προσευχόμενοι, δακρύοντες, ἀποθνήσκοντες καὶ ὄσα τῆς πιστῆς ἐστὶν ἐννοίας· διὰ δὲ λόγων παρακαλοῦντες, νουθετοῦντες, ἐλέγχοντες, τὴν ὀλιγοπιστίαν ἡμῶν ὀνειδίζοντες, τὴν ἀγνωσίαν ἐπισκώπτοντες, τὰς Γραφὰς ἐρμηνεύοντες, τὸν καιρὸν φανεροποιοῦντες, τὸν Χριστὸν ὁμολογοῦντες, αὐτὸν εἶναι τὸν ἐσταυρωμένον κηρύττοντες, τὸν Λόγον ἐνανθρωπήσαντα, ἕνα καὶ οὐ δύο λέγοντες, κἄν ἐκ δύο νοοῖτο ἠνωμένον ἀδιαιρέτως, ἐν παντὶ καιρῷ καὶ τόπῳ καὶ πράγματι, τὴν κακοπιστίαν ἀνακόπτοντες, τῷ ψεύδει μὴ συντιθέμενοι, καυχάμενῳ κατὰ σάρκα μὴ συνομιλοῦντες, κενობόξῳ μὴ συνδιατρίβοντες, ἀλαζόνα μηδόλως καταπτῆσσοντες, πονηρεύομενον ἐξουθενοῦντες, τοὺς ταπεινοὺς προθέμενοι, τοὺς εὐλαβεῖς οἰκειοῦμενοι, καὶ ἡμᾶς τὰ αὐτὰ ποιεῖν διδάξαντες· διὰ δὲ πράξεως διακόμενοι, μუκτηριζόμενοι, ὑστεροῦμενοι, θλιβόμενοι, κακουχοῦμενοι, φυλακιζόμενοι, ἀποκτεινόμενοι, καὶ ὄσα τοιαῦτα ὑπὲρ ἡμῶν ἔπαθον. Οὕτω δὲ οὖν διὰ τῆς κοινωνίας ἀνεδέξαντο ἡμῶν τοὺς πειρασμούς· «Εἴτε γάρ, φησὶν, θλιβόμεθα εἴτε παρακαλούμεθα ὑπὲρ τῆς ἡμῶν σωτηρίας καὶ παρακλήσεως», τὸν νόμον παρὰ τοῦ Κυρίου δεξάμενοι λέγοντος· «Μείζονα ταύτης ἀγάπην οὐδείς ἔχει ἵνα τις τὴν

მეშვეობით. ამ თავდებობის წარმომჩენი კი ამბობდა: «ნუ გეშინიათ, მე ვძლიე ქვეყანას» (ინ. 16.33), და ასევე: «მე მათთვის შევწირავ (=წმინდა-ვყოფ= აγιად) საკუთარ თავს, რათა ისინი გახდნენ განწმენდილნი ჭემმარტებით» (ინ. 17.19), და კიდევ: «არავის აქვს იმაზე უფრო დიდი სიყვარული, როცა ვინმე საკუთარ სულს დადებს მისი მეგობრისთვის» (ინ. 15.13). აქედან გამომდინარე, უფლის მიმზადველი წმინდა პავლეც ამბობდა: «ახლა ვხარობ ჩემი განსაცდელებით (ტანჯვით) თქვენთვის, წარმართებისთვის (თქვენი ხალხისთვის), და ჩემი ხორციით ვავსებ ქრისტეს ურვათა ნაკლოვანებებს მისი სხეულისთვის, რომელიც არის ეკლესია» (კოლ. 1.24). თავად პავლეც, სიყვარულის მიერ თავდებობაზე მიანიშნებს. გსურს კი უფრო ცხადად გაიგო, როგორ გვეზიარა (გაგვიხდა თანამონაწილე, დაგვიკავშირდა) ჩვენ ყოველი მოციქული აზრის (ზრახვის), სიტყვისა და საქმის მეშვეობით და ზიარების (თანამონაწილეობის, კავშირის) საშუალებით იტვირთეს ჩვენ გამო განსაცდელები? მოციქულები აზრის (განსჯის აზროვნების) მეშვეობით [გვეზიარებთან (თანამონაწილენი არიან)], როცა წმინდა წერილს გვიხსნიან (განგვიმარტავენ) ჩვენ, წინასწარმეტყველებებს მოიხმობენ, გვარწმუნებენ, რომ ქრისტე ვირწმუნოთ, როგორც გამომხსნელი, სრულიად ადასტურებენ, რომ ვემსახუროთ (თავყვანი ვსცეთ) მას, როგორც ღვთის ბუნებით მეს; ლოცულობენ ჩვენთვის, ცრემლს ღვრიან, კვდებიან და ეს ყოველივე მორწმუნე გონებისთვის არის განკუთვნილი. სიტყვების მეშვეობით კი მაშინ

განჭრიდეს, ტყუვილსა არა თანა-მიჰყვებოდეს, ჯორციელად მოქადულსა არა თანა-ეზრახებოდეს, ცუდადმოზუაობარსა არა თანა-ექცეოდეს, ამპარტავანსა ყოვლად არა ეწიწვოდეს, ღმთისმოშიშთა განითვსებდეს და ჩუენცა ამათივე ქმნად გუასწავეს. ხოლო საქმით, რამეთუ იდევენბოდეს, იკიცხებოდეს ნაკლულევანნი, ჭირვეულნი, ძვრხილულნი, პერობილნი, მოკლულნი და რაოდენნი არიან ესევითარნი მათ ჩუენთვს შეემთხუეოდეს. ესრეთ უკუე ზიარებისა ჩუენისათვს თავს-იდებდეს ჩუენთვს განსაცდელთა, რამეთუ იტყვს: „გინათუ ვიჭირვით, გინათუ ნუგემინისცემულ ვართ, [43] თქუენისათვს ცხორებასა და ნუგემინისცემისა“ (მდრ. 2 კორ.1.6). [შჯუელსა] ღმრთისა მიერ მიიღებდეს და იტყოდეს: „**უფრომს ამისსა სიყვარული არავის აქუს, რადთა სული თვისი ვინმე დადვას მეგობართა თვისათვს**“ (ინ. 15.13), და მათცა ესევე ჩუენ მოგუცეს მეტყუელთა: „**უკუეთუ უფალმან სული თვისი ჩუენთვს დადვა თანა-გუაც ჩუენცა სულთა ჩუენთამ ძმათა ჩუენთათვს დადებად**“ (1ინ. 3.16) და კუალად: „**ურთიერთას სიმძიმე იტვრთეთ და ესრეთ ადასრულეთ შჯული იგი ქრისტესი**“ (გალ. 6.2). ვინადცა უკუეთუ გვცნობიან ორნივე სახენი ურთიერთას ზიარებისანი და საჭიროდ შედგომილი მათდა თავსდებობად და შესაბამად მათდა შემთხუეულნი განსაცდელნი, ნუღარა გამოვიძიებთ თუ ვითარ ანუ ოდეს ანუ რადსათვს მოიწევინ, რამეთუ შესაბამი თითოეულისად და თანაწარუვალი მოწევნად მისი და ყოვლისა აგებულებისად ამას ზედა თანა მოქმედებად,

ψυχὴν αὐτοῦ θῆ ὑπὲρ τῶν φιλῶν αὐτοῦ.» Καὶ αὐτοὶ ἡμῖν παραδεδόκασι λέγοντες· «Εἰ ὁ Κύριος τὴν ψυχὴν αὐτοῦ ἔθηκεν ὑπὲρ ἡμῶν, ὀφειλομεν καὶ ἡμεῖς τὰς ψυχὰς ἡμῶν ὑπὲρ τῶν ἀδελφῶν τιθέναι»· καὶ πάλιν «Ἀλλήλων τὰ βάρη βαστάζετε, καὶ οὕτως ἀναπληρώσατε τὸν νόμον τοῦ Χριστοῦ.» Εἰ οὖν ἔγνωμεν τοὺς δύο τρόπους τῆς εἰς ἀλλήλους κοινωσίας, καὶ τὴν ἐξ ἀνάγκης ἀκολουθούσαν ἀναδοχὴν, καὶ τοὺς κατὰ ἀναλογία συνβαίνοντας πειρασμούς, μὴ περιεργαζόμεθα τὸ πᾶς, ἢ πότε, ἢ διὰ τίνος ἐπέρχονται. Τὸ γὰρ ἐκάστῳ προσφῆς, καὶ τὴν ἀνυπέροχτον αὐτῶν ἔπειξιν, καὶ τὴν πάσης τῆς κτίσεως εἰς τοῦτο συνέργειαν, μόνου τοῦ Θεοῦ ἔστιν εἰδέναι. Ἡμεῖς δὲ ὀφειλομεν μόνον πιστεῦειν ἢ τοῦ Θεοῦ δικαιοσύνην καὶ εἰδέναι ὅτι πᾶν τὸ ἐπελθὸν ἡμῖν ἀκουσίως ἢ δι' ἀγάπην, ἢ διὰ κακίαν ἡμῖν ἐλήλυθε καὶ διὰ τοῦτο ὑπομένειν χρὴ καὶ μὴ ἀπαθεῖσθαι αὐτό, ἵνα μὴ προσθῶμεν ἄμαρτίαν ἐφ' ἄμαρτίας ἡμῶν.

[გვეზიარებიან (არიან თანამონაწილენი)], როცა გვანუგემებენ (მოგვიწოდებენ), გვარიგებენ (გვასწავლიან), გვამხილებენ, ჩვენს მცირედმორწმუნეობას კიცხავენ, უცოდინარობას არცხვენენ, წმინდა წერილს განგვიმარტავენ, საჭირო ჟამს ცხადად მოქმედებენ, ქადაგებენ, რომ თავად არის ის, ვინც ჯვარს ეცვა [ჩვენთვის], განკაცებული სიტყვა, და ამბობენ, რომ ის არის ერთი და არა ორი, და თუკი ორისგან მოიაზრება, განუყოფლად [არის] შეერთებული, ყოველი ჟამით და ადგილით და საქმით; ბოროტმორწმუნეობას განაგდებენ, სიცრუესთან წილს არ იდებენ, ხორციელად მოქადულს არ თანაეზრახებიან, ფუჭადმადიდებელთან არ ურთიერთობენ, ამყის (ამპარტავანის) საერთოდ არ ეშინიან, ბოროტისმოქმედს არარაობად მიიჩნევენ, თავმდაბლებს წარმოაჩენენ, ღვთისმომიშებს თავისიანად იდებენ და ჩვენც გვასწავლიან, რომ იგივე გავაკეთოთ; ხოლო საქმის მეშვეობით მაშინ [გვეზიარებიან (არიან თანამონაწილენი)], როცა იდევენბიან, შეურაცხყოფილნი არიან (მათ დასცინიან), დანაკლისს განიცდიან, ავიწროვებენ, იტანჯებიან, პატიმრობაში არიან, კვდებიან და ასეთი რამდენი რამ აიტანეს (იტვირთეს) ჩვენთვის. მართლაც, სწორედ ამგვარად, ზიარების (თანამონაწილეობის) მეშვეობით იტვირთეს ჩვენ გამო განსაცდელეები. რადგან ამბობს [მოციქული]: «თუ შევიწროვებულნი ვართ ან ნუგემინისცემულნი, თქვენი ხსნისა და ნუგემისთვის» (მდრ. 2 კორ.1.6). რჯული უფლისგან მიიღეს, რომელმაც თქვა: „არავის აქვს იმაზე უფრო დიდი სიყვარული, როცა ვინმე საკუთარ სულს დადებს თავისი

მხოლოდ ღმრთისად ოდენ არს ცნობად, ხოლო ჩუენ თანა-გუაც მხოლოდ რწმუნებად ოდენ სიმართლისა ღმრთისად და უწყებად, ვითარმედ ყოველი ჩუენ ზედა უნებლიეთ მომავალი ანუ სიყუარულისა, ანუ სიბოროტისათჳს მოიწია. ამისთჳს მოთმინებად გჴკმს არა განგდებად მისი, რადთა არა დავსძინოთ ცოდვად ცოდვასა ზედა ჩუენსა.

მეგობრისთვის» (ინ. 15.13). თავად მოციქულებმა კი ჩვენ გადმოგვცეს [რჯული], როცა თქვეს: «თუ უფალმა დადო თავისი სული ჩვენთვის, ჩვენც ვალდებულები ვართ ჩვენი სული დავდოთ ჩვენი ძმებისთვის» (1 ინ. 3.16) და ასევე: «ერთმანეთის ტვირთი იტვირთეთ და ასე აღასრულეთ ქრისტეს რჯული» (გალ. 6.2). მართლაც, თუ გავიაზრეთ ორივე სახე ერთმანეთთან ზიარებისა (თანამონაწილეობისა), და ისიც, [გავიაზრეთ], რომ თავდებობა საჭიროებიდან (აუცილებლობიდან) გამომდინარეობს და განსაცდელებიც ურთიერთშეფარდების (მიმართების) შესაბამისად შეგვემთხვევა, ნულარ გამოვიძიებთ იმას, თუ როგორ, როდის ან რის გამო შეგვემთხვევა [განსაცდელები]. რადგან თითოეულ განსაცდელთან [დანაშაულის, მიზეზის] შესაბამისობა და [დროის მიხედვით] მათი გარდაუვალი მოწევნა (შემთხვევა=დაჩქარება ἔπειξι, სისწრაფე,) და ამ მხრივ, ყოველი ქმნილების (ა)მასში (თან) თანამონაწილეობა (თანამოქმედება), – მხოლოდ ღმერთმა უწყის. ჩვენ კი ვალდებულები ვართ, მხოლოდ გვწამდეს ღმერთის სამართლიანობისა და ვიცოდეთ, რომ ყოველივე ის რაც ჩვენზე უნებლიეთ მოიწევა – ან სიყვარულის გამო, ან ბოროტების გამო შეგვემთხვევა ჩვენ, ამიტომ საჭიროა [მოწევნულის] მოთმინება და არ უნდა უარყოთ იგი, რათა ცოდვა არ მივამატოთ ჩვენს ცოდვებზე.

21. ხოლო ყოვლისა პირველ გლოცავ თქუენ ძმანო გამოწულილვით კრძალვად თქუმულთა ამათგან, რადთა არა

XXI. Πρὸ πάντων παρακαλῶ ὑμᾶς, ἀδελφοί, ἀκριβῶς προσέχειν τοῖς εἰρημένοις, ἵνα μὴ καὶ ἡμεῖς ἀναφελῶς τοὺς ὑπὲρ τῶν λόγων

21. უპირველეს ყოვლისა, გთხოვთ თქვენ, ძმებო, ზედმიწევნით მიაქციეთ ყურადღება იმას, რაც ითქვა,

ჩვენცა ურგებად თავს-
ვიდებდეთ სიტყუათა ამათვს
განსაცდელსა და თქვენ
უდებებითა დავიწყებად
მისცემდეთ თქუმულთა ჩემთა;
რამეთუ დავიწყებად ასული არს
უდებებისად, ხოლო ორნივე
ნაშობ ურწმუნოებისა. ამათდა
მიმართ მიუგეს ძმათა და
ჰრქუეს: „უგულსმოდგინეს იყავ
მამაო მოთხრობისათვს,
რამეთუ ჩვენცა უწყით რად
გუასმიეს, განმტკიცებულთა
წერილისაგან ამათისა
მეტყუელისა, ვითარმედ:
თვნიერ ღმრთისა სამართლისა
არარად უსამართლოდ
შემთხუევს კაცთა, დაღათუ
საიდუმლოდ მოწევნად
შემთხუევადთა და შესაბამი
მოწევნისა კაცთაგან
ვერმისაწთომელ არს, ვითარცა
შენვე სთქუ პირველ. ვინადაცა
ზემო თქმულთათვს
უზრუნველქმნილმან
ამიერიტგან მითხარ ჩუენ, რად
არს ნებად ხოცთად და ვითარ
თვნიერ გონებისა არს იგი,
რამეთუ სხოლასტიკოსმან
მხოლოდ ესოდენი იკითხა
უკუეთუ არსა, ხოლო თუ
ვითარ ანუ რად არს არღარა
გამოიკითხა“. ამას ზედა
წინამძღუარმან ჰრქუა: „ნება
ჯორცთა არს ბუნებითი აღძვრად
ჯორცთად, თვნიერ მისდა
შედგომილისა გულისსიტყვსა
განჯურვებისა, რომელი
ძილისაგან და ჯორცთა
განსუენებისა მიიღებს ძალასა,
რომლისათვს იტყვს წმიდად
პეტრე: „საყუარელნო ნუ
უცხოდ გიჩნს თქვენ შორის
განჯურვებად ეგე განსაცდელად
თქვენდა ქმნილი, ვითარმცა
უცხოდ შეგმთხუეოდ თქვენ“
(1პეტ. 4.12), და ნეტარი პავლე
მისთვსვე იტყვს: „ჯორცთა
გული უ[44]თქუამს სულსა
ზედა და სულსა ჯორცთა ზედა“,
ვინადაცა მცნებით ეტყვს:
„სულითა ვიდოდეთ და
გულისთქუამა ხორცთად არა
აღასრულოთ“ (გალ. 5.16,17),

πειρασμοὺς ὑπομείνωμεν, καὶ
ὕμεις διὰ ῥαθυμίαν τὰ εἰρημένα
λήθη παραδώσητε. Ἡ γὰρ λήθη
ῥαθυμίας θυγάτηρ, ἀμώτερα δὲ
ἀπιστίας ἔγγονα τυγχάνει. Πρὸς
ταῦτα ἀπεκρίθησαν οἱ ἀδελφοί·
Προθυμότερος ἔσο περι τὴν
διήγησιν, ὃ Πάτερ· ἡμεῖς γὰρ
οἴδαμεν ἃ ἰκοῦσάμεν,
βεβαιούμενοι παρὰ τῆς θείας
Γραφῆς ταῦτα λεγούσης ὅτι ἐκτὸς
δικαιοσύνης Θεοῦ οὐδὲν τῶν
ἀκουσίων τοῖς ἀνθρώποις
συμβαίνει, εἰ καὶ τὴν μυστικὴν τῶν
συμβάσεων συνδρομὴν καὶ
ἀρμόνιον ἔπειξιν ἄνθρωποι ὄντες
οὐ καταλαμβάνομεν, καθὼς καὶ
αὐτὸς προείρηκας. Διὸ περι τῶν
εἰρημένων ἄφροντις γενόμενος
εἶπε ἡμῖν λοιπὸν τί ἔστι τὸ θέλημα
τῆς σαρκὸς καὶ πῶς ἐκτὸς τοῦ
νοῦς ὑφέστηκεν. Ὁ γὰρ
σχολαστικὸς ἐρώτησε μόνον εἰ
ἔστι· τὸ δὲ πῶς ἢ τί ἔστιν οὐκ
ἐπύθετο. Πρὸς ταῦτα ὁ ἀσκητὴς
ἔφη· Θέλημα σαρκὸς ἔστιν ἡ
φυσικὴ τοῦ σώματος κίνησις μετὰ
τῆς ἐπομένης χάρις λογισμοῦ
πυρῶσεως· ἄπερ δι' ὕπνου καὶ τῆς
τῶν μελῶν ἀνέσεως ἰσχὺν
λαμβάνει. Περὶ ὧν φησιν ὁ ἅγιος
Πέτρος· «Ἀγαπητοί, μὴ ξενίζεσθε
τῇ ἐν ὑμῖν πυρώσει πρὸς
πειρασμὸν ὑμῖν γινομένην ὡς ξένου
ὑμῖν συμβαίνοντος.» Καὶ ὁ
μακάριος Παῦλος περι αὐτῶν ἔφη·
«Ἡ σάρξ ἐπιθυμεῖ κατὰ τὸν
πνεύματος, τὸ δὲ πνεῦμα κατὰ τῆς
σαρκὸς.» Διὸ καὶ παραγγέλλει
λέγων· «Πνεύματι περιπατεῖτε, καὶ
ἐπιθυμίαν σαρκὸς οὐ μὴ
τελέσητε.» Ταῦτα δὲ εἰρήκασιν
ἀσυνδιάστους ἡμᾶς πρὸς τὰς
τοιαύτας κινήσεις εἶναι
βουλόμενοι. Ἐν Χριστῷ Ἰησοῦ τῷ
Κυρίῳ ἡμῶν ᾧ ἡ δόξα εἰς τοὺς
αἰῶνας. Ἀμήν.

რათა არც ჩვენ გადავიტანოთ
ფუჭად (უსარგებლოდ) ამ
სიტყვებისთვის განსაცდელები
და არც თქვენ გადასცეთ
დავიწყებას სიზარმაცის გამო ეს
ნათქვამი. რადგან დავიწყება
ასულია სიზარმაცისა, ორივე კი
არის – ურწმუნოების შვილი
(=მემკვიდრე). ამის პასუხად,
ძმებმა ბერს უთხრეს: „უფრო
მხნედ იყავი მონათხრობის
გამო, მამაო. რადგან ჩვენ ვიცით
(გავიგეთ), რაც მოვისმინეთ,
რადგან განმტკიცებულნი ვართ
საღვთო წერილისგან, რომელიც
ამასვე ამბობს, რომ ღმერთის
სამართლიანობის გარეშე
არაფერი შეემთხვევა
ადამიანებს უნებური,
[განსაცდელთაგან],
მიუხედავად იმისა, რომ
საიდუმლო შემთხვევათა
მოწევნასა და შესაფერისი
(შესაბამისი, შეთანხმებული)
დროის გარემოებას ადამიანები,
როგორც თავად უწინ თქვი, ვერ
ვიაზრებთ.
ამიტომ, რადგან ზემოთ
ნათქვამის გამო აღარ ნაღვლობ,
გვითხარი დანარჩენი. რას
ნიშნავს ხორცის (სხეულის) ნება
და როგორ მყოფობს იგი
გონების გარეშე. რადგან
სქოლასტიკოსმა მხოლოდ ის
იკითხა, საერთოდ თუ
არსებობს ამგვარი რამ; ის კი
აღარ უკითხავს, თუ როგორ
არსებობს. ამასთან
დაკავშირებით, მოღვაწემ თქვა:
„ხორციელი ნება არის სხეულის
ბუნებრივი მოქმედება, მას
მოდევენებულ აღძვრასთან
ერთად, აზროვნების (განსჯის)
გარეშე, რაც ძილისა და
სხეულის (ნაწილების)
დასვენების მეშვეობით იღებს
ძალას. რომელთა შესახებ
წმინდა პეტრე ამბობს: «ნუ
გაოცდებით (გაგიკვირდებათ)
თქვენს განსაცდელად თქვენში
წარმოქმნილი აღზნებით
(განხურებით, აღძვრით), ისე
თითქოს, რაიმე უცხო
შეგმთხვევათ თქვენ» (1

ხოლო ესე თქუეს, რამეთუ
უნდა რადთა არა თანა-
მივჰყვებოდეთ ჩუენ
ესევითართა მათ აღძრვათა,
ქრისტეს იესუმს მიერ უფლისა
ჩუენისა, რომლისა თანა მამასა
თანა სულითწმიდითურთ
შუენის დიდებაჲ პატივი და
სიმტკიცე, უკუნიითი-
უკუნისამდე ამინ.

პეტ.4.12) და ნეტარი პავლეც
ამათ შესახებ ამბობდა: «ხორცს
სულის საწინააღმდეგო სურს,
სულს კი ხორცის», ამიტომაც
განგვიწესებს და ამბობს:
«სულით იცხოვრეთ და ხორცის
გულისთქმას (ვნებას)
არანაირად აღარ აღასრულებთ»
(გალ. 5.16,17). ეს კი უთქვამთ
[მოციქულებს], რადგან
სურდათ, რომ ჩვენ არ
ავყოლოდით ამ მოქმედებებს
(აღძვრას). ჩვენი უფლის, იესო
ქრისტეს მეშვეობით, დიდება
მას საუკუნოდ. ამინ.

ლექსიკონი

აღზუავება (თ. 9) - აღზეება, ამაღლება, გაამაყება; κατεπαίριμα

აღქუმა (თ. 20) - აღება, აყვანა, მიკვრა; აჲრა

აღჩენა (თ. 10) - ჩვენება, მიჩნევა, დადგენა; φάινω (საშ. - ვნ. გვარში ნიშნავს: მეჩვენება)

აღხუმა (თ. 15, 20) - აღება, აყვანა, აღმართვა; აჲრა (აჲრავ)

ბასრობა (თ. 13) - დაცინვა; μακτηρίζω

ბიწისმომზირალობა (თ. 13) - საქილიკოდ თვალთვალი ანუ დაცინვის მიზნით მიყურადება; ბერძნულ ტექსტში მოცემული ზმნა μαμοσκοπειν [საქილიკოდ უთვალთვალეbs] ნაწარმოებია არსებით სახელის - μᾶμοσ [ქილიკი] და ზმნის - σκοπειᾶ [ვუთვალთვალეbs] შეკავშირების შედეგად. ეფრემი წარმდგენილ ზმნას კალკირებულათ და შინაარსის თვალსაზრისით ზუსტად თარგმნის: „ბიწისმომზირალობენ“; μαμοσκοπειᾶ

ბოროტადმზრახვალობა (თ. 14) - ბოროტი ზრახვა; κᾠκοφοισύνη, ἦ

ბჳობა (თ. 16) - განსჯა; κρίσις, εἰς ἦ

გამომკულეველი (თ. 16) - გამომეძიებელი; ბერძნულ ტექსტში იგულისხმება სქოლასტიკოსი; δῆκᾶνικὸς 3

გამოწულილვით (თ. 13, 21) - ზედმიზევნით, დაწვრილებით, ნამდვილად; ἀκριβῶς

განბასრებული (თ. 20) - ადამიანი, რომელსაც დასცინიან; μακτηριζόμενος (ზმნიდან μακτηρίζω)

განთვსება (თ. 20) - საკუთრად მიჩნევა, გათავისება; οἰκεισύμενος (οἰκειῶ)

განკრძლული (უგანკრძალულის) (თ. 9) - გულმოდგინე, მოსწრაფე, ფრთხილი, εὐλαβῆς 2 (ღვთისმოშიში, NT.) (εὐλαβέστερος)

განქიქება (თ. 13) - გამდავენება; διαφημίζω

განცდა (თ. 13) - დაკვირვება; ἐπίστυμαι

განძვინებული (თ. 19) - განმძვინვარებული, გამრისხებული (იხ. ძვნება); ἀγριαίνωμενος (ზმნიდან ἀγριαίνω)

განხუმა (თ. 20) - გახსნა; διανοίγω (ზმნიდან διανοίγω)

განჭურება (თ. 21) - ხორციელი აღძვრა, აღზნება; πύρωσις, εἰς ἣν

გარეწარცდა (თ. 10) - განდგომა, განდევნა, გადასვლა; περισέρχομαι (მივდივარ, რაღაცას თავს ვუძღვნი, მემართება რაღაცა)

გოდოლი (თ. 17) - კოშკი, სახლის სახურავი; πύργος ὁ

გულის-თქუმა (თ. 21) - სურვილი; ἐπιθυμέω

გულისთქუმა (თ. 21) - სურვილი (იხ. გულის-თქუმა); ἐπιθυμία ἡ

გულისსიტყუა (თ. 16, 18) - ზრახვა, ფიქრი, აზრი; λογισμός ὁ

გულისკმისყოფა (თ. 10) - ცოდნა, უწყება, შეგნება; χρηματισμός ὁ

გულისკმისყოფით (თ. 13) - გულისხმიერად, გონივრულად (იხ. გულისკმისყოფა); συνετῶς

გულისკმისყოფით (თ. 13) - სიბრძნით, შეგებით; συνετῶς

გულსავსე ყოფა (თ. 20) - დაჯერება, დარწმუნება, დაკმაყოფილება; πληροφορῶν (πληροφορέω)

გულსავსეყოფა (თ. 13, 15, 20) - დაჯერება, დაკმაყოფილება, დარწმუნება, დაიმედება; πληροφορέω

დადარნებული (თ. 16) - ჩასაფრებული; ἐμφαλέσους (ზმნიდან ἐμφαλέω)

დაკნინება (თ. 13) - დამცირება; εὐτελίζω

დამწირება (თ. 13) - დამცრობა; ბერძნული ტერმინი σμικρύνοντες გახლავთ ზმნის პირიანი ფორმის σμικρύνω მიმღეობა. რაც, თავის მხრივ, წარმოქმნილია ზედსართავი

სახელის $\sigma\mu\kappa\rho\acute{o}\varsigma = \mu\iota\kappa\rho\acute{o}\varsigma$ „მცირე“ და ზმნის $\epsilon\iota\mu\acute{\iota} (\acute{\omega}\nu)$ „ვარ“ შეკავშირებით და ნიშნავს „თავს ვიმცირებ“. ეფრემის თარგმანში მოცემული ტერმინის ($\sigma\mu\iota\kappa\rho\nu\sigma\tau\epsilon\varsigma$) შესატყვისად გვაქვს: „დაიმწირნენ“. რაც შეეხება ტერმინს - „მწირობა“. ი. აბულაძეს ლექსიკონში აღნიშნული ტერმინი ამგვარად არის განმარტებული: «უცხოობა, მსხემობა, გარდასახლება, „უცხოებად აღირჩია და მწირობით და სიგლახაკით ცხოვრებად“ ი.-ე. 15,3;» (აბულაძე 1973: 310); $\sigma\mu\iota\kappa\rho\nu\alpha\nu$ ($\sigma\mu\iota\kappa\rho\nu\alpha$)

დასლვა (თ. 16) - ჩასვლა, დასვლა; $\epsilon\pi\acute{\epsilon}\rho\chi\omicron\mu\alpha\iota$

დატევება (თ. 11) - დატოვება; $\kappa\alpha\tau\alpha\lambda\epsilon\acute{\iota}\pi\omega$

დაშთომილობა (თ. 15) - დატოვებუბა, მიტოვებულობა; $\upsilon\pi\omicron\lambda\epsilon\acute{\iota}\pi\omega$

ერთბამად (თ. 16) - საერთოდ; $\acute{\alpha}\pi\alpha\chi\alpha\pi\lambda\acute{\omega}\varsigma$

ზაკუვად (თ. 13) - მზაკვრობა; $\delta\acute{o}\lambda\omicron\varsigma \acute{o}$

ზედამიწევნით (თ. 15) - სწორად, ზუსტად; $\acute{\alpha}\kappa\rho\iota\beta\acute{\omega}\varsigma$

თავსმდებელი (თ. 15) - საკუთარ თავზე ამღები, მტვირთველი (იხ. თავსმდებობა, და თავსმდებობად); $\epsilon\gamma\gamma\upsilon\sigma\acute{\omega}\mu\epsilon\nu\omicron\varsigma$ (ზმნიდან $\acute{\epsilon}\gamma\gamma\upsilon\acute{\alpha}\omega$)

თავსმდები (თ. 15) - თავმდები (იხ. თავსმდებობა); $\acute{\alpha}\nu\acute{\alpha}\delta\omicron\chi\omicron\varsigma \acute{o}$

თავსმდებობა (თ. 15, 18) - თავდებობა (იხ. თავსმდებელი); უნდა აღინიშნოს, რომ მე-15 თავში თარგმნილი მიმღეობის „თავსმდებელი“ შესატყვისად გვაქვს $\acute{\epsilon}\gamma\gamma\upsilon\sigma\acute{\omega}\mu\epsilon\nu\omicron\iota$ (მრ. რიცხვის მომღ. ზმნიდან $\acute{\epsilon}\gamma\gamma\upsilon\acute{\alpha}\omega$); $\acute{\alpha}\nu\acute{\alpha}\delta\acute{\epsilon}\chi\omicron\mu\alpha\iota$

თავსმდებობად (თ. 18) - თავდებობა (იხ. თავსმდებელი); $\acute{\alpha}\nu\acute{\alpha}\delta\omicron\chi\eta \eta$

თანა-გუაც=თანადება (თ. 12) - მართება, ვალის ქონა (იხ. თანადება); $\acute{o}\phi\epsilon\acute{\iota}\lambda\omega$

თანადება (თ. 16) - ვალდებულება, ვალის ქონა; $\acute{o}\phi\epsilon\acute{\iota}\lambda\omega$

თანალმობად (თ. 11) - თანაგრძნობა; $\sigma\upsilon\mu\pi\acute{\alpha}\theta\epsilon\iota\alpha$ ($\pi\acute{\alpha}$) η

თანალმობით (თ. 13) - თანაგრძნობით; $\sigma\upsilon\mu\pi\acute{\alpha}\theta\acute{\omega}\varsigma$

თანამდებყოფა (თ. 14) - ვალდებულად ყოფნა; ზედსართავი სახელის *πάντων* მნიშვნელობა არის: „პასუხისმგებელი“. ბერძნული ტექსტის წინადადებაში ეს სახელი დაკავშირებულია ზმნათან - *είμι*. ანუ შდგენილი შემასმენელი - *έσμεν πάντων* ახალ ქართულად ამგვარად ითარგმნება: „ვიქნებით პასუხისმგებლები“, ეფრემთან გვაქვს: „თანამდებ-ვართ“; *έσμεν πάντων*

თანაწარუვალი (თ. 20) - გარდაუვალი, გადაულახავი; *ἀσπέρθετος* 2

იჭუნეულობა (თ. 16) - ეჭვიანობა; *ἀμφιάλλα*

კადნიერებით (თ. 14) - თამამად; თავხედურად; *θράσος, εὐθ* (ἄ) *τό*

კაცთმოთნება (თ. 8,9,10,11,12,13) - პირმოთნეობა; **თნება** - იგივეა, რაც - მოწონება, ანუ **კაცთმოთნება** იგივეა, რაც ადამიანებისთვის თავის მოწონება. მარკოზ მონაზონის მიხედვით: „კაცთმოთნება არს, ვითარ ვჰგონებ სათნოყოფად (იხ. სათნოყოფად) კაცთად და ესე უწყი მე შესატყვსად ამის პირისა“ (თ. 10); *ἀθροπαρέσκεια, ας ἦ*

კდემა (თ. 20) - მორცხვობა, ძრახვა; *ἐπισκῶπτα*

კრძალულება (თ. 16) - მოკრძალება; *ἀσφάλεια ἦ* (სიფრთხილე)

კუალად-გება (თ. 20) - უკან დაბრუნება; ზმნა: „კუალად-გება“ ძველ ქართულ მწერლობაში ყოველთვის ხელახალ, კვლავ განმეორებულ ანდა უკუმიმართულ მოქმედებას მიუთითებდა და ყველაზე მეტად გადმოსცემდა ბერძნულ ტერმინს *ἀποκατάστασις* (ზმნიდან *ἀποκαθίστημι*), რაც სწორედ დაკარგული მდგომარეობის კვლავდგინების აღმნიშვნელი ცნებაა; *ἀποκαθίστημι* (დაამატე. დისერტ.)

კუეთება (თ. 18) - ბრძოლა; *προσβολή ἦ*

ლახუარი (თ. 20) - შუბი; *λόγχη ἦ*

ლიქნით (თ. 13) - მოტყუებით; პირფერობით, მლქვენელობით; ბერძნულში გვაქვს არსებითი სახელი წინდებულთან ერთად: *μετὰ κολακείας* (მლიქვენელობის მეშვეობით)

მაღალმზრახველობა (თ. 14) - სიამაყე, ქედმაღლობა; *ὑψηλοφροσύνη, ἦς ἦ*

მაჭირვებელი (თ. 18) - შემაწუხებელი, შემავიწროვებელი; ბერძნულში მოცემულია ორსიტყვედი: *θλιφέρὰ πράγματα* (მწუხარე საქმეები)

მეცადინეობა (თ. 13) - საქმიანობა, საქმის კეთება; *πειράω*

მთხრელი (თ. 18) - გამომთხრელი; იგულისხმება მიწის ანუ ძირის გამოთხრა; *διορύττων* (ზმნიდან *διορύττω*)

მიეტევება (თ. 15) - გადაცემა, მინდობა, შენდობა, პატიება, მიჭრა, მისევა, თავდასხმა; ამ შემთხვევაში, სიტყვა „მიტევება“ ეფრემთან თარგმნილია სწორედ „თავდასხმის“, „მიჭრის“ მნიშვნელობით. ძველი ქართული ენის ლექსიკონში „მიტევება“ ამ გვარად არის განმარტებული - „მიტევება: თავდასხმა; მუნთუესვე აღივსო გულისწყრომითა და მიეტევა დავითის ზედა «შატბ. კრებ. 247, 33»“ (სარჯველაძე 1995:127); *ἐπιτρέχω*

მიმთხუევა (თ. 12) - შხვედრა, შეყრა; *τυγχάνει*

მიჩემება (თ. 15, 16) - მიკუთვნება; *ἀναδέχομαι* (ვიღებ)

მიჩრდილებით (თ. 14) - ფარულად; ბერძნულ ტექსტში ზმნიზედის - *ἐπεσκιασμένως* შესატყვისად წარმოდგენილია სიტყვის ზედმიწევნითი თარგმანი - „მიჩრდილებითრე“, რადგან *ἐπεσκιασμένως* მომდინარეობს ზმნიდან - *ἐπισκιάζω* და ნიშნავს - „ვუჩრდილავ“; *ἐπεσκιασμένως*

მლიქნელი (თ. 18) - მახბელი, პირფერი; *κολακευόντων* (ზმნიდან *κολᾷκεύω*)

მოგება (თ.16) - შეძენა, მოპოვება; *δέχομαι* (*δέξασθαι*)

მოთნებაჲ (თ. 9) - მოწონობა (იხ. კაცთმოთნებაჲ); ბერძნულში არის - *ἀνθραπαρέσκεια*, აც ἡ (კაცთმოთნება)

მომხუეჭელი (თ. 19) - მიმტაცებელი; *αποστερῶν* (ზმნიდან *ἀποστερέω*)

მოსაგებელი (თ. 12) - სანაცვლო, ნაცვალი, საზღაური, სამაგიერო; თარგმანში მოცემული ზმნის მიმღეობური ფორმის ნაცვალდ ორიგინალში გვაქვს არსებითი სახელი: *ἀνταπόδοσις*, *εως* (სანაცვლო ანაზღაურება)

მოსრვა (თ. 16) - მოსპობა; *ἐξιλοθρῆσά*

მოქდული (თ. 20) - ამაყი, მკვებარა; *καυχάμενος* (*καυχάομαι*)

მოშურნე (თ. 18) - შურიანი; *φθονέων* (ზმნიდან *φθονέω*)

მოწევნა (თ. 14, 15) - მოვლინება, მოახლება, შემთხვევა; συμφοιρά ἢ

მცირედმცნობელობა (თ. 14) - მცირედმცოდნეობა; შედგენილი ტერმინს μικρόνοια (μικρο + νοια), რაც სიტყვასიტყვით ითარგმნება, როგორც: „მცირედმცოდნეობა“, ეგრემი მისთვის დამახასიათებელი მეთოდით, კალიკირებულად თარგმნის: „მცირედმცნობელობა“; μικρόνοια ἢ

ნაღველი (თ. 20) - ძმარი; ὄξις, εὖς τὸ

ნეფხვა (თ. 18) - ყინვა; πάγετός ὁ

ნუგეშინისცემა (თ. 20) - გამხნეება, გამტკიცება, გაძლიერება; παρακαλέω

პატიჟი (თ. 9) - სასჯელი; κρίσις, εὖς ἢ

პირთნება (თ. 13) - მლიქვნელობა; აღსანიშნავია, რომ ეგრემი ტერმინს - παρῶσαπληψία - „მლიქვნელობა“, კალიკირებულად თარგმნის - „პირთნება“. მოცემული ტერმინი შედგება სიტყვისგან παρῶσαπὸν (პირი, სახე) და λήψις (სარგებლობა) ანუ „ვინმესგან (ანგარებით) სარგებლის მიღება“; παρῶσαπληψία

პირშუენიერებით (თ. 14) - კეთილსახოვნებით; ბერძნულ ორიგინალში მოცემული მიმღეობის - εὖσπαρῶσαπήσαჯ პირიანი ფორმაა εὖσπαρῶσαπέω და ზედმიწევნით ნიშნავს: „კეთილსახოვანი, კეთილი ვარ, ლამაზი ვარ“, ხოლო მიმღეობა ეὖსπαρῶσαπήσαჯ შეიძლება ითარგმნოს, როგორც „კეთილსახოვანი“. ეგრემი აღნიშნულ ტერმინს თარგმნის ზმნიზედის ფორმით: „პირშუენიერებით“; εὖსπαρῶσαπέω

ჟამიერად (თ. 17) - გარკვეულ დროს; დროულად; εὖსκαίραჯ

რგება (თ. 16) - სარგებლის მიღება; ὠφέλεω

რქუმა (თ. 15) - უწყება, თქმა; ἔπω (λέγω)

რქუმა (თ. 20) - თქმა, მოწოდება, უწყება; ἔπω

სათნოყოფა (თ. 8, 10) - მოწონება, თვალში მოსვლა (იხ. სათნოჩენა); ეგრემი ბერძნული ზმნის - εὖსδοκεῖ [სათნოა მისთვის] შინაარსს კონტექსტის უკეთესად გადმოსაცემად ქართულად ორ ზმნურ ფორმას უფარდებს: „სათნო-უჩნან“ და „სათნო-ეყოფვის“: „არა სიტყუანი საწარმართოღსა სიბრძნისანი **სათნო-უჩნან**, არამედ შრომაღ ლოცვისა და სიმდაბლისაღ **სათნო-ეყოფვის**“ (თ. 8) SC.: Εἰ οὖν ὁ Θεὸς οὐκ ἐν ῥήμασιν ἑλληνικῆς σοφίας, ἀλλ’ ἐν ποινήμασι προσευχῆς καὶ ταπεινοφροσύνης εὖსδοκεῖ; ἀρέσκω (თავს ვაწონებ)

სათნოყოფად (თ. 13, 12) - მოსაწონებლად (იხ. ; ბერძნულში გვაქვს ზმნა ἀρέσκω (თავს ვაწონებ).

სათნოყოფად (თ. 9, 12) - მოწონება, თვალში მოსვალა, დასტურის მიცემა; ბერძნულში გვაქვს - ἀρέσκειν (ინფინიტი. ზმნიდან ἀρέσκω - ვაკმაყოფილებ)

სათნოჩენა (თ. 8, 13) - სათნოდ მიჩნევა, მოწონება; εὐδοικέω; (თ. 13) - სათნოჩენა; εὐἀρεστέω (მოწონება, დაკმაყოფილება)

სამშჳული (თ. 20) - ლურსმანი; ἥλιος ὁ

სასოება (თ. 15, 18) - იმედი; ἐλπὶς, ἰδος ἡ

საჩინო (თ. 16) - შესამჩნევი, ცხადი; προφανής 2

სახჭ (თ. 9) - ხერხი, მეთოდი, სახე; τρόπος ὁ

სახისმოღება (თ. 14) - რაღაცის მტკიცებულება, მინიშნება; ამ მონაკვეთში ჩვენ გამოვყოფთ ბერძნულ ტერმინს - τεκμήριον, რაც სიტყვასიტყვით ითარგმნება, როგორც: „მტკიცებულება“, „ნიშანი“. ეგრემი მოცემულ ტერმინს აკავშირებს ზმნასთან - ἔλαβον [მივიღე] და ამგვარად თარგმნის: „სახე-მოვიღე“; τεκμήριον ἔλαβον

საჯმარი (თ. 15) - საჭირო, გამოსაყენებელი ნივთი; χρέος τό

საჯუმილი (თ. 16) - ღუმელი; κάμινος ἡ

საჯერო (თ. 9) - დასაჯერებელი; πᾶσις 3

სიყმილი (თ. 18) - შიმშილი; λιμός ὁ

სოფლიო (თ. 9) - საერო, მიწიერი; κοσμικός 3

სრვად (თ. 18) - სნეულება, შავი ჭირი; λοιμός ὁ

სიტყუამდაბლობა (თ. 13) - თავმდაბლად მეტყველება; აღსანიშნავია ეგრემ მცირის ზედმიწევნითი თარგმანი ზმნური ფორმისა: ταπεινολογεῖ - „სიტყუა-მდაბლობნ“. ამ ფორმის ზმნა ლექსიკონში წარმოდგენილი არ არის, რადგან ის წარმოქმნილია ზედსართავი სახელის ταπεινός [მდაბალი] და ზმნის პირიანი ფორმის λογέω [მსურს მეტყველება] შეკავშირებით.

სულთთქუმა (თ. 14) - ოხვრა, გოდება; ποτνιάομαι

სულთთქუმაჲ (თ. 14) - გოდება, ტირილი; (იხ. სულთთქუმა); στεναγμός ὁ

სხმა (თ. 11) - მოყვანა, დება, დგმა; τίθημι; (თ. 18) - სხმა; ὑπομένω

სხოლასტიკოსი (თ. 9, 14, 17, 21) - სქოლასტიკოსი, მეცნიერი; σχολαστικός 3

ტკივნეული (თ. 14) - სნეული, გამწარებული, ტანჯული; ποιήσαζ (მიმღ. ზმნიდან ποινέω)

ტრიობაჲ (თ. 18) - აღზნება, მპვინვარება; ბერძნულში მოცემულია მომღ. σφριϋών (ზმნიდან σφριϋάω)

უაზნო (თ. 8) - არა თავისუფალი, წარმომავლობის არ მქონე; ἄ-γενής 2

უგულებელსჰყოფა (თ. 13) - არად ჩაგდება, გვერდის ავლა; ბერძნული ზმნის პირიან ფორმას παραλογίζεται, რისი ქართული შესატყვისიც არის: „არამართებულად განსაზღვრავს, არასწორად განსჯის“, ეფრემი ოდნავ განსხვავებულად თარგმნის: „უგულებელს-ჰყოფენ“, რაც სრულიად შეესაბამება კონექსტს; παραλογίζομαι (არასწორად განვსაზღვრავ)

უგულსმოდგინე (თ. 21) - ძალიან გულმოდგინე; προθυμότερος (πρόθυμος 2)

უდებებაჲ (თ. 9, 21) - უზრუნველობა, დაუდევრობა, გულგრილობა, სიზარმაცე; ἀμέλεια ἢ

უდებებით (თ. 21) - სიზარმაცით; διὰ ῥάθυμιάν (ῥάθυμος 2)

უზმნობელი (თ. 16) - არამოჩვენებითი; ἀσχημάτιστος 2 (ზმნიდან σχηματίζω - წარმოვსახავ)

უპოარი (თ. 13) - არაფრის მქონე, ლატაკი; ἀκτήμων, ονος 2

ურგებად (თ. 21) - უსარგებლოდ; ἀναφελῶς

ურვაჲ (თ. 14) - მწუხარება; ἀθμία ἢ

უსასყიდლოდ (თ. 15) - უფასოდ; ბერძნულში ზმნიზედის ნაცვლად გვაქვს: τῆ ἀπτοῦ χάριτι; χάρις, ἰτος ἦ

ქადება (თ. 13) - მუქარა, კვებნა; καυχάομαι

ქენჯნილი (თ. 20) - ნაცემი; κολαφιζόμενος (ზმნიდან κολᾶφιζω)

ღონიერება (თ. 14) - მოხერხებულობა; საინტერესოა, რომ ეფრემი სიტყვას πανουργία, რაც ითარგმნება, როგორც „მზაკვრობა, ვერაგობა, ეშმაკობა“, თარგმნის „ღონიერება“ ანუ „მოხერხებულობა“; πανουργία ἦ (მზაკვრობა)

ყენება (თ. 12) - შეფერხება, შეჩერება, დაჭერა; κωλύω

ყვედრება (თ. 16) - შეურაცხყოფა, დაძრახვა, გალანძღვა; ὄνειδος, εὖς τό
ყოფადი (თ. 20) - მოსახდენი; μέλλον, ὄντος τό

ყუედრებული (თ. 20) - შეურაცხყოფილი; ὄνειδιζόμενος (ზმნიდან ὄνειδιζω)

შედგინება (თ. 10) - მიღვენება, თანმიმდევრობა; ἀκολουθία ἦ

შედგომილი (თ. 21) - მიღვენებული; ἐπιμένης (ἐπιμομαι)

შედრგინებით (თ. 18) - მიღვენებით თანმიმდევრობით; ἀκολουθίως

შეთხეული (თ. 16) - შეყრილი, ჩაყრილი, ჩაცვენილი; βληθείς (ზმნიდან βάλλω)

შემასმენელი (თ. 18) - ცილისმწამებელი, დამბეზღებელი (იხ. შესმენა); διαβάλλων (ზმნიდან διαβάλλω)

შემდგომობისა უკუნა შედგომილთა (თ. 20) - თანმიმდევრობის, რიგითობის დაცვა; δι' ἀκολουθίας

შესმენა (თ. 13) - დაბეზღება, ცილის წამება; მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ზმნიდან διαβάλλων, რაც ნიშნავს „ცილს ვწამებს“, მომდინარეობს საკუთარი სახელი Διάβολος – „ეშმაკი“ ანუ „ცილის მწამებელი“; διαβάλλω

შეტყუებით (თ. 18) - შედარებით, შესაბამისად; ბერძნულში არის ზედ. სახელი ἐφάμιλλος 2 (შესაბამისი, შესაფერისი)

შეუტყუებელი (თ. 10) - შეუფერებელი; ἀ-συνάρτητος 2 (შეუსაბამო)

ჩემება (თ. 11) - შენახვა, მიკუთვნება; ეფრემი პირველ წინადადებაში ზმნას - *θήσομεν* თარგმნის - „დავსხნეთ“, ხოლო მეორე წინადადებაში მთარგმნელს აზრის დასაზუსტებლად შემოაქვს ზმნა - **„ვაჩემნეთ“**, რაც ბერძნულ ორიგინალში არ მოგვეპოვება: *Ἐχέτω ταῦτα οὕτως· τὰς δὲ ἀδίκους παρὰ σὸν μεμψιεύς κατ’ ἡμῶν ποῦν θήσομεν; Ὁ δὲ δικανικὸς λέγει· Εἰς τὸν τῆς μακροθυμίας νόμον.* „ესე ესრეთ იყავნ, ხოლო უსამართლოდ შენ მიერ ჩუენდა ბრალობისა სიტყუანი სადა დავსხნეთ?“ გამომკულებელმან თქუა: „სულგრძელებისა შჯულსა **ვაჩემნეთ** იგი“.

ცვა (თ. 17) - დაცვა, შენახვა, შენარჩუნება; *ἀποσῶζω*

ცოდამზუაობრობა (თ. 16) - ამპარტავნობა; *οἴησις*, *εἰς* ἢ (მიკერძოებული დამოკიდებულება, თვითდაჯერებულობა, საკუთარ თავზე გადაჭარმეული წარმოდგენა)

ძალდება (თ. 17) - *δύναμις*

ძრვად (თ. 18) - ძვრა (მიწის); *σεισμός* ὁ

ძვნება (თ. 11) - მრისხანება; *ἀγανακτέω*; (თ. 13) - ძვნება; ამ შემთხვევაში ბერძნულ ორიგინალში გვაქვს ზმნა - *ἀγδίζεσθαι*. ეს ზმნა სიტყუასიტყვით ამგვარად ითარგმნება: „არა სასიამოვნოდ გრძნობს თავს“. ეფრემისეულ თარგმანში მის შეასტყვისად არის - „ეძვნებოდიან“. ძველი ქართული სიტყვა „ძვინება“ ი. აბულაძის ლექსიკონში განმარტებულია, როგორც - „მრისხანება“; *ἀγδίζω* (შეწუხებული ვარ).

ძვრისმზრახვალობა (თ. 13) - ავისმეტყველება; *καταλαλία* ἢ

ძვრისმზრახველი (თ.18) - ბოროტმეტყველი, ავისმზრახველი (იხ. **ძვრისმზრახვალობა**); *καταλαλέων* (ზმნიდან *καταλαλέω*)

ძვრისხილვა (თ. 20) - ტანჯვის დათმენა, ტანჯვა; *κακοπαθῆναι* (*κακοπαθεῖν*)

წარმოგდება (თ. 13) - ჩამოგდება, შემოგდება, მოტანა; *ἐπιπίπτω*

წიალი (თ. 16) - უბე, კალთა, შუა ნაწილი; *κόλπος* ὁ

წინაგანიხილვა (თ.11) - წინასწარ გათვალისწინება, წინასწარ განსზაღვრა; *προσκέπτομαι*

წინაგანმწყობი (თ. 18) - მოწინააღმდეგე, შემბრძოლებელი, მტერი; *μισέων* (ზმნიდან *μισέω*)

წინაგანწყობა (თ. 1) - წინააღმდეგობა; ἀντιβολή ἢ

წინაუკუმო (თ. 13) - წინააღმდეგ, საპირისპიროდ; τὸ ὑναντίον

წიწვა (თ. 20) - შეძრწუნება, შიში; καταπτήσσαν (καταπτήσσω)

ჭირვეული (თ. 16) - შეურაცხყოფილი, შევიწროებული; θλιβόμενος (ზმნიდან θλίβω)

ჭურეტა (თ. 12) – მზერა, ხედვა; ჭვრეტა გულისხმობს რაიმეზე ღრმად ფიქრს, ქრისტიანული თვალსაზრისით ჭვრეტა არის ერთგვარი შინაგანი, სულიერი ხედვა; ეფრემი ზმნას ἀμβλσαπισμεν, რაც, პირდაპირი მნიშვნელობით, ნიშნავს „ცუდად ვხედავთ“, თარგმნის - „ჭურეტიან ვართ“. შესაბამისად, მთარგმნელი აღნიშნული ტერმინით ორ რამეს განმარტავს, ერთი მხრივ, იმას რომ წმინდა წერილი ყოველთვის პირდაპირი გაგებით, ბუკვალურად არ უნდა გავიგოთ, მეორე მხრივ, კი წმინდა წერილის შინაარსი მიწიერი ხედვისთვის და აზროვნებისთვის დაფარულია და ძნელად საწვდომი; ἀμβλσαπέω (ცუდად ვხედავ)

ჯამ (თ. 20) - საჭიროა; χρή

ჯდომა (თ. 19) - წინააღმდეგობა, დავა (იხ. ჯდომაჲ); ორიგინალ ტექსტში გვაქვს ზმნა - ἐρέω;

ჯდომაჲ (თ. 13) - წინააღმდეგობა, ბრძოლა, მტრობა; νεῖκος, εὐς τό

ჰაზრ-ყოფა (თ. 18) - მიხვედრა, რაიმეს მცირედით გაგება; καταστοχάζομαι

**მარკოზ მონაზონის ნაშრომის ევრემცირისეული თარგმანი („სიტყუა
მელქისედეკისთჳს“)¹⁹⁴,
ორიგინალი ბერძნული ტექსტი (Εἰς τὸν Μελχισεδέκ),
ახალი ქართული თარგმანი („მელქისედეკის შესახებ“)**

სიტყუა მელქისედეკისთჳს

Εἰς τὸν Μελχισεδέκ

მელქისედეკის შესახებ

1.[44]უფალი სოფლისააგარაკსა, ხოლო ჭემმარიტებისა ქადაგებისაა თესლსა მამსგავსებელი, პირველად თესლისა თესვასა იტყვს და ეგრეთღა ღუარძლისასა, ვიდრეღა ამათ მიერ შესაძლებლ არს ჩუენდა ცნობად, ვითარმედ, შემდგომად სამოციქულოდსა მოცემისა მოგონებულნი ზრახვანი ნამეტავ რამე არიან, და საემშაკო თესლის ზედა. რამეთუ წმიდათა მისთა მოწაფეთა არარად დააკლდა ჭემმარიტებისგან, და წმიდასა პავლეს ფრიად უფროდს არაძვე დააკლდა მოციქულთაგან, არამედ, ვითარცა თესლი განსთესეს სიტყუად სოფელსა შინა. ხოლო ვიეთმე სხუებრ მზრახვალთა, ღუარძლებრ მის შორის აღმოცენებულთა მიერ კერძო იფქლისა აქუს მეცადინეობად განვრცომად და, ვითარ მათ ჰგონიეს უსაიდუმლოეს მოციქულთასა ხელ-უყოფიეს სწავლად, რამეთუ მელქისედეკ ბუნებით ძედ ღმრთისა არა უქადაგებიეს მათ, ვითარცა ესენი ქადაგებენ. არა ხოლო ესე, არამედ ესევითართა, რათმე შემოიხუმენ მოგონებათა ვიდრე ჩუენთჳს ქმნილისა მის განგებულებისა დაკნინებადმდეცა, რამეთუ,

I. Ὁ Κύριος τὸν μὲν κόσμον ἀγρῶ, τὸ δὲ τῆς ἀληθείας κήρυσμα σπύρω παρεικάσας, σίτον μὲν ἐν πρώτοις ἐσπάρθαι λέγει, ὕστερον δὲ ζιζάνια, ὡς ἐκ τοῦτου δυνατὸν ἡμῖν ἐπιγῶναι ὅτι τὰ μὲν μετὰ τὴν ἀποστολικὴν παράδοσιν ἐπινεοημένα φρονήματα περιττῆ τίς ἐστι καὶ δαιμονιώδης ἐπισπορά. Τῶν γὰρ ἀγίων αὐτοῦ μαθητῶν μὴδὲν ὑπολειψάντων τῆς ἀληθείας, καὶ τοῦ ἀγίου Παύλου μὴδὲν ὑστερηκότος τῶν ὑπερλίαν ἀποστόλων, ἀλλ’ ὥσπερ σίτῳ τὸν κόσμον κατεσπαρκότος τῷ λόγῳ, τινὲς ἑτερόφρονες ζιζανίαν δίκην ἀνακύψαντες ἐπέκεινα τοῦ σίτου πειρῶνται ὑπερεκτείνεσθαι μυστικώτερα τῶν ἀποστόλων, ὡς οἴονται, διδάσκειν ἐπιχειρήσαντες. Τὸν γὰρ Μελχισεδέκ φῦσει Θεὸν ὄντα οὐκ ἐκήρυσξαν ἐκεῖνοι, ὡς οὐτοι κηρύττουσιν· οὐ μὴν ἀλλὰ καὶ τοιαῦτά τινα συνεισφέρουσι νοήματα, ὡς καὶ τὰς ὑπὲρ ἡμῶν γεγενημένας τοῦ Κυρίου οἰκονομίας εὐτελίζεσθαι. Εἰ γὰρ τὸν ἐκ παρασιωπήσεως γραφικῆς ἀπάτορα καὶ ἀμητορα ὀνομασθέντα θεοποίησιν ἄνθρωπον, εὐτελίζουσι πάντας τὸν Πατέρα ἔχοντα ἐν οὐρανοῖς καὶ μητέρα ἐσχηκότα ἐπὶ γῆς δι’ ἡμᾶς Χριστόν· καὶ εἰ διὰ τὸ ἀγενεαλόγητον ἐκεῖνον μέγαν ἦγηται, γενεαλογισμένον τὸν

[1]. უფალი, რომელმაც სამყარო – მიწას, ხოლო ჭემმარიტების მოძღვრება – თესვას შეადარა, ამბობს, რომ პირველ რიგში პური ითესება, შემდეგ კი მას [მოჰყვება] სარეველა (შდრ. მთ. 13.24,25). აქედან გამომდინარე, ჩვენ შეიძლება ისე გავიგოთ, რომ მოციქულთა გადმოცემის შემდეგ მოფიქრებული სწავლებანი არის რაღაც მეტისმეტი და ემშაკისეული მეორეული [ცრუ] თესვა. მაშინ როცა, მისმა წმინდა მოწაფეებმა არაფერი დააკლეს ჭემმარიტების გადმოცემას, ასევე, არც წმინდა პავლემ მოაკლო რაიმე აღმატებულ მოციქულთა [სიტყვებს] (შდრ.2კორ.11.5), არამედ პურის მსგავსად სამყარო სიტყვით მოთესა (გაავრცელა). ვიღაც სხვაგვარად მოფიქრალნი (უფუნურები), სარეველების მსგავსად პურის თავთავთა შორის აღმოცენებულნი, ცდილობენ, უფრო მისტიკურად (ფარული ცოდნით) განავრცონ მოციქულთა [სწავლება] და, როგორც ფიქრობენ, ხელი მიჰყონ [ახალ] სწავლებას. რადგან იმათ [მოციქულებს] არ უთქვამთ, რომ მელქისედეკი ბუნებით ღმერთია, როგორც ესენი (მელქისედეკიანელები)

¹⁹⁴ გვერდებზე არის მხედრული მინაწერები: „ზემოთ ოცდაოთხი ფურცელი გადმოყარე და მუნ ჰპოვო ამისისა თავი ამით ნიშანთა“ (დასმულოია ნიშანი) (გვ. 44); „ამისი თავი ქუემოთ არის ოცდაოთხითა ფურცელითა ამით ნიშანთა“ (დასმულია იგივე ნიშანი) (გვ. 45); „ბანთნი“ (გვ. 50); „აჲა განიმარტება მელქისედეკა ამიერ და იმიერ“; „და სახელები ი-წლმი“ (გვ. 5); „ვინ არს ლოთი“ (გვ. 53); „სივერაგეთა“; „[.....] ჳმისა შენისა ჳმობს ჭემმარიტება საქმისა“ (გვ. 56).

უკუეთუ დადუმებისაგან წერილისა უმამო და უდედო სახელდებულსა კაცსა ღმერთ-ჰყოფენ იგინი, უეჭუელად სადმე აკნინებენ, ზეცას მქონებელსა მამისასა და ქუეყანასა ზედა ჩუენთვს მომღებელსა დედისასა ქრისტესა და უკუეთუ დიდ შეურაცხიეს იგი ნათესავ მოუჰსენებლობისათვს, უდარესად სადმე შეჰრაცხონ ქრისტე ნათესავ მოკსენებული, ხოლო ესევიტარისა მოგონებისა წინა-შემოსავალი უუგუნურესთა მათგანთა უარის-ყოფადცა მიმთრეველ საგონებელ არს, რომელი უმეტესსა დასჯასა მოაწევს წინამძღუარსა ზედა ესევიტარისა ამის მოგონებისასა. ამისსა შემთხუევად მათდა ვჰგონებ თანაწარსლვითა თავმდგმელობითა სიტყუათა საღმრთოთა წერილთასა და განჭრათა რათმე და ნაწილებთა მათთა ნებსით მიებასა, თვისსაებრ პირისა და შეტყუებისა, ვინაჲცა ქრისტესა ზედა სათარგმანებელსა მას გამოცხადებასა თვთ მას კაცსა, ვითარცა ღმერთსა მიაჩემებენ, რომელსა გამოეცხადა და წესითა მღდელობითაჲთა უფლისა დამსგავსებულსა კაცსა ბუნებით მედ ღმრთისა იტყვან, ესრეთ თქუმითა, ვითარმედ „არათუმცა ძე ღმრთისაჲ იყო ესე, ვითარ მეფე მშჯდობისა და მეფე სიმა[45]რთლისა სახელი-იდების“? არამედ ცნედ ჰნებავს თუ, ვითარმედ მოციქული არა ბუნებით იტყვს მას მეუფედ მშჯდობისა, არამედ თარგმანებით, რამეთუ თქუა: **პირველად გამოითარგმანების მეუფედ სიმართლისა და**

Χριστὸν ἥττότερον ἂν νομίσοιεν. Ἡ δὲ τῆς τοιαύτης ἐννοίας προαγαγῆ τοὺς ἀπρονεστέρους αὐτῶν καὶ εἰς ἄρνησιν κατασύρειν ἔοικεν, ὅπερ πλείονα φέρει κατὰκρίσιν τῷ προηγησαμένῳ τῆς τοιαύτης ἐννοίας. Ταῦτα δὲ πᾶσχοουσιν ὡς οἶμαι, διὰ τὸ παρατρέχειν αὐτοὺς τὰ συστατικὰ κεφάλαια τῆς θείας Γραφῆς καὶ τινὰς περικοπὰς πρὸς τὸν ἴδιον σκοπὸν ἐκζητεῖν ἕκουσίους. Διὸ καὶ τὸν ἐπὶ Χριστοῦ ἐρμηνεύμενον χρηματισμὸν τῷ χρηματισθέντι ἀνθρώπῳ ὡς Θεῷ ἀπονέμουσι, καὶ τὸν κατὰ τὴν τάξιν τῆς ἱερατείας ἀφαιμοιωμένον τῷ Κυρίῳ ἀνθρώπον λέγουσι φύσει Υἱὸν Θεοῦ. Φασὶ γάρ· Εἰ μὴ ἦν οὐτός Υἱὸς Θεοῦ, πῶς βασιλεὺς εἰρήνης, καὶ βασιλεὺς δικαιοσύνης ἐλέγετο; Γνωτῶσάν τε εἰ βούλονται ὅτι ὁ Ἀπόστολος αὐτὸν οὕτως λέγει φύσει βασιλέα εἰρήνης, ἀλλ' ἐρμηνεύμενον. Φησὶ γάρ· «Πρῶτον μὲν ἐρμηνεύμενος βασιλεὺς δικαιοσύνης, ἔπειτα δὲ καὶ βασιλεὺς Σαλήμ, ὃ ἐστὶ βασιλεὺς εἰρήνης.» Τοῦτο οὖν τὸ ῥητὸν παρατρέχουσι τὸ εἰπεῖν ἐρμηνεύμενον, καὶ διὰ τοῦτο τὴν τοῦ ὀνόματος ἐρμηνείαν φύσιν εἶναι τοῦ χρηματισθέντος ἕδοξαν.

ამბობენ. მაგრამ (სხვათა შორის), რაღაც ამგვარი აზრებიც შემოაქვთ, რომ ჩვენთვის განხორციელებული უფლის განგებულებანიც დაკნინდეს. რადგანაც ისინი უმამოდ და უდედოდ წოდებულ ადამიანს აღმერთებენ (ღმერთად აქცევენ) იმის გამო, რომ წმ. წერილი [ამ საკითხს] დუმილით უფლის გვერდს. [ამით] ყოველმხრივ აკნინებენ ქრისტეს, რომელსაც ზეცაში ჰყავს მამა და ჩვენ გამო დედა ჰყავს დედამიწაზე. თუკი ის (მელქისედეკი), იმის გამო, რომ მისი წარმომავლობა უცნობია, დიდად მიიჩნიეს (შერაცხეს), ქრისტე, რომელსაც აქვს გენეალოგია, უფრო მცირედ უნდა მიგვეჩნია. საფიქრებელია, რომ ასეთი აზრის განვითარებას მათგან ყველაზე უგუნურები მიჰყავს [ქრისტესგან] განდგომისკენ (უარყოფისკენ). რასაც მოაქვს დიდი სასჯელი ასეთი აზრის წინამძღოლისთვის. ვფიქრობ, ეს ყოველივე მოეწევათ მათ, იმის გამო, რომ ისინი უგულვებელყოფენ საღვთო წერილის შემადგენელ თავებს (შემადგენელ მთავარ აზრს) და [წმინდა წერილიდან] ამოღებულ ფრაგმენტებს საკუთარი მიზნისთვის მიკერძოებულად გამოიკვლევენ. ამიტომაც იმ წინასწარმეტყველებას, რაც ქრისტეს მიმართ განიმარტება, მიაწერენ ადამიანს, როგორც ღმერთს, ადამიანს, რომელიც მათ მიერ გამოაცხადებული იქნა ღმერთად, და მღვდლობის წესის შესაბამისად, ღმერთს მიმსგავსებულ ადამიანს ბუნებით ღმრთის ძეს უწოდებენ. ისინი ასე ამბობენ: „თუკი ის (მელქისედეკი) არ იყო ღმრთის ძე, როგორღა იწოდებოდა «მშვიდობის მეფედ» და «სიმართლის მეფედ»“? (შდრ. ებრ. 7.2) თუ სურთ, გაიგონ, რომ მოციქული

ეგრეთღა მეფედ სალიმისა, რომელ არს მეფე მშვიდობისაჲ. გარნა იგინი ამას სიტყუასა, ვითარმედ ითარგმანების თანაწარკვლებიან, ამისთვისცა თარგმანი სახელისაჲ ბუნებაყოფად სახელდებულისაჲ შეპრაცხეს.

მას (მელქისედეკს) არ უწოდებს ბუნებით „მშვიდობის მეფეს“, არამედ [სიტყვის] განმარტების (თარგმანის) შესაბამისად. მართლაც [წერილი] ამბობს: „პირველ ყოვლისა განიმარტება, როგორც „სიმართლის მეფედ“, ხოლო შემდეგ, როგორც „სალემის მეფედ“, ე.ი. „მეფე მშვიდობისა“. ასე რომ, ისინი არ ცნობენ ამ ნათქვამს განმარტებულ სიტყვად, და ამის გამო სახელის განმარტება (თარგმანება) სახელდებულის ბუნებად მიიჩნიეს.

2. და კუალად იგინივე იტყვან, ვითარმედ: „არათუმცა ღმერთი იყო, ვითარმცა უმამო და უდედო იყო?“ ამის მიერ ცხად არს, ვითარმედ არღარა ძე ყოფად იტყვან მელქისედეკს, არამედ ნუუკუე და მამად: „გარნა სიტყუად ღმრთისაჲ პირველ ჯორცმესხმისაცა და მარიამისგან შობისა ძე ღმრთისაჲ არს“, და ვითარ უმამო არს სიტყუად ღმრთისაჲ ჰოდ ამაოებისა მზრახველნო? ცანთ ზედამიწევნით, ვითარმედ ყოველნივე იგი სანატრელმან პავლე განჯორციელებულისა ქრისტეს ზედა თქუმულად თქუნა, რამეთუ იტყვს: „**რომლისა ზედა ითქუმიან ესე, სხვა ნათესავისაგან მოილო, რამეთუ წინა-ცხად არს, ვითარმედ იუდაისგან აღმოგზრწყინდა უფალი ჩუენი**“ (ებრ.7. 13,14). არამედ თქუ, იტყვან: „ვითარ იუდაისგან აღმოგზრწყინებულნი ქრისტე უმამო და უდედო არს, მელქისედეკისებრ?“ გარნა არა იციან რასა იტყვან, რამეთუ არა უმამოსათვის დადვა მოციქულმან წესისაებრობაჲ, არამედ მხოლოდ მღვდლობისათვის, ვინაჲცა არა იტყვს: უმამო და უდედო „წესისაებრ მელქისედეკისსა“ (შდრ.ებრ.5.6) რაჲ-მე არს ესე?

II. Πάλιν οἱ αὐτοὶ φασιν· Εἰ μὴ ἦν Θεός, πῶς ἀπάτωρ, ἀμήτωρ; Ἐν τούτῳ δέ, ὡς ἔοικεν, οὐκέτι Υἱὸν λέγουσι εἶναι τὸν Μελχισεδέκ, ἀλλὰ τάχα Πατέρα. Καὶ φασιν· Ἡμεῖς οὐ λέγομεν αὐτὸν Πατέρα, ἀλλὰ τὸν Θεὸν Λόγον πρὶν ἢ σαρκωθῆναι καὶ ἐκ Μαρίας γεννηθῆναι. Καὶ πῶς ἀπάτωρ ὁ Θεὸς Λόγος, ὃ ματαιόφρονες; Μάθετε ἀκριβῶς ὅτι ὁ μακάριος Παῦλος πάντα ἐκεῖνα ἐπὶ τὸν σαρκωθέντα Χριστὸν εἰρησθαι λέγει. Φησὶ γάρ· «Ἐφ’ ὃν λέγεται ταῦτα, φιλῆς ἐτέρας μετέσχηκε· πρόδηλον γάρ ὅτι ἐξ Ἰουδα ἀνατέταλκεν ὁ Κύριος.» Ἀλλ’ εἰπέ, φασί, πῶς ἐξ Ἰουδα ἀνατείλας ὁ Χριστὸς ἀπάτωρ ἐστὶ καὶ ἀμήτωρ κατὰ τὴν τάξιν Μελχισεδέκ; οὐκ εἰδότες ὁ λέγουσιν. Οὐ γὰρ περὶ ἀπάτορος ἔθετο τὴν τάξιν ὁ Παῦλος, ἀλλὰ περὶ μόνης τῆς ἱερωσύνης. Διὰ τοῦτο οὐ λέγει· σὺ ἀπάτωρ καὶ ἀμήτωρ κατὰ τὴν τάξιν Μελχισεδέκ, ἀλλὰ· «σὺ ἱερεὺς εἰς τὸν αἰῶνα κατὰ τὴν τάξιν Μελχισεδέκ». Τί δέ ἐστι τό-κατὰ τὴν τάξιν; τοῦτ’ ἔστιν κατὰ τὴν ἀφομοίωσιν, καὶ οὐ κατὰ νόμον. Ἡ μὲν γὰρ φιλῆ τοῦ Λευὶ κατὰ τὸν νόμον ἱερατεῦειν ἐτέτακτο· ὁ δὲ Μελχισεδέκ οὐ κατὰ νόμον, ἀλλὰ κατὰ τάξιν προφητείας, παραδεικνύων τὰ περὶ τοῦ Χριστοῦ. Διὰ τοῦτό φησι· «Σὺ ἱερεὺς εἰς τὸν αἰῶνα», οὐ κατὰ

[2]. ისინი კვლავ ამბობენ: „თუკი [ის] არ იყო ღმერთი, როგორ იყო უმამო და უდედო?“ მათი მსჯელობის თანახმად, მელქისედეკი ძე კი არ არის, არამედ უფრო – მამა. და ისინი იქვე დაურთავენ: „ჩვენ არ ვამბობთ, რომ ის მამაა, არამედ იგი არის ღმერთი სიტყვა, (სიტყვა ღვთისა), ვიდრე ხორცს შეისხამდა და მარიამისგან იშვებოდა;“ და როგორ იქნებოდა უმამო ღმერთი სიტყვა, ამოდმზრახველნო? გაიაზრეთ სწორად, რომ ყოველივე ის, რაც კი ნეტარი პავლეს მიერ ითქვა, განკაცებული ქრისტეს მიმართ არის თქმული, რადგან ამბობს: „ვის მიმართაც ეს ითქვა, სხვა ტომს ეკუთვნოდა; რადგან ცხადია, რომ იუდას [ტომისგან] ამოგზრწყინდა უფალი“ (ებრ.7. 13,14). ისინი კი ამბობენ: „მაგრამ გვითხარი, როგორ არის იუდას ტომისგან ამოგზრწყინებული ქრისტე უმამო და უდედო მელქისედეკის წესის შესაბამისად?“ მაგრამ ისინი არმცოდნენ არიან იმისა, რასაც ამბობენ. პავლემ უმამობის შესაბამისად კი არ განსაზღვრა წესი, არამედ მხოლოდ მღვდლობის შესაბამისად. ამიტომაც არ ამბობს ასე: „შენ [ხარ] უმამო და უდედო

გარნა რამეთუ მსგავსებისაებრ მელქისედეკისა, ვითარმედ არა შჯულისებრ მდდელიობად დაიწესა ქრისტე, ხოლო მელქისედეკის მდდელიობად არა შჯულისაებრ, არამედ წესისაებრ წინადაწარმეტყულებისა წინამომასწავებელ იყო ქრისტესთა ამათ. ამისთვის იტყვს: „შენ ხარ მდდელ“ უკუნისამდე არა წესისაებრ ლევისა, არცა წესსა ზედა აპრონის მისვე ტომისაგანისა, არამედ წესისაებრ მელქისედეკისა, რომელი პირველ შჯულისა მდდელიობდა.

τὴν τάξιν Λευῖ, οὐδὲ κατὰ τὴν τάξιν Ααρῶν, τῆς αὐτῆς φυλῆς ὄντας, ἀλλὰ· «κατὰ τὴν τάξιν Μελχισεδέκ», τοῦ χωρὶς νόμου ἱερατεύσαντος.

მელქისედეკის წესის შესაბამისად, არამედ ამბობს: „შენ [ხარ] მღვდელი უკუნისამდე მელქისედეკის წესის შესაბამისად“ (ებრ. 5.6). რას ნიშნავს ეს: „წესის შესაბამისად“? ეს ნიშნავს „მსგავსების შესაბამისად“ და არა „რჯულის შესაბამისად“. რადგან „რჯულის შესაბამისად“ ლევის ტომი განწესდა მღვდლობისთვის. მელქისედეკიც არა რჯულის, არამედ წინასწარმეტყველების წესის შესაბამისად [განწესდა მღვდლობისთვის], რომელიც ამით ქრისტეს შესახებ მოასწავებს. ამიტომ ამბობს: „შენ [ხარ] მღვდელი საუკუნოდ“, არა ლევის წესის შესაბამისად, არც აარონის წესის შესაბამისად, რომლებიც ერთი და იმავე ტომიდან არიან, არამედ „მელქისედეკის წესის მიხედვით“, რომელიც **რჯულის გარეშე** მღვდლობდა.

3. გარნა კუალად იგინი რასალა იტყვან ჩუენდა მომართ? „უკუეთუ მელქისედეკ კაც არს, ვითარ ჰგიეს მდდელად სამარადისოდ?“ (ებრ.7.3) და ამასცა ნაკუეთსალა იკითხვენ, თანაწარსრულნი უმრავლესსა ნაწილსა ამის თავისასა, რამეთუ იტყვს, ვითარმედ: „**მიმსგავსებითა ძესა ღმრთისასა ჰგიეს იგი მდდელად სამარადისოდ**“ (ებრ.7.3), ხოლო მსგავსებად და გუამი არა ერთ და იგივე არიან, რამეთუ პირველი იგი სახე არს, ხოლო მეორე ჰქმმარიტება. აწ უკუე, ვითარცა მსგავს ქრისტესსა არს წინადაწარმეტყუელი იონა და ჰგიეს სამარადისოდ წინადაწარმეტყუელად სამ დღე დაფლვისა და, ვითარცა მსგავს მისსა არს მოსე წინამძღურობითა

III. Ἀλλὰ τί πάλιν ἐκεῖνοι πρὸς ἡμᾶς; Εἰ ὁ Μελχισεδέκ ἄνθρωπος ἐστὶ, πῶς μένει, ἱερεὺς εἰς τὸ διηνεκές; Καὶ τοῦτο δὲ ἐκ περικοπῆς ἐρωτῶσι τὰ πλείονα τοῦ κεφαλαίου παρατρέχοντες. Λέγει γάρ· «Ἀφωμοιωμένος τῷ Υἱῷ Θεοῦ, μένει ἱερεὺς εἰς τὸ διηνεκές.» Ἀφωμοίωσις δὲ καὶ ὑπόστασις ταῦτόν οὐκ ἔστι· τὸ μὲν γὰρ τύπος, τὸ δὲ ἀλήθεια τυγχάνει. Ὡσπερ οὖν ἀφωμοίωται τῷ Χριστῷ ὁ προφήτης Ἰωνᾶς, καὶ μένει προφήτης κατὰ τὴν τριήμερον ταφήν, καὶ ὥσπερ ἀφωμοίωται αὐτῷ Μωσῆς κατὰ τὴν τοῦ λαοῦ ἀφήγησιν, καὶ μένει ἡγούμενος εἰς τὸ διηνεκές, οὕτως ἀφωμοίωται αὐτῷ καὶ ὁ Μελχισεδέκ κατὰ τὴν τῶν ἐθνῶν ἱερωσύνην, καὶ μένει ἱερεὺς εἰς τὸ διηνεκές. Διὸ λέγει· «Σὺ ἱερεὺς εἰς τὸν αἰῶνα κατὰ τὴν τάξιν Μελχισεδέκ.» Καὶ πάλιν· Δεδόσθη, φασίν, ὅτι ἄνθρωπος

[3]. მაგრამ ისინი კვლავ რაღას არ ამბობენ ჩვენ მიმართ? „თუ მელქისედეკი ადამიანია, როგორ რჩება «მღვდლად სამარადისოდ»“ (ებრ. 7.3)? ამ შეკითხვასაც ხომ [წმინდა წერილის] მხოლოდ ნაწყვეტიდან გამომდინარე სვამენ და [წმინდა წერილის] სრულ, მთლიან თავს¹⁹⁷ კი უგულებელყოფენ. რადგან [მოციქული] ამბობს: „ღმერთის ძეს მიმსგავსებული, რჩება მღვდელი სამარადისოდ“ (ებრ.7.3). ხოლო „მსგავსება“ (ხატება) და „პიროვნულობა“ (=არსებულობა // არსობა) არ არის ერთი და იგივე, რადგან ერთი არის სახე (ხატი) და მეორე – ჰქმმარიტება. ასე რომ, როგორც წინასწარმეტყველი იონა ემსგავსება ქრისტეს – სამდღიანი დაფლვის შესაბამისად, და რჩება წინასწარმეტყველად, და

¹⁹⁷ იგულისხმება წმ. წერილის დაყოფა თავებად.

ერისადა და ჰგიეს წინამძღურად სამარადის ოდ, ეგრეთვე მსგავს მისსა არს მელქისედეკა წარმართა ზედა მღვდლობითა და 3[46]გიეს მღვდელად სამარადისოდ. ვინაჲცა იტყვს: „შენ ხარ მღვდელ უკუნისამდე წესსა მას ზედა მელქისედეკისსა“ (ებრ.5.6), ხოლო წინააღმდეგომნი კუალადცა იტყვან, ვითარმედ: „დადევ, რომელ კაცი არს მელქისედეკ მიმსგავსებული ქრისტესი, გარნა გვჩუენე თუ ვითარ უმამო და უდედო არს, არცა დასაბამსა არცა აღსასრულსა დღეთასა ქონებითა, რამეთუ უფალი იესუ ქრისტე და ამით მსგავსი მისი მელქისედეკ, რომლისათვის იტყვს „უმამო უდედო ნათესავ მოუქსენებელ, არცა დასაბამი დღეთად არცა აღსასრული ცხორებისაჲ აქუს და მიმსგავსებულ არს ძესა ღმრთისასა“ (ებრ. 7.3). ამათ შინა გვჩუენე მსგავსებაჲ, რადთა ვცნათ, ვითარმედ კაცი არს მელქისედეკ და არა თვთ უფალი“. ესრეთ რად წინა-აღვდგეს არა ჩუენ, არამედ საღმრთოთა წერილითა განეწყობვიან, რამეთუ კმა იყო მათდა რწმუნებაჲ მოციქულისა, მსგავს ძისა ღმრთისა ყოფად მისსა თქუმასა, და არა თვთ მედ ღმრთისა, გარნა იტყვან: „მიჩუენე ჩუენ მსგავსებაჲ სახელთად, რადთა გურწმენეს“, რამეთუ ურწმუნო ჩანან პავლეს მიერ თქუმულთა, ვიდრედა უკუეთუ ჩუენ უღონო ვიქმნნეთ გამოჩინებათაგან, იგინი სადმე ნებსით განდგებიან სარწმუნოებისაგან, ვითარ- იგი განდგეს-ცა, ხოლო ვინაჲთგან

ἐστὶν ὁ Μελχισεδέκ ἀφωμοιωμένος τῷ Χριστῷ, δεῖξον πῶς ἀπάταρ καὶ ἀμήταρ ἐστί, μήτε ἀρχὴν ἡμερῶν μήτε ζῶης τέλος ἔχων, ὁ τε Κύριος Ἰησοῦς Χριστὸς καὶ ὁ ἐν τούτοις ἀφωμοιωμένος αὐτῷ Μελχισεδέκ. Λέγει γάρ· «ἀπάταρ, ἀμήταρ, ἀγενεαλόγητος, μήτε ἀρχὴν ἡμερῶν μήτε ζῶης τέλος ἔχων, ἀφωμοιωμένος δὲ τῷ Υἱῷ τοῦ Θεοῦ»· ἐν τούτοις δεῖξον τὴν ἀφομοίωσιν, ἵνα γινῶμεν ὅτι ἄνθρωπος ὁ Μελχισεδέκ καὶ οὐκ αὐτὸς ὁ Χριστὸς. Οὕτω μὲν ἀντρείσαντες οὐχ ἡμῖν, ἀλλὰ τῇ θείᾳ Γραφῇ παρατάσσονται. Ἥρκει γάρ αὐτοῖς πιστεῦσαι τῷ Ἀποστόλῳ, ἀφωμοιωμένον αὐτὸν, εἰρηκότι τῷ Υἱῷ τοῦ Θεοῦ καὶ οὐχὶ υἱὸν τοῦ Θεοῦ. Λέγοντες οὖν· Δεῖξον ἡμῖν τὴν ἀπὸ τῶν ὀνομάτων ἀφομοίωσιν, ἵνα πιστεύσωμεν, εἰκόσιν ἀπιστεῖν τοῖς ὑπὸ τοῦ Παύλου λεγομένοις· ὡς εἶγε ἡμεῖς ἀπορήσαιμεν τῆς τοιαύτης ἀποδείξεως, ἐκεῖνοι τῆς πίστεως ἀφίστανται, ὡς καὶ ἀπέστησαν. Ἐπειδὴ οὖν πολλὰ ἔστιν εὑρεῖν ἐν τῇ ἀληθινῇ Γραφῇ ὀνόματα ὧν ἢ ἀποδείξει παρατῷ πλήθει δυσσεύρετος, παρατὸ τοῦτο ἢ Ἐκκλησία τῆς παραδοθείσης πίστεως ἀποστήσεται καὶ ταῖς ἰδίαις ὑπονοίαις πιστεύσει; Μὴ γένοιτο. Πλὴν οὐ δὴ τούτο σιωπήσομεν ἀκρίτως, ἀλλὰ κατὰ τὴν δύναμιν ἀποδείξομεν ἐν τοῖς προειρημένοις ἀφομοίωσιν.

როგორც მოსე მიემსგავსება მას [ქრისტეს], იმის მიხედვით, რომ ის ხალხის წარმმართველია და რჩება წინამძღვრად სამარადისოდ, ამგვარადვე მიემსგავსება მას [ქრისტეს] მელქისედეკიც წარმართთა – მღვდლობის შესაბამისად, და რჩება მღვდლად სამარადისოდ. ამიტომ [მოციქული] ამბობს: „შენ ხარ მღვდელი საუკუნოდ მექისედეკის წესის შესაბამისად“ (ებრ. 5.6). ისინი (მოწინააღმდეგენი) კი კვლავ ამბობენ: „დავუშვათ, რომ მელქისედეკი ადამიანია, ქრისტესთან მიმსგავსებული, მაშინ გვიჩვენე, (დაამტკიცე), როგორ არის ის [მელქისედეკი] უმამო და უდედო, და არც ჟამთა (სიცოცხლის) დასაწყისის მქონე და არც სიცოცხლის დასასრულისა, როგორც (=რომელიც) არის უფალი იესო ქრისტე, და მექისედეკი მასთან ამით მისგავსებული, რადგანაც ამბობს [წერილი]: „უმამო, უდედო, უგვარტომო, არც ჟამთა დასაწყისის მქონე და არც სიცოცხლის დასასრულის, ღვთის ძესთან მიმსგავსებული“ (ებრ. 7.3). გვიჩვენე (დაამტკიცე) ამაში მსგავსება, რათა გავიგოთ, რომ მელქისედეკი ადამიანია და არა თავად ქრისტე“. ამგვარად, ისინი ჩვენ კი არ გვიპირისპირდებიან, არამედ [ამით] საღვთო წერილს ეწინააღმდეგებიან. მათთვის საკმარისი იყო, მინდობოდნენ მოციქულს, რომელმაც თქვა რომ ის მიმსგავსებულია ღვთის ძეს და არ უთქვამს, რომ არის ღვთის ძე. მაგრამ ამბობენ რა: „გვიჩვენე (დაგვიმტკიცე) სახელებიდან (წოდებიდან) გამომდინარე მსგავსება, რათა ვირწმუნოთ“, როგორც ჩანს, ისინი არ ენდობიან პავლე მოციქულის მიერ ნათქვამს. თითქოს, თუ ჩვენ ვერ შევძლებდით, (არ გვეყოფოდა ძალა), რომ ეს [სახელთა მსგავსება] გვეჩვენებინა, ისინი

მრავალ იპოვების წმინდათა წერილთა შინა სახელები, რომელთა გამოჩინებად სიმრავლისა მიერ ძნიად საპოვნელ არს. ამისთვის ეკლესიამ მოცემულისა მისდა სარწმუნოებისაგან [განდგომილ არს და კერძოთა] მოგონებათაჲ ჰრწმენა? ნუ იყოფინ. გარნა ამისთვის არავე დავდუმნეთ განუკითხველად, არამედ ძალისაებრ ვაჩუენოთ-ცა პირველთქუმულთა სიტყუათა შინა მსგავსებითა.

4. უმამოდ და უდედოდ იტყვს მელქისედეკს მოციქული, შემდგომობისაებრ თქუმულთაჲსა ნათესავმოუკსენებელადცა, რამეთუ, ვინაჲთგან ტომთ რაცხვასა შინა არა მოიღებვის, თუ რომლისა მამისა ანუ რომლისა დედისაჲ, ანუ ოდეს შობილ არს, ანუ ოდეს მოკუდა, ამისთვის არცა დასაბამი დღეთაჲ არცა აღსასრული ცხორებისაჲ აქუს, რამეთუ არცა შესაძლებელ იყო ნათესავთმეტყუელებად წარმართთა ტომისაგან შთამომავლისაჲ, ვითარცა ცხად-ჰყოფს წერილი თვთ მის მკვდრობისა მისისაგან. გარნა ამით ემსგავსების იგი ძესა ღმრთისასა, რამეთუ უფალსა ჩუენსა იესუ ქრისტესა ქუეყანასა ზედა არა აქუნდა მამად და ზეცათა შინა არა აქუნდა დედაჲ. ვინაჲთგან უკუე ვთქუთ, ვითარმედ განგებულებით არა მოაქუს საღმრთოსა წერილსა შინა ოდეს შობად ანუ ოდეს სიკუდილი მელქისედეკისი და ამისთვის იტყვს: არცა დასაბამი დღეთაჲ არცა აღსასრული ცხორებისაჲ აქუს მას, ამა[47]სცა სიტყუასა შინა ეძიებენ მსგავსებასა და

IV. Ἀπάτορα καὶ ἀμήτορα τὸν Μελχισεδέκ λέγει ὁ Ἀπόστολος κατὰ τὸ ἐπόμενον ῥητόν, ὅτι ἀγενεαλόγητος· ἐπειδὴ γὰρ ἐν τῇ γενεαλογίᾳ οὐκ ἐμφέρεται τίς πᾶτερὸς ἢ ποίᾳς μητρὸς ἢ πότε ἐγενήθη ἢ πότε ἀπέθανε· διὰ τοῦτο μήτε ἀρχὴν ἡμερῶν μήτε ζῆς τέλος ἔχων. Οὕτε γὰρ ἠδύνατο γενεαλογηθῆναι, ἐκ τῶν παραλειφθέντων καταγόμενος ἐθνῶν, καθὼς ἡ Γραφή ἐκ τῆς κατοικεσίας αὐτὸν φανεροποιεῖ. Ἐν τούτῳ δὲ ἀφωμοίωται τῷ Υἱῷ τοῦ Θεοῦ, ἐπειδὴ ὁ Κύριος Ἰησοῦς Χριστὸς ἐπὶ γῆς οὐκ ἔσχε πατέρα καὶ ἐν οὐρανῷ οὐκ ἔσχε μητέρα. Ἐπειδὴ δὲ εἰρήκαμεν ὅτι κατ' οἰκονομίαν οὐκ ἐμφέρεται ἐν τῇ θείᾳ Γραφῇ πότε ἐγενήθη ὁ Μελχισεδέκ ἢ πότε ἀπέθανε, καὶ διὰ τοῦτο λέγει μήτε ἀρχὴν ἡμερῶν μήτε ζῆς τέλος ἔχειν, ζῆτοῦσι καὶ ἐν τούτῳ τῷ λόγῳ τὴν ἀφομοίωσιν, λέγοντες Ἐἴπερ περὶ τοῦ Μελχισεδέκ, εἶπε καὶ περὶ τοῦ Χριστοῦ πῶς οὕτε ἀρχὴν ἡμερῶν οὕτε ζῆς τέλος ἔχει, ἵνα γινώμεν καὶ ἐν τούτῳ τὴν ἀφομοίωσιν. Οἶδαμεν γὰρ ὅτι ὁ γεννηθεὶς ἐκ Μαρίας καὶ ἀρχὴν ἔσχε καὶ ἀπέθανε καὶ ἀνέστη κατὰ τὰς Γραφάς. Ἡμεῖς δὲ πρὸς ταῦτα· Πιστεύετε τῷ Εὐαγγελίῳ ὅτι· «ὁ Λόγος σὰρξ ἐγένετο», οὐ τραπεῖς εἰς ἄνθρωπον, ἀλλὰ ἄνθρωπον εἰς

განდგებოდნენ რწმენისგან, როგორც განუდგნენ კიდეც. მართლაც, რადგანაც, ჭეშმარიტ წერილში მრავალი სახელი შეიძლება იპოვო, რომელთა მნიშვნელობა (განმარტება) ზევრისთვის მიუწვდომელია. ამის გამო ეკლესია გადმოცემული რწმენისგან განდგება და კერძო ნააზრევებს (ვარაუდებს) ირწმუნებს? ნუ მოხდება ასე! გარდა ამისა, არ დავდუმდებით განუსჯელად, არამედ შეძლებისდაგვარად ვაჩვენებთ [სახელთა] მსგავსებას ზემოთ თქმულ [ჰაველს] სიტყვებში.

[4]. უმამოს და უდედოს უწოდებს მოციქული მელქისედეკს, შემდეგი ნათქვამის შესაბამისად, რომ ის არის უგვარტომო. მამასადამე, რადგანაც გენეალოგიაში არ წერია, თუ რომელი მამისგან ან რომელი დედისგან იშვა, ან როდის იშვა, ან როდის გარდაიცვალა. ამიტომ არც დღეთა (ჟამთა) დასაწყისი აქვს და არც სიცოცხლის დასასრული. არც შეიძლებოდა, რომ [მისი] გენეალოგია აღრიცხულიყო, რადგან (იმის გამო, რომ) ის იყო შთამომავალი წარმართთა იმ ტომისა, რომელსაც [წერილი] არ იხსენიებს. მაგრამ, წერილი მას სამკვიდრებელი ადგილის მიხედვით წარმოაჩენს (ანუ ასახელებს სამკვიდრებელს). ამით მიემსგავსება ღმერთის ძეს, რადგანაც უფალ იესო ქრისტეს მიწაზე არ ჰყავდა მამა და ზეცაში არ ჰყავდა დედა. რადგანაც ვთქვით, რომ განგებულებით საღვთო წერილში არ შედის ის, თუ როდის იშვა მელქისედეკი, ან ის, თუ როდის მოკვდა. ამიტომ ნათქვამია, რომ არც ჟამთა დასაწყისი აქვს მას და არც სიცოცხლის დასასრული, ისინი ამ სიტყვაშიც მსგავსებას [ქრისტესთან] ეძებენ და

იტყვან: „სტყუ მელქისედევსისთვის, ვითარ არცა დასაბამი დღეთ ად არცა აღსასრული ცხორებისა აქუს მას, რადთა ამიერცა ვცნათ მსგავსებად, რამეთუ უწყით, ვითარმედ მარიამისგან შობილობითა დასაბამი დღეთა აქუს მას და მსგავსად წერილთასა მოკუდა და აღდგა“.

ხოლო ჩუენ ამათდა მიმართ მიუგებთ: გრწამსა სახარებისა, ვითარმედ **სიტყუაჲ ჯორჯ იქმნა** (ინ. 1.14), არათუ კაცად ქცეულებითა, არამედ კაცისა მისსა მიმართ მიღებითა, ხოლო იგინი - „ჰე გურწამს“, იტყვან. უკუეთუ გრწამს ცანთ ესეცა, ვითარმედ ლიტონი კაცი არცა არს, არცა იცნობების ქრისტე, რამეთუ ერთი მარტოდ არა ოდეს ყოფილ არს და უკანადსკნელდა შეერთებულ, არამედ მყის შეერთებული იშვა. ცხად არს, ვითარმედ სიტყუაჲ ღმრთისა ღმრთივშუენიერად მოქმედებდა წერილისამებრ:

„სული წმიდაჲ მოვიდეს შენ ზედა და ძალი მალლისაჲ გაგრილებდეს შენ, ვინაჲცა შობადსა მას წმიდა ეწოდოს ძე ღმრთისა“ (ლკ.1. 35), ვინაჲ ვსცნობთ, ვითარმედ ქრისტესა, არცა დასაბამი დღეთა, არცა აღსასრული ცხორებისა აქუს, რამეთუ უკუეთუ დაუსაბამოდ სიტყუაჲ იქმნა დასაბამ თვისსა განკაცებისა, ცხად არს, ვითარმედ დაუსაბამო არს ქრისტე, თვთ მისითა საშოსა შინა შეერთებითა, ესრეთვე მელქისედევსა ამითვე ემსგავსების მას, რამეთუ განგებულებით დადუმებულ-იქმნა შობაჲცა მისი და აღსასრულიცა, რადთა წინა-გუაუწყენეს საიდუმლონი ქრისტესნი.

ἐαυτὸν προσλαβόμενος; Οἱ δὲ· Naί, φασί, τοῦτο πιστεύομεν. Εἰ οὖν πιστεύετε, γινώτε ὅτι ἄνθρωπος ψιλὸς οὐτε ἐστὶν οὐτε νοεῖται ὁ Χριστός, καθότι μονομερῶς οὐχ ὑπέστη ποτὲ καὶ ὑστερον ἠνώθη, ἀλλ’ εὐθέως ἠνωμένος καὶ ἔφθ καὶ ἐγεννήθη, δῆλον δὲ ὅτι τοῦ Θεοῦ Λόγου θεοπρεπῶς πρότερον ἐνεργήσαντος κατὰ τὸ γεγραμμένον· «Πνεῦμα ἅγιον ἐπελεύσεται ἐπὶ σέ καὶ δύναμις Ἵψίστου ἐπισκιάσει σοι. Διὸ καὶ τὸ γεννώμενον ἅγιον κληθήσεται Υἱὸς Θεοῦ.» Ὅθεν νοοῦμεν ὅτι ὁ Χριστὸς οὐτε ἀρχὴν ἡμερῶν οὐτε ζαῖς τέλος ἔχει. Εἰ γὰρ ὁ ἄναρχος Λόγος τῆς ἐνανθρωπήσεως γέγονεν ἀρχή, σαφὲς ὅτι ὁ Χριστὸς ἄναρχος διὰ τὴν ἐκ μητρᾶς ἔνωσιν. Οὕτως οὖν καὶ ὁ Μελχισεδέκ καὶ ἐν τούτῳ ἀφωμοῖται αὐτῷ, οἰκονομικῶς παρασωπηθείσης τῆς γεννήσεως αὐτοῦ καὶ τῆς τελευτῆς, ἵνα προδηλώσῃ τὰ τοῦ Χριστοῦ μυστήρια.

ამბობენ: „შენ უკვე თქვი მელქისედევსის შესახებ, ახლა თქვი ქრისტეს შესახებაც, თუ როგორ არ აქვს მას არც ჟამთა (დღეთა) დასაწყისი და არც სიცოცხლის დასასრული, რათა ამითაც შევიცნოთ მსგავსება. რადგან ვიცით, რომ შობილი [არის] მარიამისგან და ჰქონდა დასაწყისი, მოკვდა და აღდგა, წერილის მიხედვით.“ ჩვენ კი ამის პასუხად მივუგებთ: გწამთ სახარებისა, რომ „სიტყვა ხორცი გახდა (განხორციელდა)“ (ინ. 1.14), ისე რომ არ იქცა ადამიანად, არამედ ადამიანი (ადამიანობა, ბუნება) მიიღო (შეიერთა) საკუთარ თავში (პიროვნებაში)? ისინი კი ამბობენ: „დიახ ეს გვწამს“. თუკი მართლა გწამთ, შეიგნეთ, რომ ქრისტე არც ლიტონი (მხოლოდ) ადამიანია და არც [ასეთად] მოიაზრება, რამდენადაც იგი არასდროს ყოფილა ცალკე (მარტოდ) (ღმრთეებისგან) და არც შემდგომ შეერთებია (მას), არამედ მყისიერად შეერთებული (შეერთებულად) (ერთ ჰიპოსტასში) ჩაისახა და იშვა. მაგრამ ცხადია, რომ ღმრთის სიტყვა მანამდე (განკაცებამდე) ღვთივმშვენიერად მოქმედებდა, თანახმად წერილისა: „სული წმიდაჲ გადმოვა შენზე და უზენაესი ძალა მოგიჩრდილებს შენ; ამიტომაც წმინდა შობილი ღმრთის ძეღ იწოდება“ (ლკ.1. 35). საიდანაც გვეუწყება, რომ ქრისტეს არც ჟამთა (დღეთა) დასაწყისი აქვს და არც სიცოცხლის დასასრული. მართლაც, თუ დაუსაბამო სიტყვა [თავისი] განკაცების დასაწყისი გახდა, მაშინ ნათელია, რომ დაუსაბამო ქრისტე დედის საშოში [საღვთო და კაცობრივი] შეერთების შემდეგაც (შეერთებითაც). ამგვარად, მელქისედევი ამაშიც ემსგავსება მას (ქრისტეს),

5. კულადაც იტყვან: „ქრისტემან ჯორცნი ჩუენნი შეისხნაო, ანუ არა“? ჰე ჩუენნი, არამედ არა განყოფილად მიიხუნა იგინი, რამეთუ არათუ პირველ დაჰბადნა იგინი და ეგრეთ შეიერთნა, არამედ მყის საშობადო-ყო განუყოფელი შეერთებად, ვითარცა პირველ ვთქუთ. მყის მოგვგებენ, ვითარმედ: „რამდათჳს აღირცხუვიან წელნი მისნი“? აღირცხუვიან წელნი არა ხოლო ერთკერძობათა ბუნებითა, არამედ შობითა კაცობრივ შობილისადათა, რამეთუ არა თქუა წერილმან, ვითარ-ეგე თქუენ იტყვთ, ვითარმედ ლიტონი კაცი იშვა სიტყუად ღმერთი, არამედ ქრისტე, რომელ-იგი არს თანად ღმერთი და კაცი, განუყოფელად და განუწვალებელად ძე ღმრთისადა, რამეთუ განგებულებითისა შობისადა აქუნდა დასაბამი, ხოლო ბუნებისადა არა აქუს დასაბამი საშობადოგამო შეერთებისათჳს, რამეთუ ვის ზედა დასდებ დასაბამსა მითხარ-და, ლიტონსა გუამისა? არამედ ლიტონ არა ოდეს იყვნეს საუფლონი ჯორცნი, ჳმისაებრ სახარებისა, იოსების მიმართ მეტყუელისა: „**ნუ გემინინ მიყვანებად მარიამისა ცოლისა შენისა, რამეთუ მის შორის შობილი სულისაგან წმიდისა არს**“ (მათ. 1.20), არამედ დასა ბამსა დასდება შო[48]

V. Καὶ πάλιν φησί· Ὁ Κύριος τὸ ἤμέτερον ἀνέλαβε σῶμα ἢ οὐ; Ναί, τὸ ἤμέτερον· ἀλλ' οὐ διηρημένως αὐτὸ ἀνέλαβεν· οὐ γὰρ προϋπέστησεν αὐτὸ καὶ τότε ἦν ὡθη, ἀλλ' ἀδιαίρετον ἐκ μήτρας ἐποιήσατο τὴν ἔνωσιν, καθὰ προειρήκαμεν. Εὐθὺς δὲ λέγουσι· Διὰ τί οὖν ψηφίζετε αὐτοῦ τὰ ἔτη; Ἐτη ψηφίζονται οὐκ ἐκ φύσεως μονομερῶς, ἀλλὰ γεννήσεως τοῦ γενομένου ἀνθρώπου. Οὐκ εἶπε γὰρ ἡ Γραφή ὅτι ἐγεννήθη ψιλὸς ἄνθρωπος, ὡς ὑμεῖς λέγετε, ἢ ὁ Θεὸς Λόγος, ἀλλ' ὁ Χριστός, ὃς ἐστὶ Θεὸς ἅμα καὶ ἄνθρωπος, ἀμέριστος καὶ ἀδιαίρετος Υἱὸς Θεοῦ. Γεννήσεως οὖν τῆς οἰκονομικῆς ἔσχεν ἀρχὴν, φύσεως δὲ ἀρχὴν οὐκ ἔχει διὰ τὴν ἐκ μήτρας ἔνωσιν. Τίνι γὰρ, εἰπέ μοι, ἐπιθήσεις ἀρχὴν; σῶματι ψιλῷ; ἀλλὰ ψιλὸν οὐδέποτε ὑπήρξε τὸ κυριακὸν σῶμα κατὰ τὴν εὐαγγελικὴν φωνὴν τὴν λέγουσαν πρὸς Ἰωσήφ· «Μὴ φοβηθῆς παραλαβεῖν Μαριάμ τὴν γυναικᾶ σου· τὸ γὰρ ἐν αὐτῇ γεννηθὲν ἐκ Πνεύματός ἐστιν ἅγιον.» Ἀλλ' ἐπιθήσεις ἀρχὴν τῷ γεννηθέντι Χριστῷ; Ἴδὸν αὐτὸς ὁ Λόγος σεσαρκωμένος, καθὼς ἐν τοῖς Εὐαγγελίοις ἀποδέδεικται. Οὐτε οὖν μερισμὸν οὐτε ἀρχὴν ἐπιθεῖναι δύνασαι τῷ Χριστῷ, καθὼς ἀποδέδεικται. Δεδόσθη, φησὶν, ὅτι ὁ Χριστὸς οὐκ ἔχει ἀρχὴν διὰ τὴν ἔνωσιν· μὴ καὶ ἡ ἔνωσις ἀρχὴν οὐκ ἔχει; Καὶ ἔχει καὶ οὐκ ἔχει, διότι αὐτὸς ὁ ἄναρχος τῆς ἐνώσεως γέγονεν ἀρχή, καὶ διὰ τοῦτο εἶπον· καὶ ἔχει καὶ οὐκ ἔχει. Εὐσεβέστερον δὲ ἐστὶν εἰπεῖν ὅτι οὐκ ἔχει· ὅσα γὰρ ὑποστατικῶς ἦν γνῶνται, κἂν ἐκ δύο νοοῖτο, ὅμως τῇ τοῦ δυνατωτέρου φύσει συνενωθὲν ἐκείνο καὶ

როდესაც განგებულებითად აუარეს გვერდი დუმილით მის შობასა და აღსასრულს, რათა წინასწარ ეუწყებინა [წმინდა წერილს] ქრისტეს საიდუმლონი.

[5]. და კვლავ ამბობენ: „უფალმა ჩვენი სხეული (ბუნება) მიიღო თუ არა?“ დიახ, ჩვენი. მაგრამ არა (დროში) განყოფილად მიიღო ის (სხეული), რადგან წინასწარ კი არ შექმნა ის (სხეული) და ამ დროს შეუერთდა (მას), არამედ, როგორც ვთქვით, განუყოფელი შეერთება (საშობივე) განხორციელდა. ისინი კი მყისვე ამბობენ: „მამ, რატომ აღირცხავთ მის წლებს?“ წლები განცალკევებულად კი არ აღირცხუვიან (ადამიანური) ბუნებისგან, არამედ შობიდან [აღირცხუვიან წლები], მას შემდეგ, რაც [ძე] ადამიანად (ადამიანი გახდა) იშვა. რადგან წერილს არ უთქვამს, რომ ღმერთი სიტყვა ლიტონი ადამიანი იშვა, როგორც თქვენ ამბობთ, არამედ ქრისტე, რომელიც ერთად (ერთობლივ) არის ღმერთი და ადამიანი, განუყოფელი და არაგანყოფილი ღვთის ძე. ასე რომ (ქრისტეს) ჰქონდა განგებულებითი შობის დასაწყისი, ხოლო [დედის] საშობი შეერთებით (ერთ ჰიპოსტასში) მის (საღვთო) ბუნებას დასაწყისი არ აქვს. ახლა, მითხარი, ვის განუწესებ (განუკუთვნებ) დასაბამს (დასაწყისს)? ლიტონ (ცალკე) სხეულს? მაგრამ ლიტონი (ცალკე) არასოდეს ყოფილა საღვთო სხეული, სახარებისეული სიტყვის შესაბამისად, სადაც იოსების მიმართ არის ნათქვამი: „არ შეგემინდეს, რომ მიიღო შენი ცოლი, მარიამი, რამეთუ მისგან (მასში) შობილი სულიწმიდისგან არის“ (მათ. 1.20). შენ კი დასაბამს განუწესებ

ბილსა ქრის ტესა ზედა? აჰა იგი არს სტყუად ჯორცმეხმული, ვითარცა-იგი სახარებათა შინა გამოჩინებულ არს, ვინაჲ არცა განყოფასა არცა დასაბამსა შესამღებელ არს დადებამ ქრისტესა ზედა, ვითარცა-იგი გამოჩინებულ არს. კულადა იტყვან: „დავდვათ, ვითარმედ ქრისტესა არა აქუს დასაბამი, შეერთებისა მისთვის, ნუჲკუე შეერთებასაცა არავე აქუსა დასაბამი“? აქუსაცა და არა აქუს, რამეთუ თვთ დაუსაბამოდ იგი იქმნა დასაბამ შეერთებისა და ამისთვის ვთქუ აქუსცა და არა აქუს, ხოლო უკეთილმსახურეს არს თქუმად, ვითარმედ არა აქუს, რამეთუ რაოდენნი გუამოვნებით შეიერთოს დაღათუ ორთაგან იცნობებოდის, გარნა უძლიერესა მას ბუნებასა თანა შეერთებული, იგივედ იცნობების და სახელი-იდების, ვითარცა-იგი მდინარე წვიმისაგან შეკრებული და ზღვსადა შეერთებული არღარა მდინარედ ითქუმის, არამედ ზღუად, მიერ მიღებითა დასაბამისადათა მისდადვე შეერთებული, რამეთუ უკუეთუ ჯორციელი ძალი, ვითარცა უზეშთაესი მოქმედებდა სიტყვსა შორის და ესრეთ იქმნა შეერთებამ იგი, იცნობებოდენ ქონებამ დასაბამისადაცა ბუნებისაებრ ჯორცთადასა, ხოლო უკუეთუ ღმერთი სიტყუად ღმრთივშუენიერად მოქმედებდა სახარებისაებრ, ცხად არს, ვითარმედ მის ბუნებისად იქმნა წმიდად იგი გუამი, „რამეთუ მის შორის დამკვდრებად სათნო-იყო

νοεῖται καὶ ὀνομάζεται. Καθ' ἅπερ ποταμὸς ἀπὸ βροχῆς συσταθεὶς καὶ τῆ θάλασσης συμμιγρῆς οὐκ ἔτι λέγεται ποταμὸς, ἀλλὰ θάλασσα, ἐκεῖθεν ἀρχὴν λαβὼν ἀκαθεῖ καταλήξει. Εἰ μὲν γὰρ ἡ σωματικὴ δύναμις ὡς ὑπερέχουσα ἐνήργησε τῷ Λόγῳ καὶ οὕτως γέγονεν ἕνωσις, νοεῖσθω καὶ ἀρχὴν ἔχειν κατὰ τὴν τοῦ σώματος φύσιν. Εἰ δὲ ὁ Θεὸς Λόγος θεοπρεπῶς ἐνήργησε κατὰ τὸ Εὐαγγέλιον, φανερὸν ὅτι πρὸς ἐκείνην τὴν φύσιν τὸ ἅγιον σῶμα ἠυγένισται, ὅτι ἐναυτῷ εὐδόκησε κατοικῆσαι πᾶν τὸ πλήρωμα τῆς θεότητος σωματικῶς. Εἰ δὲ πᾶν τὸ πλήρωμα, δηλονότι οὐδὲν ὑπολείπεται τῆς θεότητος, ὁ οὐκ ἔχει τὸ ἅγιον σῶμα τοῦ Χριστοῦ, εἴτε ἀναρχότητα εἶπης, εἴτε θεότητα, εἴτε ἀθανασία, εἴτε παντοκρατορικὴν δύναμιν, εἴτε ἐξουσίαν, εἴτε κράτος, εἴτε σοφίαν ἀθάνατον, πάντα ἔχει. ὅτι εὐδόκησεν ἐν αὐτῷ κατοικῆσαι πᾶν τὸ πλήρωμα τῆς θεότητος σωματικῶς. Διὰ τοῦτό φησιν ὁ Παῦλος· «Ἡμεῖς ἀπὸ τοῦ νῦν οὐδένα οἶδαμεν κατὰ σάρκα· εἰ δὲ καὶ ἐγνώκαμεν κατὰ σάρκα Χριστόν, ἀλλὰ νῦν οὐκ ἔτι γινώσκομεν.» Ἐγνώκαμεν γὰρ ὅτι ἐν αὐτῷ εὐδόκησε κατοικῆσαι πᾶν τὸ πλήρωμα τῆς θεότητος σωματικῶς, καὶ ἐσμὲν ἐν αὐτῷ πεπληρωμένοι. Καὶ οὐκ εἶπεν ἐν αὐτοῖς, ἀλλ' ἐν αὐτῷ· αὐτὸς γὰρ ἔστι «τὸ πλήρωμα τοῦ πάντα ἐν πᾶσι πληρουμένου». Οὕτω δὲ οὐ νοεῖται Χριστὸς μήτε ἀρχὴν ἡμερῶν μήτε ζῆτος τέλος ἔχων.

შობილ ქრისტეს? ნახე, რომ თავად სიტყვა განხორციელდა, როგორც სახარებებშია ნაჩვენები (მითითებული). ასე რომ, ვერც განყოფას და ვერც დასაბამს შეძლებ, რომ განუკუთვნო ქრისტეს, როგორც ნაჩვენებია. ის ამბობს: „დავუშვათ (=Δεδόσθω), რომ ქრისტეს არ აქვს დასაბამი შეერთების გამო; ნუთუ შეერთებასც არა აქვს დასაბამი?“ აქვს და თან არა აქვს, რადგან თავად დაუსაბამო შეერთების დასაბამი გახდა. ამიტომაც ვთქვი: აქვს და თან არა აქვს. ხოლო უფრო კეთილმსახურებითა თქმა იმისა, რომ არა აქვს. რამდენადაც [ორი ბუნება] ჰიპოსტასურად შეერთდა, ორი ბუნებისგან კი შეიცივნობა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, უფრო ძლიერ ბუნებასთან შეერთებული – ასე შეიცივნობა და იწოდება, ისევე როგორც მდინარე, რომელიც წვიმისგან ივსება და ზღვას უერთდება, უკვე აღარ იწოდება მდინარედ, არამედ ზღვად, საიდანაც (შეერთებიდან) იღებს [შეერთების] დასაბამს და აქვე დაასრულებს მას, [შეერთების] დასაბამს [და ხდება ზღვა]. რადგან, თუკი სხეულებრივმა ძალამ, როგორც უპირატესმა იმოქმედა სიტყვაში და ამის შედეგად განხორციელდა შეერთება, მაშინ უნდა გავიაზროთ, რომ დასაბამიც აქვს ხორციელი ბუნების მიხედვით, ხოლო, თუკი სახარების თანახმად, სიტყვა ღმერთმა საღვთო დიდებულებით იმოქმედა, ცხადია, რომ ამ (საღვთო) ბუნების შესაბამისად განიღმრთო (გაკეთილშობილდა) წმინდა სხეული, „რადგან სათნო-იჩინა, რომ მასში ხორციელად დამკვიდრებულიყო მთელი ღვთაების სისავსე“ (კოლ. 1.19;2.9). თუკი მთელი სისავსე

ყოველი სავსებად ღმრთეებისაა ჯორციელად“ (კოლ. 1.19;2.9), ხოლო უკუეთუ ყოველივე სავსებად, ცხად არს, ვითარმედ არარაა დაკლებულ არს ღმრთეებისაგან, რომელიმცა არა აქუნდა წმიდათა ჯორცთა ქრისტესთა, გინათუ დაუსაბამოებად სთქუა ანუ ღმრთეებად, გინა უკუდავებად, გინა ყოვლისა მპყრობელობითი ძალი, გინა კელმწიფებად ანუ სიმტკიცე, გინა სიბრძნე უკუდავი, ყოველივე აქუს, „რამეთუ მის შორის სათნო-იყო დამკვდრებად ყოველივე სავსებად ღმრთეებისაა ჯორციელად“, (კოლ. 1.19;2.9), ამისთჳს იტყჳს პავლე: **„ამიერიდან ჩუენ არცა ერთი ვიცით ჯორციელად, რამეთუ დაღათუ ვიცოდეთ ქრისტე ჯორციელად, არამედ აწ არღარა ვიცით“** (2. კორ. 5.16), რამეთუ გვცნობიეს, ვითარმედ მის შორის დამკვდრებად სათნო-იყო ყოველი სავსებად ღმრთეებისაა ჯორციელად და ვართ მის შორის აღსავსე. არა თქუა, ვითარმედ თავთა თჳსთა შორის, არამედ მის შორის, „რამეთუ იგი არს სავსებად ყოველთავე ყოველსა შინა აღვსებულისა“ (ეფ.1.23). ესრეთ უკუე იცნობების ქრისტე, არცა დასაბამსა დღეთასა, არცა აღსასრულსა ცხორებისასა მქონებელად.

6. კუალად იტყჳან: „უკუეთუ კაცი არს მელქისედეკ, ვითარ ჰგიეს მღდელად სამარადისოდ“? ესე ორითა სახითა იცნობებოდენ, არა ხოლო მი[49]სთჳს, არამედ ყოველთა წმიდათა თჳსთაცა. პირველად უკუე, რამეთუ სამარადისოდ იკსენებიან წმიდათა წერილთა შინა და

VI. Πάλιν λέγουσιν· Εἰ ἄνθρωπος ἐστὶν ὁ Μελχισεδέκ, πῶς μένει ἱερεὺς εἰς τὸ διηνεκές; Τοῦτο κατὰ δύο τρόπους νοητέον, οὐ μόνον περὶ ἐκείνου, ἀλλὰ καὶ περὶ πάντων τῶν ἁγίων. Πρῶτον μὲν ὅτι ἐμφέρεται ἐν τῇ Γραφῇ «εἰς τὸ διηνεκές», καὶ ὅτι μένουσι παρὰ τῷ Θεῷ διηνεκῶς. Ἡσαΐας ὁ προφήτης μένει προφήτης εἰς τὸ

(დაემკვიდრა), ცხადია, რომ არაფერი დარჩენილა საღმრთო, რაც არ აქვს ქრისტეს წმინდა სხეულს. გინდ ითქვას: დაუსაბამობა, გინდ ღვთაებრიობა, გინდ უკვდავება, გინდ ყოვლისმპყრობელი ძალა, გინდ მეუფებრიობა, გინდ სიმტკიცე (ძალა) ან უკვდავი სიბრძნე, – ყოველივე აქვს მას, იმიტომ რომ სათნო-იჩინა, [ღმერთმა], მასში ხორციელად დამკვიდრებულიყო მთელი საღვთო სისავსე (კოლ. 1.19;2.9). ამიტომ ამბობს პავლე: „ამიერიდან ჩვენ არავინ ვიცით ხორციელად და, თუკი ვიცოდით ხორციელად ქრისტე, ამიერიდან უკვე აღარ ვიცით“ (2 კორ. 5.16), რადგან გავიგეთ, რომ სათნო-იჩინა [ღმერთმა], მასში [ქრისტეში] ხორციელად დამკვიდრებულიყო მთელი ღმრთეების სისავსე, და ვართ მასში აღსავსენი. და არ უთქვამს „მათში“, არამედ „მასში“. „რადგან თავად არის სისავსე ყოველივეში ყოველთავე აღვსებულისა“ (ეფ. 1.23). მართლაც, ამგვარად ამოიცინობა ქრისტე, არც დღეთა დასაბამით მოიაზრება და არც დასასრული აქვს მას.

[6]. კვლავ ამბობენ: „თუკი ადამიანია მელქისედეკი, როგორ რჩება მღვდლად სამარადისოდ“? ეს ორგვარად უნდა გავიაზროთ, არა მარტო მელქისედეკის მიმართ, არამედ ყველა წმინდანის მიმართაც. პირველ რიგში, იმიტომ, რომ წმინდა წერილში მოიხსენიებიან სამარადისოდ,

რამეთუ ჰგოიან ღმრთისა თანა სამარადისოდ. ესაია წინასწარმეტყველი ჰგოეს წინასწარმეტყველად სამარადისოდ და ყოველნი წინასწარმეტყველნი ჰგოიან სამარადისოდ წერილთაცა შინა და ღმრთისა თანა, ეგრეთვე მოციქულნიცა ჰგოიან სამარადისოდ და ესეთუ არა რითა სასოებითა მოკუდებოდეს დღითიდღე ქრისტესთვის და ყოველნი, რომელნიცა მდღელ ქრისტესსა იყვნეს ჰგოიან სამარადისოდ. ესრეთვე წმიდა მელქისედეკა მღვდელყოფილი ღმრთისად ჰგოეს სამარადისოდ სიტყვსაებრ უფლისა, ვითარმედ ყოველნი მისსა ცხოველ არიან (ლკ.20.38). კუალადცა ღმრთისმეტყველებად მელქისედეკისთვის შემოიღებენ სიტყვასა ამას რეცა ღმრთივშუენიერებად მისსა შემრაცხელნი, ვითარმედ „ხედავთა რაზამ იყო ესე, რომელსა ათეული მისცა აბრაჰამ, რჩეულთა მათგან მამამთავარმან“ (ებრ.7.4), და რა არს ესე პატრიარქისა მიმართ ღმრთეებისა? გნებავსა ხილვად უმეტესსა სიმდაბლესა აბრაჰამისსა? რაჟამს მიიღო მან ქუაბი იგი საფლავად სარრაჰსა, თაყუანი-სცა მომცემელთა მისთა, ნუეკუე ამისთვის იგინიცა ღმერთ-ვეყნეთა რამეთუ თაყუანის-სცა მათ მამამთავარმან? ნუ იყოფინ. ხედავა რაოდენი უგუნურება აქუს, რომელნი-იგი რაზამობასა შინა განასაზღვრებენ ღმრთისა სიტყუსა და ვითარითა სიკნინითა, რამეთუ არა თქუა: „თუ იხილეთ რაზამ არს ესე, რომელმან შექმნა ცა და ქუეყენა და ზღუაჲ, რომელმან უწყნის გონებანი კაცთანი და ნებსითა მათ აღმრვათა მათთა შესაბამად

διοκεές, και πάντες οί προφηται μένουσιν εις τὸ διοκεές και παρὰ τῆ Γραφῆ και παρὰ τῷ Θεῷ. Ὅμοίως οί ἀπόστολοι μένουσιν εις τὸδιοκεές· ει δὲ μῆ, ποία ἐλπιδι ὑπερ Χριστοῦ καθ' ἡμέραν ἀπέθνησκον; Καί πάντες δὲ οί ἱερατεῦσαντες τῷ Χριστῷ μένουσιν ἱερεῖς εις τὸ διοκεές. Οὕτω και ὁ ἄγιος Μελχισεδέκ ἱερατεῦσας τῷ Θεῷ μένει ἱερεὺς εις τὸ διοκεές, κατὰ τὸν λόγον τοῦ Κυρίου λέγοντος ὅτι «πάντες αὐτῷ ζῶσιν». Εἰς θεολογίαν δὲ λαμβάνουσι και τὸν λόγον τοῦτον τοῦ Μελχισεδέκ, ὡς Θεῷ πρέπει ἡγούμενοι αὐτῷ τῷ-«Θεωρεῖτε δὲ πηλίκος οὗτος, ὃ και δεκάτην ἐμέρισεν Ἀβραάμ ἐκ τῶν ἀκροθινῶν ὁ πατριάρχης.» Καί τί τοῦτο πρὸς θεότητος ἀξίαν; Θέλεις ἰδεῖν μεῖζονα ταπεινότητα τοῦ Ἀβραάμ; ὁπηνίκα τὸ σπήλαιον ἔλαβεν εις ταφήν Σάρρας, τοῖς ἀποδομένοιςπροσεκύνησε. Παρὰ τοῦτο κάκείνους θεοποιήσομεν, διότι προσεκύνησεν αὐτοῦς ὁ πατριάρχης; Μῆ γένοιτο. Ἴδε πόσον ἔχονται ἀπροσῆγος, ὅτι ἐν πηλικότητι τὸν Θεὸν Λόγον ὀρίζουσι, και οἶα βραχύτητι. Οὐ-Θεωρεῖτε γάρ, εἶπε, πηλίκος οὗτος ὁ ποιήσας τὸν οὐρανὸν και τὴν γῆν και τὴν θάλασσαν, ὁ ἐπιστάμενος τὸν νοῦν τῶν ἀνθρώπων πρὸς τὰς ἐκουσίους αὐτῶν κινήσεις, τὸ δέον ἐπὶ πάντων ἀπονεύμας ὀπροσφάτως, ἀλλ' ἰδὲ καιρῷ προσφῶς ἀνακύπτειν ὀρισάμενος. Οὐδὲ εἶπεν· Ὁ σταθμίσας εὐμέτρως ὑετῶν και χιόνων ἐπιφοράς, κρυμοὺς τε χειμερινούς και θερῶν καύσωνος βολάς, ἵνα μῆ τὸν κόσμον ἀπολέση. Οὐδὲ εἶπεν· Ὁ ἐν οἰκτιρμοῖς δικαιοσύνης ἀποσῶζων, και ἁμαρτωλοὺς ἀνυποκρίτως ἐλεῆσαι δυνάμενος, ὁ πανταχοῦ ὦν ἀδιαιρέτως και ἐν τῷ Πατρὶ μένων ἀσυγχύτως, ὁ τῶν ἀγαθῶν κτίστης και πάντων γνῶστης και κριτής, ὁ ἐν ἀσθενείᾳ δῆσας τὸν ἰσχυρὸν και ἐν μαρίᾳ

აგრეთვე, იმიტომ, რომ ღმერთის წინაშე არიან სამარადისოდ. წინასწარმეტყველი ესაია წინასწარმეტყველად რჩება სამარადისოდ, და ასევე – ყველა წინასწარმეტყველი სამარადისოდ რჩება წმინდა წერილში და ღმერთის წინაშე. მსგავსადვე, რჩებიან მოციქულები სამარადისოდ [მოციქულებად]; თუკი ასე არა არის, მაშ, რა სასოებით (იმედით) კვდებოდნენ ყოველდღე ქრისტესთვის? და ყოველი ქრისტესთვის მღვდელმოქმედი – მღვდლად რჩება სამარადისოდ. ამგვარად, წმინდა მელქისედეკიც, მღვდელმოქმედებად რა ქრისტესთვის, რჩება მღვდლად სამარადისოდ, უფლის სიტყვის შესაბამისად, რომელმაც თქვა, რომ: „ყველა ცოცხალია მისთვის“ (ლკ. 20.38). [ერეტიკოსებს] ღვთისმეტყველებაში გადააქვთ ეს სიტყვაც მელქისედეკის შესახებ [თქმული], და (ამას=ტო) მიიჩნევენ როგორც ღმერთისთვის [ასევე] მისთვის (მელქისედეკისთვის) შესაფერისად: „შეხედეთ, რაოდენ დიდია ის, ვისაც მათედი უწილდა მამამთავარმა აბრაამმა მონაგებისგან (ნადავლისგან)“ (ებრ. 7.4). და რა არის ეს ღმრთეების ღირსებასთან მიმართებით? გსურთ, რომ იხილოთ უფრო მეტი სიმდაბლე აბრაამისა? როცა აბრაამმა მიიღო გამოქვაბული სარას საფლავისთვის, თაყვანი-სცა მზომებლებს (საფლავისა). ამის გამო ისინიც გავაღმერთოთ, რადგან მამამთავარმა მათ თაყვანი-სცა? ნუ მოხდება ასე. ნახე, რა ოდენობა უგუნურებისა (რაოდენი უგუნურება) აქვთ, რომ [მღვდლის] სიდიდითა და სიმცირით (რაოდენობით)

განუყოფს თითოულსა, არა ახლად რამე, არამედ თვისა ჟამსა შესატყვისად მიგებად განმსაზღვრებელი“, არცა თქუა, ვითარმედ: „რომელმან ადვილ განზომით აღრიცხუნის სიმდაფრენი თოვლთა და წვმათანი ყინელნი ზამთრისანი და ბანთნი¹⁹⁵ ზაფხულისა სიცხისანი, რადთა არა წარწყმიდოს სოფელი“, არცა თქუა, ვითარმედ: „რომელი აცხოვნებს წყალობითა სამართალითითა და შემძლებელ არს შეუორგულებელად შეწყალებად ცოდვილთა, რომელი-იგი ყოველგან არს განუყოფელად და მამისა შორის ჰგიეს შეურევნელად, რომელი დამზადებელ არს კეთილთა და ყოველთა მცნობელ და მსაჯულ, რომელმან უძღურებითა შეკრა ძლიერი და სისულელითა მისტაცა ჭურჭელი ვერაგისა გუელისა (შდრ. მთ.12.29), რომელი გამოიყვანებს სიკუდილისაგან ცხორებასა და დაფარულნი ცხად-ყვნა“. არარად ესე ვითარი თქუა მოციქულმან მელქისედეკისათვის, არამედ ესოდენ იხილე, თუ იტყვს: „**რაბამ არს ესე, რომელსა ათეული განუყო აბრაჰამიან**“, ნუჟუკუე უკუეთუმცა ღმერთი იყო რაბამობასამცა შინა შემოა[50] საზღვრა მოციქულმან უწდომელი იგი ძალი მისი და ესე არა არს საკვრველსა ზედა, არამედ ათეულსა ზედა აბრაჰამისსა, რომელსა შჯულისანიცა ესე მდდელნი მიიღებდეს? ვინაჲცა იკითხვიდე რად და ჰპოო მელქისედეკისთვის წერილი

τοῦ φρονίμου ὄφεως τὰ σκεύη ἀρπάσας, ὁ ἐξαγαγὼν ἐκ θανάτου ζωὴν καὶ τὰ ἄδηλα φανεροποίησας. Οὐδὲν τοιοῦτο εἶπεν ὁ Ἀπόστολος ἐπὶ τοῦ Μελχισεδέκ, ἀλλὰ: «Θεωρεῖτε, φησί, πηλίκος οὗτος, ᾧ καὶ δεκάτην ἐμήρισεν Ἀβραάμ.» Ἄρα, εἰ ἦν Θεός, ὁ Παῦλος αὐτὸν ἐν πηλικότητι τὴν ἀκατάληπτον δύναμιν περιώριζε, καὶ τοῦτο ἐν μηδενὶ θαυμαστῷ, ἀλλ' ἐν ταῖς δεκάταις τοῦ Ἀβραάμ, ἃς καὶ οἱ κατὰ νόμον ἱερεῖς ἀπολαμβάνουσιν; Ὅταν οὖν ἀναγινώσκων εὐρηγῇ τι περὶ Μελχισεδέκ γεγραμμένον, μνήσθητι τὸ εἰρημένον ὑπὸ τοῦ Ἀποστόλου. «Ἐφ' ὃν λέγεται ταῦτα, φησὶς ἐτέρας μετέσχηκε», καὶ οὐδέποτε πλαγηθῆσθαι. «Πρόδηλον γὰρ ὅτι ἐξ Ἰουδα ἀνατέταλκεν ὁ Κύριος Ἰησοῦς Χριστός.» Ἀκολουθήσον τῇ πίστει Παύλου καὶ μὴ τὰ προφητικῶς χρηματισθέντα πρόσνεμε τῷ χρηματίσαντι, μηδ' αὖ πάλιν τὰ τυπικῶς γεγενημένα αὐτοῖς ἀπόνεμε τοῖς τύποις. Ποίας φησὶς μετέσχηκεν ὁ Μελχισεδέκ, ὅτι αὐτόλυστα νομίζεις εἶναι τὰ εἰρημένα ἢ γεγενημένα; Οὕτω δὲ πλανώμενος, πάντως ἂν καὶ τὸν ἄμνὸν τὸν σφαγέντα τυπικῶς Θεὸν ἠγήσθαι λέγων. Εἰ μὴ ἦν Θεός, πῶς τὸν ὀλοθρευτὴν ἄγγελον ἀπήλαυνε τὸ αἷμα αὐτοῦ; Τάχα δὲ καὶ τὸν χαλκοῦν ὄφιν θεοποιήσεις, ταῦτ' ἀπολαμβάνων καὶ λέγων. Εἰ μὴ ἦν Θεός, πῶς τοὺς δηχθέντας ὑπὸ τῶν ὄφεων ἐμεράπευσεν; Ἡμεῖς δὲ τὸ τοῦ Ἀποστόλου ἐροῦμεν. «Ἐφ' ὃν λέγεται ταῦτα, φησὶς ἐτέρας μετέσχηκεν.» Ἐκαστος γὰρ οὐ δι' ἑαυτὸν ἐποίει τὴν δύναμιν, ἀλλὰ διὰ τὸν ἐν αὐτοῖς ἐρμηνεύμενον Χριστόν. οὕτω καὶ ὁ Μελχισεδέκ κἂν ἐχρημάτισε βασιλεὺς δικαιοσύνης, οὐ φύσει ἦν, ἀλλ' ἐρμηνεύμενος κατὰ τὴν Γραφήν. «ἐφ' ὃν γὰρ

განსაზღვრავენ ღმერთ-სიტყვას. რადგან არ უთქვამს [მოციქულს]: „შეხედეთ, რამდენად დიდია ის [მელქისედეკი], შემოქმედი ზეცის, მიწისა და ზღვის, ადამიანთა გონების (აზრის) მცოდნე, რომელიც ადამიანთა გონებას მათი ნების მიხედვით აღძრავს. არა უდროოდ მიანიჭებს ყველას შესაბამის მისაგებელს, არამედ სამართლიანად, თავის დროზე, და განსაზღვრავს, როდის წარმოაჩინოს“. არ უთქვამს: [მელქისედეკია] წვიმისა და თოვლის მოსვლის, ზამთრის ყინვებისა და ზაფხულის სიცხის შემოტვევის, თანაშემომილად განმსაზღვრელი, რათა არ დაღუპოს ქვეყანა (სამყარო). არ უთქვამს, რომ [მელქისედეკი] გულმოწყალებით განარიდებს მართლმსაჯულებისგან და შეუძლია ცოდვილები მიუკერძოებლად შეიწყალოს, რომელიც ყველგან მყოფობს განუყოფლად და მამასთან (ში) ჰგიეს შეურევნელად. შემოქმედი დამზადებელია სიკეთეებისა და ყოვლისმცოდნე, და მსაჯულია, რომელმაც უძღურებით შეკრა ძლიერი და სისულელით მიიტაცა ბრძენი გველის ჭურჭელი (შდრ. მთ.12.29), რომელმაც სიკვდილიდან სიცოცხლე ამოიყვანა და საიდუმლონი ცხადყო“. ამდაგვარი არაფერი უთქვამს მოციქულს მელქისედეკზე, არამედ თქვა: „იხილე, როგორი დიდია ის, ვისაც აბრაამმა უწილადა მეთედო“. ამრიგად, თუ ღმერთი იყო ის, მაშინ ჰავლემ ამ საზომით შემოსაზღვრა მისი ეს მიუწდომელი ძალა და არავითარი საკვირველით, არამედ აბრაამის მეთედო

¹⁹⁵ აღნიშნული სიტყვა ხელნაწერში აშიაზა გატანილი. ეგრემისეულ თარგმანში სავარაუდოდ უნდა ყოფილიყო „შანთნი“

რამდე, მის მოიკსენე მოციქულისად, ვითარმედ რომელსა ზედა ითქუმის

ესე: „**სხვსა ნათესავისაგან მოღებულ-იყო**“ (ებრ. 7.13) და არა სადა შესცთე, რამეთუ წინა ცხად არს, ვითარმედ „იუდაისგან აღმოგზბრწყინდა უფალი ჩუენი იესუ ქრისტე“ (ებრ. 7.14). შეუდეგ სარწმუნოებით მოციქულსა პავლეს და ნუ წინააღმართმეტყუელებით თქუმულთა მეტყუელსა მას აჩემებ, ნუცადა კულად სახედ რადმე ქმნულთა თვთ მათვე სახეთა განუკუთნავ. რომლისა ნათესავისაგან მოღებულ-იყო მელქისედეკ, რამეთუ თვთ მისდად ჰგონებ ჩემებად თქუმულთა ამათ გინა ქმნულთა? რამეთუ ესრეთ რად შესცთე უეჭუელად დაკლვად იგი კრავისად სახისმოსწავებით ქმნილი ღმრთად შეჰრაცხო, ესრეთ

თქუმითა, ვითარმედ: „**არათუმცა ღმერთი იყო, ვითარმცა განიოტებდა ანგელოზსა მას მომასრველსა სისხლი მისი**“? ნუუკუე და რვალისადაცა იგი გუელი ღმერთ-ჰყო შენ, ამათმანვე შემომღებელმან და მეტყუელმან,

ვითარმედ: **არათუმცა ღმერთი იყო იგი, ვითარ ჰკურნებდა გუელისაგან კბენილთა**“? ხოლო ჩუენ მასვე მოციქულისასა ვიტყვთ, ვითარმედ:

„**რომლისა ზედა ითქუმის ესე სხვსა ნათესავისაგან მოღებულ-იქმნა**“ (ებრ. 7.13), რამეთუ თითოეული ამათგანი არათუ თავით თვსით ჰყოფდა ძალსა, არამედ მათ შორის

λέγεται ταῦτα, φιλῆς ἐτέρως μετέσχηκεν».

ნაწილით, რასაც მღვდელმსახურნიც იღებდნენ რჯულის თანახმად? ასე რომ, როცა კითხვის დროს ნახავ რაიმეს, მელქისედეკის შესახებ დაწერილს, გაიხსენე მოციქულის მიერ თქმული: „ვისზეც ესენი ითქვა, სხვა ტომს ეკუთვნოდა“ (ებრ. 7.13) და არასოდეს შეცდები. „რადგან ცნობილია, რომ იუდას [ტომისგან] ამობრწყინდა უფალი იესო ქრისტე“ (ებრ. 7.14). მიჰყევი პავლეს რწმენას და იმათ, რაც წინასწარმეტყუელებითად წარმოითქვა, ნუ მიაკუთვნებ წარმომთქმელს, და ასევე, კვლავ ნურც სახეობრივად ნამოქმედარს (მომხდარს) თავად სახეებს ნუ მიაკუთვნებ. რომელ ტომს განეკუთვნებოდა მელქისედეკი, რომ შენ ნათქვამსა და მომხდარს თვით მასზე ახსნადად მიიჩნევ?

ხოლო ამგვარად შეცდენილი, კრავს, რომელიც სიმბოლურად (სახეობრივად) დაიკლა, აუცილებლად ღმერთად მიიჩნევ, როცა ამბობ (რა): „თუ ღმერთი არ იყო, როგორ განდევნიდა მომხვრელ (დამღუპველ) ანგელოზს მისი (კრავის) სისხლი“? უმაღლ სპილენძის გველსაც კი გააღმერთებ, როცა ასე ფიქრობ (აღიქვამ) და ამბობ: თუ ღმერთი არ იყო, როგორ განკურნავდა გველთაგან დაკბენილებს? ჩვენ კი მოციქულის [ნათქვამს] ვიტყვი: „ვისზეც ესენი ითქვა, სხვა ტომს ეკუთვნოდა“ (ებრ. 7.13). რადგან თითოეულს არა საკუთარი თავის მეშვეობით ჰქონდა ძალა, არამედ ქრისტეს მეშვეობით, რომელიც მათ მიერ არის განმარტებული. ამგვარადვე, მელქისედეკსაც თუკი ეწოდება მეფე სიმართლისა, ბუნებით კი არ იყო, არამედ, განიმარტება წერილის შესაბამისად, რომ „ვისზეც ესენი ითქვა, სხვა ტომს ეკუთვნოდა“ (ებრ. 7.13).

სათარგმანებელისა მისთვის
 იესუ ქრისტესსა. ესრეთვე
 მელისედეკცა
 დაღათუ იწოდა მეფე
 სიმართლისა და მეფე
 მშვედობისა არა ბუნებით იყო,
 არამედ წერილისებრ
 თარგმანებითა, რამეთუ,
**„რომელსა ზედა თქმულ არს ესე
 სხვსა ნათესავისაგან მოღებულ-
 იქმნა“**(ებრ. 7.13).

7. მინდა მეცა კითხვად ცნობა
 მაცთურთა მათ: რადსათვის არა
 მოციქულთა და
 წინადაწარმეტყველთა ღმრთად
 ქადაგეს მელქისედეკ? უკუეთუ
 შიშთა ანუ შურითა
 შეიპყობოდეს
 არცამცა მარიამისგან ესე
 უშიშად
 და უშურველად ყოველთადა
 განეცხადა, ხოლო უკუეთუ
 უმეცარ იყვნეს იგინი, სადმე
 თქუენსა უჩჩვლეს იყვნეს,
 ხოლო თქუენ უსრულეს მათსა,
 რამეთუ მათდა დაფარული
 თქუენ განგეცხადა. არამედ რასა
 იტყვან ზუგრიანნი, ვითარმედ:
 „ნუ გიკვრს
 უკუეთუ უმეცრებდეს
 მოციქულნი საიდუმლოსა ამას,
 რომლისათვის თვთ პავლეცა
 ძნიად საპოვნელად
 გამოაჩინებს რაჟამს თქუას“:
**„რომლისათვის იგი მრავალ არს
 ჩუენდა სიტყუად და ძნიად
 საპოვნელ თქუამდ“** (ებრ.5.11).
 ჰოდ ამპარტავანებასადა მათსა,
 რომელნი ჰგონებენ უბრძენეს
 ყოფად მოციქულთა, „**არცა
 იციან
 რასა იტყვან, არცა თუ ვიეთთვის
 დაამტკიცებენ“** (1ტიმ.1.7).
 რამეთუ
 უკუეთუ ყოვლად ჰრწამს,
 ვითარმედ
 მრავალ არ[51]ს
 მელქისედეკისთვის
 სიტყუად და ძნიად
 სათარგმანებელ,
 [თქუედ] თუ რომლითა
 კერძითა

VII. Ἡθελον κάγω πυσθῆσθαι τῶν
 φρεναπατῶν· Τίνος ἕνεκα οἱ
 προφήται ἢ οἱ ἀπόστολοι Θεὸν
 αὐτὸν εἶναι οὐκ ἐκήρυσξαν; Εἰ μὲν
 γὰρ φθόνῳ ἢ φόβῳ ἐφέροντο, οὐκ
 ἂν τὸν ἐκ Μαρίας ἀφθόνως καὶ
 ἀφόβως πᾶσιν ἐφανέρωσαν. Εἰ δὲ
 ἠγνόησαν, ἐκεῖνοι μὲν νήπιοι παρ’
 ὑμᾶς, ὑμεῖς δὲ παρ’ ἐκείνους
 τελειότεροι, καθότι τὸ ἐκείνους
 λαθὼν ὑμῖν παρ’ ἐκείνους
 τελειότεροι, καθότι τὸ ἐκείνους
 λαθὼν ὑμῖν ἀπεκαλύφθη. Ἀλλὰ τί
 φασιν οἱ λοιμοί; Μὴ θαυμάσης εἰ
 ἠγνόησαν οἱ ἀπόστολοι τὸ
 μυστήριον τοῦτο, ὅπου γε καὶ τῷ
 Παύλῳ δυσσεύρητον κατεφάνη
 λέγοντι· «Περὶ οὗ πολλὸς ἡμῖν ὁ
 λόγος καὶ δυσσερμῆνευτος λέγειν.»
 Ἔτις ἀλαζονείας· δοκοῦντες
 εἶναι τοῦ Ἀποστόλου σοφώτεροι,
 «οὔτε νοοῦσιν ἃ λέγουσιν οὔτε
 περὶ τίνων διαβιβαιοῦνται». Εἰ γὰρ
 ὄλως πιστεύουσιν ὅτι πολλὸς ὁ περὶ
 τοῦ Μελχισεδέκ λόγος καὶ
 δυσσερμῆνευτος, εἰπάτωσαν ποιῶ
 μέρει ἐστὶ δυσσερμῆνευτος;
 πότερον τῷ ἡμετέρῳ, ἢ τῷ ἐκείνων;
 Ἡμεῖς δὲ λέγομεν ὅτι ἐρμηνεύεται
 Μελχισεδέκ εἰς τὸν Κύριον ἡμῶν
 Ἰησοῦν Χριστόν, καὶ πολλὸς ἡμῖν ὁ
 λόγος καὶ δυσσερμῆνευτος, καθ’ ὃ
 καὶ ὁ Ἀπόστολος λέγει· ἐκεῖνοι δὲ
 λέγουσιν ὅτι Θεὸς φύσει ἐστίν. Εἰ
 δὲ φύσει ἐστὶ Θεός, πῶς
 δυσσερμῆνευτος; Θεὸς καθολικῶς
 πιστεύεται, οἱ δὲ τύποι
 ἐρμηνεύονται. Διὰ τοῦτο ἴδωμεν
 τίνι μαρτυρεῖ ὁ ἅγιος Παῦλος
 εἰπών· «Περὶ οὗ πολλὸς ἡμῖν ὁ
 λόγος καὶ δυσσερμῆνευτος.» Εἰ
 ἐκεῖνοι, ὡς περὶ Θεοῦ τοῦ

[7]. მეც მსურდა, გამეგო
 მაცთურთაგან: რის გამო არ
 იქადაგეს
 წინასწარმეტყველებმა და
 მოციქულებმა, რომ
 მელქისედეკი ღმერთია?
 რადგან, თუკი შურს ან შიშს
 განიცდიდნენ, მაშინ არც ასე
 უშიშრად და უშურველად
 განაცხადებდნენ ყველასთვის
 მარიამისგან შობილზე, თუკი
 არ იცოდნენ, ისინი ხომ
 ჩვილები ყოფილან, თქვენთან
 შედარებით, თქვენ კი უფრო
 სრულყოფილნი, რადგან,
 მათთვის დაფარული თქვენ
 განგეცხადდა. მაგრამ რას
 ამბობენ სწეულნი: „ნუ
 გაგიკვირდება, რომ არ იცოდნენ
 მოციქულებმა ეს საიდუმლო,
 რადგან ძნელად გასაგები
 პავლესთვისაც კი აღმოჩნდა,
 რომელიც ამბობს: «რომლის
 შესახებაც ვამბობთ, ფართო
 (გაგებით) და რთულად
 განსამარტი ნათქვამი
 [არის]»“(ებრ .5.11). ჰოი, [მათ]
 ამპარტავნებას, რომელთაც
 მიაჩნიათ, რომ მოციქულზე
 უფრო ბრძენნი არიან; „არც (ის)
 იციან, რას ამბობენ, არც (ის)
 იციან, რას ამტკიცებენ“ (1
 ტიმ.1.7). მართლაც, თუკი
 სავსებით სჯერათ, რომ
 მელქისედეკის შესახებ ფართო
 (ზოგადი უპირისპირდება
 კონკრეტულს), და რთულად
 განსამარტი რამ არის ნათქვამი,
 მაშინ გვითხრან, რა მხრივ არის
 რთული განსამარტი? ჩვენი
 მხრივ, თუ მათი მხრივ? ჩვენ კი
 ვამბობთ: ის, რომ მელქისედეკი

ძნად სათარგმანებელ არს? ვინაჲ კერძო, [ჩუენითა ანუ] მისითა. რამეთუ ჩუენ ვიტყვთ, ვითარმედ მელქისედეკ უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტეს მიმართ გამოითარგმანების და ამისთვის მრავალ არს ჩუენდა სიტყუად და ძნად სათარგმანებელ, ვითარცა მოციქულიცა იტყვს. ხოლო იგინი იტყვან, ვითარმედ: „ბუნებით ღმერთ არს“. ღმერთი, და ვითარ საყოველთაოდ ირწმუნების ძნად სათარგმანებელი ღმერთი? ხოლო სახენი გამოითარგმანებიან. ამისთვის უკუე ვიხილოთლა თუ ვიეთ ეწამების მოციქული პავლე თქუმითა: „**რომლისათვის მრავალ არს ჩუენდა სიტყუად და ძნად სათარგმანებელ**“ (ებრ. 5.11), უკუეთუ მათ ეწამების, ვითარცა ღმრთისათვის მეტყუელი ამათ მელქისედეკისთვის, გამოგვთარმენდ მათ ღმერთი იგი, ვითარცა უცნობიეს იგი ბუნებით ღმრთად, ხოლო უკუეთუ არა, ჩუენ უფლისა მიერ ძალისაებრ გამოვთარგმნოთ მელქისედეკისი, ვითარცა სახე ქრისტესი, მასვე სამოციქულოჲსა თქუმული პირსა ზედა და დასცხრენ იგინი მგმობრობისაგან. აწინდელსა ამას იწრუსალემსა პირველ იებოსი ეწოდებოდა, ვინაჲ უწყით, ვითარმედ მოსპოლვილთა მათ შვდთა ნათესავთაგანი იყო მელქისედეკ, რამეთუ იებოსელი იყო, ხოლო შემდგომად შვდთა მათ ნათესავთა განდევნისა და ერისა მკვდრობისა წილ-ხუდა იგი მღდელთა მუნ შეწირვად მსხუერპლთა ყოვლისაგან ადგილსა ჰურიათაჲსა. ვინაჲცა შემდგომად ბრძოლათა

Μελχισεδέκ εἰρηκᾶς, ἔρμηγευσάτωσαν τὸν Θεὸν αὐτῶν, ὡς νοήσαντες αὐτὸν φύσει Θεόν· εἰ δὲ μὴ γε, ἡμεῖς ἐν Κυρίῳ κατὰ δύναμιν τὰ τοῦ Μελχισεδέκ ὡς τυπικᾶς ἔρμηγεύσομεν, κατὰ τὴν ὑπόθεσιν τοῦ ἀγίου Παύλου, καὶ παυσάσθωσαν βλασφημοῦντες. Πρῶτον μὲν γὰρ ἡ νῦν Ἱερουσαλήμ Ἰεβούς ἐκαλεῖτο· ὅθεν γινώσκομεν ὅτι ἐκ τῶν καθαιρεθέντων ἐπτά ἐθνῶν ἦν ὁ Μελχισεδέκ. Ἰεβουσαῖος γὰρ ἐτύγγανεν. Ὑστερον δέ, μετὰ τὸ ἐκβληθῆναι τὰ ἔθνη καὶ κατοικῆσαι τὸν λαόν, ἀπεκλήρωσεν αὐτὴν ὁ Θεὸς τοῖς ἱερεῦσι τοῦ ἐκεῖ ἀναφέρεσθαι τὰς θυσίας ἐκ παντὸς τόπου τῶν Ἰουδαίων· ὅθεν καὶ μετὰ τὸ καταπαῦσαι ἀπὸ τῶν πολέμων μετωνόμασαν τὴν πόλιν Σαλήμ, ὃ ἐστὶν εἰρήνη. Ἱερουσαλήμ δὲ ἔρμηγεύεται ὄρασις εἰρήνης. Τοῦτου χάριν ὁ Μελχισεδέκ παρὰ τῷ Παύλῳ καὶ τῇ Γραφῇ βασιλεὺς εἰρήνης ἔρμηγεύεται· ἐν αὐτῇ γὰρ ἐβασίλευσε τὸ πρότερον, ὡς εἰ τις εἴποι βασιλεὺς Σέλγη· Σέλγη δὲ ἀγνεία ἔρμηγεύεται. Οὐκοῦν εἰκότως ὁ ἡγούμενος Σέλγη κατὰ τὸ τῆς πόλεως ὄνομα ἡγούμενος ἀγνείας ἔρμηγεύεται· οὐ φύσει μέντοι ἀγνείας ἐστὶν ἡγούμενος, ἀλλὰ καθ' ἔρμηγείαν ὀνομασίαν. Χριστὸς δὲ ἐστὶ φύσει ἀγνείας ἡγούμενος. Ἄρα οὐ νοοῦσιν ὅτι καὶ ὁ Μελχισεδέκ καθ' ἔρμηγείαν ὀνομαστικῶν βασιλεὺς εἰρήνης λέγεται; Εἰ μὲν γὰρ Ἱερουσαλήμ αὕτη ἐστὶν ἐπουράνιος, ἔνθα ἐβασίλευσεν, ἦτω καὶ ὁ ἡγούμενος αὐτῆς φύσει βασιλεὺς εἰρήνης· εἰ δὲ αὕτη τύπος ἐστὶν τῆς ἄνω Ἱερουσαλήμ, φανερώς ὅτι καὶ οὗτος τυπικῶς ὠνόμασται βασιλεὺς εἰρήνης, διὰ τὴν ὁμωσμίαν τῆς πόλεως. Τὸ δὲ βασιλεὺς δικαιοσύνης, τοῦ οἰκείου ὀνόματός ἐστιν ἔρμηγεία, τουτέστι Μελχισεδέκ, γλῶσση τῇ Χανανίτιδι, καθὼς παρὰ τῶν ἐπισταμένων ἐμάθομεν, ὡς ἂν τις εἴποι Ἀμφρόσιος, ὃ ἔρμηγεύεται

განიმარტება ჩვენი უფლის – იესო ქრისტესთან მიმართებით, ეს ჩვენთვის ფართოა და, ამდენად, რთულად განსამარტივ, რასაც მოციქული ამბობს. ისინი კი ამბობენ, რომ მელქისედეკი ბუნებით ღმერთია. თუ ბუნებით ღმერთია, როგორ არის ძნელი განსამარტივ? საერთოდ, ღმერთი (საყოველთაოდ) სწამთ, სახეებს კი განმარტავენ. ამიტომ ვნახოთ, რას მოწმობს წმინდა პავლე, რომელიც ამბობს: „ამის შესახებ ჩვენთვის ფართო არის ნათქვამი და ძნელი განსამარტივ“ (ებრ. 5.11). თუკი მათთვის [მოწმობს პავლე], და ისე საუბრობს მელქისედეკზე, როგორც ღმერთზე, მაშინ განვიმარტონ მათი (საკუთარი) ღმერთი, როგორ გაიზარეს (მიიჩნიეს) მელქისედეკი ბუნებით ღმერთად. მაგრამ თუკი ვერ [განმარტავენ], მაშინ ჩვენ, უფლის მეშვეობით, ჩვენი შემღებისდაგვარად, მელქისედეკზე ნათქვამებს განვიმარტავთ, როგორც სახეობრივებს, წმინდა პავლეს სწავლების (საფუძვლის, აზრის) შესაბამისად, და, დაე, შეწყვიტონ ღვთისმგმობელობა! ახლანდელ იერუსალიმს უწინ იებუსი ეწოდებოდა, აქედან ვიცით, რომ მელქისედეკი იყო ერთ-ერთი შვიდი განადგურებული ტომიდან, რადგან იებუსელი იყო. მას შემდეგ კი, რაც ტომები განიდევნენ და [ღმერთმა] ერი (ისრაელი) დაამკვიდრა, ღმერთმა წილად არგუნა ის (იერუსალიმი) მღვდლებს, რათა იქ მსხვერპლშესაწირი აეტანათ (აღევლინათ), იუდეველთა ყოველი კუთხიდან. ამიტომ, ომის დამთავრების შემდეგ ქალაქის სახელი (იებუსი) შეცვალეს სალემით,

დაცხრომისა ეცვალა ქალაქსა
მას
სახელი სალემად, რომელ არს
მშვიდობად, რამეთუ
იწრუსალემი
სახილველად მშვიდობისა
გამოითარგმანების, ვინაჲ ამის
მადლისათჳს მელქისედეკცა
პავლეს მიერ წერილსა შინა
მეფედ მსვდობისა
გამოითარგმანების,
რამეთუ მას შინა მეფობდა
პირველ, ვითარ-იგი თქუას
ვინმე მეფე სელგის, ხოლო
სელგისი უბიწოდ
გამოითარგმანების, ვინაჲ
შესაბამად ქალაქისა
სახელისა წინამძღუარი სელგი,
წინამძღურად მშვიდობისა
გამოითარგმანების, გარნა არავე
ბუნებით წინამძღურ არს
უბიწოებისა, არამედ
თარგმანებითა ოდენ
სახელისაჲთა,
რამეთუ ბუნებით წინამძღურ
უბიწოებისა ქრისტე არს. ამით
არავე გულისგმაჰყოფენა,
ვითრამედ
მელქისედეკცა თარგმანებითა
სახელისაჲთა მეფედ
მშვიდობისა
ითქუმის? რამეთუ უკუეთუ ესე
იწრუსალემი თჳთ იგი არს
ზეცისაჲ სადა ესე მეფობდა,
ეგრეთვე
წინამძღუარიცა მისი ბუნებით
იყოს მეფე მშვიდობისა, ხოლო
უკუეთუ ესე სახე არს ზეცისაჲსა
იწრუსალემისა, ცხად არს,
ვითარმედ იგიცა
სახისმოსწავებით
სახელ-იდებოდა მეუფედ
მშვიდობისა,
თანამოსახელოები[52] სათჳს
ქალაქისა, ხოლო მეფე
სიმართლისაჲ თჳსისა
სახელისა თარგმანებითა
ეწოდებოდა, ესე იგი არს
მელქისედეკ, რამეთუ, ვითარცა
გვსწავიეს მეცნიერთაგან
ქანანელთა
ენისათა, მელქისედეკ მეფედ

ἀθίνατος. Τί οὖν; ἐπειδὴ πολλοὶ
τῶν ἀνθρώπων Ἀμφίρσοι
ὀνομάζονται, παρὰ τοῦτο καὶ
φύσει ἀθίνατοὶ εἰσι, κατὰ τὴν
ἐπανυμίαν; οὐ πάντως. Πόσοι
Εὐγένιοι λέγονται, διὸντι
ὑπάρχοντες· πόσοι Ἀθανάσιοι
λέγονται, ὄντες θνητοί· πόσοι
Πολυχρόνιοι, καὶ ἐγένοντο
ὀλιγοχρόνιοι· πόσοι Δημοκράται,
καὶ οὐδὲν ἄνδρὸς ἐκράτησαν.
Καὶ εὐρέθησαν οἱ χρηματισμοὶ
ἀκατάλληλοι τοῖς πράγμασιν.

რაც ნიშნავს „მშვიდობას“. იერუსალიმი კი განიმარტება (ითარგმნება), როგორც – „მშვიდობის ხილვა“. ამის წყალობით, მელქისედეკი პავლესთან და წერილში „მშვიდობის მეფედ“ განიმარტება, რადგან მასში (ქალაქში) მეფობდა ადრე. როგორც, მაგალითად, (ვინმეს რომ ეთქვა,) მეფე სელგისი, ხოლო „სელგი“ – „უბიწოებად“ განიმარტება. მართლაც, სამართლიანად, წინამძღოლი სელგისი, ქალაქის სახელის მიხედვით, უბიწოების წინამძღოლად განიმარტება. რა თქმა უნდა, არა ბუნებით არის უბიწოების წინამძღოლი, არამედ სახელწოდების განმარტების შესაბამისად. ქრისტე კი ბუნებით უბიწოების წინამძღოლია. ნუთუ ვერ ხვდებთან, რომ მელქისედეკიც მინიჭებული სახელის (ონომასტიკური=ადგილის (გეოგრაფ. სახელი) განმარტების მიხედვით ითქმის „მშვიდობის მეფედ“? მართლაც, თუკი ის იერუსალიმი ზეციურია, სადაც მეფობდა მელქისედეკი, მაშინ დაე, იყოს მისი წინამძღოლი ბუნებით – „მეფე მშვიდობისა“; და თუ ის (ქალაქი) სახე არის ზეციური იერუსალიმისა, ცხადია, რომ თავადაც სახეობრივად (არა ბუნებით) იწოდება – „მეფედ მშვიდობისა“, ქალაქის თანამოსახელოების გამო. ხოლო „მეფე სიმართლისა“, საკუთარი სახელის განმარტებაა (თარგმანია), ე.ი. „მელქისედეკისა“, ქანაანურ ენაზე, როგორც მცოდნე ადამიანებისგან გავიგეთ. ისევე, როგორც ვინმეს რომ ეთქვა ამბროსიოსი, რაც განიმარტება (ითარგმნება), როგორც „უკვდავი“; და ამით რა? რადგანაც მრავალი ადამიანი „ამბროსიოსად“ იწოდება, განა ამის გამო, დარქმეული სახელის მიხედვით, ბუნებითაც

სიმართლისა
 გამოითარგმანების, ვითარმცა
 ვინ იტყოდა ამბროსიოს,
 რომელი ითარგმანების
 უკუდავ, რა-მე უკუე,
 ვინაათგან მრავალნი
 კაცთაგანნი ამბროსიდ სახელ-
 იდებიან, ამისთვისმცა ბუნებით
 უკუდავ-იყვნესა
 სეხნაობისაებრ? არა სადა.
 რაოდენნი ევგენიდ
 სახელდებულნი მონა არიან,
 რაოდენნი მოკუდავნი
 ათანასიდ სახელ-იდებიან,
 რაოდენნი
 პოლუხრონნი ჟამცირე იქმნეს,
 რაოდენთა დიმოკრატეთა, არცა
 ერთი კაცი ოდეს უპყრიეს და
 იპოვნეს
 საქმენი ამათნი
 თანაშეუტყუებელ სახელთა.

8. ვინაათგან უკუე სახელნი
 ვთარგმენით ძალისაებრ,
 მოვედ,
 რათა საქმენიცა მათნი
 კუალად
 ვთქუნეთ რაოდენ ვჰგონებთ,
 რამეთუ ვითარ-იგი აბრაჰამ
 თვსთა თანა სახლისწულთა
 სამას
 ათრვამეტა მელქისედეკისზე
 განიმჯედრა რა უცხოთესლთა
 ზედა, იოტნა იგინი, ეგრთვე
 ქრისტესზე ნამდვლვე
 სახლისწულთა მისთა სამას
 ათრვამეტა მამათმთავართა,
 ნიკიელთა ქალაქსა შინა
 სამოციქულოდ აღჭურვილთა
 წარიოტნეს
 წვალეზანი. იხილვა შესაბამი
 თარგანებად? მაშინ მელქისედეკ
 გამოართუა მათ პური
 და ღვინოდ განსასუენებელედ
 ბრძოლისაგან მოქცეულთა.
 ამისდავე მსგავსად
 ქრისტემანცა,
 დიდმა მლდელმთავარმან,
 საცნაურისა ბრძოლისაგან მისსა
 მოქცეულთა მისცა პური და
 ღვინოდ,
 განწმედილი და წმიდა ქმნილი
 და ჰრქუა: „მიიღეთ და ჭამეთ
 ამისგან ყოველთა“ (მთ. 26.26).

VIII. Ἐπειδὴ οὖν τὰς ὀνομασίας
 ἡρμηνεύσαμεν κατὰ δύναμιν,
 φέρε, ὡς οἶόν τε καὶ τὰ πράγματα
 πάλιν. Ὡσπερ ὁ Ἀβραάμ μετὰ τῶν
 οἰκεῖων οἰκογενῶν τριακοσίων
 δέκα καὶ ὀκτῶ ὀπλισάμενος ἐπὶ
 τοῦ Μελχισεδέκ τοὺς ἄλλοφύλους
 ἐτροπώσατο, οὕτως ἐπὶ τοῦ
 Χριστοῦ οἱ ὄντως οἰκογενεῖς
 αὐτοῦ τριακόσιοι δέκα καὶ ὀκτῶ
 πατριάρχαι ἐν τῇ Νικαίαν πόλει
 ἀποστολικῶς ὀπλισάμενοι
 ἐτροπώσαντο τὰς αἰρέσεις. Ἴδε
 ἐρμηνείαν προσφυῆ. Τότε ὁ
 Μελχισεδέκ ἐξήνεγκεν ἄρτον καὶ
 οἶνον εἰς ἀνάπαισιν τοῖς
 ἀναστρέφουσιν ἀπὸ τοῦ πολέμου.
 Ὅμοίως καὶ ὁ Χριστός, ὁ μέγας
 ἀρχιερεύς, τοῖς ἐκ τοῦ νοερῶν
 πολέμου πρὸς αὐτὸν
 ἀναστρέφουσι δίδωσιν ἄρτον καὶ
 οἶνον ἡγιασμένον λέγων· «Λάβετε,
 φάγετε ἐξ αὐτοῦ πάντες.» Καὶ
 πάλιν δίδωσι δεκάτας Ἀβραάμ
 ἀπὸ τῶν ἀκροθίνων τῷ ἱερεῖ τοῦ
 Θεοῦ· καὶ οἱ ἐφάμιλλοι τῆς ἐκείνου
 πίστεως προσφέρουσι τῷ Χριστῷ
 τὰ ἀκροθίνια. Αἱ γὰρ πέντε
 αἰσθήσεις, διττῶς ἀνατεθεῖσαι
 αὐτῷ, νοερῶς λέγω καὶ ἰδικῶς,
 δεκάταις τινέσιν εἰσι τῶν μορίων τῆς
 φύσεως ἡμῶν, τῆς ποτε

უკვდავნი არიან? რა თქმა უნდა
 – არა. ზოგიერთები – „ევგენად“
 იწოდებიან, რომლებიც მონები
 არიან; ზოგიერთნი –
 „ათანასედ“ იწოდებიან, არიან
 რა მოკვდავნი. ზოგიერთნი –
 „პოლიხრონოსად“ და მცირე
 დრო განვლეს (სიცოცხლისა);
 ზოგიერთნი – „დიმოკრიტედ“
 და არცერთ კაცზე არ
 უბატონიათ (ძალაუფლება არ
 ჰქონიათ); და სახელწოდებები
 მათ საქმეებთან შეუსაბამო
 აღმოჩნდა.

[8]. ასე რომ, მას შემდეგ, რაც
 სახელები შეძლებისდაგვარად
 განვმარტეთ, მოდი,
 რამდენადაც შესაძლებელია,
 (კვლავ) საქმეებიც განვმარტოთ.
 როგორც შეიარაღებულმა
 აბრაამმა თავის 318 ნათესავ
 (თავის სახლში შობილ)
 მსახურებთან ერთად,
 მელქისედეკის დროს, განდევნა
 უცხო ტომელები. ასევე
 ქრისტეს დროს, ჭეშმარიტად
 მისმა [სულიერმა] ნათესავმა
 318-მა მამამთავარმა ქალაქ
 ნიკეაში მოციქულებრივად
 შეიარაღებულმა განდევნა
 ერესები. დააკვირდი
 შესაფერის განმარტებას. მაშინ
 მელქისედეკმა დასვენების
 მიზნით გამოუტანა პური და
 ღვინო ომიდან უკან
 დაბრუნებულებს. მსგავსადვე
 ქრისტეც, დიდი
 მღვდელმთავარი,
 გონებისეული ომისგან მისკენ
 მოქცეულებს აძლევს
 განწმენდილ პურსა და ღვინოს,
 და ამბობს: „მიიღეთ და ჭამეთ
 მისგან ყოველთა“ (მთ. 26.26,27).
 და კიდევ: აბრაამიც
 მონაგებიდან (ნადავლიდან)
 მეთედს აძლევს ღვინოს

და კუალადცა, რომელ-იგი მისცა აბრაჰამს ათეული ნატყუნავთაგან მღდელსა ღმრთისასა, ხოლო მობაძენი მისისა სარწმუნოებისანი შესწირვენ ღმრთისა ნატყუნავსა, რამეთუ ხუთნი საცნობელნი მრჩობლ ქმნილ ზედა დართვითა მათითა, საცნაურად ვიტყვ და განთვსებულად, ათეულ რამე არიან ნაწილებთა ჩუენისა ბუნებისათა ოდესმე წარტყუნულისა საცნაურთაგან უცხოთესლთა, პირველ თქუმულისაებრ მოთხრობისა. გულისწმა-ჰყავმეა აწ თქუმულთა ამათგან, ვითარ **მრავალ არს ჩუენდა სიტყუად და ძნაიდ სათარგმანებელ** (ებრ. 5.11), ვითარცა თქუა მოციქულმან? ვინაჲცა ნუ სახეთა იტყვ ჰქემმარიტებად, ნუცადა უმამოდ და უდედოდ სმენითა ჰგონებ მას ბუნებით ძედ ღმრთისად ნათესავმოუქსენებლობისათვს, ანუ არა წარგიკითხავსა რაოდენსა მოგვთხრობს საღმრთოდ წერილი მათთვსა მას შინა თხრობასა, სახეთა[53]თვს ლოთისთა, დისწულისა აბრაჰამისსა, მაშინდელთა მათ მეფეთათვს, რომელთა სახელებსა ადგილებსა თანა და კაცებსა სახელსდვა და მელქისედეკ და ქალაქი სალიმი ცხადად [აუწყნა]? გარნა არცა ერთი რამ მათგანი პირველ განჯორციელებისა უფლისა თვთ ადქსნით გამოითარგმანების, რამეთუ უკუეთუ ბუნება არიან სახელნი, არღარა თარგმანცა, ხოლო უკუეთუ თარგმან არღარა ბუნებაცა. ვითარ უკუე **მრავალ არს სიტყუად და ძნაიდ სათარგმანებელ** (ებრ.5.11)? არამედ სცნობთ წერილისასა, ვითარმედ: „ესენი მათ სახედ

αἰχμαλωτευθείσης ὑπὸ τῶν ἄλλοφύλων κατὰ τὴν προειρημένην ἰστορίαν. Ἄρα διὰ τῶν εἰρημένων ἐνόησας πῶς «πολύς ἐστὶν ὁ λόγος καὶ δυσερμήνευτος», καθὼς εἶρηκεν ὁ ἅγιος Παῦλος; Μὴ οὖν τοὺς τύπους λέγε ἀλήθειαν, μὴδὲ ἀκούσας ἀπάτορα καὶ ἀμήτορα διὰ τὸ ἀγενεαλόγητον, λογίζου διὰ τοῦτο Υἱὸν Θεοῦ φῦσει. Ἦ οὐκ ἀνέγκας ὄσα διηγεῖται ἡ θεία Γραφή ἐν τῇ κατ’ αὐτὸν ἰστορίᾳ περὶ τῶν τύπων, περὶ τοῦ Ἀὐτ τοῦ ἀδελφιδῶν Ἀβραάμ, περὶ τῶν τότε βασιλέων, τὰ ὀνόματα τῶν τόπων ἅμα καὶ τῶν ἀνθρώπων ὀνομάσασα, καὶ τὸν Μελχισεδέκ καὶ τὴν πόλιν Σαλήμ φανερώς δηλώσασα; Οὐδὲν δὲ τούτων πρὸ τῆς σαρκώσεως τοῦ Κυρίου αὐτολῦτως ἐρμηνεύεται. Εἰ γὰρ φύσις τὰ ὀνόματά εἰσιν, οὐκέτι ἐρμηνεία· εἰ δὲ ἐρμηνεία, οὐκέτι φύσις. Πῶς οὖν πολὺς ὁ λόγος καὶ δυσερμήνευτος; Ἀνάγκη τὸ γεγραμμένον, ὅτι ταῦτα τύποι συνββαίνον ἐκείνοις· γέγραπται δὲ εἰς νοσησίαν ἡμετέραν, εἰς οὗς τὰ τέλη τῶν αἰῶνων κατήνησε.

მღვდელს; ხოლო მისი (აბრაამის) რწმენის მიმბაძველნიც (მოშურნეებიც) მონაგებს (ნადავლს) უბოძებენ ქრისტეს. მართლაც, ხუთი გრძნობა (სათნობა) ორმაგად ებოძება მას, ვგულისხმობ: აზრისმიერად (გონებით) და საკუთრივ (უშუალოდ) (საქმით), რაც (=ხუთი გრძნობა) არის ჩვენი ბუნების მეათედი ნაწილი, ოდესღაც უცხოტომელთა მიერ დატყვევებული, პირველად ნათქვამი („შესაქმის“) ისტორიის შესაბამისად. ნუთუ [ვერ] გაიაზრე წარმოთქმულის მეშვეობით, როგორ „არის ფართო (გაგებით) ნათქვამი და რთულად განსამარტი“ (ებრ. 5.11), როგორც ეს წმინდა პავლემ თქვა? ასე რომ, ნუ იტყვი: სახეები არის ჰქემმარიტება; და როცა მოისმენ, რომ ვინმე არის უმამო და უდედო გენეალოგიის არქონის მიზეზით, ამის გამოც ნუ მიიჩნევ (მელქისედეკს) ბუნებით ღვთის ძედ. განა არ წაგიკითხავს, რამდენჯერ (რაოდენ ბევრს) გვამცნობს წერილი საღვთო ისტორიაში [მელქისედეკთან დაკავშირებით] მასთან დაკავშირებით, (მელქისედეკზე), სახეების შესახებ, მაგალითად, აბრაამის ძმისშვილის ლოთის შესახებ, იმდროინდელი მეფეების შესახებ, სადაც (წერილში) ადგილებსა და ადამიანებს საერთო სახელები აქვთ, რითაც მელქისედეკი და ქალაქი სალემი საქვეყნოდ ცნობილი გახდა? მაგრამ ამ ამბავთაგან არცერთი არ განიმარტება საკუთრივ (თავისთავად, თვითახსნით) მანამდე, სანამ უფალი განხორციელდებოდა (განკაცდებოდა). მართლაც, თუკი ბუნება უთანაბრდება სახელებს (სახელები არის), მაშინ აღარ არის [საჭირო

შემთხვეოდეს, ხოლო
დაიწერა
სასწავლელად ჩუნდა,
რომელთა
მომართ აღსასრული ჟამთაა
მოიწია“ (1.კორ.10.11).

9. და ესეცა საჭირო არს კითხვად მათგან: ვითარ ღმერთი სიტყუა მღვდელობდა მაშინ არღარა კორცემსხმული და ვისთვის მღვდელობდა? სთქუა სადმე, ვითარმედ სოფლისათვის და სადა არს მსხვერპლი, რამეთუ „თვნიერ სისხლისა დათხევისა გასმიეს, ვითარმედ არა იქმნების მოტევება“ (ებრ. 9.22), ანუ ვინ არიან ქადაგ და მოწამე მღვდელობისა? ხოლო უკუეთუ თქუან, ვითარმედ „იგი არს, არამედ სახედ იქმნა ყოფადთა“, გარნა არა იპოვების უკორცოდ სახედ განკორციელებადისა, უფრომდა თვთ სადმე იქმნა სახე თავისა თვისისა? ხოლო ოდეს თვთ წარმოდგომილი იყოს არღარა ითქუმის სახედ, არამედ ჭეშმარიტებად, და უკუეთუ ესრეთ არს, რაღა ვთქუათ განკორციელებისათვის? ანუ ვითარ იტყვს წიგნი, ვითარმედ: „სხუასა ნათესავსა არა ეუწყა სადღუმლოდ ესე, ვითარ-ესე აწ გამოეცხადა წმიდათა მისთა მოციქულთა და წინასწარმეტყუელთა“ (ეფეს. 3.5)? რამეთუ მაშინ არცა წინასწარმეტყუელნი ვმოხდეს მისთვის არცა მოციქულნი. გარნა რასა იტყვან, ვითარმედ: „არა ღმერთი იყო, ვითარ მღვდელობდა პირველ შჯულისა“? ხოლო ჩუნენ მათდა მიმართ ვიტყვთ: მღვდლობა ითქუმის

IX. Καὶ τοῦτο δὲ ἀναγκαῖόν ἐστι πῦθῃσθαι παρ’ αὐτῶν· Πῶς ὁ Θεὸς Λόγος μὴ ἔχων τότε σάρκα ἱεράτευσεν; Ὑπὲρ τίνος δὲ καὶ ἱεράτευσεν; Εἰ ὑπὲρ τοῦ κόσμου λέγεις, καὶ ποῦ ἐστὶ τὸ θῆμα; «Χαρὶς γὰρ αἵματεκχυσίας ἦκουσας ὅτι οὐ γίνεται ἄφεσις.» Τίνες δὲ εἰσι καὶ οἱ τῆς ἱερωσύνης κήρυκός τε καὶ μάρτυρες; Εἰ δὲ λέγουσιν ὅτι αὐτὸς μὲν ἐστὶ, τύπος δὲ ἐγένετο τῶν μελλόντων, οὐκοῦν ὁ ἄσαρκος τοῦ σαρκωθισομένου τύπος ἠὲ ῥίσκετο; μᾶλλον δὲ αὐτὸς ἑαυτοῦ τύπος ἐγένετο; Ὅπου δὲ αὐτὸς πάρεστιν, οὐ λέγεται τύπος, ἀλλ’ ἀλήθεια. Εἰ δὲ τότε ἀλήθεια, ἐπὶ τῆς σαρκώσεως τί ἐροῦμεν; Πῶς δὲ ἡ Γραφή λέγει ὅτι «τέραις γενεαῖς τὸ μυστήριον τοῦτο οὐκ ἐγχαρίσθη, ὡς νῦν ἀπεκαλύφθη τοῖς ἀγίοις ἀποστόλοις καὶ προφήταις»; Τότε δὲ οὔτε προφήται ἐβόησαν περὶ τούτου, οὔτε ἀπόστολοι. Ἀλλὰ τί λέγουσιν; Εἰ μὴ ἦν Θεός, πῶς ἦν ἱερεὺς πρὸ νόμου; Ἡμεῖς δὲ πρὸς αὐτούς· Ἱερωσύνη λέγεται διὰ τὸ θῆναι τῷ Θεῷ θυσίας ἀνθρώπων ἑνσαρκον· χαρὶς δὲ σαρκὸς ἱερεὺς οὐκ ὀνομάζεται. Ὡσπερ οὖν ἔθυσσε τῷ Θεῷ Ἄβελ πρὸ νόμου, καὶ διὰ τοῦτο ἀποδεδείκται ἱερεὺς, καὶ ὡσπερ ἔθυσεν αὐτῷ Νῶε, καὶ ἀποδεδείκται ἱερεὺς, καὶ ὡσπερ ἔθυσεν αὐτῷ Ἰακώβ, καὶ ἀποδεδείκται ἱερεὺς, ὡς οὗτοι πάντες πρὸ νόμου ἔθυσαν, οὕτω καὶ ὁ Μελχισεδέκ πρὸ νόμου ἦν ἱερεὺς. Ἀλλὰ φασι· Τούτους οὐκ

სახელების] განმარტება; და თუ არის – განმარტება, ის აღარ არის ბუნება. მაშინ როგორ „[არის] ფართო (გაგებით) ნათქვამი და რთულად განსამარტი“ (ებრ. 5.11)? კარგად გაიაზრე დაწერილი: „ისე ხდებოდა, რომ ესენი მათთვის სახეებად წამოჩნდნენ, ხოლო დაიწერა ჩვენი განსწავლის მიზნით, რომელთა მიმართ საუკუნეთა აღსასრულმა მოაღწია“ (1 კორ. 10.11).

[9]. და ესეც აუცილებელია გავიგოთ მათგან: როგორ მღვდელმოქმედებდა სიტყვა ღმერთი მაშინ, როცა არ ჰქონდა სხეული? და ვისთვის მღვდელმოქმედებდა? თუ ამბობ, რომ სამყაროსთვის, და სად არის მსხვერპლი? „რადგან გსმენია, რომ სისხლის დაღვრის გარეშე არ ხორციელდება მიტევება“ (ებრ. 9.22). მაშინ ვინ არიან მღვდლობის მქადაგებელნი და დამმოწმებელნი? ხოლო თუ ამბობენ, რომ თავად არის [ძე], და სახე (წინასახე) გახდა მომავალისა (მომავალი საქმეების განხორციელებისა), ნუთუ უსხეულო (უხორცო) [სიტყვა] განხორციელებულის სახედ წარმოჩნდა? უფრო მეტიც, თავად გახდა საკუთარი თავის სახე? როცა თავად წარმოგვიდგება, აღარ ითქმის სახედ, არამედ ჭეშმარიტებად. ხოლო თუ ჭეშმარიტებაა, მაშინ რაღას ვიტყვით განხორციელების შესახებ? მაშინ როგორ ამბობს წერილი, რომ „სხვა ტომებს არ გამოეცხადა ეს საიდუმლო, როგორც ამჟამად გამოეცხადა წმინდა მოციქულებს და წინასწარმეტყველებს“ (ეფეს. 3.5)? იმ დროს ხომ არც წინასწარმეტყველებს უღალადიანთ მასზე და არც მოციქულებს. მაგრამ ისინი (ერეტიკოსები) რას ამბობენ?

კაცისათვის, რომელი ღმერთსა დაუკლვიდეს მსხუერპლსა ჯორციელსა, ხოლო თვნიერ ჯორცისა სამსხუერპლოდას მღდელი არა სახელ-იდების. აწ უკუე, ვითარ-იგი დაუკლა ღმერთსა ახელმან პირველ შჯულისა და ამისთვის გამოჩინებულ არს მღდელ და ვითარ-იგი დაუკლა ღმერთსა ნოე და გამოჩინებულ არს იგი მღდელ და ვითარ-იგი დაუკლა მსხუერპლი იაკობმნცა და გამოჩინებულ არს იგი მღდელ და ვითარ სხუანი, ყოველნი უწინარეს შჯულისა მსხუერპლის შემწირველნი, ესრეთვე პოო¹⁹⁶ მღდელობადცა პირველ შჯულისა. „არამედ არა უთქუამნ იგინი წერილსა მღდელად“ - მეტყვან. **საღმრთოდ წერილი არა სიტყუამეტნობს, ვითარ-ეგე თქუენ ეძიებთ**, ხოლო ეძიებ თუ ყოვლად განყოფილებასა საქმისასა თქუენ[54], არა დაუკლავს მელქისედეკს, არამედ მხოლოდ იწოდა ოდენ მღდელ, ვინადაც უმტკიცეს მისსა არიან დამკლველნი ესე მსხუერპლთანი, ვიდრედა იგი, რომელი სახელ-იდვა ოდენ, რამეთუ მემსხუერპლეობა არს თვს მღდელობისა და არა მხოლოდ სახელი ოდენ. გარნა ესევეითარი განყოფილება უჟამო სიტყუაობასა მათისადა ზედა დაგვც, ხოლო ჩუენ უფლისა მიერ ესეცა და იგიცა მსგავსადვე მღდელად ღმრთისა გუქონან.

εἶπεν ἡ Γραφή ἱερεῖς. Ἡ μὲν θεία Γραφή οὐ περιττολογεῖ, καθὼς παραζητεῖτε ὑμεῖς. Εἰ δὲ ὄλας παραζητεῖτε τὴν διαφορὰν τοῦ πράγματος, ὁ Μελχισεδέκ οὐκ ἔμυσεν, ἀλλὰ μόνον ὠνομάσθη. Βεβαιότεροι οὖν εἰσιν οὗτοι οἱ θύσαντες ἢ ἐκεῖνος ὁ μόνον ὠνομασθεὶς, ἐπειδὴ τὸ θύειν ἱερασύνης μᾶλλον ἐστὶ ἢ τὸ χρηματίζειν. Τὴν δὲ τοιαύτην διαφορὰν τῆ ἐκείνων ἀκαιρολογία παρεθίκαμεν· ἡμεῖς δὲ ἐν Κυρίῳ κἀκεῖνον κἀκείνους ὁμοίως ἱερεῖς ἔχομεν τοῦ Θεοῦ.

„თუ ის არ იყო ღმერთი, როგორ იყო მღვდელი რჯულამდე“? ჩვენ კი მათ მიმართ ვამბობთ: მღვდლობა ითქმება იმის გამო (საფუძველზე), რომ ხორციელი ადამიანი მსხვერპლებს სწირავს ღმერთს. ხოლო სხულის (ხორცის) გარეშე მღვდლებად არ იწოდებიან. მართლაც, როგორც ახელმა შესწირა მსხვერპლი ღმერთს რჯულამდე და ამის გამო მღვდლად წარმოგვიდგა, და როგორც ნოემ შესწირა მსხვერპლი მას და მღვდლად წარმოგვიდგა, და როგორც იაკობმა შესწირა მსხვერპლი მას და მღვდლად წარმოგვიდგა, როგორც მათ, ყველამ, შესწირეს მსხვერპლი რჯულამდე, ამგვარადვე – მელქისედეკიც მღვდელი იყო რჯულამდე. მაგრამ ისინი ამბობენ: „არ უთქვამს წერილს ესენი მღვდლებად“. საღმრთო წერილი ზედმეტს არ მეტყველებს (არ მრავალსიტყვაობს) ისე, როგორც თქვენ ცდილობთ, რომ იპოვოთ. თუკი ზედმიწევნით ეძიებთ საქმისგან (=ფაქტისგან) განსხვავებას, მაშინ მელქისედეკს (სულაც) არ შეუწირავს მსხვერპლი, არამედ მხოლოდ იწოდა [მღვდლად]. მართლაც, უფრო ნამდვილნი (სანდონი) ის მღვდლები არიან, რომლებმაც მსხვერპლი შესწირეს, ვიდრე ის, ვინც მხოლოდ იწოდება [მღვდლად]. რადგანაც, მღვდლობის თვალსაზრისით, მსხვერპლმწიროვა უფრო უპირატესია, ვიდრე სახელის წოდება. ხოლო ამ განსხვავებას მათი შეუფერებელი საუბრის (სიტყვების) გამო წარმოვადგენთ. ჩვენ კი, უფლის წყალობით, ისიც და ისინიც ერთნაირად მიგვაჩნია უფლის მღვდლებად.

¹⁹⁶ ხელნაწერში ასო ცუდად იკითხება. „პოო“ ნაცვლად შესაძლოა, რომ ამოიკითხოს „იყო“.

10. და მათთვის გვკვრს, თუ ვითარ არა ესმის ნეტარისა პეტრესგან ცხადად ჳმობითა თქუმაჲ მათთვის, ვითარმედ: „ყოფად არიან ცრუმოდღუარნი, რომელთა შემოიხუენენ წვალეზანი წარსაწყმედელად“ (1პეტ. 2.2), შესაბამად თქუა, ვითარმედ შემოიხუენენ, რამეთუ ნამდვლვე წინა-ემზირებიან და რადცა რადმე პოვონ წინადამთხუეულთაგანი მისებრვე ჳყოფენ სიტყვსგებასა, რამეთუ ოდესმე განცხადებულად ღმრთად იტყვან მას, ხოლო ოდესმე სივერაგით აღიარებენ მისთვის, ვითარმედ ჩუენცა მღდელად ღმრთისა სახელ-ვსდებთ მას. ჳრწამსა ყოველივე საღმრთოთა წერილთაებრ? იტყოდედ ყოველსავე წერილისაებრ, რამეთუ წერილი პირველად არა უწოდს მას, ნუცა იგინი იტყვან, არამედ აღიარეთ მისთვის, ვითარმედ მიმსგავსებულ არს იგი ძესა ღმრთისასა (ებრ.7.3), და არა ბუნებით ძე ღმრთისა არს და, ვითარმედ გამოითარგმანების ოდენ მეფედ მშვდობისა (ებრ.7.2), და არა ბუნებით არსცა და, ვითარმედ „რომელსა ზედა ითქუმიან ესე სხვსა ნათესავისაგან მიმღებელ-იქმნა“ (ებრ.7.13), და ნუ მიმოგანჳრილად და მიმოდაბმარულად შემოჳკრებენ, რადთა ორგულებითა მით არწმუნონ მრავალთა და იმახურნენ უჩჩვლესნირე. ხოლო ჩუენ ესევითარი მცნებაჲ და წესი მოვიღეთ უფლისა მიერ, რომელ უმეცრებით შეცთომილთაგა რწმუნებად ვიძულეებით, გარნა მათ იხილნენ რად მათ მიერ ცთუნებულნი იგი შენანების მნებებელად ადვილმისაწთომელობითა

X. Θουμάζω δὲ πῶς οὐκ ἤκουσαν τοῦ μακαρίου Πέτρου σαφῶς περὶ αὐτῶν βῶντος καὶ λέγοντος ὅτι «ἔσονται ψευδοδιδάσκαλοι, οἵτινες παρεισάξουσιν αἰρέσεις ἀπαλείας». Προσφυσῶς δὲ εἶρηκε τὸ παρεισάξουσι· καιροσκοποῦσι γὰρ ὄντως καί, καθ' ὃ ἂν εὕρωσι τοὺς παρατυγχάνοντας, κατὰ τὸ αὐτὸ καὶ τὰς ἀποκρίσεις ποιοῦνται· ποτὲ μὲν γὰρ αὐτὸν λέγουσιν φανερώς Θεόν, ποτὲ δὲ πανούργως ὁμολογοῦσιν ὅτι ἡμεῖς αὐτὸν ἱερέα τοῦ Θεοῦ ὀνομάζομεν, καθὼς καὶ ἡ θεία Γραφή. Εἰ ὅλωσ τῆ θεία Γραφή πιστεύουσιν, εἴπωσι πάντα κατὰ τὴν Γραφήν. Πρῶτον ἡ Γραφή Θεὸν αὐτὸν οὐ λέγει, μήτε ἐκεῖνοι λεγέτωσαν· ὁμολογεῖτωσαν δὲ κατ' αὐτὴν ὅτι «ἀφωμοιωμένος ἐστὶ τῷ Υἱῷ τοῦ Θεοῦ», οὐ γὰρ φύσει Υἱός, καὶ ὅτι «ἐρμηνευόμενός ἐστι βασιλεὺς δικαιοσύνης» καὶ οὐ φύσει, καὶ ὅτι «ἐφ' ὃν λέγεται ταῦτα, φυλῆς ἐτέρας μετέσχηκε»· καὶ μὴ περικοπὴν ἀμφιρρεπὴ ἐκλεγέσθωσαν, ὡς καὶ πείθειν ὑποκρίσει τοὺς πολλοὺς καὶ παγιδεύειν τοὺς νηπιωτέρους. Ἡμεῖς μὲν οὖν καὶ ἐντολὴν τοιαύτην καὶ τάξιιν λαβόντες παρὰ Κυρίου, τοὺς δι' ἄγνοίαν πλαναμένους πείθειν ἀναγκαζόμεθα, ἐκεῖνοι δέ, ὅταν ἴδωσι τοὺς ὑπ' αὐτῶν ἠπατημένους μετανοῆσαι θέλοντας, εὐληπτοτέραις αὐτοὺς πιθανολογίαις ἐπικρατοῦσιν, οὕτως αἰεὶ λέγοντες· Εἰ καὶ οὐκ ἔστι φύσει Θεὸς ὁ Μελεχισεδέκ, οὐδὲν ἡμαρτήσαμεν ἄνθρωπον θεοποιήσαντες· γέγραπται γάρ· «Ἐγὼ εἶπα· Θεοί ἐστε καὶ υἱοὶ Ὑψίστου πάντες», οὐκ εἰδότες ὅτι ἡ τοιαύτη διχόνοια ἀβέβαιον μὲν τὴν εἰς Χριστὸν πίστιν ἀποδείκνυσαι σαφῶς— ἂν οὕτως τὸν Κύριον πάντων ἀνθρώπων ἴσον ἡγήσωνται, καὶ οὐκέτι ὡς ἔστι, Σωτήρα καὶ Θεὸν καὶ Δεσπότην—, λατρεύειν δὲ τῆ κτίσει παρὰ τὸν κτίσαντα παρασκευάζει. Ἐπειδὴ

[10]. მიკვირს, როგორ არ ესმით ნეტარი პეტრესი, როცა ცხადად ღაღადებს და ამბობს მათ მიმართ, რომ: „იქნებიან ცრუ მოძღვარნი, რომელნიც შემოიღებენ წარწყმედის ერესებს“ (1პეტ.2.2). მართებულად თქვა ეს – „შემოიღებენ“, რადგან ნამდვილად ხელსაყრელ დროს ელოდებიან, რის მიხედვითაც, თუ იპოვიან შესაფერის შემთხვევას, ამ შემთხვევის შესაბამისად შეთხზავენ პასუხებს. რადგან ხან განცხადებულად ღმერთს უწოდებენ მას (მელქისედეკს), ხან კი ვერაგულად გვეთანხმებიან [იმაში], რომ ჩვენ მას ღმერთის მღვდლად ვასახელებთ, როგორც საღვთო წერილი ასახელებს. თუ სწამთ საღვთო წერილის, ყოველივე საღვთო წერილის შესაბამისად დაასახელონ. პირველი ის, რომ მას (მელქისედეკს) წერილი არ იხსენებს ღმერთად, დაე, ამას ნურც ისინი იტყვიან. აღიარონ წერილის შესაბამისად, რომ „[მელქისედეკი] მიმსგავსებულია ღვთის ძეს“ (ებრ.7.3), და არა ბუნებით [არის ღვთის] ძე, და რომ „[მელქისედეკი] განმარტებულია სიმართლის მეფედ“ (ებრ.7.2), და არა ბუნებით [არის მეფე], და [ისიც აღიარონ], რომ „ვის მიმართაც ითქმება, ეს სხვა ტომს მიეკუთვნა“ (ებრ. 7.13), ნურც (კონტექსტიდან) ამოგლეჯილ ნაწილებს შემოკრებენ მიკერძოებულად, რათა ტყუილით დაარწმუნონ მრავალი და ხაფანგში გააბან შედარებით უფრო ჩვილნი (გონებით უფრო უსუსურნი). მართლაც, ჩვენ ისეთ მცნებას და წესს (განაწესს) ვიღებთ უფლისგან, რომ მოვალედ ვთვლით თავს, უმეცრების გამო შეცდომილნი დავარწმუნოთ (მოვაქციოთ), ისინი კი, როცა დაინახავენ, მათგან

სიტყვა-რწმუნებითა იპყრობენ მათ, ესრეთ თქუმითა, ვითარმედ, „დაღათუ არა ბუნებით ძე ღმრთისა არს მელქისედეკ, არარაფე გვცოდავს ღმერთ ყოფითა კაცისადათ, რამეთუ წერილ არს: «მე ვთქუ ღმერთნი სადმე ხართ და შვილნი მაღლისანი ყოველნი»“ (ფსალმ.81.6), რამეთუ არა უწყიან, ვითარმედ ესევითარი იგი ორგულეზად მათი ცხადად აჩუენებს დაუმტკიცებლობასა ქრისტეს მიმართისა სარწმუნოებისა მათისასა, რამეთუ ესრეთვე უფალიცა და მეფე ყოველთაჲ ლიტონად კაცად შეჰრაცხონ მათ და არა ვითარ-იგი არს მაცხოვარ და ღმერთ და მეუფე, მომზადებითა მათგან [55] დაბადებულთა მსახურებისადათ, ნაცვლად დამზადებელისა. ვინადათგან უკუე გუელის სახედ მოხუელნი მოხუევით აჭირვებენ განყრად მათდა მნებებლთა. საჭირო არს ჩუენდაცა რომელთა მოგვლიეს მცნებაჲ **ბრძენ ყოფად,** **ვითარცა გუელთა** (მთ. 10.16), მიმსგავსებად მათსა მას სივერაგესა და მრჩობლ მოქცევითითა მოჰოვნებითა დაჰსნად მათსა მას ღუარჰნილებასა, ესე ვითართათვს მსგავსადვე მათსა რქუმითა, ვითარმედ დაღათუ ღმერთ არს მელქისედეკ, არაფე ვცოდეთ ამას შინა კაცად შერაცხვითა და სახელის-დებითა მისითა, რამეთუ წერილ არს, ვითარმედ: „არა არს სხუად სახელი ცასა ქუემე, რომლითა მიჰმს ჩუენ ცხოვნებაჲ, არამედ უფალი იესუ ქრისტე (შდრ. საქ.4.12), აღსავსებაჲ იგი ყოვლისავე ყოველსა შინა აღვსებულისაჲ“ (ეფ.1.23). ესმინედ მოციქულისადაცა

ὄν ὄφειλε δίκην ἀντειλισσόμενοι σφίγγουσι τοὺς ἀποδρᾶν αὐτῶν βουλομένους, ἀνάγκη καὶ ἡμᾶς ἐντολήν ἔχοντας τό· «Τίνεσθε φρόνιμοι ὡσεὶ ὄφεις» μιμησασθαι τὴν ἐκείνων πανουργίαν καὶ τοῖς ἀγχιστρόφοις νοήμασι ἐκλύειν αὐτῶν τὰς τοιαύτας περιείλιγγας, ὁμοῖα λέγοντες ὅτι κἂν ἔστι Θεὸς ὁ Μεγαλειώδης, οὐδὲν ἀμαρτήσασμεν ἐν τούτῳ ἄνθρωπον αὐτὸν ἔχοντες καὶ ὀνομάζοντες· γέγραπται γάρ ὅτι· «οὐκ ἔστιν ἕτερον ὄνομα ὑπὸ τὸν οὐρανὸν ἐν ᾧ δεῖ σωθῆναι ἡμᾶς, ἀλλὰ Κύριος Ἰησοῦς Χριστός», «τὸ πλήρωμα τοῦ τὰ πάντα ἐν πᾶσι πληρουμένου». Ἀκουέτωσαν τοῦ Ἀποστόλου παραγγέλλοντος μηδὲ τοῦ Ἐὐαγγελίου δευτεροκῆρυκακ δέχεσθαι. «Εἰ μὲν γὰρ ὁ ἐρχόμενος ἄλλον Ἰησοῦν κηρύσσει ὃν οὐκ ἐκηρύξαμεν, ἢ Πνεῦμα ἕτερον λαμβάνετε ὃ οὐκ ἐλάβετε, ἢ Ἐὐαγγέλιον ἕτερον ὃ οὐκ ἐδέξασθε, καλῶς ἀνείχεσθε.» Εἰ οὖν οὗτος τὰ τοῦ Ἐὐαγγελίου σφραγίζει, τί πείσονται λοιπὸν οἱ τὰς αἰρέσεις παρεισάγοντες ἢ οἱ πιστεύοντες αὐτοῖς; Ἀλλὰ τί φασὶ πρὸς ἡμᾶς; Πῶς οὖν πάντες διδάσκουσιν ἐν ταῖς ἐκκλησίαις καθάπερ καὶ σὺ ἡμεῖς σήμερον; Γνώτωσαν δὲ ὅτι πάντες οἱ διδάσκοντες τὰ τῶν ἀποστόλων ὡς τέλεια βεβαιούσιν, οὐδεὶς δὲ καινοτομεῖ ὡς μηδέπω κεκηρυγμένα καθάπερ ἐκεῖνοι ποιοῦσιν· εἰ δὲ καὶ ποτέ τις πλανηθεὶς ἀκουσίως ὑφοραθῆ, πάντως ἢ ἐπιτιμηθεὶς ἐπιστρέφει, ἢ τὸ ψεῦδος αἰρετισάμενος, μετὰ τῶν ἕξω λογισθήσεται, ὅπερ εἰκὸς καὶ ἐν τούτοις παθεῖν. Καὶ ἐν τούτῳ δὲ ἔστι δοκιμάσαι τὴν ἀφοροσύνην αὐτῶν, ὡς πάσης αἰρέσεως πονηρότεροι τυγχάνουσιν. Ἀφορισθέντες γὰρ ἀπὸ τῶν ἀγινῶ ἐπισκόπων καὶ ἀναθεματισθέντες, ὅπου ἀγνοοῦνται καὶ κοινωνοῦσι λάθρα καὶ συνάγονται, τουτέστιν ὁ προειρήκαμεν, ὅτι καὶ τὸ μυστήριον τοῦ Χριστοῦ καὶ τὴν

შეცდენილებს, რომლებსაც სურთ შეინანონ, ადვილად საწვდომი ცრუმეტყველებით სძლევენ მათ; და ყოველთვის ასე ამბობენ: „თუ მელქისედეკი ბუნებით არ არის ღმერთი, არ შეგვიცოდავს, როცა ადამიანი გავხადეთ ღმერთად, რადგან [წმინდა წერილში] დაწერილია: «მე ვთქვი, ღმერთები ხართ და ძენი ზეცისანი, [თქვენ] ყოველნი»“ (ფსალმ. 81.6). არ იციან, რომ ასეთი ორაზროვნება ცხადად წარმოაჩენს ქრისტეს რწმენაში [მათ] მერყეობას, მაშინ, ამ გაგებით, უფალს ადამიანის თანასწორად მიიჩნევ და არა იმად, რაც არის – მხსნელად, ღმერთად და მეუფედ. შემოაქვთ ქმნილების თაყვანისცემა – შემოქმედის ნაცვლად. რადგან უკვე გველის ჩვეულებისამებრ შემოხვეულები ბორკავენ იმათ, ვისაც მათგან გაქცევა სურთ. აუცილებელია, რომ ჩვენც გვაქვს რა ეს მცნებად: „გახდით ბრძენნი, როგორც გველები“ (მთ. 10.16), მივბამოთ მათ მოხერხებას და სხარტი დასკვნებით ავხსნათ მათი ასეთი ბუნდოვანება. მათი ნათქვამის შესაბამისად ვამბობთ, რომ, თუკი [მათი აზრით,] „ღმერთი არის მელქისედეკი“, არ შევცოდავდით იმით, რომ ადამიანად მიგვეჩნია და გვეწოდებინა [მელქისედეკი], რადგან დაწერილია, რომ: „არ არის სხვა სახელი ზეცის ქვეშ, რომლითაც ჯერ არს ჩვენი გამოხსნა (ცხოვნება), გარდა იესო ქრისტესი“ (შდრ. საქ. 4.12), „სისავსე ყოველივეში ყოვლითვე აღვსებულისა“ (ეფ.1.23). დაე, მოუსმინონ მოციქულს, როცა გვამცნობს, რომ ნუ შეიწყნარებენ სახარების მეორედ მქადაგებლებს: „რადგან, თუკი ის, ვინც მოდის, (მომავალი), სხვა ქრისტეს ქადაგებს, რომელიც არ გვიქადაგია, ან სხვა სულს

მცნებად, არცაღა მეორისა სახარებისა ქადაგთა შეწყნარებისად, რამეთუ, „უკუეთუ მომავალი იგი სხუასა იესუს ქადაგებდეს, რომელი არა ვქადაგედ, ანუ სხუად სული მოაქუნდეს, რომელი არა მიიღეთ, ანუ სხუად სახარებად, რომელი არა შეიწყნარეთ, კეთილად ჰყავთ“ (2კორ.11.4). უკუეთუ ამას დაუბაჭდავს სახარებისადა, ამიერიტგან რადღა-ყონ რომელნი-იგი წვალეზათაცა შემოიხუმენ, ანუ რომელნი მათსა ირწმუნებენ? არამედ რასა იტყვან ჩუენდა მომართ, ვითარმედ: „ვითარ ყოველნი უეჭუელად ასწავებენ ეკლესიათა შინა, ვითარ ეგე შენ დღეს აქა“? გარნა ცნედ, ვითარმედ: ყოველნი მასწავლელნი მოციქულთასავე, ვითარცა სრულსა დაამტკიცებენ და ვერვინ სცვალეზს რასმე განახლებით, ვითარ არღა სადა ქადაგებულსა, ვითარცა ესენი ჰყოფენ. ხოლო დაღათუ ვინმე შეცთომილ-იყოს უნებლიეთ, განიქიქოს უეჭუელად ანუ განკანონებითა მოიქცევის, ანუთუ ტყუვილისა აღმრჩეველი გარეშეთა თანა შეირაცხების, რომელი ამათცა შეჰგავს შემთხუევად და ამითცა გამოცდად მათისა უგუნურებისად, ვითარმედ ყოველსა წვალეზასა უბოროტეს არიან, რამეთუ განიყარნეს რად წმიდათა ეპისკოპოსთაგან და შეიჩუენნეს, სადაცა უცნაურ-იყვნენ ემზირებიანცა ფარულად და კრებათა ჰყოფენ და ესე არს, რომელი-იგი პირველ ვთქუთ, ვითარმედ საიდუმლოთაცა ქრისტესცა და განგებულებასა მისსა დააკნინებენ. არა ხოლო ესე, არამედ, დაღათუ ოდესმე ზმნობითითა მით ღმრთისმოშიშებითა მათითა უძლონ სარწმუნო-ყოფად

οἰκονομίαν ἐτελιζουσιν. Οὐ μόνον δὲ τοῦτο, ἀλλ’ εἰ καὶ ποτε διὰ τῆς ἐπιπλάστου εὐλαβείας πιστοποιήσῃται ἑαυτοὺς δυνήσασθαι παρ’ ἐπισκόποις ἢ περιοδεύταις, ἐπιθέσῃ τοὺς ὄντως πιστοὺς καὶ ὀρθοδόξους διαβάλλουσι λαθραίως ὡς κακόφρονας καὶ μισεῖσθαι ἢ διώκεσθαι παρασκευάζουσιν. Ἄλλ’ ὁ ἐπιστάμενος τοὺς λογισμοὺς τῶν ἀνθρώπων περιτρέπει αὐτῶν τὴν πανουργίαν· καὶ φανεροποιήσας αὐτοὺς «εἰς βῆθρον ὄν εἰργάσαντο» παραχωρεῖ ἔμπεσεῖν, κατὰ τὸ γεγραμμένον.

გადმოგცემთ, რომელიც არ მიგიღიათ, ან სხვა სახარებას – რომელიც არ არ მიგიღიათ, დაე, ღირსეულად იქმოდეთ“ (2 კორ.11.4). მართლაც, თუკი პავლე სახარებისეულ ამბებს ბეჭედს უსვამს (აღუბეჭდავს). სხვას რაღას იმედოვნებენ ისინი, რომლებსაც ერესები შემოაქვთ, ან რომლებიც მათ ენდობიან? მაგრამ რას ამბობენ ჩვენ მიმართ ისინი? „მართლაც, ყველანი ისე ასწავლიან ეკლესიებში, როგორც შენ ასწავლი აქ დღეს“? დაე, გაიგონ, რომ ყოველი, ვინც ასწავლის, მოციქულთა [სწავლებას] ამტკიცებს, როგორც სრულყოფილებას. არავის შემოაქვს ახალი რამ, რაც ჯერ არ ქადაგებულა, როგორც ერეტიკოსები აკეთებენ (იქცევიან).

და, თუკი ოდესღაც ვინმე უნებლიეთ იყო შეცდენილი, ეჭვის თვალთ შეხედონ მას, როცა ის დაისჯება ან მოიქცევა, ან სიცრუეს აირჩევს და გარეშე პირებთან ერთად [მდგომად] მიიჩნევა, რაც ბუნებრივია, რომ ერეტიკოსებსაც დაემართათ. ანუ ამით ისინი თავიანთ უგუნურებას აჩვენებენ (ამჟღავნებენ), რადგანც ისინი ყოველგვარ ერესზე უარესნი ხდებიან, რადგან განშორებულნი წმინდა ეპისკოპოსებისგან და შეჩვენებულნიც, იქ, სადაც არ იცნობენ, იკრიბებიან და მალულადაც ეზიარებიან. ე. ი., რაც წინასწარვე ვთქვით, რომ ქრისტეს საიდუმლოსაც და [მის] განგებულებასც აკნინებენ. არა მარტო ეს, არამედ, თუკი ოდესმე [დროს იხილეთებდნენ], მოჩვენებითი მოკრძალების მეშვეობით, და შეძლებდნენ საკუთარი თავის სანდოდ წარმოჩენას ეპისკოპოსების ან ქორეპისკოპოსების წინაშე, მაშინვე ჭეშმარიტად მორწმუნეებსა და მართლმადიდებლებს

თავთა თვსთა წინაშე
 ეპისკოპოსთა და
 ხორეპისკოპოსთა, მყის
 ფარულად შეასმენენ ნამდვლვე
 მორწმუნეთა და
 მართლმადიდებელთა,
 ვითარცა
 ბოროტად მზრახვალთა და
 საძულ[56]ელ-ყოფასა ანუ
 განდევნასაცა მოუმზადებენ
 მათ,
 არამედ რომელმან უწყნის
 გონებანი კაცთანი და
 გულისსიტყუანი მათნი, იგი
 მიაქცევს სივერაგეთა მათთა და
 განცხადებულ-ყვნა იგინი მასვე
 მთხრებლსა შთაბნევად,
 რომელიცა ქმნეს (ფს.7.16),
 წერილესებრ.

ფარულად ცილს სწამებენ,
 როგორც
 ბოროტადმზრახველებს, და ისე
 აკეთებენ (ახერხებენ), რომ
 ისინი (მართლმადიდებლები)
 არიან შეძულებულნი და
 დევნილნი, მაგრამ იმან, ვინც
 იცის ადამიანთა აზრები, უკან
 უბრუნებს მათ მზაკვრობას.
 უფალმა ამხილა (=ცხადყო)
 ისინი და მიუშვა, რომ
 ჩაცვენილიყვნენ „ორმოში,
 რომელიც [თავად] გათხარეს“
 (ფს. 7.16), წერილის მიხედვით.

11. გარნა, რადთა დაუტევნეთ
 მათნი იგი ფარულად ბოროტის
 შემოღებანი, წინამდებარისა
 პირისად ვიქმნეთ, სრულიად
 მამხილებელნი მათისა
 ბოროტად
 მორწმუნეობისნი, რამეთუ
 სახელი მისი
 წინადასწარმეტყუელთა არა
 ქადაგეს, მოციქულთა არა
 ასწავეს, მოწამეთა არა აღიარეს,
 არავინ მამათმთავართაგანმან
 ღმერთად აღიარა იგი, ანუ
 განაცხადა, არცა ერთმან ვინ
 მამათაგანმან აღწერა, ვინადაცა
 განიფრთხვე ჰოდა კაცო,
 ვითარმედ ეშმაკსა უყოფიე შენ
 მეტის მზრახვალ, რადთა
 ამპარტავნებად მისი ნეფსით
 სენ-გექმნეს და მიერიოგან
 დაცემითაცა მისითა მისთანა
 დაეცე, რამეთუ, ვითარ არა
 ნებსითა არს, რომელსა
 ესოდენი გაქუს სიწმოდ
 მოწამეთად დასამტკიცებლად
 ჭეშმარიტისა სარწმუნოებისა,
 ესევითარი რადმე აღირჩიე და
 აღიარე, რომელი არავის
 მათგანსა აღუვარებეს, და
 უკუეთუ იგინი
 ყოველნი თვნიერ მისისა
 ცნობისა
 და აღსარებისა ცხონდეს,
 ცხონდები შენცა მიმსგავსებითა

XI. Ὁμᾶς ἀφέντες αὐτῶν τὰς
 λαθραίας τοῦ κακοῦ συνεισφορὰς
 τοῦ προκειμένου γενώμεθα,
 τελείως αὐτῶν διελέξαντες τὴν
 κακοπιστίαν. Τὸ γὰρ ὄνομα ἐκεῖνο
 προφῆται οὐκ ἐκήρυσξαν,
 ἀπόστολοι οὐκ ἐδίδαξαν,
 μάρτυρες οὐχ ὠμολόγησαν,
 οὐδεὶς τῶν πατριαρχῶν ὡς Θεὸν
 αὐτὸν ἐφανέρωσεν, οὐδεὶς τῶν
 ἁγίων Πατέρων συνέγραψε. Διὸ
 ἀνάτησον, ὃ ἄνθρωπε, καὶ γνῶθι
 ὅτι σε ὁ διάβολος περισσῶς
 φρόνιμον ἐποίησεν, ἵνα τὴν
 ἐκεῖνου ὑπερηφανίαν θελήματι
 νοσήσας, λοιπὸν καὶ τῷ πτώματι
 αὐτοῦ συγκαταπέσει. Πῶς γὰρ οὐ
 θελήματι; ὁ τοσοῦτον ἔχων νέφος
 μαρτύρων εἰς βεβαίωσιν τῆς
 ἀληθείας πίστεως, ἡρετίσῃ καὶ
 ὠμολόγησας ἂν οὐδεὶς αὐτῶν
 ὠμολόγησεν. Εἰ γὰρ χάρις ἐκείνης
 τῆς γνώσεως καὶ ὁμολογίας
 ἐκεῖνοι πάντες ἐσώθησαν, σῶθητι
 καὶ σὺ κατὰ μίμησιν ἐκείνων καὶ
 εἰπέ, κατὰ τὸν ἅγιον Παῦλον, ὅτι
 «Οὐδὲν ἕτερον ἔκρινα εἰδέναι, εἰ
 μὴ Ἰησοῦν Χριστόν, καὶ τοῦτον
 ἐσταυρωμένον.» Εἰ δὲ ἐκτὸς
 τοιαύτης ὁμολογίας ἐαυτῷ λογίζῃ
 μὴ δύνασθαι σωθῆναι, δῆλον ὅτι
 καὶ πάντας τοὺς προειρημένους
 ἁγίους ὡς μὴ σωθέντας ἔχεις παρὰ
 σεαυτῷ· εἰ καὶ στόματι μὴ λέγεις

[11]. ამგვარად, თავი
 დავანებოთ მათ ფარულ,
 ბოროტ მზრახველობებს და წინ
 წავიდეთ, რათა საბოლოოდ
 ვამხილოთ მათი
 ბოროტმორწმუნეობა, რადგან
 წინასწარმეტყველებს არ
 უცნობებიან ეს სახელი,
 მოციქულებს არ უსწავლებიანთ,
 არც მოწამეებს უღიარებიანთ,
 მამათავართაგან არც ერთს
 ღმერთად არ განუცხადებია ის,
 არც ერთს წმინდა მამათაგან არ
 ჩაუწერია ღმერთად. ამიტომ.
 გონს მოეგე, ადამიანო, და
 გაიზრე, რომ ეშმაკმა გაქცია,
 შენ მეტის (უჩვეულოდ)
 მზრახველი, რათა თავისი
 ამპარტავნებით შენივე ნებით
 დასნეულებული, მისი
 დაცემით, მასთან ერთად
 დაცემულიყავი. მაშ, როგორ არ
 არის [შენი] ნებით? როცა
 მოწამეთა ამხელა გუნდი გყავს
 ჭეშმარიტი რწმენის
 დასამტკიცებლად. შენ კი
 აირჩიე და აღიარე ის, რაც
 ამათგან არცერთს არ
 უღიარებია. რადგან, თუ ისინი,
 ყველანი, იმის ცოდნისა და
 აღიარების გარეშე ცხონდნენ,
 ცხონდები შენც, მათი მიბაძვით,
 და თქვი, წმინდა პავლეს
 მიხედვით, რომ „სხვა არაფერი

მათითა და თქუ წმიდისა პავლეს თანა, ვითარმედ: „**არარად სხუად ვსაჯე ცნობად თვნიერ იესუ ქრისტე და ესეცა ჯუარცმული**“ (1კორ.2.2), უკუეთუ თვნიერ ესევითარისა ამის აღსარებისა შეგირაცხიეს თავი თვისი ვერ შემძლებელ ცხორებად, ცხად არს, ვითარმედ ყოველნივე პირველ თქუმულნი წმიდანიცა, ვითარცა არა ცხოვნებულად გქონან თავისა შენისა თანა, დაღათუ პირითა არა აღიარებ კაცთმოთნებისათს, არამედ უფრომს ჳმისა შენისა ჳმობს ჳემმარიტებაჲ საქმეთაჲ. ჳხედავა რაოდენთა გმობათა და რაოდენთა ბოროტთა შთაჳვარდები, ესევითარიითა ამით ბოროტადმორწმუნეობითა შენითა. ხოლო თუ ვითარ ესე ისწავე: მელქისედეკ სასწაულნი არა ქმნა, მცნებანი არა დასხნა, შინებანი არა განსაზღვნა, ჩუენთვს არა მოკუდა, სულისა წმიდისა მოღებაჲ არა მოგუანიჳა, ვინაჲცა უმეცარ ვარ თუ რაჲდა გულსავსებაჲ გაქუს თავსმდებად მისსა მიმართ სარწმუნეობისა, ხოლო უკუეთუ სთქუა, ვითარმედ ესე ყოველნი განჯორციელებულმან სიტყუამან მოგუანიჳნა ჩუენ, უფრომსად ამხილებ თავსა თვისსა განსაპატიჳებელყოფასა ბოროტად მორწმუნეობისათს, რამეთუ რომელთაცა სიტყუათა გინა საქმეთა შინა გამოგვცხადა ჩუენ უფალმან თავი თვისი, მათ მიერვე რწმუნებაჲ გუამცნო მისი, რამეთუ იტყვს წერილი, ვითარმედ: **ერჳენა აბრაჳამსა, არამედ ჳმითა ოდენ მცნებად მისსა მცნებათა და წინათბრობად ყოფადთა და აღთქუამად ქვე [57] ლისსაქმეთა, ქუეყანასა შინა ქალდეველთასაჲსა და მუხასა მას**

ἀνθρώποις ὑποκρινόμενος, ἀλλ' ὁμῶς μείζων τῆς σῆς φωνῆς βοᾷ ἢ ἀκολουθία τοῦ πράγματος. Βλέπεις πόσαις βλασφημίαις καὶ πόσοις κακοῖς περιπέττωκας διὰ τὴν τοιαύτην σου κακοπιστίαν, μᾶλλον δὲ παντελῆ ἀπιστίαν· Τὸ δὲ πῶς μάθε· σημεῖα Μελχισεδέκ οὐκ ἐποίησεν, ἐντολὰς οὐκ ἔθετο, ἀπειλὰς οὐχ ὠρίσατο, ὑπὲρ ἡμῶν οὐκ ἀπέθανεν, Πνεύματος ἁγίου μετοχὴν οὐκ ἐδωρήσατο. Ἄγνοῶ λοιπὸν τίνα τῆς εἰς ἐκεῖνον πίστεως ἔγγυσον ἔχεις πληροφορίαν. Εἰ δὲ λέγεις· Ταῦτα πάντα σαρκασθεῖς παρέσχευ ἡμῖν, πλέον ἑαυτὸν ὑπόδικον τῆς κακοπιστίας ἐλέγχεις. Ἐν οἷς γὰρ ἡμῖν ἑαυτὸν διὰ ῥημάτων καὶ πραγμάτων ἐφανέρωσεν ὁ Κύριος, ἐν τούτοις καὶ πιστεῦειν ἐνετείλατο· εἶπε γὰρ ἡ Γραφή ὅτι ὤφθη τῷ Ἀβραάμ, ἀλλ' ἐν φωνῇ, ἐντελλόμενος αὐτῷ ἐντολὰς, καὶ προλέγων τὰ ἐσόμενα, καὶ ἐπαγγελλόμενος εὐεργεσίας ἐν γῆ Χαλδαίων, καὶ πρὸς τῆ δρυσὶ τῆ Μαμβρῆ, καὶ ἐν ἑτέροις δὲ πλείστοις καὶ λόγοις καὶ πράγμασιν· οὐδαμοῦ δὲ ἀδήλως οὕτε Μελχισεδέκ οὕτε διὰ Μελχισεδέκ ἡ Γραφή δεδήλωκε. Τοῦτου χάριν ἀνυπόστατός σου ἡ πίστις, ἄδηλον τὸ φρόνημα, ματαία ἡ τοιαύτη θεογνωσία. Διὰ τοῦτο, τῆς ὀρθοδόξου πίστεως διὰ πολλῶν μαρτύρων φανερωθείσης, ὅσοι ἂν ἐτέρωθι βλέπωσιν καὶ εὐλόγως καὶ ἀλόγως τὸν Μελχισεδέκ Θεὸν ὀνομάζουσιν ἢ φύσει Υἱὸν Θεοῦ, φανερῶς ἰουδαῖζουσι· διότι Ἰησοῦς Χριστὸς ὁ ἐκ Μαρίας γεννηθεὶς αὐτός ἐστιν ὁ Υἱὸς τοῦ Θεοῦ τοῦ ζῶντος, καὶ οὐδὲν αὐτῷ λείπει ἵνα πάλιν ἀλλαχοῦ ζητήσωμεν τὸ πλήρωμα· ἐν αὐτῷ γὰρ εὐδόκησε κατοικῆσαι πᾶν τὸ πλήρωμα τῆς Θεότητος σωματικῶς, καὶ ἐσμέν ἐν αὐτῷ πεπληρωμένοι πάντες, οἱ πιστεύοντες τοῖς λόγοις αὐτοῦ ὡς Υἱοῦ Θεοῦ, εὐδοκίᾳ καὶ δυνάμει καὶ χάριτι τοῦ Θεοῦ Πατρὸς καὶ τοῦ Υἱοῦ καὶ τοῦ ἁγίου

ავირჩიე, რომ შემემცნებინა, გარდა იესო ქრისტესი, და ისიც ჯვარცმულის“ (1 კორ. 2.2). და თუ საკუთარ თავს დაირწმუნებ (განუჩინებ), რომ იმის აღიარების გარეშე ვერ შეძლებ ცხონებას, მაშინ, ცხადია, ყველა ზემოაღნიშნულ წმინდანს არაცხონებულად მიიჩნევ, შენს თავთან შედარებით. მაგრამ, თუკი პირითაც არ ამბობ [ამას] და თვალთმაქცობ ადამიანთა წინაშე, მიუხედავად ამისა, შენს ხმაზე უფრო მეტად [შენი] მოქმედების (საქმეების) თანმიმდევრობა (მიმდინარეობა) იყვირებს. ხედავ, თუ რაოდენ გმობასა და ბოროტებაში ჩავარდი შენი ამგვარი ბოროტმორწმუნეობისა და, უფრო სწორად, სრული ურწმუნეობის გამო. ხოლო, თუ როგორ (მოხდა ეს), ისწავლე (შეხედე, გაიაზრე): მელქისედეკს სასწაულები არ აღუსრულებია (მოუხდენია), მცნებები არ მოუცია, [ღმერთისადმი] მოშიშება არ განუსაზღვრავს, ჩვენთვის არ მომკვდარა, სულიწმიდის თანაზიარება (ერთობა) არ უბოძებია. (გარდა ამისა,) არ ვიცი, კიდევ სხვა რა გაქვთ მისდამი (მელქისედეკისადმი) რწმენის გამამყარებელ (თავმდებ) დამაჯერებულობად. და თუ ამბობ, რომ ეს ყველაფერი განხორციელებულმა (განკაცდა რა) გვიბოძა ჩვენ, მაშინ საკუთარ თავს უფრო მეტად იმხელ, როგორც ბოროტმორწმუნეობაში დამნაშავე. რადგან ამ ყოველივეში, რითაც (რამიც), უფალმა ჩვენ საკუთარი თავი განგვიცხადა – სიტყვითა და საქმით, ამითვე განგვიწესა, რომ გვწამდეს. მართლაც, თქვა წერილმა, რომ გამოეცხადა [ღმერთი] აბრაამს, მაგრამ – ხმით, რომელმაც მცნებები გადასცა მას, და წინასწარ აუწყა მომავალი და აღუთქვა კეთილი

თანა მამზრისასა და სხუათაცა მარავალთა შინა სიტყუათა და საქმეთა (შდრ.დაბ. თ.12), ხოლო არა სადა უცნაურ არს, ვითარმედ არცა მელქისედეკისაგან არცა მელქისედეკისთვის გუაუწყა ესე სადმე წერილმან, ვინაჲცა დაუდგრომელ არს ცნობაჲ შენი ამოზრახვაჲ და ცუდ ესევეთარი ღმრთის მეტყუელებაჲ. ამითვსცა ამის მართლმადიდებელთა სარწმუნოებისათვს მრავალთა მოწამეთა მიერ განცხადებულისა, რაოდენნი სხვთ კერძო ხედვენ და სიტყვთ გინა უსიტყუად ღმრთად სახელ-სდებენ მელქისედეკს, ანუ ბუნებით ძედ ღმრთისა იტყვან, განცხადებულად ჰურიაობენ, რამეთუ იესუ ქრისტე, რომელი იშვა მარიამისგან იგი თავადი არს ძე ღმერთისა ცხოველისა და არარაჲ აკლს მას, რაჲთა კუალად სხუაგანით ვეძიებდეთ აღსავსებასა, „**რამეთუ მას შინა სათნო-იყო დამკვდრებად ყოველი სავსებაჲ ღმრთეებისაჲ ჯორციელად**“ (კოლ.1.19) და „**ვართ მის შორის აღვსებულ ყოველნი**“ (კოლ.2.9,10), რომელთა გურწამს სიტყუათა მიერ იგი თავადი ძედ ღმრთისა, სათნოყოფითა და ძალითა და მადლითა ღმრთისა, მამისა და ძისა და სულისა წმიდისაჲთა, მისსა დიდებაჲ და სიმტკიცე და მეუფებაჲ, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

Πνεύματος. Ἀὐτῷ ἢ δόξα καὶ τὸ κράτος καὶ ἡ βασιλεία νῦν καὶ ἀεὶ καὶ εἰς τοὺς αἰῶνας τῶν αἰῶνων. Ἀμήν.

საქმეები ქალდეველთა მიწასა და მამრეს მუხასთან, სხვა მრავალი (დიდებული) სიტყვითა და საქმით (შდრ. დაბ. თ.12). ხოლო წერილს არსად დაფარულად არ უხსენებია არც მელქისედეკზე და არც მელქისედეკის მეშვეობით. ამის გამო, უსაფუძვლოა შენი რწმენა, აზრი ბუნდოვანი, ამაოა ასეთი ღვთისმცოდნეობა. ამიტომ, მას შემდეგ რაც მრავალი მოწამის მეშვეობით, მართლმადიდებლური რწმენა განცხადდა (დადასტურდა), ხოლო, რომლებიც სხვა მხარეს (არამართლმადიდებლურს) მიემხრობიან და გააზრებულად თუ გაუაზრებლად მელქისედეკს ღმერთს უწოდებენ ან ღმერთის ბუნებით ძეს, ცხადად იუდეველობენ; იმიტომ რომ იესო ქრისტე, რომელიც მარიამისგან იშვა, თავად არის ცოცხალი (ცხოველი) ღმერთის ძე. არაფერი აკლია მას, რათა კიდევ სხვაგან ვეძებოთ სისრულე. „**რადგან კეთილ-ინება, რომ მასში დამკვიდრებულიყო მთელი საღვთო სისავსე, ხორციელად**“ (კოლ. 1.19) და „**ყოველნი მასში ვართ აღვსებულნი**“ (კოლ. 2. 9-10), რომლებსაც გვწამს მისი სიტყვები, როგორც ღმერთის ძისა. კეთილი ნებითა და ძალითა და წყალობითა ღმერთისა – მამისა და ძისა და სულიწმიდისა. მისი არს დიდება, სიმტკიცე (ძალა) და მეუფება, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

ლექსიკონი

აგარაკი (თ. 1) - ქვეყანა, სამყარო; κόσμος ὅ

ადვილმისაწთომელობით (თ. 10) - იხ. ადვილმისაწთომელობითა სიტყუა-რწმუნებითა იპყრობენ მათ

ადვილმისაწთომელობითა სიტყუა-რწმუნებითა იპყრობენ მათ (თ. 10) - ძველი ქართული სიტყვა: „ადვილმისაწთომელობა“ ნიშნავს: „ადვილად გაგების შემძლეობას“, შესაბამისად, ზმნიზედა „ადვილმისაწთომელობით“ იგივეა, რაც „ადვილად, მარტივად“. ზემოთ დამოწმებულ კონექსტში საუბარია, რომ მარტივი, უბრალო ანუ „ადვილად მისახვედრი ცრუმეტყველებით“ ერეტიკოსები დავილად ხიბლავან შეცთენილებს. ეფრემი სიტყვათა კავშირს: εὐληπτοτέραις ... πιθανολογίαις თარგმნის: „ადვილმისაწთომელობითა სიტყუა-რწმუნებითა“; εὐληπτοτέραις αὐτοὺς πιθανολογίαις ἐπικρατοῦσιν

ამაოებისამზრახველი (თ. 2) - ფუჭადმზრახველი; ματαιόφρονος (ματαιοφρονέω)

აღრაცხვა (თ. 5) - აღრიცხვა; ψηφίζω

ბოროტადმზრახვალობა (თ. 10) - ბოროტი ზრახვა; κακό-φρων 2, gen. ονος

ბუგრიანი (თ. 7) - ბილწი, სნეული; λιμόδ, οὐ ὅ

გამოჩინება (თ. 3) - გამოჩენა, გამჟღავნება, ჩვენება; ἀπόδειξις, εως ἤ

გამოჩინებულ ყოფა (თ. 5, 9) - ჩვენება, გამოჩენა (იხ. გამოჩინება); ἀποδείκνυμι

განგებულება (თ. 1, 4, 10) - განგება, გადაწყვეტილება, განზრახულობა; ტერმინის οἰκονομία ძველი ქართული თარგმანი არის განგებულება, ანუ საღვთო მზრუნველობა ადამიანთა ხსნისთვის, ცხოვნებისთვის; სიტყვა განგებულება ასევე გულისხმობს ღმერთის მოქმედების და განგების მიუწვდომლობას ქმნილებათაგან.

სიტყვა განგებულება (οἰκονομία) ხშირად საკუთრივ იესო ქრისტეს განკაცების საიდუმლოს გადმოსცემდა, რაც არის იკონომიური ანუ განგებულებითი მოღვაწეობა; οἰκονομία ἢ (სახლის მართვა; მართვა, მოწყობა)

განთვსებულად (თ. 8) - საკუთრივ, განცალკევებულად; ἰδιωτικῶς

განმკედრება (თ. 8) - ბრძოლა; ὁπλισάμενος (ὁπλιζῶ)

განოტება (თ. 6) - განდევნა, გაძევება; ἀπελάσων

განსაპატიუებელყოფა (თ. 11) - დასასჯელ მდგომარეობაში ყოფნა; ὑπόδικος 2

განუკითხველად (თ. 3) - განუსჯელად; ἀκριτως

განფრთხობა (თ. 11) - გამოფხიზლება, სიფრთხილე; ἀνανήφω

განქიქება (თ. 10) - გამდავნება; ὑφοιράω

განყრა (თ. 10) - განშორება, განგდება; ἀποδρᾶν (ἀποδιδράσκω)

განკორციელება (თ. 2, 9, 11) - განკაცება; σάρκασις, εως ἢ

გება (თ. 3) - ყოფნა, არსებობა, დარჩენა; μένω

გება (თ. 6) არსებობა, ყოფნა; εἶμι

გუამი (თ. 3) - პირი, პიროვნულობა; ბერძნულში მოცემული ტერმინი - ὑπόστασις პოლისემიურია. ეტიმოლოგიური აზრით ნიშნავს „ქვეშ დგომას“, გადატანითი და ყოფითი მნიშვნელობით - „საფუძველს, საყრდენს, სიმტკიცეს“. ფილოსოფიურ-თეოლოგიური აზრით უიგივდება ἢ ὁσῶν-ს და აღნიშნავს „არსებას, არსს, არსებობას, ძირეულ თვისებას“. ქრისტიანულ მწერლობაში ἢ ὑπόστασις გავრცელდა ყველა ზემოაღნიშნული შინაარსით, მაგრამ, ამასთანავე, ამ ტერმინმა ახლებური გააზრებაც მიიღო, იგი ღვთის სამპიროვნების განმსაზღვრელ ცნებად დამკვიდრდა და შინაარსობრივად დაუპირისპირდა ἢ ὁσῶν-ს. თუკი ὁσῶν აღმნიშვნელია ღვთის სამი პირის ერთარსებისა, ἢ ὑπόστασις პირიქით, ერთარსება ღვთის სამპიროვნებას ცხადყოფს; ὑπόστασις

გულისცემის ყოფა (თ. 7) - შეგნება, ცოდნა, მიხვედრა; νοέω

დაბეჭდვა (თ. 10) - ბეჭდის დასმა; დალუქვა; σφραγίζω

დათხვევა (თ. 9) - დაღვრა; αίματεκχυσία ἢ

დაკნინება (თ. 1) - დამცირება; εὐτελίσεισθαι (εὐτελίζω)

დასაბამი (თ. 3,4,5) - დასაწყისი, დასაბამი; წმ. მარკოზი ტერმინს „დასაბამი“ - ἀρχή, ერთი მხრივ, იყენებს პიროვნული ანუ ჰიპოსტასური მნიშვნელობის გადმოსაცემად და მეორე მხრივ, ამავე ტერმინში გულისხმობს, გარკვეულ შემთხვევაში, საღვთო ბუნებას, და, გარკვეულ შემთხვევაში, ადამიანური ბუნების წარმომავლობას. ტექსტის პირველ ნაწილში ტერმინში - ἀρχή საღვთო ბუნების დაუსაბამობა იგულისხმება: „რამეთუ განგებულეებითისა შობისაჲ აქუნდა დასაბამი, ხოლო ბუნებისაჲ არა აქუს დასაბამი საშოდთგამო შეერთებისათჳს“ (თ. 5) SC.: Γενήσεως οὖν τῆς οἰκονομικῆς ἔσχεν ἀρχήν, φύσεως δὲ ἀρχὴν οὐκ ἔχει διὰ τὴν ἐκ μήτρας ἕνωσιν. ხოლო მოცემული ტექსტის მეორე ნაწილში - „რამეთუ უკუეთუ ჯორციელი ძალი, ვითარცა უზეშთაესი მოქმედებდა სიტყვსა შორის და ესრეთ იქმნა შეერთება იგი, იცნობებოდენ ქონება დასაბამისაჲცა ბუნებისაებრ ჯორცთადას“ (თ. 5) - SC.: Εἰ μὲν γὰρ ἡ σωματικὴ δύναμις ὡς ὑπερέχουσα ἐνήργησε τῷ Λόγῳ καὶ οὕτως γέγονεν ἕνωσις, νοείσθω καὶ ἀρχὴν ἔχειν κατὰ τὴν τοῦ σώματος φύσιν მორკოზ მონაზონი ტერმინით „დასაბამი“ - ἀρχή სწორედ პიროვნული ანუ ჰიპოსტასური საწყისის მნიშვნელობას გადმოსაცემს და არ გულისხმობს მაცხოვრის ადამიანური ბუნების წარმომავლობას; ἀρχή ἢ

დაუდგრომელ ყოფა (თ. 11) - არამდგრადობა, არამყარობა; ἀνυπότακτος 2

დაუსაბამობა (თ. 5) - დასაწყისის არ ქონა; ἀναρχότης, ἦτος ἢ

დაფვლა (თ. 3) - დამარხვა; ταφή ἢ

დაცხრობა (თ. 7) - შეჩერება, შეწყვეტა; πᾶσα

დება (თ. 2) - დადება; τίθημι

დისწული (თ. 8) - დისშვილი; ამ შემთხვევაზე სახეზეა გადამწერის მექანიკური შეცდომა - ლოთი აბრაამის ძმისშვილი (შდრ. დაბ. 11. 31) (ჭელიძე 2015: 29), შეცდომით მოხსენიებულია, როგორც აბრაამის დისშვილი; ἀδελφιδιόν, οὐ ὅ

ერთკერძო (თ. 5) - ცალკე, კერძო; μονομερῶς

ზმნობა (თ. 10) - იხ. ზმნობითითა მით ღმრთის მოშიშებით

ზმნობითითა მით ღმრთის მოშიშებით (თ. 10) - მჩვენებითი ღვთის მოშიშებით - δὲ τῆς ἐπιπλάστου εὐλαβείας [მოჩვენებითი მოკრძალების მეშვეობით]; **ზმნობაჲ** (თ. 10) - მისნობა;

თავმდგმელობაჲ (თ. 1) - გვირგვინი, ყოველიბეს შემოკრება; τὰ συστατικὰ κεφάλαια (შემადგენელი თავები (შემადგენელი მთავარი აზრი)

თანა წარსვლა (თ. 1, 3) - გვერდის ავლა, აცდენა (იხ. თანა წარჯდომა); παρατρέχω

თანა წარჯდომა (თ. 1) - გვერდის ავლა, გაცილება, გაშორება; παρατρέχω

თანამოსახელობაჲ (თ. 7) - საზიარო, ერთისა და იმავე სახელის ქონა; ὁμωνυμία, ἢ

თანაშეუტყუებელი (თ. 7) - შეუფერებელი, შეუსაბამო; ἀκατάλληλος 2

თარგმანებაჲ (თ. 1) - განმარტება; ἐρμηνεύμενος

თარგმანი (თ. 1) - თარგმანი, განმარტება; ἐρμηνεία ἢ

თესლის ზედა (თ. 1) - მეორეული თესვა, გადათესვა; ტერმინ - ἐπισπορά-ს მნიშვნელობა ლექსიკონში მითითებულია, როგორც: „მეორეული თესვა, გადათესვა“ (Liddell... 1940: 658). ეფრემი სიტყვას ἐπισπορά თარგმნის: „თესლის ზედა“(თ. 1), რაც ზუსტი თარგმანია, გამომდინარე იქიდან, რომ სიტყვა შეიცავს წინდებულ - ἐπι-ის; ἐπισπορά

იოტნა (თ. 8) - გაქცევა; განდევნა; τρέπω (ვდევნი)

კაცთმოთნებისათჳს (თ. 11) - პირმოთნეობისთვის; კაცთმოთნებაჲ - პირმოთნეობა; თნება - იგივეა, რაც - მოწონება, ანუ კაცთმოთნება იგივეა, რაც - ადამიანებისთვის თავის მოწონება. ბერძნულ ტექსტში გვაქვს ორსიტყვედი: ἀμάρταιος ὑποκριόμενος (თვალთმაქცობ ადამიანთა წინაშე)

კბენილი (თ. 6) - ნაკბენი; διχθεῖς

კმა ყოფა (თ. 3) - დაკმაყოფილება, საკმარისობა; ἀρκέω

ლიტონად (თ. 10) - მარტოდ, უბრალოდ, მარტივად (იხ. ლიტონი); ბერძნულში გვაქვს: ἴσον (თანასწორად)

ლიტონი (თ. 4) - მარტო, უბრალო, მარტივი; ψῑλός 3

მაშინ არღარა ჯორცშესხმული (თ. 9) - მაშინ არ განკაცებული; μη ἔχων τότε σάρκα (მაშინ, როცა არ ჰქონდა სხეული); ჯორცშესხმული ანუ განკაცებული

მაცთური (თ. 7) - შემაცთენელი, მატყუარა; φρεναπατών (φρεναπατάω)

მგმობარი (თ. 7) - მაგინებელი, მგმობელი; βλασφημῶν (βλασφημέω)

მეტისმზრახვალი (თ. 11) - უჩვეულოდ, ზედმეტის მზახველი; περισσῶς φρόνιμος 2

მეცადინეობა (თ. 1) - საქმიანობა, საქმის კეთება; πειράω

მზერა (თ. 10) - თვალთვალი, (იხ. წინამზერა); „რამეთუ განიყარნეს რაჲ წმიდათა ეპისკოპოსთაგან და შეიჩუენნეს, სადაცა უცნაურ-იყვნენ *ემზირებიანცა* ფარულად და კრებათა ჰყოფენ და ესე არს, რომელი-იგი პირველ ვთქუთ, ვითარმედ სადღუმლოთაცა ქრისტესცა და განგებულებასა მისსა დააკნინებენ“. SC.: Ἀφορισθέντες γὰρ ἀπὸ τῶν ἀγίων ἐπισκόπων καὶ ἀναθεματισθέντες, ὅπου ἀγνοοῦνται καὶ *κοινωνοῦσι* λάθρα καὶ συνάγονται, τουτέστιν ὁ προειρήκαμεν, ὅτι καὶ τὸ μυστήριον τοῦ Χριστοῦ καὶ τὴν οἰκονομίαν εὐτελίῳουσιν. [რადგან განშორებულნი წმინდა ეპისკოპოსებისგან და შეჩვენებულნიც, იქ სადაც არ იცნობენ, იკრიბებიან და მალულადაც *ემზირებიან*. ე. ი. რაც წინასწარვე ვთქვით, რომ ქრისტეს საიდუმლოსაც და [მის] განგებულებასაც აკნინებენ]. თარგმანში ბერძნული ზმნის - κοινωνοῦσι, რაც ნიშნავს - „ზიარებას“, „მონაწილეობას“, ნაცვალად წარმოდგენილია: „ემზირებიანცა“

მთხრებლი (თ. 10) - თხრილი, ორმო; βόμβριος, οὐ ὄ

მიმოგანჭრილად (თ. 10) - ამოჭრილად, განცალკევებოლად; περικοπή ἢ

მიმოდაბძარულად (თ. 10) - გაპობილად; თარგმანში მოცემულია ზმნიზედა: „მიმოდაბძარულად“ ანუ „გაპობილად“, „განცალკევებულად“, ორიგინალ ტექსტში კი გვაქვს ზედსართავი: ἀμφιρεπής (მიკერძობებული); ἀμφιρεπής, ἔς

მიხუმა (თ. 5) - მიღება; ἀναλαμβάνω

მკვდრობა (თ. 4) - ცხოვრება, დასახლება; κατοικεσία, ἢ

მკვდრობა (თ. 7) - დამკვიდრება, დასახლება; κατοικῆσαι (κατοικέω)

მოზაძავი (თ. 8) - მიმზაძველი; ἐφάμιλλος 2 (თანასწორი)

მომსრველი (თ. 6) - მომსპობი, მკვლელი; ὀλιθρευτής, ὄσ ὀ

მოსპოლვილი (თ. 7) - მოსპობილი, განადგურებული; καθαιρεθεὶς (καθαίρεω)

მოტევეზა (თ. 9) - შენდობა; ἄφεσις, εἰς ἣ

მოღებულ ყოფა (თ. 6) - აღებული, მოტანილი, წამოსული; μετέχω

მოხუელი (თ. 10) - შემორტყმული, შემოხვეული; ἀντειλισσόμενος (ἐλίσσω და εἰλίσσω)

მრჩობლ (თ. 8) - ორმაგად; διπλῶς

მრჩობლმოქცევითითა მოპოვნებითა (თ. 10) - გამეორებით; მრჩობლმოქცევაჲ ანუ გამეორება; თარგმანში მოცემული დანამატი რაც ბერძნულ ტექსტში არ არის: „მრჩობლმოქცევითითა მოპოვნებითა“. „მიმსგავსებად მათსა მას სივერაგესა და მრჩობლმოქცევითითა მოპოვნებითა დაქსნად მათსა მას ლუარჭნილებასა“ (თ. 10) μιμήσασθαι τὴν ἐκείνων πανουργίαν καὶ τοῖς ἀγχιστρόφοις νοήμασι ἐκλῦειν αὐτῶν τὰς τοιαύτας περιείλιγγας [მიზაძმოთ მათ მოხერხებას და სხარტი დასკვნებით ავხსნათ მათი ასეთი ბუნდოვანება]

მსხუერპლი (თ. 9) - ძღვენი, შესაწირავი; τὸ θύειν (θύω)

მღდეღყოფილი (თ. 6) - მღვდელმოქმედი; ἱερατεύσας (ἱερατεύω)

მყის (თ. 4, 5, 6, 10) - უმაღ; მაშინვა, საჩქაროდ; εὐθέως

ნათესავთმეტყუელებაჲ (თ. 4) - გენეალოგია, წარმომავლობის აღწერა (იხ. ნათესავმოქსენებული; ტომთ რაცხვაი); ეგრემი ტერმინის - γενεαλογηθῆναι თარგმნის - „ნათესავთმეტყუელებაჲ“, რაც ზედმიწევნით გადმოსცემს ბერძნული ორიგინალის შინაარსს; γενεαλογηθῆναι

ნათესავი (თ. 7) - მოდგმა, ტომი, წარმართი; ἕθνος, εἰς τὸ

ნათესავმოუქსენებელი (თ. 1,3,4,8) - წარმომავლობის, გენეალოგიის არმქონე; ἀγενεαλόγητος 2

ნათესავმოწესებული (თ. 1, 2, 3, 4, 8) - წარმომავლობის, გენეალოგიის მქონე (იხ. ტომთ რაცხვაი); γενεαλογισμενος (γενεᾶλογῆς)

ნაკუეთი (თ. 3) - ნაკვეთი, მონაკვეთი, ნაწილი; περικοπή ἢ

ნამეტნავი (თ. 1) - ზედმეტი; περιττός 3

ნატყუნავი (თ. 8) - ალაფი, ნადავლი, ტყვე; ἀκριθίνιον τό

ნებსითი (თ. 6) - თავის ნებითი, ნებელობითი, ნებაყოფლობითი; ἐκόνσιος 3 (2)

ორგულეზაჲ (თ. 10) - ორპირობა (იხ. ორგულობით); διχόνιοι ἢ (ორაზროვნება, აზრთა სხვაობა)

ორგულეზით (თ. 10) - ორპირობით, ღალატით, არაგულწრფელად; ὑπόκρισις, εως ἢ

ჟამმცირე (თ. 7) - ხანმოკლე; ὀλιγοχρόνιος 2

რაბამობა (თ. 6) - რაოდენობა, რაგვარობა; πηλικότης, ητος ἢ

რვალი (თ. 6) - სპილენძი; χάλκεος 3 (2) (სპილენძის)

რქუმად (თ. 10) - უწყება, თქმა; λέγων (λέγω)

სამსხუერპლოჲ (თ. 9) - მსხვერპლად შესაწირავი; θυσία ἢ

სასოეზაჲ (თ. 6) - იმედი; ἐλπίς, ἰδος ἢ

საცნაური (თ. 8) - ცხადი, ცნობილი, გონებისეული; νοερός 3

საცნობელი (თ. 8) - მგრძნობელობა, ცნობიერება; αἴσθησις, εως ἢ

საძულელყოფად (თ. 10) - საძულველი ყოფა; μισεῖσθαι (μισέω)

სახედ (თ. 6) - მსგავსად, სახეობრივად; τυπικῶς; (თ. 8, 9) - სახედ; τύπος; (თ. 10) - სახედ; δίκην

სახელ დება (თ. 5) - წოდება, სახელის დარქმევა; ὀνομάζω

სახლ (თ. 6, 7, 8) - ხერხი, მეთოდი, სახე; τρόπος ὁ

სახისმოსწავებით (თ. 6) - სიმბოლურად; τυπικῶς

სახლისწული (თ. 8) - შინ შობილი, მსახურის შვილი, სახლეული; მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ეფრემის მიერ თარგმნილი სიტყვათა კავშირის - τῶν οἰκείων οἰκογενῶν - აღნიშვნა. მოცემულ სიტყვებს ეფრემი თარგმნის: „სახლისწულთა“. ამგვარი თარგმანი კვლავ წარმოაჩენს ეფრემ მცირის უბადლო მთარგმნელობით ოსტატობას. ახალ ქართულად ამ სახით შეიძლება ითარგმნოს აღნიშნული მონაკვეთი: [ნათესავ-სახლეულ (თავის სახლში შობილ) მსახურებთან]; οἰκογενής 2

სენ ყოფა (თ. 11) - დასწეულება, ავად ყოფნა; νοσῶ

სეხნაობა (თ. 7) - სეხნაობა; სახელის მოზიარეობა (იხ. თანამოსახელებად); ἐπανῆμια ἦ (სახელწოდება)

სივერაგით (თ. 10) - ვერაგულად; πανούργως

სიკნინე (თ. 6) - სიმცირე; βραχύτης, ἡτος ἦ

სისულელე (თ. 6) - უგუნურობა; μαρία ἦ

სიტყუამეტნობა (თ. 9) - მრავალსიტყვაობა; περισσολογῶ

სიტყუად (თ. 4) - იხ. სიტყუად ჯორც იქმნა

სიტყუად ჯორც იქმნა (თ. 4) - სიტყვა განხორციელდა ანუ ძე ღმერთი განკაცდა; სიტყუად (თ. 1) - სიტყვა; სიტყუად (თ. 2, 4, 5, 7, 9) - ამ შემთხვევაში იგულისხმება Λόγιος-ი ანუ ძე ღმერთი; ჯორცი - სხეული; ὁ Λόγιος σὰρξ ἐγένετο

სიტყვსგებად (თ. 10) - პასუხი; ἀποκρίσις, εἰς ἦ

სიწმოდ (თ. 11) - სიხშირე, სიმრავლე; νέφος, εἰς τὸ

სოფელი (თ. 9) - ქვეყანა, მსოფლიო; κόσμος ὁ

სხვთკერძო (თ. 11) - სხვა მხრივ; ἑτέρωθεν

ტომთ რაცხვაი (თ. 4) - გენეალოგია, ტომობრივი წარმომავლობა, ათვლა, აღრიცხვა (იხ. ნათესავმოწესენებული); „ტომთ რაცხვასა შინა არა მოიღებვის“ - ἐν τῇ γενεαλογίᾳ οὐκ ἐμφέρεται; γενεαλογία ἢ

უზეშთაესი (თ. 5) - უმაღლესი, უპირატესი; ὑπερέχουσα (ὑπερέχῃ)

უშურველად (თ. 7) - შურის გარეშე, მოურიდებლად; ἀφθόνως

უჩჩულესი (თ. 7, 10) - ყველაზე პატარა, ჩვილი, ბავშვი; νήπιον τὸ

უცხოთესლი (თ. 8) - უცხოტომელი; ἀλλόφυλος 2

ქადაგი (თ. 9) - მქადაგებელი; κήρυξ, ἡγὼς ὁ

ქველისსაქმე (თ. 11) - კეთილი საქმე, მოწყალება; εὐεργεσία ἢ

ქუაბი (თ. 6) - გამოქვაბული, აკლდამა; σπήλαιον τὸ

ღმრთივბუნებითად (თ. 5) - საღვთო ბუნებით, საღვთო ბუნების შესაბამისად, საღვთოდ; θεοπρεπῶς

ღმრთისმეტყუელება (თ. 11) - ღმრთისმეტყუელება; ეფერემი ტერმინს - θεογνωσία, რაც სიტყვასიტყვით ნიშნავს „ღვთისცოდნას“, თარგმნის - „ღმრთისმეტყუელება“; θεο-γονία ἢ

ღვარძლი (თ. 1) - ღვარძლი, სარეველა ბალახი; ζιζάνιον τὸ

ღვარჭნილება (თ. 10) - დაგრეხილობა; περιειλίγη ἢ (შდრ. εἰλίγγος ὁ)

ყინელი (თ. 6) - სიცივე, ყინვა; κρύμῃς ὁ

ყოვლისა მპყრობელობითი ძალი (თ. 5) - ყოვლისმპყრობელი ძალა; παντοκρατορικὴν δύναμιν

ყოფადი (თ. 9) - მოსახდენი; μέλλον, ὄντος τὸ (μέλλω)

შეერთება (თ. 5) - შეერთება; წმ. მარკოზ მონაზონი ტერმინით ἕνωσις (შეერთება) აღნიშნავს იმ უმწვერვალეს შეერთებას, რაც განხორციელდა ორი ბუნების შეერთებით მაცხოვრის ერთ ჰიპოსტასში; ἕνωσις

შემდგომობა (თ. 4) - შემდგომობა, მომდევნობა; τὸ ἐπόμενος (ἐπομαι)

შემოხუმა (თ. 1, 10) - შემოტანა; συνεισφέρω

შენანება (თ. 10) - სინანული; μετανοῆσαι (μετανοέω)

შერაცხვა (თ. 1) - ჩათვლა, მიჩნევა; ერთ შემთხვევაში: ἰγέομαι; მეორე შემთხვევაში: νομίσειεν

შესმენა (თ. 10) - დაბეზღება, ცილის წამება; აღსანიშნავია, რომ ზმნიდან διαβάλλα, რაც ნიშნავს „ცილს ვწამებს“, მომდინარეობს საკუთარი სახელი Διάβολος – „ემშაკი“ ანუ „ცილის მწამებელი“; διαβάλλα

შესხმა (თ. 5) - ჩაცმა, შემოსვა; ἀναλαμβάνω

შეტყუება (თ. 1) - შეფარდება, შესაბამისობა, შეფერება; „შეტყუებისა, ვინაჲცა ქრისტესა“ - τὸν ἐπὶ Χριστῷ (რაც ქრისტეს შეეფერება, მიემართება)

შეჩუენება (თ. 10) - წყევლა; ἀφορίζω (გამოვაცალკევებ)

შთაბნევა (თ. 10) - ჩავარდნა, ჩაცვენა; ἐμπίπτω

ჩემება (თ. 6) - საკუთრება, მიკუთვნება, მიჩემება; προσέμα

ცთუნებული (თ. 10) - შეცდენილი; ἡπατημένος (ἀπατάω)

ცხად ყოფა (თ. 6) - განმარტება, ახსნა, განცხადება; φανεροποιήσας (φανεροποιέω)

ძლება (თ. 10) - შეძლება; δύναμαι

წამება (თ. 7) - დამოწმება; μαρτυρέω

წარსაწყმედელი (თ. 10) - დასალუპავი, დასაკარგავი; ἀπ-ώλεια ἢ

წარტყუენული (თ. 8) - დატყვევებული; αἰχμαλωτευθεῖσα (αἰχμᾶλωτεύω)

წესისაებრობა (თ. 2) - განწესებულება, რიგითობა, წესი; τάξις, εως, ἢ

წვალება (თ. 8, 10) - ერესი, მწვაკებლობა; αἵρεσις, εως ἢ

წილ ხუდომა (თ. 7) - წილად რგება, შეხვდომა; ἀποκληράω

წინა აღდგომა (თ. 3) - შეწინააღმდეგება, დაპირისპირება; ἀντερείδω

წინადამთხუელი (თ. 10) - შემთხვევითი მოვლენა; παρατυχήανω (παρατυχήανω)

წინამზერა (თ. 10) - თვალთვალი; ევრემი ზმნურ ფორმას καιροσκοπισι, რაც წარმოქმნილია ზმნის - σκοπέω „ვუთვალთვალე“ და სიტყვის - καιρός „შესაფერისი დრო“ შეერთებით, კალკირებულად თარგმნის: „წინა-ემზირებიან“; καιροσκοπέω

წინამომასწავებელი (თ. 2) - წინასწარჩვენებული; παραδεικνύω (παραδείκνυμι)

წინაშემოსავალი (თ. 1) - შესავალი, წინაპირობა; προᾶγαγή ἡ (საქმის მსვლელობა)

ხორეპისკოპოსი (თ. 10) - ქორეპისკოპოზი უსამწყსო ეპისკოპო(ზ)ს ეწოდების ბერძულად (იორდანაშვილი 1949: 373); περιόδευτή (περιόδεύω)

ხურვა (თ. 10) - დახურვა, დაფარვა; παυιδεύειν (παυιδεύω)

ჯამ (თ. 10) - საჭიროა; δεῖ

ჯელ ყოფა (თ. 1) - ხელის მოკიდება, დაწყება; ἐπιχειρήσαντες (ἐπιχειρέω)

ჯმოზა (თ. 9) - მოწოდება, მოხმობა; βιάω

ჯორცი (თ. 4, 5) - იხ. სიტყუაჲ ჯორც იქმნა

ჯორცშესხმული (თ. 9) - იხ. მაშინ არღარა ჯორცშესხმული

ჰგონებ ჩემებად (თ. 6) - მიიჩნევ, რომ მას მიეკუთვნება (იხ. ჩემება); ἀπόλυτα νομίσεις (მიიჩნევ, რომ თვით მასზე ახსნადი არის; (ἀπόλυτα - შესაძლებლობის გაგების ნაზმნარ. ზედ. სახელი (ურუშაძე 2018: 278))

ჰურია (თ. 7) - ებრაელი; Ἰουδαῖος ὁ

ჰურიაობა (თ. 11) - ებრაული რჯულის აღსრულება, ანუ ურწმუნოება; ἰουδαίζω

Ծանոթություն 2

ՄԹ. ԳՐԻԿՈՍ ԶԱԵՐՈՒՆԻՅԱՆ ԹԳ-200 ՅՈՒՆԻՍԿՈՒՆԵՍԻ ԹԻՆԻ «ԾՈՒԾԼՈՒՄՆԵՐԻՆԻՍ»

Աνεγνώσθη βιβλίον Μάρκου μοναχοῦ ἐν λόγοις η΄, ὧν ὁ μὲν πρῶτος ἐπιγραφὴν ἔλαχε περὶ νόμου πνευματικοῦ, καὶ χρήσιμος τοῖς τὸν ἀσκητικὸν ἐπανηρημένοις βίον ὥσπερ καὶ ὁ ἐφεξῆς, τοὺς ἐξ ἔργων οἰομένους δικαιοῦσθαι εἰς μάταιον διαπίπτειν λογισμόν, μᾶλλον δὲ καὶ τὸν ὅτι μάλιστα σφαλερόν, ἐπιδεικνύμενος· ἐν οἷς καὶ ἕτεροι συνυφαίνονται παραινέσεις, εἰς τὸν πνευματικὸν καὶ αὐταὶ συνανήκουσαι βοῖν καὶ νόμον. Καὶ ὁ γ΄ δέ, περὶ μετανοίας τῆς πάντοτε προσηκούσης ἀπευθυνόμενος τὸν σκοπὸν, εἰς τὸν αὐτὸν τῆς ὠφελείας βαθμὸν ἀνατρέχει. Σαφῆς μὲν οὖν ἐστὶν ὅσον ἐπὶ τῇ κοινότητι τῶν λέξεων καὶ τῷ κεφαλαιωδῶς ἐξενηχῆσθαι, ἢ φράσις, εἰ καὶ μὴ πρὸς τὴν Ἀπτικὴν ἀπηκρίβωται τὰ ὅλα γλῶτταν· εἰ δέ που τὸ ἀσαφές ἐνορᾶται, τῷ διὰ πρῶξως αὐτὰ πεφυκέναι μᾶλλον κατανοεῖσθαι ἀναχωρεῖ τῆς διὰ λόγων ἐρμηνείας, οὐχὶ τῷ δυσκόλως εἰρηῆσθαι· τὸ δὲ τοιοῦτον οὐκ ἐν τοῖς εἰρημένους μόνον ἀναφαίνεται λόγοις, ἀλλὰ καὶ ἐν τοῖς ἐξῆς. Καὶ οὐχὶ μόνω τῷδε τῷ ἀνδρὶ, ἀλλὰ μικροῦ πᾶσιν, οἷς ἀσκητικὸς νόμος καὶ πάθη καὶ διαθέσεις δι’ ἔργων χωρούσας ἀπαγγέλλειν γέγονε σπουδῆ, ὁ τῆς τοιαύτης ἀσαφείας ἐνιαχοῦ συμπρῶεισι τρόπος, τῆς ἐκ τῶν ἔργων αὐτῶν ἐπιγνώσεως οὐτὶ μάλᾳ στεργούσης τὰς διὰ τῶν ῥημάτων ἐπιδηλώσεις. Ἄλλ’ οὕτω μὲν περὶ τούτου. Ὁ γε μὴν δ΄ λόγος εἰς τύπον ἐρωτήσεως καὶ ἀποκρίσεως ἐσχηματισμένος, δείκνυσιν ὡς τὸ σωτήριον βάπτισμα τὴν ἐλευθερίαν καὶ τὸν καθαρισμόν τῶν ἀμαρτημάτων μυστικῶς ἡμῖν ἐχαρίσατο καὶ τὴν χάριν τοῦ παναγίου ἐνώκισε πνεύματος, καὶ τοιαῦθ’ ἕτερα. Ὁ δὲ ε΄ διαπλάττει τὸν νοῦν πρὸς τὴν οἰκείαν ψυχὴν συμβουλήν οἷον ἀνακοινούμενον, δι’ ἧς οὐκ ἄλλους αἰτίους ἀλλ’ αὐτοὺς ἡμᾶς τῶν ἀμαρτανομένων ἀποφαίνεται· καὶ ὁ ς΄ δὲ εἰς διάλογον σχηματίζεται, σχολαστικὸν εἰσάγων τινὰ πρὸς Μάρκον αὐτὸν διαλεγόμενον, ὧν τὰ κεφάλαια ὅτι δεῖ ἀδικούμενον μὴ ἀμύνεσθαι μηδὲ κατακρίνειν τοὺς ἀδικοῦντας, ἀλλ’ ἰδίων ἀμαρτημάτων εἰσπράξεις ἡγεῖσθαι τὰς ἐξ ἐτέρων ἡμῖν ἐπιφερομένας ἐπηρείας· καὶ ὅτι χαλεπὸν ἢ ἀνθρωπαρεσκία, καὶ ὡς δεῖ παντὸς σωματικοῦ ἔργου πολλῷ τῷ μέσῳ τὴν προσευχὴν προτάπτειν, καὶ τί ἐστὶ τὸ θέλημα τῆς σαρκός. Ὁ δὲ ζ΄ οὐκ εἰς τὰ τῶν ῥημάτων ἀμοιβαῖα διατυπούμενος, περὶ νηστείας διαλαμβάνει· ὁ δὲ η΄ Νικολάῳ τινὶ μοναχῷ γεγραμμένος, τίσι μάλιστα κοιμίζεται θυμὸς καὶ ὀργὴ ἢ καὶ τέλεον καταργεῖται, ἀναδιδάσκει,

καὶ τίσιν ἢ σαρκικὴ ἐπιθυμία. Ταῦτα μὲν, εἰ καὶ κατὰ τὸ μᾶλλον καὶ ἥττον ἀλλήλων διαφέροντα, ὅμως τὰ ὀκτὼ τῶν λογίων εἰς τὴν πρακτικὴν χειραγωγεῖ φιλοσοφίαν.

Ὁ δὲ θ', κατὰ Μελεχισεδεκιτῶν ἀγωνιζόμενος, οὐδὲν ἔλαττον τὸν γεννησάμενον αὐτὸν αἰρέσεως ἔνοχον οὐ μετριοτέρας στηλιτεύει· πλὴν τῷ γε θηρᾶν πανταχόθεν ἐφιεμένῳ τὸ χρήσιμον, οὐκ ἀσυντελής αὐτῷ οὐδ' ἢ ἐκ τούτου ἀνάγκη εἶσται. Τὴν δὲ τῶν εἰρημένων λόγων τάξιν οὐ πάντα τὰ ἀντίγραφα τὴν αὐτὴν διασώζει, ἀλλ' ἔνια προτάττει, ἄλλα ὑποτάττει, ὡς τινα καὶ τὴν ἐσχάτην τοῖς πρώτοις ἀπονέμειν χώραν (Migne 1860(b): 667).

[ჩემ მიერ წაკითხულ იქნა (მე გავეცანი) მარკოზ მონაზონის წიგნს – რვა სიტყვად [ჩამოყალიბებულს], რომელთაგან პირველს სათაურად აქვს „სულიერი რჯულის შესახებ“, და სასარგებლოა მათთვის, რომლებსაც აინტერესებთ ასკეტური ცხოვრება; ისევე როგორც მომდევნო [მეორე] სიტყვა, რომელიც წარმოაჩენს (= ἐπιδεικνύμενος): „მათ, რომლებიც ფიქრობენ, რომ საქმეებით გამართლდებიან“, არათუ ფუჭ განსჯაში ცვივდებიან, არამედ მეტიც, ყველაზე დიდ ცდუნებაში იგდებენ თავს. აღნიშნულ სიტყვებში (= რომლებშიც) ჩადებულია (მოთხრობილია) სხვადასხვა დარიგება, რომელიც მიემართება და შეეფერება სულიერ ცხოვრებასა და წესს (კანონს). ხოლო მესამე სიტყვა, მუდამშესაფერისი¹⁹⁸ სინანულის შესახებ, რომელიც დაისახავს მიზანს და სარგებლიანობის იმავე საფეხურზე ადის [რაზეც დანარჩენები]. მართლაც, მეტყველების (ლექსიკის ერთიანობის, (საერთოობის) მიხედვით, რითაც ზოგადად არის გადმოცემული [ეს სიტყვები, ნაშრომები], გამოხატვის ფორმა ნათელია (გასაგებია), თუმცა კი მთლიანად (მთლიანობაში) ზუსტად არ შეესაბამება (= ვერ იცავს) ატიკურ დიალექტს; და თუკი სადმე რაიმე ბუნდოვანება შეიმჩნევა (შეინიშნება), ეს არის არა [მარკოზის] ცუდად მეტყველების გამო (= τῷ), არამედ იმის გამო (= τῷ), რომ ეს ბუნდოვანებები უფრო მეტად გაიაზრება (გაიგება) და უკან იხევს საქმით (ქმედებით), ვიდრე სიტყვიერი განმარტებით. სწორედ ეს წარმოჩნდება არა მარტო ზემოხსენებულ სიტყვებში (ნაშრომებში), არამედ სხვა დანარჩენ (მომდევნო) სიტყვებშიც (ნაშრომებშიც). და არა მარტო ამ ადამიანთან (კაცთან)¹⁹⁹, არამედ თითქმის ყველასთან, რომელთანაც მოშურნეობა (მოღვაწეობა) წარმოიშვა, რომ გადმოეცათ ასკეტური სწავლებები (კანონი), ვნებები და საქმეებით მოცული (განმტკიცებული)

¹⁹⁸ სინანული არასოდეს არის უადგილო, მუდამდროულია.

¹⁹⁹ იგულისხმება მარკოზ მონაზონი

სულიერი განწყობილებები; ამგვარი ბუნდოვანების სახე ხშირად მაშინ იწევს წინ, როცა მათი (= მოღვაწეთა) ქმედებებიდან (საქმეებიდან) გამომდინარე შეცნობა (შემეცნება) გამორიცხავს (= სულაც არაშეწყნარებული, არ იწონებს) სიტყვიერ (სიტყვათა მეშვეობით) დასაბუთებებს. ეს რაც შეეხება ამ საკითხს. მეოთხე [ნაშრომი], რომელიც კითხვა-მიგების სახით არის გადმოცემული, გვიჩვენებს, თუ როგორ მოგვმადლებს გამომხსნელი ნათლობა ჩვენ საიდუმლოდ, ცოდვათაგან განწმენდას და თავისუფლებას და, მეორე მხრივ, ყოვლადწმინდა სულის მადლს გარდმოავლენს. მეხუთე სიტყვა წარმოაჩენს გონებას საკუთარ სულთან მიმართებით, რაც გარკვეულწილად, თათბირს წარმოადგენს, რომლის მეშვეობით ცოდვების მიზეზად არა სხვებს, არამედ თავად ჩვენ გვასახელებს. მეექვსე სიტყვა დიალოგის სახით არის წარმოდგენილი და წარმოაჩენს ვინმე სქოლასტიკოსს, რომელიც თავად მარკოზთან ერთად მსჯელობს, ამათგან არსებითი არის ის, რომ საჭიროა, შეურაცხყოფილმა არ აირიდოს და არც განიკითხოს შეურაცხმყოფელი, არამედ საკუთარი ცოდვების საზღაურად მივიჩნიოთ ის ბოროტებანი, რასაც ჩვენ სხვებისგან ვღებულობთ; და რომ საშიშია კაცთმოთნეობა და, ასევე, აუცილებელია ყველა ფიზიკური (სხეულებრივი) საქმის წინ მთავარ ადგილას დავაყენოთ ლოცვა, და [ასევე ავტორი წარმოაჩენს], თუ რა არის ხორცის ნება. მეშვიდე სიტყვა შედგენილია მეტყველების არადიალოგური ფორმით და განიხილავს (მოიცავს) მარხვას. მერვე სიტყვა ვინმე ნიკოლას მონაზონისათვის, ძირითადად გვასწავლის, თუ რითი მოითოკება ვნება (გალიზიანება) და მრისხანება, ან ნადგურდება სრულიად, და რითი [მოითოკება და ნადგურდება] ხორციელი ლტოლვა. იმის შესაბამისად, რაც მეტ-ნაკლებად ერთმანეთისგან განასხვავებს [სიტყვებს, ნაშრომებს], თავადვე [ეს განსხვავებულებანი] წინ მიუძღვის (მიმართავს, მეთაურობს) წარმოთქმულთაგან რვავე ნაშრომის პრაქტიკული სიბრძნისმოყვარეობისკენ.

ხოლო მეცხრე სიტყვა, მიმართული მელქისედეკიანელთა წინააღდეგ, ამხელს ერესში დამნაშავეს (ბრალდებულს), რომელიც გახდა [მელქისედეკიანელთა ერესზე] უფრო დიდი (= არამცირე) [ერესის] მშობელი (შემქმნელი). გარდა ამისა, იმისთვის, ვინც ყოველი მხრიდან ესწრაფვის სარგებლის მიღებას, (მისთვის) არ იქნება უსარგებლო ამ ნაშრომის წაკითხვა. ხოლო ზემოხსენებული სიტყვების (ნაშრომების) თანმიმდევრობას (რიგს) ყველა (გადაწერილი) ასლი (ხელნაწერი = τὰ ἀντίγραφα) იმავე

სახით (τὴν ἀπὸ τὴν) არ იცავს, არამედ ზოგი ასლი [ნაშრომთა თანმიმდევრობას] წინ გადასწევს, ზოგი კი უკან გადასვამს, ისე რომ, რომელიღაც უკანა ადგილს პირველებს მიუჩენს].

წმ. ფოტი პატრიარქის 201-ე კოდექსი მისი „ბიბლიოთეკიდან“

Τούτοις οὖν τοῖς δέκα τὰ ἑκατὸν ὑποτέτακται. Καὶ ἔστιν οὗτος ὁ λόγος εἰς τὸ ἄριστον τοῖς ἀσκουμένοις συγκείμενος, καὶ τοῖς ἐν αὐταῖς ἐγγεγυμνασμένοις ταῖς τελειοποιῶν

πράξεις οὐδ' ἀσαφές τι ἐμπαρεχόμενος· ἢ γὰρ διὰ πείρας γνῶσις εὐχερῶς τῆς διὰ λόγων ἐπιβατεύει διδασκαλίας. Πατέρα δὲ τοῦ λόγου Διάδοχον ἢ ἐπιγραφή λέγει, Φωτικῆς τῆς ἐν τῇ παλαιᾷ Ἡπίρω ἐπίσκοπον. Ἐν ταύτῳ δὲ τεύχει καὶ Νείλου μοναχοῦ λόγον ἀνέγνω, τρισὶ καὶ ἅρ' κεφαλαίοις διαιρούμενον. Τὸν τῆς προσευχῆς δὲ ἐν τούτοις ὁ θεῖος ἀνὴρ ἀναπτύσσει τύπον. Πολλὰ δὲ καὶ ἄλλα αὐτοῦ ἀξιόλογα ποικίλας ὑποθέσεις ὑποβαλλόμενα, εἰς τε τὸν ἐπιστολιμαῖον τρόπον καὶ εἰς τὸν συγγραφικὸν ἀνηγμένα συντάγματα φέρεται, τὴν τε κατὰ τὰ ἔργα τελειότητα καὶ τὴν ἐν λόγοις μαρτυρούμενα δύναμιν. Πλὴν εἰ καὶ μὴ πολὺς ὁμοίως ὁ Διάδοχος, ἀλλὰ τά γε ἀναγεγραμμένα αὐτῷ ἑκατὸν κεφάλαια οὐκ εἰς ἐλάττονα βαθμὸν ἐν οὐδετέρῳ μέρει τῶν εἰρημένων τίθησιν· ὅ τε γὰρ λόγος αὐτῷ εἰς τὸ ἀμώμητον σύγκειται, καὶ ὁ νοῦς τὴν ἀπὸ τῶν πράξεων σοφίαν προβάλλεται. Τοῦ μέντοι Μάρκου δι' ἑκατέρας προέχων ιδέας, καὶ ἐνιαχοῦ ταῖς γνώμαις ἀντιφέρεται. Δοίη δ' ἂν καὶ αὐτὸς λαβὴν τοῖς ἀδεκάστως ἀκριβολογουμένοις κατὰ τὸ τέλος τοῦ ἑκατοστοῦ κεφαλαίου, εἴτε παρενθήκη τινὸς νοθευόμενος, εἴτε ἄλλως τινὶ συναρπασθεὶς παροράματι. Τὸ γὰρ κατὰ δόξαν ἀλῶναι εὐξάμην ἂν μὴ ἐπαληθεύειν (Migne 1860(b): 672).

[სწორედ [წიგნის] ამ ათი [თავის] ქვემოთ განთავსებულია ასი თავი. ეს ნაშრომი (= სიტყვა) არის შედგენილი მათთვის, ვინც საუკეთესოსთვის მოღვაწეობს და [მათთვის] ვინც გაწაფულია (განსწავლულია) ამ სრულყოფილი საქმეებით, და არც რაიმე ბუნდოვანება არის [მათთვის] დარჩენილი; რადგან გამოცდილი ცოდნა ადვილად ეყრდნობა (ემყარება) სიტყვიერ (სიტყვების მეშვეობით) სწავლებას. ნაშრომის წარწერა ფოტიკის ეპისკოპოსს მამა დიადოქოსზე მიუთითებს, ძველ ეპირში. ამავე წიგნში წავიკითხე ნილოს მონაზონის სიტყვა (ნაშრომი), რომელიც დაყოფილია 153 თავად. ამ თავებში საღვთო კაცი ლოცვის სახეს განმარტავს. [აქ] მისი მრავალი სხვა, ღირსეული, სხვადასხვაგვარი საკითხია წარმოდგენილი. შემოკრებილი ნაწარმოებები მიეკუთვნება როგორც ეპისტოლარულ ფორმას, ისე ნაშრომის (პროზაულ) სახესაც. წარმოდგენილი საკითხები ამტკიცებს [მის] სრულყოფილებას საქმეებისა და, შესაბამისად, ძალმოსილებას სიტყვებში. მიუხედავად იმისა, რომ დიადოქოსი არ არის ისეთი ნაყოფიერი, მის მიერ დაწერილი ასი თავი, ზემოთქმულთაგან, არცერთ ნაწილში არ მიიჩნევა ნაკლებად ღირსეულად; რადგანაც მისი ეს სიტყვა (ნაშრომი, მეტყველება) შედგენილია უმწიკვლოდ, და [მისი] გონება საქმეებიდან წარმოაჩენს (გამოავლენს) სიბრძნეს. ხოლო მარკოზის გამოხატვის ფორმას ორივე ასპექტით აღემატება, და ხანდახან აზრებითაც უპირისპირდება. [ამის]

მიზეზი შესაძლოა თავადაც მისცა მიუკერძოებლად გამომეძიებლებს (გამომკვლევებებს), მეასე თავის ბოლოსთან დაკავშირებით, [რათა მათ ეფიქრათ]: ან ვილაცის დანამატით არის გაბუნდოვანებული [მისი სიტყვა=ნაშრომი], ან რაღაც ცდომილებით (შეცდომით) არის გააზრებული. მაგრამ მე ვისურვებდი, რომ არ დამტკიცდეს შეგნებული გადაცთომა]²⁰⁰.

²⁰⁰ ამ შემთხვევაში, ფოტი პატრიარქი საუბრობს დიადოქოს ფოტიკელის ასკეტიკონში, მე-100 თავის ბოლოს გადმოცემულ სწავლებაზე, რომელმაც, როგორც ჩანს, ზოგიერთ ადამიანში გაუგებრობა გამოიწვია: «ἵνα διὰ τὸν πῦρδὸς δόκιμασθέντες τῆς κρίσεως, τὸς κερραωσθημένους ἀπὸ τῶν κατὰ τὰς ἀπὸ τῶν πρῶτων ἀποστόλων κληρίους παρὰ τὸν ἀγαθὸν ἥμῶν Θεὸν, καὶ Βασίλειῶς Ἰησοῦ Χριστοῦ.» [რათა სასჯელის ცეცხლით გამოცდილებმა მათთვის შესაფერისი ხვედრი მათი საქმეების შესაბამისად მიიღონ] (Φιλοκαλία 2011: col. 445). (შდრ. დასახ. შრომა, ჭელიძე 2013b: 73). მაქსიმე აღმსარებელი დიადოქოს ფოტიკელის აღნიშნულ სიტყვებს ამგვარად განმარტავს: „უფლის სამსჯავროზე წარდგებიან ის ადამიანები, რომლებმაც სიცოცხლეში ცოდვებიც ჩაიდინეს და კეთილი საქმეებიც განახორციელეს. სამსჯავროზე მათ მიერ ჩადენილი სათნოებებისა და ცოდვების შეპირისპირება მათთვის ცეცხლით გამოცდის მსგავსი იქნება. თუკი სათნოებები გადააჭარბებს ცოდვებს ადამიანები თავისუფლდებიან სასჯელისგან“ (შდრ. იქვე, Migne 1865: 792).